საზღვარგარეთული დეტექტივი

ბ. ვექიანოვი

მღვიმეზეზი დამდამ-ეოზით ბავშვ-ებ

ჯონ დიკსონ კარი

იმპერატორის საგუშაგოზე

ბაკლი, ნარსეიკი

ქალი, რომელიც სიკვდილს ბავშვასალმეს

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1977

И
8(4)3
ს177

კრებულში შესულია სამი დეტექტივი. ბულგარელი მწერალი პ. ვეჟინოვი მოგვითხრობს პოლიტიკური ბრძოლის არენად ქცეულ პატარა ბულგარულ სოფელში მომხდარი სამი მკვლელობის გამოძიების შესახებ; ფრანგი მწერლები ბუალო და ნარსეჟაკი გვიჩვენებენ ბურჟუაზიული ობივატელის შეზღუდულ სამყაროს. ინგლისელი მწერლის ჯონ დიკსონ კარის რომანში „იმპერატორის საბურნუთე“ აღწერილია საფრანგეთის კურორტისა და მის მკვიდრთა — მატერიალურად უზრუნველყოფილი, მაგრამ გახრწნილი და ზნედაცემული ადამიანების ატმოსფერო.

თარგმანი ნოდარ ძოწენიძისა

8 $\frac{70304-246}{М601(08)-77}$ 436—77

ვ. ვეფიხვი

ძლაბიოზები ლაბლაბოზით გაბოდიან

შავგვრემანი, დიდი პირისახის ახალგაზრდა ნელა ჩამოდიოდა „დიდი მეჰხანის“ კიბეზე. ზღურბლზე წამით შეჩერდა და მიმოიხედა. მართალია რესტორანი ახალი იყო და კარგი რეპუტაციითაც სარგებლობდა, მაგრამ ახალგაზრდა მისი მონახულებით განსაკუთრებულს არაფერს ელოდა. მას საერთოდ არ უყვარდა ეგრეთწოდებული საზოგადოებრივი კვების ობიექტები, რადგან ღლიდა ხმაური და ზედახოცვა. უფრო რთული პრობლემები ჰქონდა გადასაჭრელი, თუმცაღა ყველაფერში უბრალოებასა და სიცხადეს ამჯობინებდა.

ოფიციანტმა თვალის ერთი შევლებით შეიცნო იგი.

— თქვენ ბანკეტზე მობრძანდით არა?

— დიახ, — მოკლედ უპასუხა მოსულმა.

— მგონი ყველაზე ადრე მობრძანდით, — თავაზიანად უთხრა ოფიციანტმა.

— ეჭვი არ მეპარება.

მას პირდაპირი და მკაცრი გამოხედვა ჰქონდა. საშუალო სიმაღლისა იყო, მაგრამ ცოტა ზონზროხი და ტლანქი ჩანდა. „ნამდვილი ზაქი ხარ“, — ეხუმრებოდნენ მას თანაკურსელები. ისეთი კაცის მსგავსი მოკლე კისერი ჰქონდა, რომელსაც უკან მიხედვა არ უყვარს, თუმცა ეს ხელს მხოლოდ მაშინ უშლიდა, როდესაც მანქანა უკუსვლით მიჰყავდა.

— გთხოვთ შემობრძანდეთ! — თავაზიანად მიიწვია იგი ოფიციანტმა.

ახალგაზრდა საბანკეტოდ გაწყობილ მაგიდას მიუჯდა. სუფრაზე ელაგა მსუბუქ ტონებში მოხატული ბრწყინვალე ჭურჭელი. ყველგან სურნელოვანი მიხაკები ყელყელაობდნენ ახალგაზრდამ საათს დახედა—რვას სამი წუთი აკლდა. სიზუსტე ჩვენ-

თვის კანონი იყო და ახლა თავს ცოტა უხერხულად გრძნობდა, ვერ გაეგო, ვინ დაარღვია ეტიკეტი — მან თუ დანარჩენებმა.

ვახშამი რვა საათზე იყო დანიშნული, მაგრამ, მისი აზრით, ზრდილობა მოითხოვდა ხუთი წუთით მაინც ადრე მისვლას. ზუსტად რვა საათზე კი ყველანი მაგიდასთან უნდა მსხდარიყვნენ, როგორც საგამოცდო კომისიის წინ.

ვახშამი ოფიციალური არ ყოფილა, უფრო მეგობრული იყო — კურსების მსმენელებმა წილნაგროვად გამოსაშვები საღამო გამართეს. რა თქმა უნდა, პოლკოვნიკი დერმენჯიევიც მიიწვიეს თავისი მოადგილითურთ. გამოსაშვები კურსანტები პერიფერიაში გამგზავრების წინ თავისი ყოფილი უფროსის პატივსაცემად მართავდნენ ვახშამს. და, რასაკვირველია, საკუთარი თავის პატივსაცემადაც, ვინაიდან ხანგრძლივი ერთად სწავლის შემდეგ შორდებოდნენ ერთმანეთს შესაძლოა სამარადჟამოდაც. საჭირო იყო ასეთი მოვლენის ღირსეულად აღნიშვნა, თუმცა მათ წრეში სპირტიან სასმელებს ბოროტად არავინ იყენებდა.

ზუსტად რვა საათზე დარბაზში მართლაც გამოჩნდა დაახლოებით ათი ძალზე მხიარული ახალგაზრდა, გეგონებოდათ უკვე მოუსწრიათ და დაულევიათო. მათი უმრავლესობა წოდებით ლეიტენანტი იყო. სამოქალაქო ტანსაცმელი არც თუ ისე კარგად ადგათ, ისინი მექანიზატორებს ან მეამწეებს უფრო ჰგავდნენ. სამაგიეროდ ყველანი ჩინებულ გუნებაგანწყობაზე იყვნენ.

— გამარჯობა, ხრისტო...

— შენ ისევ პირველი ხარ. ძმაო, ესეც სასწავლო მოედანი ხომ არ გგონია.

— დავნაძლევდეთ, რომ მას კბილის ჯაგრისიც ექნება თან წამოღებული! — სიცილით თქვა ვიღაცამ.

კაპიტანი დიმოვი მათ მოწყალედ უსმენდა. მართლაც, ნახევარი დღითაც რომ წასულიყო სადმე, კბილის ჯაგრისიც ყოველთვის თან მიჰქონდა. მაგრამ სამაგიეროდ პირველი იყო კურსზე და კაპიტნის წოდებაც ვადაზე ადრე შიიღო სისხლის სამართლის დანაშაულის გახსნაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის. ეს იყო სიტყვაძვირი კაცი, გარეგნულად არამეგობრული, მაგრამ კურსზე ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ოქროს გული

ჰქონდა, იმ გამონაკლის შემთხვევებშიც კი, როდესაც გულმოსული გახლდათ. ლეიტენანტი რადევი, რომელიც შეკრებილთა შორის ჩაცმა-დახურვით და კოპწიობით გამოირჩეოდა, დიმოვს ისეთი ცნობისმოყვარეობით უყურებდა, თითქოს შუბლზე რაღაც ასატიაო.

— ხრისტო, მართლა ნ-ში გაგზავნიან?

— დიახ, ასეა, — უხალისოდ უპასუხა კაპიტანმა.

— მერე თანახმა ხარ?

— ჩვენ ვინ გვკითხავს? — ახლა უკვე ოდნავ ჯავრიანად წარმოსთქვა კაპიტანმა.

— ჩვეულებრივ გვეკითხებიან.

— გვეკითხებიან ფორმალურად... მაგრამ ფაქტიურად ეს ბრძანებაა.

ვინც ეს ახალი ამბავი პირველად გაიგონა, გაოცებულნი დარჩნენ. საუკეთესო კურსანტებისათვის ეს სასჯელი უფრო იყო, ვიდრე ჯილდო. ყველას ეგონა, რომ ისეთი გამოცდილი სპეციალისტი, როგორიც დიმოვი იყო, სამუშაოდ სოფიაში დარჩებოდა, მას კი თურმე სამუშაოდ ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე პატარა ქალაქში აგზავნიან.

— სოფიიდან მაინცდამაინც შორს არაა, — თქვა ვიღაცამ. ამასთან მყუდრო ქალაქია. ასე რომ, ბევრი საქმე არ იქნება.

დანარჩენებმა მას კუშტად გადახედეს — ასეთ აზრს შეეძლო უფრო გაეხელებინა კაპიტანი.

— მისმინე, რატომ არ ეუბნები პოლკოვნიკს? წამოიძახა რადევმა. — ეს ხომ უსამართლობაა.

— დარწმუნებული ვარ, რომ მან იცის...

— შესაძლოა, არც იცის. ასეა თუ ისე, შენ უნდა უთხრა მას.

კაპიტანი დიმოვი შეიჭმუხნა.

— უხერხულია, — წაილუღლუღა მან.

— მე წამოვიწყებ საუბარს! — უთხრა ლეიტენანტმა. — ოღონდ ენა მუცელში არ ჩაგივარდეს.

დიმოვმა მხრები აიჩეჩა. ეტყობოდა ნაწყენი იყო, მაგრამ არ სურდა ამის თაობაზე ყველას თანდასწრებით ესაუბრა. და მაინც მოგვიანებით ეს საუბარი შედგა. სწორედ იმ დროს, როდესაც ჩახრაკული, მსუქანი, ძარღვიანი და მარილიანი ხორ-

ცის ჭამით იტანჯებოდნენ, ისე კი ერთი კერძი ეყოფოდა ყველას, მაგრამ პოლკოვნიკი დერმენჯიევი არ შეუშინდა ასე დიდ ულუფას — დინჯად ღეჭავდა და მარტო მან შეჭამა ბოლომდე. მხოლოდ ამის შემდეგ ჩაიდუდუნა წყნარად.

— ცოტა დაუმლაშებიათ...

სუფრასთან მსხდომთ თავშეკავებულად და თავაზიანად გაიცინეს. მაგრამ მაიორმა პენელოვმა, ყველაზე უფროსმა კურსზე, მოულოდნელად წამოიძახა:

— მაინც ვინ უბრძანა ჩახრაკვა? პასტირმა წვრილად დაჭრილი და უმი უნდა იყოს.

პოლკოვნიკს სწორ შუბლზე რამდენიმე ნაოჭი გაუჩნდა — უკმაყოფილების უტყუარი ნიშანი.

— ძალზე შარიანი ხარ, — უთხრა მან. — პასტირმას არა უშავს.

— მე კი ვფიქრობ, ჩვენ შარიანები უნდა ვიყოთ! წყენით წაილუღლუღა მაიორმა. — ძალზე შარიანებიც კი. ამას გვავალდებულებს სამსახური.

— დარწმუნებული ხარ? მე კი მგონია, ვისაც საჭმელზეც შარის მოდება უყვარს, რიგიანად ვერ იმსახურებს.

პასუხმა მიზანს მიაღწია, მაიორმა მხოლოდ თვალები აახამხამა.

— ჰო მართლა, შენ სად გაგზავნიან?

— ომურტაგში, ამხანაგო პოლკოვნიკო.

— აი ეს სწორია, — ცოტა გესლიანად თქვა პოლკოვნიკმა. — იქ ბლომადაა საზოგადოებრივი კვების საფირმო საწარმოები.

მე პრინციპში ვამბობ, ამხანაგო პოლკოვნიკო, — წაიბურტყუნა მაიორმა.

— ეს ქმე იმაში გახლავთ, ყველა პრინციპს თავისი საფუძველი აქვს. ყოველი ადამიანი თავის საფერ პრინციპს ირჩევს.

ლეიტენანტი რადევი მიხვდა, ჩარევის დრო დადგა.

— სავსებით გეთანხმებით, ამხანაგო პოლკოვნიკო. უკეთესია, საერთოდ არ იყოს პრინციპები ცარიელ ადგილას... როგორც ეს, სამწუხაროდ, ხშირად ხდება ხოლმე.

რადევი გაჩუმდა და დაელოდა, თუ რას იტყოდა მისი ყოფილი უფროსი. ეს უკანასკნელი ანკესზე წამოეგო:

— რისი თქმა გინდა?

რადევი თითქოს შეყოყმანდა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც ის, — თუ როგორ უნდა ხდებოდეს პრინციპში განაწილება — კანდიდატის საქმიანი თვისებებისა და სწავლაში მისი წარმატებების მიხედვით. მგონი ასე გვეუბნებოდნენ ორი წლის წინათ, როდესაც ვიწყებდით...

— დიახ, ასეა.

— ეს თქვენ გვეუბნებოდით ასე! — ხაზი გაუსვა ლეიტენანტმა. — მაგრამ სინამდვილეში სხვანაირად გამოვიდა. აი მაგალითიც. რატომ აგზავნიან კაპიტან დიმოვს რომელიღაც პატარა მიყრუებულ ქალაქში? ის ხომ პირველია კურსზე!... ვერ ვხედავ აქ პრინციპს!

ახლა პოლკოვნიკმა აახამხამა თვალები.

— შენ რა, მისი ადვოკატი ხარ? — ჰკითხა მან ბოლოს.

— რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ მაგალითი მოგიყვანეთ.

— მაგალითი მომიყვანა, დიდი ეშმაკი ხარ!... შენ რა, დიმოვ, ჩივი?

კაპიტანმა მაშინვე არ უპასუხა, მაგრამ ყველამ იგრძნო, რომ ერთიანად აიწურა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, მე კმაყოფილი ვარ თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მნიშვნელოვანია სხვა რამ, იმ ადგილზე ვივარგებ, თუ ვერ ვივარგებ?

პოლკოვნიკმა მხოლოდ ახლა შეხედა მას თავისი ღიღილოსაცით ნათელი თვალებით.

— შენ თვითონ როგორ უპასუხებ ამ შეკითხვაზე?

— უარყოფითად! ცოტა გაჯავრებით მიუგო დიმოვმა. — თქვენ ხომ იცით, რომ მე ვარ ქურდობისა და ძარცვის საქმის სპეციალისტი, ზედ მკვლელობაც რომ ერთვის. ამგვარი რამ კი ასეთ პატარა ქალაქში შეიძლება წელიწადში ერთხელ მოხდეს.

— შენ რა? — გულწრფელად გაუკვირდა პოლკოვნიკს. გინდა სპეციალურად შენთვის გავზარდოთ დანაშაულობათა რიცხვი? მე კი ვფიქრობდი, ყველაზე იდეალური იქნებოდა ჩვენ რომ მთლად უმუშევრად დავრჩენილიყავით.

დიმოვი ოდნავ გაწითლდა.

— ეს რომ შესაძლებელი იყოს! მაგრამ თქვენ ჩემზე კარ-

გად მოგეხსენებათ, ამხანაგო პოლკოვნიკო, რომ ამაზე ჯერჯერობით ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ხოლო ყოველი ჩვენგანი იქ უნდა იყოს, სადაც მისი ადგილია.

პოლკოვნიკმა გულიანად მოიფხანა გაპარსული თავი.

— მისმინე, დიმოვ, თუ გინდა შენი სახელით მოველაპარაკები უფროსობას.

კაპიტანს გაეცინა.

— ჩემი სახელით რატომ?

— იმიტომ, რომ პირადად მე არ გეთანხმები, — უპასუხა პოლკოვნიკმა. — გეტყვი იმას, რაც შენ არ იცი. იქ უბნის უფროსია პოდპოლკოვნიკი დოიჩინოვი, ის მალე პენსიაზე გადის. ასე რომ, უახლოეს დროში შენ მას შეცვლი. იქ გამოცდილი კაცი სჭირდებათ. შენს ასაკში უბნის უფროსობა განა ურიგოა?

კაპიტანმა გაჯავრებით გვერდზე მისწია მსუქანი პასტირმა.

—მე სულაც არ ვილტვი თანამდებობისაკენ, ამხანაგო პოლკოვნიკო. კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, სამუშაო მაინტერესებს. თანაც ისეთი, რომელიც ვიცი და შევძლებ შესრულებას. ამასთან მე ქალაქელი ვარ, ბანიშორში გავიზარდე. სოფელში კი მხოლოდ ერთხელ ვიყავი, ბავშვობისას, დაბომბვების დროს. ცხოვრებაში პირველად იქ ვნახე ნამდვილი თხა. მას ისეთი ნდობით ვეპყრობოდი, რომ ორი ნეკნი ჩამიმტვრია. ნუ იცინით, მართალს გეუბნებით. ამჯერადაც ჩემი რაიონი უმთავრესად სოფლურია, მე კი არ ვიცნობ მათს ცხოვრებას და არ მჯერა, რომ სოფელში შეიძლება მოხდეს ჩემთვის საინტერესო რამ.

— აი სწორედ აქ სცდები! — როგორღაც მოულოდნელად შეაწყვეტინა მას პოლკოვნიკმა. — ზოგჯერ სოფელში ხდება ძალიან რთული და საიდუმლოებით მოცული დანაშაულობანი.

— დიახ მსმენია... ცოტაოდენი ბანგი ჩაიში... ანდა უფრო ხშირად ფიწალი მუცელში... ერთი სიტყვით დამხმარე საშუალებებით.

— ასე იყო ოდესღაც... ამჟამად ხალხიც და ცხოვრებაც სხვანაირია. შემიძლია რამდენიმე გასაოცარი შემთხვევა გიამბო. ასეთი ეშმაკობა და გამჭრიახობა შენს სოფლელ ჯიბგირებსაც არ ძალუძთ.

საუბარი თანდათან მინელდა. ლეიტენანტი რადევი უკმაყო-

ფილოდ სდუმდა — ნათელი იყო, მისი ოთახიდან არაფერი გამოვიდა — ირგვლივ მყოფნი აღარ უსმენდნენ, სხვა საქმით იყვნენ გართული. ვინ ვაშლს ფცქვნიდა აუჩქარებლად, ვინ კიდევ ღვინოს ასხამდა სასმისებში. ყველაზე საზრიანები გაფცქვნილ ვაშლს ღვინოში აგდებდნენ. სწორედ ამ დროს საუბარში ჩაერია წყნარი და ოდნავ ფლეგმატური კურსანტი, უფროსი ლეიტენანტი შოპოვი, რომელსაც აქამდე ვერც კი ამჩნევდნენ.

— ამხანაგი პოლკოვნიკი სავსებით სწორია, —გაუბედავად თქვა მან. — ზოგჯერ სოფლად ხდება განსაცვიფრებელი სისხლის სამართლის დანაშაულობანი, უფრო საინტერესო რომანებშიაც კი არ წამიკითხავს. გნებავთ ერთ ამბავს მოგიყვებით?

თავიდან არავინ დაუჭირა მხარი. ასე გვიან სასაცილო ანეკდოტის მოსმენა უფრო სურდათ, ვიდრე გაუთავებელი კოშმარული ისტორიისა. თანაც არ სჯეროდათ, შოპოვს რაიმე საინტერესოს მოყოლა თუ ძალუძდა.

— მიდი, შოპოვ — მოწყალედ დაეთანხმა პოლკოვნიკი.

აქ კი შოპოვი უცებ შეცბა და ენა დაება. ქალიშვილივით ნაზი სახე ისეთი უმწეო გაუხდა, უმალვე რამდენიმე კაცი წამოეშველა.

— მოყევი, მოყევი! — მხარი დაუჭირეს მას.

— რასაც ახლა მოისმენთ, პირადად მე შემემთხვა! — ტანჯვით აღმოხდა შოპოვს. — ორმოცდარვა წელია, მაშინ შვიდი რვა წლის ბიჭუნა ვიყავი. ერთხელ ღამით — ის-ის იყო დაძინებას ვაპირებდით — მოულოდნელად ვიღაცამ კარზე დააკაკუნა და მამაჩემს სახელით დაუძახა. მან პიჯაკი წამოისხა და გავიდა... გავიდა და აღარ დაბრუნებულა... არც ავი ისმის, არც კარგი, თითქოს მიწამ უყო პირი.

შეძრწუნებულმა კურსანტებმა ერთმანეთს გადახედეს. ისინი პირველად ისმენდნენ ამ ისტორიას. და დაუჯერებლად მოეჩვენათ.

— უფრო დაწვრილებით მოგვიყევი. — უთხრა დაინტერესებულმა პოლკოვნიკმა.

— ყველაფერი ეს მოხდა, — დაიწყო შოპოვმა, — დაახლოებით ათ საათზე — არც ძალიან ადრე, არც ძალიან გვიან. ოთახში მხოლოდ სამნი ვიყავით — მე, დედა და მამა. როდესაც მამას დაუძახეს, არავინ აღელვებულა, კარგად მახსოვს. მაშინ კო-

ლექტივიზაცია ხდებოდა და მამაჩემი პარტიული ბიუროს წევრი იყო. ასე რომ, მას ღამღამობით ხშირად იძახებდნენ, ყოველ დროს...

— სახელით დაუძახეს? — შეეკითხა დიმოვი.

— დიახ, კნინობითი სახელით... მამას ანტონი ერქვა, მათ კი „დონჩოო“ დაუძახეს. სწორედ ასე გავიგონეთ: „დონჩო! დონჩო!..“ ბავშვი ვიყავი და ვერ გავიგე ნაცნობი ხმა იყო ეს თუ უცნობი. მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში ისეთი გრძნობა დამრჩა, რომ ხმა ნაცნობი იყო.

— დედაშენი ხომ აღარ იყო ბავშვი, — უთხრა დიმოვმა.

უფროსმა ლეიტენანტმა ყურადღებით შეხედა მას.

— ისიც ამბობდა, ხმა მეცნოო. მაგრამ მაშინ ყურადღება არ მიუქცევია. ისედაც ბრაზობდა, მამას ღამღამობით რომ იძახებდნენ. ამიტომაც ვერ გაარჩია, ვისი ხმა იყო ეს. მამისაგან არაფერი დარჩენილა, მისი ქუდიც კი ვერ იპოვეს. ასეა დღემდე!

— პირველად მესმის ეს ისტორია, — ჩაილაპარაკა საგონებელში ჩავარდნილმა პოლკოვნიკმა.

— ავტობიოგრაფიაში მიწერია, — უპასუხა ლეიტენანტმა.

ერთი პირობა სიჩუმე ჩამოვარდა. პოლკოვნიკმა ისევ დიმოვს შეხედა.

— აბა, რას იტყვი? — ჰკითხა მან ოდნავ შესამჩნევი ირონიით. ამ ამბავმა მართლაც მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე.

— არაფერია, — თქვა კაპიტანმა. — ოღონდ მითხარით, თქვენი დედა შემდეგ გათხოვდა?

შოპოვი შეიჭმუხნა.

— არა, ამხანაგო კაპიტანო, ტყუილუბრალოდ გაივლეთ ეს გულში... დედაჩემი მეორედ მხოლოდ ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ გათხოვდა. თანაც სხვა სოფლელ კაცს გაჰყვა.

— მაგრამ მაინც, — წაილუღლუღა კაპიტანმა, — თქვენს ადგილას რომ ვიყო, ამ საქმეს ასე არ დავტოვებდი...

შოპოვმა არ უპასუხა. მის გამოხედვაში კაპიტანმა საშინელი დაღლილობა შენიშნა, რომელიც მკვეთრ კონტრასტში იყო მის ვაჟკაცურ, წელში გამართულ ტანადობასთან. დიმოვს ენის წვერზე ეკერა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კითხვა, მაგრამ იცოდა, რომ ამ კითხვის მიცემა აქ უადგილო იქნებოდა. საუბარი

თავისთავად მინელდა და საჭირო აღარ იყო ზისი ვაგრძელება. ამასთანავე მაიორმა პენელოვმა, რომელიც მის პირდაპირ იჯდა, მრავალმნიშვნელოვნად ჩაუკრა თვალი. და, რაღა თქმა უნდა, მაწ გადაავიწყდა გამოსათხოვარი სადღეგრძელო. კურსანტებმა ერთმანეთს გადახედეს და სასმისები შეავსეს, მაიორმა პენელოვმა დანით თეფშზე დააკაკუნა.

— სიტყვა ეძლევა ლეიტენანტ რადევს!

ლეიტენანტი მკვირცხლად წამოხტა ადგილიდან, თითქოს წინასწარ ელოდა გამოწვევასო. სინამდვილეში ეს ასეც იყო.

რადევი დიდხანს და ჭკვიანურად ლაპარაკობდა და მხოლოდ ორ ადგილას დაება ენა, რაც თავისთავად დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს.

პოლკოვნიკი ყურადღებით უსმენდა, თითქოს ინსტრუქტაჟზეაო სამინისტროში. დიმოვს ეგონა, პოლკოვნიკი საცაა ამოიღებს ნაცნობ უბის წიგნაკს ყველაზე ძვირფასი აზრების ჩასაწერადო. ბოლოს რადევმა დაამთავრა და მაღლა ასწია სახელგანთქმული „სავანეს შუშხუნით“ (ასე ერქვა ამ ჯიშის ღვინოს) სავსე ბოკალი. გაისმა ტაში, აწკარუნდა ბოკლები. პოლკოვნიკი წამოდგა.

— გმადლობთ ბიჭებო! — უბრალოდ თქვა მან. — მე ერთი ვარ, თქვენ კი მრავალი, მაგრამ მაინც თქვენ დამივიწყებთ და არა მე. თქვენ სამუშაო გაგიტაცებთ, ჩემი სამუშაო კი — თქვენა ხართ და ისინი, ვინც თქვენს შემდეგ მოვლენ. მოხარული ვარ, რომ ჩვენთან ყველაფერი რიგზე იყო და ერთმანეთს ვერაფერში დავემდურებით. შესაძლოა, გამონაკლისს მხოლოდ კაპიტანი დიმოვი წარმოადგენს.

— არ წარმოადგენს, — წამოიძახა ოდნავ წამოწითლებულმა კაპიტანმა.

— აი რას გეტყვი, ხმადაბლა გააგრძელა პოლკოვნიკმა, — ტყუილად სწუხარ... სიცოცხლე ხანგრძლივია, შენც მოგბეზრდება სისხლი. ვფიქრობ, ახლა სხვა რამ უნდა გაღელვებდეს. შენ მიემგზავრები სრულიად უცხო ადგილას, პატარა ქალაქში, სადაც ადამიანებმა ერთმანეთის ყველა ასავალ-დასავალი იციან. ცოლი უნდა შეირთო, ჩემო ბიჭიკო, თორემ ძლიერ მოიწყენ.

ის დაჯდა. კვლავ გაისმა ტაში. სუფრასთან მსხდომნი გამხიარულდნენ.

— მართალი ვარ? — მიმართა პოლკოვნიკმა დიმოვს.

— რა თქმა უნდა, მართალი ხარ, — ხუმრობით უპასუხა კაპიტანმა. — მაგრამ მე მგონია, ქალებს მაინცდამაინც არ მოვწონვარ.

მართალია, საქმე მთლად ასე არ იყო, მაგრამ პოლკოვნიკმა დაუჯერა.

— მოეწონები! — დარწმუნებით უთხრა მან, — იქ შენ ათი საცოლე მაინც გელოდება.

ჩვეულებისამებრ „ჰეი, ბალკანეთო, ჩვენო მშობლიურო" — იმღერეს და ამით პროგრამის სავალდებულო ნაწილი დამთავრდა. დაშლა შეიძლებოდა. პირველი პოლკოვნიკი წამოდგა, მერე სხვებიც აიშალნენ. მოწმენდილი და თბილი ღამე იყო, ბადრი მთვარე ხეთა ვერცხლისფერი კენწეროების თავზე ეკიდა. კაპიტანმა დიმოვმა ხალხში ნაცნობი ზურგი დალანდა და მხედველობიდან აღარ უშვებდა. უკანასკნელი ხელის ჩამორთმევები, სურვილები, მერე მანქანამ პოლკოვნიკი წაიყვანა.

დიმოვი სწრაფი ნაბიჯით გაუყვა ქუჩას.

— ჩვენ ხომ ერთი გზა გვაქვს, შოპოვ? — შეეკითხა ის. — შინ მიდიხარ?

— შინ, — უპასუხა ლეიტენანტმა და თვალი შეავლო მას.

— ვფიქრობ, გამოთხოვებისას ურიგო არ იქნებოდა თითო სირჩა კონიაკი დაგველია.

— სმა არ შემიძლია, ამხანაგო კაპიტანო, — ცივად მიუგო შოპოვმა, — თანაც დილით მანქანის მართვა მომიწევს.

ეს გულღია საუბრის მომასწავებელი არ იყო. ერთი ხანობა ორივე ჩუმად მიდიოდა, მხოლოდ მათი ნაბიჯების ხმა არღვევდა მყუდროებას. დიმოვმა გადაწყვიტა დარტყმა მოულოდნელად მიეყენებინა.

— მომიტევე, შოპოვ, მაგრამ მე მგონია იცი, ვინ მოკლა მამაშენი.

— არა, არ ვიცი — კვლავ ცივად მიუგო უფროსმა ლეიტენანტმა.

— მაშინ მე ვიცი... ის შენმა ბიძამ მოკლა, შენმა დედის ძმამ, — მშვიდად, ცოტა აგზნებულადაც მიახალა კაპიტანმა.

შოპოვი ასეთ რამეს არ ელოდა. ადგილზე გაქვავდა და თავზარდაცემულმა შეხედა კაპიტანს.

— შენ საიდან იცი? — იღრიალა მან.

— მართლაც, საიდან უნდა ვიცოდე? — ისევ ისე წყნარად მიუგო კაპიტანმა. — ეს ისტორია პირველად მესმის, მაგრამ ასეთი დასკვნა თავისთავად გამომდინარეობს.

შოპოვი ფართოდ გახელილი თვალებით უყურებდა მას. მერე თავი შეიკავა და გზა განაგრძო.

— ასეთი რამ ჩემთვის არავის უთქვამს.

— ალბათ ზედმეტი თავაზიანობის გამო, — შეფარული ირონიით წარმოთქვა დიმოვმა. — მაგრამ შენ ეს ძალიან კარგად იცი.

— არა, ახლაც არ ვიცი! — რაღაცნაირად მკვახედ და ნერვულად უპასუხა შოპოვმა. — მაგრამ, გამოგიტყდები, მეც მიფიქრია, ასე ხომ არ იყო-მეთქი.

— ალბათ, იმ დროს ბიძაშენი დიდი კაცი იქნებოდა სოფელში?

შოპოვი შეკრთა.

— დიახ, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე... თუმცა არ ვიცი, როგორ უწოდებდნენ მაშინ მათ.

— ასეც ვფიქრობდი, — თავი დაუქნია კაპიტანმა, — ეს ბევრ რამეს ფარდას ხდის...

— მაინც რას?

— შენ ეს ჩემზე უკეთ იცი, შოპოვ... იმიტომ რომ ამაზე ათასგზის გიფიქრია. შენ არა ერთი და ორი დამამტკიცებელი საბუთი გაქვს. მაგრამ მოდი, თავიდან დავიწყოთ. არ შეიძლებოდა დედაშენს ხმა არ ეცნო. ეს გამორიცხულია. დარწმუნებულიც რომ არ ყოფილიყო, მაინც უნდა დაესახელებინა რომელიმე სახელი. ესაა მხოლოდ ბუნებრივი და ნორმალური. მაშ რატომ არ გასცა იგი? მე უკუვაგდე სხვა, სავსებით შესაძლებელი ვარაუდი, რომ ეს იყო ხმა კაცისა, რომელსაც მამაშენს ამჯობინებდა... მჯერა, რომ არ მოგიტყუებივარ.

— ნამდვილად არ მომიტყუებიხარ, — წყნარად უთხრა უფროსმა ლეიტენანტმა.

— მაშ რაღა რჩება? ის, რომ კაცი იყო ძალზე ახლობელი, ნათესავი... დავუშვათ, მისი მამა, ძმა... გლეხი ქალი ასე ადვილად არ ჩასვამს თავის ძმას ციხეში, თუნდაც დარწმუნებული გახლდეს, რომ ეს იყო მისი ხმა.

— მაგრამ რატომ მაინცდამაინც ძმა, ეგებ მამა იყო მისი? — მოულოდნელად შეეკითხა შოპოვი.

— არ ვიცი რატომ, — გულახდილად უპასუხა კაპიტანმა, — რასაკვირველია, შესაძლოა ისიც ყოფილიყო, მაგრამ ბუნებრივი უფრო მეორე მგონია. კოლექტივიზაციის დროს სამორიგეოდ, საზოგადოებრივი ადგილების დასაცავად ჩვეულებისამებრ უფრო ახალგაზრდა და ძლიერ მამაკაცებს აგზავნიდნენ. ესეც არ იყოს, ხანში შესულ კაცს არ ძალუძს გვამის გადათრევა და ისე დამალვა, რომ დღემდე ვერავითარი კვალი ვერ იპოვნეს. ერთი სიტყვით, მე წამოვაყენე ყველაზე შესაძლებელი ჰიპოთეზა და შენ თვითონ უნებლიეთ დაადასტურე.

— შენი ჰიპოთეზა კი არა, დიმოვ, არამედ ჩემი საკუთარი ეჭვები! — ნერვულად უპასუხა უფროსმა ლეიტენანტმა.

— ნუ ვდაობთ, — დაეთანხმა დიმოვი. მაგრამ საკითხი კვლავინდებურად ღიად რჩება: რატომ ჩაიდინა მან ეს? არ ვამბობ, რომ ქონების ანდა, ვთქვათ, ოჯახური მტრობის გამო. იმ დროს ქონება არაფერს ნიშნავდა, რამდენადაც მე მესმის, არც ცუდი ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ, რაკი მამაშენი ენდო ცოლის ძმას და სადღაც გაჰყვა. რჩება მესამე შესაძლებლობა — შენმა ბიძამ ბოროტად გამოიყენა ძალაუფლება. შესაძლოა საჭელმწიფო სახსრები მიითვისა, ანდა დიდი ქრთამი აიღო. მამაშენმა ეს იცოდა, მაგრამ სდუმდა. უთუოდ იგი პატიოსანი კაცი იყო, მაგრამ, ალბათ, მაშინ არავინ იყო ისეთი, ვისთვისაც შეიძლებოდა ამის თქმა. ან არ ჰქონდა საკმაო დამამტკიცებელი საბუთები. მე არ მჯერა, რომ შენი ბიძა თავად მიხვდა. შესაძლებელია მამამ დედას უამბო, მან კი მისი ნათქვამი ძმას გაუმჟღავნა.

— გაჩუმდი! თითქმის დაუყვირა შოპოვმა.

— ეს მხოლოდ და მხოლოდ ჰიპოთეზაა, — დაამთავრა დიმოვმა — ჰიპოთეზა ჰიპოთეზაა... მაგრამ ერთი რამ არ მესმის მთელ ამ ისტორიაში: რატომ არ ცდილობ მის შემოწმებას? ბოლოს და ბოლოს საქმე მამაშენს ეხება... მამაშენს!

შოპოვი ნელა და მძიმედ მიდიოდა, სახე ერთიანად მოღუშა.

— რასაკვირველია, ვცადე, — თქვა მან ბოლოს, — მაგრამ არაფერი გამოვიდა.

— სულ არაფერი.

— დიახ, არაფერი. ძიება სავსებით სწორად მიდიოდა, მაგრამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. დედამ გარედან დაახლოებით ოცამდე კაცის ხმა გაიგონა, მაგრამ ვერც ერთ მათგანში ვერ ამოიცნო ის, რომელმაც იმ ღამეს მამა გაიხმო. მთელი სოფელი და შემოგარენი გადათხარეს, მაგრამ ვერაფერი იპოვნეს.

— ყოფილი მდიდრები თუ დაკითხეს? ისინი, ვისაც ქრთამის მიცემა შეეძლო?

— რა თქმა უნდა, არა. ძიება არ ემყარებოდა ამგვარ ჰიპოთეზას. მაგრამ მე თვითონ დავკითხე ხალხი. ყველას, ვისაც კი რაიმეს თქმა შეეძლო, დუმდა. სიტყვა ვერ წამოვაცდენინე! ასე ჯიუტად მხოლოდ დაშინებული ხალხი დუმს.

— დიახ, ეს განზრახაა, — დაეთანხმა კაპიტანი.

— არსებობს რაღაც, რომლის დაძლევა მე არ ძალმიძს. თითქოს კედელს ვურტყამ თავს.

შოპოვი დადუმდა, მთელი მისი იერი იმას ლაპარაკობდა, რომ ეს საუბარი მისთვის არასასიამოვნო იყო.

— ყური მიგდე, როდის მიემგზავრები ნ-ში? — უხალისოდ შეეკითხა ის.

— ხვალ ვაპირებ...

— თუ გინდა, ჩემი „ზაპოროჟეცით“ წაგიყვან, გზა მეც იქეთ მაქვს, კიუსტენდილში მივდივარ.

— კარგი, — მოკლედ მოუჭრა დიმოვმა.

ისინი ქუჩის კუთხეში დასცილდნენ ერთმანეთს, კაპიტანი ტროლეიბუსის გაჩერებისაკენ წავიდა, თანაც დროულად — წითელი ხოჭო მრგვალი თვალების უსიცოცხლო ციმციმით ტლანქად გამობობდა მოსახვევიდან. დიმოვი უხალისოდ ჩაეშვა ჩაზნექილ სავარძელში, გვერდით მჯდომი მქავე ღვინისა და ღორის ქონის სუნით ყარდა. დიმოვი საღამოთი უკმაყოფილო იყო. მთელი წეღანდელი საუბარი სულელური და ზედმეტი ეჩვენა. იქნებ უკეთესი ყოფილიყო საერთოდ ხმა არ ამოეღო.

2

ისინი გზას განთიადისას გაუდგნენ. შოპოვმა ორი ჩემოდანი „ზაპოროჟეცის“ უკანა სავარძელზე დააწყო, პედალს ფეხი და-

აჭირა და პატარა მანქანა სწრაფად გააქროლა უკაცრიელ ქუჩებში.

— ესაა მთელი შენი ბარგი? — შეეკითხა შოპოვი.

— როგორ გითხრა, თუ წიგნებს არ ჩავთვლით...

— ალბათ აი ასე გავატარებთ მთელ ჩვენს ცხოვრებას, — შენიშნა უფროსმა ლეიტენანტმა. — რამდენიმე ჩემოდნით...

მაგრამ მისი ტონის მიხედვით არ იგრძნობოდა, რომ ბედს უჩიოდა. მაინც ალბათ ასეთი ცხოვრება ბევრად უფრო ადვილი იქნება მისთვის, ვიდრე თავის უკარება და ცხვირპირჩამოშვებულ ბიძასთან ცხოვრება. გუშინდელი მძიმე საუბრის შემდეგ გუნება ახლა მოულოდნელად გამოეცვალა. ბოლოს და ბოლოს ყოველი უცნობი ადგილი — თავისებური ლატარიის ბილეთია! გამორიცხული არაა, რომ მათაც ერგოთ რაიმე.

მანქანა მალე გასცდა ქალაქს და სწრაფად მიჰქროდა ვალდაის დაბლობში. დილა აქ უფრო გრილი იყო, გზის ორივე მხარეს მკვეთრად აღმართულიყო მთათა, ჟანგიანი ფერდობები, ოქრთსფრად ბრწყინავდა ალვის ხეთა კენწეროები. მაგრამ როდესაც ისინი პერნიკის ქვაბურში დაეშვნენ, დღის საღებავები გახუნდა. ცა ტყვიასავით ნაცრისფერი გახდა და მასზე უღიმღამოდ ციმციმებდა მკრთალი ვარდისფერი მზე. „ზაპოროჟეცმა“ რამდენჯერმე გაჯავრებით დაიფრუტუნა, ხველა აუვარდა და აძაგძაგდა.

მალე გამოჩნდა პირველი მილები და კოშკურები, საიდანაც კვამლის მძიმე ბოლქვები ამოდიოდა.

— ეტყობა აქ მხოლოდ კვამლს აწარმოებენ, — თქვა კაპიტანმა, კუშტად რომ უყურებდა მილებს, — თორემ ასე ბევრი არ იქნებოდა.

— იქ, სადაც შენ მიდიხარ, გაცილებით უკეთესია, — უთხრა შოპოვმა, — ყოველ შემთხვევაში, ჰაერი მაინც კარგია. საერთოდ კი საშინელი მოწყენილობაა; სანამ შეეგუები, გაგიჭირდება...

— მაგრამ არც ისე იოლად ვკარგავ იმედს, — ხუმრობით მიუგო დიმოვმა. — ჩემი პაპა კუკუშიდანაა, მასზე ჯიუტს ვერსად შეხვდები.

მას რაღაც მოაგონდა და გაეღიმა, მერე განაგრძო:

— იგი ფუნთუშების გამყიდველი იყო. ფუნთუშებს ჩვენს

კვარტალში აცხობდა. ერთხელ, როდესაც საყიდლებზე ქალაქში მიდიოდა, საფულე მოპარეს. პაპა საფულეს ტყავის თასმით შარვალზე იბამდა, ისე რომ, გაოცებასა ვარ, როგორ მოპარეს. „ფეხს აღარ დავდგამ იქ!“ — თქვა პაპამ და სიკვდილამდე ქალაქში აღარ წასულა.

პერნიკში ისაუზმეს. კაპიტანი დიდად ნასიამოვნები დარჩა, როდესაც ავტოსადგომის მახლობლად იპოვნეს პატარა დუქანი, სადაც ფუნთუშები იყიდებოდა.

დიმოვი დუქანთან მივარდა, ექვსი ცალი ფუნთუშა იყიდა, მაგრამ მხოლოდ სამი შეჭამა.

— ეს რა ფუნთუშებია, — იმედგაცრუებით თქვა მან, — თავის მოჭრაა და მეტი არაფერი. — მერე ისევ პაპის ბიოგრაფიას დაუბრუნდა.

— ომის პირველსავე წლებში მან შეწყვიტა ფუნთუშების ცხობა, მხოლოდ იმიტომ, რომ თავი არ შეერცხვინა. კომისარიატში აშმორებულ ფქვილსა და დამძაღებულ ერბოს აძლევდნენ. მაშინ შავ ბაზარზე დაიწყეს პროდუქტების შესყიდვა. მაგრამ ისინი უმალვე დააჯარიმეს. „მეტს აღარ გამოვაცხობ! — თქვა პაპამ — ხელობას, რომელიც მამისაგან მივიღე მემკვიდრეობით, ვერ შევარცხვენ“. იგი დარდმა და ბოღმამ გაათავა და ომის დამთავრებას ვეღარ მოესწრო.

ნ-ში დაახლოებით ცხრა საათზე ჩავიდნენ. ქალაქი მართლაც გულღიად და სუფთად გამოიყურებოდა. თავს იწონებდნენ ახლად შეღებილი ორსართულიანი სახლები, ფანჯრის მინებს პრიალი გაუდიოდა. მაგრამ მაინც ერთგვარი პროვინციულობა და სიზარმაცე შეინიშნებოდა თითო-ოროლა გამვლელთა დინჯ მოძრაობაში. არავინ არსად არ მიიჩქაროდა, არაფრის გამო არავინ ტეხდა ხმაურს. დღის სინათლეზე ყველაფერი ხასხასა, მაგრამ ამავე დროს უხალისო ჩანდა. ამ შთაბეჭდილებას საერთო უკაცრიელობა და უმოძრაობა აძლიერებდა — ქუჩებში თითქმის არ იყო ხალხი, სულ არ იგრძნობოდა ქალაქისათვის ჩვეული რიტმი. მხოლოდ თეთრ პერანგიანმა და წითელყელსახვევიანმა პიონერების ჯგუფმა, რომელმაც მთავარი ქუჩა გადაკვეთა, ცოტათი გამოაცოცხლა იქაურობა. დიმოვმა იგრძნო, როგორ ეკუმშებოდა გული, კარგი განწყობილება, რომლითაც ზან ეს დღე დაიწყო, ნელ-ნელა ტოვებდა. დიახ, ეს ლატარიის

ბილეთი აშკარად არამომგებიანია, რადგანაც მოგებებს აქ საერთოდ არა აქვს ადგილი.

ისინი მილიციის უბნის წინ გაჩერდნენ. სანამ დიმოვს მანქანიდან ჩემოდნები გადმოჰქონდა, მილიციელი გამოჩნდა.

— რა გნებავთ, ამხანაგო?

— სამუშაოდ ჩამოვედი, — წაილუღლუღა დიმოვმა და ხელში პირადობის მოწმობა შეაჩეჩა.

— აი თურმე რაში ყოფილა საქმე, — გაეხარდა მილიციელს. — ჩვენ გელოდით!

— დიმოვმა გაკვირვებით შეხედა მას — ხუმრობს თუ რა ღმერთი უწყრება? მაგრამ მილიციელს სახეზე პატივისცემა და გულკეთილობა აღბეჭდვოდა, ასე რომ მისი სიტყვები პირდაპირ უნდა გაეგო სხვა აღარაფერი რჩებოდა. დიმოვი შეტრიალდა და „ზაპოროჟეცთან" მივიდა. შოპოვი ფიქრმორეული შეჰყურებდა მას.

— და მაინც შენ მართალი ხარ, — წყნარად უთხრა მან.

— რაში ვარ მართალი? ქალაქთან დაკავშირებით?

— არა, ჩემს საქმესთან დაკავშირებით...

ბოლომდე მიყვანაა საჭირო. სამართალმა პური უნდა ჭამოს... რადაც არ უნდა დაჯდეს.

— დიახ, რა თქმა უნდა, — დაეთანხმა დიმოვი, მაგრამ თავს ისე შემართებულად ვეღარ გრძნობდა, როგორც წინადღეს. — თუ დახმარება დაგჭირდა, შემატყობინე...

ისინი გულთბილად დაემშვიდობნენ ერთმანეთს, დიმოვს ფეხი არ მოუცვლია, სანამ ჭანქანა არ წავიდა. როდესაც შემობრუნდა, ჩემოდნები აღარ იყო. წამით შეცბა, მაგრამ მერე მიხვდა: ალბათ მილიციელმა შეიტანა შიგნით. მაინც ამან, ცოტა არ იყოს, შეაწუხა. ორიენტაციის აღება ძნელი არ იყო — პირველ სართულზე მაშინვე თვალში ეცა ფირფიტა: „უფროსი". დააკაკუნა და შევიდა. კაბინეტი ძალზე დიდი მოეჩვენა, როგორც დილის მზით კარგად გამთბარი ბეღელი. ზღურბლიდანვე დაინახა შუა ოთახში დამწკრივებული თავისი ჩემოდნები. ოთახის სიღრმეში ფართო საწერ მაგიდას უჯდა ხმელხმელი კაცი, რომელსაც პირისახე სოფლის გულკეთილ მასწავლებელს მიუგავდა. თავის ახალ, კარგად მორგებულ ფორმაში, ის სულ არ ჰგავდა საპენსიო კაცს.

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო! — ხმამაღლა და გარკვევით დაიწყო კაპიტანმა.

პოდპოლკოვნიკი აშკარა კმაყოფილებით შეჰყურებდა მას.

— რა დროზე ჩამოხვედით! — ჩაილაპარაკა მან.

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო...

— ჯერ დაჯექი! — სულწასულად თქვა დოიჩინოვმა.

— საქმე იმაშია, — გაიღიმა დიმოვმა, — რომ ჯერაც არ წარვმდგარვარ თქვენს წინაშე.

— ჰო, მიდი, მიდი! — ჩაიქნია ხელი დოიჩინოვმა.

მან რაპორტი მოისმინა. სანამ რაპორტს ისმენდა, თვალი არ მოუშორებია კაპიტნის სახისათვის, მერე კი უთხრა.

— დაჯექი და ყური მომაპყარ. ერთობ სერიოზული საქმე გელოდება.

— რა საქმე? — გაკვირვებით შეეკითხა დიმოვი.

— ახლავე გაიგებ.

დიმოვმა მაშინღა შენიშნა, რომ ოთახში მესამე კაციც იყო. ის იჯდა, მაგრამ მაინც ძალზე მაღალი ჩანდა — ალბათ მეტრსა და ოთხმოცდაათ სანტიმეტრზე მეტი იქნებოდა. საჭურისივით ქოსა იყო, მოგრძო დანაოჭებულ სახეზე ბალნის ნასახი არ ჰქონდა. უხეში შალის შარვალი და შავი სვიტრი ეცვა; ზემოდან კიდევ კოსტიუმი და წყალგაუმტარი ქურთუკი. მოკლე მეჩხერი და ბუძგურა თმა ჰარმონიულად ეხამებოდა მიამიტურად გაოცებულ თვალებს.

— ბედი არ გინდა, მაინცდამაინც მე შემემთხვა, — ღირსება შელახულივით დაიწყო მან.

— მოიცა! — სულწასულად შეაწყვეტინა დოიჩინოვმა. — ეს უფროსი ლეიტენანტი პარგოვია; აქამდე მას ეკავა შენი თანამდებობა.

„მოუთმენლად ელოდა, რომ შეეცვალათ“, — გაიფიქრა დიმოვმა და ჩუმად ჩამოართვა ხელი.

მაგრამ უფროსი ლეიტენანტი პარგოვი ისეთი ნათელი თვალებით უყურებდა, რომ დიმოვმა მაშინვე მოინანია უკეთური გაფიქრება.

— ახლა კი შეგიძლია დაიწყო, — ნება დართო დოიჩინოვმა.

— ეს დღეს დილით მოხდა, — ხმადაბლა დაიწყო პარგოვმა. — ვოინიკოვოდან ვბრუნდებოდი.

— გთხოვთ, — შეაწყვეტინა კაპიტანმა, — თუ შეიძლება ცოტა უფრო დაწვრილებით? სად იყავით, რას აკეთებდით.

პარგოვმა უკმაყოფილოდ შეხედა მას.

— განა ამას მნიშვნელობა აქვს, სად ვიყავი?..

— კიბოების დასაჭერად ვიყავი... ამ დილით სამ საათზე ავდექი, ავიღე ჩოგანბადეები და მდინარისაკენ გავწიე. საკუთარი მოტოველოსიპედით წავედი, სასამსახუროთი არ წავსულვარ, თუ თქვენ ესეც გაინტერესებთ, ამხანაგო კაპიტანო...

— მეწვრილმანე არ გახლავარ, — აგდებულად უპასუხა დიმოვმა.

— მით უკეთესი. ადგილი, სადაც მე ვიყავი, ვოინიკოვოსაკენ მიმავალ გზატკეცილზეა, აქედან თექვსმეტ კილომეტრზე. იქ მარჯვნივ გადავუხვიე დაახლოებით ორას მეტრზე. მდინარე იმ ადგილას ნელა მიედინება, ნაპირები ჭაობიანია, ლერწმის რაყით დაფარული... კიდევ ხომ არ გნებავთ რაიმე წვრილმანი, ამხანაგო კაპიტანო?

— ჭინჭყლი ყოფილა! — თავისთვის ჩაიბურტყუნა კაპიტანმა. — ხილვადობა გზატკეცილის მხრიდან როგორია?

— თითქმის არაფერი მოჩანს... მანქანა თუ გაივლის, მხოლოდ ფარების სინათლეს დაინახავთ. ჰოდა, დავდგი ოთხი ხაფანგი, შვიდს თხუთმეტი წუთი აკლდა, იქიდან რომ წამოვედი. კილომეტრიც არ მქონდა გამოვლილი, რომ რაღაცამ მაიძულა გავჩერებულიყავი...

— მაინც რამ?

— მომეჩვენა, რომ ასფალტზე სისხლის ლაქა დავინახე. გავიფიქრე: წავიდე თუ გავჩერდე-მეთქი? მაგრამ ბოლოს და ბოლოს დავბრუნდი. და მართლაც, ვნახე შემხმარი სისხლის პატარა ლაქა. ერთი შეხედვით შეიძლება გეფიქრა, რომ არაფერი განსაკუთრებული აქ არ მომხდარა — უბრალოდ ვიღაც წაიქცა და ცხვირი გაიტეხა. მაგრამ მაინც გადავწყვიტე იქაურობა მომეთვალიერებინა. ლაქიდან ორ მეტრზე მოკლულ კაცს წავაწყდი.

— ჰო-ო, ეს უკვე რაღაცაა! — ინტერესით წაილუღლუღა კაპიტანმა.

— კიუვეტი იმ ადგილას საკმაოდ ღრმაა — განაგრძობდა პარგოვი — გზიდან თუ გავხედავთ, არაფერი არ ჩანს. გარდა

ამისა, გვამი ტოტებით და ბალახითაა დაფარული. მოკლული რკინიგზელის საკმაოდ გაცვეთილ ფორმაში იყო, უქუდოდ. ტანსაცმლის მიხედვით ღარიბი კაცია. მომეჩვენა, რომ ამ კაცს ვიცნობ, მაგრამ იმ მომენტში ვერ გავიხსენე, ვინ იყო. ზურგზე იწვა. ჭრილობა თავში ჰქონდა, ეტყობა რაღაც მძიმე საგანი ჩაარტყეს. ჭრილობები ჰქონდა მუცელშიც. ოფიციალურ დათვალიერებამდე არ მინდოდა გვამისათვის ხელის ხლება, მაგრამ როგორც მე განვსაჯე, ეს კაცი კარგა ხნის მოკლული იყო, შესაძლოა ღამით ან უფრო ადრე...

— დაამთავრე? — შეეკითხა კაპიტანი.

— მგონი კი... დაველოდე, ვიდრე ვოინიკოვოდან ტრაქტორისტი გამოივლიდა, ჩვენი ბიჭია, ნაცნობი. მე იგი პოსტზე დავტოვე, ადგილი ქვებით შემოვღობე და ეუბრძანე, არავინ მიეშვა. ტრაქტორისტმა, როგორც კი მოკლული ნახა, მაშინვე იცნო იგი — ევტიმ დიბევი ვოინიკოვოდან, რკინიგზელი, მუშაობდა პერნიკში... ჩუმი, უპრეტენზიო კაცი, ამხანაგო კაპიტანო. და, როგორც უკვე ვთქვი, ღარიბი... უბრალოდ მიკვირს, ვის უნდა მოეკლა იგი...

დიმოვმა ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და ნებადაურთველად გააბოლა. ეტყობოდა ღრმა ფიქრში იყო წასული, მაგრამ მოულოდნელად შეეკითხა:

— მაინც რამდენი კიბორჩხალა დაიჭირეთ?

პარგოვმა გაკვირვებით შეხედა.

— არ ვიცი, არ დამითვლია...

— შეუძლებელია, შენ რომ არ დაგეთვალა, — მოულოდნელად „შენობით“ ლაპარაკზე გადავიდა დიმოვი.

— ორმოცზე ცოტა მეტი, — დარცხვენით ჩაიდუდღუნა ბარგოვმა.

— აჰა, ესე იგი დაგითვლია, — თავი დაიქნია დიმოვმა და გაიღიმა.

— რა მნიშვნელობა აქვს ახლა კიბორჩხალებს? — უკმაყოფილოდ შეეკითხა დოიჩინოვი. კაცი მოკლეს, მან კი კიბორჩხალები...

— მიყვარს, როცა სწორად მპასუხობენ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — სერიოზულად უპასუხა დიმოვმა. — მეორეხარისხოვან კითხვებზეც კი... ეს კი სულაც არაა მეორეხარისხოვანი...

— ობა, მაშინ მეც შევეკითხები: როდის შევჭამთ კიბორჩხალებს?

— აი რისი გაგება მინდა, — მშვიდად განაგრძობდა დიმოვი. — თუ მეთევზეებისათვის ადგილი ცნობილია, საქმე რთულდება. მკვლელი მრავალ ადამიანთა შორის უნდა ვეძიოთ.

— არა, ადგილი უცნობია, უცხოები იქ არ დადიან... — თქვა პარგოვმა. — თანაც მეთევზეები ისეთი ხალხი არაა, ამხანაგო კაპიტანო, — მათ შორის ბანდიტები არ არიან.

— უკანასკნელ დროს თქვენთან მსგავსი რამ თუ მომხდარა?

პარგოვმა პოდპოლკოვნიკს გადახედა, ორივე ჩაფიქრდა.

— გვქონდა ერთი ასეთი შემთხვევა რვა წლის წინათ, ამხანაგო კაპიტანო, — პირველმა თქვა პარგოვმა. — მაშინ კაცის გვამი მინდორში ვიპოვეთ, გულეშთან ახლოს... ის ცულის დარტყმით იყო მოკლული. მაგრამ მკვლელს მალე მივაგენით, საქმე იოლი აღმოჩნდა — მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე მოხდა. მას მერე არაფერი მომხდარა... რასაკვირველია, მკვლელობები იყო, მაგრამ ყველას თვალწინ, უფრო ხშირად სიმთვრალეში სჩადიოდნენ ამას...

— ძარცვები?

— ძარცვები უფრო ხშირად...

— კარგი, მერე მოვიფიქროთ ამ საკითხზე, — თქვა დიმოვმა. — თქვენ მართლა აცნობეთ სასამართლო ექიმს?

— დიახ, მას პერნიკიდან ველით.

ნახევარი საათის შემდეგ განყოფილების წინ გაჩერდა პერნიკის სამმართველოს დიდი სანიტარული მანქანა. მანქანიდან ტლანქად გადმოვიდა ლამაზი, მაგრამ უკვე შეშუპებული პირისახის სასამართლოს ექიმი. იგი ჰგავდა ყოფილ ლამაზ მამაკაცს, რომელიც ნაადრევად გაჯირჯვლდა და გამელოტდა.

— ბედი არ გინდა, ჩემს დაბადების დღეს მოხდა, — ჭმუნვით ჩაიდუდუნა კაბინეტში შესვლისას. — სადილად. სტუმრები მოვიწვიე.

— რა გაეწყობა, ცოტახანს მოცდა მოუწევთ, — უთხრა დიმოვმა.

ექიმმა გაკვირვებით შეხედა.

— რა თქვით?

— რაც გაიგონეთ...

— მას უნდოდა ეთქვა, რომ ზედმეტი მუშაობით თავი არ მოგიკლავთ, — თავაზიანად აუხსნა დოიჩინოვმა.

— მაინც რა უზრდელი ხალხი ხართ, — გაგულისდა ექიმი, — ისიც არ ყოფნით, რომ ვეხმარები...

და გულმოსული გავიდა. დარჩენილებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ცუდად გამოვიდა, — უკმაყოფილოდ შენიშნა პარგოვმა. — არ მიყვარს საქმის ასე დაწყება.

3

როდესაც ისინი ქუჩაში გამოვიდნენ, სანიტარული მანქანის კვალიც აღარ ჩანდა, თითქოს შთანთქმულიყო გავარვარებულ ჰაერში. ქუჩებში ისევ სიცარიელე იყო, ძეხორციელი არ ჭაჭანებდა, მხოლოდ სახლების ჩრდილები დაპატარავებულიყო. ზოპირდაპირე მხარეს მოკლესახელოებიან თეთრ ხალათში გამოწყობილი დალაქი გატაცებით უსტვენდა სოლვეიგის სიმღერას. დიმოვმა გაიფიქრა, რომ ეს სურათი სიკვდილამდე დაამახსოვრდებოდა — ისე ჩვეულებრივი, ისე საყოველდღეო იყო იგი.

ისინი მანქანაში ჩასხდნენ. დიმოვი კვლავ გააოცა ქალაქის სიპატარავემ — ზუსტად ერთი წუთის შემდეგ უკაცრიელ მინდორში აღმოჩნდნენ. მარცხენა მხარეს ის გორაკების მწკრივს ეერთდებოდა, მარჯვნივ ყვითლად მოჩანდა მზესუმზირას მასივები: შორს გაწოლილიყო მუქი მწვანე ზოლი, ალბათ აქ იყო მდინარე, რომელზედაც პარგოვი ლაპარაკობდა. ადგილზე ისინი ოცი წუთის შემდეგ მივიდნენ. წინ გაგზავნილი ოპერატიული მუშაკი გზის პირას მოკალათებულიყო. მის გვერდით კიდევ ორნი ისხდნენ.შეშინებული სახით. როგორც კი მანქანა გაჩერდა, ისინი ფეხზე წამოხტნენ. იქვე იდგა ახლახან მისული საოლქო სამმართველოს სანიტარული მანქანა, ექიმი უკვე თეთრ ხალათში იყო და სიგარეტს ეწეოდა.

— ყველაფერი რიგზეა? — გადმოსვლისთანავე იკითხა პარგოვმა.

— არავინ არ მოსულა, — უპასუხა ოპერატიულმა მუშაკმა.

და ხმადაბლა დაუმატა: — ეს ბიჭი ევტიმის ბიძაშვილია, აი ეს, ქერათმიანი...

— მან იცნო ის?

— არა, მისთვის არ მიჩვენებია, მაგრამ მგონი ხვდება...

გვამს მწვანე ბრეზენტი ჰქონდა გადაფარებული, რომლის ქვეშიდანაც მოჩანდა — ძველი, გაცვეთილი, ქუსლებმონგრეული ფეხსაცმელები.

— როგორ თუ ხვდება... რატომ?

— გუშინ ევტიმი სახლში არ დაბრუნებულა... და ბიჭი წავიდა მის მოსაძებნად.

პარგოვმა გაკვირვებით შეხედა თავის უფროსს, მან თავი დაუქნია. ქერათმიანი ბიჭი რამდენიმე ნაბიჯზე იდგა და შეშინებული უყურებდა მათ.

— რა მოუვიდა ევტიმს? — ხმამაღლა შეეკითხა პარგოვი.

— გუშინ ის პერნიკიდან არ დაბრუნებულა, დეიდა რაინამ, მისმა მეუღლემ, დაახლოებით ათ საათზე მოირბინა ჩვენთან, უნდოდა, მის მოსაძებნად წავსულიყავი, მაგრამ სად წავსულიყავი შუაღამისას, მე ვუთხარი, შეიძლება კატასტროფა მოხდა და ისინი გზის გასაწმენდად დარჩნენ-მეთქი. მაგრამ დილითაც არ მოვიდა... მაშინ მე პერნიკში წავედი... და აი ამ ადგილამდე მოვაღწიე...

ბიჭს ენა დაება, შიშით უყურებდა გვამს.

— ცოტა მოიცადე, — ჩახლეჩილი ხმით ჩაიბურტყუნა პარგოვმა.

დიმოვი გვამთან მივიდა და ბრეზენტი გადასწია. პირველად თითქმის ვერაფერი დაინახა. გვამი დაფარული იყო ხმელი ტოტებითა და ბალახით, მხოლოდ ის გაარჩია, რომ კაცი ზურგზე იწვა. დიმოვმა ფრთხილად მოაცილა ისინი. გამოჩნდა რკინიგზელის გაცვეთილ ფორმაში ჩაცმული მოკლული. მისი გამხდარი, შავი, გაუპარსავი სახე რაღაცით მართლაც წააგავდა ბიჭის სახეს. მოკლულს ქუდი არ ეხურა, სახის გამომეტყველება მშვიდი, ოდნავ დაძაბულიც კი ჰქონდა. თავზე აშკარად ეტყობოდა მძიმე საგნით მიყენებული რამდენიმე დარტყმის კვალი. ხალათის ქვედა ღილები გახსნილი ჰქონდა, ხალათი შარვლიდან ამოსჩაჩვოდა. იქაც დარჩენილიყო სისხლის ნაკვალევი, მაგრამ ჭრილობები არ ჩანდა. მოკლულის ჯიბეებში ძალიან ცოტა ნივ-

თები ნახეს. პირველ ყოვლისა პასპორტი ევტიმ მიხოვ დიბევის სახელზე, 36 წლისა, დაიბადა და ცხოვრობს ეოინიკოვოში, ცოლიანი, უშვილო. მის ვინაობას ადასტურებდა სასამსახურო პირადობის მოწმობაც, რომლითაც რკინიგზაზე უფასო მგზავრობის უფლება ჰქონდა. ამის გარდა, ჯიბეში აღმოაჩნდა პატარა უბის წიგნაკი, ქიმიური ფანქრის ნაკვნეტი, ცხვირსახოცი და ხურდა ფული — 86 სტოტინკი. ეს იყო და ეს. ახლომახლო არ აღმოჩნდა არც მოკლულის ქუდი და არც საგანი, რომლითაც მოხდა დანაშაული.

— ექიმო, შეგიძლიათ დაიწყოთ! — ცივად მიმართა დიმოვმა ექიმს.

— მერსი, — ირონიულად თქვა ექიმმა და მიწაზე დადგა თავისი ტყავის პატარა ჩემოდანი.

დიმოვი ჩაფიქრდა. ზერელე დათვალიერებიდანაც ჩანდა, რომ მკვლელობა არაჩვეულებრივია და მკვლელის მიგნება არც ისე იოლი იქნებოდა.

— პარგოვ, დაათვალიერეთ ადგილი, — მიმართა მან თავის თანაშემწეს.

შემდეგ ნელა გაემართა გზატკეცილისაკენ, სადაც ორი ეოინიკოველი ბიჭი იჯდა. ქერა მას მონუსხულივით უცქერდა. დიმოვმა მის გამოხედვაში ნათლად იგრძნო თხოვნა, თხოვნა იმისა, რომ სიმართლე ეთქვა, რა საშინელიც არ უნდა ყოფილიყო ის. იგი ჩუმად ჩამოჯდა მიწაზე მათ გვერდით და გამშრალი ტუჩები მოილოკა.

— ბიჭო, შენ რომ წახვიდე უკეთესია, — მიმართა მან მეორეს.

ის ადგა და უხალისოდ გაემართა სადგურისაკენ. ქერა ოდნავ გაფითრდა.

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ის ნამდვილად შენი ძმაა, — რბილად უთხრა დიმოვმა.

მართალია ეს მისთვის უკვე აღარ იყო მოულოდნელი, მაგრამ ბიჭი კიდევ უფრო გაფითრდა. და მაშინ დიმოვმა პირველად დაინახა, თუ როგორ დაუსკდა და გაუთეთრდა კაცს რამდენიმე წამში ტუჩები.

— ღმერთო ჩემო, როგორ ვუთხრა მას, — წაიჩურჩულა ბიჭმა.

ძნელი იყო გაგება, ვინ უფრო ეცოდებოდა, თავისი თავი თუ ნათესავი ქალი. მაგრამ, ცხადია, მისი პირველი ფიქრი მოკლულს არ დასტრიალებდა.

— უთხარი დედას, — ურჩია დიმოვმა. — ის კი მას ეტყვის. ქალმა უკეთესად იცის, როგორ მიუდგეს.

— არა, არა! — წამოიძახა ბიჭმა — ის ყველაფრის გაგებას ჩემგან მოისურვებს.

— მაშინ ვერაფერს ვერ გახდები...ბოლოს და ბოლოს, შენ ხომ კაცი ხარ, უნდა გაუძლო ქალის ცრემლებს.

მაგრამ ბიჭი უნუგეშოდ იკვნეტდა დამსკდარ ტუჩებს.

— მაინც ვის უნდა მოეკლა იგი? — დაბნეულად წამოიძახა მან.—ევტიმი ისეთი კაცი იყო, ჭიანჭველასაც კი არ დაადგამდა ფეხს... აქ რაღაც შეცდომაა.

— იქნებ ვინმეს წაეჩხუბა სოფელში. ყველა კაცს ჰყავს მტერი.

— ევტიმი? ო, არა, მას არ ჰყავს მტრები, — მტკიცედ განაცხადა ბიჭმა.

— ჩვეულებრივად როდის ბრუნდებოდა სახლში?

— ყოველთვის ერთსა და იმავე დროს — საღამოს... მოითმინეთ, როდის ჩამოდის მატარებელი კოსერში? დარცხვენით ჩაიბუტბუტა ბიჭმა. — შვიდს რომ ათი აკლია. იქიდანაც კიდევ ოცი-ოცდაათი წუთია სასიარულო ველოსიპედით...

— ველოსიპედით? — შეხედა მას დიმოვმა.

— ჰო, ველოსიპედით, ფეხით ძალიან შორსაა... დილით მას ევტიმი კოსერის სადგურში ტოვებდა, საღამოს კი იმით ბრუნდებოდა. . ამ რამდენიმე დღის წინ ღერძი გაუტყდა და ფეხით მოდიოდა...

— მაინც რამდენი კილომეტრია აქედან სადგურამდე?

— სამ კილომეტრამდე... და კიდევ ორი კილომეტრი სოფლამდე...

— იქნებ ის მაშინვე არ წამოვიდა სადგურიდან? — ივარაუდა დიმოვმა.

— არა მგონია.... ის ისეთი კაცი არ იყო, რომ სალუდეებში ეყიალა. ყოველთვის ერთსა და იმავე დროს ბრუნდებოდა სახლში...

— სოფელში ბევრი ნათესავები გყავთ?

— არა, სულ რამდენიმე კაცი... ჩვენ ბანსკოდან ვართ, ჯერ კიდევ ომამდე ჩამოვედით აქ. ვოინიკოვოში დიბევების მხოლოდ სამი ოჯახი ვცხოვრობთ.

— როგორ ცხოვრობდა ცოლთან?

— კარგად, ერთმანეთს პატივს სცემდნენ, — დარწმუნებით თქვა ბიუმა. — რა ჰქონდათ გასაყრელი — ევტიმი წყნარი კაცი იყო. ჩვენ მეზობლები ვართ და არასდროს გამიგია მათი ჩხუბი, თუმცა...

ბიუმა ყოყმანი დაიწყო.

— თუმცა რა? — ყურადღებით შეხედა დიმოვმა.

— შვილები არ ჰყავდათ, — უხალისოდ უპასუხა ბიუმა. — ევტიმს კი ძალიან უყვარდა ბავშვები. დადიოდნენ ექიმებთან, აქეთ-იქით არაფერი გამოვიდა...

— გუშინ საღამოს კი ქალი ძალიან იყო შეშინებული?

ბიუმა მწარედ ამოიოხრა.

— ძალიან! თუმცა არც ისე ძალიან, როდესაც ველაპარაკე, იგი ცოტა დამშვიდდა. დილით ისევ არ იყო გუნებაზე. როგორც კი დავიბანე, ხელში პური და ბრინზა მომაჩეჩა და სოფლის ბოლომდე გამომაცილა, უნდოდა დარწმუნებულიყო, წავიდოდი თუ არა. როდესაც ათი წუთის შემდეგ მოვიხედე, ის კიდევ იქვე იდგა და მიყურებდა...

ბიუმა კვლავ ამოიოხრა, წუხდა როგორ მისულიყო სოფელში, რა ეთქვა დედისთვის. სახე მთლად გაუყვითლდა.

— შეიძლება ვნახო? — ითხოვა მან. — იქნებ სხვაში შეეშალათ.

— კეთილი, ნახე,—თავი დაუქნია დიმოვმა. — თუმცა შეცდომა არ მომხდარა.

და მაშინვე ინანა, ბიუს გვამის ნახვის ნება რომ დართო. მან ერთი კი ამოიგმინა და შორს, ტყისაკენ მოკურცხლა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ყველაფერი მზად იყო. გვამი მანქანაში გადაიტანეს, და ყურადღებით დაათვალიერეს ადგილი, სადაც ის იწვა. სასამართლო ექიმი უხალისოდ ეწეოდა ფანქარივით მაგარ სიგარეტს. დიმოვი ჩუმად მიუახლოვდა მას.

— საღამოსთვის შეგიდგენთ დაწვრილებით ოქმს, — უთხრა ექიმმა. — ახლა კი ზოგადად. მკვლელობა მოხდა გუშინ საღამოს — შვიდიდან ათ საათამდე. პირველი დარტყმა უკანიდან

მიუყენებიათ, როდესაც მოკლული ჯერ კიდევ ფეხზე იდგა. დარტყმა განსაკუთრებით ძლიერი იყო, სასიკვდილო, თუმცა მკვლელი მოქმედებდა ჩვეულებრივი ხის მარგილით. მკვლელს დაეხმარა ის, რომ რკინიგზელი უქუდოდ იყო და ალბათ არ მოელოდა თავდასხმას. ასეთი დარტყმის მიყენება მხოლოდ ფიზიკურად ძლიერ მამაკაცს ძალუძს. მიუხედავად ასეთი დარტყმისა, მსხვერპლმა შესძლო მკვლელისაკენ შემობრუნება და ასფალტზე გულაღმა დაეცა. მკვლელმა კიდევ ორჯერ დაარტყა მარგილი.

— რატომ ხართ დარწმუნებული, რომ ეს იყო მარგილი? — შეეკითხა დიმოვი.

— ჭრილობებში ქერქის ნატეხები დარჩა, — უპასუხა ექიმმა. — შემდეგ მკვლელმა იღლიებში ჩაავლო ხელები თავის მსხვერპლს და კიუვეტში გადაათრია.

— ეს საიდანღა იცით? — ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა კაპიტანმა.

— მიწაზე და მოკლულის ქუსლებზე არის კვალი, რომელიც მოწმობს, რომ იგი ათრიეს, — ცივად მიუგო ექიმმა. — ბოდიშს ვიხდი, თქვენს საქმეებში რომ ვერევი, მაგრამ ეს ასეა.

— დიახ, ეს მართლაც ასეა, — წყნარად დაეთანხმა დიმოვი.

— მაგრამ ზოგიერთი რამ ჩიხში მამწყვდევს, — განაგრძობდა ექიმი. — მკვლელმა კიდევ ცხრა ჭრილობა მიაყენა დანით მუცელში. უფრო სწორად, დანით კი არა, ვიწრო გრძელი ხანჯლით. რასაკვირველია, ხდება ხოლმე, როდესაც მკვლელი დასარწმუნებლად კიდევ ერთი ორჯერ ჩასცემს დანას. მაგრამ ცხრაჯერ! მან ის პირდაპირ დაცხრილა. ჩვეულებრივად ასეთ შემთხვევებში თავში ან გულში უმიზნებენ — დამოკიდებულია იარაღზე, მაგრამ ძალზე იშვიათად მუცელში. და აი კიდევ რა არის საოცარი. მან ყველა ჭრილობა გულმოდგინედ ამოავსო მიწით და ბალახით. რატომ?... მე მგონია, ძნელია გონივრული ახსნის მოძებნა. ამას ბევრი დრო დასჭირდებოდა, ის რისკზე მიდიოდა, ხომ შეიძლებოდა, დანაშაულის ადგილზე წაესწროთ.

ექიმი გაჩუმდა. ფიქრებში წასული კაპიტანიც დუმდა.

— თქვენ უფრო ჩემი ზოგადი დასკვნები გაინტერესებთ?

— დიახ, გეთაყვა, — შეკრთა დიმოვი.

— მე თუ მკითხავთ, ეს ჩვეულებრივი მკვლელობა რო-

დია, — თქვა ექიმმა. — იმ გაგებით, რომ ის ჩადენილი არაა გაძარცვის მიზნით. მე მგონია, მკვლელი — სადისტია და ამ სადისტურმა გრძნობამ იფეთქა მასში, როდესაც გზაზე უმწეო მგზავრი დაინახა. არ მჯერა, რომ კაცი, რომელმაც... მკვლელობა განიზრახა, თავის მსხვერპლს მიუხტეს ისეთი პრიმიტიული იარაღით, როგორიც მარგილია.

— იქნებ ის არცაა სადისტი, — აზრი გამოთქვა დიმოვმა. — შესაძლოა იგი მთვრალი იყო. თუმცა, ღმერთმაც არ უწყის, რა განსხვავებაა.

ექიმი ჩაფიქრდა.

— დიახ, შესაძლებელია, თუმცა...

— წარმოიდგინეთ, რომ ისინი ერთად იყვნენ სალუდეში და იქ ჩხუბი მოუვიდათ. ევტიმ დიბეევი გამოვიდა, ის კი უკან გამოჰყვა. ალკოჰოლს გონების დაბინდვა შეუძლია.

— შეუძლია, მაგრამ მე რატომღაც არ მჯერა, — დარწმუნებით თქვა ექიმმა. მკვლელობა ფიზიზელმა ადამიანმა ჩაიდინა. ყველა დარტყმა, ხანჯლის დარტყმების ჩათვლით, მიყენებულია ძალზე ზუსტად და დაუზოგავად. მკვლელი სრულიად დამშვიდებული მოქმედებდა. ეს მაფიქრებინებს, რომ იგი ამ საქმეში ახალბედა არ გახლავთ.

— გეთანხმები, მაგრამ, ჩემი აზრით, მკვლელი ადგილობრივია...

— რატომ ფიქრობთ ასე?

— ამისათვის მრავალი მიზეზი არსებობს...

ექიმი ადგა და დაბნეულად ჩამოიბერტყა შარვალი. მისი მსხვილი, მსუქანი სახე ერთობ კეთილად გამოიყურებოდა ასეთი მძიმე პროფესიის მქონე კაცის კვალობაზე.

— დღეს საღამოს მე თქვენ გამოგიგზავნით ოქმს, — თქვა მან და მშვიდად დახედა საათს.

— ალბათ, როცა თქვენი სტუმრები წავლენ, — ეჭვით თქვა დიმოვმა. — ჰო, მართლა, რამდენი წლისა ხართ?

— ორმოცდაორის.

— ბრავო! — გულწრფელად წამოიძახა დიმოვმა. — მე უფრო ახალგაზრდა მეგონეთ...

— ჩვენ ყოველ დღე სიკვდილთან გვაქვს საქმე და ალბათ უკვდავების რაღაც თვისებებს ვიძენთ, — გაიღიმა ექიმმა.

და კვლავ შარვლის ბერტყვით მძიმედ წავიდა მანქანისაკენ. მერე შეჩერდა და მოიხედა.

— იქნებ კიდევ გაინტერესებთ რაიმე? მხედველობაში მაქვს გაკვეთა.

— დიახ, როგორ გითხრათ? აი მაგალითად, რა ჰქონდა ამ უბედურს კუჭში?

— ფუი, — თავი გაიქნია ექიმმა და უხერხულად შეძვრა მანქანაში.

დიმოვმა ხელი დაუქნია მას, შემდეგ თავის თანაშემწეს მიუბრუნდა. გზის პირას კარტოფილის ბუჩქებს შორის სასაცილოდ აშოტილიყო პარგოვის წოწოლა ფიგურა. მას აღგზნებული სახე ჰქონდა.

— ამხანაგო კაპიტანო, კვალი! — იყვირა მან. — მკვლელის კვალი...

დიმოვი სწრაფად მიუახლოვდა. მართლაც კარტოფილის ერთ-ერთ ბუჩქთან ნათლად ჩანდა ფეხსაცმლის ანაბეჭდი.

— დარწმუნებული ხარ, რომ ეს კვალი შენი არაა? — დაეჭვებით შეეკითხა დიმოვი.

— რას ამბობთ, — წყენით მიუგო პარგოვმა. — მე ხომ ორმოცდახუთ ნომერს ვატარებ...

დიმოვმა პატივისცემით შეხედა მის ზორბა ფეხებს.

— ეს რა ზომაა?

— ნორმალური ფეხია, ორმოცდაორი, — უპასუხა პარგოვმა. — ჩვეულებრივი ტყავის ძირიანი ფეხსაცმელია...

— სოფლისათვის ჩვეულებრივი? — შეეკითხა დიმოვი.

— დიახ, როგორც ჩანს, მართალი ხარ, — თქვა პარგოვმა. — ჩვენები უფრო ხშირად რეზინის ცარვულებს ატარებენ...

— მაშასადამე, მკვლელი შენ თითქმის არისტოკრატად გეჩვენება, რადგანაც ტყავის ფეხსაცმელს ატარებს, — წაიბურტყუნა დიმოვმა. — როგორ ფიქრობ, რას ეძებდა მინდორში?

— ბალახს გლეჯდა გვამის დასაფარავად... აი აქ დაგლიჯა. სასოფლო საქმეების სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ ვფიქრობ, ეს გუშინ საღამოს მოხდა...

— სულ ესაა?

— დიახ, — სინანულით უთხრა პარგოვმა. — მეტი არაფერი: არც ნამწვავი, არც ღილები. ჩვენ მხოლოდ ასანთი ვიპოვეთ, მაგრამ ისიც ძველია.

— კეთილი, ახლა კი მოდი ჩამოვსხდეთ, — შესთავაზა დიმოვმა.

ისინი კიუვეტში ჩასხდნენ. ზურგები მზეს მიუფიცხეს, რომელიც უკვე გვარიანად აცხუნებდა. კარტოფილის ნათესიდან ნიწისა და დამჭკნარი ფოთლის მძიმე სუნი დიოდა. მოშორებით ფრთებს იქნევდა ქორი, თითქმის უძრავად რომ ეკიდა გავარვარებულ ჰაერში. ალბათ თაგვმა ან თრიამ თუ შეასწრო სოროში, ვინაიდან მალე საჰაერო მეკობრე გაწბილებული გაფრინდა. დიმოვმა ბოლომდე უყურა ამ პატარა სპექტაკლს, შემდეგ წყნარად დაიწყო:

— ბოლოს და ბოლოს არ არის ორი საგანი — ქუდი და მარგილი. ვთქვათ, ევტიმი უქუდოდ იყო, მაგრამ სადღაა მარგილი? არა მჯერა, რომ მკვლელს სახლში წაეღო სახსოვრად. საერთოდ არავინ დასეირნობს ხელში სამხილდაჭერილი. არც ის მჯერა, რომ სადმე შუა გზაში დატოვებდა. მე მგონია, მარგილი სადღაც აქვეა დამალული. საჭიროა მისი მოძებნა...

— მდინარესთან. — თქვა პარგოვმა.

— რატომ მდინარესთან?

— შენ ხომ თქვი, რომ ის გზატკეცილით ვერ წავიდოდა... იგი იმალებოდა, რომ არ დაენახათ. როგორც ხედავ, გზის იქითა მხარეს, ბორცვებამდე, მოტიტვლებული ადგილია.

— როდესაც ბნელა, ამას რა მნიშვნელობა აქვს? მოტიტვლებულია, მაგრამ უკაცრიელია, კაციშვილს ვერ შეხვდები.

— ღამეები ახლა საკმაოდ ნათელია.

— კეთილი, მდინარესთან, მაგრამ სად — უკან კოსერისაკენ, თუ ვოინიკოვოს მხარეს?

— პირდაპირ, — თქვა პარგოვმა. — როგორც ხედავ, იქ მზესუმზირასა და სიმინდის ყანებია. თანაც მდინარესთანაც იზრდება ალვის ხეები და თხილნარი, მეორე ნაპირზე ისე გადახვალ — ვერავინ დაგინახავს...

— მდინარესთან ბილიკი თუ არის?

— ორივე ნაპირზე.

— მაგრამ ის ხომ გიჟი არ არის, რომ ბილიკებზე ევლო, — ჩაიბურტყუნა დიმოვმა. — კეთილი, მოდი შევამოწმოთ შენი ჰიპოთეზა. რა ჰქვია ოპერმუშაკს?

— სტეფანი.

— კარგი, დაუძახე და წავიდეთ.

ისინი ჩამწკრივდნენ და ერთმანეთისგან ოცი მეტრის დაშორებით გაემართნენ მდინარისაკენ. ქალაქური ფეხსაცმლით ყანაში სიარული არც ისე იოლია, მაგრამ სხვა გზა არ იყო. კარტოფილის ნათესების შემდეგ ისინი მოუხნავ ნამკალში მოხვდნენ. ალაგ-ალაგ მათ ფეხებთან ხან რომელიმე ფრინველი აფრინდებოდა, ხან თრია გაირბენდა, ან ხელიკი გაისრიალებდა. წყნარი და მშვიდობიანი მიწა ცხოვრობდა თავისი ჩვეულებრივი ცხოვრებით, სიკვდილი სულ არ აინტერესებდა. ნამკალი გაიარეს და სიმინდის ყანას მიუახლოვდნენ. როდესაც ყანის ნაპირს გაუყვნენ, რამდენიმე ნაბიჯიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ პარგოვი შეჩერდა.

— რაღაც ვიპოვე, — თქვა მან გაუბედავად.

— რა? — შეეკითხა დიმოვი.

— პომიდორი.

— პომიდორი? რა პომიდორი?

— უბრალო პომიდორი.

პარგოვი ისეთი ინტერესით ატრიალებდა მას ხელში, თითქოს ოქროს თვითნაბადი ეპოვოს.

— შესაძლოა, მდინარესთან პომიდვრის პლანტაციაა? — აზრი გამოთქვა სტეფანმა.

— არა, პლანტაცია სოფლის გარეთაა, აქ მხოლოდ კანაფის ნათესებია.

— აბა მანახე შენი პომიდორი, — უთხრა დიმოვმა.

ეს იყო ჩვეულებრივი პომიდორი — პატარა, მრგვალი და ვარდისფერი, სიმწიფე შეპარული.

— ეს ბაზრის პომიდორია, — დარწმუნებით განაცხადა პარგოვმა, — ჩვენი, ადგილობრივი პომიდორები უსწორმასწოროა და ოოლოსფერი.

დიმოვმა პომიდორი ხელში აიღო.

— ნუთუ მკვლელს პომიდვრიანი ჩანთა მიჰქონდა? — გაკვირვებით იკითხა დიმოვმა.

— ჩვენებურებს გასაოცარი ლოგიკა აქვთ, — თქვა პარგოვმა. — მათგან ყველაფერია მოსალოდნელი. მას ზურგით საკერავი მანქანაც რომ ეთრია, არ გამიკვირდებოდა.

— თქვი რა შენც! — შეაწყვეტინა დიმოვმა. — მაინც რა-

ტომ ეს ერთადერთი პომიდორი დაუვარდა? დავუშვათ, რომ მან ჩანთა მიწაზე დადო და პომიდორი გადმოგორდა. მაგრამ რისთვის გაჩერდა? შესაძლოა, მარგილის გადასაგდებად — კანაფის ნათესი აქ საკმაოდ ხშირია.

— სწორია, — გაეხარდა პარგოვს.

ისინი კვლავ სხვადასხვა მხარეს წავიდნენ. ათი ნაბიჯიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ პარგოვმა წამოიძახა:

— აი ქუდი!

— ხელი არ ახლო!.. — დაუყვირა დიმოვმა. — ხელი არ ახლო წინაფრას...

სამივე ინტერესით ათვალიერებდა რკინიგზელის გაცვეთილ ქუდს. ეტყობოდა ფთრო ხშირად ჯიბით ატარებენენ. თავზე იშვიათად ისურავდნენ, რადგანაც იგი ძალზე დაშმუშნილი იყო, ხოლო წინაფრა შუაზე გადატეხილი.

— რატომ მოიტანა ქუდი აქ? — იკითხა პარგოვმა და დიდი ცხვირი მოიფხანა. იმიტომ, რომ მერე გადაეგდო?

— იქნებ იმით რაიმე მიჰქონდა? — აზრი გამოთქვა სტეფანმა.

— რა უნდა მიჰქონებოდა რკინიგზელის ქუდით? — ალმაცერად გადახედა მას დიმოვმა. — ნუთუ ნამწვავების...

ყურადღებით დაათვალიერეს სარჩული და აღმოაჩინეს გახეული ადგილი, რომელშიც შეიძლებოდა რაიმის ჩადება. პარგოვმა გულმოდგინედ შეამოწმა ქუდი, მაგრამ ვერაფერი იპოვნა.

— თუ აქ რაიმე იდო, მას უკვე ამოიღებდნენ.

— ამარა თხზვა თავისუფალ თემაზე, — ჩაერია დიმოვი. — უმჯობესია მარგილი მოვძებნოთ, ის სადღაც აქვე უნდა იყოს.

მარგილი ხუთ-ექვს ნაბიჯზე იპოვეს — როგორც ქუდი, ისიც ყანაში ეგდო. ეს იყო ჩვეულებრივი მარგილი. ასეთებს აქ მსხმელიარე ხეებს უყენებენ. ტოტები რომ არ დაემსხვრას. — მასზე კიდევ იყო შემორჩენილი კირის კვალი. წაწვეტილ ბოლოზე ნათლად ჩანდა მიწის ახალი ნარჩენები — უეჭველი დამტკიცებული საბუთი იმისა, რომ იგი ახლახან ამოეგლიჯათ მიწიდან. ხოლო ბლაგი ბოლოზე ასევე კარგად ემჩნეოდა სისხლის ლაქები — ეჭვი არ იყო: მკვლელობა სწორედ ამ მარგილით მოხდა.

— ვიჩქარეთ, — უკმაყოფილოდ წაიბურტყუნა დიმოვმა. — ძაღლი უნდა გამოგვეთხოვა სოფლიდან. ყველა კვალი გადავთელეთ.

გადაწყვიტეს ძიება შეეწყვიტათ. ჩასხდნენ მანქანაში და სადგურ კოსერისაკენ წავიდნენ. ხუთასი მეტრიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ დიმოვმა მანქანა გააჩერა. გზის მარცხენა მხარეს ახალგაზრდა ვაშლის ხეთა რიგები გადაჭიმულიყო. ყველა ხეს შეყენებული ჰქონდა მოკლე მარგილები.

— აი თურმე საიდან ამოაძრო მარგილი, — თქვა ფიქრმორეულმა დიმოვმა. — წავიდეთ, შევამოწმოთ.

ბაღის განაპირა ორ რიგში მხოლოდ სამი მარგილი აკლდა. მაგრამ ეტყობოდა მხოლოდ ერთი მათგანი იყო ახლად ამოგლეჯილი. დიმოვმა ყურადღებით დაათვალიერა მიწა, შემდეგ მარგილი ორმოში ჩაასო, დიახ სავსებით ნათელი გახლდათ, მარგილი აქედან იყო: ისეთივე ზომისა და მოყვანილობის და ისევე კირით გაგლესილი. ისინი გვერდზე გადგნენ და ერთმანეთს ჩუმად ათვალიერებდნენ.

— მკვლელს აქედან ამოუგლეჯია, — დარწმუნებით თქვა პარგრვმა. — კოსერამდე ხილის სხვა ბაღი არაა.

კვლავ მანქანაში ჩასხდნენ და მალე სოფელში შევიდნენ. რკინიგზასთან სიახლოვის წყალობით ის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელი იყო რაიონში. სოფლის ცენტრში იდგა თანამედროვე თეთრი შენობა—უნივერსალური მაღაზია, რესტორანი, კაფე. სამაგიეროდ პატარა, ვიწრო და ძველი სადგური ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში იყო აშენებული. სადგურში მარცხი განიცადეს: არც მორიგეს, არც სხვა ვინმეს სადგურის პერსონალიდან არ შეუმჩნევია, როდის ჩამოვიდა ევტიმ დიბევი მატარებლიდან.

— მას მე ძალიან კარგად ვიცნობ, — უთხრა მორიგემ. — მაგრამ გუშინ არ მინახავს. ამ მატარებლიდან ჩვენს სადგურში ასი კაცი მაინც ჩამოდის და აბა ამდენ ხალხში როგორ შეამჩნევ.

ოპერატიული ჯგუფი მანქანასთან დაბრუნდა. დიმოვმა საათს დახედა. მხოლოდ თორმეტის ნახევარი იყო, მას კი ეგონა, რომ აქ მთელი დღე გაატარა.

— თქვენ მანქანით ნ-ში დაბრუნდით, — უთხრა დიმოვმა, — და მოითხოვეთ, რომ სოფლიდან დაუყოვნებლივ გამოგზავნონ ძაღლი. თუ მე მანამდე არ დავბრუნდი, სამუშაოს პარგოვი გააგრძელებს.

— საით მიდიხარ, შეფო?

— პერნიკში შევივლი. — უთხრა დიმოვმა. რაც უფრო მეტს გავაკეთებთ პირველ დღეს, მით უკეთესია...

დიმოვმა ხელი ჩაიქნია და ნელა გაემართა პლატფორმისაკენ.

4

პერნიკში მას ბედმა გაუღიმა—მოკლულის პირადობის მოწმობით იოლად იპოვნა განყოფილება, სადაც დიბევი მუშაობდა. განყოფილების უფროსი, პატარა, გამხდარი, დაღლილი და გაცვეთილფორმიანი კაცი, ამ ახალმა ამბავმა პირდაპირ შეაძრწუნა.

— ევტიმ დიბევი? — წამოიძახა მან, — ყოვლად შეუძლებელია! ის ჩვენი ყველაზე თავმდაბალი მუშაკია! და ყველაზე პატიოსანი...

— თქვენ მას კარგად იცნობთ?

— როგორ თუ კარგად, — ვიცნობ როგორც თანამშრომელს. უკვე მრავალი წელია ჩემთან მუშაობს. მისი ნამსახურობის სია დღემდე სუფთაა — არავითარი დანაშაული.

— კი მაგრამ, რატომ უნდა მოეკლათ ასეთი უწყინარი და თვინიერი ადამიანი? ალბათ მაინც ჰყავდა მტრები...

— ჩვენს შორის — არა. ან რისი გულისთვის უნდა ემტროთ? ვის უფრო დიდი ნიჩაბი აეღო, იმის გულისთვის ხომ არა?

— არავითარი ბიწიერება? არავითარი მანკიერება? — ეჭვით შეეკითხა დიმოვი.

უფროსი არც დაფიქრებულა.

— ამხანაგო დიმოვ, მათ ხომ ბევრი ფული არა აქვთ, რა ბიწიერებაზე შეიძლება ლაპარაკი... ბიწიერება იქაა, სადაც ფულია.

— კარგად ვიცი, სად ბუდობს ბიწიერება, — უხეშად შე-

უბრუნა სიტყვა დიმოვმა. — ბოლოს და ბოლოს საწყალი ეშმაკიც არ მოიშლის ეშმაკობას. . 'ვამდა?

— ვინ არ სვამს, — წყენით მიუგო უფროსმა. — ერთადაც დაგვილევია... მაგრამ არავითარ შემთხვევაში ლოთი არ ყოფილა, ამაში დარწმუნებული ვარ.

— მაშ, თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს მკვლელობის მიზეზი?

— არაფერი არ კიცი, — უპასუხა საგონებელში ჩავარდნილმა უფროსმა. — იქნებ•სხვა ვინმეში შეეშალათ?

— მომიტანეთ, გეთაყვა, მისი პირადი საქმე.

— კარგით, — თავი დაუქნია უფროსმა.

ის მალე დაბრუნდა და პატარა მწვანე საქაღალდე მოიტანა. კიდევ უფრო შეწუხებული და შეშინებული სახე ჰქონდა, თითქოს არასასიამოვნო ამბავი გვიან შეიგნოო.

— გუშინ დიბევმა მთელი ხელფასი აიღო, — კარებიდანვე დაიწყო მან. — დაახლოებით ოთხმოცდაათი ლევი. ფულის გამო ხომ არ მოკლეს?

— რატომ აიღო მთელი ხელფასი?

— ხომ გითხარით, შვებულებაში წასვლის ნება დავრთეთ. აი აქაც აღნიშნულია — ორშაბათიდან, ხოლო კანონით შვებულებაში ყოფნის დროს ხელფასის აღების უფლებაც აქვს.

დიმოვი ჩაფიქრდა. აქამდე აზრი ძარცვის შესახებ დაუჯერებელი ეგონა, მაგრამ ახლა გამოირკვა, რომ დიბევი ნამდვილად გაძარცულია, მის ჯიბეებში ხომ მხოლოდ ხურდა ფული იპოვეს. ცხადია, ეს ჯერ კიდეკ არ ამტკიცებს იმას, რომ მკვლელობის მიზეზი ძარცვა იყო. თანხა ხომ ძალიან მცირეა და კიდევ, განა მკვლელს შეეძლო სცოდნოდა, რომ დიბევს ეს ფული თან ჰქონდა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთად მუშაობდნენ, თუ ერთად იღებდნენ ხელფასს. ანდა თუ დიბევმა დაიტრაბახა, დღეს მთელი ხელფასი ავიღეო. ის თავიდან ვერ იშორებდა ფიქრს, რომ დიბევი და მკვლელი ნაცნობები იყვნენ.

— გთხოვთ, მრლარეს დაუძახეთ — სთხოვა დიმოვმა, — უწყისიც მოიტანოს.

უფროსი გავიდა. ის ისეთივე გამხდარ კაცთან ერთად დაბრუნდა, როგორიც თვითონ იყო, ოღონდ ეს უფრო შეშინებული გამოიყურებოდა.

— რომელ საათზე მოვიდა ევტიმ დიბევი ხელფასის ასაღებად? — შეეკითხა დიმოვი.

— მოითმინეთ, მაცალეთ მოვიფიქრო... ორის შემდეგ.

— მასთან ერთად იყო ვინმე?

— მგონი იყო, მაგრამ ვინ — ვერ ვიხსენებ... ჰო, გიორგი კროტევი.

დიმოვი ერთი პირობა გაჩუმდა.

— შეგიძლიათ შეკრიბოთ თქვენი მუშები? — მიმართა მან უფროსს.

— თუ კი საჭიროა...

— ასე სამი საათისათვის... მანამდე მე პირად საქმეს გადავხედავ.

უფროსი გავიდა და დიმოვი მოკლულის პირად საქმეს ჩაუჯდა. ცხადია, საკუთარი ხელით დაწერილი ავტობიოგრაფიით დაიწყო. დაიბადა ვოინიკოვოში ღარიბი გლეხის ოჯახში. 1947 წელს გახდა მუშა ახალგაზრდობის კავშირის წევრი, რამდენიმე წლის შემდეგ პარტიაში შევიდა. 1954 წელს რკინიგზაზე დაიწყო მუშაობა. სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები მის მოკლე ცხოვრებაში არ ყოფილა. გავლენიანი პირების მიერ ხელმოწერილი ორი საუკეთესო რეკომენდაცია — ერთი ვოინიკოვოდან, მეორე პერნიკიდან. მას ორივე რეკომენდაციას აძლევდა როგორც უაღრესად თავმდაბალ, შრომისმოყვარე და შეგნებულ ადამიანს. დიმოვმა კეთილსინდისიერად გადაიკითხა სხვა სამსახურებრივი დოკუმენტები, მაგრამ არაფერმა არ მიიპყრო მისი ყურადღება.

მან საქაღალდე დახურა და მოკლულის ჯიბეში ნაპოვნი უბის წიგნაკი გადაშალა. მაშინვე მიხვდა, რომ ხელთ ჰქონდა შემოსავალ-გასავლის წიგნი, რომელსაც განსვენებული პედანტურად აწარმოებდა დაახლოებით შვიდი თვის მანძილზე. მასში სუფთად იყო ჩაწერილი ძალზე მცირე ხარჯებიც კი პროფკავშირების საწევროების ჩათვლით. დიმოვმა ბოლომდე გადაათვალიერა უბის წიგნაკი, მაგრამ კინოზე, წიგნზე ანდა თუნდაც გაზეთზე დახარჯული ფულის ხსენება ვერსად ნახა. მხოლოდ რამდენიმე ადგილას იპოვა „2 რა ას-ასი". ფასის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ლაპარაკი იყო ყველაზე იაფფასიან ყურძნის რაკიაზე. გუშინდელ დღეზე არავითარი ჩანაწერი არ იყო — რო-

გორც ჩანს, დიბევი ხარჯებს საღამოობით წერდა წიგნაკში, სახლში დაბრუნებისას.

კაპიტანმა ვერ მოასწრო უბის წიგნაკის ბოლომდე გადახედვა, მასთან შემოვიდა განყოფილების უფროსი. ის ახლა უკვე მშვიდად და მხნედ გამოიყურებოდა.

— სამ საათზე ყველანი წითელ კუთხეში იქნებიან, — უთხრა მან.

— ძალიან კარგი, — თავი დაუქნია დიმოვმა. — მინდა, გიორგი კროტევი მაჩვენოთ. რასაკვირველია, ისე, რომ მან ვერ შენიშნოს.

ზუსტად სამ საათზე ორივენი ხალხით გაჭედილ წითელ კუთხეში შევიდნენ და წითელ მაუდგადაფარებულ მაგიდას მიუსხდნენ.

უფროსი ადგა, ხმაური შეწყდა.

— ამხანაგი დიმოვი, — თქვა მან — მილიციიდანაა. ის ცნობას მოგაწვდით.

— სამწუხაროდ, ძალიან არასასიამოვნო ცნობას. — დაიწყო დიმოვმა. — გუშინ მხეცურად მოკლეს თქვენი კოლეგა ევტიმ დიბევი...

ყველამ ერთხმად ამოიოხრა. თავზარდაცემულებმა ერთმანეთს გადახედეს.

— სახლში მიმავალი შუა მინდორში მოკლეს. მკვლელი უცნობია. ყველას გთხოვთ, ვინც ის სამუშაოს შემდეგ ნახა, აქ დარჩეს. დანარჩენებს შეგიძლიათ წახვიდეთ... მინდა გაგაფრთხილოთ, ყველაზე წვრილმანი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო მონაცემები შეიძლება გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

დიმოვი დაჯდა. ამ ცნობით გაოგნებული ხალხი თავის ადგილზე დარჩა, არავინ განძრეულა. განყოფილების უფროსი დიმოვისაკენ გადაიხარა:

— კროტევი არაა. ვიკითხო, სად არის?

— ახლა არა, —წყნარად მიუგო დიმოვმა. — ხვალ გაიგეთ სამსახურებრივი წესით, სად იყო.

დარბაზში მოძრაობა დაიწყო, მოულოდნელი ცნობით შეძრული და გაოგნებული ხალხი თითოობით და წყვილ-წყვილად მიდიოდა. წითელ კუთხეში სამნი დარჩნენ.

მობრძანდით, — მიმართა კაპიტანმა. — არა, უმჯობესია მხოლოდ თქვენ დარჩეთ, — სამიდან ერთ-ერთს დაადო თითი ალალბედზე. — დანარჩენებმა გარეთ დაიცადეთ.

ხანში შესული გაჩეჩილთმიანი კაცი დარცხვენით ჩამოჯდა ერთ-ერთ თავისუფალ სკამზე. დიმოვმა მისი გვარი და სახელი ჩაიწერა.

— აბა, ახლა მოგვიყევით, რა იცით.

— კი, მაგრამ, მე რა ვიცი, — ამოისუნთქა კაცმა. — შეიძლება ითქვას, არაფერი არ ვიცი. ევტიმს დაახლოებით ხუთ საათზე ფოსტასთან შევხვდი. ერთმანეთს თავდაკვრით მივესალმეთ. თავ-თავისი გზით წავედით. დავინახე, სადგურისაკენ წავიდა...

— თავს როგორ გრძნობდა?

— ჩანს, თქვენ მას არ იცნობდით, გულჩათხრობილი კაცი იყო. მაგრამ განსაკუთრებული ვერაფერი შევნიშნე, პირიქით, კმაყოფილიც კი მეჩვენა.

— ხელში ეჭირა რამე?

— არ მახსოვს... მგონი ეჭირა... დიახ, რაღაც ბადე მიჰქონდა.

— არ შეგინიშნავთ, რა იყო შიგ?

— ყურადღება არ მიმიქცევია, — ის დაძაბული იგონებდა. — რაღაც წითელი — სტაფილო... თუ პომიდორი.

— მითხარით, წინა დღეებში არაფერს მიუქცევია თქვენი ყურადღება? რაიმეზე ხომ არ ჩიოდა?

— ის ისეთთა რიცხვს არ მიეკუთვნებოდა, უბრალო რამეზე რომ წუწუნებენ ხოლმე. ერთხელ მითხრა, მხარი მტკივაო, მაშასადამე, მაგრად სტკიოდა...

— კარგით, გმადლობთ... თავისუფალი ხართ.

მერე შემოვიდა საშუალო ასაკის მაღალი, მოუქნელი, ძალიან უშნო კაცი. გეგონებოდათ მისი ტანის ყველა ნაწილი სხვადასხვა ადამიანებისგანაა ნასესხები.

ის კითხვას არ დაელოდა, პირდაპირ დაიწყო ლაპარაკი.

— შეიძლება ითქვას, ჩვენ მეგობრები ვიყავით, ამხანაგო დიმოვ, ძალიან კარგი კაცი იყო, მხოლოდ ცოტანი იცნობდნენ მას. გუშინ მითხრა, კურორტზე ვაპირებ წასვლას, ხელი მტკივაო, ისიც კი მითხრა, რა ერქვა ამ ავადმყოფობას, მაგრამ არ დამამახსოვრდა. ადრეც შემომჩიოდა აქა და აქ მტკივაო... ევ-

ტიმი ცოლთან ერთად აპირებდა წასვლას — ეგებ მასაც მოუხდესო. მათ ხომ შვილები არ ჰყავდათ.

— სად აპირებდა წასვლას?

— საპარეოში, შორს არაა. ძალიან განიცდიდა, შვილები რომ არ ჰყავდათ, იმედს მაინც არ კარგავდა: იქნებ წყალმა გვიშველოსო.

როდის წახვედით საშუშაოდან?

— როგორც ყოველთვის ოთხზე. მითხრა, ქალაქში შევივლი ხორცისათვის და სადგურში შეგხვდებიო...

— შეხვდით?

— შევხვდით ბუფეტში.

— დრო რამდენი იყო დარჩენილი მატარებლის გასვლამდე?

— ოცი წუთი. ასი გრამი რაკია დალია და კიდევ შეუკვეთა. ყურძნის რაკია. ჩვენს მხარეში ყველა სვამს მას. მეორე სირჩაც გამოცალა და წასვლის დროც მოვიდა. ჩავსხედით მატარებელში, დავიკავეთ ადგილები. ის კოსერში ჩავიდა, მე კი გზა განვაგრძე — ფულეშისაკენ. მხიარულ გუნებაზე იყო, არ იცოდა, რა ელოდა გზაზე...

ხომ არ გახსოვთ, გადახდისას ფული ბევრი ამოიღო?

— არა, ხურდა, სტოტინკამდე გადათვალა და მებუფეტეს მისცა. ფულის ყაირათი იცოდა, ფლანგვა არ უყვარდა. თუ თავს ერთი-ორი სირჩა არყის დალევის უფლებას მისცემდა, ისიც მხოლოდ ხელფასის აღების დღეს.

— გამოდის, ეს იყო მისი ერთადერთი სისუსტე?

— არც თუ ისეთი სისუსტეა ეს...

— სხვის ცოლებზე ხომ არ რჩებოდა თვალი?

მას? — ხრინწიანად გაიცინა მუშამ, — ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. არასდროს არ იგონებდა, ანეკდოტებსაც კი არ ყვებოდა. საწყალ იობზე უფრო უბიწო იყო. თუმცა ერთი უშვილო ცოლი სამს შეცვლის.

— არ გახსოვთ, რა ჰქონდა ბადეში?

— რა ბადეში?

— მან ხომ გითხრა, რომ ქალაქში მიდიოდა ხორცის საყიდლად.

— დიახ, სწორია, ჰქონდა ბადე... მახსოვს, ხელში ეკავა. მასში ალბათ ხორცი ედო, სხვა რა ექნებოდა...

— კეთილი. სულ ესაა?

— დიახ, მგონი ესაა...

— ამისთვისაც გმადლობთ, — უთხრა დიმოვმა, — თავისუფალი ხართ.

კაცი წამოდგა, მაგრამ სახის გამომეტყველებაზე ეტყობოდა, ყოყმანობდა.

— კიდევ რაიმეს თქმა გნებავთ?

— არა, მინდოდა მეკითხა, რით მოკლეს იგი, ამხანაგო დიმოვ?

— თავში ხის მარგილი ჩაარტყეს.

მუშა ჩაფიქრდა.

— მაშასადამე, მკვლელი აქაურია. — ზიზღით წაიბურტყუნა მან. — ბოშები რომ ყოფილიყვნენ, რკინას ჩაარტყამდნენ. რაკიღა ხის მარგილით იმოქმედა, მაშასადამე, ვინმე ჩვენიანია... ჩვენები უხსოვარი დროიდან ხის ჯოხებს უხათქუნებენ ერთმანეთს, ასეთია ჩვეულება...

— გმადლობთ. ახლა კი დაუძახეთ შემდეგს.

ეს იყო პერნიკში მცხოვრები ახალგაზრდა კაცი.

— მე ევტიმ დიბევი ვნახე გუშინ, დაახლოებით ხუთ საათზე. — დაიწყო მან. — ქალაქში ვნახე... ის ვიღაც კაცთან იდგა და ემუსაიფებოდა, ხელში პროდუქტებით სავსე ბადე ეჭირა.

— როგორ გამოიყურებოდა ეს კაცი?

— ის ჩემკენ ზურგით იდგა, ისე რომ, მისი სახე ვერ დავინახე... მოტოციკლისტი... ტყავის კურტაკითა და მუზარადით, მაგრამ მუზარადი ხელში ეჭირა...

— რა ფერის იყო?

— კურტაკი შავი იყო, ხოლო მუზარადი — არ მახსოვს... მგონი ყვითელი... თუ ყვითელსა და ნარინჯისფერს შორის გარდამავალი...

— მშვიდად საუბრობდნენ? თუ რაიმეზე ჩხუბობდნენ?

— მგონი მშვიდად საუბრობდნენ... ლანძღვას და კამათს შევამჩნევდი.

— შემდეგ რა მოხდა?

— არაფერი, მე წავედი.

დიმოვმა კიდევ რამდენიმე შეკითხვა მისცა; მაგრამ თვალნათელი იყო, კვალს არსაით არ მიჰყავდა. კაპიტანი მიხვდა, სა-

ჭირო იყო დაკითხვის შეწყვეტა, თორემ ახალგაზრდა ფანტაზიორობას დაიწყებდა. ის და უფროსი მარტო დარჩნენ დახუთულ ოთახში — უკმაყოფილონი და გულდამძიმებულნი. დაკითხვამ, რასაკვირველია, ნათელი მოჰფინა ზოგიერთ გარემოებას, მაგრამ არსებითი არაფერი მოუტანა. მკვლელობის უაზრობა სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა. ხოლო რადგანაც ფაქტიურად ასე არ შეიძლებოდა ყოფილიყო, გამოდიოდა, რომ ჭეშმარიტებამდე ჯერ კიდევ ძალიან შორს იყო. დიმოვი დაემშვიდობა განყოფილების უფროსს და ცუდ გუნებაზე გამოვიდა ქუჩაში. დაწყევლილი დღე აღარ ილეოდა, მან კი მხოლოდ ცოტათი მეტი იცოდა, ვიდრე საქმის დაწყებისას. რაღა გავაკეთო დღეს? სადგურის მებუფეტეს ხომ არ გავესაუბრო?

ბუფეტი დაკეტილი იყო, მაგრამ დიმოვმა მაინც იპოვა მებუფეტე სამზარეულოს უკან, პატარა ოთახში. აღმოჩნდა, რომ ის სოფიელია, დილით მოდის სამუშაოზე, ხოლო საღამოს მიდის. რითი? მოტოციკლი აქვს. როგორც მოელოდა კიდეც, მოტორიზებული მებუფეტე ძალზე სქელი მამაკაცი იყო, შეშუპებული თვალებით. ის უხალისოდ წამოდგა ზანდუკივით მოკლე დივანიდან, მიხვდა ვისთანაც ჰქონდა საქმე. აუჩქარებლად, სახე დაღრეჯით წაიკითხა პირადობის მოწმობა, მერე არაფრისმთქმელი თვალებით მიაჩერდა კაპიტანს სახეში.

— რით შემიძლია გემსახუროთ?

დიმოვი მაშინვე მიხვდა, რომ დაუძლეველ ზღუდეს წააწყდა.

— ევტიმ დიბევს იცნობთ?

— არ ვიცნობ, — გულგრილად უპასუხა მებუფეტემ.

დიმოვმა მას მოკლულის პირადობის მოწმობა აჩვენა.

— კარგად დააკვირდით სურათს. შეუძლებელია, ნანახი არ გყავდეთ.

— არ მინახავს, — ისე უპასუხა მებუფეტემ, რომ არც კი დაუხედავს ფოტოსურათზე.

— შემდეგ სანანებელი არ გაგიხდეთ თქვენი სიტყვები... ის ხშირად შემოდიოდა თქვენთან.

— იქნებ შემოდიოდა კიდეც, მაგრამ მე უფრო ჭიქებსა და ფულს ვუყურებ, დრო არა მაქვს ყველა კლიენტს შევხედო.

— მოკლული არც თუ ისე ბევრს სვამდა, — უკმეხად მიუგო დიმოვმა. — სამწუხაროა, რომ ჩვენ ერთმანეთს ვერ ვუგებთ...

მებუფეტე დუმდა. სახეზე ერთი ძარღვიც არ შესტოკებია.

— მოტოციკლეტზე სატარებელი მუზარადი თუ გაქვთ? — კვლავ შეეკითხა დიმოვი.

— მაქვს...

— რა ფერისაა?

— ყვითელი...

— აი სწორედ ასეთი მეირდება მე, — გაბრაზებით მიახალა დიმოვმა.

მან მებუფეტის შეშინებული გამოხედვა დაიჭირა. ღმერთმაც არ უწყის, როგორი გამარჯვება იყო, მისი თანამოსაუბრის მსგავს ადამიანს, საეჭვოა, სუფთა სინდისი ჰქონოდა. დიმოვი გავიდა, სიტყვა აღარ დაუძრავს. ახლა გაკვეთის ოქმის აღების მეტი აღარაფერი დარჩენოდა.

რა თქმა უნდა, რაიმე განსაკუთრებულის გაგებას არ მოელოდა და მაინც...

დოქტორი სტანკოვი კაბინეტში არ იყო. სანამ დიმოვი ფიქრობდა, სად მოეძებნა, ლაბორანტი ქალი შემოვიდა.

— აჰ, მაპატიეთ, — ჯერ კიდევ კარებში ჩაილუღლუღა მან,—ექიმმა თქვა, ჩემთან შემოიაროსო, აქედან ახლოს ცხოვრობს.

დიმოვმა მისამართი ჩაიწერა და უხალისოდ წავიდა. სახლი ახალი იყო, შიგნით ჯერ კიდევ ახალი საღებავის ძლიერი სუნი იდგა. მეორე სართულზე კაპიტანი კარის წინ გაჩერდა, სადაც ექიმის გვარის აღმნიშვნელი სპილენძის ფირფიტა ეკიდა. კაპიტანმა გულმოსულად დარეკა. კარებში გამოჩნდა ხელდაკაპიწებული, გაოფლილი და აღგზნებული ექიმი. მის ზურგს უკან ხმაური ისმოდა, ჯონ ჰოლიდეის ხრინწიან ყვირილს რომ ენაცვლებოდა.

— გთხოვთ, — მხიარულად მიმართა ექიმმა. — ზეიმი უკვე დაიწყო.

— არა, მე არ შემოვალ, — მტკიცედ უთხრა დიმოვმა. — სტუმრები გყავთ, ხელს შეგიშლით...

— რას ამბობთ, შემოდით. ხელს არ შეგვიშლით, ჩვენ სამ-ზარეულოში შევალთ.

დიმოვი ვერ მიმხვდარიყო რატომ დაემორჩილა და როგორ აღმოჩნდა მალე ფართო ნათელ სამზარეულოში, სადაც ისეთი უწესრიგობა სუფევდა, რომ სკამების მოძებნაც კი ძნელი იყო. ექიმმა სწრაფად გაასუფთავა მაგიდის პატარა კუთხე და სკამი მოიტანა.

— ახლავე დაებრუნდები, — უთხრა მან.

და მართლაც დაბრუნდა გასტრონომში ნაყიდი ბუტერბროდებიანი თეფშით, — პურის სქელ ნაჭრებზე თხლად იყო წასმული პაიუსის ხიზილალა.

— დარწმუნებული ვარ, არ გისადილიათ, — უთხრა მან კაპიტანს და თეფში წინ დაუდო.

შემდეგ მოწნული ბოთლის ყელში ჩაიხედა და ჭიქაში გულუხვად დაასხა ღვინო.

— იდეალურია, კიუსტენდილისა, ათ გრადუსიანი, პირდაპირ დოქიდან შეიძლება დაილიოს.

დიმოვმა უეცრად მწვავე შიმშილი იგრძნო. და მაშინვე ხელი ბუტერბროდებისაკენ წაიღო. ორომტრიალში მართლაც დაავიწყდა, რომ არ უსადილია. ექიმი წინ დაუჯდა და ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა დიმოვს.

— მისი მუცელი ისეთივე ცარიელი იყო, როგორც ახლა შენია. რაკია და რამდენიმე პომიდორი... მთვრალი არ ყოფილა, ამაში დარწმუნებული ვარ. მაგრამ ოდნავ თავი უბრუოდა და რეაქცია დაგვიანებული იყო... და ის მკვლელის იოლი ნადავლი გახდა.

— სულ ესაა?

— დიახ... მარგილი იპოვეთ?

— ვიპოვეთ, — უპასუხა პირგამოტენილმა დიმოვმა.

— ეს კი უკვე რაღაცას ნიშნავს. სულ ვფიქრობდი, როგორ მოჰქონდა მარგილი? საეჭვოა, რომ ის მარგილს ნეანდერტალელივით იქნევდა. ალბათ იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი, ხოლო რადგან მარგილი ხორკლიანია, მასზე შეიძლება ტანსაცმლის კვალი იყოს.

— შესამოწმებლად გავუგზავნე, — თავი დაუქნია დიმოვმა, — ქუდთან ერთად. იქვე მახლობლად ქუდი ვიპოვეთ.

— სერიოზულად? — გაკვირვებით შეხედა მას ექიმმა. — მკვლელის მხრიდან ძალზე დიდი თავაზიანობა იქნება, თუ მან წინაფრაზე თითების ანაბეჭდი დატოვა.

— არ მჯერა.

— იცით რაზე მინდოდა თქვენთან საუბარი? ისევ იმ მარგილის თაობაზე... მკვლელს თან ჰქონდა ძალიან ბასრი ხანჯალი. რატომ არ იხმარა ის? რატომ ამჯობინა მარგილი? ბევრი ვიფიქრე და ასეთ დასკვნამდე მივედი, მკვლელს იმედი არ ჰქონდა ხანჯლით მორევისა. მას სწორედ მარგილის იმედი ჰქონდა... მაგრამ რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ ეს მისთვის უფრო ნაცადი საშუალება იყო, დარწმუნებული გახლდათ მის ეფექტიანობაში. გესმით ჩემი აზრი?

— ძალიან კარგად მესმის, მაგრამ საქმე იმაშია, რომ რაიონში ამგვარი შემთხვევა არ ყოფილა.

— და მაინც მოითხოვეთ უფრო დაწვრილებითი ცნობა საოლქო სამმართველოში.

დიმოვს უნდოდა მადლობა გადაეხადა გამასპინძლებისათვის, მაგრამ ექიმმა კვლავ დაუსხა ღვინო. მალე თეფშიდან უკანასკნელი ბუტერბროდიც გაქრა.

— თქვენ მართლაც არ გისადილიათ, — გაკვირვებით უთხრა ექიმმა. — ახლავე ძეხვს მოგართმევთ.

— არა, არ მინდა, — სასტიკად იუარა დიმოვმა. — ჩემი დღე ჯერ არ დამთავრებულა, უნდა წავიდე...

დოქტორმა სტანკოვმა თავისი ფურგონი გამოიძახა დიმოვის ნ-ში წასაყვანად. გზაში დიმოვი იმაზე ფიქრობდა, რომ მსუქანი ადამიანები გამხდრებზე უფრო გულკეთილნი და ნაკლებ გულღრძონი არიან. ნ-ში ექვს საათზე ჩავიდა, მაგრამ პატარა ქალაქი ჯერ კიდევ გაუკაცრიელებული დახვდათ. მხოლოდ განყოფილებაში იგრძნობოდა გამოცოცხლება. უფროსის კაბინეტში რამდენიმე კაცი შეკრებილიყო, ისინი ცხარედ კამათობდნენ რაღაცაზე. დიმოვი რომ დაინახა, პარგოვმა სკამი დაუთმო. პარგოვის სახის გამომეტყველება კარგს არაფერს მოასწავებდა.

და მართლაც, ახალი არაფერი იყო. სასამსახურო ძაღლი მდინარემდე მიჰყვა მკვლელის კვალს. მაგრამ იქ კვალი იკარგებოდა. როგორც ჩანს, მკვლელი მდინარეში შევიდა და სადღაც

გავიდა მოპირდაპირე მხარეს. მაგრამ ზუსტად სად გავიდა — ეს ვერ დაადგინეს.

— ის მაინც რომ გაგვეგო, რომელი მიმართულებით წავიდა, — ნაღვლიანად თქვა პარგოვმა. — ახლა ეძებე სოფელ-სოფელ.

— სოფლები არც ისე ბევრია, — უპასუხა ფიქრებიდან გამორკვეულმა დიმოვმა. — ალბათ მკვლელი მატარებლით წავიდა. იქ კი მხოლოდ რამდენიმე სადგური და სოფელია... როდის გამოგვიგზავნიან ექსპერტიზის შედეგებს?

— შესაძლოა ამ საღამოსვე.

— სხვა გზა არაა, უნდა დაველოდოთ, — ამოიოხრა დიმოვმა. — კიბოების დასაპერად ხომ არ წავიდეთ მდინარეზე? დრო უფრო სწრაფად გავა.

— კარგი იქნება, წადით, თავი შეიქციეთ, — მოულოდნელად დაეთანხმა დოიჩინოვი,—გონებასაც დაასვენებთ.

— შენი რახრახათი ორნი ვიმგზავრებთ? — შეეკითხა დიმოვი.

— ეს უკვე მის სურვილზეა დამოკიდებული, შეიძლება ვიმგზავროთ...

— კეთილი აიღე ჩოგანბადე და წავიდეთ. კოსერში სწორედ იმ დროს მინდა ვიყო, როდესაც მატარებელი ჩამოდის, და იმავე გზით უნდა წავიდე...

— რახან ასეა, „გაზიკს“ მოგცემთ, — შესთავაზა დოიჩინოვმა.

— არა, მოპედით სჯობს წასვლა, ხალხი რომ არ დავაშინოთ... ჰო, მართლა, სად ვიცხოვრებ?

— ჩემთან, — მიუგო დოიჩინოვმა.

— ეს როგორ? — შეეკითხა გაოცებული დიმოვი.

დოიჩინოვმა დაიჭირა ეს ელფერი მის ხმაში.

— ნუ გეშინია, ეს დაახლოებით მხოლოდ ორი კვირით, — გაიცინა მან. ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა ოთახი, რომელიც თქვენთვის დავიქირავეთ. ხოლო თუ გეუხერხულება, შეგვიძლია სასტუმროში მოგაწყოთ...

პროვინციულ სასტუმროზე გაფიქრებაც კი იმდენად არასასიამოვნო იყო, რომ დიმოვმა სწრაფად უთხრა:

— არა-არა! ვიფიქრე, არ შევაწუხო-მეთქი... ჰო, სადაა ჩემი ჩემოდნები?

— უკვე ადგილზეა, — უპასუხა დოიჩინოვმა, — წავიდეთ, ოთახს გიჩვენებ.

5

მოგვიანებით, ერთ თბილ ღამეს, ისინი მდინარესთან ისხდნენ და ისმენდნენ, თუ როგორ ხერხავდნენ კიბოები მაგარი მარწუხებით წყალმცენარეებს. სადღაც ბნელ მინდორში ტრაქტორები გუგუნებდნენ, ხანდისხან შორს მათი ფარების ათინათი გაიელვებდა. მდინარეცა და მინდორიც სავსე იყო უხილავი სიცოცხლითა და წყნარი, იდუმალი ხმებით. წყნარ, მთვლემარე წყალში ხან ბაყაყი მოადენდა ტყაპანს ნაპირიდან, ხან თევზი აატყლაშუნებდა კუდს. საშინელი ზუზუნით დაფრინავდნენ კოღოები, მაგრამ ღრმა ფიქრებში წასულ დიმოვს არაფერი არ ესმოდა, მისი ქალაქური სასმენელნი დახშული იყო ბუნების ჩვეულებრივი ცხოვრებისათვის.

— არ მიყვარს ნაჩქარევი ჰიპოთეზები, — წყნარად დაიწყო ლაპარაკი მან. — თავდაპირველად ყველა შესაძლო ფაქტის შეკრებას ვამჯობინებ. და მაინც, შენი აზრით, რა არის მკვლელობის ყველაზე შესაძლებელი მიზეზი?

— ალბათ, ძარცვა, სხვა რა? — უპასუხა პარგოვმა. — მან გაიტაცა არა მარტო ფული, არამედ სურსათიანი ბადეც...

— სწორედ მაგაშია საქმე! — წამოიძახა დიმოვმა. — ეგ ბადე თავიდან არ მშორდება. ის თავდაყირა აყენებს ყველა შესაძლო ჰიპოთეზას. წარმოიდგინე, რომ იგი მოკლეს შურისძიების, ანდა, ვთქვათ, ეჭვიანობის გამო, დავუშვათ, მკვლელმა ფული იმიტომ წაიღო, რომ ჩვენთვის დაებნია გზა-კვალი. მაგრამ რად უნდოდა სურსათიანი ბადე? ფსიქოლოგიის თვალსაზრისით ეს სავსებით დაუჯერებელია...

— შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ მთლად არა, — ჩაერია პარგოვი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ შენ ლოგიკურად მსჯელობ... მე კი უკვე გითხარი — ჩვენი ხალხისაგან ყველაფერი მოსალოდნელია. არ

გამკვირვებია, რომ დიბევს ქუდი არ ჰქონდა, იმან გამაკვირვა, ის რომ ვიპოვეთ...

— ნუთუ აქაური მაცხოვრებლები ასეთი პრიმიტიულები არიან? — უნდობლად შეეკითხა დიმოვი.

— მათ ტყუილად როდი ეძახიან შერეკილებს — ეს ასეცაა, შენ ამას უბრალოდ ვერ გაიგებ... ადამიანმა ვიღაც მოკლა, შემდეგ კი კოტლეტების ჭამა მოუნდა... ასეთებიც არიან ამქვეყნად...

დიმოვი კარგა ხნით ჩაფიქრდა, დიდი, შავგვრემანი სახე ერთნაირად მოეღუშა.

— ალბათ, მართლაც არიან, — ჩაილაპარაკა მან ბოლოს. — ოღონდ მათ შერეკილებს ნუ უწოდებ. ესენი ნამდვილი გადაგვარებულები არიან. ჩემი აზრით მკვლელი — საცოდავი, საზიზღარი არარაობაა, წვრილი მძარცველი, რომლისთვისაც კილოგრამი ხორციც კი ძვირფასია...

— ახლა ჭრილობები მუცელში? მე მგონია, უბრალო მძარცველი ვერასდროს მოიფიქრებს ამას. თვალის დაუხამხამებლად, როგორც მამალს, ისე დაკლავს თავის მსხვერპლს, ხოლო მერე გაძარცვავს — და ამით გაათავებს...

ჩემი აზრით, ეს ჭრილობები პირადი სიძულვილისა და შურისძიების დამამტკიცებელია...

— ანდა სადიზმისა.

— არა, ეს სულ სხვა საქმეა, — თავი გააქნია პარგოვმა. — სადიზმი და წვრილმანი ძარცვა — სხვადასხვა რამაა...

ისინი ისევ გაჩუმდნენ. ამასობაში კიბოები, რომელთაც არ აინტერესებდათ მორალური პრობლემები, ნელ-ნელა ეპარებოდნენ ხაფანგში მოთავსებულ გატყავებულ ბაყაყებს. კიბოები აინუნშიც არ იყვნენ, თუ რა მუხანათური აღმოჩნდებოდა ასე კარგად მომზადებული საჭმელი, ხოლო ნაპირზე მყოფ, თავიანთი საქმით გართულ ადამიანებს სრულიად გადაავიწყდათ ისინი.

— მოდით, თავიდან დავიწყოთ, — ამოიოხრა დიმოვმა. — ორ საათზე ევტიმ დიბევმა მთელი თვის ხელფასი ერთად მიიღო. განა შემთხვევითია, რომ მკვლელობა სწორედ ამ დღეს მოხდა? ცხადია, შეიძლება შემთხვევითაც მოხდა. და მაინც ყო-

ველი შემთხვევითობა რაღაცაზე მეტყველებს. უფრო იოლია დავუშვათ, რომ ვიღაცამ დაინახა, თუ როგორ ჩაიდო დიბევმა ფული ჯიბეში. მაგალითად, იმავე კროტევმა. ამის შემდეგ დიბევმა ქალაქში შეიარა. იყიდა რაც უნდოდა და სადგურში წავიდა. მატარებლის გასვლამდე კიდევ რჩებოდა დრო და ბუფეტში შევიდა. იქნებ განგებაც მივიდა ცოტა ადრე სადგურში, რათა დაელია. მე გადავათვალიერე მისი უბის წიგნაკი. ყოველთვის, ხელფასის დღეს, ის თავს ამ პატარა და მგონი ერთადერთი ფუფუნების—ორიოდე სირჩა ყურძნის რაკიის დალევის უფლებას აძლევდა, პირველი მარტომ დალია დახლთან, ხოლო მეორეს რომ სვამდა, მასთან ვიღაც მეგობარი მივიღა. დიბევმა ხურდა ფული გადაიხადა, შემდეგ ორივენი მატარებელში ჩასხდნენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ მთელი ამ დროის მანძილზე მკვლელი სადღაც შორიახლო იმყოფებოდა.

— მაინც რატომ? — უნდობლად შეეკითხა პარგოვი.

— ჩვენ ხომ მივიღეთ ძარცვის ჰიპოთეზა. ჯერ ერთი, ამ შემთხვევაში მკვლელმა ან დაინახა ფული, ანდა იცოდა, რომ ამ დღეს დიბევს ფული ექნებოდა. მეორეც, ბუნებრივია, რომ ის თვალს ადევნებდა თავის მსხვერპლს. მაგრამ მე ვფიქრობ, იგი არ გაჰყვებოდა მას უკან, ერთმანეთის ნაცნობები რომ არ ყოფილიყვნენ და არ სცოდნოდა, სად ჩადიოდა. წინასწარ იცოდა, რომ გზატკეცილზე მას თავდასხმისა და მოკვლის საშუალება ექნებოდა. იქნებ ისიც იცოდა, რომ დიბევი ამჯერად უველოსიპედოდ იყო და შეეძლო ყოველგვარ ხელსაყრელ მომენტში დასწეოდა. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ მკვლელი ალბათ იმავე მატარებლით მიდიოდა. ბუნებრივია, ეს საბოლოო დასკვნა არაა, მაგრამ, როგორც ჩანს, სავსებით შესაძლებელია. ჩემი აზრით, სწორედ აქედან უნდა დაიწყოთ ჩვენი ძიება.

— მაგრამ ღმერთმაც არ უწყის რამდენი კაცი მგზავრობს მატარებლით... ეს იგივეა, თივის ზვინში რომ ნემსი ეძიო...

— იგივე არაა, ისინი ხომ ერთმანეთს იცნობდნენ, მაშასადამე, მკვლელი რომელიმე უახლოესი სოფლიდანაა, ეს კი გაგვიადვილებს ძებნას. მაგრამ მივყვეთ მოვლენების კვალს. მკვლელი მატარებელში ჯდება და ჩადის სადგურ კოსერში. გზატკეცილზე ადვილად დაეწევა მსხვერპლს. ვფიქრობ, რომ ისინი ერთად არ მიდიოდნენ. თავიდან მკვლელი საკმაოდ დი-

დი დაშორებით მიჰყვებოდა. რატომ? სრულიად გასაგებია: შემთხვევით რომ ვინმეს ისინი ერთად დაენახა, მერე ეუვს მაშინვე მასზე მიიტანდნენ. მაშინ როგორღა ახსნიდა დიბევის გაქრობას? გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ მკვლელმა ბაღში გადაუხვია და იქ მარგილი ამოაძრო. ერთად რომ მიდენილიყვნენ, ამას ვეღარ გააკეთებდა, რადგან ამით თავისი მსხვერპლის ყურადღებას მიიქცევდა.

— სავსებით სწორია, — თავი დაუქნია პარგოვმა.

— და აი, ახლოვდება მკვლელობის მომენტი. მკვლელი ხედავს, რომ ახლომახლო არავინაა, მან უკვე ამოაძრო მარგილი და, ვთქვათ, იღლიის ქვეშ ამოიჩარა. იგი ნაბიჯს უმატებს და მსხვერპლს ეწევა. ახლა კი ყურადღებით იყავი, პარგოვ, ყველაზე მნიშვნელოვანს მივაღწევ. შენ გჯერა, მკვლელი ისე მიეპარებოდა თავის მსხვერპლს, რომ ვერ გაეგო მისი ფეხის ხმა? და არ მობრუნდებოდა, რომ ენახა ვინ მოდიოდა? მე ეს დაუჯერებელი მგონია... ბოლოს და ბოლოს ეს სოფიის ქუჩა როდია, მიყრუებული მინდორია, გვიანი საღამო, საცაა დაღამდება. საშიშროების შეგრძნებაც რომ არა, უბრალო ცნობისმოყვარეობა მაინც გაიძულებს მობრუნდე...

— თუ ეს კაცი ყრუ არ იყო, კი, — ჩაერია პარგოვი.

— დიახ, ეს მართლაც უნდა შემოწმდეს, — დაეთანხმა დიმოვი. — მაგრამ მისი ასაკის ადამიანს ჩვეულებრივ კარგად ესმის, ნაბიჯები კი მკაფიო იყო, აჩქარებული. დიბევი უკან იხედება და რას ხედავს? პირველი ვარიანტი: მას უცნობი კაცი მოსდევს, ხელში მარგილი უჭირავს. თუ იმასაც დავუშვებთ, რომ მას უაღრესად მშვიდი გარეგნობა ჰქონდა, და მაინც ჩქარობდა — ამაში უკვე არის რაღაცა შემაშფოთებელი. დაკვირვებული ვარ: ადამიანს, რომელსაც ეჩქარება ყოველთვის უთმობ გზას, თუნდაც თავაზიანობის გულისთვის. დიბევი, შეგნებულად თუ ინსტინქტურად, დაუცდიდა უცნობს, გზას დაუთმობდა. მაშინ როგორღა შესძლებდა მკვლელი მისთვის უკანიდან ჩაერტყა და თანაც ასეთი ძლიერი მოქნევით? მე ეს ვარიანტი თითქმის დაუჯერებელი მგონია.

დიმოვმა დაიმედებით შეხედა თანაშემწეს, მაგრამ მისი სახე უაზროდ გამოიყურებოდა.

— შენ არ მეთანხმები?

— პრინციპში გეთანხმები,— უპასუხა პარგოვმა. — მაგრამ წარმოიდგინე, რომ დიბევი ღრმა ფიქრებში იყო წასული. — ამისათვის ვერ ვხედავ ვერავითარ განსაკუთრებულ მიზეზს. თანაც ისეთ ადამიანებს, როგორიც ისაა, შესანიშნავად აქვთ განვითარებული პირველი სასიგნალო სისტემა, ის ძილშიაც კი გაიგონებდა ნაბიჯების ხმას. მაგრამ განვიხილოთ მეორე ვარიანტი — დიბევი მოიხედავს და დაინახავს ნაცნობ ადამიანს, რომელიც მეგობრულად უღიმის: „გამარჯობა ევტიმ, ძლივს დაგეწიე!“ — ...შემდეგ ორივენი ერთად მიდიან. მკვლელი იღებს სიგარეტს, ასანთს, ცდილობს მოუკიდოს, ერთი ნაბიჯით ჩამორჩება, და მაშინ მთელი ძალით ურტყამს თავის მსხვერპლს უკანიდან.

— ალბათ, მასეც იყო —.წაიბურტყუნა პარგოვმა.

— თუ ეს ასე იყო, ხელის ჩასავლები გვაქვს. ისინი ერთმანეთს იცნობდნენ, შეიძლება ერთი სოფლიდან ან მეზობელი სოფლებიდან იყვნენ. გამორიცხული არაა, რომ მკვლელი კოზერიდან იყოს და ეს ვარიანტი ჩვენთვის ყველაზე ძნელი იქნება. რისი თქმა შეიძლება კიდევ მასზე? უდავოდ ის ძლიერი კაცია, უფრო მეტიც — განსაკუთრებული ფიზიკური ძალისა. მაინც მისი ფეხსაცმელების ზომით თუ ვიმსჯელებთ, არც ისე მაღალია. აი ყველაფერი, რაც მის შესახებ ვიცით. სამწუხაროდ, ეს არც ისე ბევრია, რომ სერიოზულ წარმატებაზე ვიფიქროთ. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, რაიმე ახალი მონაცემები უნდა მოვიძიოთ.

— ჩვენ მოვიძიებთ, — დინჯად თქვა პარგოვმა, —ამაში ეჭვი არ შეგეპაროს. თუ იმ ბადეს ვერ მივაგენი, ჩათვალე, რომ ჩემს საქმეში არაფერი მესმის.

— აი სწორედ ამაში მეპარება ეჭვი, — თავი გააქნია დიმოვმა. — ჩემი აზრით, მკვლელი პრიმიტიულია და ვულგარული. მაგრამ სულელი არაა, ამაში შეგიძლია დარწმუნებული იყო. ის მშვიდი და გაბედულია. როგორც ხედავ, ყველა მისი მოქმედება აწონ-დაწონილია. მან ძალზე მოხერხებულად წაშალა კვალი. ისიც არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ რომელი მიმართულებით გაქრა ის, თუმცა სასამსახურო ძაღლიც გამოვიძახეთ. უფრო მეტიც, პარგოვ, მკვლელი ალბათ თან არ წაათრევდა სურსათიან ბადეს, სადმე მახლობლად რომ არ ცხოვრობდეს.

დარწმუნებული იყო, მას სახლამდე მიიტანდა ისე, რომ ვერავინ ვერ შეამჩნევდა.

— აი აქ ჩემთვის ყველაფერი ნათელი არაა, — შეაწყვეტინა მას პარგოვმა. — როგორ მიიტანდა ბადეს სახლში? ცოლი ხომ ჰკითხავდა, საიდან გაქვს სხვისი ბადეო, და რომც არ ეკითხა, მაინც გაიგებდა, მოკლულის ბადე რომ იყო.

დიმოვმა მორცხვად აახამხამა თვალები.

— დიახ, შენ მართალი ხარ, — ცოტა ხნის შემდეგ ჩაილაპარაკა მან. — აბსოლუტურად მართალი, აქ, როგორც ჩანს, საბოლოოდ ავურიე, კი, მაგრამ, მაშინ რაღაზე წაიღო ბადე? იქნებ მარტო ცხოვრობს?

— სოფელში არავინ ცხოვრობს მარტო, — თავი გაიქნია პარგოვმა, — ეს სოფია როდია, სოფელში, ძალიანაც რომ გინდოდეს, მარტო ვერ იცხოვრებ... თითქოს მისი ცოლი უნდა იყოს საქმის კურსში, სხვანაირად როგორ მიიტანდა შინ ნივთიერ მტკიცებას?

დიმოვმა არ იცოდა, რა ეპასუხა.

— იქნებ დივერსიაა, — უხალისოდ თქვა მან, — ფულის მოპარვა, ბადე... ეს იდიოტური ქუდიც ალბათ რაიმე მიზნით აიღო. შემდეგ კი გადააგდო... თუ ასეა, ყველაფერი თავდაყირა დგება. მკვლელობის ჰიპოთეზა გაძარცვის მიზნით უნდა უკუაგდოთ...

— არაფერია უკუსაგდები. მე ხომ გითხარი უკვე, რა უკუღმართები არიან აქაურები.

ისინი გაჩუმდნენ.

— მოდი, ხაფანგები ამოვიღოთ, — დაარღვია სიჩუმე პარგოვმა. — გახსოვს, სად დააგე?

— როგორ არ მახსოვს, — დარწმუნებით თქვა დიმოვმა.

მაგრამ ძლივს იპოვა ხის სახელური. ხოლო როდესაც მახე ამოიღო, დაინახა დიდი კიბო, უშველებელი მარწუხებით რომ ეკიდა ბადეზე. სანამ დიმოვი გაკვირვებით მისჩერებოდა, მან თავი გაითავისუფლა და წყალში მოადინა ტყაპანი.

— გაიქცა ეშმაკის ფეხი! — წაიბუზღუნა დიმოვმა.

და მაინც სამი დიდი კიბო, რომლებიც გატყავებული ბაყაყების თათებს მისწებებოდნენ, მახეში დარჩნენ. დიმოვმა ისინი ზურგჩანთაში ჩააწყო. გამოჩნდა პარგოვი, რომე-

ლიც გზას ჯიბის ფარნით ინათებდა. ხმაში. კმაყოფილება ეტყობოდა.

— ცხრა — ერთიმეორეზე უკეთესი... აი ეს კი ჩექმასავითაა...

— დიახ... დაბნეულად ჩაილაპარაკა დიმოვმა.—და მაინც, ხომ არ აჯობებდა წავსულიყავით?

პარგოვმა შეაგროვა მოწყობილობა. ღამე მიწყნარდა, დაბლა ჩამოწვა ქაოსურად მოციმციმე ვარსკვლავებით მოჭედილი შავი გუმბათი. სანამ პარგოვი თავის რახრახას აამუშავებდა, დიმოვი თვალს არ აშორებდა ცას.

— ღმერთო ჩემო, ვერც წარმოვიდგენდი, თუ მასზე ამდენი ვარსკვლავი იქნებოდა? — წამოიძახა მან. — პარგოვ, როგორ გგონია, ეს ნორმალურია?

— ნორმალურია, — უპასუხა პარგოვმა.

მანაც ახედა ცას და გაკვირვებულმა კეფა მოიფხანა.

— ვფიქრობ არც მთლად ნორმალურია...

— გეგონება საცაა თავზე დაგვემხობაო...

— ამ ადგილს იასნეცი ჰქვია, — ჩაერია პარგოვი. — შესაძლოა, სახელი იქედან მოდინარეობს, რომ ცა აქ ასე ნათელია...

— აი მხოლოდ ჩვენი საქმეები ხდება სულ უფრო ბნელით მოცული...

დიმოვი უკანა დასაჯდომზე მოკალათდა და მოპედი ხტუნვა-ხტუნვით დაიძრა მიჯნებზე. შორს მარჯვნივ ვოინიკოვოს ყვითელი და ბუნდოვანი სინათლეები ციმციმებდნენ, მაგრამ სოფლის ბოლოს მკაფიოდ ჩანდა მოლურჯო-ნეონური ციალი.

— ეს რაღაა? — ცნობისმოყვარეობით იკითხა დიმოვმა.

— კოოპერაციული სახელოსნო, — უპასუხა პარგოვმა, ისე რომ მისთვის არც შეუხედავს — პლასტმასისაგან სხვადასხვა სათამაშოებსა და სავარცხლებს აკეთებენ... და, სხვათა შორის, ბადეებსაც. აქ ეს ბადეები ისპანახზე იაფია. კარგ ფულს იღებენ, მარტო თავის მიწას რომ ამუშავებდნენ, დაიღუპებოდნენ. ჩვენი მიწა ღარიბია და თანაც ცოტაა. ჩვენი ხალხი კი ეშმაკია, განსაკუთრებით ვოინიკოვოელები.

— ეს რა, სალდათური სოფელი იყო?

— ამბრბენ, თურქეთის ბატონობის დროს ისინი სერბიაში მიმავალ გზას იცავდნენო. ახლა კი საბავშვო სათამაშოებს აკეთებენ. აი ასეა საქმეები. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენც სამეურნეო ანგარიშზე აღმოვჩნდებით და შაქრის მამლებს ან საწოვრებს გავაკეთებთ.

ჯერ თერთმეტი საათიც არ იყო. ისინი უკაცრიელ და ბნელ გზატკეცილზე გავიდნენ. თვით ქალაქამდე არათუ სატვირთო მანქანა, ველოსიპედი და ფორანიც კი არ შეხვედრიათ. ღამის სიჩუმეში მხოლოდ მათი მოპედი ჭრიჭინებდა და ასფალტს თავისი ფარების სუსტი სინათლით ანათებდა. პატარა ქალაქს ეძინა, რესტორანი დიდი ხნის დაკეტილი იყო, მოედანზე, მილიციის განყოფილების კარების თავზე საცოდავად ბჟუტავდა მქრქალი ნათურა.

მაგრამ განყოფილებაში ახალი ამბები დახვდა. ექსპერტიზის მონაცემები მოსულიყო. დიმოვმა ყურადღებით წაიკითხა ისინი. შემდეგ, როგორც იქნა, ასწია თავი. სახის გამომეტყველება შეეცვალა.

— მისმინე, პარგოვ! — წამოიძახა მან და ნელა დაიწყო კითხვა! — „ხის მარგილის ქერქზე აღმოჩენილია შინ დართული მატყლის პატარა წვრილი ბეწვები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ბეწვები ქიმიური წესით შეუღებავი ნართისაგან მსხვილად ნაქსოვი პულოვერისაა ან სათბილობლის. ისინი ჩალისფერია, შესაძლოა, ღია ყავისფერიც. გამორიცხული არაა, რომ ეს მატყლის ბუნებრივი ფერია".

— სულ ესაა?

— განა ცოტაა? — აღგზნებულად ჰკითხა დიმოვმა.

— მე ქუდი უფრო მაინტერესებს.

— არა, წინაფრაზე თითების არავითარი ანაბეჭდები არაა. ალბათ, სანამ ქუდს გადააგდებდა, გულდასმით გაწმინდა წინაფრა.

— გასაგებია, — თავი დაიქნია პარგოვმა.

— რაა გასაგები?

— გასაგებია, რომ მკვლელი არც ისეთი სულელია, ჩვენ რომ გვგონია.

— ჰოდა, დანარჩენი? — გაკვირვებით შეეკითხა დიმოვი. —

ჩვენ ახლა ვიცით, რომ მას ეცვა ჩალისფერი პულოვერი. მე ვფიქრობ, რომ ჩალისფერი პულოვერები არც თუ ისე ხშირად გეხვდება.

მაგრამ პარგოვი არ იზიარებდა მის აღფრთოვანებას.

— პირიქით, ამხანაგო დიმოვ, ხშირად სწორედ...

— ოქტომბრის დასაწყისშიც კი? ასეთ ამინდში?

— აქ დიდად არ დაგიდევენ, როგორი ამინდია. მათ აგვისტოშიც შეუძლიათ პულოვერის ჩაცმა... მაგრამ, რასაკვირველია, ეს პულოვერი არაა, ჩვეულებრივი სათბილობელია, ზემოდან რომ იცვამენ.

დიმოვი დარწმუნდა, რომ ეს ფერი აქ საკმაოდ გავრცელებული იყო. იმავე საღამოს დარწმუნდა, როდესაც პარგოვმა ახალ ბინაში მიიყვანა. პოდპოლკოვნიკი სამზარეულოში უცდიდა, მას ერთი ლოყა მეორეზე უფრო წითელი ჰქონდა. აშკარად ეტყობოდა, ნამძინარევი იყო. დიმოვი ზღურბლიდანვე მის სათბილობელს მიაჩერდა.

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ჩვენ უკვე ვიცით მკვლელის ვინაობა, — მხიარულად უთხრა მან.

— ვინაა? — წარბები ასწია დოიჩინოვმა.

— თქვენ.

— მართლა? — შეეკითხა დოიჩინოვი, — როგორ მიხვდი?

— ძალიან ადვილად, — მას ისეთივე სათბილობელი აქვს, როგორიც თქვენ.

— აი ეს უკვე რაღაცას ნიშნავს, — მთქნარებით წაიბურტყუნა პოდპოლკოვნიკმა, — ყოველ შემთხვევაში, ის მაინც ვიცით, რომ ტიტველი არ ყოფილა...

ცნობისმოყვარეობის გამო დიმოვი ხელით შეეხო სათბილობელს.

— მატყლის ფერი ბუნებრივია?

— არა, მაგრამ არც შეღებილია. მგონი ქალები კაკლის ფოთლებს ხარშავენ და შიგ მატყლს დებენ. თუ ნახარში მაგარია, მაშინ ყავისფერის მიღება შეიძლება. მაგრამ ქალები ღია ფერებს ამჯობინებენ...

მალე ისინი ჭრიალა კიბით უკვე მეორე სართულზე ადიოდნენ.

6

მიუხედავად იმისა, რომ მძიმე დღე იყო, დიმოვს საუცხოოდ, უსიზმროდ ეძინა. როდესაც გაიღვიძა, დაინახა, რომ ოთახი მზეს გაეჩახჩახებინა და კრიალი გაჰქონდა. იატაკი, რომელიც ჩვეულებრივი შეუღებავი ფიცრებისაგან იყო დაგებული, პირდაპირ ბრწყინავდა. ლილაში გავლებული ზეწრები ისე იყო გახამებული, ტკაცატკუცი გაჰქონდა. უჩვეულო სიწყნარე იყო, ღია ფანჯარაში წყალივით ცივი და კამკამა ღილის სინათლე იღვრებოდა. დიმოვს მობეზრდა გვამებსა და მკვლელებზე ფიქრი. მას თბილი რძე მოუნდა, სქელი და ადუღებული. ოღონდ რძიან ჯამში ჩაყრილი უნდა ყოფილიყო დაქუცმაცებული შინაური პური. ისევ მოუნდა მდინარესთან ჯდომა და მისი ჩუმი ბუტბუტის მოსმენა... დიმოვი ოხვრით ადგა. ღილის ვარჯიშს რომ ასრულებდა, ქვედა სართულიდან მსუბუქი ნაბიჯების ხმა მოესმა. ჩანს, მასპინძლები უკვე ამდგარიყვნენ და შეიძლებოდა დაბლა ჩასვლა.

სამზარეულოში შემოხვდა დაბალი, მსუქანი და გაჭაღარავებული ქალი. თუმცა მას ოცი წლის გოგოსავით წითელი გლუვი კანი ჰქონდა. ქალს იაფფასიანი ჩითის კაბა და ყავისფერი კოფტა ეცვა. მან გაუღიმა და შინაურულად უთხრა:

— გესმოდა, როგორ ყეფდა ღამით ძაღლი? ცოფიანივით უცებ აყეფდა. ჩემთვის ვფიქრობდი დაუფრთხო ძილი კაცსმეთქი.

— მე არაფერი გამიგონია.

— ეს ჩვენი ძაღლი არაა, მეზობლისაა... ზოგჯერ გადაირევა ხოლმე — ალბათ თხუნელას თუ იყნოსავს ან ქრცვინს. ჰოდა, ძალიან კარგი, რომ არ გაგიგონია. დაკვირვებული ვარ: როდესაც ჩვენთან სოფიიდან ჩამოვლენ ხოლმე, მათ ზარბაზნითაც ვერ გააღვიძებ. ალბათ თქვენ იქ ადამიანური ძილის საშუალებაც არ გაქვთ.

— ეს ნამდვილად ასეა.

ქალმა მის ძველ ნესესერს შეხედა.

— გაიპარსავ? წყალი უკვე გაგიცხელე.

დიმოვს არ უყვარდა გადაჭარბებული მზრუნველობა — ყურადღება უფრო უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა, ვიდრე

უიმისობა. მან მრგვალი ლოყები გაისაპნა და გულმოდგინედ დაიწყო მათი ფხეკა დაბლაგვებული სამართებლით. ახალგაზრდობაში გავლილმა სიღარიბემ მომჭირნეობა შეასწავლა და არასდროს არ აგდებდა ნახმარი სამართებლის პირს, რომლითაც კიდევ ერთხელ შეიძლებოდა გაპარსვა. ეს, საერთოდ უაზრო ეკონომია, მას ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი.

— სადაა პოდპოლკოვნიკი? — შეეკითხა იგი.

— ეზოში ყვავილებს რწყავს.

როდესაც ცოტა ხნის შემდეგ საუცხოო გუნებაზე მყოფი დოიჩინოვი სამზარეულოში შემოვიდა, დიმოვს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ მას თავისი ფეხები უფრო მოერწყა.

— მოდი ვისაუზმოთ, — თქვა დოიჩინოვმა. — შემდეგ კი დღევანდელ დღეზე ვიფიქროთ.

მათ ცხვრის თბილი რძე შესვეს, ხოლო მერე ერთად წავიდნენ განყოფილებაში. პარგოვი უკვე წასულიყო საქმეზე, მაგრამ სხვა თანამშრომლები მორიგის ოთახში უცდიდნენ დიმოვს. დიმოვმა ყურადღებით შეათვალიერა ისინი. ერთი ერთობ გადაპრანჭული იყო. დიმოვმა, დღის დავალებებს დაწვრილებით რომ უხსნიდა მათ, შენიშნა, ეს ფრანტი მაინცდამაინც დიდი ყურადღებით არ უსმენდა.

— შენ მგონი პირვანი გქვია, — მოულოდნელად შეწყვიტა დიმოვმა ახსნა-განმარტება.

— პირვანი, ამხანაგო კაპიტანო... პირვან მიშევი...

— ყური მიგდე, პირვან, ხომ არ გაისეირნებდი — წინადადება მისცა დიმოვმა.—სწორედ ამ დროს გიმნაზიელი გოგონები სამეცადინოდ მიდიან.

ოთახში ხმამაღალი ხარხარი გაისმა — ნათელი იყო, დიმოვმა მიზანში მოარტყა. პირვანი ადგილიდან არ იძვროდა და გაოცებით უყურებდა მას.

— სრულიად სერიოზულად გეუბნები, — ამჯერად უფრო მკაცრად მიმართა დიმოვმა. — წადი, ჯერ გონს მოდი, შემდეგ კი მოვილაპარაკოთ.

დაბნეული პირვანი გასასვლელისაკენ გაემართა. ახსნა-განმარტების დამთავრების შემდეგ დიმოვმა აიღო რაიონის რუკა და ყურადღებით დააცქერდა. მაგრამ რუკა — ეს მხოლოდ რუკაა. საჭიროა ყველაფერი შენი თვალით ნახო. აქ იქნება მისი

ბრძოლის ველი და ყოველივე წვრილმანი უნდა იცოდე. ცოტა ხნის შემდეგ ის დოიჩინოვთან წავიდა — მანქანის სათხოვნელად. პოდპოლკოვნიკი ფანჯარასთან იდგა და დაბნეულად იყურებოდა დამტვერილი მინიდან.

— მაშასადამე, შენ პირვანი გააგდე, — გაიღიმა მან, მაგიდასთან რომ ჯდებოდა.

— მან რა, იჩივლა? — ფრთხილად ჰკითხა დიმოვმა.

— რაზე უნდა იჩივლოს, თუ დამნაშავეა, გაიღიმა დოიჩინოვმა. — უბრალოდ ასე მითხრა.

დაბნეულმა დიმოვმა კეფა მოიფხანა.

— მომიტევეთ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, თქვენ მისი ნათესავი ხომ არ ბრძანდებით?

—რა ნათესავი? — ცნობისმოყვარეობით შეხედა მას დოიჩინოვმა.

— ვთქვათ, თუნდაც ბიძა.

— დიახ, მისი ბიძა ვარ, — გაიცინა დოიჩინოვმა. — საინტერესოა, როგორ მიხვდი?

— აბა, სხვა ვინ შესჩივლებს უფროსს, როდესაც თავადაა დამნაშავე? ბუნებრივია, მხოლოდ ნათესავი...

— რასაკვირველია, ეს ასეა, — თავი დაუქნია დოიჩინოვმა. — შენ მართალი ხარ... ის გოგონებზე უფრო ფიქრობს, ვიდრე სამსახურზე. საერთოდ კი საკმაოდ ჭკვიანი ბიჭია.

— რა განათლება აქვს?

— შენ ფიქრობ, რომ მას განათლება არა აქვს? სკოლა საკმაოდ კარგი ატესტატით დაამთავრა. და მაინც ვერ გააგრძელა სწავლა უნივერსიტეტში. ეს ადგილი, როგორც ჩანს, სხვებისთვისაა.

— მაინც სად მოეწყო?

— ლიტერატურულზე...

— ჰა-ჰა...

— რატომ „ჰა-ჰა“?

— უბრალოდ გამეცინა... ლექსებს ხომ არ წერს?

— წერს და კარგ ლექსებსაც წერს. მაგალითად, სპარტაკზე.

— დიახ, გასაგებია... და წითელ ესკადრონებზეც.

— აბა, აბა, მე ნუ მეხები, უმაწვილო, ცოტა რამ ჩვენც გაგ-

ვეგება ლიტერატურაში, თუ გინდა იცოდე, ოცდათორმეტ წელს „ლურჯ ხალათებში“ ვთამაშობდი.

ამჯერად დიმოვი შეცბა. ის აზრზე არ იყო, რა ლურჯ ხალათებზე იყო ლაპარაკი. ამ თემაზე პატარა ლექციის შემდეგ დიმოვმა ბოლოს და ბოლოს მიიღო მანქანის წაყვანის ნებართვა და გავიდა. სამორიგეოში მან პირვანს უთხრა:

— ჩემთან წამოხვალ.

პირვანი ენერგიულად წამოხტა.

მანქანაში ისინი დიდხანს ჩუმად იყვნენ. გზის ორივე მხარეს შემოდგომის უკაცრიელი მინდვრები გადაჭიმულიყო. მხოლოდ ზოგჯერ გაიელვებდა ცხვრის ფარა. ბოლოს დიმოვი შეეკითხა:

— რა ქენი, ნასე იქ გიმნაზიელი გოგონები?

ყმაწვილმა დაბნეულად შეხედა მას:

— მე ვიფიქრე, რომ ეს ბრძანება იყო.

— ნამდვილად ბრძანება იყო. როგორია შენი შთაბეჭდილება?

პირვანს ვერ გაეგო, ხუმრობდა თუ სერიოზულად ამბობდა დიმოვი.

— არა უშავს, — უპასუხა მან.

— რა მნიშვნელობით ამბობ მაგას?

— როგორ გითხრათ... პრინციპში გოგონები გოგონებია, აუგს ვერ იტყვი. ეს კია, ცოტა ფეხები აქვთ წვრილი.

— ეს როგორღა შენიშნე?

— ისინი ხომ მინი ქვედა კაბებში არიან.

— გიმნაზიელი გოგონები? — გაკვირვებით შეეკითხა დიმოვი. — განა მათ ამის ნებას აძლევენ?

— ცხადია არ აძლევენ, მაგრამ გოგონები ეშმაკები არიან: როგორც კი სკოლასთან მივლენ, მათი კაბები კვლავ ნორმალური სიგრძის ხდება.

მანქანა ვოინიკოვოში შევიდა. გზატკეცილის ორივე მხარეს თავს იწონებდნენ ყვითლად და ლურჯად შეღებილი პატარა სახლები. მათ ფანჯრებს ერთფეროვანი მუქი მწვანე დარაბები ჰქონდა. ქუჩებში ხალხი არ ჩანდა, მხოლოდ ზოგჯერ რომელიმე მოხუცი ქალი ისე გადაჭრიდა გზას, რომ მანქანას არც უყურებდა. პატარა მოედნის ცენტრში ძეგლი იდგა. მანქანა მის ახლოს გაჩერდა. დიმოვმა მძღოლს მიმართა:

— რადიატორში წყალი ჩაასხი...

პირვანმა და დიმოვმა ცარიელ კაფეში შეიხედეს.

— ეს ვოინიკოვოელები შერეკილები არიან, — თქვა პირვანმა. — არც კაფეში, არც რესტორანში თითქმის არ დადიან. ან სახლში ქეიფობენ, ანდა საერთო სუფრას აწყობენ.

დიმოვი ხმას არ იღებდა.

— აი, დღეს, მაგალითად, ქელეხზე ისეთ სუფრას შლიან, როგორც ქორწილში. — განაგრძობდა ბიჭი. — თითქოს მხოლოდ ამას ელოდებოდნენო. ვერ წარმოიდგენთ, როგორი ტირილი ატყდება ხოლმე. აქაური ქალები ყველაზე სახელგანთქმული მოტირალები არიან, არა მარტო ამ მხარეში, არამედ მთელს ბულგარეთში. შორი მხრიდან მოდიან ფორნებითა და „მოსკვიჩებით“ დასაფლავებაზე მათს დასაპატიჟებლად. ნეტავი მოგასმენინათ, ამხანაგო დიმოვ, როგორ მოთქვამენ, ღმერთმანი მთელ სოფელს აატირებენ. ახლა წარმოიდგინეთ რა მეორედმოსვლა იქნება, სულ ცოტა ოცი მოტირალი მაინც რომ შეიყრის თავს ერთად. ნახავთ, როგორი განაწამები დაბრუნდება პარგოვი...

— მერე ხომ კარგად დანაყრდებიან!

— ეს მართალია, — დაემოწმა პირვანი.

გულეშიდან ვოინიკოვომდე ორი ნაბიჯია. გავიდნენ თუ არა ერთი სოფლიდან, მეორე დაიწყო. დიმოვმა პირველად ნახა, თუ რა განსხვავებული შეიძლება იყოს მეზობელი სოფლები. უპირველეს ყოვლისა, აქ გაცილებით დიდი ეზოები ჰქონდათ, ყველა ეზოს სიღრმეში უშნო სახლი იდგა. ჩატეხილ ღობეებზე ქათმები გადიფრენდნენ ხოლმე, გოჭები ზედ მანქანის წინ ხტოდნენ. ქუჩაში ძალიან ბევრი ბავშვი თამაშობდა, ყველა პატარა და ქერათმიანი. ვოინიკოვოსთან შედარებით მოედანი აქ უფრო დიდი იყო, მას ორი თანამედროვე შენობა ამშვენებდა. კაფე არ იყო, მაგრამ სამაგიეროდ ორი სალუდე ჰქონდა, შედარებით პატარა სალუდე თითქმის ცარიელი გახლდათ, მხოლოდ რამდენიმე პენსიონერი მოხუცი, წინ რომ თითო სირჩა მენტოვკა ედგათ, სხვადასხვა კუთხეებში ყვინთავდა. მეორე ორგანყოფილებიან რესტორანს წააგავდა. პირველი სათავსი სულ ცარიელი იყო, მაგიდებზე სუფთა, გახამებული სუფრები ეფარა, მეორეში ნემსი არ ჩავარდებოდა. კლიენტები გამწარებით თამა-

შობდნენ ბანქოს. პირვანის გამოჩენამ ხალხი დააფრთხო. ლაპარაკი წამში შეწყდა, ბანქო ხელებში გაუშეშდათ. პირვანი სწრაფად გასცილდა იქაურობას.

— შენ აქ ყველა გიცნობს? — შეეკითხა დიმოვი.

— რას იზამ, ეს ხომ სოფია არაა.

— ფულზე თამაშობენ?

— ფულზე... მაგრამ დაჭერა ძნელია. ანგარიშს ქუჩაში უსწორებენ ერთმანეთს, პირისპირ. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ გულეშელები მაღალი კლასის, ძველთაგანვე განთქმული ბანქოს მოთამაშეები არიან.

მთავარ ქუჩაზე სიცოცხლე დუღდა და გადმოდუღდა. სოფელი გაერთიანებული მეურნეობის ცენტრს წარმოადგენდა. აქ იყო სარემონტო სახელოსნოები, ბუღალტერია, გარაჟები, სამსახურები და კანცელარიები. აქვე იყო კარაქის ფაბრიკა და ტაპანჭალვის ფაბრიკა. ერთი სიტყვით, სოფელი მდიდარი და ღონიერი გახლდათ.

— გულეშელები ოდითგანვე — განაგრძობდა პირვანი, — ყოჩაღი ხალხია. პაპაჩემი მიყვებოდა, ძველ დროში აქაური ხელოსნები ცხენებსაც ჭედავდნენ და ფორნებსაც არემონტებდნენ. მაკედონიიდან და სერბიიდან მომავალი ყველა ქარავანი აქ ჩერდებოდა. მას შემდეგ, რაც აქ საზღვარი გავიდა, სამუშაოები შემცირდა, ხელოსნები ხელცარიელნი დარჩნენ და მაშინ ისინი გარე სამუშაოებზე წავიდნენ. ეს ჩვეულება მათ დღემდე შემორჩათ, ისინი ფიქრობენ, რომ სხვა ადგილას უფრო ბევრ ფულს იშოვნიან, რომ იქ უფრო ლამაზი ქალები არიან, და ვინ იცის კიდევ რა უდევთ გულში... სინამდვილეში ასეცაა, აქაური ქალები გამხდრები და ულვაშიანებია, ხოლო თუკი ულვაშიან ქალს ნახავ, იცოდე, ის წყეულია.

— შენ მგონი ცხოვრებისეული გამოცდილება არ გაკლია,— ნახევრად ხუმრობითა და ნახევრად სერიოზულად მიმართა დიმოვმა.

— ეს ხომ ჩემი რაიონია, უნდა ვიცნობდე ხალხს. პირდაპირ გეტყვით, ჩვენ მივეჩვიეთ უსიამოვნებებს. კაჭკაჭებივით ქურდები არიან ისინი. მათთვის მთავარია მოიპარონ, ხოლო გამოადგებათ თუ არა მოპარული ნივთი — ამაზე არ ფიქრობენ. ქურდობაზე არ ჩივიან. არც მეცნიერებას სცემენ აქ პატივს —

სოფელი დიდია, ხოლო უმაღლესი განათლება ცოტა ვინმეს თუ აქვს. იცით, ამხანაგო დიმოვ, რა არის გულეში?

— არ ვიცი...

— ეს პატარა თევზია, რომელსაც არავინ არ ჭამს. პატარა, მაგარი, როგორც ფესვი და ამასთან შხამიანიც. სხვა თევზებიკით კი არ დაცურავს, არამედ ნაპირთან წევს სილაში. არავინ იცის, საერთოდ თუ ჭამს რაიმეს. დღემდე გულეში არასდროს არ წამოგებულა ჩემს ანკესზე. აი მხოლოდ რა არ ვიცი, სოფლის პატივსაცემად ჰქვია თევზს სახელი თუ სოფელს თევზის პატივსაცემად. მამას უნდა ვკითხო, ანდა უკეთესია პაპას. პაპასაგან ასეთი დარიგება გამიგონია: „ცოლის მოყვანას რომ დააპირებ, შვილო, იცოდე, გულეშიდან არ შეირთო... ისინი ხომ ობობასავით ფეხმრუდეები და ბზიკებივით ბრაზიანები არიან". მე რა გიჟი ვარ, გულეშელი გოგო ვითხოვო?

— ასეც ნუ აიღებ ხელს მათზე, — გაიღიმა დიმოვმა. — სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი.

— ამხანაგო კაპიტანო, მას ყურს ნუ უგდებთ, — მოულოდნელად ჩაერია მძღოლი. — ჩვენი ქალები — ცეცხლს ჭვანან, მართალს გეუბნებით. მართალია, მამაკაცები ცოტა ავაზაკები არიან, მაგრამ ქალები — ვიმეორებ, ცეცხლს ჭვანან. ყოველი მათგანი რამდენიც გნებავთ, იმდენ ბავშვს გააჩენს. ათიც რომ შვას, მაინც ქალიშვილივით ტანადი დარჩება. გინახავს შენ ჩვენს სოფელში სქელი ქალი? — მიუბრუნდა ის პირვანს.

— სწორია, დამავიწყდა, რომ შენ გულეშელი ხარ, — დარცხვენით წაიბურტყუნა პირვანმა.

— თქვენებური ქალი ერთს შობს და მაშინვე ღორის ძეხვს დაემსგავსება, — დაუმატა მძღოლმა.

— მაგრამ ღორის ძეხვი გამოყვანილ თხის ხორცზე ნაკლები არაა, — გესლიანად შენიშნა პირვანმა.

მათ შორის სასტიკი კამათი დაიწყო. მთელი ამ ლაპარაკის ერთადერთი სიკეთე ის იყო, რომ ვერც კი გაიგეს როგორ მიაღწიეს ქალაქს. განყოფილებაში ახალი ცნობები არ შემოსულიყო და დიმოვმა კვლავ გადაშალა ევტიმ დიბევის უბის წიგნაკი. უკანასკნელ დღეებში მისი ხარჯები ძალზე ცოტა იყო. მხოლოდ ერთი ასე თუ ისე დიდი თანხა — „3 ლევი იან. ველ. — თვის" ეს ალბათ ნიშნავდა: იანკოს „ველოსიპედისათვის". პატარა რე-

მონტისათვის — სავსებით საკმარისი თანხაა, გაურკვეველი — ბოლოდ ის იყო, რატომ გადაიხადა ფული, როდესაც ველოსიპედი ჯერ კიდევ მზად არ იყო. იქნებ ეს საწინდარია? მაგრამ ისეთი ძვირფასი ნივთის რემონტისათვის, როგორიც ველოსიპედია, საწინდარს არ იღებენ. ყოველ შემთხვევაში, უნდა შემოწმდეს. ბოლოს და ბოლოს „იანი" ერთ-ერთი იმათგანია, ვინც იცოდა, რომ დიბევი ველოსიპედად დაბრუნდებოდა.

ამასობაში თანამშრომლებმაც დაიწყეს მოსვლა. მათ დიმოვს მოახსენეს, რაც ნახეს და გაიგონეს, გაუზიარეს თავიანთი ვარაუდები. ბოლოს პარგოვი დაბრუნდა საშინლად დაღლილი, მაგრამ კარგ გუნებაზე, რომელიც სახელგანთქმულ გულეშელ მოტირალებსაც კი ვერ წაეხდინა.

— რაიმე სასიყვარულო ხასიათის მიზეზი უნდა გამოვრიცხოთ, — დაიწყო მან თავისი მოხსენება. — მისი მეუღლე რადა ნამდვილი ბულგარელია, ჯანმრთელი, დინჯი, გონიერი, ერთგული. მართალია, ის დარდით გულმოკლული იყო, მაგრამ თავს იკავებდა, მხოლოდ მაშინ აქვითინდა, კუბო საფლავში რომ ჩაუშვეს... ხალხი პირდაპირ გაოცებულია, როგორ დაემართა ასეთი რამ სწორედ მას.

— მაინც ვისი მიზეზით არა ჰყავდათ შვილები?

— ეტყობა ქალის მიზეზით, თუმცა მათ სპეციალისტებისათვის არ მიუმართავთ. ევტიმი ნამდვილი მამაკაცი იყო, მაგრამ ერთგული მეოჯახე. მას არ ახსოვს, რომ ევტიმს სამუშაოდან მოსვლა დაეგვიანებინოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხაზზე ავარია ხდებოდა. იგი კარგად ექცეოდა ცოლს. ორშაბათს ისინი საპარეოში აპირებდნენ წასვლას. რადამ ფარშისათვის ორი კილოგრამი ხორცის, ერთი ბოთლი ზეითუნის ზეთისა და ცოტა პომიდორის ყიდვა დაავალა, რათა პირველ დღეებში საჭმელი ჰქონოდათ. მას ძალიან უხაროდა, ცოლთან ერთად დასასვენებლად რომ მიდიოდა. ღარიბი კაცისათვის ეს დიდი დღესასწაულია.

— მათ დანაზოგი ჰქონდათ?

— დიახ, ცოტა თანხა დააგროვეს. რადა თოჯინების საამქროში მკერავად მუშაობს და თითქმის იმდენსავეს ღებულობს, რამდენსაც ევტიმი. ისინი ფულს აგროვებდნენ ახალი სახლის ასაშენებლად. ევტიმი კიდევ მოტოციკლისათვის აგროვებდა.

შემნახველი სალაროს წიგნაკი, რასაკვირველია, ქმრის სახელზეა, ასეა ჩვენში, მაგრამ ფულის მოხმარების საქმეს ქალი განაგებდა. მე დაწვრილებით გამოვკითხე, ხომ არ ჰყავდა ევტიმს ვინმე ძველი მტრები-მეთქი. მე ვფიქრობ, ეს გამორიცხულია.

— ველოსიპედი?

— ის მან გულეშში მექანიკოს იანკო ნესტოროვს მისცა: საკისარისა და კიდევ რაღაცის, დამავიწყდა რისი, გამოსაცვლელად.

იანკოსთან მივედი, მაგრამ ველოსიპედი კიდევ არ ჰქონდა გამზადებული, ანდა რაღად უნდა ახლა?

— სულ ეს არის?

— არა ყველაზე მთავარი არ მითქვამს... ორს მაინც უნახავს ევტიმი გზატკეცილზე. ხოლო ერთმა მათგანმა, ალბათ, მკვლელიც დაინახა.

დიმოვი შეკრთა:

— ახლოს ნახა?

— არა, ახლოს არა, მან ვერც კი იცნო. ასე რომ ყოფილიყო, იქიდან დავიწყებდი. პირველი ევტიმს შეხვდა მაშინ, როდესაც ის კოსერიდან გამოდიოდა. ევტიმი მარტო მიდიოდა, ხელში ბადე ეჭირა. გვერდით არავინ ახლდა. მაგრამ მეორე შეხვდა მკვლელობის ადგილთან ახლოს, ხილის ბაღის გვერდით. ისინი ერთმანეთს მიესალმნენ და მეტი არაფერი. ევტიმმა გზა განაგრძო. ეს მეტრში მას მეორე კაცი მიჰყვებოდა. მოწმემ, სპასმა შორიდანვე შეამჩნია: თითქოს ახალგაზრდა იყო სამოქალაქო ტანსაცმელში. კარგად არ ახსოვს, მაგრამ ფიქრობს, რომ მუქი ტანსაცმელი ეცვა. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებულია, რომ გამვლელს ღია ფერის სათბილობელი არ ეცვა.

— იქნებ სათბილობელი კოსტიუმის ქვეშ ეცვა?

— შეიძლება ასეც იყო, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია. მაშინ რა გამოდის — მკვლელმა მარგილი კოსტიუმის ქვეშ დამალა? ეს ერთობ საეჭვო იქნებოდა. უფრო ბუნებრივია მარგილი იღლიაში გეჭიროს — ვთქვათ ძაღლების შესაშინებლად. ასე იყო, თუ ისე, როდესაც სპასი ევტიმს გასცდა, უცნობი უკვე ველარ დაინახა, თითქოს მიწამ უყო პირიო. და საერთოდ გადაავიწყდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც დაწვრილებით დავუწყე გა-

მოკითხვა, მოიგონა, რომ გზატკეცილზე კიდევ ვიღაც იყო, ამაში ის დარწმუნებულია.

— მაშასადამე, ის მკვლელი იყო, — დარწმუნებით თქვა დიმოვმა, — თორემ რატომ დაიმალებოდა? მაგრამ მაშინ ჩემთვის სრულიად გაუგებარია სათბილობლის ისტორია.

— ჩემთვისაც. და საერთოდ რაც უფრო მეტ წერილმანს ვიგებთ, მით უფრო ვიბნევით, კროტევის საქმე როგორღაა?

— ისიც გაურკვეველია, — უპასუხა დიმოვმა. — მისი სიტყვებით, მან ხელფასი აიღო და სადგურში წავიდა. რატომ სადგურში და არა ქალაქში? იცი, თურმე იმიტომ, რომ სადგურში ბუფეტი ადრე იღება. დაჯდა ერთ-ერთ გვერდით მაგიდასთან და ანისისა და ყურძნის არყის ნარევი შეუკვეთა. კროტევი ამტკიცებს, რომ სადგურში საერთოდ არ უნახავს ევტიმ დიბევი. ოფიციანტს, რომელიც მას ემსახურებოდა, ახსოვს სად იჯდა ის და რას სვამდა, მაგრამ არ ახსოვს, როდის წავიდა — ექვსზე თუ შვიდზე. და საერთოდ, დარწმუნებით ვერ ამბობს, რომ ის მუშათა მატარებლით არ წასულა.

— კროტევი რაღას ამბობს?

— კროტევი ამბობს, რომ არაფერი არ ახსოვს. ძლივს მოიგონა, რომ ამის შემდეგ წავიდა რესტორან „ახალ ჰამბრინუსში", სადაც მეგობრებს შეხვდა. მოვძებნეთ ეს მეგობრები, მაგრამ ისინი ზუსტად ვერ ამბობენ, რომელ საათზე მოვიდა ის. ერთი ამბობს — ცხრაზეო, სხვები — ათის ნახევარზეო. მაგრამ ყველანი ერთხმად ამტკიცებენ, რომ ის ძალიან მთვრალი იყო. შეკვეთებს აძლევდა, პატიჟობდა, იხდიდა, ერთი სიტყვით ხელიდან იყო წასული. თერთმეტის ნახევარზე მეგობრებმა ძლივს გამოათრიეს რესტორნიდან და სახლში წაიყვანეს.

— მაშასადამე, მას ფაქტიურად ალიბი არა აქვს, — წარბშეკვრით თქვა პარგოვმა.

— არა. მაგრამ ის ისეთი მთვრალი იყო, რომ მე ვერ დავუშვებ...

— მე ვერ ვიცილებდი აზრს, რომ მხოლოდ მთვრალს შეეძლო ასეთი იდიოტური მკვლელობის ჩადენა. მაგრამ ჩვენ ხელთა გვაქვს რამდენიმე საათი. და როგორ არ ახსოვს, სად იყო?

— ალკოჰოლისტებს ეს ხშირად ემართებათ.

დიმოვმა მაგიდიდან ახალი საქაღალდე აიღო და გაშალა იგი. მასში რამდენიმე სია იდო.

— მე ბიუროკრატი არა ვარ, მაგრამ ახლა მთელი ჩემი იმედები სიებზეა დამყარებული, — მხიარულად თქვა მან. — აქ ოთხი სიაა, სულ ას თექვსმეტი სახელი. ეს ის ხალხია, რომელთაც სამგზავრო ბილეთები კოსერამდე, ვოინიკოვამდე და გულეშამდე ჰქონდათ. ალბათ იმ დღეს ყველამ ან თითქმის ყველამ მატარებლით იმგზავრა. ისინი კარგად იცნობენ ერთმანეთს, ჩვეულებრივად ჯგუფურად მგზავრობენ და სადგურიდან შინ ერთად მიდიან. ასე რომ, როგორც ხედავ, ჩვენი ამოცანა ძალზე იოლია. თუ ვივარაუდებთ, რომ მკვლელი მატარებელში იყო, ძნელი დასაშვებია, ამ ას თექვსმეტი კაციდან ის ბუფეტში ან მატარებელში არავის ენახა. მაგრამ, რასაკვირველია, ვერავინ დაინახავდა როგორ ჩავიდა ის სადგურ ვოინიკოვოში ან გულეშში იმიტომ, რომ ამ დროს უკვე ვოინიკოვოსაკენ მიმავალ გზატკეცილზე იმყოფებოდა. უფრო რთულადა დგას კოსერში მიმავალ მგზავრთა საქმე, ისინი ხომ აქ ყველაზე ბევრი არიან, ყოველ- მათგანს შეეძლო სხვებისაგან შეუმჩნევლად გაჰყოლოდა დიბევს უკან.

— დიახ, გასაგებია, — დაეთანხმა პარგოვი.

— ამ სიაში — მეოთხეში — ოცდათერთმეტი გვარია. ეს ხალხი საიმედოდ უნდა მივიჩნიოთ. ჩვენ დასახმარებლად უნდა მივმართოთ მათ, შემდეგ კი შესაძლებელია სხვა გზებიც მოვძებნოთ.

— შესაძლებელია, მკვლელი ერთგზისი ბილეთით მგზავრობდა.

— ამას არა აქვს მნიშვნელობა — მას ხომ თავზე უჩინმაჩინის ქუდი არ ეხურა. სულ ერთია მას ვინმე შეხვდა, ვიღაცამ დაინახა.

— კი მაგრამ, ის თუ მატარებელში არ იყო?

— ჩვენ ახლა ვამოწმებთ ჰიპოთეზას, რომ ის მატარებელში იყო, — მოუთმენლად თქვა დიმოვმა, — და იმას, რომ ის დიბევის ნაცნობი იყო, როდესაც ჩვენ აქ სავსებით ამოვწურავთ ყველა შესაძლებლობას, შაშინ სხვა გზებით წავალთ. მაგრამ, ბუნებრივია, ჩვენ ჯერ ყველაზე უბრალოს შემოწმება მოგვიხდება.

პარგოვს გაეღიმა.

— უფროსო, ჩვენ მას დავიჭერთ! მართალია, საქმე წარუმატებლობით დაიწყო, მე ამაში დარწმუნებული ვარ. შენ სავსებით მართალი ხარ, მას უჩინმაჩინის ქუდი არ ეხურა. ვიღაცამ ის მაინც დაინახა, ვერსად გაგვექცევა. ახლა კი, თუ გინდა, სახლში გაგაცილებ. კიბოები ვიღაცამ ხომ უნდა შეკამოს.

7

მომდევნო სამი დღე დიმოვმა სრულ უმოქმედობაში გაატარა. ის ადრე იღვიძებდა, სუფთა, საპნის სუნით გაჟღენთილ ოთახში მოთმინებით ასრულებდა დილის ვარჯიშს და შემდეგ ჩადიოდა პატარა სამზარეულოში დიასახლისთან. როგორც ყოველთვის, იქ მას ელოდებოდა ახალი რძით სავსე დიდი ფინჯანი, თაფლიანი თეფში და შემწვარი პურის პატარა ნაჭრები. ის ჩვეულებრივად მარტო საუზმობდა, მაგრამ ერთხელ შემოვიდა დოიჩინოვი, რომელსაც მორწყვის დროს ფეხები დასველებოდა.

— წამოდი, ჩემს ყვავილებს განახებ, — წყენით მიმართა მან. — ჩემისთანა სპეციალისტები თითებზე ჩამოსათვლელნი არიან.

ძალზე უცნაური იყო, მილიციის პოდპოლკოვნიკი ყვავილების სპეციალისტი რომ გახლდათ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა. თურმე სლავჩო ტრინსკის პარტიზანულ რაზმში წასვლამდე სოფიის ბაღებისა და პარკების სამმართველოში მუშაობდა. ის იქ კარგ სპეციალისტად ითვლებოდა, უყვარდა და იცნობდა ყვავილებს, ბევრი სოფიელი მდიდარი აფასებდა მას როგორც მებაღე-სპეციალისტს.

— მე სასახლეშიც კი მიმუშავნია, — გაიღიმა მან, — მეფის პირადი ხელმძღვანელობით.

— ვფიქრობ, ამას არ დაწერდი საკუთარ ავტობიოგრაფიაში, — იხუმრა დიმოვმა.

— პირიქით, დავწერე და ამის გამო დასაწყისში უსიამოვნებებიც კი შემხვდა. ამხანაგები მეუბნებოდნენ, ამ შემთხვევით უნდა გესარგებლა და მისთვის თოხი ჩაგერტყაო. მაგრამ ასე იყო თუ ისე არასოდეს დამავიწყდება სასახლის ბაღის გეორგი-

ნები. ჩვენთან გეორგინებს უბრალო ყვავილებად მიიჩნევენ. რასაკვირველია, სწორია, მაგრამ ესენი ხომ ნამდვილი გეორგინები არაა. მეფის ბაღში კი, რაღა თქმა უნდა, მართლაც შესანიშნავი გეორგინები იყო. ისინი იაპონიის იმპერატორმა გამოუგზავნა საჩუქრად.

საუზმის შემდეგ ისინი პატარა ეზოში გავიდნენ. სახლის უკან დოიჩინოვს ის მაღალი კედლით შემოეღობა და ნამდვილი სამოთხის პატარა კუთხისთვის დაემსგავსებინა. კაცი ვერც წარმოიდგენდა, თუ ასეთ მივარდნილ პატარა ქალაქში ასეთ რამეს ნახავდა. ყვავილთა სამეფოში დიმოვი წამით დაიბნა. აქ უფრო გეორგინები და ქრიზანთემები სჭარბობდა, მაგრამ ზოგიერთ ყვავილს ის პირველად ხედავდა.

— პირდაპირ დაუჯერებელია! — წამოიძახა დიმოვმა.

— ხომ გეუბნებოდი! — ბედნიერი ღიმილით უპასუხა დოიჩინოვმა. — აი ამ ზამბახს შეხედე. ამის მსგავსი კატალოგებშიც არ შემხვედრია. ეს უნიკალური ეგზემპლარია, მასში ინგლისის დედოფალი ბრილიანტსაც კი მომცემდა თავისი გვირგვინიდან.

— შენ საიდან გაქვს?

— მე თვითონ გამოვიყვანე. უხარისხო პატარა ყვავილიდან, რომელიც სეზოპოლში ჩვეულებრივ სოფლურ სახლში ვიპოვე. ოდესმე მოგიყვები ამ ისტორიას...

მაგრამ დოიჩინოვის ნამდვილი სიამაყე იყო ჯადვარები, ჭრელ ფარდასავით რომ ჩამოჰფარებოდნენ ჩრდილოეთ კედელს. მათი ამო სურნელება ისე ძლიერი იყო, რომ დიმოვმა იგრძნო, როგორ დაეხვა თავბრუ.

— ათი წლის ამაგი მაქვს მათზე, — აუწყა დოიჩინოვმა. — უმრავლესობა — მცირეაზიური ჯიშისაა, იზმირის ბაზრობაზე ვიყიდე. ეს „პატარა ძაღლი“ კი — წმინდა ბულგარულია, ცხადია, გაკეთილშობილებული. ესეც უცნობი ჯიშია. ის რომ ყვავილების რომელიმე გამოფენაზე მეჩვენებინა ნიცაში, ვფიქრობ, პრემია ჯიბეში მექნებოდა.

— მაშ რაღას უცდი, რატომ არ აჩვენებ? — შეეკითხა დიმოვი და კეთილსურნელოვან კედელს მოსცილდა.

— პენსიაზე გასვლას ვუცდი.

განყოფილებაში რომ მოვიდა — მზით გამთბარ, მტვრით

სავსე ოთახში,—დიმოვი დიდხანს გრძნობდა თავს გულდამძიმებულად და მოწყენილად. ვერას დიდებით ვერ გაეგო, როგორ ათავსებდა დოიჩინოვი ორ საქმეს. როგორც ჩანს, მხოლოდ ყვავილებს ევლებოდა თავს. ახლა, განსაცვიფრებელი ფერების შემდეგ დიმოვს ყველაფერი საცოდავად ეჩვენებოდა. და კიდევ უფრო საცოდავად წარმოუდგა საქმე, რომლითაც დაკავებული იყო. ნუთუ ამქვეყნად შეიძლება მოკლა საწყალი რკინიგზელი პატარა დასტა ფულისათვის? ახლა ეს ჰიპოთეზა, რომელზედაც მთელ იმედებს ამყარებდა, სრულიად დაუჯერებელი მოეჩვენა.

ფიქრებიდან ტელეფონის ზარმა გამოარკვია.

— ხაზზეა პერნიკი...

ეს იყო მაიორი ჟეჩევი, ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი კრიმინალისტი საოლქო სამმართველოში.

— ყური მიგდე, დიმოვ, არქივში საინტერესო საქმე აღმოჩნდა. ხელწერილით გიგზავნი მას და გთხოვ, გაცნობისთანავე დამიბრუნო.

— დამშვიდებული ბრძანდებოდე, ასეთ საქმეებში შეგიძლია მენდო.

— რაიმეს თუ მიაღწიეთ?

— სულ არაფერს...

— დაფიქრდი, შესაძლოა დოქტორი სტანჩევი სწორია, იქნებ მკვლელი მართლაც ფსიქოპათია?

და მაიორმა ჟეჩევმა დაუმშვიდობებლად დაკიდა ყურმილი. უეცრად ჰიპოთეზა, ადრე რომ დაუჯერებელი ეგონა დიმოვს, შესაძლებლად წარმოუდგა. იქნებ მკვლელი მართლაც გიჟია? მაშინ, ცხადია, დამნაშავის მოძებნა გაცილებით რთული და ძნელი იქნება.

ქაღალდები პერნიკიდან სადილის შემდეგ მოიტანეს. დიმოვმა ყურადღებით წაიკითხა ისინი. ქაღალდები ეხებოდა 1951 წელს ახალგაზრდულ შრომით ბანაკზე შეიარაღებულ თავდასხმას. საქმის ვითარება ჯეროვნად არ იყო გამორკვეული. უცნობმა პირებმა ბანაკში შეაღწიეს ზურგიდან, სადაც ჭიშკართან პოსტზე იდგა შეიარაღებული გუშაგი, ჭიშკრის თავზე ნათურა არ ენთო, როგორც ჩანს, წინასწარ იქნა გატეხილი. დამნაშავემ ისარგებლა სიბნელით, გუშაგთან მიხოხდა და ბლაგვი საგნის

დარტყმით მოკლა. შემდგომში იპოვეს ეს საგანი — ჩვეულებრივი ხის მარგილი. დოკუმენტში ზუსტად არ იყო ნათქვამი, არსებითად რას წარმოადგენდა „ჩვეულებრივი" მარგილი. მერე, როგორც ჩანს, ბანაკში სამმა შეაღწია, ალბათ, მათ მეთაურის კარვის აფეთქება უნდოდათ, მაგრამ მისკენ მიმავალი ბანდიტები ვიღაცამ დააშინა. ამას მოჰყვა ხელყუმბარების აფეთქებისა და რევოლვერის გასროლის ხმა. ხელყუმბარა უახლოეს კარავს ესროლეს: ორი ადგილზე მოკვდა, ექვსი დაიჭრა. გუშაგები მაშინვე მოვარდნენ დასახმარებლად, გაჩაღდა ურთიერთსროლა, მაგრამ დამნაშავეებმა მოახერხეს მიმალვა. მოგვიანებით იპოვეს ჰილზები, ხელყუმბარების ნამსხვრევები, მაგრამ დოკუმენტში არც ამის. შესახებ იყო რაიმე ნათქვამი. ძიება უშედეგოდ დამთავრდა, რადგანაც კვალი იუგოსლავიის საზღვრის მიმართულებით იკარგებოდა.

დიმოვმა მუმუნვარე სახით წაიკითხა ეს საკმაოდ არასერიოზული საბუთი და ყუთში ჩაკეტა. მას მშვენივრად ესმოდა, რომ თავდასხმა მოახდინა რომელიღაც ადგილობრივმა ბანდამ. და მაინც მკვლელობის იარაღის საფუძველზე იმის ვარაუდი, რომ ორივე თავდასხმა ერთი და იმავე პირის საქმე იყო, მას გულუბრყვილოდ მოეჩვენა. მართლაც ძალიან ხშირად დანით კლავენ ხოლმე, მაგრამ კლავენ მარგილებითაც. მკვლელობა ერთი და იმავე პირის მიერ რომ ყოფილიყო ჩადენილი, საბუთი ამ ვარაუდს ვერაფრით ვერ ამაგრებდა. ზოგადი, დაუსაბუთებელი, ათ წელზე მეტი ხნის მოსაზრებები ვერაფერში დაეხმარებოდა ძიებას, რომელსაც ახლა დიმოვი აწარმოებდა.

ყველაზე მტანჯველი დიმოვისათვის სადილობის საათები იყო. კაპიტნისათვის ეს ნამდვილი წამება გახდა. დიმოვს საუცხოო მადა ჰქონდა, მის კუჭს ძალუძდა ლურსმნებიც კი მოენელებინა, მაგრამ არ შეეძლო იმ საჭმლის მონელება, რომელსაც ქალაქის რესტორანში აჭმევდნენ.

— ამხანაგებო, თქვენ რა, მანქანის ზეთზე ამზადებთ საჭმელს? — შეეკითხა ერთხელ ის ოფიციანტს.

— მე რა ვიცი, შესაძლოა მანქანისაზეც. — გულგრილად უპასუხა მან.

— შენ აქ ჭამ?

— აქ, მაშ სადა...

— გმირი ყოფილხარ.

ოფიციანტმა ვერ გაიგო ხუმრობა, მხოლოდ უხალისოდ აიჩეჩა მხრები.. ეს განებივრებული ჩამოსულები — ბოლოს და ბოლოს რა უნდათ: ის ხომ არა, ნამდვილ კარაქზე რომ დაუმზადონ?

მეოთხე დღეს მოვიდა შემოწმების შედეგები და საღამოს პარგოვმა აეომწურავი მოხსენება გააკეთა. აღმოჩნდა, რომ იმ დღეს სამგზავრო ბილეთების ას თექვსმეტი მფლობელიდან მატარებლით მგზავრობდა ას თორმეტი. ოთხი შვებულებაში იმყოფებოდა ან ავად იყო. გარდა ამისა, მიღებულ იქნა ცნობები თოთხმეტ მგზავრზე, რომლებიც ერთჯერადი ბილეთებით მგზავრობდნენ. მათ შორის რვა ქალია, ხოლო ექვს მამაკაცს აქვს უდავო ალიბი.

— მოდი, გავარკვიოთ, რას თვლი შენ უდავო ალიბად, — შეაწყვეტინა მას დიმოვმა.

— ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეული მათგანი სულ ცოტა ორმა კაცმა ნახა მატარებელში, სადგურზე ან გზაზე. ახლა კი ყველაზე მნიშვნელოვანი. ყველა იმათგან, ვინც მატარებლით მგზავრობდა, მხოლოდ ოთხს არა აქვს ალიბი და ოთხიენ, ჩემი აზრით, ეჭვს იწვევს. შესაძლოა მხოლოდ უკანასკნელის გარდა.

მან რამდენიმე ფურცელი ამოიღო და ნელა დაიწყო კითხვა.

— ტრიფონ იორდანოვ პარგოვი, ორმოცდაორი წლის, ცოლიანი, ორი შვილის მამა, უპარტიო, რკინიგზის სახელოსნოების ზეინკალი...

— შენი ნათესავი ხომ არ არის?

— არავითარი ნათესავი არაა, — კოპები შეიკრა პარგოვმა. — ჩვენს მხარეში პარგოვები რამდენიც გინდა იმდენია... ჰოდა, ეს ტრიფონი მატარებელში პერნიკში ჩაჯდა. ცხოვრობს ვოინიკოვოში, მაგრამ სადგურზე არ ჩამოვიდა. ერთი მოწმე ამტკიცებს, რომ დაინახა, თუ როგორ ჩავიდა ის სადგურ კოსერში... მე მგონია, ეს ყველაზე საეჭვო შემთხვევაა.

— გააგრძელე..

— მეორე — გიორგი მონოლოვ შუტეევი, ორმოცდარვა წლის, ცოლიანი, უშვილო, უპარტიო, დამხმარე მუშა. ის ვოინიკოვოდანაა, ნახეს მატარებელში, მაგრამ არავინ იცის, სად ჩავიდა. ყოველ შემთხვევაში ის არც სადგურ ვოინიკოვოში

უნახავთ და არც სოფლისაკენ მიმავალ გზაზე. ვგონებ მ'შვიდი კაცია, თუმცა ცოტა ახირებული, თითქმის ყრუ.

— შემდეგ აღარ უნახავთ სოფელში?

— არა, იმ საღამოს აღარსად უნახავთ, თითქოს მიწამ ჩაყლაპა.

— ჰო, ეს შემთხვევა უფრო საეჭვოა.

— შეიძლება, მაგრამ ეს კაცი ცოტა უცნაურია. მე ვიცნობ მას, ის არა ჰგავს მკვლელს. — მესამე — ანტონ ტონევი, ოცდასამი წლის, უცოლშვილო, მეშახტე, კომკავშირელი, გულეშის მცხოვრები. ის მხოლოდ სადგურ პერნიკში ნახეს, შემდეგ გაქრა... არავის შეუმჩნევია არც მატარებელში და არც გულეშის სადგურზე. მაგრამ საერთოდ მასზე დადებითი მონაცემები გვაქვს. მეოთხე — სლავჩო იოტოვ კინევი, ოცდათვრამეტი წლის, ცოლიანი, ერთი შვილის მამა, უპარტიო, სარემონტო სახელოსნოს უფროსი და საზოგადოებრივი საბჭოს წევრია გულეშში. მე ვიცნობ მას, ძალიან წესიერი ბიჭია. სამგზავრო ბილეთი არა აქვს. იგი ნახეს სადგურზე, ბუფეტში, შემდეგ მატარებელში, მაგრამ ჩავიდა თუ არა გულეშში, არავინ იცის. ისიც სადღაც გაქრა გზაზე.

პარგოვმა საქაღალდე დახურა.

— სიმართლე გითხრა, არ მოველოდი ასეთ მოსავალს, — თქვა მან. — შემოწმება ჩატარებულია სრულიად საიდუმლოდ, ძირითადად სანდო პირების მეშვეობით; ოთხი ეჭვმიტანილიდან არც ერთმა არ იცის, რომ ჩვენ ისინი გვაინტერესებს.

— აი, ამაში ეჭვი მეპარება... სოფელში ყველანი ერთმანეთის ნათესავები არიან და რაიმეს დამალვა ძალზე ძნელია.

— რა აკვირველია, მაგრამ ეს, არც ისე მნიშვნელოვანია. მკვლელი — გაფრთხილებულია ის თუ არა — იმაზე იზრუნებს, რაიმე ყალბი ალიბი იქონიოს. მთავარი ისაა, ჩვენ არ წამოვეგოთ მის ანკესზე.

— ახლა კი, პარგოვ, წადი, დაისვენე, — უთხრა დიმოვმა, — ხვალ მძიმე სამუშაო გველის და ნათელი გონებაა საჭირო...

ისინი ქუჩაში დაემშვიდობნენ ერთმანეთს და სახლებში წავიდნენ. მაგრამ დიმოვმა, მიუხედავად თავისი რკინისებური ნერვებისა, დიდხანს ვერ დაიძინა. მხოლოდ შუაღამისას სოდა დალია და თავი უკეთ იგრძნო. დიმოვისთვის მხოლოდ ახლა

გახდა ნათელი, რომ მის მიერ დაწყებული ძნელი საქმის წარმატებით დასამთავრებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ადგილობრივი რესტორნის მზარეულის ან თუნდაც დირექტორის დაპატიმრება.

მეორე დილით, დაახლოებით შვიდ საათზე ისინი მანქანით გაემგზავრნენ. ისინი შეთანხმდნენ, დაკითხვა ჩაეტარებინათ პერნიკში, საოლქო სამმართველოში — ასეთი პროცედურა მათ ყველაზე სწრაფ და ხელსაყრელ პროცედურად მიაჩნდათ.

— ვისგან დაიწყოთ? — ჰკითხა დიმოვმა.

— მე ვუბრძანე პირველი ტონევი გამოიძახონ.

— კი მაგრამ მაინცდამაინც რატომ ტონევი? — ოდნავ შესამჩნევად გაეღიმა დიმოვს.

— მგონია, რომ ეს უფრო იოლად მოევლება.

— პრინციპში არასდროს არ უნდა დაიწყო წინასწარ შეტყობინებით,—ჩაიბურტყუნა დიმოვმა.—მაშინაც კი, თუ ყველაფერი დღესავით ნათელია.

ზუსტად ცხრის ნახევარზე პატარა კაბინეტში მეშახტის გათხუპნულ ტანსაცმლიანი ბიჭი შემოვიდა. მეშახტე არც გეგონებოდათ, ძალზე გამხდარი და სუსტი აგებულების იყო, მოგრძო და ქალური სახე ჰქონდა. მის გამოხედვაში დაუფარავი შეშფოთება და შიში გამოკრთოდა. „ეს პატიოსანი არ უნდა იყოს“ — გაიფიქრა დიმოვმა და შეეცადა მოულოდნელად გაჩენილი მტრული გრძნობა ჩაეხშო.

— დაჯექით, — უთხრა მან.

ბიჭი მორჩილად დაჯდა.

— მე თქვენ გაფრთხილებთ, ყველა კითხვაზე სრულიად ზუსტად უნდა მიპასუხოთ, — უთხრა დიმოვმა, — საქმე ეხება მძიმე დანაშაულს. გესმით, რასაც გეუბნებით?

— მესმის, მესმის, — უპასუხა ბიჭმა.

— მაშ ასე, გახსოვთ რას აკეთებდით გასულ პარასკევს?

— არ ვიცი, ალბათ, გავიხსენებ.

— ამ დღეს თქვენ აიღეთ ხელფასი, გახსოვთ? ნუ იჩქარებთ, ჯერ კარგად გაიხსენეთ და მერე მიპასუხეთ.

— დიახ, დიახ. მაგონდება... იმ საღამოს ხომ ევტიმ დიბევი მოკლეს.

— სწორედ ასეა... და იმ საღამოს თქვენ იყავით სადგურში, სწორია?

— დიახ, რასაკვირველია, როგორც ყოველთვის.

— ჩაჯექით მატარებელში?

— არა, არ ჩავმჯდარვარ, — სწრაფად უპასუხა ახალგაზრდამ. — მატარებელმა გამასწრო.

— როგორ გაგასწრო, თუკი სადგურზე დროზე იყავი? ზოგიერთებმა გნახეს კიდეც, როგორ დადიოდი ბაქანზე.

— დიახ, მართალია... ვიყავი, მაგრამ შემდეგ დამიძახეს... ერთმა გოგონამ...

— რომელმა გოგონამ?

— ერთმა ჩემმა ძველმა ნაცნობმა... საუბარში გავერთეთ და ვერ შევამჩნიე, როგორ დავაგვიანე მატარებელზე.

— საუბარში გაერთეთ, თუ წაეჩხუბეთ? — გულმოსულად შეაწყვეტინა დიმოვმა. — დაწვრილებით მოყევით.

— უფრო სწორად, ის წამეჩხუბა, მე რა მქონდა მასთან საჩხუბარი, — დარცხვენით მიუგო ბიჭმა.

— ბიჭი ყვებოდა ზლუქუნითა და დარცხვენით, შესაძლოა, ჰეშმარიტების ნაწილი დამალა კიდეც, მაგრამ დიმოვმა აღადგინა მთელი ეს ისტორია ნამდვილი სახით. ბიჭს ჰყავდა ნაცნობი პარიკმახერი ქალი, მაგრამ მალე სხვა გაიჩინა, თუმცა პარიკმახერთანაც არ გაუწყვეტია კავშირი. დაახლოებით ერთ თვეს გრძელდებოდა ასე. შემდეგ პარიკმახერმა ქალმა ყველაფერი გაიგო, დაიწყო ჩხუბი. ასე იყო იმ პარასკევსაც. გოგონამ ის ბაქანზე დაიჭირა და მასთან ჩხუბში მატარებელმა გაასწრო. მაშინ გოგონასთან ერთად ქალაქში დაბრუნდა, მაგრამ მოგვიანებით ერთმა მეგობარმა მოტოციკლეტით გულეშში წაიყვანა...

— რომელ საათზე? — შეეკითხა დიმოვი.

— დაახლოებით ათი იქნებოდა...

— გზაში არავინ შეგხვედრია?.. და საერთოდ, იქნებ ვინმემ დაგინახა, როდესაც მიდიოდი?

— არავინ... თუმცა არა, — მგონი იანკო ნესტოროვი შემომხვდა. დიახ, ის იყო, ახლა მაგონდება...

დიმოვი პარგოვს მიუბრუნდა, რომელიც ოქმს წერდა.

— მე უკვე მსმენია ეს სახელი, ვინ არის იგი?

— ტექნიკოსი გულეშიდან... ის, ვინც დიბევის ველოსიპედს აკეთებდა.

დიმოვმა თავის ბლოკნოტში ჩაინიშნა და პარგოვს შეხედა.

— შეკითხვები გაქვს?

— არა, — თავი გააქნია პარგოვმა.

ნახევარი საათი ელოდნენ, სანამ შუტევს მოიყვანდნენ. ეს იყო ბოშასავით შავი, მსხვილი მამაკაცი, რომელსაც გრძელი ხელები და დათვის ტორებივით დიდი და დაძარღვული მუშტები ჰქონდა. როდესაც დაჯდა, მუშტები მაგიდაზე დააწყო და მთელი დაკითხვის მანძილზე წამდაუწუმ კუმშავდა. მაგრამ ძალიან მშვიდი სახე ჰქონდა, ხოლო თვალები შუშის თვალებივით გაქვავებული. დიმოვმა დაახლოებით თხუთმეტი წუთი დაკარგა, სანამ შუტევი გონებაში აღიდგენდა იმ პარასკევის ამბებს. გეგონებოდათ წარმოდგენა არა აქვს თარიღებზე, მოვლენები და შემთხვევები ერთადერთი საშუალება იყო მისთვის დღეების გარჩევისა. ხელფასი ხუთშაბათს აიღო და ამტკიცებდა, დიბევის მკვლელობის შესახებ არაფერი მსმენიაო.

— როგორ თუ არაფერი? — შეეკითხა დიმოვი, — ამ მკვლელობის შესახებ დღემდე ლაპარაკობენ. ასეთი რამ ყოველდღე ხომ არ ხდება.

— მე არ ვლაპარაკობ ხალხთან, — მხრები აიჩეჩა შუტევმა. — არ მჭირდება.

— როგორ თუ არ ლაპარაკობ?

— რაზე უნდა ვილაპარაკო მათთან, მე ცუდად მესმის.

— არც ცოლთან ლაპარაკობ?

— მასთანაც არ ვლაპარაკობ, — უპასუხა დაღვრემილმა მუშამ. — რა მაქვს ქალებთან სალაპარაკო?

— პარასკევს მატარებელში ჩაჯექი?

— ჩავჯექი, აბა უკან ხომ არ გამოვეკიდებოდი.

— სად იჯექი? რომელ კუპეში?

— კუპეში არ შევდივარ, ვაგონის საფეხურზე ჩამოვჯექი.

— იქ ვინმე ნაცნობი იყო? ვინმემ გნახა, რომ იქ იჯექი?

— საიდან უნდა ვიცოდე, ვინ მნახა, — უპასუხა შუტევმა.— სამწუხაროდ, ზურგზე თვალები არა მაქვს. მე იქ ვიჯექი და ორი სიგარეტი მოვწიე.

— ვაგონის რომელ მხარეს იჯექი — მარცხენა თუ მარჯვენა?

შუტევმა გაკვირვებით შეხედა მას, მერე ისევ მოკლედ უპასუხა.

— მარჯვენა. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ამას?

— ჩემთვის აქვს... თქვენი სადგური რკინიგზის ხაზის მარცხნივაა, ასეა ხომ?

— თუკი იცი, რაღას მეკითხები?

— სად ჩამოხვედი მატარებლიდან?

— როგორ თუ სად, გულეში.

— ყური მიგდე, გიორგი, თითოეულ სიტყვას გაზით ნუ მაძრობინებ. მოყევი სად იყავი შემდეგ, რას აკეთებდი.

უცნაური რაღაც მოუვიდა შუტევის შუშის თვალებს. ვერ იტყოდით, რომ თვალების გამომეტყველება შეეცვალა, უბრალოდ ერთბაშად ამოუღამდა.

— შემდეგ? — თვალი არ დაუხამხამებია ისე იკითხა დიმოვმა.

— ჰო, შემდეგ, — მოუთმენლად დაუქნია თავი დიმოვმა.

— რას ვაკეთებდი? არაფერს არ ვაკეთებდი. ჩამოვედი მატარებლიდან, გადავჭერი რკინიგზის ხაზი და სადგურის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ბორცვს ავუყევი. იმ დღეს ცოტაოდენი კარტოფილი უნდა ამომეთხარა.

— სად?

— რამდენიმე წლის წინათ ნაკვეთები მოგვცეს. კარგი მიწაა, წყალი არის, ნაწილში იონჯა დავთესე, ნაწილში კარტოფილი. კარტოფილი გვშველის, თორემ ფული არ გვყოფნის. იონჯას კი ძროხის საკვებად ვთიბავ. ჩვენ ძროხა გვყავს — მოულოდნელად სახეზე გამოცოცხლება დაეტყო — პატარაა, მაგრამ რძეს ბევრს იძლევა. უძროხოდ, არ ვიცი როგორ ვიცხოვრებდი.

— სადგურიდან შორსაა ნაკვეთი?

— საკმაოდ შორსაა, ჩქარა რომ იარო, ნახევარი საათი გინდა. შემდეგ კარტოფილი ამოვთხარე, ჩანთაში ჩავყარე და სახლში დავბრუნდი.

— არავის დაუნახიხარ, როგორ შეხვედი სოფელში?

უკვე ბნელოდა, ჩვენს ქუჩაზე განათება არაა, შესაძლოა ვინმემ კიდეც დამინახა, რა ვიცი.

შუტევი ისევ გაჩუმდა. დიმოვი უხმოდ შეჰყურებდა მას.

— შეკითხვები გაქვს? — მიმართა მან პარგოვს.

— ყური მიგდე, გიორგი, შენ მინდორში იყავი, როდესაც

უკვე ჩამობნელდა. როგორ დაინახე სად იყო კარტოფილი, ან რითი ამოთხარე? თოხი თან ხომ არ გექნებოდა მატარებელში?

— ხელებით ამოვთხარე, რა უნდა რამდენიმე ბუჩქის ხელით ამოთხრას?

და მან აჩვენა თავისი ხელები, დიდი მრუდე შავი თითებით, ნაწრთობი რკინის კაუჭებს რომ ჰგავდა.

— რამდენი ბუჩქი ამოთხარე?

— სამი ბუჩქი...

— მაგრამ რატომ მაინცდამაინც გოჭივით სიბნელეში თხრიდი? რატომ დღისით არ გააგზავნე ცოლი, ეს ხომ არც ისეთი მძიმე სამუშაოა—რამდენიმე ბუჩქი კარტოფილის ამოთხრა.

— არ შეუძლია, — უპასუხა მუშამ. — ის დამბლადაცემულია.

პარგოვმა უხერხულად იგრძნო თავი და გაჩუმდა.

— პარასკევის შემდეგ აღარ ყოფილხარ ნაკვეთში?

— არა.

დიმოვმა ზარის ღილაკს დააჭირა თითი. ოთახში მილიციელი შემოვიდა.

— გაიყვანეთ სამორიგეოში, — გასცა განკარგულება დიმოვმა. — და იქ მოიცადეთ...

შუტევი ძლივს წამოდგა, თითქოს ზურგზე ცემენტის ტომარა ჰქონდა აკიდებული. ყრუდ გაისმა მისი ნაბიჯების ხმა, კარი მიიხურა.

დიმოვს დაკითხვის შემდეგ არასოდეს უგრძვნია თავი ასე შეწუხებულად.

— მე მგონია, ის მართალს ამბობს, — თქვა მან, — და მაინც ფორმალურად ალიბი არ აქვს.

— ნამდვილად, არა.

— არც სამხილია. მე გავუშვებდი მას.

დაბნეული პარგოვი გაჩუმდა, მერე კი თქვა:

— ეს უწესრიგობაა, ამხანაგო დიმოვ. ასეთ გულჩათხრობილ კაცს, ვინ იცის, რა უდევს გულში? ბნელითაა მოცული! სიმართლეს გეტყვი, დაკითხვამდე ის უფრო ჩვეულებრივი კაცი მეგონა.

— კეთილი, რა წინადადებას იძლევი? — მოუთმენლად შეეკითხა დიმოვი.

— დროებით დავაკავოთ, სანამ სხვა გარემოებებს გამოვარკვევდეთ, საღამოს კი ორივე გულეშში წავიდეთ და ვნახოთ. ვინ ჩამოდის მატარებლის მარცხენა მხრიდან, ვინ მარჯვნიდან. მერე მასთან ერთად წავიდეთ მის ნაკვეთში. მინდა ვნახო, როგორ თხრიდა ხელით ამ ბუჩქებს. ადგილზე გამოჩნდება თხრიდა თუ ამოჰქონდა... თუმცა, ჩემი აზრით, ეს ალიბი არაა, — ჩვენ ის გავუშვათ...

— კარგი, — დაეთანხმა დიმოვი. — გვესაუბრე მის ცოლს, რასაკვირველია, ისე, რომ მან არ იცოდეს. ახლა კი წადი პროკურორთან და ნებართვა აიღე.

როდესაც პარგოვი ოთახში დაბრუნდა, მაგიდასთან მისი მოგვარე იჯდა. ეს იყო პატარა კაცი, ოდნავ შეშინებული, ცოცხალი თვალები ეშმაკურად უელავდა. დიმოვმა უკვე დააზუსტა დღე, რომელიც მათ აინტერესებდა. პარგოვი თავის ადგილზე დაჯდა და უბის წიგნაკი გადაშალა.

— მაშ ასე, პარასკევს შენ, როგორც ყოველთვის, ჩაჯექი მატარებელში. სად ჩახვედი?

— მოიცა,—უპასუხა ზეინკალმა,—მგონი კოსერში ჩავედი.

— რას ნიშნავს „მგონი"? — ზუსტად უნდა გაიხსენო.

— დიახ, სწორედ ასე იყო, — კოსერში ჩავედი, — თავი დაიქნია ზეინკალმა. — საქმე მქონდა იქ.

— რა საქმე?

— ჰო, მე სანდო დურგალს წითელი ხის ბუფეტი შევუკვეთე სამზარეულოსათვის. მან მითხრა: „მოდი პარასკევს სამუშაოს შემდეგ, მზად იქნება, საფასურს გადაიხდი, წაღებით კი როცა შეძლებ მაშინ წაიღეო". მე დავუჯერე, ფულიც კი გავუმზადე, მაგრამ, მასთან რომ მივედი, არ დამხვდა.

— სადაა მისი სახელოსნო?

— სადგურთან ახლოს. შინ მუშაობს. გამოვიდა მისი ცოლი და მითხრა „შინ არ არისო" „როგორ თუ არ არის?" — შევეკითხე — „ის ხომ შემპირდა". — „რაკი შეგპირდა, წადი და ეძებეო" მითხრა.—„სად ვეძებო-მეთქი?..." წავედი პატარა სალუდეში — არ იყო. წავედი კლუბში, იქ ბუფეტია. სანდა ვერც იქ ვნახე. ვიტრიალე, ვიტრიალე და სადგურისაკენ გავემართე, ცხრის ნახევარზე სამგზავრო მატარებელი გადიოდა, იმით დავბრუნდი სოფელში.

— მოითმინე, ნუ ჩქარობ, როდის მიხვედი სადგურში?

— დაახლოებით, ალბათ, რვის ნახევარზე. საქმე არაფერი მქონდა, მატარებლის მოლოდინში სკამზე ჩამოვჯექი.

— რატომ არ მოიცადე, ვთქვათ, სალუდეში? სადგურში ხომ მთელ საათს მოგიხდა ცდა.

— დალევის დიდი მოყვარული არ გახლავართ, — უპასუხა ზეინკალმა.

— ყავას მაინც აიღებდი ბუფეტში.

— ეს აზრადაც არ მომსვლია. ყავას ვერ მივეჩვიე და არც ვყიდულობ.

— რაკი ყავას არ სვამ, შენი საქმე ცუდადაა, — გულიდან აღმოხდა დიმოვს. — შენ იცი, რა არის ალიბი?

— ვიცი, — დაბნეულად მიუგო ზეინკალმა, — თქვენ რა დიბეევს გულისსმობთ?

— დიახ, სწორედ დიბეევს, ის კოსერში ჩავიდა, შენ უკან მიჰყევი. შვიდ საათსა და ოც წუთზე ის გზაზე მოკლეს. სად იყავი შენ ამ დროს — აი რა მაინტერესებს! არ მინდა უბედურება მოგახვიო თავს, მაგრამ ამ დროს რომ ვინმესთან ერთად ყოფილიყავი, ვინმეს რომ ენახე, ალიბი გექნებოდა. შენ კი არა გაქვს...

ზეინკალს ტუჩები აუცახცახდა.

— მომისმინე, მეგობარო, შენ იცნობ პარგოვებს? წადი სოფელში, გაიკითხე. ჩვენ ყველაზე თვინიერები ვართ, ჩვენისთანა წყნარ ხალხს ვერსად ვერ ნახავ. მე ქათმის დაკვლაც არ შემიძლია. ჰკითხე მეზობელს, ვინ კლავს ქათამს ჩემს სახლში. ჩემი ცოლი კლავს. წადი, წადი ჰკითხე, მაგრამ იცოდე, შენც არ დაგკლას.

— სადგურზე მთელი ერთი საათი მარტო იყავი?

— ვიღაც ქალი იჯდა ჩემს გვერდით, მაგრამ არ ვიცი ვინ იყო. ცოტა ხანს იჯდა, შემდეგ იმ სამგზავრო მატარებლით წავიდა, რომელიც პერნიკში რვა საათსა და ოც წუთზე გაივლის.

უცებ ზეინკალს სახე გაუნათდა.

— მოიცა, გამახსენდა! როგორც კი მატარებელი დაიძრა, ბაქანზე გიორგი კროტევი გამოჩნდა. რასაკვირველია, მან დამინახა. ახლა მახსენდება, რომ დამინახა. მან ხელი ჩაიქნია, შეიგინა და უკან გაბრუნდა.

დიმოვმა და პარგოვმა ოდნავ შესამჩნევად ერთმანეთს გადახედეს.

— შენ ამბობ, გიორგი კროტევი? ის, სარემონტო სახელოსნოში რომ მუშაობს?

— ჰო, რკინიგზელი... ლოთი.

— ის მთვრალი იყო?

— რა ვიცი, მე მთვრალი არ მომეჩვენა, შეიძლება მთვრალიც იყო იმიტომ, რომ ძალზე ხმამაღლა შეიგინა.

— და მაინც ეს ალიბი არაა, — უთხრა დიმოვმა.

— რატომ არაა ალიბი? ის ხომ გაიხსენებს, რომ დამინახა.

— მკვლელობა გაცილებით ადრე მოხდა. რვის ოც წუთამდე საკმაო დრო იყო სადგურზე დასაბრუნებლად.

— თუ იგი მე მოვკალი, რატომ დავბრუნდებოდი სადგურზე? იმიტომ რომ ყველას ვენახე?

— რაკი ნახეს, რომ კოსერში ჩამოხვედი, ისიც უნდა დაენახათ, როგორ ჩაჯექი.

— რაში ვარ დამნაშავე, იმაში, რომ დურგალი შინ არ იყო?

— შენ თვითონ ამბობ, რომ წყნარი კაცი ხარ, ქათმის დაკვლა არ შეგიძლია. სახლში რაიმე იარაღი თუ გაქვს? ვთქვათ პისტოლეტი, ხანჯალი ან კიდევ სხვა რამე?

— რასაკვირველია, არა. თუმცა, მოიცა, ხიშტი მაქვს.

— სალდათური დანა?

— არა, სამკუთხა ხიშტი. ფრონტიდან ჩამოვიტანე. სახსოვრად. ჩვენს არმიასთან ერთად უნგრეთში ვიმყოფებოდი და ხიშტი სწორედ იქ, ჩეკელთან ვიპოვე.

მალე ზეინკალი ოთახიდან გაიყვანეს. დიმოვი და პარგოვი მარტო დარჩნენ.

— გაიგონე, რა თქვა კროტევზე? — აღელვებით მიმართა დიმოვმა. — მთვრალი იყო, არაფერი არ ახსოვს? — ახლა ზოგიერთ რამეს გაიხსენებს, უბრძანე მოიყვანონ ის!

ერთი საათის შემდეგ მოიყვანეს კროტევი. უზარმაზარი პირქუში კაცი, რომელსაც თახვის ტყავივით მაგარი და მბზინავი მოკლე თმა ჰქონდა. მის პატარა ჯიუტ თვალებში რაღაც ცუდი ნაპერწკალი იმალებოდა.

— რას მათრევთ გაუთავებლად? — გულმოსულად დაიწყო

მან. — ხომ არ ფიქრობთ, მე გავაფრთხობინე სული თქვენს ევ-ტიმ დიბევს?

— სამწუხაროდ, სწორედ ამას ვფიქრობთ, — უპასუხა დ-მოვმა.

— ჰოდა, რატომ? რა საერთო მქონდა მასთან?

— შესაძლოა მის ფულთან... თქვენ ერთად იყავით სალ-როსთან, იცოდი, რომ მას ჯიბეში დაახლოებით ასი ლევი ჰქონ-და, შენნაირ ლოთებს ფული არასდროს არ ჰყოფნით.

— თქვენ ჭკუაზე ხომ არ შეიშალეთ? ასი ლევისათვის კაცი მოკლა? ასე არ ხდება, ამხანაგო უფროსო. რის გულისათვის უნდა გარისკო?

— მთვრალი კაცი ბევრს არ ფიქრობს. რატომ წახვედი სად-გურზე?

— მე ხომ გითხარით: იქ უფრო ადრე აღებენ.

— და ისევ გამოდის, რომ შენ მთელი დღე ხან აქ, ხან იქ დიბევის ახლოს ტრიალებ.

— მაშინ მასზეც ხომ შეიძლება იგივეს თქმა. ბუფეტში კი ჩვენ ერთად არ ვყოფილვართ, მე ცალკე მაგიდასთან ვი-ჯექი.

— — მაშასადამე, გახსენდება... გამოდის, შენი მეხსიერება მა-შინ იწყებს მუშაობას, როდესაც შენთვისაა სასარგებლო.

— ჩემთვის ის უფრო სასარგებლო, თავი დამანებოთ! — გულმოსულად უთხრა კროტევმა. — თქვენ ვერ დააპატიმრებთ კაცს მხოლოდ იმისათვის, რომ ის სადგურზე მივიდა ორი სირჩა რაკიის დასალევად, იქ ხომ კიდევ ასი კაცი იყო.

— მაგრამ ისინი ჩვეულებრივი მგზავრები იყვნენ. შენ კი რას აკეთებდი იქ?

— მე რა, ასჯერ გაგიმეოროთ?

— სტყუი, კროტევ... შენც ჩაჯექი მატარებელში და ჩამოჩ-ვედი კოსერში, სწორედ იქ, სადაც ევტიმ დიბევი.

კროტევს პატარა თვალები გაუქვავდა. ის დუმდა.

— სწორია თუ არა ეს? იყავი მატარებელში?

— ვიყავი, — მოკლედ და კუშტად უპასუხა კროტევმა.

— მაშ რატომ მოგვატყუე ამის წინ?

— არ მომიტყუებიხართ. უბრალოდ დამავიწყდა, მე ხომ ვუთხარი თქვენს კაცს, მთვრალი ვიყავი, არ მახსოვს-მეთქი.

— არც ისეთი მთვრალი იყავი და ყველაფერი კარგად გახსოვდა, შეგნებულად მოგვატყუე.

— მთვრალი ვიყავი!

— სცრუობ. რაზე იყავი კოსერში?

— იცით რა, გეყოფათ გამოტეხა! — დაიყვირა კროტევმა.— ეს ჩემი საქმეა, სად ვიყავი!

და გაჩუმდა. დიმოვმა კიდევ რამდენიმეჯერ გაუმეორა შეკითხვა, მაგრამ კროტევი არ პასუხობდა, მისი გამოხედვა უფრო და უფრო კუშტი ხდებოდა.

— ყური მიგდე, კროტევ, შენ რა, არ გესმია, როგორ ართულებ შენს მდგომარეობას? — ჩაერია პარგოვი. — შენს წინააღმდეგ სერიოზული მხილებებია, შენ კი განმარტების მოცემაც სრ გსურს. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ არა გაქვს?

— თქვენ კი რა მტკიცებები გაქვთ? როგორ დაამტკიცებთ სასამართლოზე, რომ მე ვთხლიშე მას მარგილი? ვინმეს ხომ უნდა დაენახა ეს?

— შენ საიდან იცი, რომ ის მარგილითაა მოკლული? — შეკრთა დიმოვი.

— ეს ყველამ იცის.

— პირიქით, არავინ არ იცის, ჩვენ განგებ წამოვაყენეთ სხვა ვერსია.

— არ ვიცი, რა ვერსია წამოაყენეთ თქვენ, მე კი მეტს თქვენ კითხვებზე აღარ გიპასუხებთ! გნებავთ სასამართლო — იყოს სასამართლო! სასამართლოს წინაშე მე თავს ვიმართლებ!

— შენ უკვე დალიე? — შეეკითხა პარგოვი.

— არც ესაა თქვენი საქმე! დამაპატიმრეთ! მერე გავარკვევთ გაქვთ თუ არა თქვენ უმიზეზოდ ჩემი დაკავების უფლება.

სხვა გზა არ იყო, ის დააპატიმრეს.

ერთი ხანობა ორივენი გაკვირვებით შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

— ისევ მთვრალია! — გაუბედავად თქვა პარგოვმა. — ამიტომაც გაცოფდა ასე.

— შეიძლება, უბრალოდ დროს აჭიანურებს... შეეცდება რომელიმე უფრო მისაღები ვერსია მოიგონოს. პირველი დაკითხვის შემდეგ დამშვიდდი, არ სჯეროდა, რომ გავიგებდით მატარებლის ამბავს. ახლა კი აღარ იცის, კიდევ რა მოიგონოს.

ჩხრეკა უნდა მოვუწყოთ. დარწმუნებული არა ვარ, რომ იქ ხანჯალს ვიპოვნით, ალბათ, უკვე მოსპო. მაგრამ ღია ფერის სათბილობელს თუ ვიპოვნით, მაშინ მართლაც აღარაა საჭირო დროის დაკარგვა.

— სხვები?

— სხვებთან ასე თუ ისე მუშაობა უნდა გავაგრძელოთ. საღამოს წაიყვანე კიდევ ერთი თანამშრომელი და შუტევთან ერთად გაისეირნე. ვინ იცის, იქნებ რამე გამოვიდეს.

— არა, აი კროტევისაგან კი შეიძლება რამე გამოვიდეს. რაღაც წინათგრძნობა მაქვს.

მაგრამ დიმოვი არ იყო დარწმუნებული ამაში.

— კარგი, იმუშავეთ ჯგუფთან. — უთხრა მან. — მე ნ-ში დავბრუნდები. თუ დაგჭირდეთ განყოფილებაში მნახავთ. მაგრამ საღამოსათვის კროტევიც მოიყვანე ჩვენთან. კიდევ ერთხელ ვცადოთ გასაუბრება.

თხუთმეტი წუთის შემდეგ „გაზიკი" ქალაქის ქუჩებში მიჰქროდა. მართალია, მათი საქმე მტკიცედ მიდიოდა წინ, მაგრამ დიმოვი თავს უკმაყოფილოდ და დაჩაგრულად გრძნობდა. ყველაზე მეტად კროტევის საქციელი აწუხებდა — მასში იყო რაღაც არაბუნებრივი, არანორმალური. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ მკვლელი ასე მოიქცეოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ გაერკვა კროტევის მდგომარეობაში.

თუ საკუთარი თავის წინაშე გულწრფელი იქნები, უნდა ითქვას, რომ ის, დიმოვი, ჯერჯერობით მხოლოდ თავისი უახლოესი თანამშრომლების ფსიქოლოგიაში ერკვევა. სოფიაში უფრო თავდაჯერებული იყო.

სადილის შემდეგ ორი ჯგუფი დაბრუნდა. გიორგი კროტევთან ჩხრეკამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. ზეინკალთანაც ვერაფერი ნახეს საეჭვო — ხიშტის-ვარდა, რომლის შესახებაც თვითონვე გააფრთხილა. ისედაც ჩანდა, და არავითარი ექსპერტიზა არ იყო საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ ფრონტიდან ჩამოტანის შემდეგ ხიშტი არავის უხმარია.

ბოლოს პარგოვი დაბრუნდა თავისი გაჭიანურებული ექსპედიციიდან. ძალიან აღელვებული იყო.

— შუტევი გაიქცა! — კარებშივე წამოიძახა მან.

იმ წამს დიმოვმა ყურებს არ დაუჯერა.

— გაიქცა? შეუძლებელია!

სამწუხაროდ, ეს ასე იყო. პარგოვი დაწვრილებით მოუყვა ყველაფერს, რაც მოხდა. ერთ ოპერატიულ მუშაკთან ერთად შუტევი მუშათა მატარებლით წაიყვანეს. იმავე ადგილზე დაეხდნენ, რომელზედაც მისივე სიტყვებით, შუტევი იჯდა. ჩავიდნენ კოსერში, გასცდნენ რკინიგზის ხაზებს და სადგურის წინ პატარა ბორცვზე ავიდნენ.

— სავსებით შესაძლებელია, რომ იმ პარასკევს ის ვეფხვის დაენახა, — ყვებოდა აქლოშინებული პარგოვი.—ყველა მგზავრი მატარებლის მეორე მხრიდან ჩავიდა. ყური მიგდე, რა მოხდა შემდეგ. ნახევარ საათზე მეტხანს ჩქარი ნაბიჯით მივდიოდით. „მაინც სადაა შენი ნაკვეთი?“ — ვეკითხები მას. „ცოტა კიდევ“, — მიპასუხა. ათი წუთის შემდეგ მივუახლოვდით მეჩხერ ჭალას. და უცებ რაც ძალი და ღონე ჰქონდა — პირდაპირ მეჩხერი ჭალისაკენ მოკურცხლა. მე დავუყვირე, მილჩომ ორჯერ ესროლა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ვერ მოახვედრა...

— შენ არ ისროლე?

— სამჯერ ვისროლე ჰაერში. მაგრამ თითქოს მათრახი გადაუჭირესო, კიდევ უფრო სწრაფად მოუსვა, თვალდახელშუა გაგვექცა...

— პირდაპირ იქიდან მოხვედი?

— როგორ გითხრა. ჩვენ მხოლოდ ვოინიკოვოში შევედით და შუტევის სახლთან ჩავსაფრდით. აქ მისი ცოლი დავკითხე, საწყალი, მართლაც, დადამბლავებულია. ის ამტკიცებს, რომ მათ არ უჭამიათ კატლეტი იმის შემდეგ, რაც დამბლა დაეცა. ხორცს შუტევი ქალაქში არასდროს არ ყიდულობდა, ხოლო მათ სოფელში სასაკლაო არ არის. მხოლოდ ზოგჯერ კლავდნენ წვრილფეხა საქონელს — ვთქვათ, თუ რომელიმე ხბო ფეხს მოიტეხდა. ჩვენ ყველაფერი გადავქექეთ სახლში: ბადე ვერ ვნახეთ, აი ეს კი მაინც მოვიტანეთ.

პარგოვმა ფრთხილად გახსნა პაკეტი და იქიდან საკმაოდ ჭუჭყიანი ჩალისფერი სათბილობელი ამოიღო.

— სწორედ ისეთია, როგორც აღწერდნენ — თქვა მან. — შინ დართული მატყლისა, შეუღებავი. მისი ცოლი ამტკიცებს, რომ სათბილობელს ის ყოველთვის ტანსაცმლის ქვეშ ატარებდა.

— კი, მაგრამ რატომ არ ესროლეთ მას? — შეეკითხა დიმოვი.

მისი ტონის მიხედვით ვერ გაიგებდით, ამტყუნებდა მათ თუ არა.

— რატომ უნდა მესროლა? — კოპები შეიკრა პარგოვმა. ისედაც შორს ვერ გაიქცევა.

— საზღვარი არც ისე შორსაა.

— დაწყნარდი, — ჩაიქნია ხელი პარგოვმა. — მე დავრეკე პერნიკში, ყველა ზომები მიღებულია.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

—ჯერ არც ერთი დამნაშავე არ გვყავდა, ახლა კი ერთბაშად ორია, — დაარღვია სიჩუმე დიმოვმა. — მაშასადამე, ერთ-ერთი მათგანი დამნაშავე არაა.

— მოდი, კიდევ ერთხელ დავკითხოთ კროტევი? — წინადადება წამოაყენა პარგოვმა.

— არა, სანამ თვითონ არ მოითხოვს, არ დავუძახებ. — გულმოსულად თქვა დიმოვმა.—აბა, ახლა რაღა დაგვრჩა ხვალისათვის? დავიცადოთ სანამ შუტევს დაიჭერენ?

— ჩვენ ვერ მოვასწარით დაკითხვა სლაეჩო კინეკისა სათემო საბჭოდან.

— ჰო, ისღა გვაკლია, რომ სათემო საბჭოს წევრებმა ჩაიდინონ მკვლელობები, — უთხრა დიმოვმა. — მაგრამ რაკი ის გულეშიდანაა, სხვა გზა არა გვაქვს, უნდა დავკითხოთ.

იმ საღამოს სხვა აღარაფერი დარჩენოდათ; გარდა სახლებში წასვლისა.

8

არ იცოდა, რამდენ ხანს ეძინა, მაგრამ ღრმა ძილით ეძინა. კარზე ძლიერმა კაკუნმა გამოაღვიძა.

— ვინა ხარ?

— პარგოვი ვარ, გამიღე!

დიმოვმა ღამის ლამპა აანთო, სწრაფად ჩაიცვა შარვალი და კარის გასაღებად გაემართა. მისი თანაშემწე კარის ზღურბლთან იდგა.

— უნდა წავიდეთ, — ქლოშინით უთხრა მან. — გულეშში მკვლელობა მოხდა.

დიმოვი იმდენად არ გაოცებულა, რამდენადაც შეშფოთდა.

— ამჯერად ცეცხლსასროლი იარაღით, მაგრამ წავიდეთ, გზაში მოგიყვები.

დიმოვმა საათს დახედა — პირველს ოცი წუთი აკლდა.

— რაიმე თბილი ჩაიცვი, ქუჩაში სიცივეა, — გააფრთხილა ის პარგოვმა და კიბეებზე თავისი დიდი ჩექმები ააჭრაჭუნა.

დიმოვმა კარადიდან ლაბადა გამოიღო და უკან მიჰყვა.

— უფროსს აცნობე? — შეეკითხა დიმოვი.

— არ არის. მოხსენებისათვის სოფიაში გამოიძახეს.

ქუჩაში „გაზიკში" მათ პირვანი და ფორმიანი შეიარაღებული მილიციელი ელოდნენ. დიმოვი მძღოლის გვერდით დაჯდა და მანქანა მაშინვე ადგილს მოსწყდა.

— ახლა კი მოყევი...

— ჯერჯერობით ცოტა რამაა ცნობილი, — დაიწყო პარგოვმა. — ღამით, დაახლოებით თერთმეტ საათზე გულეშში მოკლეს ბაი კირო კუშევი. ის სოფელში ცნობილი კაცი იყო, ორმოცდაათ წელს გადაცილებული. საკუთარ სახლში მოკლეს, ქუჩიდან ესროლეს რევოლვერით.

— საკუთარ სახლში? — გაკვირვებით იკითხა დიმოვმა.

— დიახ, ოთახში, — დაადასტურა პარგოვმა. — ალბათ, ქუჩიდან ან ეზოდან ესროლეს, ტყვიებმა ფანჯრის მინები ჩაამსხვრია. ბაი კირო მაშინვე გარდაიცვალა, მკვლელი კი მიიმალა.

— ბედი გვწყალობს, — ჩაიბურტყუნა დიმოვმა. — შენ ვინ გაცნობა ამის შესახებ?

— ნასკომ, ჩვენმა თანამშრომელმა გულეშში, თვითონ ველაპარაკე ტელეფონით.

— აი ეს უკვე მართლაც საინტერესოა, — თქვა დიმოვმა. — ასეთი მკვლელობები ყოველდღე არ ხდება სოფიაშიც კი...

— დეტექტიურ რომანებშიც არ ხდება, — დაუმატა პარგოვმა. — ყოველ შემთხვევაში, ჩვენს მხარეში ასეთი რამ დღემდე არ მომხდარა...

— რა კაცი იყო მოკლული?

უკან მსხდომნი საეჭვოდ დუმდნენ.

— მტერი, — როგორც იქნა უპასუხა პირვანმა.

მაგრამ მის ხმაში არ იგრძნობოდა დაჯერებულობა.

— მე სერიოზულად გეკითხები.

— არ ვიცი, სწორია თუ არა ეს, — გაუბედავად თქვა პარგოვმა, — მაგრამ ფაქტია, ერთხელ მისი სახლის კედელზე გაჩნდა ასეთი წარწერა. ბაი კიროს მამა 9 სექტემბრამდე სოფლის მდიდარი იყო, გერმანელებთან მეგობრობდა, ერთი სიტყვით — სოფლის წურბელა. მისი სახლი საუკეთესო იყო სოფელში.

— რატომ იყო? ხომ არ დაუწვიათ ის?

— არა, რატომ დაწვავდნენ! იქ ახლა საბავშვო სახლია. მოხუც კუშეევს სიკვდილი მიუსაჯეს, ხოლო მალე ამის შემდეგ მისი ცოლიც მოკვდა. ომამდე კირო სწავლობდა სოფიის უნივერსიტეტში, მაგრამ დადიოდა ხმა, რომ ის გერმანელების მტერი იყო. ამის გამო მამასაც კი ეჩხუბებოდა. დაბომბვებით დაშინებული კირო, ისევე როგორც მრავალი სხვა, სოფელში გაიხიზნა. საეჭვო საქმიანობაში შემჩნეული არ ყოფილა და ამიტომ 9 სექტემბერს ხელი არ ახლეს. თავიდან მამის სახლში ცხოვრობდა — ერთი ოთახი დაუტოვეს, მაგრამ უნივერსიტეტიდან მაინც გარიცხეს.

— არ იცი, რას სწავლობდა ის?

— სამართალს, — თქვა პირვანმა. — ასე ვიცი.

— სახალხო სასამართლომ კონფისკაცია უყო მის ქონებას, მაგრამ, როგორც ჩანს, კირომ მოახერხა ზოგიერთი რამის გადამალვა, — განაგრძობდა პარგოვი. — ის ხარჯავდა მამისეულ ფულს, სანამ ჰქონდა, შემდეგ შავ ბაზარზე გამოჩნდებოდა ხოლმე, მაგრამ ეს ძვირად დაუჯდა. მილიციამ დაიჭირა რომელიღაც უკანონო გარიგებაზე, ორი წელი გაატარა კირომ გამასწორებელ კოლონიაში.

— მხოლოდ შავი ბაზრის გამო? — გაეცინა დიმოვს.

— უფრო დაწვრილებით გულეშში გამოვიკითხავთ. ცხადია, ის ოპოზიციონერი იყო. პირველი არჩევნების დროს გააქტიურდა, მაგრამ გამასწორებელი კოლონიიდან ისეთი გამოვიდა, რომ ბუზს არ ააფრენდა, იყიდა პატარა სახლი — ის, რომელშიც მოკლეს. დაიწყო ქათმების, გოჭების მოშენება. ათი წელი ცუდი არაფერი გამიგია მასზე. როდესაც ვოინიკოვოში შრომითი საწარმოო კოოპერაცია შეიქმნა, იქ დაიწყო მუშაობა გასაღების აგენტად. ამბობდნენ, კარგ ფულს შოულობდაო.

— ცოლიანია?

— არა, უცოლოდ დარჩა, მთელ სახლში მარტო ცხოვრობდა. მაგრამ ეს სახლი პატარაა, რამდენადაც მახსოვს, მხოლოდ ორი ოთახი და სამსარეულო.

ამასობაში მანქანა გზატკეცილზე მიჰქროდა. ღრუბლადღრო ფარების შუქზე კურდღელი გაიქროლებდა, სწრაფად გადარბოდნენ გზაზე მძიმე კაკბები. მალე მათ განვლეს წყვდიადში ჩაფლული ვოინიკოვო, შემდეგ გულეშში აღმოჩნდნენ. მეორე სართულის ფანჯრებში სინათლე ენთო. სოფლის საბჭოს თავმჯდომარე პარტორგთან და ორ ახალგაზრდასთან ერთად თავის კაბინეტში უცდიდა. პარგოვმა სწრაფად გააცნო მათ დიმოვი და სკამი დაუდგა. ერთ-ერთი ახალგაზრდა, ჯირკვით მაგარი და მოკლედ შეჭრილი თმებით, იყო ნასკო რადევი — მათი თანამშრომელი. მეორე ბიჭი თვითონ წარუდგა.

— მე პირველმა შევიტყვე მკვლელობის ამბავი, — პირუთვნელი სიამაყით უთხრა მან.

— ეს ჩვენი აქტივისტი და კომკავშირელია, — გააცნო ის პარტორგმა.

— ვინ მომახსენებს, შენ? — მიმართა დიმოვმა ნასკოს.

ის საწერ მაგიდასთან დაჯდა და უბის წიგნაკი ამოიღო.

— ამ დროს მე მეძინა, — ცოტა დამნაშავესავით დაიწყო ნასკომ. — მართალია, სულ ახლოს ვცხოვრობთ, მაგრამ სროლის ხმა არ გამიგონია. სტეფჩომ გამაღვიძა, — მან თავი აქტივისტისაკენ გაიქნია. — „ახლავე ადექი, — მითხრა მან, — ბაი კირო მოკლეს!" სწრაფად ჩავიცვი და წავედით. წესისამებრ, სტეფჩო ეზოში არ შემოვუშვი, შემთხვევით კვალი რომ არ წაეშალა. მინა ტყვიებით იყო ჩამსხვრეული, მაგრამ ოთახში ლამპა ენთო. ფანჯარაში შევიხედე. ბაი კირო სისხლში ცურავდა. ვერ გადამეწყვიტა შევსულიყავი თუ არა. მაგრამ გავიფიქრე, იქნებ ცოცხალია და ესაჭიროება სამედიცინო დახმარება-მეთქი, ყურადღებით დავათვალიერე შესასვლელი კარი. ის ღია იყო. წინკარიდან ოთახში შევედი. მაგრამ როგორც კი დავხედე ბაი კიროს, მაშინვე მივხვდი, რომ ყველაფერი გათავებული იყო. მაშინ სტეფჩო პოსტზე დავტოვე სახლთან და მე თავმჯდომარესთან წავედი.

ახალგაზრდა გაჩუმდა და აქტივისტს შეხედა. სტეფანიც თითქოს ამას უცდიდაო.

— მე და ჩემს მეუღლეს უკვე გვეძინა, — დაიწყო მან, — როდესაც მოულოდნელად სროლის ხმებმა გამოგვაღვიძა.

— მოიცა, ცოტა ნელა მოყევი, — შეაწყვეტინა მას დიმოვმა, — თქვენ სად ცხოვრობთ?

— შეიძლება ითქვას ბაი კიროს პირდაპირ, თუმცა არც ისე ახლოს, დიდი ეზო გვაქვს. მისი სახლი ჩვენგან ძალზე კარგად მოჩანს, მეორე სართულზე ვცხოვრობთ და სახლებს შორის ხეები არაა. გასროლის ხმები რომ გაისმა, მაშინვე წამოვხტი და ფანჯარას მივვარდი. სინათლე არ ამინთია. გარეთ კაცის ჭაჭანება არ იყო, ჩამიჩუმი არ ისმოდა. მხოლოდ ბაი კიროს სახლის ფანჯარაში ენთო სინათლე, მაგრამ ლამპის შუქზე არავინ ჩანდა. მაშინვე მივხვდი: რაღაც მოხდა. მაშინ სინათლე ავანთე, ჩავიცვი შარვალი, ძლივძლივობით წავუყავი ფეხები ფეხსაცმელებში და დაბლა დავეშვი. ამ დროს მეუღლე წამოხტა, გამომეკიდა და მხრებზე ჩამომეკიდა. „შესდექ, — დამიყვირა მან, — მათ ხომ პისტოლეტი აქვთ, მოგკლავენ!“ ძლივს დავიყოლიე. მაგრამ მაინც გამომყვა უკან და მოთქვამდა. ეზოში თავი მომაბეზრა და დავუყვირე. ის ჭიშკართან დარჩა. ქუჩაში გავედი. იქ სიბნელე და სიცარიელე იყო. გავხედე, მეზობლებიდან კიდევ ვინმეს ხომ არ უნთია სინათლეები-მეთქი, ყველგან ჩაბნელებული იყო. ან ვერ გაიგონეს, ან შიშით ბალიშებში ჩარგეს თავი და საბნები წაიხურეს. მხოლოდ მაშინღა დავინახე გატეხილი ფანჯარა ბაი კიროს სახლში. სიმართლე გითხრათ, შიშველი ხელებით ეზოში შესვლისა შემეშინდა, — სიბნელეა, არ იცი, საიდან წამოვა ტყვია. გალავანი იქ ქვისაა, არც ისე მაღალი, შეიძლება გადაიხედო... გადავიხედე და დავინახე მკვლელი.

— დაინახე? — ყურებს არ დაუჯერა დიმოვმა.

— საკუთარი თვალებით დავინახე. ის ეზოს სიღრმეში მდებარე კუტიკარისაკენ მიმავალ ბილიკზე მიდიოდა. ბაი კიროს სახლი ორ ქუჩაზე გადის, უკანა — ჩიხია. და კაცი იქეთკენ მიდიოდა.

— როგორ გამოიყურებოდა?

— როგორ გითხრათ, მგონი ჩემი სიმაღლის იქნებოდა, ანდა შესაძლოა ცოტა მეტი, მაგრამ უფრო ჩადგმული და ძლიერი იყო... თუ არ ვცდები, შავი შარვალი ეცვა, სიბნელეში კარ-

გად ვერ გავარჩიე. მაგრამ სათბილობელი ღია ფერისა ეცვა, სწორედ სათბილობლით შეეამჩნიე სიბნელეში...

— ცოტა მოიცა, — შეაწყვეტინა დიმოვმა, რატომ ფიქრობ, რომ სახელდობრ ეს სათბილობელი იყო?

— შესაძლოა, პულოვერი.

— რატომ არ შეიძლება, ვთქვათ, ღია პერანგი ყოფილიყო?

ახალგაზრდა ჩაფიქრდა.

— არა, სათბილობელი იყო, — უფრო დარწმუნებით თქვა მან. — სათბილობელი პერანგზე გრძელია და ტანზე უფრო მომჯდარია. ორი აზრი არ არსებობს, — ეს სათბილობელი იყო, — დარწმუნებით დაამთავრა ახალგაზრდამ.

— კარგი, განაგრძე. — თავი დაუქნია დიმოვმა.

— გამოკიდება მინდოდა, — განაგრძო ახალგაზრდამ. — მაგრამ ვერ გავბედე, ის ხომ პისტოლეტით იყო. ვუყურებ მას, ლამის ჩემს ცხვირწინაა, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შემიძლია. მაინც თავი ვერ შევიმაგრე და დავუყვირე: „ეი"!.. მგონი ხმამაღლა დავუყვირე. პატიოსან სიტყვას ვამბობ, მოიხედა. მხოლოდ თავი მოაბრუნა, სახეს ვერ ვხედავდი, ძალზე ბნელოდა ეზოში. მაგრამ მომეჩვენა, რომ ხელში რაღაცა ეჭირა. უთუოდ რაღაც ეჭირა, რადგანაც დაღუნული მიდიოდა. ერთი კი შემომხედა და სწრაფად გაიქცა კუტიკარისაკენ. სანამ გონს მოვიდოდი, გაუჩინარდა.

ის გაჩუმდა, სახეზე შეშფოთება გამოეხატა.

— მე მგონია, რომ ვიღაც ჩვენიანია, — თქვა ახალგაზრდამ. — ის ისეთ ვინმეს ჰგავს, რომელიც არაერთხელ მინახავს.

წუთით ის და დიმოვი დაძაბულად შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

— აი, სწორედ ამაშია საქმე, — უთხრა დიმოვმა. — შენ მშვენივრად იცი, ვისაც ჰგავს, მაგრამ არ გინდა, მითხრა. უბრალოდ შენთვის ძნელია დაიჯერო...

— დიახ, ძნელია დავიჯერო, — უკმაყოფილოდ თქვა ახალგაზრდამ. — მაგრამ საქმე ამაში როდია, ამხანაგო დიმოვ. მე ხომ გითხარით, ძალიან ბნელოდა. ხდება ხოლმე, დღისითაც, მზისითაც ვერ შეიცნობ, აქ კი ასეთ სიბნელეში... შეიძლება ისეთ უბედურებაში გახვიო კაცი, მერე მთელი სიცოცხლე სანანებელი გაგიხდეს!

ახალგაზრდა გაჩუმდა. დიმოვი გრძნობდა, რომ ოთახში მყოფნი ყველანი თანაუგრძნობდნენ მას.

— შენ სწორი არა ხარ, — მტკიცე ხმით უთხრა დიმოვმა.

— რატომ არა ვარ სწორი?

— ძალიან უბრალოდ. ვთქვათ, დაინახე პეტრე. თუ პეტრე უდანაშაულოა, ის სახლში იქნებოდა, მეუღლესთან, ბავშვებთან ერთად და ყველას ეცოდინებოდა, რომ ის სახლში იყო. მაშინ როგორღა დასწამებ ცილს? ვერას დიდებით ვერ დასწამებ! განგებაც რომ მოინდომო მისთვის უსიამოვნების მიყენება, მაინც ვერ მიაყენებ.

— დიახ, სწორია,—არცთუ ისე დარწმუნებით თქვა ახალგაზრდამ.

შემდეგ ცოტა ჩაფიქრდა და დაუმატა:

— პირველად აზრადაც არ მომივიდა, რომ ეს ისაა. შემდეგ უეცრად მივხვდი ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ის. ბრის ჩვენთან ერთი მექანიკოსი იანკო ნესტოროვი. რატომღაც მომეჩვენა, რომ ის მას ჰგავდა.

— იანკოს? — წამოიძახა ყველამ.

— როგორც ჩანს, ისაა, — ჩაილაპარაკა პარტორგმა. — ფერი ფერსაო, მათზეა ნათქვამი. იანკო ათ მეტრზე უხდიდა მას ქუდს.

— სულ ესაა? — შეეკითხა დიმოვი.

— დიახ... შემდეგ წავედი, ცოლი დავამშვიდე და მაშინვე ნასკოსთან გავიქეცი მომხდარი ამბის სათქმელად.

— როდესაც სროლის ხმამ გაგაღვიძა, საათისთვის არ შეგიხედავს? — მე არა, მაგრამ მეუღლემ შეხედა. ამბობს, თორმეტის ხუთი წუთი იყოო.

— როგორი საათი გაქვს?

— დიდი მაღვიძარა, ყოველთვის მაგიდაზე დგას.

— ზუსტად მუშაობს?

— „ომეგა“!

— კეთილი, სახლში რომ დაბრუნდები, არ დაგავიწყდეს მისი დაქოქვა.

როდესაც ათი წუთის შემდეგ ისინი მარტო დარჩნენ, დიმოვმა უბის წიგნაკი ჯიბეში ჩაიდო და ცნობისმოყვარეობით შეხედა პარგოვს.

— აბა, რას იტყვი ახლა? როგორ ფიქრობ, ამ ორ მკვლელობას შორის არის რაიმე კავშირი?

— არ მჯერა... — ფიქრებიდან გამოერკვა პარგოვი.

— სათბილობელი?

— ხომ გეუბნებოდი, აქ ბევრი ატარებს ღია სათბილობელს-მეთქი. შესაძლოა, ჩვეულებრივი დამთხვევაა.

— ასე რომ, დავაპატიმროთ თქვენი მექანიკოსი იანკო ნესტოროვი?

— თუ ვიპოვით.

— რატომ ფიქრობთ, რომ ვერ ვიპოვით? — გაეცინა დიმოვს.

— ძალიან უბრალოდ, თუ ეზოში მართლაც იანკო იყო, რასაკვირველია, მიხვდებოდა, რომ იცნეს. გიჟი ხომ არ არის, იცადოს, სანამ ჩვენ მას დავიჭერთ. მაგრამ მაინცდამაინც არ მჯერა, რომ ეს იყო იანკო ნესტოროვი. ბიჭს სხვაში შეეშალა.

— ნუ იქნები ასე დარწმუნებული.

— ჩემი აზრით, იანკო წყნარი ბიჭია. ძალიან კარგი მექანიკოსი, დიდი კლიენტურა ჰყავს. ნახავ როგორი კარგი ორსართულიანი სახლი აიშენა. თვითონ მეორე სართულზე ცხოვრობს, დაბლა კი სახელოსნო აქვს. და ასე უცებ განა რა აიძულებდა, კირო კუშვეი მოეკლა? ისინი ხომ მეგობრები იყვნენ, როგორც ამბობენ, ფერი ფერსაო.

— ცოლიანია?

— დიახ, ცოლიანია, მაგრამ შვილები არ ჰყავს. მგონი მისმა მეუღლემ ცუდად გაიკეთა აბორტი. არა, აქ ის არაა, რასაც შენ ფიქრობ: არ მჯერა, რომ ის მის მეუღლეს შეუჩნდა.

— მიაქციე ყურადღება, აქ ყველანი რატომღაც უშვილოები არიან.

— კიდევ ერთი რამ არაა ჩემთვის ნათელი, ყოველ შემთხვევაში, ახლა. მკვლელმა ისროლა, მაგრამ მაშინვე არ გაქცეულა. ჩვენი სტეფჩო ადგა, ჩაიცვა, ცოლს წაეკინკლავა, გაიარა ეზო, ქუჩა და, როდესაც გალავანზე გადაიხედა, დაინახა მკვლელი. ძალზე უცნაური მკვლელია. სხვა მის ადგილზე უმალვე გაუჩინარდებოდა. ხომ ცხადზე უცხადესი იყო, რომ ხალხი გაიღვიძებდა, ფანჯარაში გაიხედავდნენ. იცნობდნენ მას, და მგონი იცნეს კიდეც.

— მას შეეძლო შესულიყო მოკლულთან და რაიმე წაეღო. იქნებ სწორედ ამის გამო ჩაიდინა მკვლელობა.

— დიახ, ასეთი ახსნა, რასაკვირველია, ზედაპირულია და მაინც მასში არის რაღაც წარმოუდგენელი, დაუჯერებელი. თუ მისთვის აუცილებელი იყო რისკზე წასვლა, ალბათ, რაიმე უფრო ჭკვიანურ სვლას მოიფიქრებდა... და მაინც უკეთესია ჩვენ თვითონ წავიდეთ და ვნახოთ.

ნასკო და სტეფანი მათ დაბლა მანქანასთან უცდიდნენ. ყველანი მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ. ორი მოსახვევის შემდეგ ნასკომ გააჩერა ისინი.

— აი იანკოს სახლი... ორსართულიანი, კუთხეში.

დიმოვმა მინიდან გაიხედა, — სახლი მთლად ჩაბნელებული იყო, სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

— ნასკო და პირვანი დარჩნენ, — გასცა განკარგულება დიმოვმა, — და ჩვენს მოსვლამდე ყურადღებით დაიცვან სახლი.

ის-ის იყო გზა უნდა განეგრძო, რომ ბნელ გზატკეცილზე ფარებმა გაიელვა და მალე ექიმ სტანკოვის ფურგონი გამოჩნდა. მათ მის მძღოლს ანიშნეს მოგვყევიო და მალე ადგილზე იყვნენ. ექიმი სტანკოვი ძლივს გადმოვიდა მანქანიდან: ისედაც მასიური, თავის სქელ სვიტრში მთლად დათვს ჰგავდა.

— ყავის მოდუღებაც კი ვერ მოვასწარი,—შესჩივლა მან.— ჩვენ, სქელ-სქელი ხალხი, ღამღამობით ძილის გუდები ვართ.

დაიწყო დათვალიერება. მანძილი გალავანსა და სახლს შორის ძალზე მცირე იყო — დაახლოებით ოთხი მეტრი. ალბათ, ქუჩიდან არ უსვრიათ, ვინაიდან იქ ჰილზები ვერ იპოვნეს. სახლი იყო დაბალი, ერთსართულიანი, დიდი ხნის შეუღებავი, თითქოს უპატრონოდ მიგდებული. შესასვლელი კარების ახლოს, ტოტებგაშლილი კომშის ბებერი ხე იდგა. სწორედ იქ იპოვეს ოთხი ჰილზი. შეიხედეს გატეხილ მინაში. ჭუჭყიანი იატაკი თითქმის მიწის დონეზე იყო. მასზე გათეთრებული საფენი ეფინა. იატაკზე სისხლის გუბეში პირქვე ეგდო კუშეკი. ტყვია მარცხენა თვალის ოდნავ ზემოთ მოხვედროდა და თავის ქალა დაემსხვრია. კიდევ ორი ჭრილობა მოჩანდა — ერთი ყელში, მეორე გულის არეში.

— სამივე სასიკვდილოა, — ზიზღით ჩაიბურტყუნა ექიმმა სტანკოვმა, — იმწამსვე გარდაცვლილა.

ისინი სახლში შევიდნენ. პატარა, ვიწრო, უსუფთაო დერეფანი მას ორად ჰყოფდა. მარჯვენა მხარეს იყო სამზარეულო და კარგად გაწყობილი ოთახი, რომელსაც, ალბათ, სასტუმროდ იყენებდა. მარცხენა მხარეს—პატარა საკუჭნაო და ოთახი, რომელშიც მკვლელობა მოხდა. ავეჯეულობა ღარიბული იყო: მხოლოდ საწოლი და რაღაც ფერადი თუნუქით შემოჭედილი ძველებური სოფლური ზანდუკი. ექიმმა სტანკოვმა გვამს დახედა.

— მხოლოდ სამი ჭრილობა, — გულგრილად თქვა მან. — მეოთხე ტყვია კედელს მოხვდა, ქვევნ ნახეთ სად. სამივე ტყვია სადღაც ქვემოდან წამოვიდა. ალბათ მკვლელი კომშის უკან იყო ჩაცუცქული და ერთბაშად ისროლა ოთხივე ტყვია. ის გულში უმიზნებდა, ხოლო სანამ კუშეკი დაეცემოდა, ტყვიები ყელსა და თავში მოხვდა.

მათ ყურადღებით გაჩხრიკეს გვამი. აღმოჩნდა, რომ ჯიბეები სავსე ჰქონდა ქაღალდებითა და საბუთებით, რომლებიც ძლივს ეტეოდა იქ, შარვლის უკანა ჯიბეში იპოვნეს ფულით გატენილი გაცვეთილი საფულე. ფული დათვალეს — ორას თექვსმეტი ლევი, ხურდის გარეშე. ზანდუკი დაკეტილი იყო და მოკლულის ჯიბეში ნაპოვნი არც ერთი გასაღები არ მიუდგა.

შემცბარმა დიმოვმა და პარგოვმა ერთმანეთს გადახედეს.

— აი კიდევ ერთი თავსატეხი, - თქვა დიმოვმა. — სად შეყოვნდა მკვლელი? ნათელია გვამამდე არ მისულა, თორემ ყოველ შემთხვევაში ფულს ან სხვა რამეს მაინც წაიღებდა, თუნდაც იმიტომ, მკვლელობის ნამდვილი მიზანი რომ დაეფარა, თუ ეს მართლა ძარცვა არ იყო.

—თანაც ფანჯრიდან უფრო სწრაფად გადაძვრებოდა,—დაუმატა პარგოვმა. — და ელემენტარული სიფრთხილის გამო ლამპას ჩააქრობდა. ვინ იცის, იქნებ სხვა ოთახებიდან წაიღო რამე...

დიმოვი დაფიქრებით ათვალიერებდა ოთახს. შემდეგ საგულდაგულო ჩხრეკის ჩასატარებლად პარგოვი დატოვა, თვითონ ნასკოსთან და ორ სხვა თანამშრომელთან ერთად სწრაფად წავიდა იანკო ნესტოროვის სახლისაკენ. ქუჩა ისევ ისე წყნარი და ჩაბნელებული იყო, მექანიკოსის სახლში სინათლე არ ენთო. მათ სახლში შეღწევის დაწვრილებითი გეგმა შეიმუშავეს და ჩასაფრდნენ. სახლში დიმოვი და ნასკო უნდა შესულიყვნენ.

— მოსალოდნელი წინააღმდეგობა არ არის დიდი, — თქვა დიმოვმა. — ის ან გაიქცა, ან არადა უკვე მოამზადა რაიმე სიცრუე. არ მგონია, აქ წინააღმდეგობა გაგვიწიოს, მაგრამ რა იცი იქნებ ფიქრობს, სიბნელეში ვერ მიცნობდნენო.

ისინი შევიდნენ პატარა ეზოში, სახლის ახლოს ყვავილების კვლები იყო არიგებულ-ჩარიგებული. უმოაჯირო ბეტონის კიბე მეორე სართულზე ადიოდა. დიმოვი პირველი ავიდა, ნასკო ტკან მიჰყვებოდა. კართან პატარა არე იყო, მარჯვნივ, კარის ჩარჩოზე თეთრად მოჩანდა ზარის ძველებური ფაიფურის ჯამი. დიმოვმა მსუბუქად დააჭირა ღილს, შემდეგ კიდევ ერთხელ, უფრო ძლიერად, და დაელოდა. მალე კიბის თავზე მდებარე ფანჯარა განათდა, გაისმა დარაბების ჭრიალი. ისინი გვერდზე გადგნენ. ახლა კარგად მოჩანდა მთელი ფანჯარა, რომელშიც მამაკაცის ფიგურა გამოჩნდა.

— ვინაა? — იკითხა კაცმა.

მის ხმაში დიმოვმა ფარული შიში იგრძნო.

— მილიცია! — უპასუხა დიმოვმა.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

— მილიცია? — გაიკვირვა კაცმა. — ახლავე მოვდივარ...

გაისმა კარების ჭრიალი და შიშველი ფეხის ხმა წინა ოთახში. შემდეგ ზღურბლზე გამოჩნდა მაისურიანი და შავ ტრუსებიანი კაცი. ის გამხდარი და ჩასკვნილი იყო; სახეზე ღაწვის ძვლები ამობურცვოდა. მარცხენა წარბი დიდ იარას დაეღარა, ეტყობა ძველი ჭრილობის კვალი იყო.

— უნდა ჩაიცვათ, — წყნარად უთხრა დიმოვმა, — სოფლის საბჭოში გამოგვყვებით.

დიმოვმა მექანიკოსის გამომცდელი მზერა დაიჭირა.

— კეთილი, — მიუგო მან, მაგრამ მისი ხმა უფრო ყრუდ გაისმა.

ის შეტრიალდა და წინა ოთახისაკენ წავიდა.

— მოიცადეთ! — შეაჩერა ის დიმოვმა — ნასკო გაჰყევი.

— ამხანაგო უფროსო, მეუღლეს შემიშინებთ! — თქვა კაცმა და მის ხმაში პირველად გაისმა მუდარის ტონი.

— საშიში არაფერია...

— მინდა შეგეკითხოთ, თან წამოვიღო რაიმე?

— სახელდობრ რა?

— გზისთვის... საჭმელი, ტანსაცმელი.

— არა, საჭირო არაა! — მკვახედ უპასუხა დიმოვმა. — მხოლოდ ჩაიცვით.

— დიახ, დიახ, კარგით, — თქვა აშკარად დამშვიდებულმა მექანიკოსმა.

ნასკო ნესტოროვთან ერთად შევიდა. ის პირველად არ ხედავდა ამ მყუდრო, ახალი ქალაქური ავეჯითა და კედლებზე ფაიფურის მორთულობებით გაწყობილ ოთახს. ფართო საწოლზე იწვა იანკოს ცოლი, თითქმის თავამდე რომ წაეფარებინა საბანი და შეშინებული უყურებდა მათ.

— ნუ გეშინია, არაფერია საშიში, — აწყნარებდა მას იანკო.

მან ჩაცმა დაიწყო. მისი მოძრაობა სწრაფი და მტკიცე იყო,

— რატომ გიბარებენ?

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა იანკომ. — აი ამას შეეკითხე.

— მითხარი, ნასკო! — შეევედრა ქალი.

— არაფერია საშიში, — წაიბურტყუნა ნასკომ. — ერთ საქმეზე დაჰკითხავენ.

— იცი რა გითხრა, ძმობილო, კულტურულ ქვეყნებში კაცს ღამით არ აღვიძებენ, — უთხრა იანკომ. — ყველაფერს თავისი დრო აქვს...

— გეტყვით, — გაიგებ, რა გვინდა! — ორჭოფულად უპასუხა ნასკომ.

ცოტა ხნის შემდეგ ისინი სახლიდან გამოვიდნენ — კიბეებზე ქუსლების ბაკაბუკი გაისმა. დიმოვმა შენიშნა, რომ თხელი ფარდიდან ქალი უყურებდა. ქუჩაში მათ შეუერთდა საფარში მყოფი რამდენიმე კაცი.

— ოჰო, წვიმელი გვარდია! — ირონიით შენიშნა იანკომ. — ისევ განკულაკება ხომ არ დაიწყო?

მას არავინ უპასუხა. მალე სოფლის საბჭოში მივიდნენ და ხის კიბეებზე ავიდნენ. სამორიგეო ოთახში სინათლე ენთო, მაგრამ შიგ არავინ იყო.

— მხოლოდ ნასკო დარჩება, — თქვა დიმოვმა. — სხვები შემოსასვლელში დაიცდიან... გაფრთხილებ, — მიმართა მან ნესტოროვს, — რომ ყოველი ცრუ ჩვენება თქვენს წინააღმდეგ შეტრიალდება. ახლა კი მოყევით, რას აკეთებდით ამ საღამოს?

ნესტოროვს ისევ აღუშფოთველი სახე ჰქონდა.

— რომელი საათიდან?

— ვთქვათ ექვსიდან.

— სახელოსნოში ვიყავი, — ნელა დაიწყო ნესტოროვმა. — აკუმულატორს ვტენიდი. შვიდი საათისათვის ზემოთ ავედი, სტუმრებს ველოდი. კვირაში ორჯერ ვიკრიბებით, ბელოტს ვთამაშობთ.

— ყოველთვის ოთხნი?

— შეიძლება ითქვას, ყოველთვის. ყოველ შემთხვევაში, უცხოს არავის ვიღებთ. ამჯერად სამს უნდა გვეთამაშა. სვილენი არ მოვიდა. სიმართლე გითხრათ, მე სამის თამაში მირჩევნია — თითოეული თავის თავზე აგებს პასუხს.

— ვინ იყო დანარჩენი ორი?

— სლავჩო კინევი, ჩემი მეგობარი. ის მუდმივი პარტნიორია. სლავჩომ მოიყვანა მანასკო, მისი გვარი არ ვიცი. მანასკო სარემონტო სახელოსნოში მექანიკოსია, კარგად თამაშობს, მაგრამ არ მომწონს. ავადმყოფურად ამპარტავანია. მაგრამ სლავჩო პირდაპირ შეყვარებულია მასზე, სოფიიდან ჩამოიყვანა — როგორ შეიძლებოდა უარის თქმა. ისინი გაჯიუტდნენ, არ უნდოდათ, სამს რომ გვეთამაშა, ჩემი ცოლიც კი გააგზავნეს მეოთხის მოსაძებნად. მან ვერავინ იპოვნა და სამნი დავსხედით.

— სად თამაშობდით?

— სამზარეულოში. ყოველთვის სამზარეულოში ვთამაშობთ, ცოლს რომ ხელი არ შევუშალოთ ძილში. დაახლოებით თერთმეტის ნახევრამდე ვთამაშობდით, თამაში ასე თუ ისე აეწყო. შემდეგ წავიჩხუბეთ.

— რაზე?

— თამაშის გამო. ჩვეულებრივად ჩვენ კარტს არ ვხსნით, მაგრამ წუხელ სლავჩომ დარიგების დროს ბოლო კარტი გახსნა — ვალეტი. ჩემი სვლა იყო და ვალეტი მე უნდა მომსვლოდა, ამ დროს უკვე სამი ვალეტი მყავდა. დაიწყო დავა. მე, რა თქმა უნდა, ვუთხარი, მართალია, კარტი გახსნილია, მაგრამ მაინც გავაგრძელოთ თამაში-მეთქი. სლავჩო კი თავისას გაიძახოდა — დარიგების დროს შეცდომა მოხდა და ხელახლა უნდა დარიგდესო. მაგრამ ეს ხომ პოკერი არაა!.. განა სწორი არა ვარ?

— რასაკვირველია, არა ხარ სწორი.

— შესაძლებელია, მაგრამ ჩვეულებრივად ასე ვაკეთებდით. ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, კარტს უკან ვდებდით დასტაში. ცხადია, ამაზეც თანახმა ვიყავი, მე ხომ სამი ვალეტი მყავდა... მაგრამ რატომ ვყვები ყველა ამ სისულელეს?

— არა უშავს, არა უშავს საინტერესოა.

იანკომ გაკვირვებით შეხედა დიმოვს.

— ჰოდა, ახლა სლავჩო გაჯიუტდა. მან დალია, დალევა კი არ შეუძლია და გაჭირვეულდა, არ დაყარა კარტი, თუმცა ისედაც აგებდა. მე და მანასკო ვიგებდით, მაგრამ მან თამაში ჩაშალა. რას იზამ უფროსია — ვერ შეედავები! — გულკეთილი ირონიით დაამთავრა მექანიკოსმა.

— რამდენი დალიეთ?

— ერთ ლიტრამდე, რა თქმა უნდა, ყველამ. ბევრი არაა, თამაშში ხელს არ შეგიშლის. ჩვენი რაკია — ხილისაა, ძალიან მაგარი არაა.

— თქვენს ცოლს ეძინა?

— ეძინა, ცხადია, მაგრამ ხმაურმა გააღვიძა. სამზარეულოშიც კი შემოიხედა, რომ გაეგო, რა ხდებოდა იქ. თუ ცოლებმა არ შეგვაჩერეს, ამ კარტის გამო როდისმე ერთმანეთს დავერევით. მეგობრები წავიდნენ, არავის არავისათვის არაფერი არ გადაუხდია. მე საწოლ ოთახში წავედი...

— ცოლს უკვე ეძინა?

— არა, ჩვენ ცოტა ვილაპარაკეთ, შემდეგ მეც დავწექი.

— როდის იყო ეს? მინდა გკითხოთ, რომელ საათზე დაიძინეთ?

— არ ვიცი... ალბათ, დაახლოებით თერთმეტზე.

— კეთილი! — თავი დაიქნია დიმოვმა. — დაახლოებით ამ დროს, მინდა გკითხოთ — სანამ დაიძინებდით, არაფერი გაგიგონიათ?

— მაინც რა უნდა გამეგონა?

— რაც თქვენზე მოახდენდა შთაბეჭდილებას. რაიმე ხმაური, ვთქვათ, ხმა...

— არა, არაფერი, — მტკიცედ განაცხადა მექანიკოსმა და უცებ დაუმატა: — ჰო, მართლა, როგორც კი ჩამეძინა, ფანჯრის ქვემოთ მეზობლის — სპასის „იავა“ არახრახდა. გულში შევუ-

კურთხე კიდეც, პირველად როდი აკეთებს ასეთ ნომერს — აღ-ვიძებს ხალხს.

— რატომ ხართ დარწმუნებული, რომ ეს სწორედ სპასი იყო?

— მე ხომ გავიგონე, როგორ გააღო ჭიშკარი და შეევიდა ეზოში.

დიმოვმა ნასკოს შეხედა.

— შენ იცნობ ამ სპასს?

— ვიცნობ. პერნიკში მუშაობს, ზოგჯერ გვიან ბრუნდება მოტოციკლით.

— წადი დაუძახე მას!..

ნასკო გავიდა. დიმოვმა იანკოს შეხედა. ის სრულიად დამ-შვიდებული გამოიყურებოდა, უფრო მოხერხებულადაც კი იჯ-და სკამზე.

— ძალზე გასაკვირია, რომ თქვენ მეტი არაფერი გაგიგო-ნიათ, — უთხრა დიმოვმა. — იმიტომ, რომ სწორედ ამ დროს თქვენ სახლთან ახლოს ისროდნენ და არა ერთხელ და ორჯერ.

— ვინ ისროდა? — ჰკითხა ოდნავ შემკრთალმა იანკომ.

— სწორედ ამის გაგება გვინდა. უცნობმა კაცმა მოკლა თქვენი თანასოფლელი კირილ კუშევი.

დიმოვმა აშკარად შენიშნა, რომ მექანიკოსის გამოხედვაში სრულიად ბუნებრივმა გაკვირვებამ და შიშმა გაიელვა.

— ბაი კირო? — წამოიძახა მან. — სად, მის სახლში?

— დიახ, მის საკუთარ ოთახში.

— რას ამბობთ! — შეწუხებული სახით თქვა იანკომ. ვერა-სოდეს ვერ ვიფიქრებდი.

— რისი თქმა გინდათ ამით?

— ის ისეთი წყნარი კაცი იყო. მას არ ჰყავდა მტრები.

— თქვენ როგორი ურთიერთობა გქონდათ მასთან?

— აი თურმე რატომ აწარმოებთ ჩემს დაკითხვას?! — წამო-იძახა იანკომ. — ღმერთო ჩემო, ჭკუაზე ხართ? მე მას ყოველ-თვის პატივს ვცემდი, ერთმანეთისთვის უკუღმა სიტყვა არ გვითქვია. თანაც ხომ გითხარით უკვე, მთელი საღამო სახლიდან არ გავსულვარ-მეთქი.

— ამაში ჩვენ მთლად დარწმუნებული არა ვართ.

— მაგრამ ხომ არიან მოწმეები.

— ისინი ადრე წავიდნენ.

— ცოლი სულ სახლში იყო.

— მაგრამ თქვენს ცოლს ეძინა, თქვენ შეგეძლოთ ისე ამ-დგარიყავით, რომ მას ვერ გაეგონა.

— შემეძლო?.. ყველას შეეძლო!.. რატომ მაინცდამაინც მე წამომიყვანეთ? ე. ი. უკანასკნელი კაცი ვარ სოფელში, კაცი, რომელიც ბაი კიროს სიცოცხლეს ხელყოფდა.

დიმოვმა დაკინებით შეხედა მექანიკოსს.

— სწორედ იმაშია საქმე, რომ თქვენ დაგინახეს! მკვახედ უთხრა მან. — არის მოწმე. დაგინახათ თქვენ ბაი კიროს ეზოში. სწორედ იმ დროს, როდესაც სროლის ხმა გაისმა.

იანკო დუმდა, სახეზე ერთი ძარღვიც არ შეტოკებია.

— სისულელეა! — თქვა ბოლოს მან. — მთელი საღამო სახ-ლში ვიყავი. ზღურბლზედაც კი არ გადმომიბიჯებია.

— გაქვთ თქვენ ღია ფერის სათბილობელი?

— ღია ფერის სათბილობელი? არასდროს არ ჩამიცვამს მსგავსი რამ.

— დარწმუნებული ხართ?

— სავსებით დარწმუნებული ვარ. როგორ შეიძლება კაცმა არ იცოდეს თავისი ტანისამოსი?

— რა ზომის ფეხსაცმელს იცვამთ?

— ორმოცდასამს.

— ევტიმ დიბევს იცნობდით?

— როგორ არა, ახლაც ჩემთანაა მისი ველოსიპედი. ჯერ არ მინდა მის ცოლს დავუბრუნო. ეს იგივეა, ჭრილობაზე რომ მა-რილი დააყარო. კიდევ ერთ კვირას დავაცდი და მერე მივცემ.

— რემონტის ფული გადაგიხადა?

— არა, წინასწარ რატომ უნდა გადაეხადა. მხოლოდ სამი ლევი მომცა საკისარის საყიდლად.

— რას აკეთებდით პერნიკში იმ დღეს, როდესაც დიბევი მოკლეს?

— ახლა განა გაგახსენდება. — ის კარგა ხნით ჩაფიქრდა. — ხშირად დავდივარ პერნიკში მოტოციკლით — გასასეირნებ-ლად. მაინც ქალაქია — შეიძლება რაიმე იყიდო. ჰო, მართლა, იმ დღეს მაგნიტონი ვიყიდე, შემდეგ კინოში ვიყავი...

— როდის დაბრუნდით?

— დაახლოებით ათ საათზე, მოტოციკლეტით, ის უბედური თურმე იმ დროს თხრილში ეგდო, მაგრამ საიდან უნდა მცოდნოდა.

— ხომ არა გაქვთ სახლში რაიმე იარაღი?

— აბსოლუტურად არავითარი. არ მჭირდება ასეთი ქონება. მე მშვიდობისმოყვარე კაცი ვარ, კარტის გამოც კი არ მიყვარს ჩხუბი და აყალმაყალი.

— საიდან გაქვთ შუბლზე ეგ იარა?

— ფრონტიდან, — უნგრეთში დამჭრეს ნადიატადთან. ორი ორდენი მაქვს მამაცობისათვის.

დიმოვმა თავი ბლოკნოტში ჩარგო და მანამ არ აუწევია, სანამ ოთახში არ შემოიყვანეს ფაციფუცით ჩაცმული, მაღალი, მოღუშული კაცი. დიმოვმა უბრძანა ნესტოროვი მეორე ოთახში გაეყვანათ. და მერეღა შესთავაზა სპასს დაჯდომა.

— გვაპატიე, ბაი სპას, რომ უდროო დროს აგაყენეთ, — დაიწყო დიმოვმა. — მაგრამ ასეა საჭირო.

თავაზიანმა ტონმა ერთბაშად დაამშვიდა გოლიათი, სახე გაუნათდა.

— თუკი ასეა საჭირო! — ხელი ჩაიქნია მან და დაჯდა.

— ბაი სპას, ხომ ვერ გაიხსენებ ამაღამდელ ღამეს რომელ საათზე დაბრუნდი სახლში?

— არ ვიცი, საათზე არ დამიხედავს. ალბათ დაახლოებით თერთმეტ საათზე.

— მაშინ, რასაკვირველია, გაიგონებდი სროლის ხმას?

— გავიგონე, გავიგონე, როგორ ვერ გავიგონებდი... მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია.

— რატომ?

— ვიფიქრე, ჩვენი ბიჭები ისროდნენ, რაზმელები, ისინი ზოგჯერ ღამით იარაღს სინჯავენ.

— ახლა ძალზე მნიშვნელოვანია ყველაფერი კარგად გაიხსენო. მოსვლის შემდეგ მალე გაიგონე გასროლის ხმები?

— ძალიან მალე...

— რას ნიშნავს ძალიან მალე? ხუთ, ათ წუთს?

— არა, უფრო სწორად, ორ-სამ წუთს.

— კარგად ისმოდა?

— არც ისე... საკმაოდ შორს ისროდნენ.

— არც ისე შორს... ამ ღამეს თავის სახლში მოკლეს კირილ კუშევი.

გაუგებარია რატომ, მაგრამ გოლიათს არც გაჰკვირვებია. არც კი აღელვებულა.

— მგონი არ შემცდარან, — მოღუშულად თქვა მან. — საზიზღარი კაცი იყო — ბაზრის მოჭიდავესავით თავიდან ფეხებამდე გაქონილი. ვერაფრით ხელს ვერ წაავლებდი, ყოველთვის გაგისხლტებოდა. ალბათ მოატყუა ვინმე და იმანაც სამაგიერო გადაუხადა. უმაღლესი კლასის სპეკულანტი.

— კარგი გეყოფა, ბაი სპას, შეგიძლია წახვიდე:

გოლიათი რომ წამოდგა, ლამის ოთახში ვეღარ დაეტია.

— ჩემი მეზობელი რაღაზე დააკავეთ? — იკითხა მან.

— შესამოწმებლად, ცოტა ხნის შემდეგ გამოვუშვებთ.

— კარგი ბიჭია! — არცთუ ისე დარწმუნებით ჩაიბურტყუნა გოლიათმა. — მხოლოდ ესაა, რომ სხვადასხვა ჯურის ხალხი დადის მასთან. თუმცა, ასეთია მისი სამუშაო.

ის დინჯად გავიდა. დიმოვმა ნასკო ნესტოროვის საყარაულოდ დატოვა, ხოლო თვითონ პირვანთან ერთად კუშევის სახლისაკენ წავიდა. ჩხრეკა დამთავრებული იყო. ფიქრებში წასული პარგოვი სიგარეტს ეწეოდა.

— განსაკუთრებული არაფერი, — მოახსენა მან. — ვიპოვეთ ორი ტყვია.

ერთი დეფორმირებულია, მაგრამ ის, კედელს რომ მოხვდა, მთელია, მგონი პარაბელუმისაა, დაბეჯითებით ვერ ვიტყვი. განთიადისას გულდასმით დავათვალიერებთ ეზოს, ახლა ბნელა, არაფერი არ ჩანს. სახლში არაფერია. ზანდუკში შემნახველი სალაროს წიგნაკი ვიპოვნეთ. სუფთა ოცი ათასი ლევია. ეს ცოტა არაა. მე ვფიქრობ — ის რომ უბრალო სავაჭრო შუამავალი ყოფილიყო, ამდენ თანხას ვერ დააგროვებდა.

— როგორ გითხრათ. თუკი ნაქურდალი მასალებით ვაჭრობდა, — ცოტაცაა, — თქვა დიმოვმა. — ყოველ შემთხვევაში, კოოპერაციაში რევიზია უნდა ჩავატაროთ.

— გაქვს რაიმე ვარაუდი? — ცნობისმოყვარეობით შეეკითხა პარგოვი.

— ჯერჯერობით არა... მაგრამ, როგორც უკვე გითხარი, გამორიცხული არაა, რომ ბოროტმოქმედებას ჰქონოდა ადგილი.

და, შესაძლოა, იმის შიშით, რომ არ გამეღავნებულიყო, ეიღაცამ მოკლა ის.

— ჰოო! — გრძლად წარმოთქვა პარგოვმა.

— ახლა ჩემთვის მთავარი პრობლემაა გავარკვიო: ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე მკვლელია თუ არა. ღია ფერის სათბილობელი...

— მე გითხარით სათბილობლებზე. აქ მათ ხშირად იცვამენ.

— არცთუ ისე ხშირად! — ერთგვარი მოუთმენლობით შეეპასუხა დიმოვი. — დიბევის მოკვლის შემდეგ, განუწყვეტლივ ვაკვირდები რას იცვამს ხალხი. დღემდე მხოლოდ ორი-სამი სათბილობელი ვნახე. არც ისე ბევრია... მხოლოდ უბრალო დამთხვევის საფუძველზე სერიოზული ჰიპოთეზის არც დამტკიცება შეიძლება და არც უარყოფა.

— იანკოზე რას იტყვი?

— დიმოვმა მოკლედ გააცნო დაკითხვის შედეგები.

— დიახ, საკმაოდ სერიოზული ალიბია, — დაეთანხმა პარგოვი. — მის ცოლს — რაღა თქმა უნდა — არ დავუჯერებდი, მაგრამ ბაი სპასი პატიოსანი კაცია, არ მოიტყუებს. — წარმოიდგინე, რომ ნესტოროვმა ბაი სპასი ნახა სადმე მინდორში, როდესაც ის ბრუნდებოდა. შემდეგ ჩაიდინა მკვლელობა და დაბრუნდა სახლში. განა ძნელია მისთვის მოიტყუოს, რომ ლოგინში გაიგონა მოტოციკლის ხმა?

— იცი რა, ეს იდეაა! — ადგილზე შეტოკდა პარგოვი.

— მაგრამ მე არ მჯერა, — თავი გააქნია დიმოვმა. — თუ ის ასეთ დანაშაულებრივ კავშირს დაამყარებდა ცოლთან. მაგრამ ეს არაა მთავარი. როდესაც მას ვუთხარი, კუშევი მოკლეს-მეთქი, შეკრთა და გულწრფელად — ამაში დარწმუნებული ვარ— გაიკვირვა!

— ეს საქმე პირველზე უფრო ჩახლართული ჩანს, — წაიბურტყუნა პარგოვმა.

— შენ რა ვარაუდი გაქვს?

— არაფერი... — უხალისოდ გაწელა მან სიტყვა.

— თქვი, თქვი...

— ეს ვარაუდი არაა, ცხადზე უცხადესი რამ არის, რაც შეიძლება აზრად მოგვიდეს კაცს. წარმოვიდგინოთ, რომ კუშევი მკვლელობის შემთხვევითი მოწმე იყო. ანდა საიდანღაც გაიგო

მკვლელის ვინაობა. აიძულა ის გამოტეხილიყო, მან კი თავის გადასარჩენად მოკლა კუშევი. მაგრამ ეს, რასაკვირველია, სისულელეებია. არა მგონია, საქმე ასე იოლი იყოს.

— იცი რა წინააღმდეგობებია შენს მსჯელობაში?

— დიახ ვიცი. თუ ასე იყო, რომ მკვლელმა მიაღწია თავის მიზანს, მაშინ ისიც ბუნებრივი იქნებოდა უმალვე მიმალულიყო, და არა ეზოში ეზოზინა.

— სწორედ! — თავი დაუქნია დიმოვმა.

— იქნებ მკვლელს კუშევის გაძარცვა უნდოდა?

— მეტისმეტად დიდი რისკია...

— იქნებ გასაღები ჰქონდა კარის გასაღებად, ან მეორე გასაღები. მაგრამ მან გაიგონა ჩვენი ბიჭის მიერ ატეხილი ხმაური, შეეშინდა და გაიქცა.

— უკანა კარებთან იპოვეთ გასაღები?

— დიახ, ზედ კარის უკანაა ჩამოკიდებული.

— საერთოდ ყველაფერი ეს ფუჭი ვარაუდებია! — მწარედ შენიშნა დიმოვმა. — ჩვენ კი ფაქტები გვჭირდება. თანაც შემოწმებული... წავიდეთ ახლა ნესტოროვთან. ჯერ მისი ცოლი არ დაგვიკითხავს და ვამბობთ, რომ მას ალიბი აქვს.

მაგრამ ცოლთან საუბრით ამაოდ დაშვრნენ. მექანიკოსის მეუღლე ახალგაზრდა, შავთვალა, ლამაზი, კარგი აღნაგობის, შესახედავად ძალიან მშვიდი ქალი იყო. ალბათ მისი სიმშვიდე იმ რწმენიდან მომდინარეობდა, რომ ქმარი არ შეიძლებოდა გარეული ყოფილიყო რაიმე საშიშ საქმეში, ან დანაშაულში. მისმა პასუხებმა ზუსტად დაადასტურა ნესტოროვის მონაყოლი. გარდა ამისა, ქალი კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ, როდესაც მათ სინათლე ჩააქრეს, თერთმეტს აკლდა ხუთი წუთი, მან საათს შეხედა.

— შეხედეთ და ჩაიძინეთ? — შეეკითხა დიმოვი.

— მე ყოველთვის კიდევ ხუთ-ექვს წუთს არ მძინავს ხოლმე.

— გაიგეთ, როდის დაბრუნდა „იავათი“ ბაი სპასი?

— არა.

დიმოვმა შენიშნა, რომ პარგოვი ქალს ბოლომდე არაჩვეულებრივი დაძაბვით უსმენდა და მის სახეს თვალს არ აშორებდა. ბოლოს, როდესაც დაკითხვა დამთავრდა და ისინი ეზოში გავიდნენ, მან წყნარად თქვა:

— ამ ქალმა ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. ისე პასუხობდა, თითქოს კარგად დასწავლილ გაკვეთილს იმეორებსო. მან კიდევ რაღაც იცის, ამაში დარწმუნებული ვარ.

— რწმენა მტკიცებების გარეშე არაფერს არ ნიშნავს, — ამოიოხრა დიმოვმა. — მოდი ჩხრეკა დავიწყოთ.

მაგრამ საგულდაგულო ჩხრეკითაც საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს. ღია ფერის სათბილობელი ვერსად ვერ ნახეს, თუმცა გულის სიღრმეში დიმოვს მისი პოვნის იმედი ჰქონდა. როდესაც ქუჩაში გამოვიდნენ შუაღამე გადასული იყო. სოფლის მამლებმა კარგა ხანია დაამთავრეს ყივილი, სახურავების თავზე ისეთი სუფთა, გამჭვირვალე და მოვარდისფრო ცა გადაჭიმულიყო, თითქოს დედამიწის ყველაზე უბიწო კუთხეს ახურავსო. ისინი ისევ კუშევის სახლში დაბრუნდნენ, მათ ეზო დარჩათ დასათვალიერებელი. დათვალიერება საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, ვერსად ვერ იპოვეს ვერც მოწყვეტილი ღილი, ვერც ნამწვავი, ვერაფერი, გარდა ქათმის სკინტლისა და დამპალი ნაყოფებისა. და მხოლოდ ბოლოს მოახდინეს, მოულოდნელი, თითქმის სენსაციური აღმოჩენა. სახლის უკანა კარებიდან პატარა ჭიშკრისაკენ მიდიოდა დამტვრეული ფილებით მოფენილი ვიწრო ბილიკი, რომელიც ჩიხში გადიოდა. ჭიშკრის ახლოს, ბილიკის მარჯვნივ ერთი ნაბიჯის მანძილზე იდგა წყალსადენის წერტი — მილი უხეში ონკანით, რომელზედაც აცვამდნენ მოსარწყავ შლანგს. ონკანი ცუდად იკეტებოდა და მილში წყალი ბუყბუყებდა, უფრო სწორად, მილიდან წყალი წვეთავდა, ხოლო მის ახლოს მიწა ტენიანი და დამბალი იყო. სწორედ ამ რბილ მიწაზე აღმოაჩინეს ფეხსაცმლის ნათელი ანაბეჭდი, იმდენად მკაფიო, გეგონებოდათ სპეციალური შეკვეთითაა გაკეთებული. ეს იყო ორმოცდაორი ზომის ჩვეულებრივი ტყავის ძირიანი, ჩვეულებრივი ფეხსაცმლის ანაბეჭდი. ჩანდა, ანაბეჭდი სულ ახალი, ამ ღამით იყო დატოვებული.

— კვლავ იგივე ნომერი!—თქვა პარგოვმა.—ხოლო თუ სათბილობელსაც დავუმატებთ... შესაძლებელია, ამ ორ დანაშაულს შორის იყოს კავშირი?

— კავშირი — ის სიტყვა არაა, — დაეთანხმა დიმოვი. — კარგი იქნებოდა ნესტოროვის ფეხსაცმელებზე ცოტა ტალახი მაინც რომ აღმოგვეჩინა.

— გჯერა, რომ ეს შესაძლებელია? — შეეკითხა პარგოვი.

— არა... დიდი ყურადღებით დავათვალიერე მისი ტანსაცმელი და ფეხსაცმელები. შემიძლია გითხრათ — სავსებით სუფთაა. რა თქმა უნდა, მას შეეძლო მერე გაეწმინდა ისინი. ჩხრეკის დროს ხომ არ გინახავთ სხვა ფეხსაცმელები?

— ვნახეთ, ახლები, გამოსასვლელი, ერთიც მოტოციკლით სასიარულოდ.

— შეუძლებელია, რომ მას ეყიდა ახალი ფეხსაცმელები სპეციალურად ღამე სასიარულოდ. მაგრამ რატომ ვლაპარაკობთ ტყუილუბრალოდ, უნდა შევამოწმოთ...

მაშინვე შეამოწმეს, მაგრამ ნესტოროვის ფეხსაცმელები სრულიად მშრალი აღმოჩნდა და ტალახის არავითარი კვალი არ ჩანდა. იოტისოდენა საფუძველიც არ არსებობდა გეფიქრა, რომ ისინი ახალი გაწმენდილი იყო. დიმოვი თავმჯდომარის ოთახში დაბრუნდა და უბრძანა მექანიკოსი გაეშვათ.

ახლა მათ ერთი გამოსავალი დარჩენოდათ — დაეკითხათ სარემონტო სახელოსნოს გამგე სლავჩო კინევი. დიმოვი და პარგოვი ფეხით წავიდნენ. დიმოვს მაშინვე თვალში ეცა ნესტოროვისა და კინევის სახლების მსგავსება. ეჰვს გარეშე გახლდათ, ისინი ერთი და იმავე პროექტით იყო აშენებული. კარებზედაც კი ერთნაირი ზარები ეყენათ. დიმოვმა ზარის ღილაკს დააჭირა და კარებს იქით ისეთივე რეკვა გაისმა. ცოტა ხნის შემდეგ წინა ოთახიდან ისეთივე შიშველი ფეხის ხმა მოისმა, ოღონდ ამჯერად ნაბიჯები უფრო მსუბუქი იყო. კარები გაიღო და ზღურბლზე ახალგაზრდა გოგო გამოჩნდა.

ისეთი მოულოდნელი გახლდათ ეს შეხვედრა, რომ დიმოვმა კინაღამ უკან არ დაიხია. ქალიშვილი კი სრულიად ჩვეულებრივი იყო, შესაძლოა გულეშის კვალობაზე მეტად ლამაზი. წითელი კოფთა და მოკლე შავი ქვედატანი ეცვა. სახლში ნაქსოვი, შავი, უხეში ყელიანი წინდები მხოლოდ მუხლებამდე ჰქონდა აწეული და წინდებსა და ქვედატანს შორის თეთრი და ნაზი კანის საკმაოდ ფართო ზოლი მოუჩანდა. წამით დიმოვს დააკვიწყდა კიდეც იმ კაცის სახელი, რომელსაც ეძებდნენ და გამალებით ცდილობდა გაეხსენებინა. ქალიშვილი შეწუხებული შეჰყურებდა მას ცოტა ვიწრო, მწიფე თუთისფერი თვალებით.

— სლავჩო კინევი შინ არის? — ჰკითხა მან ბოლოს გაუბედავი ხმით.

— არ გახლავთ, სამუშაოზე წავიდა, — უპასუხა ქალიშვილმა.

მან არ აგრძნობინა, რომ შენიშნა უხერხულობა, მოულოდნელად თვითონვე რომ გამოიწვია. ფართო ღაწვებიანი ლამაზი სახე ჰქონდა, თვალების ჭრილი კი ბუნებრივად ნუშისებრი, კოსმეტიკა არაფერ შუაში იყო.

— ძალიან ადრეა! — ჩაიჩურჩულა დიმოვმა.

— ის ყოველთვის ადრე მიდის, — თქვა ქალიშვილმა. დიმოვმა შეამჩნია, რომ მან დიდი ინტერესით დაუწყო მას ყურება.

— თქვენ რა ხართ მისი?

— და, — უპასუხა ქალიშვილმა. მილიციიდან ხომ არა ხართ?

— მგონი კი...

— იქნებ თქვენთვის საინტერესო იყოს, — უთხრა ქალიშვილმა, — ბოლო დროს ბაი კირო ჩვენს ერთ-ერთ მასწავლებელ ქალთან დადიოდა... მას ნადეჟდა ზამფირსკაია ჰქვია.

— ნამდვილად საინტერესოა! — მეტისმეტი ენთუზიაზმით შეხიშნა დიმოვმა. — მაგრამ საიდან იცით თქვენ?

— ორჯერ ვნახე ისინი ერთად... საღამო ხანს.

— მგონი, სერიოზული დამამტკიცებელი საბუთი არ არის.

— შეიძლება. მაგრამ ქალი იღიმებოდა! — გაცხარდა ქალიშვილი. ტექნიკუმში არასდროს არ გვინახავს ის გაღიმებული... არასდროს...

— აი, ეს უკვე სხვა საქმეა! — დაეთანხმა დიმოვი. — რომელ ტექნიკუმზეა ლაპარაკი?

— კერამიკის ტექნიკუმზე პერნიკში.

— ეგ თქვენი მასწავლებელი, ალბათ, არც ისე ახალგაზრდაა?

— არა, რა თქმა უნდა, ოცდაათს გადააბიჯა.

— რა მკაცრად მსჯელობთ ასაკზე, — გაიღიმა დიმოვმა. გმადლობთ ცნობებისათვის, შესაძლოა ისინი მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს... ნახვამდის, — მან საჩვენებელი თითი წინაფრის ადგილთან მიიტანა.

„ყველაფერი სულელურად გამოვიდა," — ფიქრობდა შეწუ-

ხებული დიმოვი, ბეტონის კიბეებზე ჩამოსვლისას, მაგრამ ქალიშვილის უკანასკნელი გამოხედვა კეთილგანწყობილი იყო, მიუხედავად ასაკზე მისი წარმოდგენისა.

ეზოში პარგოვი იცდიდა. დიმოვმა შენიშნა როგორ გაიელვა მის თვალებში ოდნავ შესამჩნევმა ირონიამ. ან იქნებ მას მხოლოდ მოეჩვენა ასე?..

ისინი ჩასხდნენ მანქანაში, სადაც პირვანი იყო. ნამძინარევმა მძღოლმა ისე მკვეთრად მოუმატა გაზს, რომ ყველანი უკან გადავარდნენ.

— პირვან, რას იტყვი ამ ქალიშვილზე? — ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა დიმოვმა.

— ქალღმერთია! — ხალისით უპასუხა ყმაწვილმა. — ქანდაკებაა.

— რა ჰქვია?

— იანკა... იანკა — ლამაზი სახელია!.. ამხანაგო დიმოვ, თქვენ ბედი გწყალობთ, ბოლოს ალერსიანად შემოგხედათ. ალბათ დაინტერესდა. თქვენ ადგილზე კნუტივით ვიხტუნებდი.

— საქმეც იმაშია, რომ კნუტები ძალიან სასაცილოდ ხტუნაეენ, — ჩაიბურტყუნა დიმოვმა.

— ყმაწვილო, უკვე დიდი ხანია შენი დრო დადგა! — აიტაცა მოულოდნელად გამხიარულებულმა პარგოვმა.

სარემონტო სახელოსნო სოფლიდან ერთ კილომეტრზე იყო. დიმოვზე მაშინვე მოახდინა შთაბეჭდილება ეზოში არსებულმა სანიმუშო წესრიგმა. ყველა მანქანა ფარდულში იდგა. მათ ახლოს სუფთა სპეცტანსაცმლიანი ოსტატები დაფუსფუსებდნენ. კანტორა მოთავსებული იყო ღობესთან მდებარე პატარა შენობაში. სახელოსნოს გამგესთან მხოლოდ დიმოვი და პარგოვი შეეიდნენ. მისი ცნობა ძნელი არ იყო, ისე ჰგავდნენ და-ძმა ერთმანეთს. კინევი მაღალი, შავთვალებიანი ლამაზი კაცი იყო და დასავით ფართო ღაწვები ჰქონდა. მან მოსულებს თავაზიანად შესთავაზა სკამები, მაგრამ დიმოვი თავისუფალ საწერ მაგიდასთან დაჯდა, რომელიც ზუსტად გამგის საწერი მაგიდის წინ იდგა. მან დინჯად ამოიღო ბლოკნოტი — ამაში იყო მთელი მანევრის აზრი. კინევისათვის საჭირო არ იყო იმის თქმა, თუ ვინ და რატომ მოვიდა. მან, ისევე როგორც მთელმა სოფელმა, უკვე იცოდა მკვლელობის ამბავი.

— დიახ, ცხადია, მე კარგად ვიცნობ ნესტოროვს, — დაიწყო კინევმა. — ოცი წელია განუყრელი მეგობრები ვართ.

— ნესტოროვი ამტკიცებს, რომ გუშინდელი საღამო თქვენ ერთად გაატარეთ, — უთხრა დიმოვმა.

— დიახ, კარტს ვთამაშობდით...

— რომელი საათიდან რომელ საათამდე?

— მგონი შვიდიდან თერთმეტის ნახევრამდე.

— რატომ დაამთავრეთ თამაში?

— წავიჩხუბეთ.

— სწორედ ამის გაგება მინდა. ვისი მიზეზით წაიჩხუბეთ?

სარემონტო სახელოსნოს გამგემ გაკვირვებით შეხედა დიმოვს.

— მე ვფიქრობ, მისი, — მიუგო მან. — თამაშობთ თქვენ ბელოტს?

— რასაკვირველია, — თავი დაუქნია დიმოვმა.

— კეთილი, ჩვენ არ ვხსნით კარტს, მაგრამ მე შევცდი და ვალეტი გავხსენი. ასეთ შემთხვევაში, — თუ ვინმე წინააღმდეგია — გახსნილ კარტს დასტაში დებენ. კეთილი. მაგრამ მას უნდოდა აუცილებლად მიეღო ვალეტი... ამიტომ წავიჩხუბეთ.

— იანკო კი ამბობს, რომ სწორედ თქვენ შეწყვიტეთ თამაში. ბოლოს და ბოლოს ის დაგეთანხმა, რომ მეოთხე ვალეტი დასტაში ჩაგედო.

კინევი ჩაფიქრდა, შუბლი შეეკრა.

— იქნებ ასეც იყო. ჩვენ ბევრი დავლიეთ და შესაძლოა ავუშარდი. ნუთუ ეს ასე მნიშვნელოვანია? — შეეკითხა ის.

— ჩემთვის მნიშვნელოვანია, — ცივად მიუგო დიმოვმა.

კინევმა სწრაფად შეხედა მას.

— აი თურმე რაშია საქმე, ახლა მესმის, — წარმოთქვა მან ოდნავ შეცვლილი ხმით. — თქვენ გსურთ გაიგოთ, განგებ ხომ არ ავრიე თამაში? უნდა გითხრათ, რომ არა. ჩხუბი, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, სრულიად მოულოდნელად დაიწყო: გარდა ამისა, მან მაწყენინა. მითხრა, შენ იცოდი, რომ ეს ვალეტი იყო და განგებ გახსენიო. ვალეტი რომ იყო ვიცოდი, მაგრამ განგებ ნამდვილად არ გამიკეთებია. და საერთოდ არ შეიძლება დაბრალება, თუ დარწმუნებული არა ხარ.

— ის მთვრალი იყო?

— არა, მთვრალი არ ყოფილა, კარგა გვარიანად სვამს, ერთი ლიტრა გასახურებლად არ ჰყოფნის.

— შემდეგ რა მოხდა?

— არაფერი. თამაში აირია. აქ კიდევ ცოლი დაეხმარა, მოვიდა ჩვენს გასალანძღად. მართალია, ის იანკომ გააგდო, მაგრამ ხასიათი გაგვიფუჭდა.

— სახლში წახვედით?

— რასაკვირველია, სახლში, — აქ ბარები არაა, სადაც შეიძლება ღამით დაამატო. ჯერ ერთი გზა გვქონდა და მანასკოსთან ერთად მივდიოდი, შემდეგ ის თავის სახლისკენ წავიდა, მე ჩემი სახლისკენ.

— ვინმემ თუ დაგინახათ, როგორ მიდიოდით?

ახალგაზრდა კაცი მოიღუშა.

— თქვენ რა, ჩემგანაც ალიბს მოითხოვთ? — გულგრილად შეეკითხა.

— აქ მხოლოდ მე მაქვს შეკითხვების მიცემის უფლება! — გაჯავრდა დიმოვი. — ვფიქრობ, შეკითხვებს საკმაოდ ზრდილობიანად გაძლევთ.

— დიახ, მაგრამ რის საფუძველზე?

— სხვებს ეძინათ, თქვენ კი ამ დროს ქუჩაში იმყოფებოდით.

— ვფიქრობ, სწორედ ამაშია ჩემი ალიბი, — თქვა კინევმა. — თუ ვინმე მკვლელობას განიზრახავს, მისი პირველი საზრუნავია, შეუმჩნეველი იყოს.

— არ ღირს დავა, გვიპასუხებთ თუ არა კითხვებზე?

— არავის დაუნახავს, როგორ მივდიოდი, — უკმაყოფილოდ უპასუხა კინევმა. — როცა კაცი სახლში გვიან შედის, ყოველ შემთხვევაში, იმას ცდილობს სხვები არ შეაწუხოს. მე სიბნელეში გავიხადე და დავწექი. ცოლი ბრაზდება, როდესაც ღამით ვაღვიძებ...

— გაიგონეთ გასროლის ხმები?

— არა, არ გამიგონია... ჩვენი სახლი შორსაა კიშევის სახლიდან.

— საკმარისია ამის შესახებ, — შეაწყვეტინა დიმოვმა. — თუ გახსოვთ ის დღე, როდესაც ევტიმ დიბევი მოკლეს?

— დიახ, მახსოვს. იმ დღეს მე პერნიკში ვიყავი.

— მუშათა მატარებლით მიდიოდით?

— დიახ, სწორია...

— რატომ არ ჩამოხვედით თქვენს სადგურზე?

რაღაც წყენის მაგვარმა გადაჰკრა გამგეს სახეზე.

— პერნიკში რეოსტატების საყიდლად ვიყავი, — უთხრა მან. — ჩვენი გატყდა და უიმისოდ ხელმოჭრილებივით ვართ. წავედი ბაზაში, მაგრამ იქაც გათავებულიყო. მითხრეს, ორეშეცის სახელოსნოში რამდენიმე დღის წინ ორი ვიყიდეთო, მათთან წავედი და ვთხოვე ერთი მოეცათ, სანამ სოფლიდან ჩამომიტანდნენ. ამხანაგები ვართ, როგორ არ დამეხმარებოდნენ.

— რა დროს ჩახვედით ორეშეცში?

— ბნელოდა, განრიგი არ მახსოვს. მაშინვე წავედი ამხანაგთან, რომელიც სახელოსნოში ათევს. მან არა მარტო ხელსაწყო მომცა, არამედ მოტოციკლით გულეშშიც წამიყვანა...

— საკმარისია, თქვენ გაქვთ თეთრი სათბილობელი?

ამ კითხვაზე კინევმა მაშინვე არ უპასუხა.

— არა. მე ორი ლურჯი მაქვს. იცით, თეთრი სვიტრები ჩემი სამუშაოსათვის არ გამოდგება.

დიმოვმა რაღაც ჩაიწერა ბლოკნოტში და კვლავ ასწია თავი.

— რა ნომერ ფეხსაცმელს ატარებთ?

— ორმოცდაორს.

— ხომ არ შეგიძლიათ გვაჩვენოთ?

კინევი არ წამომდგარა, პირდაპირ მაგიდის ქვეშიდან ფეხები გაყო. ფეხსაცმელები ცოტათი დასვრილი აღმოჩნდა, მაგრამ ძირი დაღარული რეზინისა იყო.

— მე მეტი შეკითხვები აღარა მაქვს, — მიუბრუნდა დიმოვი თავის თანაშემწეს. — შენ?

— ისედაც თავი მოვაბეზრეთ კაცს, — უხალისოდ დაიწყო პარგოვმა, – მაგრამ საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. ყური მიგდე, სლავჩო, როგორი ურთიერთობა ჰქონდათ იანკოსა და ბაი კიროს? მეგობრობდნენ ისინი?

— არავითარი მეგობრები — რა აქვთ მათ საერთო? ბაი კირო არც სასაუზმეში შედიოდა და არც კაფეში. „გამარჯობა“ — „გაგიმარჯოს“ — ეს იყო და ეს.

— გინახავს როდისმე იანკოს ტანზე ღია ფერის სათბილობელი?

— არ მახსოვს! — გაუბედავად წარმოთქვა კინევმა. — განა მამაკაცს აინტერესებს ასეთი რამეები? სათბილობელი კი არა, ისიც არ მახსოვს თეთრი პერანგი თუ აქვს...

— ჰო, არ გეხსომება, მაშ დავამთავროთ... — პარგოვი თაგის შეფისაკენ შემოტრიალდა.

დიმოვი წამოდგა, პარგოვი უკან გაჰყვა.

— ვფიქრობ, ტყუილუბრალოდ გეწყინათ, — უთხრა დიმოვმა. — ჩვენ მხოლოდ მოვალეობას ვასრულებთ.

ცოტა ხნის შემდეგ „გაზიკმა" ისინი სოფლისაკენ გააქროლა, ყველანი დუმდნენ.

— რა? — ბოლოს და ბოლოს იკითხა დიმოვმა.

— არაფერი! — წაიბურტყუნა პარგოვმა. — გამოდის, რომ სლავჩოსთან გადავამლაშეთ, ის პატიოსანი ბიჭია. თანაც აქტივისტია, ასე არ შეიძლება, განურჩევლად.

— კეთილი, მაგრამ მას არა აქვს ალიბი. ეს კი რაღაცას ნიშნავს.

სოფელში რომ დაბრუნდნენ, გადაწყვიტეს იქ სამორიგეოდ პირვანი დაეტოვებინათ, მას დავალება მისცეს, ხოლო თანაშემწეებად ნასკო და რაზმის რამდენიმე ყველაზე გამოცდილი წევრი დაუნიშნეს. შემდეგ „გაზიკში" ჩასხდნენ და ხელმოცარულებმა ქალაქისაკენ გასწიეს. მგონი პარგოვი სხვებზე მტკივნეულად განიცდიდა და წარბშეკრული დუმდა. რა უნდა მოახსენონ ზემდგომ ინსტანციებს?

„მოკლულია ორი, მაგრამ ცნობილი არ არის ვინ ჩაიდინა ეს ბინძური საქმე. არც გზაა, არც ბილიკი. ისიც არ ვიცით, საით გვიჭირავს გეზი ბრმებივით დაეხეტებით. აბა რაღაში ვარგივართ, თუ ამ საქმის დაგვირგვინებაც არ ძალგვიძს?"

ასე ფიქრობდა პარგოვი, მაგრამ ასე არ ფიქრობდა მისი უფროსი. ის იმედს არ კარგავდა. მას მარტო ყოფნა სურდა, ყველაფრის გააზრება.

დღე კი იწყებოდა, ყველაზე ჩვეულებრივი დღე — მშვიდი და წყნარი, გზებზე მიჩანჩალებდნენ ყურეებჩამოყრილი ვირები, ნამკალში კაჭკაჭები დაფრინავდნენ. გზატკეცილის მახლობლად, გაყვითლებული ქლიავის ქვეშ თვალებზე ჩალის ქუდჩამოფარებულ, რეზინის ცარვულებიან კაცს ეძინა. მას მეორემოს-

ვლამდე შეუძლია ეძინოს, ამ მშვიდობიან ადგილებში მკვლელობა ერ მოხდება. მაგრამ, რატომ მაინცდამაინც ამ ყველაზე წყნარ, ყველაზე მშვიდ, ყველაზე უდაბურ კუთხეში მოხდა ის?

ეს ვერავის გაეგო.

9

განყოფილებაში მათ ახალი ამბავი დახვდათ — ღამით გიორგი შუტევი დაიჭირეს. ოპერატიული მუშაკი დაწვრილებით მოუყვა, თუ როგორ მოხდა ეს. ნაშუაღამევს შუტევი შეეცადა სახლში შესვლას და ის სწორედ ამ დროს დააკავეს უკანა პატარა ეზოში. თუმცა სიტყვა „დააკავეს" მთლად ზუსტი არაა — მას როგორც ცოფიან მხეცს, ისე შეებნენ. და იძულებული გახდნენ შუტევი განყოფილებაში მისივე თეთრეულის გასაშრობი თოკით გათოკილი მოეყვანათ. ის ახლაც გაბაწრული იწვა სატუსაღოში.

— რას იტყვი, კმაყოფილი ხარ? — ცალყბა სიცილით შეეკითხა პარგოვს დიმოვი. — განყოფილება დაპატიმრებულებით იწყებს შევსებას.

— წავიდეთ, ვნახოთ ის, — შესთავაზა მოღუშულმა დიმოვმა.

საპატიმროში ჩავიდნენ და მძიმე კარები გააღეს. შუტევი იატაკზე იჯდა, მან ძლივს შეხედა მოსულებს.

— რატომ გაიქეცი გუშინ საღამოს? — შეეკითხა დიმოვი.

შუტევი დუმდა და მათ ფეხებში უყურებდა.

— ყური მიგდე, მე ვიცი რატომ! — გაბრაზებით უთხრა დიმოვმა. — ოღონდ შენგან მინდა რომ გავიგო.

— აბა, რატომ, თუ იცი? — შეეღრინა შუტევმა.

— სხვებმაც უნდა იცოდნენ.

შუტევი დიდხანს დუმდა, სახე სულ უფრო ეღრიჯებოდა.

— სირცხვილმა დამძლია! — წაილუღლუღა მან ბოლოს.

— რისთვის?

— კარტოფილის გამო. მე ჩვენი არ ამოვთხარე, არამედ სხვისა — ილიიჩო კინჩევისა.

— რა ჯანდაბად გინდოდათ — ათასი მეტრი კარტოფილი განა ცოტაა? რომ გასკდე, მაინც ვერ შეჭამ!..

შუტევი დუმდა.

— ასე ხომ?.. ნაკვეთი მოგცეს, შენ კი სხვას პარავ. როგორ ავხსნათ ეს?

— დიახ, მისი გოჭი... — დაიწყო შუტევმა და გაჩუმდა.

— თქვი, თქვი!

— მე და ილიიჩო მეზობლები ვართ. უკვე კარგა ხანია მისი გოჭი ჩემს ბოსტანს შემოეჩვია და თელავს...

— და გადაწყვიტე სამაგიერო გადაგეხადა. გარდა ამისა, ჩვენი მოტყუებაც. ახლა კი იჯექი გათოკილი, სანამ ქუაზე არ მოხვალ!

დიმოვმა ზურგი შეაქცია მას და მძიმე კარი გაიხურა. სარდაფიდან არც იყვნენ გამოსულები, რომ ვიღაცამ ბრახუნი დაიწყო ერთ-ერთ ფიცრულ კედელზე.

— ვინაა? — შეეკითხა დიმოვი ზემდეგს.

— გიორგი კროტევი...

დიმოვი კართან მივიდა.

— რა გინდა, კროტევ? — ხმამაღლა ჰკითხა მან.

— საუბარი მინდა შენთან.

— მე კი არა! — მიაძახა დიმოვმა და კიბეს აუყვა.

პარგოვთან ერთად ის თავის კაბინეტში შევიდა და ერთი ხანობა ჩუმად იდგა ოთახის შუაში.

— დაე შუტევმა ყველაფერი დაწეროს! — თქვა ბოლოს მან. — და გაუშვით.

პარგოვმა თითქმის შიშით შეხედა დიმოვს.

— როგორ გავუშვათ, ამხანაგო დიმოვ, იქნებ დამნაშავეა?

— არავითარი სამხილი არა გვაქვს...

— აბა ის რაა, რომ გაიქცა?

— მან ხომ აგვიხსნა, რაშიც იყო საქმე.

— როგორ უნდა დავუჯეროთ მას, როცა ერთხელ უკვე მოგვატყუა? რა ვიცი რას აკეთებდა ამ ღამით... შეიძლება მან მოკლა კუშევი...

— კარგადაა მოფიქრებული! ჰკითხე, სად იყო ღამით, მაგრამ მერე გაუშვი... მე ვარ პასუხისმგებელი.

— გისმენთ! — პირველად წარმოთქვა პარგოვმა მხედრულად. — კროტევი?

— ცოტა დავიცადოთ, სანამ ჭკუაზე მოვა! ის ახლა ალკოჰოლურ კრიზისში იმყოფება. დღეს საღამოს იმასაც კი გვეტყვის, რასაც არ შევკითხივართ...

მართალია, დიმოვი არ გრძნობდა დაღლას, მაგრამ მაინც გადაწყვიტა ორი საათი დაეძინა, ძალები აღედგინა და აღქმის სიმწვავე დაებრუნებინა. დიდი ხანია შეამჩნია, რომ წარმოსახვა აზრზე უფრო სწრაფად ეღლებოდა. ლოგიკურ ამოცანაზე საათობით შეეძლო ეფიქრა, მაგრამ როცა საჭირო იყო წარმოსახვის მოშველიება — მაშინვე გამოშტერდებოდა. წარმოსახვის მუშაობა უჭირდა. მაგრამ მაინც სწორედ ხატოვანი და არა ლოგიკური აზროვნება ეხმარებოდა აქამდე მას ყველაზე ძნელი ამოცანების დაძლევაში. ამ თემაზე ისაუბრა მან კურსებზე, ერთ-ერთი რეფერატის განხილვის დროს და ვინაიდან ის ერთ-ერთი საუკეთესო მსმენელი იყო, ვერავინ გაბედა მის წინააღმდეგ გამოსვლა. მხოლოდ მომხსენებელმა დაიცვა თავისი რეფერატი.

— დიმოვის აზრით, გამოდის, ხატოვანი აზროვნება არაა ლოგიკური აზროვნება. — თქვა მან ისე, რომ გადმოკარკლული თვალები არ აუხამხამებია. — მინდა ამხანაგ დიმოვს შევეკითხო, სწორად თუ გავუგე მას.

— მთლად სწორად არა, — ადგილიდან გაილიმა დიმოვმა.

— გულწრფელად ნათქვამია, — მაგრამ მაშინ მე შენი არ მესმის.

— მაშასადამე, ყურადღებით არ მისმენდი. მე ვთქვი, რომ ხატოვან აზროვნებას არ უნდა უშლიდეს მსჯელობის ლოგიკა. რას ნიშნავს ეს? ძალიან იოლია: მე ასე ვფიქრობ — სახეები არ უნდა შევურიო ჩემს ლოგიკურ მსჯელობებს. სახეები თავისუფლად უნდა ცხოვრობდეს თავისი საკუთარი, მისთვის დამახასიათებელი ცხოვრებით. მე მხოლოდ ყურადღებით უნდა ვადევნო მათ თვალი, შემდეგ კი გავაანალიზო და განვაზოგადო შედეგები ლოგიკური აზროვნების შესაძლებლობათა შესაბამისად. გასაგებია?

ამას რომ ამბობდა, დიმოვი დარბაზისაკენ ზურგშექცეული იყო და მომხსენებლის პირისპირ იდგა. და გრძნობდა, რომ კარგად ვერ გაუგეს. მომხსენებელმა თვალები აახამხამა.

— შენ გინდა თქვა, რომ კრიმინალისტი პირველ ყოვლისა

კარგი ფსიქოლოგი უნდა იყოს? გეთანხმები, ეს საყოველთაოდ ცნობილია.

— სამწუხაროდ, კარგი ფსიქოლოგი საკმარისი არაა, — თქვა დიმოვმა, — კარგი ფსიქოლოგი სწორ წარმოდგენას ქმნის ობიექტზე. მაგრამ ამის შემდეგ მან უნდა გამოიყვანოს ის თავისი წარმოსახვის სცენაზე. აი რაზეა ლაპარაკი...

ამგვარი აზრები უტრიალებდა თავში, სანამ ნაბიჯებით ზომავდა რეცხვისაგან გათეთრებული თავისი ოთახის იატაკს. ორის ნახევარი იყო, თავს მხნედ და დასვენებულად გრძნობდა. მას მხოლოდ ფანჯრებთან დარგული ყვავილების მძიმე სუნი აღიზიანებდა. ყვავილები შეიძლება ლამაზებია, მაგრამ სუნი ხელს უშლიდა ფიქრში. და მაინც მისი წარმოსახვის სცენაზე რაღაც უსხეულო და მდუმარე სახეებმა გაიელვეს.

გასაპარსად ქვევით რომ ჩადიოდა, გაიგო, რაც ელოდა. ამჯერად ეს იყო საიდუმლო ნარევით გაჩურთული შემწვარი წიწაკა, რომლის რეცეპტი მხოლოდ დიასახლისმა იცოდა. მან მორცხვობა დაძლია და მადიანად გადასანსლა ოთხი ცალი.

— კიდევ მოგართვათ?

— თუ არის, კიდევ ერთი!—უპასუხა მან და თავისი ღორმუცელობისა შერცხვა.

დიასახლისმა კიდევ სამი ცალი დაუდო, აქედან ერთი დატოვა — მოჩვენებითი ფავმდაბლობის გამო. შემდეგ ის ისევ ავიდა თავის ოთახში, ფანჯრები დაკეტა და მოკლულის ჯიბეში ნაპოვნ დოკუმენტებს უკირკიტა სამი საათი. მათში არაფერი იყო საინტერესო: უმეტესად სამსახურებრივი ანგარიშები, ხელწერილები, პირადობის მოწმობები. ჩვეულებრივი უბის წიგნაკიც კი არ იყო ტელეფონის ნომრებით. და მაინც ზოგიერთ ანგარიშსა და ხელწერილზე დიმოვმა სოფიის რამდენიმე ტელეფონის ნომერი აღმოაჩინა. მხოლოდ პასპორტის უკანასკნელ გვერდზე დიდი ციფრებით იყო დაწერილი პროვინციული ოთხნიშნიანი ნომერი. ყველა ტელეფონის ნომერი ბურთულიანი კალმით იყო დაწერილი და მხოლოდ ეს უკანასკნელი იყო ქიმიური ფანქრით, ალბათ კუშევს მისი დაკარგვისა ეშინოდა, — ფიქრობდა დიმოვი, — რაკი საკუთარ პასპორტზე ჩაიწერა.

სამი საათისათვის დიმოვი განყოფილებაში დაბრუნდა და

მაშინვე უბრძანა, შეემოწმებინათ, ვის ეკუთვნოდა დოკუმენტებში აღმოჩენილი ტელეფონის ნომრები. შემდეგ თვითონ დარეკა პერნიკში მოკლულის პასპორტზე დაწერილი ნომრით. ცოტა ხნის შემდეგ ყურმილში გაისმა მამაკაცის მტკიცე ხმა.

— გისმენთ.

— ეს კერამიკის ტექნიკუმია? — შეეკითხა დიმოვი.

— დიახ, რა გნებავთ?

— მილიციიდან გელაპარაკებით, შეიძლება თქვენთან მოვიდე?

პასუხს აგვიანებდნენ.

— ჩვენთან ახლა რემონტია, მაგრამ თუ გნებავთ მობრძანდით, ოღონდ ხუთის ნახევრამდე.

დიმოვი უკვე წასვლას აპირებდა, როდესაც დასვენებული პარგოვი გამოჩნდა.

— მე პერნიკში მივდივარ, — აცნობა დიმოვმა. — დარეკე გულეშში. პირვანმა უთვალთვალოს ნესტოროვსა და კინევს. ნესტოროვის შესახებ იცი, მაგრამ ახლა შენს ყურადღებას კინევზე მივაპყრობ. არავითარ შემთხვევაში მან არ უნდა შეამჩნიოს, რომ უთვალთვალებენ.

— არც ისე ადვილია ამის გაკეთება, — თქვა პარგოვმა. — ეს ხომ ქალაქი არაა, ყველაფერი ხელისგულივით ჩანს.

— ეცადეთ როგორმე.

უნდა ეჩქარა, პერნიკში დროზე რომ ჩასულიყო. ძლივს იპოვა დიმოვმა მძღოლი სასაუზმეში.

— ადექი! და ამჯერად ნებას გაძლევ არ დაიცვა მოძრაობის წესები.

— შენ ნებას მაძლევ, მაგრამ ცოლი არა,—გაიღიმა მძღოლმა. მან დიმოვი ტექნიკუმში დროზე მიიყვანა. შენობა ახალი, მაგრამ გარეგნულად ძველი და საკმაოდ უშნო აღმოჩნდა. რემონტი ღმერთმა არ უწყის როგორი იყო — წყლის გათბობა გაჰყავდათ, რა თქმა უნდა, ამის გაკეთება შეიძლებოდა შენობის აგებისას, ანდა თუნდაც საზაფხულო არდადეგების დროს. დირექციაში მხოლოდ ორნი იყვნენ — მამაკაცი და ქალი. მამაკაცი ტექნიკუმის დირექტორი აღმოჩნდა, ნათელი იყო, რომ ტელეფონით სწორედ მას ელაპარაკებოდა.

— რაშია საქმე? — ოდნავ შეფარული შიშით ჰკითხა მან.

— ამხანაგ ზამფირსკაიას მინდა ველაპარაკო.

— აი ის, — შვებით წარმოთქვა დირექტორმა.

დიმოვი მივიდა ოთახის კუთხეში მდგარ მაგიდასთან, სადაც მაღალი, ძალზე გამხდარი ოცდათხუთმეტიოდე წლის ქალი იჯდა. მიუხედავად შეერთებული მამაკაცური წარბებისა და ზედა ტუჩზე ხშირი ღინღლისა, მას სანდომიანი სახე ჰქონდა, ის მართლაც სიმპათიური იქნებოდა, ასე თავდაჭერილი რომ არ ყოფილიყო. როდესაც ბოლოს და ბოლოს ის დიმოვისაკენ შემობრუნდა, მან შენიშნა, რომ პირდაპირი და ნებელობითი გამოხედვა ჰქონდა. დიმოვი ყველაფერს ელოდა კირილ კუშევის ყოფილ მეგობარ ქალთან შეხვედრისაგან, მაგრამ ასეთი თუ იყო, ვერ წარმოედგინა.

— მე მილიციიდან ვარ, — წარუდგა დიმოვი.

მისი გამოხედვა აშკარად არაკეთილმეგობრული გახლდათ. ნათელი იყო, მისი ორგანიზაცია ტექნიკუმში ეჯავრებოდათ. ამან გაახელა დიმოვი.

— არასასიამოვნო ახალი ამბავი უნდა გაცნობოთ! — ცივად უთხრა მან. — გუშინ ღამით თქვენი მეგობარი კირილ კუშევი მოკლეს.

მაშინვე საჭირო გახდა ვალერიანის წვეთები, მაგრამ იმანაც ვერ უშველა. იმის შიშით, რომ ქალს გული არ წასვლოდა, დიმოვმა სირცხვილის განსაკუთრებული ქენჯნის გარეშე, რამდენჯერმე წამოარტყა ზემფირსკაიას ლოყებზე. ბოლოს, როდესაც დირექტორმა ქალს სახეში მთელი ერთი ჭიქა წყალი შეასხა, ის ასე თუ ისე გონს მოვიდა. თვალები გაახილა და ბუნდოვანი გამოხედვა სრულიად გონივრული გაუხდა.

— წავიდეთ, — თქვა ზემფირსკაიამ.

დიმოვმა გაიფიქრა, მომეყურაო.

— სად წავიდეთ?

— სახლში, აქვე ახლოს ვცხოვრობ!

— დიახ, წავიდეთ, მაგრამ სახე შეიმშრალეთ.

ზემფირსკაიამ გაოცებით მოისვა ხელი სველ სახეზე.

— ვინ ქნა ეს? — მკვახედ იკითხა მან.

დირექტორი დამნაშავესავით დუმდა. დიმოვმა ფამით დამნაშავე მოწაფესავით იგრძნო თავი გულმოსული მასწავლებლის წინაშე.

— მოდით წვრილმანებს ნუ გამოვეკიდებით! — მშვიდობიანად უთხრა მან. — თქვენს სასიკეთოდ გაკეთდა ეს.

შან ნერვულად შეიმშრალა სახე ცხვირსახოცით და ოთახიდან გამოსვლისას თან არაფერი წაუღია, ჩვეულებრივი ქალის ჩანთაც კი. როგორც ჩანს, მამაკაცივით ყველა საჭირო ნივთს ჯიბეებით ატარებდა. მის უკან მიმავალმა დიმოვმა გაოცებით შენიშნა მისი ფიგურის არაჩვეულებრივი, თითქმის ქალწულებრივი ტანადობა.

ისინი ჩუმად გამოვიდნენ ქუჩაში და ასევე ჩუმად განაგრძეს გზა. როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად ქალურად წაუვიდა გული, ის არაჩვეულებრივი ტიპის ქალი იყო. სხვა მის ადგილას აქამდე ერთი ოცდახუთჯერ მაინც იკითხავდა, სად და როგორ მოხდა მკვლელობა. ის კი არაფერს არ კითხულობდა, მიდიოდა ჩუმად, მტკიცე ნაბიჯით, სახე თითქოს გაქვავებოდა.

ის ახლოს ცხოვრობდა. პატარა, მაგრამ ძალიან სუფთა ოთახი ჰქონდა. სპარტანულ ვითარებას ოდნავ ამსუბუქებდა ლამაზი კერამიკა, „თუ ეს მისი ნახელავია, — გაიფიქრა დიმოვმა, — ოქროს ხელი ჰქონია“.

— გთხოვთ, დაბრძანდეთ! — უთხრა ქალმა. — ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ამის შესახებ სხვისი თანდასწრებით არ შემეძლო ლაპარაკი.

— გასაგებია, გასაგები! — გულწრფელად თქვა მან.

— მაინც ვინ ჩაიდენდა ამას?!—მოულოდნელად წამოიძახა მან ქალურად. — ის ერთი უწყინარი კაცი იყო.

— გულწრფელად უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩვენ არ ვიცით, — უთხრა დიმოვმა. — თქვენი დახმარების იმედი გვაქვს.

— ჩემი? — გაოცებით შეხედა ქალმა დიმოვს. — ეს უბრალოდ უგუნურებაა. ის მაინც მითხარით, როგორ მოხდა ყოველივე?

დიმოვი ფრთხილად მოუყვა ფაქტებს. ის გაუნძრევლად უსმენდა და თვალი უშტერდებოდა.

— ღმერთო ჩემო, როგორ მოხდა ეს? — ამოიკვნესა მან და პირველად ატირდა.

დიმოვი ზრდილობიანად დაელოდა, სანამ ქალი ცოტათი მაინც დამშვიდდებოდა.

— რაიმე ეჭვი ან ვარაუდი ხომ არ გაქვთ?

— არავითარი! — გადაჭრით განაცხადა მან.

დიმოვმა გულგატეხილად ამოიოხრა.

— მოკლედ მომიყევით, როგორი იყო თქვენი ურთიერთობა?

— ბუნებრივია, ძალიან ახლო. შეიძლებოდა ერთმანეთი საქმროდ ან საცოლედ ჩაგვეთვალა, ჩვენს ასაკში სასაცილო რომ არ ყოფილიყო.

— ცოტა უფრო დაწვრილებით. როდის გაიცანით ერთმანეთი, როგორ?

— ორი წლის წინათ,—თქვა ქალმა. — გავიცანით აქ, სრულიად შემთხვევით.

— რესტორანში?

მას სრულებით არ გაკვირვებია.

— დიახ, რესტორან „კრაკრაში". მე საერთოდ არ მიყვარს ასეთი გაცნობა, მაგრამ ის ძალიან საყვარელი კაცი იყო. მითხრა, რომ დიდი ხანია მიცნობდა, ესე იგი მხედავდა ხან აქ, ხან იქ, იმ ადგილებში, სადაც მართლა ვიყავი ხოლმე. მე გულიც დამწყდა მას რომ ვერ ვამჩნევდი, ის ლამაზი მამაკაცი იყო. მალე დავუახლოვდით ერთმანეთს. ჯერ კიდევ ჩვენი ნაცნობობის პირველ თვეს ცოლობა მთხოვა, და მე პრინციპში დავთანხმდი, მაგრამ ჩვენ არ ვჩქარობდით, არ იყო საჭირო. ჩვენ სხვადასხვაგვარი ცხოვრება გვქონდა — მე მხედველობაში მაქვს პროფესიები. ძნელია ასე განსხვავებული ორი ბედის შეერთება. გადავწყვიტეთ — ეს მისი იდეა იყო — სადმე სოფიასთან ახლოს, ანდა დრაგალევცესთან აგვეშენებინა სახლი. მასაც და მეც ფული გვქონდა, ასე რომ, ეს ჩვენთვის პრობლემა არ გახლდათ. მე იქ შემეძლო სახელოსნო გამეხსნა, მიმეტოვებინა სამსახური და მთლიანად ჩემი მოწოდებისათვის შემეწირა თავი.

ქალი ისევ ატირდა, ამჯერად, ალბათ, განუხორციელებელი ოცნებების გამო. დიმოვმა შენიშნა, რომ მას იმაზე მეტად თანაუგრძნობდა, ვიდრე ამას სამსახურებრივი მოვალეობა მოითხოვდა.

— მას თავისი გეგმები ჰქონდა, — ჩვენი სახლის ახლოს მდებარე რომელიმე საგარეუბნო რესტორნის დირექტორობა სურდა. მე ეს მაინცდამაინც ჭკუაში არ მიჯდებოდა. რომელ ქალს ესიამოვნება, მისი ქმარი რომ სახლში ყოველთვის

ნაშუაღამევს დაბრუნდეს? სხვა გეგმებიც გვქონდა, მაგრამ ყველა ისინი სახლთან იყო დაკავშირებული. მას ძალიან უნდოდა თავისი სახლი, ნამდვილი სახლი ჰქონოდა. გესმით, ბინა კი არა, სახლი. მან მეც შთამინერგა ეს გატაცება, თუმცა წინათ აზრადაც არ მომივიდოდა, მესაკუთრე რომ გავმხდარიყავი. მე შევძლებდი თქვენთვის ამეწერა მთელი სახლი, თითოეული ოთახი ცალ-ცალკე. მაგრამ ჩვენი გეგმები ჩაიშალა.

— ხშირად ხვდებოდით ერთმანეთს?

— როგორც კი შესაძლებლობა მოგვეცემოდა. მიელინებებშიც უკვე იშვიათად მიდიოდა.

— უკანასკნელად როდის ნახეთ ერთმანეთი?

— გუშინ საღამოს. დაახლოებით რვა საათისათვის წავიდა, კიუსტენდოლისაკენ მიმავალი სამგზავრო მატარებლისათვის რომ მიესწრო.

— როგორ გუნებაზე იყო?

— ჩვეულებრივზე, როგორც ყოველთვის, ხუმრობდა. ჩემგან განსხვავებით, მას იუმორის გრძნობა ჰქონდა.

— ბოლო ხანებში მის საქციელში რაიმე განსაკუთრებული ხომ არ შეგიმჩნევიათ?

— შევამჩნიე — თქვა ქალმა.

მაგრამ გაჩუმდა და ღრმად ჩაფიქრდა. დიმოვი არ ჩქარობდა, მოთმინებით უცდიდა, როდის დაიწყებდა ქალი ლაპარაკს.

— ბოლო ხანებში მას სიკვდილის რაღაცნაირი შიში გაუჩნდა. ის შეშფოთებული მეჩვენებოდა, თუმცა შესანიშნავად შეეძლო თავის დაჭერა. ერთი კვირის წინათ შემომთავაზა მთელი მისი დანაზოგი ჩემს შემნახველ სალაროს წიგნაკზე გადმომეტანა. გავეოცდი, მან მითხრა, რომ კანონით ერთადერთი მისი მემკვიდრეა ბიძაშვილი, ადვოკატი, რომელიც სოფიაში ცხოვრობს და რომელიც სძულს. იმის წარმოდგენაც არ უნდოდა, რომ მთელი მისი დანაზოგი ასეთ კაცს მიეღო მემკვიდრეობით. მაგრამ რატომ უნდა მიეღო, როდესაც ის სრულიად ჯანმრთელი იყო? კირილი მართლაც ძალზე ჯანმრთელი კაცი გახლდათ. მე მას ვუთხარი, ყველაზე მეტს იცოცხლებ-მეთქი. ეკვი არ ეპარებოდა თავის ჯანმრთელობაში, მაგრამ მაინც შეწუხებული იყო — ამბობდა, რომ ბევრს დადის პროვინციებში, ხშირად დიდძალი ფული დააქვს, ათევს სასტუმროებში — და რომ საერთოდ მი-

სი ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით. გავიფიქრე, ალბათ სასტუმროში რაიმე უსიამოვნება-შეემთხვა, შესაძლოა მისი გაძარცვაც სცადეს-მეთქი. მაშინ მე წინადადება მივეცი ხელი მოეწერა ჩემთან განუცხადებლად და ამგვარად მისი მემკვიდრე გავხდებოდი. ჯერ ძალიან გაუხარდა, მაგრამ შემდეგ გაჩუმდა. ამან ძალიან გამაკვირვა. და თუ მაინც არ იყო გულწრფელი და არ უნდოდა ჩემი ცოლობა, მაშინ რაღაზე ცდილობდა ჩემთვის ასეთი დიდი თანხის გადმოცემას?

— რამდენისას? — ნაზად ჰკითხა დიმოვმა.

— მან თქვა, ოცი ათასი...

— მართლაც, ბევრია, — დაუდასტურა დიმოვმა, — და თქვენ უარი თქვით მის აღებაზე?

— რა თქმა უნდა! — თქვა ქალმა. — მე ისიც კი მომეჩვენა, რომ მის წინადადებაში იყო რაღაც საწყენი...

დიმოვი გაჩუმდა, სიტყვებს ვერ პოულობდა.

— ხომ არ ჰყავდა მას პოლიტიკური მტრები? — ფრთხილად შეეკითხა ის.

ქალმა გაკვირვებით შეხედა, მაგრამ არაფერი უპასუხა.

—გთხოვთ, სწორად გამიგოთ! — უთხრა დიმოვმა. — როგორც ჩანს, მკვლელობა ძარცვის გულისთვის არაა ჩადენილი... შესაძლოა პოლიტიკური მოტივების გამო. როგორ ფიქრობთ, როგორი იყო მისი პოლიტიკური მრწამსი?

— მე ვფიქრობ, მილიციამ უკეთ იცით ეს, — ცოტა მშრალად თქვა მან.

— ცდებით. მილიცია არასდროს დაინტერესებულა ამით.

ქალი ჩაფიქრდა, სახე ოდნავ მოეღუშა.

— იცით რა, პირადად მე ლოიალური ვარ. არ შემიძლია ბულგარული კერამიკის ხელოვნება ვასწავლო და ჩემი ქვეყანა არ მიყვარდეს. ის, ცხადია, გრძნობდა ამას და არასდროს არ მესაუბრებოდა პოლიტიკაზე. მაგრამ ვხვდებოდი, ის არ იყო ჩვენი ხელისუფლების მომხრე. ასე მაგალითად, მას აღიზიანებდა რადიო: ის დგებოდა და ხმის ამოუღებლად გამორთავდა ხოლმე. ზოგჯერ ბედავდა და ზიზღით იხსენიებდა მთავრობის რომელიმე წევრს. ეს არ მსიამოვნებდა, მაგრამ მაინც ვუგებდი. ბოლოს და ბოლოს, ის დაზარალდა.

— ზის ადგილას თქვენ ალბათ სხვაგვარად მოიქცეოდით.

— შესაძლებელია, — თქვა ქალმა. — მაგრამ ეს ფაქტი არაფერს არ ხსნის.

— ხომ არ შეგიძლიათ მომცეთ მისი ბიძაშვილის მისამართი? — სთხოვა დიმოვმა. — ანდა სახელი მაინც მითხრათ, ვინმემ ხომ უნდა დაასაფლაოს კუშევი.

— მე დავასაფლავებ! — ცხარედ თქვა მან. — სადაა ის ახლა? — მინდა, დაუყოვნებლივ წამიყვანოთ მასთან!

წამით დიმოვი შეკრთა.

— მე არ ვიცი შესაძლებელია ეს ახლა თუ არა. თქვენ სახლში დარჩით, ერთი ან ორი საათის შემდეგ თქვენთან მოვლენ და შეგატყობინებენ.

მან ბიძაშვილის მისამართი არ იცოდა, მხოლოდ სახელი უთხრა. დიმოვმა ჩაიწერა და წავიდა. და მაინც ამ უცნაური სახლიდან ხელმოცარული არ წასულა. ერთი რამ სრულიად ნათელი იყო — კუშევის სიკვდილი შემთხვევითი არაა. ის ალბათ ელოდა ასეთ დასასრულს, შესაძლებელია თავის მომავალ მკვლელსაც იცნობდა. მას უნდოდა ის მაინც გადაერჩინა, რისი გადარჩენაც შეიძლებოდა — ფული. და მაინც თავის უშიშროებისათვის არავითარი ზომები არ მიიღო. არ გაიქცა, არ დაიმალა, არ გადაიხვეწა ცხრა მთას იქით. სიკვდილი უდარაჯებდა მას და, როგორც ჩანს, ის ყველა ვითარებაზე ძლიერი იყო — ძალუმი და განგმირავი, შენიღბული და საშინელი.

მაინც რა სიკვდილია ეს?

ნათელი იყო სხვა რამეც — კუშევს უყვარდა ეს უცნაური ქალი და კარგად ესმოდა მისი არსი. ის ამქვეყნად მარტო მას ენდობოდა. უდავოა მისთვის, მარტოხელა კაცისთვის, ის ყველაზე სანდო და ახლობელი არსება გახლდათ. მაგრამ რატომ თქვა უარი უკანასკნელ მომენტში ქორწინებაზე, როცა ცოლის თხოვა თითქმის წყვეტდა პრობლემას? მის საქციელს შეიძლება მხოლოდ ერთი გონივრული ახსნა ჰქონდა — მისი სიკვდილი ალბათ ცოლს უფრო მეტ უსიამოვნებას შეახვედრებდა, ვიდრე საყვარელს. მით უმეტეს, თუ სიკვდილის გარემოება სამარცხვინო ჩრდილს მიაყენებს მის სახელს.

დიმოვი ფიქრებიდან მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როდესაც ექიმ სტანკოვის ბინის ზღურბლს გადააბიჯა. ექიმი პერანგის ამარა მრგვალ მაგიდასთან იჯდა ფაქიზად ჩაცმულ სამ მამაკაცი-

თან ერთად. ოთხივე თავგამოდებით ატყაპუნებდა კარტს — ჩვეულებრივ ბელოტს თამაშობდნენ. ტრადიციისამებრ, ექიმმა დიმოვი სამზარეულოში გაიყვანა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჯერად იქ არ იყო ბუტერბროდები.

— არაფერია, — თქვა სტანკოვმა. — სრულიად არაფერია საყურადღებო.

— მაინტერესებს, კუშევს ხომ არ ტანჯავდა რაიმე განუკურნებელი სენი?

— მაგალითად?

— ვთქვათ, კიბო... ან გული.

— არა, უთხრა ექიმმა — ის ხარივით ჯანმრთელი იყო.

— რითი ესროდნენ?

— ცხრამილიმეტრიანი პარაბელუმით. ექსპერტი ამტკიცებს, რომ საცემის დარტყმები ჰილზების ფისტონებზე ერთნაირი და დამახასიათებელია. ე. ი. იარაღი წესიერ მდგომარეობაში არ იყო, შესაძლოა მეოთხე გასროლის შემდეგ უმტყუნა კიდეც.

დიმოვმა მას უამბო ტექნიკუმის მასწავლებელ ზემფირსკაიასთან შეხვედრის ამბავი.

— ზემფირსკაია? — განსაკუთრებული ინტერესის გარეშე გაიმეორა კითხვა სტანკოვმა. — მე ვიცნობ მას. ძალიან გულჩათხრობილი, უკარება ქალია... არაჩვეულებრივად მკაცრი.

მაგრამ, მთელი ისტორია რომ მოისმინა, შეწუხებულმა კეფა მოიფხანა...

— ძალზე საინტერესოა! — წაიბურტყუნა მან. — არასდროს არ მოველოდი მისგან ასეთ რამეს. გამოდის ქალი მართლაც გამოცანაა, როგორც მიამიტი ადამიანები ამბობენ. შენ აბსოლუტურად მართალი ხარ — ისეთები, როგორიც ის ქალია, იშვიათად გვხვდებიან.

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დაუმატა:

— მხოლოდ ერთი რამ არ მესმის: როგორ ვერ მიხვდა, რა მხეცთან ჰქონდა საქმე.

— მხეცთან? — გაკვირვებით შეეკითხა დიმოვი. — ხომ არ ამლაშებ?

— სრულებითაც არა! — დარწმუნებით მიუგო სტანკოვმა. — ყური მიგდე, დიმოვ, შენ ცოცხალი ადამიანების სახეზე და თვა-

ლებში შეგიძლია ამოიკითხო. მე კი მკვდრების სახეზე შემიძლია წაკითხვა. მკვდარ სახეს ჩამოცლილი აქვს თვალთმაქცობა, ნიღაბი, საერთოდ ყველაფერი გარეგნული. მკვდარ სახეზე, როგორც ეკრანზე, თანდათან მეღავნდება შინაგანი, ღრმად დამალული. დიდი ყურადღებით გავსინჯე იატაკზე ასე დრამატულად გაშხლართული ეს ტიპი.

— და რა ნახე?

— ხომ გითხარი — მხეცი!

— გამოდის, რომ მკვლელმა კეთილი სამსახური გაუწია კაცობრიობას.

— მგონი კი, — ჩაიცინა ექიმმა.

— მაშინ შეეშვათ მას!

— ო, არა, ეს უკვე სხვა საქმეა. ზოგჯერ შედარებით სუსტ მხეცს უფრო ძლიერი ჭამს.

— ყოველ შემთხვევაში, პირველად ვხვდები სენტიმენტალურ მხეცს, — დაფიქრებით წარმოთქვა დიმოვმა.

ექიმმა თვალები აახამხამა და ისევ მოიფხანა კეფა.

— ასეთები საერთოდ არ არსებობენ, — თქვა მან. — თავი ხომ არ მოისაწყლა?

— რატომ უნდა მოესაწყლებინა, როდესაც მზად იყო მთელი ფული მისთვის მიეცა?

ექიმი ჩაფიქრდა.

— იქნებ ფული არაპატიოსანი გზით ჰქონდა ნაშოვნი? უფრო საიმედო ადგილას სადღა დამალავდა?

— ნამდვილი იდიოტი ვარ! — წამოიძახა მან. — ასეთი უბრალო აზრი, როგორ ვერ მომივიდა თავში!

მან საჩქაროდ დატოვა ექიმის სახლი. ერთი საათის შემდეგ უკვე გასცა განკარგულება, რომ გამოცდილ ფინანსურ ინსპექტორებს მეორე დღესვე დაეწყოთ კირილ კუშევის საშუამავლო მოღვაწეობის საგულდაგულო შემოწმება. შესაძლო ბოროტმოქმედებანი ჯერ კიდევ ვერ დააყენებდა მკვლელის კვალზე, მაგრამ მაინც შეეძლო რაიმეს კარნახი.

განკარგულების გაცემის შემდეგ დიმოვი სრამოვნებით შევიდა „გაზიკში“ და დაღლილი ჩაეშვა ამობურცულ საჯდომზე. ვინ იცის რატომ, მაგრამ მოულოდნელად და მწვავედ მას დილის სცენა გაახსენდა — კარებში მდგარი შავქვედაკაბიანი გო-

გონა, ქვედაკაბასა და ჩაჩაჩულ წინდებს შორის მთვარესავით ქათქათა კანის ორი ზოლი რომ მოუჩანდა. თავისი თავით უკმაყოფილომ თავიც კი გააქნია. აქვს კი რაიმე აზრი ყველაფერ ამას, თუ მისი ძმა დამნაშავე აღმოჩნდება? — ცოტა ხნით მაინც უნდა დაივიწყოს მისი სახე. რადაც არ უნდა დაჯდეს, თორემ გამოძიებას საფრთხე მოელის.

10

განყოფილებაში დიმოვს არც ერთი თავისი თანაშემწე არ დახვდა. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ მან კროტევის მოყვანის განკარგულება გასცა. ეს ჯორივით ჯიუტი და კუშტი ლოთი პირველად იყო წყნარად. თვინიერად იჯდა სკამზე, რომელიც მას მიაწოდეს და გულგრილად უყურებდა დიმოვს. თვალები გაქვავებოდა — არც იმედს გამოხატავდა, არც სასოწარკვეთილებას.

— ყური მიგდე, კროტევ, ერთი თვე რომ დაგაკავო აქ გარანტიას გაძლევ, განიკურნები.

— რისგან განვიკურნები? — ყრუდ შეეკითხა კროტევი.

— იმისგან, რასაც თქვენს მხარეში ბოშურს ეძახიან! — ყურძნისა და ქლიავის რაკიის ნარევი.

— ამისგან ვერავინ ვერ განმკურნავს! — ისევ ისე ყრუდ წარმოთქვა კროტევმა.

— შენ ჯერ ისევ ახალგაზრდა ხარ, ყველაფრის წამალი არსებობს.

— დიახ ყველაფრის — გარდა თქვენი თვითნებობისა! — მოულოდნელად ისევ შეიშალა კროტევი, თუმცა მას ხმაში სიბრაზე არ გაურევია.

— კროტევ, დაფიქრდი, რას ლაპარაკობ! — ასევე მშვიდად შენიშნა დიმოვმა. ჩვენ ვცდილობთ გავხსნათ მძიმე დანაშაული, შენ კი არასწორ ჩვენებებს გვაძლევ. მაშ, ასე, რას ეძებდი კოსერში?

— ვიტყვი, — უხალისოდ წაილუღლუღა კროტევმა.

— ვიცი, შენ გვეტყვი, რომ ქალთან იყავი...

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში პარგოვი შემოვიდა.

დიმოვმა მაშინვე იგრძნო მისი აღგზნებული მდგომარეობა.

— ასეც იყო...

— ქალი ქმრიანია და ამიტომ შენთვის უხერხული იყო ლაპარაკი ხომ?

— მოულოდნელობისაგან კროტევი გაშეშდა.

— რატომ ფიქრობთ ასე?

— ეს ჩვეულებრივი სიცრუეა.

— ოღონდ მე არ ვცრუობ... ეს სიმართლეა.

და კროტევმა დაწერილებით უამბო მთელი ისტორია. მას პერნიკში ჰყავს ძველი მეგობარი ქალი, ყოფილი ოფიციანტი. მასთან რაღაც სიყვარულის მაგვარიც კი ყოფილა, მაგრამ ის ცუდ გზას დაადგა. მაშინ ისინი დასცილდნენ. ორი წლის შემდეგ ის ცოლად გაჰყვა ხანშიშესულ ოფიციანტს, რომელიც სეზონის დროს კურორტებზე მუშაობდა. ამ ზაფხულს ის სოზოპოლში იყო და კროტევმა გადაწყვიტა მისი არყოფნით ესარგებლა. მისი ნაცნობი ქალი ცხოვრობდა კოსეროში, ის მატარებლით წავიდა მასთან, მაგრამ უკან წამოსვლისას პერნიკის მატარებელზე დააგვიანდა. მაშინ გზატკეცილზე გავიდა და მალე ვიღაც მძღოლმა სატვირთო ავტომობილში ჩასვა. ნიშნად მადლიერებისა, კროტევმა მძღოლი სასაუზმეში დაპატიჟა, ხოლო შემდეგ თავის მეგობრებთან წავიდა.

— რატომ მაშინვე არ თქვი სიმართლე?

— დამავიწყდა, — ჩაიბურტყუნა კროტევმა. — როცა გადავთვრები, ძალიან ხშირად მავიწყდება, რას ვაკეთებდი სიფხიზლეში.

დიმოვმა ყველას სახელი ჩაიწერა, ვისაც მისი ალიბის დადასტურება შეეძლო.

კროტევი სატუსაღოში წაიყვანეს. დიმოვმა ცნობისმოყვარედ შეხედა თავის თანაშემწეს.

— რა მოხდა?

— სრულიად მოულოდნელი რამ! — უპასუხა პარგოვმა. — გულეშში მქსოველი ქალი ვნახეთ. ღარიბი ხანშიშესული ქალი, თითქოს ახალი ფასები არ იცისო, ძალიან იაფად ქსოვს. წელს, იმათგან, ვინც მატარებელში იყო, მან სამს მოუქსოვა ღია ფერის სათბილობელი და ამათგან ერთ-ერთი — სლავჩო კინევია.

— დიმოვი პირდაღებული უყურებდა პარგოვს.

— სერიოზულად ამბობ?

— რასაკვირველია, შეფო!

— პატიოსან სიტყვას ვამბობ, არაფერი არ მესმის. მაშასადამე, მას სიცრუის საფუძველი ჰქონდა?

— შესაძლოა არც ცრუობს, — გაუბედავად ივარაუდა პარგოვმა. — შესაძლოა სათბილობელი ძმას გაუგზავნა. მისი ძმა არმიაშია.

— დიახ, ეს შესაძლებელია, — დაეთანხმა დიმოვი.

— და საერთოდ სისულელეა კინევზე ეჭვის მიტანა. ის ერთ-ერთი ყველაზე შეგნებული და სერიოზული კაცია სოფელში. ხომ არ ფიქრობ, რომ შემთხვევით აირჩიეს სათემო საბჭოში?

— ყველაფერს ვიფიქრებ კაცზე, რომელიც თვალდათვალ მატყუებს. — უთხრა დიმოვმა.

— მაგრამ ჩვენ საგულდაგულოდ დავკითხოთ ნდობით აღჭურვილი პირები სოფელში. არავის არასდროს არ უნახავს ის ღია ფერის სათბილობელში. თუ ფიქრობ, რომ იგი მას მხოლოდ მკვლელობების დროს იცვამდა? აქ, უდავოა, რაღაც გაუგებრობაა. ვფიქრობ, თუ ჩვენ მას დავკითხავთ, უმალვე გავერკვევით.

დიდხანს მსჯელობდნენ ამის თაობაზე და გადაწყვიტეს რამდენიმე დღე დაეცადათ. კინევი თუ ნამდვილად დამნაშავეა, რაიმეთი გასცემს თავს. ხოლო თუ ახლავე დაჰკითხავენ, თავს დაიძვრენს. მაგალითად, იტყვის, სათბილობელი დავკარგე ან მომპარესო.

— როდის წაიღო სათბილობელი? — შეეკითხა დიმოვი.

— ათი დღის წინათ!

— აი ხედავ!.. საქმე კიდევ უფრო საეჭვო ხდება. განა შეიძლება იმის დაიწყება, რასაც ათი დღის წინათ აკეთებდი?

მათ გადაწყვიტეს გაეძლიერებინათ მეთვალყურეობა კინევსა და ნესტოროვზე და ერთი წუთითაც არ მოეშორებინათ თვალი.

— თუმცა საეჭვოა, რაიმეს მივაღწიოთ, — სკეპტიკურად თქვა პარგოვმა. — არ მასვენებს ფიქრი, რომ ეს საქმე სხვა მხრის კაცისაგან უნდა იყოს ჩადენილი. ჩვენებურებს, ჩემი აზრით, არ ძალუძთ ასეთი მძიმე დანაშაულის ჩადენა. ყველა მისამართი შევამოწმე. მთელ რაიონში ერთადერთი უცხო კაცი — მანასკოა.

— ვინაა ეს მანასკო?

— მესამე, ვინც იმ ღამეს მათთან ბანჭოს თამაშობდა.

— გამახსენდა, — თქვა დიმოვმა, — ჩვენ მართლაც სულ გადაგვავიწყდა ეს მანასკო... იქნებ სწორედ მისგან უნდა დაგვეწყო? იცი რაიმე მის შესახებ?

— განსაკუთრებული არაფერი... გარეგნულად სრულიად უწყინარი ბიჭია. სარემონტო სახელოსნოს მთავარი მექანიკოსია. სამი თვის წინათ ჩამოვიდა სოფიიდან.

— სოფიიდან? რომელი სულელი წამოვა სოფიიდან გულეშში? რეკომენდაციები აქვს?

— რა რეკომენდაციები? მექანიკოსი — დეფიციტური პროფესიაა — სარემონტო სახელოსნოები მათ ფეხბურთელებივით პრემიებითა და ჯილდოებით გადაიბირებენ ხოლმე. კინევმა რაღაცნაირად მოახერხა მისი გადმობირება — ამბობს, მშვენიერი მექანიკოსიაო.

— ვინ გითხრა?

— თვითონ კინევმა...

— შენც გინახავს კაცი...

— მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი მქსოველ ქალთან ნამყოფი. კინევმა მისი განცხადება და ავტობიოგრაფია წამაკითხა. წარმოშობით თითქოს ტრებიჩიდანაა, დაამთავრა ტექნიკუმი. ჩამოთვლილია მუშაობის ადგილებიც. საერთოდ ყველაფერი წესრიგში იყო.

დიმოვი ჩაფიქრდა.

— ხვალ დილით ადრე ანგელი სოფიაში გააგზავნე. მინდა ყველაფერი შევამოწმო და ზუსტი ცნობები მივიღო.

დიმოვმა პერნიკში ყოფნის ამბავი მოუთხრო. თხრობის დასასრულს მოეჩვენა, რომ მის თანაშემწეს ცხვირი რამდენიმე სანტიმეტრით დაუგრძელდა.

— არ მჯერა წინათგრძნობებისა! — თქვა დიმოვმა ბოლოს. — კუშევმა რაღაც იცოდა და იცოდა მნიშვნელოვანი რამ. შესაძლოა ესეცაა მკვლელობის მიზეზი. ერთი რამ არ მესმის — რა როლი აქვს აქ ევტიმ დიბევს — ნამდვილ ჰიამაიას. — ტელეფონმა დარეკა. დიმოვმა ყურმილი აიღო, ის დიდხანს უსმენდა, შემდეგ მხოლოდ სამი სიტყვა წარმოთქვა: — დიახ, ექიმო მოვალ.

და ყურმილი დადო. სახეზე გამოცოცხლება დაეტყო.

— ექიმი სტანკოვი რეკავდა, — თქვა მან. — კუშევის ბიძაშვილი ჩამოსულა პერნიკში. დაკრძალვა მოხდება ხვალ, ოთხ საათზე. აუცილებლად წავალ. ისეთი წინათგრძნობა მაქვს, დასაფლავებას მთავარი მოქმედი პირებიდან ვინმე დაესწრება... თქვენს ქალაქში მაწონი იყიდება?

— წავიდეთ, გიჩვენებ სად იყიდება, — უთხრა პარგოვმა.

სახლში დაბრუნებული დიმოვი ორი საათის განმავლობაში კითხულობდა ორ მკვლელობასთან დაკავშირებულ ძიების ჩანაწერებს. ახალ გვერდზე მან ჩაწერა:

„შეუმოწმებელი შესაძლო ვარიანტები:

1. ევტიმ დიბევი არაა მოკლული გაძარცვის მიზნით. ის უნებლიე მოწმე გახდა რაღაცისა, რაც არავის არ უნდა სცოდნოდა.

2. კაცი, რომელიც უკანა პატარა ეზოში ნახეს, მკვლელი არაა. ის რაღაც საქმეზე იყო კუშევთან. სახლიდან იმიტომ წავიდა, რომ მკვლელობა არ დაებრალებინათ.

3. კუშევი — დიბევის მკვლელია. მეორე მკვლელობა — შურისგებაა პირველისათვის.

4. კუშევისა და დიბევის მკვლელი ერთი და იგივე პიროვნებაა, მაგრამ არაა ადგილობრივი მცხოვრები, სადღაც სხვა მხრიდანაა ჩამოსული — პერნიკიდან ან სოფიიდან.

5. კინევმა დაინახა მკვლელი, მაგრამ არ სჯერა მისი დამნაშავეობა. უბრალოდ სურს, ის უსიამოვნებებისაგან დაიცვას“.

11

დილის ათი საათისათვის დიმოვმა მიიღო ზუსტი ინფორმაცია იანკო ნესტოროვზე და ორჯერ ყურადღებით გადაიკითხა ის. აღმოჩნდა, ნესტოროვი დაბადებულა არა გულეშში, არამედ ვოინიკოვოში ღარიბი გლეხის ოჯახში. იქ დაამთავრა სკოლა, შემდეგ მუშაობდა მძღოლის თანაშემწედ ვოინიკოვო — დუბნიცას საავტობუსო ხაზზე. ახალგაზრდობისას პოლიტიკით არ ყოფილა გატაცებული. გაწვეული იყო სამხედრო სამსახურში, სატყვიამფრქვევო ასეულში — იქ მის ყოფაქცევაზე ცნობები არაა. რიგით ჯარისკაცად მონაწილეობდა სამამულო ომში და

მამაცობისათვის მიიღო ორი ორდენი. არმიიდან დათხოვნის შემდეგ დაქორწინდა გულეშში მცხოვრებ ცვეტანკა კლისურსკიზე და საცხოვრებლად მათთან გადავიდა. იყო სამიწათმოქმედო ახალგაზრდული კავშირის — მიწკავშირის წევრი, მისი ორგანიზაცია გულეშში მაშინ მთლიანად ოპოზიციის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. პარლამენტის პირველი არჩევნების დროს ნესტოროვი ოპოზიციის კანდიდატს უჭერდა მხარს. ოპოზიციური პარტიების დაშლის შემდეგ პოლიტიკური საქმიანობა შეწყვიტა. 1953 წელს უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა მისი ცოლი და სიმამრი (აქ აღნიშნული იყო—„იხ. ცნობა"). მეორედ დაქორწინდა ვოინიკოველ ქალიშვილზე და ის თავისი ყოფილი ცოლის სახლში მოიყვანა. მოგვიანებით აიშენა ახალი სახლი, როგორც მექანიკოსს ჰქონდა დამატებითი კერძო შემოსავალი. თავი ლოიალურად ეჭირა, ადგილობრივი ხელისუფლების ყოველ ღონისძიებას კეთილგანწყობით ეკიდებოდა. ჰყავს ორი და, ხოლო ძმა ჯერ კიდევ სამამულო ომის დასაწყისში დაეღუპა. ამას მოჰყვებოდა ხუთი მისი უახლოესი მეგობრის სახელი. პირველ ადგილზე იყო სლავჩო კინევის სახელი.

განსაკუთრებული ყურადღებით წაიკითხა დიმოვმა თანდართული ცნობა. ნესტოროვის სიმამრმა — პეტრე კლისურსკიმ, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის წევრმა, ყოფილმა მებრძოლმა, ფრონტიდან ჩამოიტანა პისტოლეტი და რამდენიმე ინგლისური სფერული ჭურვი. მათ მეგობრებს აჩვენებდა ხოლმე, 1953 წლის 12 მარტს გაუფრთხილებლობის გამო ჭურვი ხელში აუფეთქდა — დაიღუპა თვითონ და მისი ქალიშვილი. კლისურსკისა და ნესტოროვს ცუდი ურთიერთობა ჰქონდა. მაგრამ მთელი ის საღამო ნესტოროვი მეგობრებთან ერთად სალუდეში იყო და იქიდან ერთი წუთითაც არ გასულა. იქვე შეატყობინეს უბედურების ამბავი. დარჩენილი ორი ჭურვი და პისტოლეტი მილიციამ ჩამოართვა.

სულ ეს იყო. დიმოვს ზეპირად ახსოვდა თავისი უბის წიგნაკის ჩანაწერები — ასე რომ, იქ ჩახედვა აღარ იყო საჭირო. ოპოზიციურ სამიწათმოქმედო ახალგაზრდული კავშირი იქ მხოლოდ ერთხელ იყო მოხსენიებული ნესტოროვის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით. ჭურვი მოხსენიებული იყო ახალგაზრდულ შრომით ბანაკზე თავდასხმასთან დაკავშირებით. მაგრამ ოქმში,

რომელსაც დიმოვი კითხულობდა, აღნიშნული არ ყოფილა, რა ტიპისა იყო ის ჭურვი. დამთხვევა ძალზე ზოგადი და რაც მთავარია, ძალზე შორეული იყო. ძნელი სავარაუდებელია უკანასკნელ ამბებთან რაიმე კავშირის არსებობა. და მაინც უბის წიგნაკში ახალი პუნქტი მიაწერა:

„6) ნესტოროვი — ერთ-ერთი თავდამსხმელი ახალგაზრდულ ბანაკზე. ახლა თავიდან იშორებს ნებსით თუ უნებლიე მოწმეებს“.

მხოლოდ ნაშუადღევის სამი საათისათვის დაბრუნდა ანგელი, რომელიც სოფიაში იყო გაგზავნილი მანასკოს, მონაცემების შესამოწმებლად. ანგელმა რვეულში ჩარგო თავი და ნელა დაიწყო თავისი ნაჯღაბნის კითხვა: — „მანასიევს თავის ბიოგრაფიაში არ აღუნიშნავს ყველა ადგილი, სადაც უმუშავნია. ერთ-ერთ გარაჟში მოვძებნე მისი ყოფილი მეგობარი. მან დაწერილებით მომიყვა ყველაფერი — მათ შორის ისიც, რომ მანასკო მუშაობდა ტექნიკური მომსახურების სადგურ „ვიტოშში“ ეს სადგური აღნიშნული არაა მის ბიოგრაფიაში და მაშინვე მივხვდი, რომ შემთხვევით არ გამორჩენია. სადგურში ველაპარაკე პარტიული ორგანიზაციის მდივანსა და კიდევ ორ ჭკვიან ბიჭს. მანასიევი იქედან გაუთავისუფლებიათ. სამივე ამტკიცებდა, კარგი მექანიკოსია, მაგრამ ძალზე ცუდი მუშაკიაო. ხშირად მთვრალი ცხადდებოდა სამუშაოზე. კლიენტებისგან ფულს იღებდა ურიგოდ მომსახურებისათვის. ისინი ერთხმად ამტკიცებენ, საერთოდ ხარბი იყო. მას მაინც იტანდნენ იმიტომ, რომ გამოცდილი მუშაკი იყო და მის უმსგავსოებებზე თვალებს ხუჭავდნენ. ბოლოს და ბოლოს მათ მოთმინების ფიალა აევსო. გასულ წელს მთვრალი მანასიევი ერთ ზეინკალს წაეჩხუბა და თავში ძალაყინი ჩაარტყა“.

ანგელმა შეფს შეხედა და მრავალმნიშვნელოვნად დაუმატა: — ლაჩრულად, უკანიდან ჩაარტყა. ზეინკალი მოცელილიცით დაეცა მიწაზე და გონება დაკარგა. ის საავადმყოფოში წაიყვანეს. ტვინის შერყევა აღმოაჩნდა, სახის კუნთები დროებით დაუდამბლავდა. მანასიევი დააპატიმრეს და გაასამართლეს და მაინც ციხეს თავი დააღწია — პირობითად ექვსი თვის პატიმრობა მიუსაჯეს და ხუთასი ლევით დააჯარიმეს სხეულის დაზიანებისათვის.

— გადაიხადა?

— აბა, გადაიხადა არა... ამბობენ, გაუჩინარდაო. გადავწყვიტე არ მეთქვა, სად მუშაობს ახლა, ჯერ მინდოდა თქვენთვის მეკითხა...

— კარგად გიქნია, — შენიშნა დიმოვმა. — ჯერჯერობით ის გვჭირდება.

პერნიკში დასაფლავებაზე წასვლის დრო იყო. მძღოლს დასვენების დღე ჰქონდა და საჭეს თვითონ დიმოვი მიუჯდა. პერნიკში. უპირველეს ყოვლისა სახელმწიფო უშიშროების სამმართველოში შევიდა, მაგრამ იქ ვერავითარი ცნობა ვერ მისცეს ახალგაზრდულ ბანაკში ჭურვის აფეთქების საქმეზე — რადგანაც გამოძიებას სოფიის ჯგუფი აწარმოებდა. ექიმი სტანკოვი საოლქო სამმართველოში იმყოფებოდა და, როგორც ყოველთვის, დიმოვს ალერსიანად შეხედა.

— ვნახე კუშევის ბიძაშვილი,—უთხრა მან. — სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ახლა კუშევი აღარაა, სტეფანოვია, როგორც ჩანს, რცხვენია ძველი გვარისა, მისი დავიწყება სურს.

— დაკრძალვაზე იქნება?

— რა თქმა უნდა, იქნება, თუმცა უცოლოდ. იცი, სამგლოვიარო პროცესია არ იქნება, პირდაპირ ეკლესიაში უნდა წავიდეთ.

— ეკლესიაში?

— დიახ, ეს ზამფირსკაიას სურვილია.

— უთხარი სტეფანოვს მემკვიდრეობის თაობაზე?

— რატომ უნდა მეთქვა? არ ვერევი სხვის საქმეებში.

დიმოვი „გაზიკში“ ჩაჯდა და სასაფლაოსკენ წავიდა. თუმცა დათქმულ დროზე ათი წუთით ადრე მივიდა, წესის აგება რატომღაც უკვე დაეწყოთ. იგი შევიდა ცარიელ ეკლესიაში და წამით თავი უხერხულად იგრძნო. კუბოსთან მხოლოდ სამნი იდგნენ — ზამფირსკაია, შუახნის კარგად ჩაცმული კაცი, ალბათ ნათესავი — ადვოკატი, და უხეშ ქალაქურ ტანსაცმელში გამოწყობილი ხანში შესული კაცი, რომელიც გაწითლებულ პატარა თვალებს ჭრელი ცხვირსახოცით იწმენდდა. ამ მცირერიცხოვან საზოგადოებას არ შეუშფოთებია ორი მღვდელი. ისინი გატაცებით გალობდნენ „წმინდანების სულის მოსახსენებელს“.

დიმოვისთვის არავის არ შეუხედავს. ამით ისარგებლა, სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას და თავი გაარიდა საკმეველის მძიმე, მაგრამ სასიამოვნო სუნს. „სულის მოსახსენებელი"... აღწევდა მის ყურამდე მღვდლის რბილი ტენორი, რომელიც საცეცხლურის ნაზ რეკვას ერთვოდა. ეკლესიის ახლოს დიმოვთან ერთ-ერთი მისი თანამშრომელი მივიდა.

— ვინაა ის მესამე ხანშიშესული? — შეეკითხა დიმოვი.

— ბაი სპირიდონი, საწარმოო კოოპერაციის თავმჯდომარე. ის სამუშაოს აძლევდა კუშევს, მაგრამ თუ მეგობრობდნენ არ ვიცოდი.

— წარმოდგენა თუ გაქვს, რა კაცია?

— ანგელოზების ანგელოზია!—გაიცინა თანამშრომელმა,— არაფერი არ ესმის არც პლასტმასებში და არც წარმოებაში, მაგრამ კოოპერატორები პატივს სცემენ და სხვა თავმჯდომარის გაგონებაც კი არ უნდათ. ამბობენ — სამართლიანიაო! სამართლიანი სამართლიანია, მაგრამ ვინმე სხვა უფრო ჭკვიანი გაზრდიდა კოოპერაციის შემოსავალს.

დიმოვი ჩაფიქრდა.

— არ მოვალ საფლავთან, — უთხრა მან. — მაგრამ შენ წადი. როდესაც ყველაფერი დამთავრდება, გადაეცი ადვოკატს, რომ მასთან ლაპარაკი მინდა. რასაკვირველია, ძალიან ფრთხილად, არ შეშინდეს. აი იმ სკამზე დაგელოდებით — მიუთითა მან ძველ სკამზე, რომელიც ძლივს მოჩანდა გაყვითლებული იაპონური აკაციის ფოთლებში.

დიმოვი სკამზე ჩამოჯდა და გაზეთი ამოიღო. მაგრამ ვერ წაიკითხა. აი უკვე რამდენიმე დღე იყო ორი სტრიქონიც ვერ წაეკითხა. ცოტა ხნის შემდეგ მესაფლავეებმა კუბო გამოიტანეს და საკმაოდ უხეშად შედგეს კატაფალკზე. შეჩვეული ცხენები ნელა დაიძრნენ, თვლები აჭრიალდა, ჩრდილოვან ხეივანში მსუბუქად გაწკარუნდა საცეცხლური, „წყნარი ადგილია!"— სევდიანად გაიფიქრა დიმოვმა. აი მკვდრების ერთადერთი უპირატესობა. ჩამოვარდა სრული სიწყნარე, მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა, ჩრდილებმა თავისი ხელები საფლავებისაკენ გაიშვირეს.

— ამხანაგო დიმოვ! — ვიღაცამ დაუძახა მას.

დიმოვი ისე ღრმად იყო ფიქრებში წასული, რომ მოულოდ-

ნელობისაგან შეკრთა. ნუთუ მართლა ამდენი დრო გაეიდა? მის წინ იდგა კუშევის ნათესავი, უფრო დამწუხრებული, ვიდრე ეკლესიაში.

— თქვენთან საუბარი მინდა, ამხანაგო სტეფანოვ.

კაცმა უკმაყოფილოდ შეხედა მას.

— როგორ ფიქრობთ, აქ სასაუბროდ შესაფერისი ადგილია?

— თქვენ მართალი ხართ... მაშინ ქალაქში ჩავიდეთ.

ისინი „გაზიკში“ ჩასხდნენ და სწრაფად გავიდნენ გზატკეცილზე. ჯერ ბაი სპირიდონს გაასწრეს, რომელიც ისევ თვალებს იწმენდდა. მისთვის ბევრად გაესწრო მასწავლებელს. ის წელში გამართული მიდიოდა უტეხი კაცის მტკიცე ნაბიჯებით. რომელიღაც გვერდითი ქუჩიდან კირით გასვრილი ორი თვითმცლელი გამოვარდა და ყვითელი მტვრის ბუღი დააყენა.

— იცნობთ თქვენ ამ ქალს? — შეეკითხა დიმოვი.

— არა, პირველად ვხედავ, — მიუგო ადვოკატმა. და მცირეოდენი ფიქრის შემდეგ დაუმატა, — მე ყოველთვის მეგონა, რომ ჩემს ბიძაშვილს ცოტა სხვაგვარი გემოვნება ჰქონდა.

ქალაქში რომ შევიდა, დიმოვმა მანქანა ტროტუართან ახლოს გააჩერა.

— მგონი ამ კაფეში არც ისეთი ხალხმრავლობაა, — თქვა დიმოვმა. — ვფიქრობ, თქვენც ინებებთ აქ საუბარს.

— დიახ, გმადლობთ, — დაეთანხმა ადვოკატი.

ის იყო გადმოვიდნენ მანქანიდან, რომ მათ ავტოინსპექციის გაბრაზებული ინსპექტორი მივარდა.

— შენ რა დაბრმავდი? — დაუყვირა მან. — ვერ ხედავ ნიშანს?

მათ მანქანა ერთ-ერთ გვერდით ქუჩაზე გადააყენეს და კაფეში დაბრუნდნენ.

— ხალხი აქ განსაკუთრებული თავაზიანობით არ გამოირჩევა, — შენიშნა ადვოკატმა. — ყოველთვის, როდესაც აქ ჩამოვდივარ, აუცილებლად, რაიმეზე უნდა გამომლანძღონ.

არც კაფეში გამოირჩეოდნენ თავაზიანობით. ადვოკატმა ოფიციანტ ქალს სთხოვა შაქარი, უნალექო ყავა და ცხელი წყალი ცალ-ცალკე მომიტანეო. ოფიციანტმა მას ათვალწუნებით გადახედა.

— ჩვენთან ასე კეთდება,—მოკლედ მოუჭრა მან.—და საერთოდ, უნალექო არა გვაქვს.

— კი მაგრამ, ახლა არ თქვით გვაქვსო...

— დამავიწყდა, — ნერვულად წარმოთქვა მან. — ჩვენც ადამიანები ვართ...

— მაშინ ყავა არ მინდა, ერთი სირჩა კონიაკი მომიტანეთ.

— თვითონ არ იცით, რა გინდათ, — უკმეხად მიახალა ოფიციანტმა ქალმა და ვეება ფეხების ფლასტუნით ნელა წავიდა ბუფეტისაკენ.

— ყველაფერი ბოლის ბრალია!—ამოიოხრა ადვოკატმა.— აქაური ბოლის გამოა ხალხი განერვიულებული. აბა, რითი შემიძლია გემსახუროთ?

— ვფიქრობ, პარტიის წევრი იქნებით, — უთხრა დიმოვმა.

— ახლახან გავხდი. რატომ იკითხეთ?

— განსვენებულს ძალზე აღიზიანებდა ის ამბავი, რომ თქვენ მისი ერთადერთი მემკვიდრე გახდებოდით.

ადვოკატმა ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა.

— იქნებ ჩემგან ალიბს თხოულობთ?—შეეკითხა ის.—რაკი მე ერთადერთი მემკვიდრე ვარ? დიახ, თუმცა შემთხვევით, მაგრამ აბსოლუტური ალიბი მაქვს.

— მე უფრო თქვენი ურთიერთობა მაინტერესებს...

— ნორმალური ურთიერთობა გვქონდა — ისეთი, როგორიც ბიძაშვილებს შორის უნდა იყოს. იშვიათად ვხვდებოდით. მაგრამ მენდობოდა, გულახდილი გახლდათ ჩემთან.

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ ის ცხადად გიმხელდათ თავის ნამდვილ პოლიტიკურ მრწამსს?

— სწორედ ასე იყო!

— მაინც როგორი იყო, თქვენი აზრით, მისი პოლიტიკური მრწამსი?

ადვოკატი მოიღუშა.

— ასეთი რამის თქმა მიცვალებულზე ფარსაგი არაა. მაგრამ უკიდურესი რეაქციონერი იყო.

— ფაშისტი?

— არა, მთლად არა. მაგრამ რაღაც ამის მსგავსი.

— დიახ, ის თურმე მართლაც გენდობოდათ თქვენ, — დაე-

თანხმა დიმოვი. — იმიტომ, რომ სხვები მას თითქმის აპოლიტიკურად მიიჩნევდნენ.

— ძალიან ჭკვიანი კაცი იყო, — შენიშნა ადვოკატმა. — სწორედ ამიტომ მაკვირვებდა მისი უკიდურესი მრწამსი, და მაინც სწორედ ისეთი იყო, როგორც ვთქვი. უფრო უკიდურესად განწყობილი, უფრო შეშლილი, მე ცხოვრებაში არ შემხვედრია. ჩემ ცოლს სძულდა ის, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

— ზოგჯერ ასეთი ადამიანებისგანაც არის ხეირი! — უთხრა დიმოვმა, — თქვენ იცით, რომ მემკვიდრეობას მიიღებთ?

— დიახ, ვიცი. რაღაც სახლი ჰქონია, მაგრამ არ მინახავს.

— სახლი ძველია, მინგრეულ-მონგრეული, მაგრამ ბევრი ფული აქვს შემნახველ სალაროს წიგნაკზე?

— კარგით ერთი!—სახტად დარჩა ადვოკატი. — მართლა?

— მისი შემნახველი სალაროს წიგნაკი ჩვენთანაა.

— პირდაპირ დაუჯერებელია! — გაიკვირვა ადვოკატმა.— ყოველთვის მეგონა, რომ გაჭირვებით გაჰქონდა თავი. ზოგჯერ ერთად მივდიოდით რესტორანში, დანახარჯს მუდამ მე ვიხდიდი უკანასკნელ სტოტინკამდე.

— საერთოდ თქვენთან ლაპარაკობდა გარიგებების შესახებ? როგორც ადვოკატს რჩევას გთხოვდათ?

— არა. კანონები ჩემზე კარგად იცოდა...

დიმოვი სკამის საზურგეზე გადაწვა და ყურადღებით შეხედა თანამოსაუბრეს.

— არ დაგიმალავთ, საგონებელში ჩაგვაგდო ამ მკვლელობამ. — თქვა მან. — რა შეიძლება იყოს მიზეზი? პოლიტიკური? უაზროდ ჩადენილი მკვლელობაა, ჩვენი ხელისუფლება და კანონები საკმაოდ ძლიერია და შეუძლებელია პირად შურისგებას ჰქონოდა ადგილი. მაგრამ იქნებ ღალატი ჩაიდინა. ანდა უნდოდა ჩაედინა?

— ამას მაინც ვერ დავუშვებ.

— მაშინ რაღა? შესაძლოა, რომელიმე გარიგებაში ვინმე მოატყუა? ან იქნებ ქალი ურევია ამ საქმეში? უთქვამს თქვენთვის რაიმე ქალების შესახებ?

— არა, ამ მხრივ ის ძალზე თავშეკავებული იყო. ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ მითხრა, ცოლის შერთვა გადავწყვიტე, საცო-

ლე ძალზე სერიოზული პიროვნებაა. ალბათ ლაპარაკი იყო იმ ქალზე, დღეს დაკრძალვას რომ დაესწრო...

— ვფიქრობ, მასზე იყო ლაპარაკი. მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე მის სახელზე უნდოდა მთელი ფულის გადატანა. მაგრამ ქალი არ დათანხმდა.

— არ დათანხმდა? — უნდობლად იკითხა ადვოკატმა. — ასეთ ფანტაზიას არც ერთი იურისტი არ დაიჯერებს.

— და მაინც, როგორც ჩანს ეს სიმართალეა, — მხრები აიჩეჩა დიმოვმა. — რა ინტერესი ჰქონდა, რომ ის მოეტყუებინა...

— თუმცა... — აღარ დაამთავრა სიტყვა ადვოკატმა.

— რა თუმცა?

— მინდოდა მეთქვა, იქნებ ნამდვილად სიმართლეა. მან, მაგალითად, თავის თავზე აიღო დაკრძალვის ხარჯები. მისთვის ფულის დაბრუნება მინდოდა, მან მხოლოდ ზიზღით შემომხედა. ახლა ფოსტით ვაპირებ ფულის გაგზავნას.

— უთუოდ უკანვე დაგიბრუნებთ, — დარწმუნებით უთხრა დიმოვმა. — უაღრესად პატიოსანი და პატივსაცემი ადამიანია.

— მაგრამ იქნებ ამ ხერხით მას მხოლოდ ფულის შენარჩუნება სურდა, — თქვა ადვოკატმა. — თუ ის არაკანონიერი გზით ჰქონდა ნაშოვნი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს არ მჯერა. ის არ იყო ისეთი კაცი, პატარა თაღლითობის გულისთვის რისკზე წასულიყო. მას ჰქონდა ხასიათიც და ღირსებაც. ნამდვილად პატიოსანი გზით ჰქონდა ეს ფული ნაშოვნი. გარდა ამისა, შესაძლოა, ისიც შემოინახა, რაც მამისგან დარჩა.

— მაშინ მაინც ღიად რჩება საკითხი, რა ეშმაკად უნდოდა ნაცნობის სახელზე ფულის გადატანა?

მაგრამ აქ ადვოკატმა ვერ მოიყვანა ვერავითარი ვარაუდი, თუნდაც ბუნდოვანი. „გაზიკით" პატარა ქალაქში რომ ბრუნდებოდა, დიმოვი კიდევ ამ გამოცანაზე იტეხდა თავს. სულ უფრო რწმუნდებოდა შემდეგში: საეჭვო იყო, რომ კუშევი თავისი ფულის დამალვას მასწავლებელთან ცდილობდა. ის ალბათ სხვებზე უკეთ იცნობდა ზამფირსკაიას და წარმოდგენა ჰქონდა მის უზადო პატიოსნებაზე. ზამფირსკაია არასდროს არ შეინახავდა ფულს, თუ რამენაირად გაიგებდა, რომ ის უკანონო გზით იყო ნაშოვნი.

განყოფილებაში ახალი არაფერი დახვედრია. კაბინეტში მას

ელოდებოდა მოღუშული, ცუდ გუნებაზე მყოფი პარგოვი. ის ისანთის ღერით უხალისოდ იჩიჩქნიდა თავის ცხენის კბილებს.

— არაფერი არ გამოდის! — ნაღვლიანად წარმოთქვა მან.— გეგონება სულებს დაედევთო.

— გინდა, რომ ყოველ დღე მოხდეს მკვლელობები?

— მინდა, რაიმე გზა მოვძებნო... სანამ უნდა ვიჩეტიალოთ ბრმებივით.

— ვინ იცის, იქნებ ნამდვილად ბრმები ვართ?

— ოღონდ შენ არა ხარ ბრმა, რაღაცას მიმალავ...

— ნეტავ ეგრე იყოს! — ამოიოხრა დიმოვმა.

მან ყველაფერი უამბო, რაც იმ დღეს გაიგო და მაინც ეს თითქმის არაფერი არ იყო. საქმე კიდევ უფრო რთული და დახლართული ხდებოდა.

— აი მდგომარეობა! — გულგატეხილად თქვა დიმოვმა. — ჩვენ სხვა არაფერი დაგვრჩენია, მოთმინებით უნდა გავრეცხოთ მადანი, იქნებ იქ ალმასი ვნახოთ. ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ ის ქვებთან, სილასთან ერთად არ გადავაგდოთ.

— ერთიც ვნახოთ და ალმასი არაა ამ მადანში? — სკეპტიკურად შეეკითხა პარგოვი.

— თუ მასში არაა, სხვაში მოვძებნოთ.

— მაშინ აი შენ კიდევ ერთი ნიჩაბი, — ნაღვლიანად წარმოთქვა პარგოვმა და გაუწოდა ცნობა სლაეჩო კინევზე.

როგორც კი თვალი გადაავლო, დიმოვი მიხვდა, რომ ამ მადანში თითქმის არაფერი არ იყო. ახალგაზრდობისას, 9 სექტემბრამდე კინევი ანტიფაშისტად ითვლებოდა. დიმოვმა თავის საათს დახედა.

— კიბოების დაჭერა დაგვიანებულია?

— პირიქით, სწორედ ახლაა დრო.

— მაშინ წავიდეთ, პარგოვ. ნერვები დავასვენოთ... ასეთ მდგომარეობაში სასიკეთოს ვერაფერს ვერ გავაკეთებთ.

...მდინარე წყნარად დუდუნებდა, ლელიანში კიბოები მუყაითად მუშაობდნენ მარწუხებით. ბალახზე წამოწოლილი დიმოვი დაბნეულად უყურებდა მოცახცახე ირმის ნახტომს. და უცებ თვალნათლივ დაინახა ის, რაც აქამდე მხოლოდ წაეკითხა და გაეგონა.

— პარგოვ, შენ გინახავს მფრინავი თეფში?

— მფრინავი რა?

— თეფში, ძმაო... არ გაგიგონია?

— მგონი გამიგონია რაღაც ჭორი.

— ახლა კი შეგიძლია შენი თვალით ნახო! — მხიარულად წამოიძახა დიმოვმა და ცაზე მიუთითა. — აი, იქ, ოდნავ მარჯვნივ, — მიფრინავს და თანაც იდეალურად.

— ზუსტად! მაგრამ განა ეს თეფშია?

— მაშ რაა, შენი აზრით?

— უფრო ბზრიალას წააგავს.

— შესაძლოა, შენ ჩემზე უკეთ ხედავ...

ისინი ჩუმად უყურებდნენ უცნაურ მფრინავ საგანს, რომელიც ცეცხლივით ანათებდა ცის შავ ხავერდზე:

— მართლაც, რა შეიძლება იყოს ეს? — იკითხა საგონებელში ჩავარდნილმა პარგოვმა.

— ვფიქრობ, კოსმოსური ხომალდი,—ხუმრობით უპასუხა დიმოვმა. — რასაკვირველია, არა მიწიერი.

— რას აკეთებენ იქ?

— ჩვენ გვიყურებენ... ამოვათრიოთ?

დიმოვის ხაფანგში იჯდა აპათიური და დაღვრემილი გიგანტი — კიბო, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევის არავითარი სურვილი არ ჰქონდა. შესაძლებელია იმიტომ, რომ რომელიღაც ბრძოლაში ერთი მარწუხი დაეკარგა. დიმოვმა ის ჩანთაში ჩაუშვა, იქ თვალის დახამხამებაზე ერთი დავიდარაბა ატყდა, თითქოს გიგანტი სხვა კიბოებს შეებრძოლაო.

— აი ესაა კიბო! — აღფრთოვანებით წამოიძახა პარგოვმა. — კარგი ნიშანია, ნახავ...

12

მეორე დღე ისეთივე ცხელი იყო და ახალი არაფერი არ მოუტანია. როგორი ყურადღებით არ რეცხავდნენ მადანს, მაგრამ ალმასი არ ჩანდა — არაფერი, გარდა ქვებისა და ქვიშისა. ბოლოს და ბოლოს გაათავისუფლეს გიორგი კროტოვი, რომელიც ლამის სირბილით შევარდა უახლოეს სალუდეში. პარგოვი დილიდანვე ვოინიკოვოში წავიდა და გულეშში სადილობამდე არ დაბრუნებულა. ის საწარმოო კოოპერატივის საქმეებს უნ-

და გასცნობოდა და გაეგო რას წარმოადგენდა ბაი სპირიდონი. რაიმე მოულოდნელის აღმოჩენის იმედი არ ჰქონდა, მაგრამ შემოწმება მაინც აუცილებლად მიაჩნდა.

ნაშუადღევს ისეთივე სიცხე და სიცარიელე იყო, ყველაფერი უძირო პროვინციულ მყუდროებაში იძირებოდა. მხოლოდ შორიდან მოისმოდა კოდალას მომაბეზრებელი კაკუნი. გულმოდგინედ უკაკუნებდა რომელიღაც გამხმარ დაფუღუროებულ ხეს. კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა პარგოვი. ის ჩუმად დაჯდა დიმოვის წინ.

— უფროსო, ცუდი ამბებია! — წარმოთქვა მან ბოლოს. — კიდევ ერთი მკვლელობა.

— მკვლელობა? — შეკრთა დიმოვი.

— დიახ, გულეშში. და იცი ვინაა მსხვერპლი?

დიმოვმა ისე მწარედ იკბინა ტუჩზე, რომ სისხლი წასკდა.

— ვიცი, — უთხრა მან. — სლავჩო კინევი...

პარგოვმა თითქმის შიშით შეხედა მას.

— რატომ ფიქრობ ასე? — შეშინებულად შეეკითხა ის.

— ის იმიტომ მოკლეს, რომ არ ეთქვა ვის მისცა მოქსოკილი სათბილობელი...

— თუ იცოდი, რატომ არ...

— გაჩუმდი! — ნერვულად შეაწყვეტინა მას დიმოვმა, — მე ვფიქრობდი, რომ მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდა.

— ახლა ხომ ხედავ რა გამოვიდა? ჩვენს სინდისზეა ახალი მკვლელობა. ის ჩვენი ყოყმანის გამო მოხდა.

დიმოვი უფრო ნერვულად იკვნეტდა ტუჩებს.

— როგორ მოხდა ეს?

— არა, არაფერს არ გეტყვი! — უპასუხა პარგოვმა.—ვაითუ არასწორ კვალზე დაგაყენო. უმჯობესია თვითონ ადგილზე გაეცნო ფაქტებს...

— ცუდია! — ამოიოხრა დიმოვმა, — გაქრა უკანასკნელი მოწმე. აბა, წავიდეთ, ვნახოთ...

გზაში მათ კრინტიც არ დაუძრავთ. მძღოლის გვერდით მჯდომი დიმოვი არაფერზე არ ფიქრობდა, უაზროდ გაჰყურებდა მგზავრს. მხოლოდ გულეშში მოსვლის შემდეგ გამოცოცხლდა და სიგარეტი გააბოლა. „გაზიკი“ სასოფლო საბჭოს წინ გაჩერდა, ყველანი მაშინვე მორიგე ოთახში ავიდნენ. საწერ.მა-

გიდასთან დანაღვლიანებული და ოფლში გაღვრილი პირვანი იჯდა და დამნაშავესავით შეჰყურებდა მოსულებს. ღია ფანჯარასთან გაქრნილ კომბინეზონიანი პატარა გამხდარი ბიჭი იდგა, სარემონტო სახელოსნოს ზეინკალი. ჯერ კიდევ ძიების დასაწყისში სწორედ მას დაევალა ეთვალთვალა უფროსისათვის და ერთი წუთითაც არ მოეშორებინა თვალი.

— აბა, მოყევი, — სთხოვა დიმოვმა. — არ იჩქარო, უბრალო წვრილმანიც კი მაინტერესებს.

ბიჭუნამ ჰაერი შეისუნთქა.

— სამი იყო დაწყებული. რადიატორს ვაკეთებდი, მაგრამ ცალი თვალი კანტორისაკენ მეჭირა. უცბად ის გამოვიდა, მიიხედ-მოიხედა და ველოსიპედი აიღო. მე მივიმალე. მას ჩემთვის არც შემოუხედავს, თუმცა ახლომახლო სხვა არავინ იყო. გზაზე რომ გავიდა, კვლავ ყურადღებით მიიხედ-მოიხედა და მხოლოდ ამის შემდეგ დაჯდა ველოსიპედზე.

— ზუსტად სად იდგა ველოსიპედი?

— კანტორის შესასვლელის წინ.

— ყოველთვის იქ აყენებდა?

— არა, ზოგჯერ ფარდულში აყენებდა.

— კარგი, განაგრძე.

— ის ველოსიპედზე დაჯდა და წავიდა — სოფლისაკენ კი არა, იასნეცისაკენ. ამან ცოტა არ იყოს გამაკვირვა, რადგანაც იასნეცი შორსაა. ვიფიქრე, თუ იასნეცში წავიდა, როგორ გსდიო ათ კილომეტრზე-მეთქი. ცხადია, დამემალებოდა. მაგრამ ასე უბრალოდ მისი გაშვებაც არ შეიძლება. გავედი ჭიშკართან, მაგრამ ვერ გავბედე მაშინვე უკან გამოკიდება იმიტომ, რომ შევნიშნე, თუ როგორ მოიხედა კიდევ ერთხელ გზატკეცილზე. დავიცადე, სანამ მოსახვევს მოეფარებოდა, — იქ, თუ შეამჩნიეთ, გზატკეცილის ახლოს ხეები იზრდება. როგორც კი მოსახვევში შეუხვია, მაშინვე გამოვეკიდე. მოსახვევთან ვხედავ გზაზე მიდის. საკმაოდ შორს წავიდა.

— სწრაფად მიდიოდა?

— არც ისე... ჩვეულებრივად.

— ხალხი იყო გზაზე?

— კაცის ჭაჭანება არ იყო. ეს უფრო ართულებდა ჩემს მდგომარეობას. უკან თუ გავყვებოდი, მობრუნდებოდა და აუ-

ცილებლად დამინახავდა. ცოტა მოვიცადე და შემდეგ წავედი. მაგრამ გზაზე არ გავსულვარ, არამედ კიუვეტს გავუყევი. გავიფიქრე: დასვრილი კომბინეზონი — კარგი შენიღბვაა-მეთქი. ასეც გამოვიდა — მან კიდევ ორჯერ მოიხედა, მაგრამ ვერ შემნიშნა. მე კი ყველაფერს ვხედავდი. ერთი კილომეტრი რომ გაიარა, მოულოდნელად მარცხნივ გადაუხვია. მაშინვე მივხვდი საით — იქეთ კალკოვოსაკენ მიმავალი გზაა. გზას ვამბობ, თორემ რა გზაა, ორი ბორბლის ნაკვალევია, მხოლოდ ზაფხულობით, მშრალში თუ გაივლის იქ რომელიმე ხარებშებმული ფორანი. მაგრამ ველოსიპედისათვის კარგია, არაფერი არ უშლის ხელს. მივხვდი, სერიოზული საქმე იყო და ავჩქარდი. მალე მეც გავედი შარაგზაზე. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კინევი გაქრა — მინდორი უსწორმასწოროა, ბორცვიანი, მაღლა იწევს კალკოვოს ქედისაკენ. მივყვებოდი მას უკან და ვფიქრობდი: უცებ სადღაც უკანიდან რომ გამოვარდეს, რა ვქნა-მეთქი? ვაითუ დამინახოს და გაგდება მომინდომოს? მე უკვე მოფიქრებული მქონდა, რა მომეტყუებინა, ვეტყოდი კალკოვოში მივდივარ— ავადმყოფი დის სანახავად-მეთქი.

— და გყავს?

— დიახ, მყავს, ჯანმრთელი. ერთი ხანობა ის შორს მოჩანდა, მერე თვალს მიეფარა. ყოყმანი დავიწყე: განვაგრძო გზა თუ დავბრუნდე? სად დავეწევი — ის ველოსიპედითაა, მაგრამ ვიფიქრე, რადგან კალკოვოში მიდის, შეიძლება იქ შევხვდე, დავიმალები სადმე და ვნახავ-მეთქი. ნაბიჯს მოვუმატე, მაგრამ რაც უფრო ვუახლოვდებოდი ქედს, გზაც უფრო მიხვეულ-მოხვეული ხდებოდა. მივხვდი, რომ უფროსიც—უნდა არ უნდა—უნდა ჩამოვიდეს და ველოსიპედი ათრიოს. ამან ძალა შემმატა.

— გზაზე არავინ შეგხვედრია?

— არავინ — ეს უკაცრიელი გზაა, იშვიათად დადის ხალხი. ერთი მწყემსი დავინახე, მაგრამ გზიდან შორს იყო. ასე გავიარე ორი კილომეტრი, მეტი თუ არა, შემდეგ ქვიანი გზა იწყებოდა. ქედის თხემამდე ყველაფერი ხელისგულივით მოჩანდა, მაგრამ უფროსი სადღაც გაქრა, მაშასადამე, სწრაფად მიდიოდა და თხემზე გადასვლა მოასწრო-მეთქი გავიფიქრე. იქ კი ყველაფერი ახალგაზრდა ხშირ მუხნარს დაეფარა... ხეები თითქმის ორ მეტრს აღწევდა, ხშირი ვარჯები ერთმანეთში გადახლარ-

თვოდა. იმ ადგილამდე ერთი კილომეტრი იქნებოდა. ციცაბოს არ შევუშინდი და ნაბიჯს მოვუმატე. ნახევარ გზაზე მეტი გავიარე, მესმის გასროლის ხმები. გავჩერდი. ჯერ სამი — ერთი-მეორის მიყოლებით, შემდეგ მეოთხე.

— საათს დახედე?

— დავხედე — სამს ზუსტად ხუთი წუთი აკლდა. მანქანით მივალთ და ზუსტად გიჩვენებთ სად გავიგონე პირველი გასროლის ხმა...

— განაგრძე.

— რაც ძალი და ღონე მქონდა გავიქეცი და პატარა ტყემდე მივაღწიე. იქ გზაზე კაცის ჭაჭანება არ იყო. შემეშინდა კიდეც. მეც რომ მესროლონ, ვერავინ ვერ გაიგონებს და ვერც დაინახავს. ჩუმად მივდივარ და აქეთ-იქით ვიხედები. ასე მივედი უღელტეხილამდე. ამ ადგილიდან მთელი გზა მოჩანს ალკოვამდე. ველოსიპედისტი კი აღარსად არის. ყურებში ისევ სროლის ხმა ჩამესმის... „ამჯერად დანჩო,—გავიფიქრე მე, — ძალზე ცუდადაა საქმე! ხომ არ მოკლეს უფროსი? თუ ასეა, მკვლელი არ დაიცდის, უთუოდ უკვე გაიქცა". გამბედაობა მოვიკრიბე და მარჯვნიდან და მარცხნიდან ტყეს მოვაელე თვალი. არაფერი არ გამომიტოვებია და უეცრად დავინახე ის — სისხლში ცურავდა. არ მივსულვარ, არ შევხებივარ, მაშინვე — აქეთ გამოვიქეცი. კიდევ კარგი: რომ პირვანი იცდიდა, შემდეგ კი ბაი პარგოვიც მოვიდა.

— ახლა გვამთან არის ვინმე? — შეეკითხა დიმოვი.

— დიახ, მე მაშინვე სტოიანი გავგზავნე მოტოციკლეტით!— უპასუხა პარგოვმა.

— შენ რას იტყვი?—მიუბრუნდა პირვანს დიმოვი.

—ჩემი საქმე უფრო ცუდადაა,—ნაღვლიანად შეხედა პირვანმა მას. იანკოს ჩვენი რაზმის ერთ-ერთი წევრი ადევნებდა თვალს,—იგი მის პირდაპირ ცხოვრობს. ზუსტად ორს ხუთი წუთი რომ აკლდა, ჩვენმა ბიჭმა მიპოვა რესტორანში—ის-ის იყო დავჯექი სადილის საჭმელად. ორს რომ ოცი წუთი აკლდა, იანკომ მოტოციკლეტი გამოიყვანა ქუჩაში და დაქოქა. მაგრამ საქმეც სწორედ იმაშია, რომ მან ყველაფერი ეს მალვით გააკეთა. ჩვეულებრივად ის მოტოციკლეტით გამოდიოდა პატარა გვერდითა ქუჩაზე, სადაც მისი მთავარი შესასვლელია. ჩვენც იქიდან შე-

ვედით ჩხრეკის ჩასატარებლად. მაგრამ გზატკეცილის მხრიდან კიდევ არის ორკარედი ჭიშკარი, რომელიც ყოველთვის დაკეტილია. იქედან შედიან მხოლოდ მსუბუქი მანქანები, რომლებსაც ის გარაჟში აყენებს. ამჯერად კი იანკომ სწორედ იქედან გამოიყვანა მოტოციკლეტი. ჩვენმა ბიჭმა სრულიად შემთხვევით დაინახა ის და მაშინვე გაიქცა ამბის გასაგებად. ჩუმად გადაიხედა ღობიდან — იანკომ დიდი სისწრაფით ჩაუქროლა მას ვოინიკოვოსა და პერნიკისაკენ მიმავალ გზატკეცილზე. ასეთ შემთხვევაში ჩვენი რაზმის წევრი თვითონ არ უნდა გამოჭკიდებოდა მას, ჩემთვის უნდა ეცნობებინა. პირველ ყოვლისა ის ჩემთან გამოიქცა სამორიგეო ოთახში, მე კი სწორედ ამ დროს წავედი რესტორანში სადილის საჭმელად. მან მაინც მიპოვა.

— მე ხომ ნაბრძანები მქონდა, სამორიგეო ოთახში ყოველთვის ყოფილიყო ვინმე, — გაბრაზებით თქვა დიმოვმა.

პირვანმა დამნაშავედ შეხედა პარგოვს.

— ჩემი ყურება არ გიშველის, სიმართლე თქვი! — უთხრა მან.

— მე ერთს ვთხოვე შევეცვალე, მაგრამ ისიც ცოტა ხნით გასულიყო. ასეა თუ ისე ჩვენ ათი წუთი დავკარგეთ. ეს ბევრია და ცოტაც. ყოყმანი დავიწყე, მაშინვე გამოვკიდებოდი თუ არა? ჩემი მოტოციკლეტი რესტორნის წინ იდგა. მაგრამ გადავიფიქრე, ის თუ დიდი სიჩქარით წავიდა ან დავეწეოდი, ან ვერა და ამასობაში თვალდახელშუა გაგვიქრებოდა.

— ის ათი წუთი რომ არ დაგეკარგა? რას იზამდი?

— რასაკვირველია, დავეწეოდი. მაგრამ ახლა უარი ვთქვი, სამორიგეოში მივედი და ქალაქში დავრეკე, მოტოციკლეტის ნომერი ვაცნობე და იანკოს გარეგნობა აღვუწერე.

— როგორ გამოიყურებოდა?

— ეცვა მუქი შარვალი, ტყავის ქურთუკი, თავზე ყვითელი მუზარადი ეხურა. და, რასაკვირველია, ეკეთა დამცავი სათვალეები. ყეჩევმა მითხრა, მშვიდად იყავი — როგორც კი ქალაქში გამოჩნდება, დააკავებენრ.

— გასაგებია, გასაგები, — თავი დაიქნია დიმოვმა. — მაგრამ მათ ვერ დაიჭირეს.

— თქვენ საიდან იცით? — ცოტა დაბნეულად შეეკითხა ბირვანი.

— ძნელი მისახვედრი არაა. განაგრძე...

— ძირითადად ჩემი ბრალია, ის რომ ხელიდან გავუშვით,— აღიარა პირვანმა.—რაზმელმა ბიუმა მითხრა, იანკო თავისი მოტოციკლეტით წითელი „იავათი“ წავიდაო. მახსოვდა ნომერი და ვაცნობე მაიორ ჟეჩევს. მოგვიანებით გავიგეთ, მოტოციკლეტი მისი კი არა, ვიღაც კლიენტისა ყოფილა. ასეა თუ ისე მან საკონტროლო პუნქტი გაიარა.

— როდის?

— სამს აკლდა ათი წუთი. პოსტზე მდგომმა მილიციელმა დაინახა სხვა ნომერი, მოტოციკლეტი გაუშვა და ჟეჩევის მიერ გამოგზავნილ ლეიტენანტს ანიშნა, როგორც დათქმული ჰქონდათ... მერე დიდხანს ამაოდ უცდიდნენ. პოსტიდან ტელეფონით დამირეკეს, გაიარა კაცმა, რომელიც აღწერილობით ჰგავს გაქცეულს, მაგრამ მოტოციკლეტის ნომერი სხვა იყოო. მაშინ ხელახლა შევამოწმე და მივხვდი, თუ რა საბედისწერო შეცდომა დავუშვი.

— პოსტზე მდგომმა მილიციელმა ჩაიწერა ჩავლილი მოტოციკლეტის ნომერი?

— არა.. მხოლოდ შენიშნა, რომ საჭირო ნომერი არ იყო.

— აი დოყლაპია! — გაბრაზებით თქვა დიმოვმა. — შეცდომა შეცდომაზე. მაგრამ შენ რა არ იღონე, ნესტოროვისათვის ალიბი რომ შეგექმნა. თუ კი ის სამს რომ ათი წუთი აკლდა საკონტროლო პუნქტზე იყო, მაშასადამე, არ არის კინევის მკვლელი.

— ეს ჯერ კიდევ ალიბი არაა! — უხალისოდ შეეპასუხა პირვანი.

— რატომ ფიქრობ ასე?

— მილიციელი გარკვევით ვერაფერს იტყვის. ნომერიც კი არ ჩაუწერია. ეს ყვითელ მუზარადიანი კაცი კი შეიძლება სულ სხვა იყო, რომელსაც იანკოსთან არავითარი საერთო არ ჰქონდა. თანაც მილიციელი პირადად არ იცნობდა ნესტოროვს და არც არასოდეს ენახა.

— ამბობ და თვითონაც არ გჯერა, — ჩაიბუზღუნა დიმოვმა. — შენ ხომ დარწმუნებული ხარ, რომ მოტოციკლეტით ნესტოროვი მიდიოდა.

ჩაფიქრებულმა დიმოვმა ბოლოის ცემა დაიწყო ოთახში, მერე ისევ დაჯდა.

— პირვანის მიერ შემოთავაზებული ვარიანტის გარდა, შესაძლებელია კიდევ ორი ვარიანტი. ყველაზე მარტივი შემდეგია: საკონტროლო პუნქტი სწორედ ნესტოროვმა გაიარა. რატომ სხვისი მოტოციკლეტით?.. სულ უბრალოდ — შეაკეთა და გადაწყვიტა კლიენტისათვის დაებრუნებინა. ამ შემთხვევაში ის უდანაშაულოა. მაგრამ არის მეორე ვარიანტიც. მოტოციკლეტმა გაიარა საკონტროლო პუნქტი, მაგრამ მასზე იჯდა სხვა კაცი ნესტოროვის ტანსაცმელში და მუზარადში გამოწყობილი. რატომ? ბუნებრივია, ნესტოროვისათვის ალიბის შესაქმნელად!

— მაგრამ საიდან უნდა სცოდნოდა მას, რომ ჩვენ საკონტროლო პუნქტთან დავუწყებდით ძებნას?

— კი, მართებული შენიშვნაა და ძნელია არ დაეთანხმო მას. მაგრამ ნესტოროვი სულელი ხომ არ იყო, ალბათ ხვდებოდა რომ უთვალთვალებდნენ, და თუ გულეშიდან დაუსხლტა, მიხვდებოდა, რომ საკონტროლო პუნქტთან დაეუწყებდით ძებნას.

— ეს დაუჯერებელია! — ჩაერია პარგოვი. — პირვანი სწორია, ის ასეთ რისკზე არ წავიდოდა. ჩვენ ნამდვილად შეგვეძლო მისი დაპატიმრება ან თუნდაც ამოცნობა. გარდა ამისა, მალულად რატომ წავიდა სახლიდან? თუ საკონტროლო პუნქტზე სურდა ალიბის მიღება, ის არ დაიმალებოდა, პირიქით...

— დიახ, დიახ! — ნაღვლიანად დაიქნია თავი დიმოვმა. ყველაფერი ისეა, როგორც თქვენ ამბობთ, და მიუხედავად ამისა, ფაქტი ფაქტად რჩება — მან გაიარა საკონტროლო პუნქტი და არ გააჩერეს. ამბობთ, პირვანის შემთხვევითი შეცდომის გამოო, შესაძლოა ეს შეცდომაც გაითვალისწინა.

— არა მჯერა, ასეთი ჭკვიანი იყოს ის.

— სიმართლე გითხრათ, არც მე მჯერა. გარდა ამისა, მაინც ვინაა ის სხვა კაცი? გამოდის, ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტოხელა მკვლელთან, არამედ მთელ ბანდასთან? სწორედ ეს მიმაჩნია ყველაზე საეჭვოდ.

უცებ მას გაახსენდა:

— მანასიევი სად არის?

ყველამ გაკვირვებით გადახედა ერთმანეთს. საერთო არეულობაში ყველას გადაავიწყდა მექანიკოსი.

— ალბათ, სახელოსნოშია? — თქვა პირვანმა.

— რას ნიშნავს „ალბათ"? — გაოცებით შეხედა მას დიმოვმა. — ვინ ადევნებს მას თვალს?

— მე დამავალეს, — თქვა დანჩომ. — მაგრამ მე ხომ უნდა...

— ბოლოს როდის ნახე?

ბიჭი გაწითლდა.

— არ მახსოვს... არა, გამახსენდა. უკანასკნელად დაახლოებით პირველ საათზე ვნახე. ის ფარდულში იჯდა და პურს და ძეხვს ჭამდა. მერე მისთვის ყურადღება აღარ მიმიქცევია. უფრო მეტად უფროსზე მეჭირა თვალი.

— კარგი ინსტრუქცია მოუციათ შენთვის! — გაბრაზებით უთხრა დიმოვმა. — პირვან, ახლავე წადი სახელოსნოში... სხვა მუშაკებისაგან გაიგე, სად იყო მანასიევი დაახლოებით სამი საათისათვის.

პირვანი ისე ენერგიულად წამოხტა ადგილიდან, რომ დიმოვს უნებლიეთ გაეღიმა. როგორც ჩანს, ამჯერად ბიჭს დიდად არ ეპიტნავებოდა თავისი შარიანი უფროსის გვერდით ყოფნა: სწორედ ამ დროს ფანჯრებთან გაისმა და მაშინვე მიწყდა ავტომანქანის ძრავის ხმა.

— მოიცა! — უთხრა დიმოვმა. — ეს ალბათ ექიმი სტანკოვია... ერთად წავიდეთ.

მართლაც ეს ექიმი სტანკოვი იყო თავისი ფურგონით. ექიმმა ძალზე შეწუხებული სახით ჩამოართვა ხელი.

— შენ ნამდვილად ყველა რეკორდს გადააჭარბე. მკვლელობების ასეთი სერია ამ მხარეში არასდროს არ ყოფილა.

— ალბათ უბედურება მომაქვს! — კუშტად თქვა დიმოვმა.

დიმოვმა თავისი თანაშემწე გულეშში დატოვა, რათა დალოდებოდა ცნობებს პერნიკიდან. კაპიტანთან ერთად „გაზიკში" ჩასხდნენ ექიმი სტანკოვი და დანჩო. პირვანმა ფურგონში ექიმის მძღოლის გვერდით მოიკალათა. „ქარავანმა" ჩუმად გააპო ბუღი და მალე სოფელს გასცდა.

— საქმის მსვლელობის მიხედვით შემდეგი მსხვერპლი შენ უნდა იყო. — უთხრა სტანკოვმა დიმოვს. — ასე გვიკარნახებს ლოგიკა.

დიმოვი დუმდა. შემკეთებელ სახელოსნოსთან პირვანი გადმოსვეს და ორივე მანქანამ გზა განაგრძო. მალე დანჩოს აწერილ შარაგზაზე (გადამწვარ ბალახზე ორი ბორბლის ნაკვალევი) გადაუხვიეს. მანქანებმა სვლას უკლეს. დიმოვმა რამდენიმე სიტყვით უამბო ექიმს მომხდარი ამბავი. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა — მანქანები ხტუნვა-ხტუნვით მიდიოდნენ უსწორმასწორო გამხმარ მიწაზე. მინდორი აქ სრულიად უკაცრიელი იყო — არც ხალხი, არც ცხვრის ფარა. მხოლოდ ხანდისხან ნესვივით ყვითელი და დიდი ოფოფები რის ვაივაგლახით გადაიფრენდნენ ხოლმე გზაზე და ბუჩქებში გაუჩინარდებოდნენ.

— ამ საქმეში ნესტოროვის ხელი არ ურევია! — წარმოთქვა ბოლოს ექიმმა. — საერთოდ ადგილობრივი მცხოვრების ჩადენილი არაა. ვერ წარმომიდგენია, ასეთ მიყრუებულ სოფლებში დაიბადოს ასეთი გამოცდილი და მოხერხებული დამნაშავე. ის მოქმედებს მშვიდად, თვალის დაუხამხამებლად, პირდაპირ ჩვენს ცხვირწინ!

— არა! — მტკიცედ თქვა დიმოვმა. — დამნაშავე — ადგილობრივი მცხოვრებია. დარწმუნებული ვარ, რომ სამივე მსხვერპლი იცნობდა მას და მშვიდობისმოყვარე კაცი ეგონათ.

— მაგრამ რატომ აკეთებს ამას? — ნერვულად შეეკითხა ექიმი. — რაშია მთელი ამ ისტორიის აზრი?

— ეს რომ ვიცოდე, ყველაფერი მეცოდინებოდა...

მინდორი გარეშემო ფერს იცვლიდა, ჟანგისფერი ხდებოდა, მიწა — მოწითალო, არც ერთი ხე არ იდგა, მხოლოდ თხემზე, რომელიც გულეშის მინდვრებს კალკოვოს მინდვრებისაგან ყოფს, მწვანედ მოჩანდა მუხის წარაფი.

— აი აქ გავიგონე პირველი გასროლის ხმა,—თქვა დანჩომ.

დიმოვმა ფანჯარაში გაიხედა — წარაფამდე სამასიოდე მეტრი იყო დარჩენილი.

— იქამდე მისვლას დიდი დიდი ათი წუთი დასჭირდეს — თქვა დიმოვმა. — და მაინც ეს საკმარისია, მკვლელმა რომ გაქცევა მოასწროს. რა თქმა უნდა! — დაეთანხმა დანჩო.—გადაუხვია ტყეში და კარგად მეყოლე...

მანქანები ნელა ადიოდნენ თხემზე. გზა აქ ძალიან ვიწრო იყო, ბორბლების ნაკვალევი ღრმა და გადათხრილი. ხეების

მწვანე კედელი უსწორმასწორო, დაკოჟრილი ტოტებით ფხაჭნილა „გაზიკის“ სახურავს. მალე ტყე დამთავრდა და პატარა მწვანე მდელოები გამოჩნდა.

— აქ გაჩერდით! — უთხრა დანჩომ.

ისედაც ნათელი იყო, რომ აქ უნდა გაჩერებულიყვნენ. სტოიანი, რომელსაც ჩრდილისთვის შეეფარებინა თავი, მოთმინებით უცდიდა მათ. ფართო ნაყვავილარ სახეზე ფერი წასვლოდა.

— ცუდადა ხარ? — შეეკითხა დიმოვი.

ახალგაზრდამ დარცხვენით მოისვა ხელი სახეზე.

— საძაგელი საქმეა, ამხანაგო დიმოვ! — თქვა მან ზიზღით. — პირდაპირ სასაკლაოა!..

სტოიანი მოსულებს წინ გაუძღვა. ისინი ტყეში შევიდნენ. ათი მეტრი გაიარეს, პატარა მდელოზე აღმოჩნდნენ. ბალახი აქ ნაკლებად იყო გადამწვარი, აქა-იქ ყვითლად მოჩანდა შემოდგომის ყვავილები. მართლაც საშინელი სანახაობა იყო. მოკლული გულაღმა იწვა, ხელები გაშლილი დარჩენოდა. ღია ფერის, სისხლით გაჟღენთილ ხალათზე გარკეევით მოჩანდა ორი ნატყვიარი. დიმოვი პირველად არ ხედავდა გვამს, მაგრამ ინსტინქტურად შეტრიალდა.

— და ისევ მუცლის არეში ცივი იარაღით მიყენებული აქვს ჭრილობები, — დაასკვნა ექიმმა სტანკოვმა. — ეს მართლაც საზიზღარი სადისტია.

— აი ერთ-ერთი ჰილზი, — თქვა სტოიანმა.

— სამი დანარჩენიც იოლად იპოვეს. ამასობაში, როგორც ყოველთვის, ექიმი სტანკოვი მშვიდად და გულისყურით შეუდგა გვამის დათვალიერებას.

— იარაღი სხვაა! — თქვა დიმოვმა. — ჰილზის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დარტყმა ისეთი არაა...

— მაჩვენე! — სთხოვა ექიმმა.

მან ყურადღებით შეამოწმა გაშავებული ჰილზი და თავი გააქნია.

— შენ მართალი ხარ, — უთხრა მან. — და მაინც არ შეიძლება დარწმუნებით თქმა, რომ სხვა იარაღია. სიტყვა ექსპერტიზას ეკუთვნის.

სანამ დიმოვი გვამს სურათებს უღებდა, მას სტოიანმა მიმართა:

— ერთი რამ არ მესმის, სად გაქრა მოკლულის ველოსიპედი?

— მართლაც! შენ ეძებე ის?

— ახლომახლო ვეძებ, მაგრამ ვერსად ვერ ვიპოვე.

დიმოვი წელში გაიმართა.

როგორც ჩანს, მკვლელი ფეხით მოვიდა,.— დაასკვნა მან.— ხოლო წავიდა თავისი მსხვერპლის ველოსიპედით.

— გზაზე ის არ ყოფილა, — თქვა დანჩომ.—მაშინ დავინახავდი.

— არც ისეთი სულელია, რომ გზაზე ევლო. ალბათ, აქ ტყეში სადმე ბილიკი არის.

— ბილიკი არ შემიმჩნევია, — უთხრა სტოიანმა.

— მაშასადამე, ცუდად გიძებნია! — ცივად წარმოთქვა დიმოვა. — ეს მაინც ველოსიპედია და არა ვერტმფრენი... მაგრამ ჩანს, მკვლელი კარგად იცნობს ადგილმდებარეობას.

— გასაკვირი არაა, — დაადასტურა სტოიანმა. — ეს სანადირო მინდორია... სეზონის დროს აქ ბევრი მონადირე მოდის.

— იანკო მონადირეა?

— არა... უნდოდა კავშირში შესვლა, მაგრამ მას თოფის ტარების ნება არ დართეს.

— სლავჩო?

— სლავჩო მონადირეა...

— კეთილი. წავიდეთ ბილიკი მოვძებნოთ.

ბილიკს მალე მიაგნეს. ის საკმაოდ ფართო, მაგარი და ქვიშიანი იყო. ბილიკი პერპენდიკულარულად მიჰყვებოდა შარაგზას, რომლითაც ისინი მოვიდნენ და მიემართებოდა თხემისაკენ. მაგრამ გამხმარი მიწა ხელს უშლიდა კვალის გარჩევას. რამდენიმე ასეული მეტრი განვლეს, ვიდრე ბოლოს და ბოლოს სტოიანმა არ წამოიყვირა:

— აი!...

ბილიკის გვერდით გადაჭიმულიყო ფხვიერი ნიადაგის ვიწრო ზოლი და სწორედ აქ იყო დარჩენილი ველოსიპედის საბურავების კვალი. ერთი შეხედვით სრულიად ახალი. დიმოვმა საათს დახედა.

— სტოიან, ერთ საათს გაძლევ... გაიგე საით მიდის კვალი.

შემდეგ ისინი მინდორში დაბრუნდნენ, სადაც ექიმი სტან-

კოვი დათვალიერებას ამთავრებდა. ცოტა ხნის შემდეგ ექიმი მოღუშული სახით მივიდა მათთან.

—მკვლელი და მსხვერპლი გვერდიგვერდ იყვნენ.—დაიწყო მან.—ხაზს ვუსვამ გვერდიგვერდ,—და არა პირისპირ. ერთად მიდიოდნენ და საუბრობდნენ. მკვლელი მარჯვენა მხარეს იმყოფებოდა. მან სამი ტყვია დაახალა კინევს მკერდში. იგი გულაღმა დაეცა. მაშინ მკვლელმა მეოთხედ ესროლა საფეთქელში. შემდეგ ცივი იარაღის, ხანჯლის ჩარტყმა დაუწყო მუცელში, თანაც ჭრილობები ისეთივეა, როგორიც ევტიმ დიბევს ჰქონდა. ისევე როგორც დიბევს, მკვლელმა მასაც ჭრილობები მოგლეჯილი ბალახითა და მიწით ამოუვსო. ეჭვი არ მეპარება, რომ ამ საქმეში ერთი და იგივე კაცის ხელი ურევია. დამთხვევა აქ გამორიცხულია.

ექიმმა სტანკოვმა დიმოვს ტყვია გაუწოდა.

— პარაბელუმისაა, — თქვა მან. — შესაძლოა ამავე იარაღით მოკლეს კუშევი. მართალია, ფისტონზე დარტყმა ერთნაირი არაა. მაგრამ კუშევის მკვლელობის დროს იარაღი გაუმართავი იყო, ახლა მკვლელმა შესაძლოა შეაკეთა ის. ამას ექსპერტიზა დააზუსტებს, პასუხს დღეს საღამოს მიიღებ.

— მაშასადამე, შენ ფიქრობ, რომ სამივე შემთხვევაში მკვლელი ერთი და იგივე პირია?

— ყოველ შემთხვევაში ორში მაინც, ამაში დარწმუნებული ვარ.

— უბრალოდ დიუსელდორფელი მკვლელია.

— დიახ, სწორია, ეს საზიზღარი ფსიქოპათი და სადისტია. მაგრამ არა მგონია, რომ მან მკვლელობა მხოლოდ მკვლელობისათვის ჩაიდინა.

— დიახ, ეს შეუძლებელია! — დარწმუნებით თქვა დიმოვმა. — კუშევის მკვლელობა უკიდურესი აუცილებლობითაა გამოწვეული. ისროდნენ ქუჩიდან და მკვლელის დანახვა შეიძლებოდა. როგორ გგონია, რატომ არ შევიდა ის კუშევის სახლში?

— იმიტომ, რომ კუშევმა იცოდა, რა მოელოდა და წინააღმდეგობას გაუწევდა.

— სწორედ ასეა. მაგრამ მაშინ ღიად რჩება საკითხი.

თუ კუშევს, როგორც ეს ფულის ისტორიიდან ჩანს, ეჭვი ჰქონდა, რომ მოკლავდნენ, რატომ არ მიმართა მილიციას? ალ-

ბათ იმიტომ, რომ კუშევიცა და მკვლელიც გარეული იყვნენ რომელიღაც ბინძურ ისტორიაში და საიდუმლოებაც სწორედ ამაშია.

— შესაძლებელია, — გაუბედავად შენიშნა ექიმმა.

— მაგრამ რა როლს თამაშობს აქ კინევი? იქნებ თანამონაწილეა? ან იქნებ საერთოდ არ იცოდა რა ხალხთან ჰქონდა საქმე. მაგრამ ასეა თუ ისე კინევი და მკვლელი ერთმანეთს იცნობდნენ. უფრო მეტიც, ეტყობა, კარგი ნაცნობები იყვნენ, რაკი კინევი ასეთ უკაცრიელ და საშიშ ადგილას პაემანზე მოვიდა, ალბათ მას ვერც კი წარმოედგინა, სიცოცხლეს თუ მოუსპობდნენ.

— იქნებ აქ, წარაფში, სულ სხვა კაცი უნდა ენახა?

— მეც ასე ვიფიქრე, მაგრამ შემდეგ უკუვაგდე ეს ვერსია. როგორც ჩანს, ისინი სადღაც გზაზე შეხვდნენ ერომანეთს. ერთი პირობა ერთად მიდიოდნენ და საუბრობდნენ. და მკვლელმა მაშინ ესროლა, როდესაც დარწმუნდა, რომ თვით არავითარი ხიფათი არ ელოდა.

— მაგრამ, რატომ? — ნერვულად შეეკითხა ექიმი.

— ეს ისევე გაუგებარია, როგორც დანარჩენი. მეც ვეკითხები ჩემს თავს: რატომ უნდა შეხვედროდნენ ასეთ უკაცრიელ ადგილზე, რატომ არ შეხვდნენ ისინი, მაგალითად, გულეშში, რაც ბუნებრივი იქნებოდა. ეს საკითხი ღიად რჩება.

— წარმოიდგინე, რომ მკვლელი უნდა დაიმალოს. და არ შეუძლია სოფელში მისვლა.

— ვერ წარმომიდგენია ასეთი რამ, — გაიქნია ფიცი დიმოვმა. — ეს პირველ ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ კინევი კარგად შენიღბული მტერია, ეს კი საეჭვოა! მაგრამ დავუშვათ, რომ ყველაფერი ასეა — უფრო ბუნებრივია ისინი შეხვედროდნენ ღამით რომელიმე ბინაზე, თუნდაც რომელიმე სხვა ქალაქში. რა უკაცრიელიც არ უნდა იყოს ეს ადგილი, ძალზე მოუხერხებელია შეხვედრებისათვის. გზა აქ გაშლილია, მოტიტვლებული. ყველას შეეძლო დაენახა, როგორ მოდიოდნენ. ის, ვინც იმალება, არასდროს არ წამოიწყებს დღისით, მზისით, ასეთ საშიშ მოგზაურობას.

— დიახ, ეს ლოგიკურია, — ამოიოხრა ექიმმა.

— მერე კიდევ, რატომ მოკლავს თანამოაზრეს ის, ვინც

იმალება? თუ თანამოაზრე, მათი შეხედულებით, რაიმეში დამნაშავეა, ის არ წავიდოდა შესახვედრად. როგორც ხედავ, ყველაფერი ოსტატურადაა დახლართული.

— რა ვქნათ ახლა?

— აღარ ვიცი. ვფიქრობ, რომ გამოცანის ამოსახსნელი გასაღები ძალიან იოლია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერაფერი გადამიწყვეტია. და მაინც მგონია, რომ ამ ისტორიის პასუხი ღია ფერის სათბილობელში უნდა ვეძებოთ.

ექიმი წამოდგა.

— მე წავალ! მარტო იმტვრიე თავი!

ორმა მძღოლმა გვამი საკაცეზე დადო და მანქანაში დაასვენეს. მდელოზე კვლავ სიმშვიდემ და სიწყნარემ დაისადგურა, ყვითელი ფოთლები სანთლებივით ენთო ჩამავალი მზის სხივებში. მთელი ამ მხუთვარე დღის განმავლობაში დაჰქროლა დასავლეთის ნიავმა და მუხის ფოთლები ააშრიალა, როგორც იქნა, მუხნარში გამოჩნდა აქოშინებული და ერთიანად ოფლში გაწუწული, მაგრამ მომღიმარი სტოიანი.

— დავიღალე! — ჩაილაპარაკა მან. — აბა ეს იყო რბოლა...

— ოღონდ ამაო არ იყოს...

— დიახ, რაღაც შედეგები არის, — თქვა სტოიანმა და დაჯდა.

და ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ბილიკი, რომელიც დასაწყისში ძალზე ვიწროა, თანდათანობით ფართოვდება და სიარული აღარ ჭირს. და, რაც მთავარია, მტვრიანია, ასე რომ ველოსიპედის თვლებმა მკაფიო კვალი დატოვა. მთიდან დაშვებული ბილიკი შარაგზას უერთდებოდა, ერთი კილომეტრის გავლის შემდეგ სტოიანი აღმოჩნდა კალკოვოს კაშხალთან, რომელიც მეთევზეთა საყვარელი ადგილია. გზა ცოტა მოშორებით მიემართებოდა წყალსაცავიდან, მაგრამ სტოიანი რომელიმე მეთევზის ნახვის იმედით მიადგა წყალსაცავს. და მართლაც ნახა ორი მეთევზე. მათ კაშხალთან ბუჩქებში მოეკალათებინათ. სტოიანმა გამოჰკითხა. ერთ მათგანს ვერაფერი შეემჩნია, მაგრამ მეორემ თქვა დაახლოებით სამ საათზე ველოსიპედით ჩაიარა კაცმაო. ისე სწრაფად მიაქროლებდა ველოსიპედს, გეგონებოდათ უკან მისდევდნენო. მაგრამ იმ ადგილიდან, სადაც მეთევზე იჯდა, მას მხოლოდ მისი ზურგის დანახვა შეეძლო. ვე-

ლოსიპედისტი მეთევზეს ახალგაზრდა ეჩვენა. ეცვა მუქი ფერის ჩვეულებრივი კოსტიუმი. თავზე ქუდი არ ეხურა. თმები ალბათ შავი ჰქონდა. მალე ველოსიპედისტი თვალს მიეფარა.

— საიდ მიდის გზა? სოფლისაკენ?

— არა გზატკეცილზე... სოფელი მარჯვნივ რჩება.

— ჰო, მახსენდება, — თავი დაიქნია დიმოვმა. — მარცხნივ გზა ქალაქისაკენ მიდის, მარჯვნივ, კალკოვოს გავლით, უერთდება კონსტანდილის გზატკეცილს. ასეა?

— ზუსტად ასეა.

— რამდენი კილომეტრია კაშხალიდან ჩვენს ქალაქამდე?

— ხუთი-ექვსი.

— მაშასადამე, თუ ის ჩვენს ქალაქში წავიდა, არაუგვიანეს ოთხის ნახევრისა იქ იქნებოდა.

— დიახ, რასაკვირველია... ძალიანაც რომ არ ეჩქარა.

— რომელ საათზე გადის პერნიკისაკენ მატარებელი?

— ოთხს რომ ათი წუთი უკლია.

— იქნებ მატარებელზე მიიჩქაროდა? — იკითხა დიმოვმა.— ან იქნებ საერთოდ არ უნდოდა დიდხანს დარჩენა იქ, სადაც მას შესაძლოა ნაცნობები შეხვედროდნენ.

ყველანი „გაზიკში" ჩასხდნენ და გულეშს გაემგზავრნენ. მთელი გზა დიმოვს ხმა არ ამოუღია, დაღვრემილი იჯდა და ფიქრობდა. და მაინც ყველა კომბინაციაში იყო რაღაც არაბუნებრივი და შეუძლებელი. დიმოვისათვის ნათელი იყო, რომ სიმართლე ხელიდან ეცლებოდა. სასოფლო საბჭოში შეშფოთებული პარგოვი და პირვანი დახვდნენ.

— მანასიევი გაქრა, — მაშინვე უთხრა პარგოვმა. — არსად არაა.

სარემონტო სახელოსნოს მუშაკებმა უკანასკნელად ის დაახლოებით ორ საათზე ნახეს — შემდეგ დაიკარგა. მანასკოს მოტოროლერი ჰქონდა, აღარც ის აღმოჩნდა ადგილზე, მაგრამ არავის არაფერი არც დაუნახავს და არც გაუგონია. მანასკოს ბინა გაჩხრიკეს. ის ნაქირავებ ოთახში ცხოვრობდა. ბინის პატრონი ქალი ჯერ სამსახურიდან არ იყო დაბრუნებული. მოწმეები აიყვანეს და ოთახი დაათვალიერეს. მანასიევს აღარაფერი არ დაეტოვებინა, გარდა ძველი, ჭუჭყიანი კომბინეზონისა. მთელი მისი უბრალო ბარგი, რომელიც ერთ ჩემოდანში თავსდე-

ბოდა, გაქრა. აშკარა იყო, გულეშში დაბრუნებას აღარ აპირებდა.

— სადმე აცნობეთ?

— დიახ, მაიორ ჟეჩევს პერნიკში.

დიმოვი წამით ჩაფიქრდა.

— კეთილი, დამაკავშირეთ ჟეჩევთან! — გასცა განკარგულება.

ისინი მაშინვე დააკავშირეს. დიმოვმა სთხოვა თავის პერნიკელ კოლეგას დაუყოვნებლივ დაკავშირებოდა სოფიას.

— ძებნა უნდა გამოვაცხადოთ მთელს ქვეყანაში! — უთხრა მან. — დრო ცოტაა გასული, მანასიევი შორს ვერ წავიდოდა...

დიმოვმა ყურმილი დადო და პარგოვს მიუბრუნდა.

— ახლა კი მქსოველ ქალთან წავიდეთ, იქნებ კიდევ გვითხრას რამე.

მქსოველი ქალი მათ დახუთულ პატარა ოთახში ნახეს. ეს იყო გამხდარხელებიანი, უკვე ხანშიშესული ქალი, მისი ყვითელი ხატისებრი სახე თითქოს ანათებდა სიბნელეში.

— დეიდა ელენკა, მოდი სერიოზულად ვილაპარაკოთ, ტყუილის გარეშე, — დაიწყო პარგოვმა. — როდის მოვიდა შენთან უკანასკნელად სლავჩო კინევი?..

ქალის გამოხედვა ბავშვის გამოხედვასავით უმწეო გახდა.

— ჰო... მაშინვე! — ენის ბორძიკით უპასუხა მან.

— როდის?

— როდესაც შენც იყავი... ოღონდ საღამოს მოვიდა.

— რა შეგეკითხა?

— მკითხა რისთვის მოვიდნენო... მე ვუთხარი.

— თქვენ რა, არ გააფრთხილეთ ქალი? — მიუბრუნდა პარგოვს დიმოვი.

— რასაკვირველია, გავაფრთხილე... მანაც პირობა მოგვცა.

— დეიდა ელენკა, რა გიქნია ეს? — საყვედურით მიმართა მას დიმოვმა. — მღვდელივით იქცევი: ერთს ამბობ — მეორეს აკეთებ...

— როგორ არ მეთქვა, ის ხომ ჩვენი ბიჭია — ატარტარდა მქსოველი ქალი. — უფროსია! მას თუ არ ვეტყვი, ვისღა უნდა ვუთხრა.

— თანაც ნათესავები არიან, — წაიბურტყუნა პარგოვმა.

დიმოვი წამოდგა.

— რა გიბრძანა მან?

— რაც თქვენ — არავის არ უთხრაო. შემიძლია კი განა არავის ვუთხრა? თქვენ ხომ ყველანი უფროსები ხართ! მეგონა, მეზობელ ქალებზე გამაფრთხილეთ.

— კარგი, კარგი, ჰქენი შენც საქმე, — ამოიოხრა დიმოვმა. — რატომ მუშაობ დახურულ ფანჯრებში? — გაიგუდები...

— მეზობელია გაჯავრებული... მეუბნება შენი მანქანა ძალიან ხმაურობსო.

— შეხედე, რა ნერვული ყოფილა! შენ კი უთხარი, რომ ჩე დაგრთე ნება! მილიცია მრთავს ნებას-თქო.

ისინი ბნელ ქუჩაში გავიდნენ.

— ყველაფერი ნათელია! — თქვა დიმოვმა. — ეს ხომ სოფელია, აქ ყველაფერი ჩანს. განა აქ რაიმე დაიმალება? კაცს კაცით — სლავჩოს ყურამდეც მოაღწია... უნდა მივხვედრილიყავით ამას. თქვენს ადგილას დეიდა ელენკას რამდენიმე დღით საავადმყოფოში გავაგზავნიდი, აი, მაგალითად, ნაღვლის ბუშტის გამოსაკვლევად.

ახლა მათ დარჩათ ყველაზე უსიამოვნო ვიზიტი — სლავჩოს ცოლისათვის უნდა შეეტყობინებინათ უბედურების ამბავი. დიმოვი პარგოვთან ერთად წავიდა. მან ზარის ღილაკს თითი დაეჭირა. მალე გაისმა შიშველი ფეხის ხმა. კარი გაიღო და ზღურბლზე ქალიშვილი გამოჩნდა. მას ხან მხიარულად, ხან ეშმაკურადაც უბრწყინავდა თვალები. დიმოვმა იგრძნო, როგორ ავადმყოფურად შეეკუმშა გული.

— კინევი შინ არის? — მეტისმეტად ოფიციალური ტონით შეეკითხა.

ქალიშვილი თითქოს გაბრაზდა.

— ის შინაა... მაგრამ ძმა ჯერ არ მოსულა...

— მინდა ველაპარაკო თქვენს...

— რძალს, — უკარნახა პარგოვმა.

გაიარეს კომშით გამოტენილი შესასვლელი. გაიარეს და ოთახში შევიდნენ. დიმოვი გაოცებული დარჩა, ისე ახალგაზრდა იყო კინევის ცოლი. ის თითქმის არაფრით განსხვავდებოდა იმ ქალიშვილისაგან, რომელიც მათ შეხვდათ. იგი თხელი, გამ-

ხდარი და ვაწროსახიანი იყო. ხელში წიგნი ეჭირა და გაოგნებული შეჰყურებდა, დაჯდომაც კი არ შეუთავაზებია. დიმოვიც დუმდა და მზერას არ აშორებდა.

— დაბრძანდით! — თქვა ბოლოს მან.

ისინი დასხდნენ იაფფასიან სკამებზე, რომლებსაც შალისაგან მოქსოვილი საგებები ეფარა. ზუსტად ასეთივე საგებები ნახა დიმოვმა ნესტოროვის ბინაშიც. ორივე სახლი ისე ჰგავდა ერთმანეთს, თითქოს ერთმა კაცმა ააშენა და მორთოო.

— ცუდი ამბავი მოგიტანეთ! — ყრუდ თქვა დიმოვმა. — უნდა გაუძლოთ ჭირს.. დღეს, დღის მეორე ნახევარში, მოკლეს თქვენი ქმარი.

— მოკლეს! — ამოიკვნესა ქალმა.

— ის გაიტყუეს სოფლიდან! — ნელა და ხმადაბლა ამბობდა დიმოვი.—მაშასადამე, ეს იყო ნაცნობი კაცი. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც იცნობდით მას.

ქალი ფართოდ გახელილი თვალებით შეჰყურებდა დიმოვს. — საიდან უნდა ვიცოდე?.. რომ მცოდნოდა, განა მარტო გავუშვებდი!

— გთხოვთ დამშვიდდეთ, მოიფიქრეთ, მოიგონეთ. ბოლოს-დაბოლოს ცოლ-ქმარი ხართ... თქვენს მეტს სხვას ვის ეტყოდა, რა ედო გულში?

— არა, ჩემთვის არაფერი უთქვამს. ის ასეთი იყო — მამაკაცურ საქმეებს საიდუმლოდ ინახავდა, არასდროს სიტყვა არ უთქვამს ჩემთვის. როდესაც კანდიდატად წამოაყენეს, მე ბოლოსღა გავიგე...

— ხომ არ უთქვამს თქვენთვის, რომ ვინმესი ეშინოდა? ანდა რაიმესი?

ახლა ის დიდი ხნით ჩაფიქრდა.

— უკანასკნელ კვირას რაღაც აღელვებული და დაფიქრებული მეჩვენებოდა. წინა ღამეს გამომეღვიძა — დაახლოებით ორი საათი იქნებოდა. ვხედავ — სიბნელეში ფანჯარასთან ეწევა და რაღაცაზე ფიქრობს. შევეკითხე: „რა მოგივიდა-მეთქი?" მიპასუხა: „არაფერი, კბილი მტკივაო". — „ასპირინი დალიე-მეთქი!" მან არ მიპასუხა. მხოლოდ ნაფაზი დაარტყა. შემდეგ დაწვა. „თავი მისკდება" — მომესმა მე. დღისით აღარაფერს უჩიოდა. მხოლოდ მიბრძანა ამომეღო გოლფი და ყელიანი ფეხ-

საცმელი, რომლებითაც ის სანადირო დადიოდა ხოლმე დღეს უფრო დამშვიდებულად გამოიყურებოდა.

— სად ისადილა?

— სახლში, დაახლოებით თორმეტ საათზე... სხვა დროს სადილის შემდეგ ნახევარი საათით წამოწვებოდა, დღეს კი მაშინვე წავიდა.

— ვისთან მეგობრობდა?

— იანკოსთან — ძმებივით იყვნენ. და, რაღა თქმა უნდა, სასოფლო საბჭოს ხალხთან — მათ უფრო ხშირად სამსახურის საქმეებზე ხედებოდა. მას პირველ ყოვლისა სამუშაო აინტერესებდა.

— კირილ კუშევთან თუ...

— არა! საერთოდ ვერ იტანდა. როდესაც ის მოკლეს, მან თქვა: „მოისვენა ქვეყანამ საზიზღარი ქვეწარმავლისაგან"!

— ასე თქვა?

— ძალიან კარგად მახსოვს...

უეცრად მან ფართოდ გაახილა თვალები და ჰითქმის დაიყვირა:

— ეს მანასკო, ღმერთმა დასწყევლოს იგი... როგორც კი გამოჩნდა, მთელი სოფელი ააფორიაქა... მან სკო, მანასკო — ისაა მთელი უბედურების მიზეზი!

— თქვენთან დადიოდა ის?

— რამდენიმეჯერ იყო და ყოველთვის მოჰქონდა კონიაკი — „ექსტრა".

— თქვენს ქმარს სმა უყვარდა?

— ერიდებოდა... როგორც კი დალევდა, ბინწყლობდა, ბრაზობდა — ამიტომ არ უყვარდა. განსაკუთრებით რაკია. ხანდახან ღვინოს სვამდა, მაგრამ რაკიას ერიდებოდა.

დიმოვმა გადახედა პარგოვს.

— სად ინახავდა პისტოლეტს? — დაიწყო დიმოვის თანაშემწემ.

— რომელ პისტოლეტს? — შეეკითხა ქალი.

— სამსახურისას.

„ასე, სწორია!" — გაიფიქრა დიმოვმა. კინეკს არ ჰქონდა სამსახურის პისტოლეტი.

— არ ვიცი, — გაოცებით თქვა ქალმა — ჩემთვის არ უთქვამს, შესაძლოა, სახელოსნოში ინახავდა.

— სად გაქრა ღია ფერის სათბილობელი?

— სათბილობელი?.. მითხრა შესაღებად მივეცი პერნიჯშიო. არ მახსოვს — შავ თუ ლურჯ ფერში უნდა შეეღებინებინა. მგონი შავად. დიახ, სლავჩო ისეთი არაა, რომ უბრალო სათბილობელი ჩაიცვას. კარგად იცვამდა. ჩვენ სოფელში პირველმა ჩაიცვა ნეილონი, სხვებს რცხვენოდათ, ამბობდნენ — მისი ჩაცმა ქალების საქმეაო.

მთელი საუბრის მანძილზე იანკა კნუტივით უმწეოდ კრუტუნებდა. ბოლოს დიმოვმა ვეღარ მოითმინა:

— გეყოფა, პარგოვ, წავიდეთ...

მართლაც წასვლის დრო იყო — აზრი არ ჰქონდა დარდნაღველის აწეწვას. როდესაც სოფლის თბილ და სურნელოვან ღამეში ქუჩაში გავიდნენ, პარგოვმა თქვა:

— რად დასჭირდა გოლფები და ყელიანი ფეხსაცმელები? ალბათ იცოდა, რომ უბედურება ელოდა. — გასაქცევად ემზადებოდა!

დიმოვმა ნაღვლიანად გააქნია თავი.

— ბედი არ გვწყალობს, პარგოვ! — სიმწრით წარმოთქვა მან. — ან არ გვწყალობს, ანდა მკვლელი — დიდი გაიძვერაა...

— ბედი არ გვწყალობს! — ამოიოხრა პარგოვმა.

— მეც ასე ვფიქრობ! როცა სათბილობელს აძლევდა, ალბათ არ იცოდა, რომ დამნაშავეს აძლევდა. საერთოდ საეჭვოა, რომ მას რაიმე ეჭვი ჰქონოდა. მაგრამ რა უშლიდა, ცოლისათვის რომ ეთქვა — ასე იყო, ის ამასა და ამას მივეცით?

— და თუ მართლა შესაღებადაა მიცემული? — შეეკითხა პარგოვი.

— არა, — მტკიცედ უპასუხა დიმოვმა. — ასე რომ ყოფილიყო, ის აღიარებდა. მე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ პირველ ორ შემთხვევაში მკვლელს მისი სათბილობელი ეცვა.

— ეს ნესტოროვია! — დარწმუნებით წამოიძახა პარგოვმა. — სხვა არავინ. — თუ ეს ნესტოროვია, — საეჭვოა, რომ ჩვენ კიდევ ვნახოთ ის... ასეთი მოხერხებული ტიპი მუდამ შეძლებს ყველა საზღვრის გადალახვას.

ისინი გაჩუმდნენ, რადგანაც უკან სიბნელეში ვიღაცეები მოდიოდნენ.

ასევე ჩუმად შევიდნენ სასოფლო საბჭოში. სამორიგეო ოთახში მათ გახარებული პირვანი ელოდებოდა.

— იანკო ნესტოროვი დაიჭირეს! — საზეიმოდ აცნობა მან.—პერნიკში სადგურზე დაიჭირეს. მას უკვე აღებული ჰქონდა ბილეთი მატარებელზე.

— მატარებელზე? — გაკვირვებით შეეკითხა დიმოვი. — ის ხომ მოტოციკლეტით იყო?

— დაწვრილებით არ ვიცი, ჯერ არ დაუკითხავთ.

— სადაა ის ახლა?

— ეეჩევმა თქვა, რვა საათისათვის ჩვენთან მოიყვანენ განყოფილებაშიო.

დიმოვმა საათს დახედა. მისი სახე არაფერს არ გამოხატავდა: არც სიხარულს, არც აღელვებას. პარგოვს ეშვიც არ ეპარებოდა, რომ დიმოვი უფრო სევდიანად გამოიყურებოდა. ისინი უხმოდ გამოვიდნენ და „გაზიკში“ ჩასხდნენ. როდესაც ქალაქს მიუახლოვდნენ, მხოლოდ მაშინ თქვა დიმოვმა:

— რა უნდოდა სადგურზე ნესტოროვს?—მაშასადამე, ის დამნაშავეა.

პარგოვმა არაფერი უპასუხა. ასეთ დასკვნამდე მივიდა თვითონაც, თუ რასაკვირველია...

13

მაიორი ეეჩევი, გამხდარი გაჭაღარავებული კაცი, უკვე უცდიდა მათ პოდპოლკოვნიკ დოიჩინოვის კაბინეტში.

— დიმოვ, სამინისტროდან დამირეკეს! — ცივად მიმართა მაიორმა. — იქ ძალზე შეწუხებულები არიან. სამი მკვლელობა ათ დღეში!

— ჩემი მოწყობილი ხომ არ გგონია? — უკმაყოფილოდ წაიბურტყუნა დიმოვმა. — ჰო, სახელს ვუტეხ ოლქს...

— ოლქს არ ვიცი და ჩვენ კი ნამდვილად.

— ალბათ, გაცემულია განკარგულება საქმის სხვისთვის, უფრო უნარიანისათვის გადაცემის შესახებ? — შუბლშეკმუხცნით შეეკითხა დიმოვი.

— არა, თუმცა არ ვიცი, რატომ... ჩვენ კი ბრალს გვდებენ იმაში, რომ არ გეხმარებით.

— თქვენ ხომ გვეხმარებოდით.

— ისეთი თავდაჯერებული ხარ, ვის დაიხმარებ...

— ახალგაზრდები ყოველთვის თავდაჯერებულები არიან!— თავი წამოყო პოდპოლკოვნიკმა დოიჩინოვმა.

— ძველებისგან განსხვავებით, რომლებიც დარწმუნებულა არ არიან თავის თავში.

— ჩემი მისამართით ხომ არაა ნათქვამი? — გულმოსულად შეეკითხა პოდპოლკოვნიკი.

ნებისყოფის დიდი დაძაბვით შეიკავა თავი დიმოვმა.

— შენ ხომ ჩვენს შორის ყველაზე ახალგაზრდა ხარ, — იხუმრა მან.

დოიჩინოვი გაჩუმდა, მაგრამ ეტყობოდა თავს ძალა დაატანა.

— ნესტოროვმა იცის, რისთვისაა დაპატიმრებული? — შეეკითხა დიმოვი.

— არა, რასაკვირველია, ჯერ არ დამიკითხავს, შეგიძლია მშვიდად იყო, ის სავსებით იზოლირებულია.

— დარწმუნებული ხარ?

— სრულიად დარწმუნებული. პერნიკში მომხდარი მკვლელობის ამბავი მხოლოდ სამმა კაცმა იცის.

— ჰო, ეს კარგია, — თავი დიიქნია დიმოვმა. — წინადადება შემომაქვს, დაკითხვის დროს თავი ისე მოვაჩვენოთ, თითქოს კინევი ცოცხალია და არაფერი არ მომხდარა. ანდა თუნდაც ისე, ვითომც ჩვენ არაფერი არ ვიცით. ნესტოროვის ალიბის, დადგენა არაპირდაპირი გზით ვცადოთ.

— რა აზრია ამაში? — უკმაყოფილოდ შეეკითხა ჟეჩევი.— მხოლოდ დროს დავკარგავთ.

— ვფიქრობ, აზრი არის... თუ ნესტოროვი მკვლელია, ბუნებრივია, ის ალიბს მოიმზადებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელთ არ ჩაგვივარდებოდა. ის, ალბათ, მომზადებულია მკვლელობის თაობაზე პასუხის გასაცემად. ჩვენ მას თავგზა უნდა ავუბნიოთ, იმ მხრიდან უნდა მივუდგეთ, საიდანაც არ გველოდება. ნესტოროვი ან უდანაშაულოა ანდა წარმოუდგენლად გაქნილი და გაიძვერა კაცია. თუ მეორე სწორია, ჩვენ არ უნდა ჩამოვუვარდეთ მას.

მაიორი ჩაფიქრდა.

— კეთილი! — თქვა მან ბოლოს.

— წინადადება შემომაქვს დაკითხვა დაგვეცალოს მე და ბარგოვს, — განაგრძობდა დიმოვი. — ის არ უნდა დავაშინოთ, უმჯობესია დაწყნარდეს და სიფხიზლე მოადუნოს.

ათი წუთის შემდეგ ნესტეროვი შეიყვანეს პატარა სამორიგერო ოთახში, სადაც მას დიმოვი და პარგოვი ელოდებოდნენ. მექანიკოსს ეცვა შავი სინთეტიკური ქურთუკი და უხეში შალის მუქი შარვალი. ხოლო ყელიანი ფეხსაცმელები ისეთი სუფთა ჰქონდა, გეგონებოდათ ეს-ესაა პერნიკის ტროტუარებზე დასეირნობდაო. თავზე ყვითელი მუზარადი ეხურა და მუქი სათვალეები ეკეთა.

— დაჯექი! — უთხრა დიმოვმა. — რას ჩამოგიფხატია მუზარადი? რბოლები კი არა გვაქვს!

— მეგონა, რომ მიშვებდნენ, — მიუგო იანკომ.

სრულიად მშვიდი ხმა ჰქონდა, თითქოს მართლა სჯეროდა, რომ განთავისუფლების შესატყობინებლად დაუძახესო.

— არა, ამჯერად ჩვენ არ ვჩქარობთ, — უთხრა დიმოვმა. — შენ აქ სამშვიდობოში იმყოფები.

— მე არავინ მემუქრება, ამხანაგო დიმოვ, სუფთა სინდისი მაქვს...

— მგონი არც ისეთი სუფთა. ჩვენთვის ცნობილი გახდა ზოგიერთი საქმე შენი წარსულიდან. შენ ძალზე აქტიური წევრი იყავი ოპოზიციური სამიწათმოქმედო კავშირისა.

— მხოლოდ ესაა! — აგდებულად წამოიძახა ნესტეროვმა.—მაშინ ჩვენ ხომ თითქმის ბავშვები ვიყავით, ამხანაგო დიმოვ, რა გვესმოდა პოლიტიკისა? მე ეს დავიწყებული მეგონა...

— რასაკვირველია... რომ არაფერი მომხდარიყო.

— სოფელში, სამიწათმოქმედო კავშირის გარდა, არავითარი ორგანიზაცია არ იყო... მამაჩემი კი სამიწათმოქმედო კავშირის წევრი გახლდათ...

— გასაგებია, ამაში არავინ არ გდებს ბრალს. მაგრამ არის კიდევ ზოგიერთი რამ... იმ დროს ოპოზიციურ ცენტრთან კავშირს კირილ კუშევი ახორციელებდა, თუმცა ის ერთგვარად ჩრდილში იდგა...

— არაფერი არ ვიცი, — თქვა ნესტეროვმა. — შეიძლება

ახორციელებდა კიდეც, მაგრამ ამის შესახებ არაფერი ვიცოდი.

— აქ შენ რაღაცას ხალავ. მე წავიკითხე მისი წერილობითი ჩვენებები, რომლებიც მან ბანაკში გაგზავნის წინ მისცა. მასში ის უთითებს შენზე, როგორც თავის პირველ თანაშემწეზე. ჩვენდა გასაოცრად ამ კამპანიაში აღმოჩნდა სლავჩო კინევიც...

— მაშინ გასაგებია! — მხრები აიჩეჩა მექანიკოსმა.

— რაა გასაგები?

— გასაგებია, თუ რამდენად მართალია ეს ჩვენებები. თქვენ თვითონ კარგად იცით, ამხანაგო დიმოვ, როგორ იძლეოდნენ იმ დროს ჩვენებებს. სხვისი დახრჩობა და თავისი ტყავის გადარჩენა უნდოდა...

— ძალიან კარგად იცი, რომ კუშევი ასეთი კაცი არაა... გარდა ამისა, თქვენ მას სჭირდებოდით.

— რისთვის?

— ყველაფრისათვის... კუშევმა თვითონ აღიარა, რომ არჩევნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ თქვენ გადმოგცათ ინსტრუქცია... მინდა გითხრათ — არალეგალური ინსტრუქცია ტერორისტული საქმიანობის დაწყების შესახებ.

— სისულელეებია! — მოიღუშა ნესტოროვი.—არავითარი ინსტრუქცია არ მიმიღია.

— მიიღე! — მტკიცედ უთხრა დიმოვმა. — კუშევმა გვაუწყა, რომ მიიღეთ ინსტრუქცია, მაგრამ არ შეასრულეთ ის. შენ კი გევალებოდა იარაღით მომარაგება.

— მე?! — დაბნეულად წამოიძახა მექანიკოსმა. — როდის?

— გულმავიწყად ნუ მოგაქვს თავი! — შენს სიმამრს ჰქონდა იარაღი — ფრონტიდან ჩამოიტანა. და გადაწყვიტა მისი შენარჩუნება, სწორია?

— სწორია, მაგრამ მისი იარაღისათვის ხელი არ მიხლია.

— აი ამაში კი ეჭვი მეპარება! — უთხრა დიმოვმა. — როგორც ჩანს, ჩვენი ორგანოები მაშინ არცთუ ისე დიდ სიფხიზლეს იჩენდნენ. მალე თავს დაესხნენ ახალგაზრდულ შრომით ბანაკს... გახსენდება? — დიახ, მახსენდება...

— როგორ არ გიგახსენდება? ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა ფაქტმა, რომლის უარყოფა არ შეიძლება. როგორც ოქ-

ზშია ჩაწერილი, შენი სიმამრი გაუფრთხილებლობის გამო დაიღუპა ინგლისური წარმოების სფერული ჭურვის აფეთქებისაგან. მაგრამ ახალგაზრდობის ბანაკზე თავდასხმის დროსაც ხომ ინგლისური წარმოების მრგვალი ჭურვი ისროლეს.

დიმოვმა შენიშნა, რომ ნესტოროეს თითქოს მძიმე ტვირთი მოეხსნა მხრებიდანო.

— ჩემს სიმამრს, ამხანაგო დიმოვ, ჰქონდა მხოლოდ ერთი ასეთი ჭურვი. ის ორჯერ ვერ აფეთქდებოდა.

— ამას შენ ამბობ? — მაგრამ მოწმეები რომ არ არიან... იქნებ რამდენიმე ჭურვი იყო.

— დიახ, მოწმეები არა მყავს, — კოპები შეიკრა ნესტოროვმა.—მაგრამ შენც ხომ არა გყავს ისინი, მე კი ზუსტად ვიცი, რომ სიმამრს მხოლოდ ერთი ასეთი ჭურვი ჰქონდა.

— როგორც არ უნდა იყოს, ეჭვი ეჭვად რჩება, — შენიშნა დიმოვმა. — თუ თეორიულად ვივარაუდებთ, რომ სწორედ შენ მოახდინე ბანაკზე თავდასხმა, -მაშინ ყველაფერი ნათელია.

— რა არის ნათელი?

— ნათელია, თუ ვინაა კუშევის მკვლელი. თქვენ წაიჩხუბეთ, იგი გაცემით დაგემუქრათ და მაშინ...

ნესტოროვმა დამცინავად აიჩეჩა მხრები.

— საბავშვო ზღაპრებია... მაშინ რატომ არ აპატიმრებთ კინეესაც? სლავჩო იყო...

ნესტოროვი მოულოდნელად გაჩუმდა.

— ვინ იყო?

— იმ დროს ისიც კუშევის კაცი იყო... შესაძლებელია ჩემზე უფრო მეტად...

— ჩვენ არ შეგვიძლია სლავჩოზე ეჭვი მივიტანოთ. ის პატიოსანი ბიჭია და ნდობა დაიმსახურა.

— მე კი არ დამიმსახურებია? ჩემზე უფრო მშვიდ და წყნარ კაცს გულეშში ვერ იპოვით. მომიყვანეთ თუნდაც ერთი ფაქტი, როდესაც მე ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვედი.

— არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ თავი გაქნილ კაცად მოგაჩვენონ.

— მაგრამ, ამხანაგო დიმოვ, თქვენ კარგად იცით, რომ არ შეიძლებოდა მე კუშევის მკვლელი ვყოფილიყავი. იმ დროს

სახლში ვიმყოფებოდი ერთდროულად ორ ადგილზე ყოფნა არ შემეძლო.

დიდხანს ფიქრობდა დიმოვი თვალდახრილი.

და მაინც შენში არის რაღაც საეჭვო, ნესტოროვ. რატომ გახვედი დღეს სახლიდან მალულად?

— როგორ მალულად?

— რასაკვირველია, მალულად. ყოველთვის კუტიკარით სარგებლობ. დღეს კი მოტოციკლეტი პირდაპირ გზატკეცილზე გაიყვანე. ამისათვის გააღე მძიმე ჭიშკარი, რომელშიც მხოლოდ მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები გადიან. რატომ ჰქენი ეს? ჩვენ არ მივმხვდარიყავით, რომ პერნიკში მიდიოდი?

— უბრალო შემთხვევითობაა, — მიუგო ნესტოროვმა.

— ამქვეყნად შემთხვევით არაფერი არ ხდება.

— ჭიშკარი ისედაც იყო ოდნავ გაღებული და გზის შემოკლება გადავწყვიტე.

— რას აკეთებდი პერნიკში?

— განსაკუთრებულს არაფერს.

— მოყევი მაინც.

— ერთმა კლიენტმა მოტოციკლეტი დამიტოვა ამორტიზატორების გამოსაცვლელად. ისინი გამოვცვალე და, როგორც კლიენტს შევპირდი, პერნიკში ჩავუყვანე. რატომ უნდა დაადგეს კაცი მომქანცველ გზას? გავუწევ სამსახურს და ის მეორედაც მოვა ჩემთან.

— რა ჰქვია კლიენტს?

— სპას რანგელოვი. ცხოვრობს ოკოლჩიცაზე, სახლი ორი.

— გადაეცი მოტოციკლეტი?

— პირადად მას. ძალიან გაეხარდა და ერთი ლევით მეტი გადამიხადა.

— კეთილი, მაგრამ რატომ არ დაბრუნდი გულეშში პირველივე მატარებლით? მატარებელი ოთხ საათზეა, შენ ეს კარგად იცი.

— პერნიკში საქმეები მქონდა. ორი ბურთულსაკისარის ყიდვა მინდოდა სათადარიგო ნაწილების მაღაზიაში, ის კი ოთხ საათზე იღება. ასე რომ შემდეგი მატარებლით მომიხდა წასვლა.

— სულ ესაა რისი თქმაც შეგიძლია?

— დიახ.

დიმოვმა ღილაკს დააჭირა, ზღურბლზე მორიგე გამოჩნდა.

— გაიყვანე, — უთხრა დიმოვმა. — ცალკე საკანში.

ნესტოროვმა შიშით შეხედა დიმოვს.

— კი მაგრამ, რისთვის, ამხანაგო დიმოვ? რა გავაკეთე?

— რასაკვირველია, არაფერი. ხომ გითხარი, შენს სიცოცხლეზე ვზრუნავ-მეთქი. ყოველ შემთხვევაში ჩვენთან ხიფათი არ მოგელის.

ნესტოროვმა დიმოვის სიტყვებში ირონია დაიჭირა.

— ეს, ამხანაგო დიმოვ, სრული უკანონობაა. მხოლოდ ეჭვის გამო, აბსოლუტურად ყოველგვარი დამამტკიცებელი საბუთის გარეშე? ნუთუ თქვენ არ გჯერათ ჩემი ცოლისა, რომ მე სახლში ვიყავი?

— წადი, სიმშვიდისათვის წადი სატუსაღოში, — შემრიგებლურად უთხრა დიმოვმა. — თვითონ არ ვიცი ვის დაუჯერო და ვის არა...

პარგოვთან მარტო რომ დარჩა, დიმოვმა ჩაიცინა.

— შენ გჯერა, რომ მას ამჯერადაც აქვს ალიბი? — შეეკითხა მოღუშული პარგოვი.

დიმოვმა გაკვირვებით შეხედა მას.

— როგორ შემიძლია, არ მჯეროდეს? მაგრამ მეორე საკითხია: მართლაც ასე იყო ყველაფერი, თუ კლიენტს შეეთანხმდა. ეს სპას რანგელოვი ყოველმხრივ უნდა შეეამოწმოთ, თუ ის პატიოსანი კაცი აღმოჩნდება, მაშინ ნათელი იქნება, რომ ნესტოროვი მკვლელი არაა.

— შენ გინდა თქვა, რომ ჩვენ ამჯერადაც ხელმოცარულები ვართ?

— არა, ამის თქმა არ მინდა. გულახდილად გითხრა, ნესტოროვმა ზოგიერთ რამეში დამაეჭვა.

— მასში მე ყველაფერი მაეჭვებს.

— ყური მიგდე... როდესაც ვთქვი, რომ ახალგაზრდობის ბანაკში ინგლისური ჭურვი ისროლეს-მეთქი, მან ამ დროს აშკარა შვება იგრძნო. შეამჩნიე?

— არა. არ მიმიქცევია ყურადღება.

— მე კი გარკვევით დავინახე და საკუთარ თავს შევეკითხე: რატომ-მეთქი?

— მან გიპასუხა.

— მოიცა, ნუ ჩქარობ. შენ ხომ გესმის, რომ მე იმპროვიზაციას ვასრულებდი, ვამოწმებდი ერთ-ერთ ჩემს ჰიპოთეზას. კარგი, ჩვენ მართლაც არ ვიცით, რომელი ჭურვი ისროლეს ახალგაზრდობის ბანაკში. მაგრამ საიდან იცის მან, რომ ის არ იყო მრგვალი? ინგლისური?

— შეიძლება მის სიმამრს მართლაც მხოლოდ ერთი ასეთი ჭურვი ჰქონდა?

— დავეთანხმოთ ამაში. მაგრამ მსოფლიოში მილიონობითაა ასეთი ჭურვი. რატომ არ შეიძლებოდა, რომ თავდასხმა მომხდარიყო სხვა ასეთივე ჭურვით? გარდა ამისა, ნესტოროვმა ძალიან კარგად იცის, რომ არავინ უწყოდა ზუსტად რამდენი ასეთი ჭურვი ჰქონდა მის სიმამრს. მაშ რატომ გაეხარდა ასე?

— დიახ, ამაში მართლაც არის რაღაც, — ჩაიბურტყუნა პარგოვმა.

— აი შენ უტყუარი ახსნა. ნესტოროვმა იცის, რომ ბანაკში არ უსვრიათ ასეთი ჭურვი, რადგან თვითონ მონაწილეობდა თავდასხმაში. ის მაშინვე მიხვდა, რომ იმპროვიზაციას ვასრულებდი და ვატყუებდი. არ შეიძლებოდა ამას ის არ გაეხარებინა. მისთვის ნათელი გახდა, რომ მე მხოლოდ ეჭვები მაქვს, და არავითარი დამამტკიცებელი საბუთი და მაშინვე ფეხქვეშ მყარი ნიადაგი იგრძნო.

— ალბათ ასეც იყო? — თქვა გამოცოცხლებულმა პარგოვმა.

— ლოგიკურად ეს უდავოა. მაგრამ პრაქტიკულად შესაძლოა ასე არც იყოს. წარმოიდგინე, რომ მრგვალი ჭურვი სიმამრს ერთი ჰქონდა, ეს კი, როგორც ჩანს, სიმართლეა. ის მართალია, ერთი და იგივე ჭურვი ორჯერ ვერ აფეთქდება. მაგრამ მაშინვე შესაძლოა ვერც მოეფიქრებინა, რომ არაა დამამტკიცებელი საბუთი, ან არ არიან მოწმეები, რომლებიც მის მტკიცებებს დაადასტურებდნენ.

ორივე ფიქრმა წაიღო და დიდხანს დუმდნენ.

— აი მეორე, რამაც დამაეჭვა, მან რაღაც არაბუნებრივად შეწყვიტა ფრაზა: „სლავჩო იყო...“ შემდეგ დაამატა, რომ სლავჩო იყო კუშევის ნდობით აღჭურვილი პირი. დახლართუ-

ლი საქმეა. მთლიანად ფრაზა ძალზე ბუნებრივად ჟღერს. მაგრამ რატომ შეწყვიტა ის? თითქოს არავითარი მიზეზი არ იყო ფრაზის ორად გასაწყვეტად: „სლავჩო იყო, — თქვა მან — იმ დროს კუშევის კაცი". არაფერი — რაც უნდოდა ეთქვა, სწორედ ის თქვა. თუ ფრაზის ეს გაწყვეტა შემთხვევითი არაა, მაშინ მას შეიძლება მხოლოდ ერთი აზსნა ჰქონდეს: ნესტოროვმა იცის, რომ სლავჩო კინევი მკვდარია. მაგრამ მას არ უნდა თავი გასცეს. უმალვე თქვა: „სლავჩო იყოო..." წარსულ დროში მხოლოდ მკვდარ კაცზე ლაპარაკობენ. ეს სანიშნო ნათურა მის გონებაში ენთო. მეორე წამს მოიფიქრა, ბუნებრივად როგორ დაემთავრებინა ფრაზა.

— ძალზე ფრთხილი მსჯელობაა! — უკმაყოფილოდ შენიშნა პარგოვმა. — მეტისმეტადაც კი. ასეთ კაცს მე სხვანაირად მოვექცეოდი.

ტელეფონმა დარეკა. დიმოვმა ყურმილი აიღო. ერთი ხანობა ის უსმენდა, შემდეგ „მადლობა" უთხრა და ყურმილი დადო.

— ექსპერტიზის შედეგები — კუშევსა და კინევს ერთი და იმავე იარაღიდან ესროლეს, — თქვა მან. — დიახ, გულახდილად გითხრა, ჩემთვის ძნელია ამის დაჯერება.

— მე ყველაფერს ვუშვებ...

— მანასიევზე არავითარი ცნობა არაა.

— ესღა გვაკლდა! — შეშფოთდა პარგოვი.

— ხომ არ გაიქცა?

— არა, მეოთხე მსხვერპლი ხომ არ გახდა?

14

დილაადრიან დოიჩინოვმა ყვავილები მორწყო. როცა ცოტა ხნის შემდეგ დიმოვი მას სამზარეულოში შეხვდა, მათს ურთიერთობაში დაძაბულობა ისევ იგრძნობოდა. თუმცა დიასახლისი როგორც ყოველთვის ალერსიანი და თავაზიანი იყო. პოდპოლკოვნიკს ერთი სული ჰქონდა, სანამ ქუჩაში გავიდოდნენ. მაშინვე მიმართა დიმოვს:

— ყური მიგდე, დიმოვ, იცი, რაგორ მიხარია, მე რომ მცვლი. ამიტომ შენი გუშინდელი შენიშვნა ზედმეტი იყო.

დიმოვი სიტყვას ვერ პოულობდა და იტანჯებოდა.

— მე ეს არ დამიმსახურებია! — წყენით განაგრძობდა დოიჩინოვი. — დიახ, დავიღალე. მაგრამ შენ რომ ასეთი რამ მითხრა...

დიმოვმა მოულოდნელად გაიღიმა.

— თქვენ მართალი ხართ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — უთხრა მან.—მაგრამ მე უბრალო კაცი ვარ, და არ ვიცი როგორ გთხოვოთ პატიება დაშვებული შეცდომისათვის.

პოდპოლკოვნიკმა შვებით მოუთათუნა მხარზე ხელი.

— ჩემთვის ესეც საკმარისია, — უთხრა მან. — მე არც ისეთი შარიანი ვარ.

მალე დიმოვი უკვე განყოფილებაში იყო. თუმცა სამუშაო დღე ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, თითქმის ყველა თავის სამუშაო ადგილზე იმყოფებოდა. პარგოვი თავის კაბინეტში უცდიდა დიმოვს. სახეზე განსაკუთრებული სიხარული არ ეტყობოდა.

— მანასიევის კვალიც კი გაქრა, — უთხრა მან.

მაგრამ დიმოვმა თითქოს არ მიაქცია მის სიტყვებს ყურადღება.

— კეთილი, ახლა კი ნესტოროვი მოიყვანე ჩემთან.

ცოტა ხნის შემდეგ, მექანიკოსი იმავე სკამზე იჯდა, რომელზეც გუშინ, მაგრამ ამჯერად ყვითელი მუზარადი აღარ ეხურა. ნესტოროვს სახე შეშუპებოდა.

ყური მიგდე, ნესტოროვ, შენი მეგობარი სლავჩო გუშინ სახლში არ დაბრუნებულა და არც უთქვამს შინ საით წავიდა. შენ არ იცი სად შეიძლება იყოს?

— არა! — უპასუხა ნესტოროვმა.—საიდან უნდა ვიცოდე, როდესაც თქვენ აქ მამყოფებთ?

— თქვენ წინადღით ნახეთ ერთმანეთი, — წყნარად განაგრძობდა დიმოვი. — სლავჩოსთან იყავით სახლში. მის ქცევაში რაიმე უცნაური ხომ არ გეჩვენათ?

იანკო ჩაფიქრდა.

— არა, არაფერი, — უპასუხა მან.

— მაინც?

— რაღაცით გახლდათ აფორიაქებული... გუნებაზე არ იყო და მთხოვა...

ნესტოროვი გაჩუმდა.

— კომპასი მთხოვა... მე მქონდა პატარა კომპასი, თითქმის საბავშვო სათამაშო, მაგრამ დავკარგე.

— არ შეეკითხე, რად უნდოდა?

— შევეკითხე, მიპასუხა, რომელიღაც სქემაზე მიმართულების აღნიშვნა მინდაო.

— მისმინე, შენ და სლავჩო მეგობრები ხართ. და არ შეიძლება კუშევის მკვლელობაზე არ გესაუბრათ. რას ფიქრობდა სლავჩო ამის თაობაზე?

— განსაკუთრებულს არაფერს. მე ის ვთქვი, რასაც ვფიქრობ. ჩვენთან არავის არ შეეძლო ბაი კიროს მოკვლა. ამისათვის მიზეზიც არ არსებობს. ალბათ, ბანაკში ყოფნის დროს რაღაც საქმეში გაეხვია და ახლა გადაუხადეს. არ ვიცი რატომ, მაგრამ სლავჩოს კუშევი არ უყვარდა. ისიც კი მომეჩვენა, რომ მას გაეხარდა, როდესაც ის მოკლეს.

— სლავჩოსთან იარაღი გინახავს?

— არა. მაგრამ შესაძლოა ჰქონდა. ერთხელ გულმოსულს ვიღაცაზე უთქვამს: „ძაღლივით დაეხვრეტო“. იქნებ სამსახურის რევოლვერი ჰქონდა, შეამოწმეთ. ჩვენ მეგობრები ვართ, მაგრამ სამსახურზე არასდროს არ გვისაუბრია.

— კინევი გახვეული ხომ არ იყო რაიმე სასიყვარულო ისტორიაში?.. — შეეკითხა პარგოვი. — შენ ხომ უკეთესად იცნობ მას...

— ღმერთმა უწყის! — გაიცინა მექანიკოსმა.

ცოტა ხნის შემდეგ ნესტოროვი გაიყვანეს. ამჯერად ის წყნარად წავიდა, პროტესტი არ განუცხადებია, არ უშტაციებია, რომ უკანონოდ იყო დაკავებული. იგი დაწყნარებული და თვინიერი ჩანდა.

— როგორია შენი შთაბეჭდილება? — შეეკითხა დიმოვი პარგოვს.

მან მხრები აიჩეჩა.

— ვფიქრობ, ნესტოროვს ახლა სულაც არ ეჭირა თავი ისე, როგორც კინევის მეგობარს.

— დიახ! — დაეთანხმა დიმოვი. — მას სავსებით არ ინდობდა. და ალბათ იმიტომ, რომ იცის — სლავჩო კინევს უკვე ღალარ შეუძლია რაიმეს უარყოფა.

— შენ გჯერა კომპასის ისტორია?

— დიახ, ეს იყო ყველაზე საინტერესო! — უთხრა დიმოვმა, — მას თითქოს უნდოდა ჩვენთვის ჩაეგონებინა, რომ სლავჩო გასაქცევად ემზადებოდა, ვთქვათ, საზღვარგარეთ და კომპასი მას ორიენტირებისათვის ესაჭიროებოდა.

— მართალი ხარ! — დაეთანხმა პარგოვი.

მალე „გაზიკი" სადგურისაკენ მიმავალ გზაზე მიხტუნავდა. გულის სიღრმეში დიმოვს წარმატების იმედი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც უნდა შეემოწმებინა და რა დიდი იყო მისი გაოცება, როდესაც გამოჩნდა ერთ-ერთი თანამშრომელი გამტვერილი ველოსიპედით.

— ველოსიპედი სადგურის უკან პატარა ბაღში აღმოვაჩინე, — უთხრა მან. — ის ბუჩქების უკან ბალახში ეგდო.

დიმოვი და პარგოვი ისე უყურებდნენ, თითქოს თვალებს არ უჯერებენო.

— იქნებ ეს რომელიმე რკინიგზელის ველოსიპედი იყო? — შეეკითხა პარგოვი.

— არა, ისინი ველოსიპედებს განსაზღვრულ ადგილზე აყენებენ, — უპასუხა თანამშრომელმა.

— მაინც შეამოწმე! — მისცა წინადადება დიმოვმა. — შენ კი, პარგოვ, მორიგეები დაჰკითხე, ეგებ ვინმემ რაიმე დაინახა.

მარტოდ დარჩენილმა დიმოვმა, უპირველეს ყოვლისა, მცხუნვარე მზისაგან თავის შესაფარებელი ადგილი მოძებნა. ის ბაქანზე გავიდა და ჩაფიქრებული ერთ-ერთ სკამზე ჩამოჯდა. როგორც ჩანს, მათი ჰიპოთეზა გზაზე, რომელსაც მიჰყვებოდა მკვლელი, მტკიცდებოდა. მკვლელი ველოსიპედით გავიდა ქალაქისა და კალკოვოს შემაერთებელ გზატკეცილზე, სადგურამდე მივიდა და ალბათ პერნიკისაკენ მიმავალ მატარებელზე დაჯდა. მალე პარგოვი დაბრუნდა.

— უშედეგოდ, — თქვა მან. — არც მოლარეს, არც მორიგეს ვინმე უცნობი ან საეჭვო ადამიანი არ შეუნიშნავთ. რა თქმა უნდა, ვერ შენიშნავდნენ, — დაეთანხმა დიმოვი. — მკვლელი ყველას თვალწინ არ იბოგინებს.

თანამშრომელიც ხელმოცარული დაბრუნდა. დადასტურდა, რომ ყველა რკინიგზელის ველოსიპედი ადგილზე იყო.

— კარგი, კარგი, — თქვა დიმოვმა, — პატრონს ნომრით

დავადგენთ. თვითონ ველოსიპედი კი დაუყოვნებლივ ექსპერტიზაზე უნდა გავაგზავნოთ. შესაძლოა მკვლელმა შემთხვევით რაიმე ანაბეჭდი დატოვა.

ისინი კვლავ განყოფილებაში დაბრუნდნენ. ნომრის შემოწმება სიძნელეს არ წარმოადგენდა, ველოსიპედი მართლაც სლავჩო კინევს ეკუთვნოდა. ანაბეჭდების ექსპერტიზაღა რჩებოდა.

— შენ მანქანით წადი პერნიკში, — უთხრა დიმოვმა თავის თანაშემწეს. — და საოლქო სამმართველოში დამიცადე. სთხოვე, რაც შეიძლება მალე ჩაატარონ ექსპერტიზა.

შემდეგ დიმოვმა განკარგულება გასცა მოეყვანათ ნესტოროვი. მოლოდინში მან საწერი მაგიდის უჯრიდან საქაღალდე ამოიღო და მოსაჩვენებლად თავი ქაღალდებში ჩარგო. მალე კაბინეტში მექანიკოსი შემოიყვანეს.

— დაჯექი! — არც შეუხედავს ისე უთხრა დიმოვმა.

მან ქაღალდის რამდენიმე ფურცელი გადაშალა და შემდეგ ნესტოროვს შეხედა.

— ხომ არ გსურს რაიმე შემეკითხო შენს მეგობარზე? თუ ცნობისმოყვარე არა ხარ? — ირონიულად შეეკითხა დიმოვი.

მოღუშული ნესტოროვი დუმდა.

— ის ჯერ კიდევ არ გამოჩენილა, — უთხრა დიმოვმა. — მაგრამ ინფორმირებისათვის არ გამომიძახებიხარ. გუშინ საღამოს შენ ჩვენ მოგვატყუე.

—იოტისოდენა ტყუილიც არ მითქვამს, — ყრუდ წარმოთქვა ნესტოროვმა. — გიცნობთ, ყოველგვარი უზუსტობისაგან საქმეს შექმნით.

— გუშინ დაახლოებით ოთხი საათისათვის, შენ აქ, ქალაქში გნახეს,—უთხრა დიმოვმა, — როდესაც სადგურისაკენ მიემართებოდი.

— ეს სიცრუეა! — გაღმა შეედავა ნესტოროვი. — ჰკითხეთ რანგელოვს, სად ვიყავი ამ დროს.

— შენ ამბობ, რომ მასთან იყავი დაახლოებით სამი საათისათვის, მაგრამ რას აკეთებდი ქალაქში ოთხ საათზე?

— სადგურს სიახლოვესაც არ გავკარებივარ.

— შენ დაგინახეს. დაპირისპირებას მოგიწყობ.

— კი მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს ამას? — გაჯავრებით

შეეკითხა ნესტოროვი. — განა არ შემიძლია ვიარო იქ, სადაც მომესურვება?

— კიდევ ერთხელ გეკითხები: იყავი თუ არა სადგურში?

— არა! — მტკიცედ მიუგო ნესტოროვმა. — იქ როგორ მოვხვდებოდი? რითი უნდა წავსულიყავი?

— სლავჩო თავის ველოსიპედიანად გაქრა. გახსოვს რა-ფორი ველოსიპედი ჰქონდა?

— არ მახსოვს. არ მაინტერესებს! — ნერვულად უპასუხა ნესტოროვმა. — მეტს აღარ გიპასუხებთ კითხვებზე.

— კეთილი! — უთხრა დიმოვმა — მაგრამ არ ინანო.

დიმოვმა ბრძანა გაეყვანათ ნესტოროვი და მოეტანათ ნივთები, რომლებიც მას აღმოაჩნდა დაპატიმრებისას. მათ შორის იყო: ექვსი გასაღების ასხმული, მოტოციკლეტის ორი საკისარი, ალბათ სათადარიგო ნაწილების მაღაზიაში ნაყიდი, ბურთულიანი კალმისტარი, ჯიბის პატარა დანა. არ იყო არც უბის წიგნაკი და არც მისი ხელით დაწერილი სტრიქონი. ფული ცოტა აღმოჩნდა — დაახლოებით თერთმეტი ლევი. პასპორტი არ იყო. პირადობის ერთადერთი მოწმობა იყო რამდენიმე წლის წინათ გაცემული მანქანის მართვის უფლება. ფოტოსურათზე სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა, ვიდრე ახლა. უფრო გამხდარი, თხელი ულვაშებით; სახის ბოროტი გამომეტყველება ამხელდა მის ფიცხ და მგზნებარე ხასიათს.

მაგრამ დიმოვმა ვერ იპოვა ის, რასაც ეძებდა, ვერ იპოვა ცხვირსახოცი, რასაკვირველია, აუცილებელი არ იყო გულეშელ მექანიკოსს ჯიბეში უსათუოდ სდებოდა ცხვირსახოცი, მაგრამ ეს მაინც ბუნებრივი იქნებოდა. ასეა თუ ისე ცხვირსახოცის არსებობა ნესტოროვის უდანაშაულობას დაამტკიცებდა. მკვლელმა, კვალის დასაფარავად, ალბათ ველოსიპედის საჭე ცხვირსახოცით გაწმინდა, შემდეგ კი ის ვაგონის ფანჯრიდან გადააგდო. ნესტოროვის ნივთებში ცხვირსახოცი არ აღმოჩნდა.

დიმოვმა დაქოქა ერთ-ერთი სასამსახურო მოტოციკლი და ბერნიკში წავიდა. პირობის თანახმად, პარგოვი მას საოლქო სამმართველოში უცდიდა, რანგელოვი შემსყიდველად მუშაობდა საქალაქო ვაჭრობის საწარმოში. ეს ისეთი ადგილი იყო, რომ განსაკუთრებულ ნდობას არ იწვევდა.

რანგელოვი მარტო დახვდა პატარა კანტორაში, ისე რომ ახლავე შეიძლებოდა მისი დაკითხვა. რანგელოვი აღმოჩნდა ძალზე სქელი კაცი, რომელსაც უშველებელი მუცელი და მტვერსასრუტის შლანგის მსგავსი კისერი ჰქონდა. მილიციასთან შეხვედრა ყოველთვის რაღაც ინციდენტს გულისხმობს, მაგრამ რანგელოვი სავსებით მშვიდად იყო. მან მოსულებს დაჯდომა შესთავაზა, შემდეგ კი მათ უდანაშაულო თვალებით მიაჩერდა. „საზიზღარი თაღლითია" — გაუელვა თავში დიმოვს.

— თქვენ იცნობთ იანკო ნესტოროვს? — დაიწყო დიმოვმა.

— ვის, მექანიკოსს? დიახ, ვიცნობ.

— დიდი ხანია?

— როგორ დიდი ხანი... მხოლოდ ერთხელ ვნახე, ე. ი. ორჯერ, როდესაც მოტოციკლეტი მივეცი და როდესაც მან ის დამიბრუნა.

— კი მაგრამ რატომ მაინცდამაინც მას მიეცით? ასეთ შორეულ სოფელში? ქალაქში ამდენი სარემონტო სახელოსნოა.

— რამდენი? — უკმაყოფილოდ ამოიხვნეშა შემსყიდველმა.

— არ დამითვლია, მაგრამ არის. რა საჭირო იყო მოტოციკლის მთელ ორმოც კილომეტრზე წაღება, რაღაც ამორტიზატორების გამო?

— აქ სანამ პატარა რემონტს გაგიკეთებენ, მთელი კვირა უნდა უცადო, — უპასუხა შემსყიდველმა. — მე კი მოტოციკლეტი ყოველდღე მჭირდება, უიმისოდ ხელმოჭრილივითა ვარ. ხოლო გულეში საქმეზე ჩავედი. ერთმა მეგობარმა მითხრა: „მოტოციკლი იანკოს მიეცი, უკეთეს მექანიკოსს მთელ რაიონში ვერ იპოვი, ერთ დღეში შეგიკეთებს".

— მოტოციკლი თქვენ თვითონ ჩაიტანეთ?

— თვითონ. ნესტოროვი სახელოსნოში ვიპოვე. სწრაფად მოვრიგდით. მან მითხრა, ზუსტად ორი ამორტიზატორი მაქვს და შემიძლია ხვალ თვითონ ჩამოგიყვანო მოტოციკლი პერნიკში.

— მან თვითონ შემოგთავაზა მოტოციკლის პერნიკში ჩამოყვანა?

— მგონი თვითონ. დიახ, თვითონ მითხრა, საქმეები მაქვს ქალაქშიო. მე ხელს მაძლევდა. მას მისამართი მივეცი და დავპირდი, რომ სამ საათზე სახლში დაველოდებოდი. მეორე დღეს მართლაც ჩამომიყვანა მოტოციკლი, თუმცა ეს მაინცდამაინც არ მჯეროდა.

— და ზუსტად სამ საათზე ჩამოგიყვანა?

— დაახლოებით. დიდი დიდი ოთხის ათი წუთი ყოფილიყო. მთხოვა თვითონ გამესინჯა ახალი ამორტიზატორები, აინტერესებდა, კმაყოფილი ვიყავი თუ არა. ვუთხარი კმაყოფილი ვარ-მეთქი, გადავუხადე და ამით დამთავრდა ყველაფერი.

— დაადასტურებთ თქვენს ჩვენებას სასამართლოზე?

შემსყიდველმა შუბლი შეიკრა.

— არ მიყვარს სასამართლოები, მაგრამ თუ საჭიროა...

დიმოვმა პარგოვს შეხედა, მან მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— რა ეცვა მას?

— არ მახსოვს, — გაჯავრებით უპასუხა შემსყიდველმა.— თავზე ყვითელი მუზარადი ეხურა.

დიმოვი და პარგოვი ქუჩაში გავიდნენ.

— აბა რას იტყვი ახლა? — შეეკითხა დიმოვი.

მის ხმაში ოდნავ დამცინავი ტონი გაისმა.

— ეს ალიბი ყალბია! — აენთო პარგოვი. — ისინი მოლაპარაკებული არიან. რანგელოვი მისი კაცია.

— როგორაა მისი? მან ხომ თქვა, პირველად ვნახეთ ერთმანეთიო?

— ისინი ყველაფერში შეთანხმებულები არიან. ეს მთელი ბანდაა.

— კეთილი! შენვე დაამტკიცე ეს!

— ყოველთვის ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ის ცრუობს! — დაასკვნა პარგოვმა.

ისინი საოლქო სამმართველოში დაბრუნდნენ. ექსპერტიზა ჯერ არ იყო დამთავრებული. პარგოვი პერნიკში დარჩა, ექსპერტიზის შედეგებს და რანგელოვის შემოწმების მონაცემებს დაელოდა. დიმოვს აქ მეტი საქმე აღარ ჰქონდა და მოტოციკლეტზე დაჯდა და განყოფილებაში დაბრუნდა.

დღე მოსაწყენად და ნელა გადიოდა, მაგრამ დიმოვი იმედს არ კარგავდა. არ შეიძლებოდა რაიმე არ მომხდარიყო. ამჯერად

მკვლელი ძალზე დიდხანს დადიოდა გზებზე. თანაც დღისით, მზისით. რაიმეთი მან აუცილებლად გასცა თავი და ვინმე ამ-ს შესახებ აცნობებს. გარდა ამისა, დიმოვს ექსპერტიზის იმედიც ჰქონდა.

დაახლოებით საღამოს ექვსი საათისაკენ პარგოვმა ტელეფონით აცნობა, მანასიევი სოფიაში უნახავთო. ალბათ მალე მის კვალსაც მიაგნებენ. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ველოსიპედზე არის სლავჩო კინევისა და კიდევ ორი ჯერჯერობით უცნობი ადამიანის თითების ანაბეჭდები. ნესტოროვის თითების ანაბეჭდები ვერ აღმოაჩინეს. რანგელოვის შემოწმება საეჭვოს არაფერს იძლეოდა.

— ალბათ ცხრა საათისათვის შემოწმებას დაამთავრებენ, — აცნობა პარგოვმა.

ლოდინის მეტი არაფერი დარჩენოდათ. დიმოვმა უფრო მოწყენილობისაგან, ვიდრე აუცილებლობისაგან, უბის წიგნაკი გაშალა და თავი ჩარგო. დაახლოებით ცხრის ნახევრისათვის ტელეფონმა დარეკა. დიმოვმა ყურმილი აიღო.

— გისმენთ.

პატარა პაუზის შემდეგ გაისმა შორეული და გაურკვეველი ხმა.

— ამხანაგო დიმოვ, თქვენა ხართ?

— დიახ მე ვარ... ვინ ლაპარაკობს?

— სპირიდონი. ბაი სპირიდონი, კოოპერაციის თავმჯდომარე ვოინიკოვოში. შეიძლება გახსოვართ, ამხანაგო დიმოვ, მე კუშევის დაკრძალვაზე ვიყავი.

— დიახ, მახსოვხართ... რაშია საქმე, ბაი სპირიდონ?

— ცუდადაა საქმე, ამხანაგო დიმოვ. აქ ჩემთან... უნდა ჩამოხვიდე! — გაისმა მავედრებელი ხმა.

— რა მოხდა?

— ტელეფონით ვერ გეტყვი. გთხოვ სასწრაფოდ ჩამოხვიდე. ჩემს კანტორაში — მეორე სართულზე. ჩაკეტილი ვარ, დამიკაკუნე, დამიძახე. იქნებ, არც ისე საშიშია, მაგრამ მოხუცებული კაცი ვარ.

— კეთილი, ბაი სპირიდონ, ახლავე ჩამოვალ!

დიმოვმა ყურმილი დადო და ჩაფიქრდა. „გაზიკი" პერნიკში დარჩა, ალბათ მოტოციკლეტით მომიწევს წასვლა. ბო-

ლოს და ბოლოს აუცილებელი არაა ხალხის აქედან წაყვანა, ადგილობრივების, ვოინიკოვოელების მოწვევაც შეიძლება. სანამ სოფლამდე მივალ, ვაითუ მოხუცი საიქიოს გაემგზავროს. დიახ, უნდა ვიჩქარო. მან წერილი დატოვა, ჯიბეში პისტოლეტი ჩაიდო და ქუჩაში გავიდა. მოტოციკლი საკმაოდ მძლავრი იყო და სოფელში სწრაფად ჩავიდოდა. დიმოვი არც ისე გამოცდილი მოტოციკლისტი გახლდათ, მაგრამ მართვა მაინც იცოდა. მოედანი უკაცრიელი იყო და მასზე გავლა სიძნელეს არ წარმოადგენდა. გზატკეცილზე დიმოვმა გაზს მოუმატა და მოტოციკლეტმა გაიქროლა. არა, არა, უფრო ნელი სვლაა საჭირო. მას სასიკვდილოდ შეშინებული ადამიანი ელოდება და გარისკვა არ შეიძლება.

მართალია დიმოვს სახეში გრილი სიო სცემდა, მაგრამ ვერა და ვერ დამშვიდდა. გზა უკაცრიელი იყო — მას მხოლოდ ერთი ველოსიპედისტი შემოხვდა. ისე ბნელოდა, თვალთან მიტანილ თითს ვერ დაინახავდი. არსაიდან პატარა სინათლეც კი არ მოჩანდა. ერთ-ერთი მოსახვევის შემდეგ დიმოვმა მკრთალად მოციმციმე სავსე მთვარე დაინახა. ის უცნაურად დაკბილული შავი და მკვდარი ბორცვის იქითა მხრიდან ამოცურდა — მარადიულობასავით წყნარი და სუფთა. და უცებ, ვინ იცის რატომ, დიმოვს უცნაურად მოეჩვენა, რომ ის მიიჩქარის სადღაც, ვიღაც კაცთან, რომელსაც სიკვდილი ელის. ეს დაუჯერებელი ეგონა — ისე წყნარად და უშფოთველად გამოიყურებოდა სამყარო ვარსკვლავებით მოპენილი ცის ქვეშ.

მოულოდნელად შიშის გრძნობამ შეიპყრო დიმოვი. ეშმაკმა დალახვროს, მაინც რა მოხდა? გზა ისევ უდაბური და უკაცრიელი იყო. ძრავის ხმაურზე არაფერი არ ისმოდა. საჭესთან დამაგრებულ სარკეში არაფერი არ ირეკლებოდა. დიმოვმა სიჩქარეს უკლო, თუმცა სწრაფად უნდა ევლო. რაღაც უახლოვდებოდა მას, რაღაცნაირი ბნელი მასა. მან სწრაფად მიიხედა უკან. მანქანა ფარების გარეშე! დიმოვმა მკვეთრად შეუხვია მარჯვნივ და მთელი ძალით დააჭირა მუხრუჭებს.

შემდეგ მან ძლივს გაიხსენა, როგორ მოხდა ყოველივე ეს. წამით გონება დაკარგა. გონს რომ მოეგო საშინელი ტკივილი

იგრძნო. ის გულდაღმა იწვა, პირი მიწით ჰქონდა სავსე. დიმოვმა ირგვლივ თვალის მოვლება სცადა, მაგრამ ვითარებაში ვერ გაერკვა. წინ ციცაბო და ბნელი ფერდობი დაინახა. დიახ, ეს იყო მიწაყრილი. მაგრამ სად გაქრა მანქანა?

იმავე წამს მან გზატკეცილზე, დაახლოებით ოც მეტრში, ფარებჩამქრალი გაჩერებული მანქანის სილუეტი დალანდა. დალანდა კაციც, რომელიც გზის პირპირ ჩუმად ეპარებოდა მას. ხელში რაღაც პატარა საგანი ეჭირა — შესაძლებელია პისტოლეტი, ანდა ჩამქრალი პატარა ელექტროფარანი. დიმოვმა პისტოლეტისაკენ წაიღო ხელი. მწვავე ტკივილისაგან დაიკვნესა.

კაცმა ყურები ცქვიტა და გაჩერდა.

მიუხედავად მწვავე ტკივილისა, დიმოვმა მაინც მოახერხა პისტოლეტის ამოღება, მაგრამ მარჯვენა ხელი არ ემორჩილებოდა. პისტოლეტი მარცხენა ხელში გადაიტანა და იარაღის ცივი ხორკლები იგრძნო.

კაცი გასწორდა და კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა. დიმოვს მისი ფიგურა ეცნაურა. ახლა მას მთვარე ძალიან კარგად ანათებდა, — კაცს ბრგე ტანზე ემოსა ღია ფერის სათბილობელი. დიმოვმა დაუმიზნა, მან იცოდა, რომ არ ააცდენდა — კურსებზე მასზე უკეთესი მსროლელი არ იყო.

დიმოვმა სასხლეტს გამოჰკრა.

გაისმა სროლის ხმა!.. კიდევ ერთი!..

კაცი მხედველობის არედან დაეკარგა. რაღა თქმა უნდა, ის გზატკეცილზე აგდია. დიმოვი ძლივს წამოდგა და ქანაობით წავიდა მიწაყრილისაკენ. ყველა პრობლემა გადაწყდა — შურისგება მოულოდნელად მოხდა.

და უცებ დიმოვმა დაინახა კაცი, ის მანქანისაკენ მირბოდა. დიმოვი მოულოდნელობისაგან ისე გაოცდა, რომ ერთბაშად რეაგირება ვერ მოახერხა. უცნობმა გამოგლიჯა მანქანის კარი. დიმოვმა ისევ დაუწყო სროლა. ძრავა აგრიალდა და მანქანა ადგილს მოსწყდა. დიმოვი განაგრძობდა სროლას, მაგრამ მანქანა გაუჩინარდა.

სიჩუმემ დაისადგურა. მხოლოდ ვარსკვლავები ციმციმებდნენ ისეკ ისე გულგრილად.

დიმოვმა მიმოიხედა. მოტოციკლეტი ათიოდე მეტრზე ეგ-

დო. ძრავა ჩამქრალიყო, ფარი არ ენთო. ხელის ტკივილმა არ გაუარა. დიმოვმა წარმოიდგინა, როგორ მოხდა ყველაფერი. მუხრუჭს რომ დააჭირა, ის უნაგირიდან გადავარდა. მოტოციკლმა ცოტა კიდევ გაიარა და გადაბრუნდა. ძრავა შესაძლოა არცაა დაზიანებული, მაგრამ დიმოვს ესმოდა, რომ ცალი ხელით ვერ წაიყვანდა. მაინც საოცარია — როგორ ააცილა? იგი ყოველთვის აბვედრებდა მიზანში. ახლა კი — თითქოს ავ სულს ესროდა.

თავისდა გასაოცრად დიმოვი საკმაოდ ადვილად ავიდა მიწაყრილზე. გზატკეცილი კვლავინდებურად უკაცრიელი იყო, მთვარე მკრთალად ანათებდა მივარდნილ ადგილს. აქ რაიმე თანამგზავრი ტრანსპორტის ლოდინი უაზრობა იყო, და ის სწრაფად წავიდა ქალაქისაკენ. გონება გამალებით უმუშავებდა, ყოველდღიურად სათუთად შეკრებილი მასალა ახლა, დათვლილ წუთებში, გაერთიანდა და მწყობრ სისტემად ჩამოყალიბდა. მან უკვე ყველაფერი იცოდა და ამაში დარწმუნებული იყო. მალე ლოგიკური წყობა დამთავრდა და მხოლოდ გასაღებიღა იყო გადასაცემი პატრონისათვის.

და მაინც დიმოვს ბედმა გაუღიმა. ერთი კილომეტრიც არ ჰქონდა გავლილი, სატვირთო ავტომობილი რომ წამოეწია. დიმოვი ისე ჯიუტად იდგა შუა გზატკეცილზე, რომ მძღოლმა მაშინვე გააჩერა მანქანა. შესაძლოა, მისი ყურადღება დაკაწრულ სახიანი და დახეულ ტანსაცმლიანი კაცის უჩვეულო შესახედაობამ მიიპყრო. მძღოლმა ცნობისმოყვარეობით შეხედა დიმოვს, შემდეგ სავარძელზე რაღაც გასწია და მგზავრს ადგილი გაუნთავისუფლა. ბოლოს, როდესაც სატვირთო მანქანა დაიძრა, მძღოლი აგდებულად შეეკითხა:

— რა მოგვიდა, ძმობილო? ვინმე გაგიმასპინძლდა?

— ავარიაში მოვხვედი, — უპასუხა დიმოვმა.

— როგორ?

— ვილაცის „მოსკვიჩი“ დაეხმარა ჩემს მოტოციკლეტს გზიდან გადავარდნაში.

— „მოსკვიჩის“ შოფრები თავხედები არიან! — უთხრა მძღოლმა. — ნომერი მაინც თუ დაიმახსოვრე?

— არა, — გულწრფელად უპასუხა დიმოვმა.

მალე ისინი სრულიად უკაცრიელ ქალაქში შევიდნენ.

— ყური მიგდე, რაკი ჩამსვი, ბარემ მილიციის განყოფილებაში მიმიყვანე.

— კარგი, ძმაო! მაგრამ საეჭვოა, რომ დაგეხმარონ. იქ მარტო წამგლეჯები არიან, გინდა არ გინდა ჯარიმა უნდა გადაიხადო.

მძღოლმა დიმოვი განყოფილებაში მიიყვანა და კარის გაღებაშიც კი თავაზიანად დაეხმარა. ხოლო როდესაც პოსტზე მდგარი მილიციელი მიესალმა, გაოცებით შეხედა მას.

— პარგოვი თავისთანაა? — შეეკითხა დიმოვი.

— დიახ.

პარგოვი დიმოვს ელოდა. ის რომ დაინახა, კინაღამ სკამზე არ შეხტა.

— რა მოხდა? — წამოიძახა მან.

— პატარა ავარია! — ჩაიცინა დიმოვმა. — ძალზე სასიამოვნო, ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. რა აჩვენა ექსპერტიზამ?

— განსაკუთრებული არაფერი. ხოლო რაც შეეხება რანგელოვს...

— ამას უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს, — შეაწყვეტინა მას დიმოვმა. — ახლა მე ყველაფერი ვიცი.

— ყველაფერი? — უნდობლად შეეკითხა პარგოვი.

— თითქმის ყველაფერი! საჭიროა ზოგიერთი წერილმანის დამატება.

პარგოვი კვლავ უნდობლად უყურებდა დიმოვს.

— ხელში მათ ხომ არ ჩაუვარდი?

— მგონი ასე იყო! — გაიცინა დიმოვმა.—მძღოლი აქაა?

— დიახ.

— კარგია! თორემ მარჯვენა ხელი ნატკენი მაქვს.

თურმე პარგოვს რაღაც-რაღაცეები გაეგებოდა მედიცინაში. ის დაძაბული სახით ფრთხილად და ძალიან დიდხანს უსინჯავდა მტკივან ხელს.

— მოტეხილი არაა, ამოვარდნილია. ძალიან გტკივა?

— ძალიან.

— ნოვოკაინის ბლოკადას გაგიკეთებ, — შესთავაზა პარგოვმა. — გვაქვს აფთიაქში.

ათი წუთის შემდეგ „გაზიკი“ მათ ვოინიკოვოსაკენ მიაქ-

როლებდა. დიმოვმა დაწვრილებით მოუთხრო პარგოვს ღამის თავგადასავალი. მაგრამ თავის დასკვნებს ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავდა.

— მაშასადამე, ამჯერად ნესტოროვი არაა! — სინანულის კილოთი თქვა პარგოვმა, — ბოლოს და ბოლოს მასაც აქვს ნამდვილი ალიბი.

— მას ყოველთვის ჰქონდა ნამდვილი ალიბი! — სერიოზულად დაასკვნა დიმოვმა. — ნუ ირჯები, ვერ გაიგებ. საქმე ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე ჩვენ გვეგონა.

— საშიში? — შეეკითხა პარგოვი. — ახლა საით მივდიგართ? მკვლელის დასაპატიმრებლად?

— არა, ამას სხვები გააკეთებენ. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ ცნობებს შევკრებთ.

— შენ ხომ იცი, როგორ მიყვარს ეს საზიზღარი სიტყვა! — მოღუშულად წარმოთქვა პარგოვმა. — უკვე გული მერევა ცნობებისაგან!

— როგორ ცდები! — თავი გაიქნია დიმოვმა. — ჩვენს მუშაობაში ცნობები ყველაფერია. დანარჩენს მოსწავლეებიც კი გააკეთებენ.

მალე ისინი შევიდნენ ვოინიკოვოში. გვიანი იყო და ქალაქს მშვიდად ეძინა. ისინი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის სახლის წინ გაჩერდნენ. მასაც ღრმა ძილით ეძინა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. უნდა გაეღვიძებინათ.

— ახლავე გაემგზავრე გულეშში, — უთხრა დიმოვმა პარგოვს. — შენ და პირვანი მიდით ნესტოროვის სახლში პასპორტისათვის. მე კი მაშინვე გამოშიგზავნეთ მანქანა.

— გასაგებია! — თავი დაუქნია პარგოვმა, თუმცა სულაც არ იყო მისთვის გასაგები, რატომ უნდა ეძებნათ ღამით იანკო ნესტოროვის პასპორტი.

დიმოვმა სოფლსაბჭოს თავმჯდომარესთან თხუთმეტი წუთი დაჰყო. შემდეგ ისინი ერთად გაუყვნენ სოფლის ბნელ ქუჩებს. ლამაზი ორსართულიანი სახლი, რომლის წინაც ისინი გაჩერდნენ, წყვდიადში იყო ჩაფლული. მათ ჭიშკარი გააღეს, სადღაც ეზოს სიღრმეში ხმამაღლა და გააფთრებით აყეფდა ძაღლი.

ისევ კარებზე კაკუნი, ნამძინარევი ხმები, მოკლე საუბარი. დიმოვს გადასცეს ორი ფოტოსურათი: მან ისინი მაშინვე პორტფელში ჩადო.

— არ ვიცი აქვს თუ არა აზრი ბაი სპირიდონის შეწუხებას! — თქვა დიმოვმა, როდესაც ისინი სოფლის საბჭოსაკენ მიდიოდნენ, — დარწმუნებული ვარ, რომ არ ღირს...

— აქვე ცხოვრობს, გზადაა, — უთხრა თავმჯდომარემ. — გამოძინებულიც იქნება, ქათმებთან ერთად იძინებს.

კიბეზე რომ ადიოდნენ, ზემოთ ნათურა აინთო. ეტყობა სპირიდონი ელოდა მათ; გასაღები გადატრიალდა და კარი გაიღო.

— მე თქვენ ფანჯრიდან დაგინახეთ, — უთხრა მან. — რა მოხდა?

— ბაი სპირიდონ დღეს თქვენ ტელეფონით დამირეკეთ?

ბაი სპირიდონმა, ტილოს გრძელი შარვალი აიწია.

— მე?.. რისთვის უნდა დამერეკა? რაღაც შეცდომაა.

— ვიღაცამ მითხრა, სასწრაფოდ შენთან ჩამოვსულიყავი.

— ყოვლად შეუძლებელია! — თავი გააქნია ბაი სპირიდონმა. — შენ კარგი კაცი ხარ, მაგრამ რატომ უნდა შეგაწუხო...

— როდის მოხვედი სახლში?

— დაახლოებით ექვსი საათისათვის.

— და ამის შემდეგ არსად გასულხარ?

— არსად. ჯერ რვა საათამდე შვილიშვილთან ერთად ამოცანებს ვხსნიდი. შემდეგ ტელევიზორს ვუყურებდი.

— რას აჩვენებდნენ?

— ბალეტს პოლონეთიდან. არ მომეწონა... ჩვენი რუჩენიცა უკეთესია, — მან გაიცინა და ისევ აიწია შარვალი.

დიმოვმა საჭიროდ აღარ ჩათვალა მეტი შეკითხვები. ბაი სპირიდონი არ შეიძლებოდა ბანდის წევრი ყოფილიყო. ეს ეწინააღმდეგებოდა კეთილგონიერებას.

— კეთილი, ბაი სპირიდონ, გვაპატიე შეწუხებისათვის.

სოფლსაბჭოს წინ დიმოვს უკვე ელოდებოდა მანქანა. ის თავმჯდომარეს დაემშვიდობა და გულეშში წავიდა. მანქანა ნესტოროვის სახლის წინ გაჩერდა.

ყველა ფანჯარა განათებული იყო. ერთ-ერთ მათგანში ნაცნობი ფიგურა მოჩანდა.

ძრავის ხმაზე პარგოვი გამოვიდა შესახვედრად.

— იპოვეთ პასპორტი?

— არა...

— ასეც უნდა ყოფილიყო! — უთხრა დიმოვმა.

— ერთი რამ არ მესმის, რატომ არ შეეკითხეთ ნესტოროვს, — გაოცებას ვერ ფარავდა პარგოვი. — მან ყველაზე კარგად იცის, სადაა მისი პასპორტი.

— აზრი არა აქვს, — ჩაიცინა დიმოვმა. — ვიცი რასაც იტყვის. ვინაა ზემოთ?

— პირვანი და ნასკო...

— ძალიან კარგი! — თავი დაიქნია დიმოვმა. — მე და შენ პერნიკში წავალთ. მათ აქ კიდევ აქვთ საქმე. კუშევის სახლი დალუქულია?

— დიახ.

— კეთილი, მოხსნან ლუქი და ხელახლა გაჩხრიკონ ყველაფერი. იქ სამალავი უნდა იყოს.

— რა სამალავი? — უნდობლად შეეკითხა პარგოვი.

— სამალავი, რომელშიც ადამიანები იმალებიან. დარწმუნებული არა ვარ, რომ მას იპოვნიან, მაგრამ ის ალბათ აქაა. იმიტომ, რომ არა მგონია ვინმე სამზარეულოში დამალულიყო. ეს მეტისმეტად საშიში იქნებოდა.

— რას ფიქრობ, ვინ იმალებოდა იქ?

— მერე გაიგებ... ახლა კი გაეცი განკარგულება და წავიდეთ.

ისინი მანქანაში ჩასხდნენ და დიდი სიჩქარით გასწიეს პერნიკისაკენ. მათ ყველაზე ძნელი და საშიში საქმე ელოდათ.

— ყველა ცნობა მიიღე? — შეეკითხა პარგოვი.

— დიახ, ყველა.

— როგორც ჩანს, ჩვენ დამნაშავის დასაპატიმრებლად მივდივართ?

— ჩვენ ორნი ალბათ ამას ვერ შევძლებთ, — უპასუხა დიმოვმა. — უნდა დაგვეხმარონ.

— თუკი შენ მას მოარტყი...

დიმოვმა თავი გაიქნია.

— სწორედ ეს მაოცებს! როგორ ავაცილე? ახლოს იყო, ვხედავდი მშვენივრად, კარგადაც დავუმიზნე. ხო არ ჰქონდა სათბილობლის ქვეშ რაიმე ჯავშანი?

— მე ეს სულაც არ მიკვირს, — თქვა პარგოვმა. — როგორ მოახვედრებდი, როდესაც ნაღრძობი ხელით ესროდი.

— მარცხენა ხელით ვესროდი, — უთხრა დიმოვმა.

და შუბლზე შემოირტყა ხელი.

— პარგოვ! — წამოიძახა მან. — ჰო, რასაკვირველია! ყველაფერი ნათელია. მარცხენა ხელით ვესროდი და მარჯვენა თვალით ვუმიზნებდი... როგორღა მოვარტყამდი?

ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა:

— არაფერია, ასე უკეთესიცაა! ჩვენ ის ცოცხალი გვჭირდება. აი ნახავ მას ბევრი ექნება სათქმელი.

საოლქო სამმართველოში მხოლოდ მორიგე ოფიცერი ნახეს. დიმოვმა სთხოვა მაიორი ჟეჩევი გაეღვიძებინა. ჟეჩევი მოვიდა და ჩუმად, როგორც ჩანს, ერთგვარი ეჭვით მოუსმინა დიმოვს.

— თუ ყველაფერი ნამდვილად ასეა, უნდა აცნობოთ სახელმწიფო უშიშროებას, — უთხრა მან ბოლოს. — ახლავე დავუკავშირდები მათ.

— ეს ხელს არ შეგვიშლის ცნობების შეკრებაში...

— რა თქმა უნდა, არა,—ცოტა ყოყმანის შემდეგ თქვა მაიორმა.—მაგრამ ძალიან ფრთხილად. ჩიტი რომ დავაფრთხოთ, პასუხს ჩვენ ვაგებთ.

— ეს უკვე შენზეა დამოკიდებული! — უთხრა დიმოვმა. — აქ შენ იცნობ ხალხს.

ისევ უნდა დალოდებოდნენ შეკითხვების შედეგებს და სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლის მოსვლას. ამასობაში მაიორმა ყავა მოადუღა.

— ხელი გტკივა? — შეეკითხა პარგოვი.

— ისევ გამახსენა თავი.

— მოდი ექიმ სტანკოვს დავუძახოთ.

— იქნებ სხვა ვინმეს? — წაიბურტყუნა დიმოვმა. — მერიდება მისი გაღვიძება.

— გაღვიძება არ უნდა, ის ახლა ბელოტს თამაშობს,—დარწმუნებით თქვა ჟეჩევმა.

და ყურმილი აიღო. თამაშობდა თუ არა ექიმი ბანქოს, ვერ გაიგეს, მაგრამ მას არ ეძინა და დაპირდა ახლავე მოვალ და ნოეოკაინსაც მოვიტანო. ცოტა ხნის შემდეგ ავტოინსპექციიდან აცნობეს, რომ დღისით, სადილის შემდეგ ქალაქში მოიპარეს ლურჯი ფერის „მოსკვიჩი", მოდელი 407. ფერის შესახებ დიმოვს არაფრის თქმა არ შეეძლო, მაგრამ მოდელში დარწმუნებული იყო. აქამდე მოპარული „მოსკვიჩი" ვერ ეპოვათ. ეს რომ აცნობეს, სახელმწიფო უშიშროების თანამშრომელიც მოვიდა, დაბალი, ხანშიშესული, პოდპოლკოვნიკი. რაპორტი რომ მოისმინა, სახე გაუნათდა.

— ყველაფერი სწორია! ეს ბრწყინვალე ოპერაცია იქნება.

და ტელეფონთან მივიდა. მის მიერ გაცემული ბრძანებების მიხედვით დიმოვი მიხვდა, რომ მან თითქმის ყველას მობილიზება გაუკეთა. ამან დიმოვი შეაშინა. ერთიც ვნახოთ და შეცდა? თუ მისი ჰიპოთეზა პასპორტის შესახებ სწორი არ გამოდგა? ბოლოს და ბოლოს როგორ შეიძლება ივარაუდო, რომ დამნაშავე სწორედ პერნიკის სასტუმროში ზის? „მოსკვიჩით" სადაც უნდოდა იქ წავიდოდა. მაგრამ დიმოვს ახლა ლოდინის მეტი არაფერი დარჩენოდა.

მალე ექიმი სტანკოვი მოვიდა, გადაკრულში იყო, მაგრამ, როგორც კი დიმოვი დაინახა, მაშინვე გამოფხიზლდა.

— ხომ გითხარი, ახლა შენი რიგია-მეთქი, — მიმართა მან დიმოვს, — კიდევ კარგად გადარჩენილხარ.

როგორც კი ხელის ტკივილმა გაუარა, დიმოვმა მაშინვე უკეთ იგრძნო თავი. ბოლოს მოვიდა პარგოვი, სახე უბრწყინავდა.

— იქ! — წარმოთქვა მან საზეიმოდ.—სასტუმრო „ვიტოშაში" — ის სკამზე დაეშვა და შვებით ამოისუნთქა, — სასტუმროს ალყა შემოარტყეს, მე კი აქეთ გამოვიქეცი. იქ ჩანაწერი ვნახე... მორიგე ჩვენი კაცი აღმოჩნდა, მაგრამ მაინც მოგონილი სახელი დავასახელეთ. თვითონ მოვძებნეთ წიგნში. ჩაწერილია იანკო ნესტოროვის სახელი — ოცდამეოთხე ნომერი მეორე სართულზე. ჩვენ ვერ გავბედეთ შეკითხვა, მაგრამ ვფიქრობ, ეს ოთახი ერთკაციანია.

— რატომ გგონია, რომ ის სასტუმროშია? — შეეკითხა დიმოვი.

— გასაღები ქვემოთ არ იყო.

— ჰო, ეს კარგია! — ჩაერია პოდპოლკოვნიკი. — ფრთხილად გიმოქმედიათ. დამნაშავენი გამოცდილი ხალხია, მათი გაცურება ძნელია!

— ჰო, გამოცდილებით კი გამოცდილები არიან, მაგრამ მახეში ძვრებიან! — ზიზღით წარმოთქვა პარგოვმა.

— სწორედ ეს მოწმობს მათს თავხედობასა და ჭკუას, — თქვა პოდპოლკოვნიკმა.—ის ფიქრობდა, რომ ყველგან დავუწყებდით ძებნას, მაგრამ აქვე ცხვირწინ თუ მოვძებნიდით, არ ეგონა.

მან შეკრებილთ გადახედა და განკარგულება გასცა.

— ახლა კი შევუდგეთ მუშაობას!

ოპერაციას ორი საათი დასჭირდა. ყველაზე ძნელი იყო სასტუმროს მთლიანი ბლოკირება, რათა დამნაშავეს გაქცევის უმცირესი შესაძლებლობაც არ მისცემოდა. ამასობაში შეკრიბეს ცნობები. კაცი, რომელიც იანკო ნესტოროვად ასაღებდა თავს, მოვიდა თერთმეტის ნახევარზე, აიღო გასაღები და ავიდა ნომერში. ეს იყო სადად ჩაცმული, შედარებით ახალგაზრდა კაცი. არა, მას არ ეცვა ღია ფერის სათბილობელი, ამაში ადმინისტრატორი დარწმუნებულია. კაცი წყნარი და თავაზიანი ჩანდა, ბარვი არ ჰქონდა. კიბეზე ნელა ავიდა. ნომრის ფანჯრები აგურის კედლით შემოლობილ უკანა პატარა ეზოში გადიოდა.

სანამ ცნობებს შეკრებდნენ, დიმოვი და პარგოვი თავიანთ პოსტზე დადგნენ ბნელ სადარბაზოში. პარგოვს ახელებდა უმოქმედობა, ის წარამარა საათზე იხედებოდა.

— უნდა ვიჯდეთ გულხელდაკრეფილი? — ნერვულად ჰკითხა მან. — და ვუყუროთ, როგორც კინოში?

— რა გაწუხებს? — გაიღიმა დიმოვმა. — ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ.

ოპერაცია ოთხის ხუთ წუთზე დაიწყო. ერთ-ერთი თანამშრომელი ავიდა მეორე სართულზე და ოცდამეოთხე ნომერში დააკაკუნა. მამაკაცის ხმამ იკითხა:

— რა გნებავთ?

— იმხანაგო ნესტოროვ, ტელეფონთან გთხოვენ.

— ვინ?

— ამბობს, ბიძაშვილი ვარო...

რასაკვირველია, არავინ იმედოვნებდა, რომ ასეთი უბრალო ტრიუკი გაამართლებდა, მაგრამ მაინც...

— კარგი, ახლავე, — წყნარად უპასუხა კაცმა.

თანამშრომელი წავიდა. ცრუ ნესტოროვს სინათლე არ აუნთია. მან სწრაფად ჩაიცვა და პისტოლეტი პიჯაკის ჯიბეში ჩაიდო. შემდეგ უხმაუროდ ფანჯარა გამოაღო და მიმოიხედა. პატარა ეზო — სიბნელეში უკაცრიელი ჩანდა. კაცი ფანჯარაში გაძვრა. მიწამდე სამი მეტრი იყო, ის რაფაზე ჩამოეკიდა, შემდეგ ჩახტა. და მაინც დაეცა. ფეხზე რომ წამოხტა, უმალვე პისტოლეტი ამოიღო.

დიმოვმა და პარგოვმა სროლის ხმები გაიგონეს. პარგოვს ქუჩაში გავარდნა უნდოდა, მაგრამ დიმოვმა შეაჩერა.

— სისულელეს ნუ აკეთებ! — გაბრაზებით უთხრა მან. — ნუთუ არ გესმის, რომ ჩვენ ადგილზე უნდა ვიყოთ, ვინმე ჩვენიანს შეეშლები და დაგჭრის.

სროლა შეწყდა. ქალაქი ჩაბნელებული და გარინდებული იყო, მხოლოდ სასტუმროს რამდენიმე ფანჯრიდან გამოდიოდა სინათლე. ცოტა ხნის შემდეგ ხელებშებორკილი პატიმარი მოიყვანეს. ის ახალგაზრდა და ძლიერი, ოცდათხუთმეტიოდე წლის კაცი იყო. გამხდარი, ღაწვმაღალი და საშინლად ფერმკრთალი სახე ჰქონდა. დიმოვმა მასში მაშინვე შეიცნო კაცი, რომელიც გზატკეცილზე დაესხა თავს. მას მართლაც არ ეცვა ღია ფერის სათბილობელი. დაპატიმრებულმა ისე ჩაუარა დიმოვსა და პარგოვს, რომ არც შეუხედავს მათთვის. თუმცა რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას — უკვე გვიან იყო!

— აი თურმე ვინ ყოფილა მკვლელი... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა პარგოვმა.

— როგორ თუ მკვლელი? რასაკვირველია, არა? — შეეპასუხა დიმოვი.

პარგოვმა გაოცებით შეხედა მას.

— შენ რა ხუმრობ? — წყენით შეეკითხა ის. — მაშინ რაღა საჭირო იყო ოპერაციის ჩატარება?

— ვფიქრობდი, რომ შენ მიხვდი! — გულგატეხილად წარმოთქვა დიმოვმა.

ამასობაში მათთან პოდპოლკოვნიკი მივიდა.

— მან სამჯერ ისროლა, მაგრამ მადლობა ღმერთს, ვერავინ მოარტყა.

— ეს მართლაც გასაკვირია, — წაიბურტყუნა დიმოვმა. — მერე როგორი მომზადებულები არიან.

მათ მდუმარედ გადადგეს რამდენიმე ნაბიჯი.

— მე ვფიქრობ, ახლავე სახლებში უნდა წავიდეთ, ამხ.ნაგო პოდპოლკოვნიკო, — წამოაყენა წინადადება დიმოვმა. — უკეთესია ხვალ ვილაპარაკოთ, გამოძინებულებმა.

— არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, — მხარი დაუჭირა პოდპოლკოვნიკმა. — რომელი საათისათვის გელოდოთ?

— თუნდაც ცხრაზე.

ისინი კუთხეში დაშორდნენ ერთმანეთს. დიმოვი და პარგოვი თავისი მანქანისაკენ გაემართნენ. ახლაღა მიხვდნენ, რომ ღამე არც ისეთი თბილი იყო, როგორც ეგონათ. გრილი ნიავი უბერავდა ხეობიდან და ქვაფენილზე ჩამოცვენილ გამხმარ ფოთლებს მოაფრიალებდა. შეიძლება ხვალ ამინდი გაფუჭდეს? დიახ, შეიძლება. დასავლეთისაკენ გადახრილი სუფთა სავეე მთვარის ახლოს მოჩანდა ფართო ნათელი წრე, რომელიც ოდნავ შესამჩნევად იყო შეფერადებული ცისარტყელას ნაზი ფერებით.

15

ჩვენ სოდიანი წყლით კარგად გაზავებულ თეთრ ვერმუტს ვსვამდით ჩემს კაბინეტში. კაპიტანი დიმოვი კუთხეში იჯდა, ის ფიქრს მისცემოდა, ხოლო მზერა ჩემი იაფფასიანი მწვანე ბლოკნოტისთვის მოეპყრო. ალბათ ფიქრობდა, ნამდვილ მწერალს რვეული გველის პერანგის ყდაში მაინც უნდა ჰქონდეს ჩასმული.

— სიმართლე გითხრათ, ვერც მე გავიგე, ვინაა მკვლელი.

— მართლა? — განსაკუთრებული გაკვირვების გარეშე შეეკითხა დიმოვი.

მან კეთილად გაიღიმა და მზერა ჩემი ცხვირის წვერზე გადმოიტანა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მისი ამგვარი გამოხედვა უხერხულ მდგომარეობაში მაგდებდა. უფრო ადრე დავრწმუნდი, რომ ჩემი ფეხსაცმელები გასაწმენდი იყო, ხოლო ჩემს

ზურგს უკან ჩამოკიდებული სურათი უკეთესი იქნებოდა სამზარეულოში ჩამომეკიდა.

— მე თქვენ ამოცანის ყველა პირობა აგიხსენით! — უთხრა დიმოვმა. — რაც შეიძლებოდა პატიოსნად, არაფერი დამიმალავს და არც თქვენი მოტყუება მიცდია, როგორც ამას ძალიან ხშირად ზოგიერთი ჩვენი კოლეგები სჩადიან ხოლმე.

— არა, ზოგიერთი რამ დამიმალეთ! — შეეპასუხე მე. — ის, რაზედაც საუბარი გქონდათ უკანასკნელ ღამეს, თავმჯდომარესთან ვოინიკოვოში.

— ჰო, ნამდვილად! — დიმოვმა კიდევ უფრო კეთილად გაიღიმა.—მაგრამ მაშინ ეს უკვე იქნება ამოცანა არა თქვენთვის, არამედ თქვენი შვილისათვის.

— საქმე იმაშია, — ვუთხარი მე, — რომ არც ისე ძლიერი ვარ მათემატიკაში. სხვა ადამიანებისაგან განსხვავებით მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე არც ერთი ამოცანა არ ამომიხსნია.

— მაგრამ წარმოსახვა რისთვისაა?

— ამ რამდენიმე საათის განმავლობაში ისედაც ძალზე დაძაბულად ვფიქრობდი.

— აბა მაშინ სხვა რა გზა გვაქვს,—დავიწყოთ თავიდან,— შემომთავაზა დიმოვმა.

— ერთი სირჩა კონიაკი ხომ არ დაგისხათ?

— არა, არა! — ცივ უარზე დადგა ის. — სამუშაო მაქვს.

— არ დაგაძალებ, — ვუთხარი და ჩემთვის „ბლისკი“ დავისხი.

— ახლა კი ძალზე მცირე კომენტარებით გადმოგცემ, — დაიწყო დიმოვმა, — მხოლოდ გამოძიების მიერ დადგენილ ფაქტებს. მართლაც, მთელი ამ ისტორიის ცენტრში იმყოფებოდა კირილ კუშევი, თუმცა მასზე ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცოდით. მკვლრები ვერ ალაპარაკდებიან, ხოლო ცოცხლებს, თავის თანაშემწეებსაც კი, ის არ ენდობოდა. იმ დროს კუშევმა შექმნა ადგილობრივი სამიწათმოქმედო კავშირი და პირადად იყო დაკავშირებული ოპოზიციურ ცენტრთან. მოგვიანებით გასცა ბრძანება ტერორისტული მოქმედების დასაწყებად. ჩვენ არ შეგვიძლია დავადგინოთ, ჰქონდა თუ არა მას უშუალო კონტაქტები უცხოეთის დაზვერვასთან, მაგრამ ამას არ გამოვრიცხავ. შემდეგ შეიქმნა ტერორისტული სამეული, — იანკო ნეს-

ტოროვი, მისი ბიძაშვილი ვოინიკოვოდან დობრი ნესტოროვი და სლავჩო კინევი.

— კინევიც?

— დიახ, ისიც, რასაკვირველია. იმ დროს დობრი ნესტოროვი სწავლობდა პერნიკში და იშვიათად ჩამოდიოდა სოფელში. კუშევმა მიაწოდა მათ ახალგაზრდულ ბანაკზე ტერორისტული თავდასხმის იდეა. ბანაკი მდებარეობდა გულეშიდან ათ კილომეტრზე საზღვრის მიმართულებით. იანკოს ჰქონდა პისტოლეტი და ჭურვი, რომელიც სიმამრს მოპარა. დანარჩენი ორი უიარაღოდ იყო, მაგრამ ღამით დათქმულ ადგილზე სლავჩო კინევი არ მივიდა. რატომ — ჩვენ მხოლოდ მარტოდ შეგვიძლია. იქნებ, შეშინდა, ანდა იქნებ უკვე ჩამოსცილდა თანამოაზრეებს. მაშინ იანკომ და დობრიმ გადაწყვიტეს თავდასხმა მარტო მოეხდინათ. ისინი ბანაკთან მიიპარნენ. იანკომ ყარაული ჩვეულებრივი ხის მარგილით მოკლა. აქ ექიმი სტანკოვი მართალი აღმოჩნდა. ბანაკში რომ შეაღწია, იანკომ, როგორც სამხედრო საქმეში უფრო გამოცდილმა, ისროლა ყუმბარა და მონაწილეობა მიიღო ამტყდარ სროლაში. დობრი მსუბუქად დაიჭრა. დაჭრილი პერნიკში ვეღარ დაბრუნდებოდა — ამ დაჭრას ყველა ბანაკზე თავდასხმას დაუკავშირებდა. დობრი საზღვრისაკენ წავიდა და მოახერხა მისი გადალახვა, თუმცა საზღვარზე განგაში იყო გამოცხადებული. დობრის გაქრობა ორი თვის შემდეგღა დაადგინეს, მაგრამ ეს ამბავი არავის დაუკავშირებია ბანაკზე თავდასხმასთან. ეს ჩვეულებრივ ბავშვურ გამოხტომად მიიჩნიეს...

— სად წავიდა მერე? — ვკითხე მე.

— დობრის შესახებ მოგვიანებით გეტყვი. იანკო გულეშში დაბრუნდა. ახლა სლავჩოსთან მას აკავშირებდა არა მარტო ძველი მეგობრობა, არამედ საერთო საიდუმლოებაც. რასაკვირველია, სლავჩო უშუალოდ არ მონაწილეობდა თავდასხმაში, მაგრამ იცოდა, რომ, თუ კი ადრე-თუ გვიან ტერორისტებს აღმოაჩენენ, მას დასჭირდება დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებები. ძალიან ძნელია, სლავჩოს შემდგომი საქციელის გაგება — ბუნებრივი იყო ის, თუ კარგად შენიღბულ ტყუილს წარმოადგენდა. მე პირველის უფრო მჯერა, მის სასარგებლოდ ბევრი რამ მეტყველებს, მაგრამ იანკოს საქმე სხვაგვარად იყო. მან უკვე ჩაიდინა უმძიმესი დანაშაული, დახოცა უდანაშაულო

ადამიანები. ამავე დროს ოჯახური ცხოვრებაც ენგრეოდა. სიმამრმა აღმოაჩინა, ჭურვი აკლდა. არ ვიცით, ჰქონდა თუ არა ეჭვი, რომ სწორედ ის ჭურვი აფეთქდა ბანაკში, მაგრამ ასეა თუ ისე, ის იანკოს ნიადაგ გაცემით ემუქრებოდა. და გააკეთებდა კიდეც ამას ქალიშვილის ცხოვრების აწეწვის შიში რომ არ ჰქონოდა. ამასობაში იანკო გაეცნო სხვა ქალს და მასთან დაიჭირა კავშირი. მან გადაწყვიტა ერთი ხელის დაკვრით მოეცილებინა ცოლიც და სიმამრიც...

— ეს, როგორ?! — წამოვიძახე მე.

— არც მე მჯეროდა! — მითხრა დიმოვმა. — მართლაც დაუჯერებელი ამბავია! მაგრამ თვითონ აღიარა ყველაფერი.

— კი მაგრამ ის ხომ სალუდეში იყო?

— დიახ, იყო... ალიბი რომ ჰქონოდა. მან უგრძნობლად დაათრო მეგობრები. შემდეგ ისარგებლა იმით, რომ სალუდეს მეპატრონე სარდაფში ჩავიდა, ვითომ საპირფარეშოში გაიქცა, ისროლა ყუმბარა და დაბრუნდა. ყველანი ისეთი მთვრალები იყვნენ, რომ საერთოდ ვერ შენიშნეს მისი წასვლა. მეორე დღეს კი ვერავინ ვერაფერი ვერ გაიხსენა. რომც გაეხსენებინათ, ვგონებ, არ გასცემდნენ ფავიანთ ახლო მეგობარს... ძიება ძალიან დაუდევრად წარმოებდა, აზრადაც არავის მოსვლია, რომ მკვლელი შეიძლებოდა იანკო ყოფილიყო. ბოგვიანებით იანკომ საყვარელი შეირთო ცოლად, აიშენა ახალი სახლი, მის ცხოვრებაში მყუდროებამ დაისადგურა. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ მისი ბიძაშვილი დობრი ნესტოროვი საზღვარგარეთიდან სამშობლოში დაბრუნდებოდა. მე არ მოგიყვები დობრი ნესტოროვის ისტორიას, ის ძალიან გრძელია. ის ბულგარეთში ჩამოვიდა მსუბუქი ავტომანქანით და დასავლეთ გერმანიის მოქალაქის პასპორტით. ათ წელზე მეტი გავიდა და, რა თქმა უნდა, ძალზე გამოცვლილიყო. მისთვის ცხვირის პატარა პლასტიკური ოპერაციაც გაეკეთებინათ. ბულგარეთში ყალბი პასპორტი და მსუბუქი მანქანა მან გადასცა კაცს, რომელიც ბულგარეთიდან უნდა გაქცეულიყო. ამ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ თვითონ დობრის ბედმა უმუხთლა. არ აღმოჩნდა მისი რეზიდენტი — მას შეეშინდა და გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა. უკავშიროდ დარჩენილმა დობრიმ გადაწყვიტა თავისი ბიძაშვილი მოეძებნა და მასთან დამალულიყო, ვიდრე აგენტურასთან კავშირს დაამყარებდა. მან იანკოს პერნიკიდან დაურეკა როგორც კლიენტმა და შეხვედრა შედგა.

— მესმის! — წამოვიძახე მე. — აი სწორედ მაშინ დაინახა ისინი ევტიმ დიბევმა.

— მეორე დღეს, — ჩაიცინა დიმოვმა, — ძმებმა გადაწყვიტეს, დობრი კუშევთან გაჩერებულიყო. მაგრამ ერთი დღე მაინც იყო საჭირო იმის გასაგებად დათანხმებოდა თუ არა კუშევი. კუშევი მაშინვე დათანხმდა, ისიც კი უთხრა საიდუმლო სამალავი მაქვსო. რატომ ააგო ის კუშევმა, მალავდა იქ კიდევ ვინმეს, ჩვენ არ ვიცით, — ის ხომ არავის არ ენდობოდა, იანკოსაც კი. მაგრამ ეს დამაჯერებლად მიმაჩნია. მე მგონია, კუშევის მტკიცე თანხმობა იმას მოწმობს, რომ მასწავლებელ ქალთან ურთიერთობებში გულწრფელი არ იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ დათანხმდებოდა ბეწვის ხიდზე დაეკიდებინა მთელი თავისი მომავალი. დობრი იანკოს ტანსაცმელში გამოწყობილი და მისივე მოტოციკლეტით გვიან უნდა მისულიყო კუშევთან. ძმები კიდევაც გავდნენ და კიდევაც არ გავდნენ ერთმანეთს—ვინ როგორი თვალით შეხედავდა. მათ გადაიცვეს და დაშორდნენ. თავისდა საუბედუროდ, სწორედ მაშინ დიბევმა დაინახა დობრი და ის იანკოდ მიიღო. მან გადაწყვიტა გაეჩერებინა ის და ეკითხა, როდის შეაკეთებდა ველოსიპედს. მართლაც გააჩერა ის და სულ სხვა კაცი შერჩა ხელში. მართალია ადრე იცნობდა დობრის, მაგრამ საეჭვოა ახალ რომ ეცნო: მაშინ შემდეგში აღარ მიენდობოდა იანკო ნესტოროვს.

— ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია! — ვუთხარი მე.

— მართლა? და აი ძმები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. დობრიმ იანკოს უამბო, რაც მოხდა. ორივეს თავსატეხი გაუჩნდა, იცნო თუ ვერა ევტიმ დიბევმა დობრი. მაშინ იანკომ გადაწყვიტა შეემოწმებინა. ის ბოლო მომენტში დაჯდა მატარებელზე, კოსერში ჩამოვიდა და ევტიმს აედევნა. იანკო ამტკიცებს, რომ თავიდან არ უნდოდა დიბევის მოკვლა, მხოლოდ იმის გაგება სურდა, რაიმე ეჭვი ხომ არ აიღო მან. მაგრამ უკაცრიელმა და მივარდნილმა ადგილმა შეაგულიანა მკელელობისათვის.

— სათბილობელი?

— დიახ, სწორია, შემთხვევით დამავიწყდა როგორი აებედითი როლი ითამაშა ამ ღია ფერის სათბილობელმა. სლავჩომ იმ დღეს ჩამოიტანა ის პერნიკში შესაღებად. მაგრამ იანკომ გამოართვა ის სლავჩოს, დობრისთვის კი არაფერი არ უთქვამს. კუშევის სამალავი ნესტიანი იყო და სათბილობელი გამოადგე-

ბოდა. იანკომ მარგილი ამოაძრო და სათბილობელში შეახვია, რომ არ დაენახათ. დანარჩენი ისე მოხდა, როგორც ჩვენ ვვარაუდობდით. იანკო ვერ ხსნის, რატომ მიაყენა დანით ჭრილობები. ამბობს — „გონება დამიბნელდაო“, ეს სისულელეა, ექიმი სტანკოვი მართალია. იანკო — მკვლელი და სადისტია — ეს სისხლში აქვს მას. დიბევი რომ მოკლა ისევ პერნიკში დაბრუნდა, მოტოციკლეტისათვის. შემდეგ სათბილობელი და სურსათი კუშევს გადასცა. როგორც ხედავ, ძარცვას ჰქონდა ადგილი — იანკომ თქვა სურსათი დობრისთვის მინდოდაო — ის საჭმლის ყიდვას აპირებდა მისთვის.

— წარმოდგენილი მაქვს, როგორ წვავდა კატლეტებს კუშევი,—ვთქვი მე.—ის არაფერში არ ჩამოუვარდებოდა სხვებს.

— ნამდვილად! — დაეთანხმა დიმოვი. — ამ სამეულმა შეიმუშავა მოქმედების გეგმა. მასში განსაკუთრებული როლი სლავჩოს ეკუთვნოდა, წვრილმანებში არ ვყოფ ცხვირს, მაგრამ ის, როგორც ძალაუფლებით აღჭურვილი პირი, უნდა დახმარებოდა მათ განსაკუთრებით რთული ოპერაციის განხორციელებაში. სლავჩოს დამუშავება კირილ კუშევმა იკისრა, და როგორც შიშობდნენ კედელს წააწყდნენ. როგორც იანკო ამტკიცებს, მიუხედავად კუშევის ყოველგვარი მუქარისა, სლავჩომ კატეგორიული უარი თქვა მათთან თანამშრომლობაზე.

ძველი იეზუიტი შეეცადა შანტაჟი მოეწყო სლავჩოსათვის, როგორც წარსულში ტერორისტული ჯგუფის მონაწილისათვის, მაგრამ სლავჩო მაინც არ დათანხმდა. და, როგორც ჩანს, გადაწყვიტა მოესპო საშიში მოწმე. იარაღი ჰქონდა — სწორედ ის პისტოლეტი, რომლითაც იანკომ ბანაკზე თავდასხმა მოახდინა. იანკომ შესანახად ის სლავჩოს მისცა, ფიქრობდა, ასე უფრო საიმედო იყო, გარდა ამისა, სლავჩომ არ იცოდა, რომ ახლა საქმეში გარეული იყო იანკო ნესტოროვი და არ ეშინოდა მისი. კუშევის მკვლელობა გარკვეულწილად შემთხვევით მოხდა. ალკოჰოლით და ჩხუბით აღგზნებული სლავჩო მიადგა კუშევის სახლს. განათებულ ფანჯარაში მან დაინახა თავისი მტერი. გათამამებულმა სლავჩომ დაიწყო სროლა. მეხუთე გასროლაზე პისტოლეტმა უმტყუნა. სლავჩო გაიქცა, შეეშინდა არავინ დამინახოსო. სროლის ხმაზე სამალავში მყოფი დობრიც გაიქცა. სწორედ ის დაინახა ჩვენმა თანაშემწემ, რომელიც მოპირდაპი-

რე. მწარეს ცხოვრობს. იანკოსა და დობრის ფიგურებს შორის იყო რაღაც საერთო, ასე ხშირადაა ძმებში. ჩვენმა თანაშემწემ იფიქრა, იანკო დავინახეო და ამან შეგვიყვანა შეცდომაში. დობრიმ მოახერხა გაქცევა და მინდორში თივის ზვინში დაიმალა. იქ მან მთელი ღამე და დღე გაატარა და მხოლოდ მეორე ღამეს სოფელში იანკოს სახლში შეიპარა.

— კი მაგრამ, სახლს არ უთვალთვალებდნენ?

— უთვალთვალებდნენ ხალხს და არა სახლს, ისიც დღისით, ასეა თუ ისე, იანკომ ბიძაშვილი თავისი სახელოსნოს უკანა ოთახში დამალა. იანკომ იცოდა, ვინ მოკლა კუშევი. მან ეს ეჭვი თავის მეგობარს გაუმხილა. ამ უკანასკნელმა მაშინვე დაუფიქრებლად აღიარა, რომ მკვლელობა ჩაიდინა და პისტოლეტი შესაკეთებლად მისცა. თავის მხრივ იანკომ სლავჩოს უამბო დობრის შესახებ და დახმარება სთხოვა. სამივეს საზღვრის გადალახვის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. ამისაკენ მათ ისიც უბიძგებდა, რომ ჩვენ უკვე ვიყავით მქსოველ ქალთან. სლავჩო ხაფანგში აღმოჩნდა. თუ ის შეგვატყობინებს, რომ სათბილობელი მისცა იანკოს, ჩვენ მას მაშინვე დავაპატიმრებთ. ჩვენი დაწოლით იანკო გასცემს კუშევის მკვლელს. არანაკლებ ეშინოდა ნესტოროვსაც. თუკი სლავჩო კინეკი იტყოდა ვის მისცა სათბილობელი, იანკო დამაჯერებლად ვერ ახსნიდა რა უყო მას. ისინი გაცხარებით თათბირობდნენ, მექანიკოსი ურჩევდა მეგობარს ერთი ხანობა საზღვარგარეთ გადამალულიყო. სლავჩო ყოყმანობდა, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის სთხოვა დაებრუნებინა პისტოლეტი. და იანკომ მაშინვე გადაწყვიტა, როგორ გადარჩენილიყო. მისთვის ძალიან იოლი იყო სლავჩოს ტყეში შეტყუება. მან უთხრა, რომ პისტოლეტი შეაკეთა, მაგრამ არ იცის როგორი გამოვიდა. შესთავაზა შეემოწმებინათ და შემდეგ საიმედო ადგილას დაემალათ, საიდანაც ყოველთვის შესძლებდნენ მის აღებას. რასაკვირველია, გაცილებით ძნელი იქნებოდა ალიბის შექმნა. მათ შემთხვევა დაეხმარა როდესაც შემსყიდველი რანგელოვი მოტოციკლეტით ეზოში გამოჩნდა, დობრიმ მაშინვე მოისაზრა, რა უნდა გაეკეთებინა. იანკო დაამალა და მოლაპარაკებას რემონტის თაობაზე დობრი აწარმოებდა. დანარჩენის გაკეთება იოლი საქმე იყო. მექანიკოსი სხვისი მოტოციკლეტით გავიდა, სადღაც ვოინიკოვოსა და კო-

სერს შორის ხიდქვეშ დობრის იანკო ელოდებოდა. მათ სწრაფად გადაიცვეს. იანკო შეხვედრის ადგილზე სლავჩოსთან ერთად გაემგზავრა. დანარჩენი ნათელია.

— მე არ მესმის, რაში დაჭირდათ შენზე თავდასხმა?

— ეს უკვე დობრის ინიციატივაა. მას ესმოდა, რომ დაპატიმრებულის პოზიციები არც ისეთი მტკიცეა. ერთიც ვნახოთ და რანგელოვთან დაპირისპირება მოგვესურვებინა? მართალია დაპირისპირებები მაშინ ხდება, როდესაც წარმოიშობა რაიმე წინააღმდეგობები, მაგრამ ისინი ეწყობა პიროვნების დასადგენადაც. შესაძლო გართულებაზე უკარნახებდა ის ფაქტი, რომ ჩვენ მაშინვე არ გავათავისუფლეთ იანკო. იანკოსთან საუბრებიდან დობრიმ იცოდა, რომ მთავარი საშიშროება ჩემგან ელოდა და მაშინ გადაწყვიტა მოვეკალი. ამ შემთხვევაში დარტყმა ორმაგი იქნებოდა. ჯერ ერთი დობრი თავიდან მოიცილებდა ყველაზე საშიშ მტერს და მეორე, გამომძიებლები მიხვდებოდნენ, რომ მკვლელი ჯერ კიდევ თავისუფლად ბოგინობდა. დამავიწყდა მეთქვა, დობრი აპირებდა უფრო მეტად დაესერა ჩემთვის მუცელი, ვიდრე ეს მისმა ძმამ გააკეთა. მაშინ ბუნებრივია ჩემი თანაშემწეები შეცდებოდნენ და იანკო ნესტოროვს გაათავისუფლებდნენ. დობრის ეშვი არ ეპარებოდა, რომ დაამყარებდა კავშირს თავის აგენტურასთან და დატოვებდა ქვეყანას. საინტერესოა, რომ იანკო არ აპირებდა მასთან ერთად გაქცევას. მანასიევის საქმე იოლი იყო. ერთმა მისმა მეგობარმა გარაჟიდან აცნობა, რომ ვიცოდით მისი ისტორია და ინტერესს ვიჩენდით მისდამი. ის გაიქცა. შეეშინდა რომ ვაიძულებდით გადაეხადა დაზარალებული მონტიორისათვის.

კაპიტანმა ჩაიცინა და გაჩუმდა.

— იანკა? — მოულოდნელად შევეკითხე მე.

დარტყმა მართლაც მოულოდნელი იყო. დიმოვი ოდნავ გაწითლდა.

— იანკა — რა?.. არა უშავს, ცხოვრობს... ვფიქრობ, უკვე კარგად წვავს თიხას.

— დარწმუნებული ვარ, ძალიან მოგწონს.

— შესაძლოა...

— არ მესმის, მაშინ რატომ უნდა გახდე ცრურწმენების მსხვერპლი, — ამოვილუღლუღე მე.

— ეს ცრურწმენები არაა — მკაცრად მომახალა კაპიტანმა. და სახე მოეღუშა. — მისი ძმა მკვლელია... რაღა ცრურწმენებია ეს?

მე არ ვუპასუხე. გული დამიმძიმდა და ოთახში თითქოს ჩამობნელდა.

ჯონ დიუსონ კარი

იმპერატორის საჯურნალეთი



თავი I

როდესაც ევა ნილმა ნედ ეტვუდთან განქორწინების საქმე აღძრა მისი სარჩელი მაშინვე დაკმაყოფილებულ იქნა. და თუმცა განქორწინებას საფუძვლად ედო ნედის კავშირი სახელგანთქმულ ჩოგბურთელ ქალთან, პროცესმა ბევრად უფრო ნაკლები სმაური გამოიწვია, ვიდრე ამას ევა მოელოდა.

ჯერ ერთი, თავის დროზე მათ იქორწინეს პარიზის ამერიკულ ეკლესიაში, გეორგ მეხუთეს ქუჩაზე. ხოლო პარიზში მიღებული განქორწინება ძალაში იყო ინგლისში. ინგლისის პრესაში მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი გამოქვეყნდა. ნედმა და ევამ ბუდე გაიკეთეს La Bande lette-ში, ესე იგი ლენტზე, ოქროს პლაჟის ვიწრო ზოლზე, რომელიც იმ მშვიდობიან დროს თითქმის ყველაზე მოდური კურორტი იყო საფრანგეთში. მხოლოდ რამდენიმე ძაფი აკავშირებდა მათ ლონდონთან. ერთი სიტყვით, ნაცნობებს გაეცინათ, ცოტა წაიჭორავეს — და ამით დამთავრდა საქმე.

და მაინც ევასათვის არც ისე დამამცირებელი იყო განქორწინების შედეგები, როგორც თვითონ განქორწინება. საზიზღარი პროცედურაა. რა თქმა უნდა, თავი იჩინა ნერვულმა დაძაბულობამ, ევაც კი, ყოველთვის წყნარი და გულკეთილი ქალი, ლამის ისტერიკიანად აქცია. ყველაფერ ამასთან ერთად უპირისპირდებოდა მაღალი საზოგადოების განაჩენს, რომელიც გამოჰქონდათ მისი უბედური გარეგნობის გამო.

— გენაცვალე, — ეუბნებოდა ერთი ქალი, — შენს ბედს ნედს რომ უკავშირებდი, უნდა გცოდნოდა, რა მოგელოდა.

— თქვენ გგონიათ. — უპასუხებდა მეორე, — რომ კაცია დამნაშავე? აბა დახედეთ ქალის ფოტოსურათს. არა, დახედეთ მხოლოდ!

იმ დროისათვის ევა ოცდამეცხრე წელში გადადგა. მეოცე წელში რომ იყო, მემკვიდრეობით მამის ქონება მიიღო, რომელიც ბამბისსართავ საწარმოებს ფლობდა ლანკაშირში და უსაზღვროდ ამაყობდა თავისი ქალიშვილით. ოცდახუთი წლისა ცოლად გაჰყვა ნედ ეტვუდს, იმიტომ რომ ა) ის ლამაზი იყო, ბ) თვითონ მარტოობა მოსწყინდა, ვ) მისი უარის თქმის შემთხვევაში ის სერიოზულად იმუქრებოდა თვითმკვლელობით.

თავისი უდარდელობის, გულწრფელობისა და მიამიტობის მიუხედავად ევა ძალზე საშიში გულთმომნადირებელი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ტანწერწეტა იყო; მის გარეგნობას, ქალთა ოსტატები ვანდომის მოედნიდან ადვილად აიგივებდნენ საბედისწერო ცირცეის სახესთან. წაბლისფერ თმას ისე ივარცხნიდა, ედუარდ მეშვიდის ბრწყინვალე მმართველობის პერიოდი წარმოგიდგებოდა. სახეის რძისა და ღვინის ფერი, ტუჩების კუთხეებთან მოთამაშე ღიმილი და ნაცრისფერი თვალები ხომ ილუზიას ამთავრებდნენ. მისი სილამაზე ფრანგებს რევდა. მოსამართლეც კი, რომელმაც გაყრის თაობაზე მისი სარჩელი დააკმაყოფილა, მგონი რამდენადმე შემცბარი იყო.

ფრანგული კანონების მიხედვით საბოლოო გაყრამდე მხარეები ერთმანეთს უნდა შეხვდნენ - და უკანასკნელად სცადონ ურთიერთობათა მოგვარება. ევას სამუდამოდ დაამახსოვრდა ის დილა ვერსალში, მოსამართლის კაბინეტში, რომელშიც პარიზული აპრილის სუნთქვა იგრძნობოდა.

მოუსვენარი, თავაზიანი და ქილვაშებიანი ბატონი მოსამართლე სავსებით გულწრფელი, მაგრამ ამასთან მეტისმეტად თეატრალური გახლდათ.

— ქალბატონო! — წამოიძახა მან. — მუსიე! მოგიწოდებთ გადაიფიქროთ, სანამ გვიან არ არის!

— რაც შეეხება ნედ ეტვუდს...

მგონი ის ბუზსაც არ ააფრენს. მისი მომხიბვლელობა, რომლისადმი ევა ახლაც არ იყო გულგრილი და რომელიც მთელ ოთახს აცისკროვნებდა, ' ვერ აფერმკრთალებდა გუშინდელი ღრეობის ნაკვალევს. გულის ამაჩუყებელი, ბუნდოვანი მონანიების გამოხატვა სრულ ნდობას შთააგონებდა. ქერათმიანი, ცისფერთვალება, სრულიად ნორჩი, მიუხედავად იმისა, რომ

დიდიხანია ოცდაათს გადააბიჯა, იდგა ფანჯარასთან როგორც ზრდილობისა და თავაზიანობის განსახიერება. ევა კიდევ ერთხელ გამოუტყდა თავს, რომ ის ძალზე მომხიბლავია და ამაშია მთელი მისი უბედურება.

— საჭიროა, ქორწინების არსზე ვილაპარაკო? — შეეკითხა მოსამართლე.

— ოჰ, — უთხრა ევამ. — არაა საჭირო, გეთაყვა.

— რომ შემეძლოს ქალბატონისა და მუსიეს დარწმუნება...

— მე არ მჭირდება დარწმუნება, — ხრინწიანი ხმით ჩაილაპარაკა ნედმა. — პირადად მე არ მინდოდა განქორწინება.

ტანდაბალ მოსამართლეს თითქოს სიმაღლე მოემატა.

— გაჩუმდით, მუსიე! თქვენ დამნაშავე ხართ. და ქალბატონს პატიება უნდა სთხოვოთ!

— მე ისედაც ვაპირებდი, — უპასუხა ნედმა. — გნებავთ, დავუჩოქებ კიდეც.

ის ევასაკენ წავიდა. მოსამართლემ ქილვაშებზე მოისვა ხელი და იმედის თვალით გადახედა მას. ნედი არ ხუმრობდა. ის საკმაოდ ჭკვიანი იყო. ევას უეცრად შეეშინდა, რომ ვერასოდეს ვერ მოიშორებდა მას.

— ამ სარჩელის თანამოპასუხე, — განაგრძობდა მოსამართლე და თან მალულად ქაღალდებში იხედებოდა, — ვინმე ქალბატონი, — მან ისევ ქაღალდებში ჩაიხედა, — ქალბატონი ბულმერ სმიტი....

— ევა, მე არ მჭირდება ის, ღმერთმანი!

ევამ დაღლილად უპასუხა:

— ჩვენ ხომ დიდი ხანია ყველაფერზე შევთანხმდით, ასე არ არის?

— ბეტსი ბულმერ სმიტი, — თქვა ნედმა, — ძროხა და როსკიპი დიაცი. უბრალოდ ვერ გამიგია, რა მომივიდა. თუ ეჭვიანობ...

— სრულებითაც არ ვეჭვიანობ. ოღონდაც მენახა სიბრაზისაგან როგორ დაუწვავდი შენ ხელს სიგარეტით. საინტერესოა რას იტყოდა ის ამაზე.

ნედმა უსამართლოდ განაწყენებული პატარა ბიჭის გამომეტყველება მიიღო.

— ოჰ, აი თურმე რას იმარხავდი გულში ჩემს წინააღმდეგ?

— შენს წინააღმდეგ გულში არაფერი ჩამიდვია, ნედ, ყური მიგდე, უბრალოდ მინდა რაც შეიძლება ჩქარა დავამთავროთ ყველაფერი ეს.

— მაშინ დავთვერი. აღარაფერი გამეგებოდა.

— ეგ რა სათქმელია, ნედ? ხომ გითხარი ყველაფერ ამას მნიშვნელობა არა აქვს-მეთქი.

— მაშ, რატომ მექცევი ასე?

ევა დიდ მაგიდასთან იჯდა. მაგიდაზე საწერი მოწყობილობა იდო. ნედმა ევას ხელზე ხელისგული დაადო. ისინი ლაპარაკობდნენ ინგლისურ ენაზე, რომელიც არ ესმოდა ტანმორჩილ მოსამართლეს. ის ახველებდა, თვალს არიდებდა მათ და ბოლოს დიდად დაინტერესდა წიგნების თაროს თავზე დაკიდებული სურათით. ნედის ხელის მოჭერა რომ იგრძნო, ევა უეცრად შეწუხდა, ძალით ხომ არ უნდათ ქმართან შემარიგონო.

საერთოდ კი ნედი სიმართლეს ლაპარაკობდა. მთელ მის მომხიბვლელობასთან და ჭკუასთან ერთად მისი სიმკაცრე შეუგნებელი იყო, როგორც სიმკაცრე პატარა ბავშვისა.

სისასტიკე — ის სასაცილო „ზნეობრივი“ სიმკაცრეც კი, რომელიც ევას ყოველთვის ეზიზღებოდა, როგორც ფარისევლური საქციელი, მარტო ის შეიძლებოდა ყოფილიყო განქორწინების მიზეზი. მაგრამ ღალატის ბრალდება გაცილებით უფრო სწრაფად და უტყუარად მოქმედებდა. ეს იყო და ეს. და საკმარისი იყო. მათს ცოლქმრულ ცხოვრებაში იყო ისეთი რამ, რომლის თქმას სასამართლოზე სიკვდილს ამჯობინებდა.

— ქორწინება, — აუწყა მოსამართლემ, რომელიც თვალს არ აშორებდა წიგნების თაროს თავზე დაკიდებულ სურათს, — ერთადერთი ბედნიერი მდგომარეობაა როგორც კაცისთვის, ისე ქალისთვისაც.

— ევა, — უთხრა ნედმა, — იქნებ უკანასკნელად ვცადო გამოსწორება?

ერთხელ სტუმრად ყოფნისას ერთმა შინგამოჩეკილმა ფსიქოლოგმა ევას განუცხადა, რომ ის განსაკუთრებით ჩაგონებადია. მაგრამ მის ჩაგონებადობას ჰქონდა საზღვარი.

ნედის ხელის მიკარებამ გული არ აუჩვილა მას, პირიქით, აღაშფოთა კიდეც. რასაკვირველია, ნედს თავისებურად უყვარს ის. წამით მან ცდუნება იგრძნო; ცდუნება ეთქვა „ჰო“ და და-

ემთავრებინა მოელი ეს გაწამაწია. მაგრამ გულკეთილობისათვის და უსიამოვნებათა თავიდან ასაცილებლად „ჰოს“ თქმა ნიშნავდა ნედთან, მის ჩვეულებებთან, მის მეგობრებთან, იმ ცხოვრებასთან დაბრუნებას, როდესაც ყოველთვის გინდა განერიდო, განუდგე და არაფერი არ გამოგდის. ევამ თვითონაც არ იცოდა ეცინა თუ ეტირა მოსამართლესთან.

— დიდად ვწუხვარ, — უპასუხა ევამ და წამოდგა. მოსამართლეს იმედი მიეცა. სახე გაუბრწყინდა.

— მგონი ქალბატონმა სთქვა...

— არა, არა, არაფერი არ გამოვა, — წაიბურტყუნა ნედმა.

წამით ევას შეეშინდა, ახლა რაიმეს გატეხსო, როგორც ყოველთვის როდესაც ჩვეულებისამებრ აინთებოდა ხოლმე. მაგრამ სიბრაზემ უმალვე გადაუარა. ის ცოლს მისჩერებოდა და ჯიბეში ხურდა ფულს აჩხრიალებდა. იღიმებოდა და მშვენიერ კბილებს აჩენდა. თვალების კუთხეებში ნაოჭები უჩნდებოდა.

—იცი რა, შენ ხომ ისევ გიყვარვარ,—ისე გულწრფელად დაასკვნა ნედმა, რომ, ჩანდა, მართლაც დარწმუნებული იყო ამაში.

ევამ მაგიდიდან ჩანთა აიღო.

— დამაცადე, კვლავ დაგიმტკიცებ ამას, — დაუმატა მან. ევას სახის გამომეტყველება რომ დაინახა, უფრო ფართოდ გაიღიმა: არა, ახლა არა, დაგაცდი გულის გაციებას, ან გულის მობრუნებას. როგორც გენებოს. ჯერჯერობით კი დავიკარგები. ხოლო როდესაც დავბრუნდები...

ის არ დაბრუნებულა.

ევამ გადაწყვიტა უურადღება არ მიექცია მეზობლებისათვის, მაგრამ საშინლად ეშინოდა მათი მითქმა-მოთქმისა და სანაპიროზე დარჩა. ტყუილად ღელავდა. არავის არ აწუხებდა ის, რაც რიუ დეზ ანჟზე მდებარე მირამარის ვილაში მოხდა. ლა ბანდელეტას მსგავს კურორტებზე,—სადაც სეზონზე მაღალი საზოგადოება იყრის თავს და ამერიკელები და ინგლისელები კაზინოში დიდძალ ფულს აგებენ, ადამიანები ცნობისმოყვარეობით არ გამოირჩევიან. ევა ნილი არავის არ იცნობდა რიუ დეზ ანჟზე და არც მას იცნობდა ვინმე.

სანამ გაზაფხულს ზაფხული მოყვებოდა, ხალხი ტალღასავით აწყდებოდა სანაპიროს. ლა ბანდელეტას უცნაურად შეღე-

ბილი საოცარი ფრონტონები უოლტერ დისნეის ფილმების ქალაქებს ჰგავდა. ჰაერი წიწვის სუნით იყო გაჟღენთილი; ფართო ქუჩებში ელარუნით დაჰქროდნენ ღია ეტლები: კაზინოს გვერდით იდგა ორი სასტუმრო „კოშკი“ და „ბრიტანეთი“, თავისი ჩარდახებითა და ცადაწვდილი ცრუგოთური კოშკებით.

ევა გვერდს უვლიდა კაზინოებსა და ბარებს, ნედ ეტვუდთან შფოთიანმა ცხოვრებამ ის მეტისმეტად ნერვული და გულგრილი გახადა — საშიში შეხამებაა. მოწყენილი იყო, მაგრამ საზოგადოებას გაურბოდა. ზოგჯერ დილაადრიან, როდესაც ჯერ კიდევ არავინ იყო მინდორზე, გოლფს თამაშობდა. — ან ცხენით სეირნობდა სანაპირო დიუნების გასწვრივ.

შემდეგ გაიცნო ტობი ლოუზი.

თითქოს ჯიბრზე ლოუზების ოჯახი მისი ვილის პირდაპირ, რიუ დეზ ანჟზე ცხოვრობდა. ქუჩა პატარა და ვიწრო იყო, თეთრი და ვარდისფერი სახლებით. ყოველ მათგანს პატარა შემორაგული ბაღი ჰქონდა. ქუჩა მართლაც ისე ვიწრო იყო, რომ ყველაფერს რაც ამ სახლებში ხდებოდა თავისუფლად ხედავდნენ გზის მეორე მხარეს მცხოვრებნი და ამას შეიძლებოდა გამოეწვია უადგილო ფიქრები და მითქმა-მოთქმა.

ნედთან ცხოვრების დროს ევას არაერთხელ მოუკრავს თვალი მოპირდაპირე მხარეს მცხოვრები მეზობლებისათვის, ხანშიშესულმა ბატონმა — როგორც გაირკვა ტობის მამამ, სერმა მორის ლოუზმა — რამდენჯერმე თითქოს გაოცებით შეხედა მათ. მისი განდეგილის სასიამოვნო სახე დაამახსოვრდა ევას. იქ იყვნენ აგრეთვე ქერათმიანი ქალიშვილი და მხცოვანი ქალი. თვითონ ტობი კი ევას ერთხელაც არ ენახა. პირველად იმ დილით ნახა, გოლფს რომ თამაშობდა.

ივნისის ცხელი და წყნარი დღე იდგა, ლა ბანდელეტს ისევ ეძინა, ნამდაპკურებული მწვანე მინდორი ჯერ ისევ ბრწყინავდა, ხოლო ფიქვებს, ზღვას რომ გადაფარებოდნენ, სიცხე კლავდა. ევა ცუდად თამაშობდა და ბურთი ქვიშას მოახვედრა. უძილო ღამის შემდეგ გაბრაზებულმა და გაბოროტებულმა ჰოკიჯოხებიანი ჩანთა მხრებიდან მოიხსნა და მიწაზე დააგდო. თამაში მოსწყინდა. ჩამოჯდა და დაიწყო ფიქრი, როგორ გადაერჩინა ბურთი. ის ისევ ფიქრობდა, როდესაც ვიღაცის ბურთმა ზედ მის ყურთან გაიბზუილა, ტრაექტორია მოხაზა და პატარა

მდელოს ნაპირას ბალახებში ჩავარდა. ღრმულის პირზე გაგორდა და სილაში დაგდებულ ევას ბურთთან მიგორდა.

— იდიოტი, — ხმამაღლა შენიშნა ევამ.

ეს თქვა თუ არა, ღრმულის თავზე ჯერ თავი ამოტივტივდა, შემდეგ კი ახალგაზრდა კაცის მთელი ფიგურაც წამოიმართა. ის ევას უმზერდა.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა მან. — არ ვიცოდი, აქ თუ იყავით.

— კარგი არაფერია.

— არ მინდოდა მყუდროება დამერღვია თქვენთვის. მე ვიყვირებდი. მე...

ის დაბლა ჩამოვიდა და მხრებიდან მოიხსნა მძიმე ჩანთა, რომელშიც ორი დუქინი ჰოკიჯოხი მაინც იქნებოდა. ეს იყო ღონიერი, არც ისე ლამაზი, რამდენადმე შებოვილი, ზრდილი ახალგაზრდა. დიდი ხანია ევას არ ენახა ასეთი სასიამოვნო სახის გამომეტყველება. ხშირი შავი თმები ბუძგურად ჰქონდა შეკრეჭილი. პატარა ულვაშები ყოჩაღ იერს აძლევდა, რომელიც სრულიად არ შეესაბამებოდა მის ჩვევებს.

ის ევას მიაჩერდა. ყველაფერი წესისა და რიგისამებრ იყო, ოღონდ ეს კია საშინლად გაწითლდა. ევამ შეამჩნია, რომ სასოწარკვეთით ცდილობდა სახიდან სიწითლე მოეშორებინა და გულში ნამდვილად იწყევლიდა თავს, მაგრამ კიდევ უფრო მეტად წითლდებოდა.

— მე თქვენ უკვე გნახეთ, — განუცხადა მან.

— მართლა? — გაიკვირვა ევამ და მიხვდა, რომ ამ წუთში ცუდად გამოიყურებოდა.

და აქ ტობი ლოუზმა მარტოოდენ გულწრფელობაში მიაღწია იმას, რასაც დიპლომატიური ეშმაკობის მრავალი თვე დააჭირდებოდა.

— მითხარით, — შეეკითხა ის, — თქვენ ისევ ქმართან ცხოვრობთ?

რაუნდი მათ ერთად დაამთავრეს. მეორე დღესვე ტობი ლოუზმა სახლში განაცხადა, ერთი გასაოცარი ქალი გავიცანი, რომელსაც არამზადა ქმარი ჰყავდა, მაგრამ თავი ისე უჭირავს, რომ არ შეიძლება საერთო აღფრთოვანება არ გამოიწვიოსო.

რაც მართალია, მართალია. მაგრამ ჩვეულებრივად ასეთ

განცხადებებს არც თუ ისე თბილად ხვდებიან ახალგაზრდების მშობლები.

როგორც ევას ეგონა, კარგად ჰქონდა შესწავლილი თავისი წრე და ხედავდა ლოუზების ოჯახის რეაქციას. ადვილად წარმოიდგენდა ხოლმე გულგრილ გამომეტყველებებს საუზმის დროს, ჩახველებებს, ალმაცერ მზერას, აგდებულ ფრაზას „ო, მართლა ტობი?" და შემდეგ შენიშვნას იმის შესახებ, რომ ურიგო არ იქნებოდა ასეთი ტურფა მშვენების ნახვა. რაც შეეხება ოჯახის ქალთა ნაწილს — ლედი ლოუსსა და ტობის დას, ჯენისს, — მათგან ევა ელოდა ოდნავ ზრდილობაშეფარულ მტრობას.

ამიტომ ის განაცვიფრა იმან, რაც სინამდვილეში მოხდა. უბრალოდ მათ ის მიიღეს და მეტი არაფერი. ჩაიზე მიიპატიჟეს ვილის უკან გაშენებულ მშვენიერ ბაღში. ორივე მხარეს ათიოდე სიტყვაც არ ჰქონდათ წარმოთქმული, რომ ნათელი გახდა, ყველაფერი კარგად წარიმართებოდა და ისინი დამეგობრდებოდნენ, ასეთი რამ ხდება, იმ საზოგადოებაშიც კი, როგორსაც მას ნედ ეტვუდი იცნობდა, და, სამწუხაროდ, ვიცნობთ ჩვენც და თქვენც, — ასეთი რამ ხდება. ევას გაოცება მხურვალე მადლიერების გრძნობამ შეცვალა: ის მოლბა, შეშინდა კიდეც, ისე კარგად იგრძნო თავი.

ტობის დედას, ელენა როუზს, ევა უდავოდ მოეწონა. ოცდასამი წლის წითურ ჯენისს ლამის უმალვე შეუყვარდა ის და აღფრთოვანებას ვერ ფარავდა მისი სილამაზის გამო. ბიძია ბენი, მართალია, უმეტესად დუმდა და ჩიბუხს ეწეოდა, მაგრამ კამათის დროს ყოველთვის მისი მხარე ეჭირა. მოხუც სერ მორისს წამდაუწუმ აინტერესებდა მისი აზრი თავისი კოლექციის ექსპონატებზე. ეს იყო უმაღლესი აღიარების აქტი.

რაც შეეხება ტობის...

ტობი იყო მტკიცე პრინციპების მქონე ძალიან კარგი ყმაწვილი. ეს ჩვენ მის სასაყვედუროდ როდი შევნიშნეთ. სულაც არა. შესაძლოა, ოდნავ ყოყლოჩინობდა კიდეც, მაგრამ იუმორის გრძნობა შველოდა.

— რა გაეწყობა, მომიხდება, — განაცხადა მან.

— რა მოგიხდება? — შეეკითხა წითური ჯენისი.

— ცეზარის მეუღლეობა, — უპასუხა ტობიმ. — ჰუკსონის

ბანკის ადგილობრივი განყოფილების გამგე — ის აშკარად ტკბებოდა თავისი ტიტულით — წესიერად უნდა მოიქცეს. ლონდონის ბანკები ლოთებს არ გააჩერებენ.

— მარტო ლონდონისა? — დაინტერესდა ჯენისი. — ჩემი აზრით, საფრანგეთის ბანკებშიც კი იშვიათად შეხვდები მოლარეს, სამსახურის დროს რომ შეზარხოშებული არ იყოს ან კონტორულას ქვეშ ლამაზმანებს არ მალავდეს.

— შეიძლება იფიქრო, — ჩაერია ელენა ლოუზი, — რომ მსოფლიოს სხვა ბანკებში თავაშვებული ლოთობა და ღრეობაა.

ტობი ცოტა არ იყოს შეცბა. პატარა ულვაშებზე ხელი გადაისვა და სრულიად სერიოზულად უპასუხა.

— ჰუკსონის ბანკი, — თქვა მან, — ერთ-ერთი უძველესია ინგლისში. ამ შენობაში ჰუკსონები მუშაობდნენ უხსოვარი დროიდან, როდესაც ჯერ კიდევ ოქრომჭედლები იყვნენ, — ის ევას მიუბრუნდა. — მამაჩემს კოლექციაში აქვს ერთი ოქროს ნივთი, რომელიც მათი ემბლემა იყო.

აქ ჩვეულებისამებრ, დაძაბული პაუზა ჩამოვარდა. სერ მორისის ჰობი — მისი კოლექცია ოჯახში დაცინვის საგანი იყო, თუმცა სხვადასხვა ხარახურას შორის საუცხოო ნივთებიც გვხვდებოდა.

კოლექცია მოთავსებული იყო მის კაბინეტში, დიდ ოთახში მეორე სართულზე, რომლის ფანჯრები ქუჩას გადაჰყურებდა. საღამოობით ლუპას აიღებდა ხელში და გვიანობამდე ათვალიერებდა თავის განძეულობას. ევასა და ნედს წინათ (იმ უბედურ ჟამს) მოპირდაპირე ფარდაჩამოუფარებელ ფანჯარაში საწოლი ოთახიდან არაერთხელ დაუნახავთ მოხუცი, რომელიც მას დაამახსოვრდა მშვენიერი სახით, და კედლების გასწვრივ შემინული რაფები.

იმ დროზე კრინტი არ დაუძრავთ. ლოუზების ოჯახისათვის თითქოს არასდროს არ არსებობდა ვინმე ნედ ეტვუდი. მართალია, სერ მორისი როგორღაც შეეხო კიდეც ამ თემას, მაგრამ უმალვე სხვა ამბავზე გადაიტანა საუბარი და ევას უცნაური მზერა ესროლა, რომლის მნიშვნელობა მან ვერ გაიგო.

ივლისის ბოლოსათვის კი ტობიმ უკვე ცოლობა სთხოვა მას.

ევა თავის თავს არ ეკითხებოდა თუ რამდენად სერიოზულად ჰქონდა მისი იმედი; როგორ ენატრებოდა მყუდრო სავანე, როგორ უნდოდა თავისუფლად გაეღიმა, ემხიარულა და ხალხის განაჩენისათვის ყურადღება არ მიექცია. სავსებით შეუძლია ტობის იმედი იქონიოს. მართალია, ზოგჯერ ტობი ექცეოდა, როგორც ბროლის ლარნაკს, მაგრამ ეს — რა უცნაურიც არ უნდა იყოს — მასში მხოლოდ გაორკეცებულ სინაზეს იწვევდა.

ლა ბანდელეტაში მაშინ უბრალო პატარა რესტორანი იყო, რომელსაც „ტყიანი" ერქვა. ვახშამი მოჰქონდათ ღია ცის ქვეშ, ჩინური პატარა ფარნებით მორთულ-მოკაზმული ხეების ჩრდილში. იმ საღამოს მარგალიტივით თეთრ კაბაში გამოწყობილი ევა განსაკუთრებით მომხიბვლელი იყო. პირდაპირ ტობი იჯდა, ის მოუსვენრად ათამაშებდა დანას და ამჯერად სულაც არ იბღინძებოდა.

— იცი რა, — პირდაპირ გადავიდა ის საქმეზე. — მე ვიცი, რომ თქვენი ღირსი არა ვარ (აქ ნედ ეტვუდი უბრალოდ სიცილით გაიგუდებოდა), მაგრამ ძალიან მიყვარხართ და იმედი მაქვს ჩემთან ბედნიერი იქნებით.

— სალამი, ევა, — გაისმა ვიღაცის ხმა მის ზურგს უკან.

წამით მოეჩვენა, თითქოს ეს ნედ ეტვუდის ხმა იყო.

მართალია, ის ნედი არ აღმოჩნდა, მაგრამ მაინც მისი ერთ-ერთი მეგობარი იყო. ამას კი აღარ მოელოდა, თუ რომელიმე მათგანს „ტყიანში" თუ შეხვდებოდა. როგორც წესი, გახურებული სეზონის დროს ისინი თერთმეტის ნახევარზე ვახშმობენ და შემდეგ კი მიდიან კაზინოში, სადაც მთელი ღამის განმავლობაში თამაშობენ. ევამ იცნო გაღრეჯილი სახე, მაგრამ სახელი ვერ გაიხსენა.

— ვიცეკვოთ? — მინაზებული ხმით შესთავაზა ბატონმა უსახელომ.

— გმადლობთ. დღეს არ ვცეკვავ.

— ო, მაპატიეთ, — წაიბურტყუნა უსახელომ და გაშორდა. ევამ მგონი, გაიხსენა, სად შეხვედროდა; მოეჩვენა კიდეც, რომ ის პირში დასცინოდა მას.

— თქვენი მეგობარია? — ჰკითხა ტობიმ.

— არა, უპასუხა ევამ. — ორკესტრმა კვლავ დაუკრა, ამჯე-

რად შარშანდელი სეზონის მოდური ეალსი. — ჩემი ყოფილი ქმრის მეგობარია.

ტობიმ ჩაახველა. შესაძლოა რომანტიკულად აიდეალებდა ევას და თავისთვის გამოძერწა ვიღაც არნახული ქალის სახე, მაგრამ მისმა უკანასკნელმა სიტყვებმა გაკენწლა. წინათ თითქმის არ უსაუბრიათ ნედ ეტვუდზე, უფრო სწორად, ევას ტობისთვის არ უთქვამს სიმართლე. უბრალოდ აუხსნა, ის და ნედი ხასიათით ვერ შეეთვისნენ ერთმანეთს. „საერთოდ კი ძალიან კარგი კაცია",—და ეს მსუბუქი რეპლიკა დიდხანს ეშვით ტანჯავდა ტობის ფლეგმატურ სულსა და გულს.

მან მეათედ ჩაახველა.

— აი, მეორე საკითხზე კი... — წარმოთქვა მან ბოლოს.— წინადადების თაობაზე... თუ დრო გვირდებათ მოსაფიქრებლად...

ორკესტრმა ევას ბნელი მოგონებანი მოჰგვარა.

— მე... მე ხომ ვიცი, რომ თქვენი ღირსი არა ვარ, — განაგრძობდა ტობი და ხელში დანას ატრიალებდა, — მაგრამ გადაკრულად მაინც რომ გეთქვათ, პასუხი დადებითი იქნებოდა თუ უარყოფითი, ჰო თუ არა...

ევამ მისკენ გაიშვირა ხელები.

— ჰო, — უთხრა მან — ჰო, ჰო, ჰო!

ათი წამის განმავლობაში ტობიმ კრინტი ვერ დაძრა. ტუჩებს ილოკავდა. მან ისე ნაზად მოჰკიდა ხელი ხელზე, თითქოს ბროლის ლარნაკს შეეხო; შემდეგ დროზე გაახსენდა, რომ მათ უყურებდნენ და უმალვე გაუშვა ხელი. მის თვალებში გამომკრთალმა მოწიწებამ ევა ააღელვა და შეაფიქრიანა. წამით დაეჭვდა კიდეც, იცის თუ არა ტობი ლოუზმა ცოტა რამ მაინც ქალების შესახებო.

— ჰა? - - წარმოთქვა მან.

ტობი დიდხანს უტრიალებდა მის შენიშვნას.

— ჩემი აზრით, კიდევ უნდა დავლიოთ,—დაასკვნა მან. მერე ცოტა ხნით დაფიქრდა, — იცით, დღეს ყველაზე ბედნიერი დღეა ჩემს ცხოვრებაში.

ივლისის ბოლო დღე მათ ნიშნობის დღედ გამოაცხადეს.

ორი კვირის შემდეგ ნედ ეტვუდმა პლაზის ბარში ეს ამბავი, — ნიუ-იორკში ახლახან ჩამოსული მეგობრისაგან შეიტყო.

რამდენიმე წუთს გასაცოდავებული იჯდა და სირჩის ფეხს უმოწყალოდ ატრიალებდა. შემდეგ წამოდგა, ბარიდან გავიდა და ზეგისთვის „ნორმანდიაზე" კაიუტა შეუკვეთა.

ხოლო რიუ დეზ ანჟის ერთერთი ვილის თავზე სამივესთვის სრულიად მოულოდნელად უკვე შავი ღრუბლები ჩამოწოლილიყო.

თავი 2

ღამის პირველის თხუთმეტი წუთი იქნებოდა, როდესაც ნედ ეტვუდმა კაზინოს ბულვარიდან რიუ დეზ ანჟზე შეუხვია.

შუქურას შორეულმა სხივმა ცა გაკვეთა. დღის პაპანაქება დამცხრალიყო, თუმცა გავარვარებულ ასფალტს ისევ ბუღი ასდიოდა. ლა ბანდელეტა გარინდებულიყო. მკვდარ სეზონზე დარჩენილი მცირე რიცხოვანი დამსვენებლები კაზინოში შეყუჟულიყვნენ და დილამდე თამაშობდნენ.

ამიტომ არავის დაუნახავს ხაოიან შავ კოსტიუმსა და რბილ ქუდში გამოწყობილი ახალგაზრდა ლამაზი მამაკაცი, რომელმაც, სანამ რიუ დეზ ანჟზე შეუხვევდა, ცოტა შეიცადა. მას კრიჭა შეჰკვროდა, და თვალები გაჰყინვოდა, თითქოს გალეშილიაო. მაგრამ იმ ღამეს ნედი სპირტიან სასმელს არ მიჰკარებია. მას გრძნობები ათრობდა.

ევას დღემდე უყვარს ის; აი რაში დაარწმუნა მან თავისი თავი.

მან შეცდომა დაუშვა (და ახლა საკუთარ თავს ლანძღავდა ამის გამო) დღეს საღამოს კაფე „კოშკის" აივანზე ყველას გასაგონად რომ განაცხადა, ევას ჩემს იქით გზა არა აქვსო. არ უნდა ეთქვა ეს. ლა ბანდელეტაში უნდა მისულიყო წყნარად, შეუმჩნევლად, აი ასე, როგორც ახლა მიდის რიუ დეზ ანჟზე ევას ვილის გასაღებით ხელში.

მირამარის ვილა, სადაც ევა ცხოვრობდა, შუაში იდგა, ქუჩის მარცხენა მხარეს. ნედმა, მას რომ მიუახლოვდა, უნებლიედ მოპირდაპირე სახლისაკენ გაიხედა. მირამარის ვილასავით ლოუზების ვილაც თეთრი ქვის შენობას წარმოადგენდა. რომელიც გადახურული იყო ღია-წითელი კრამიტით და ისიც

ოდნავ ქუჩის სიღრმეში მაღალი კედლის იქით იდგა. მას გისოსიანი რკინის ჭიშკარი ჰქონდა.

ნედმა სწორედ ის დაინახა, რის ნახვასაც მოელოდა. პირველ სართულზე — სიბნელე. მეორე სართულზე — სიბნელე, გარდა ორი განათებული ფანჯრისა სერ მორისის კაბინეტში. ფოლადის დარაბები ღიაა, ფარდები არაა ჩამოფარებული.

— წესრიგია! — ხმამაღლა თქვა ნედმა და ღრმად ჩაისუნთქა სანაპიროს სურნელოვანი ჰაერი.

თუმცა მას შეეძლო არ შინებოდა, რომ მოხუცი მის მისვლას გაიგებდა, მაგრამ მაინც ცდილობდა ზედმეტი ხმაური არ გამოეწვია. ფრთხილად შეაღო ჭიშკარი კედელში, ევას ვილას რომ ერტყა გარს, და შესასვლელი კარებისაკენ გაეშურა. საკეტს მოარგო გასაღები, იმ ნათელი, ყოველ შემთხვევაში, მგზნებარე დღეებიდან რომ ჰქონდა შემორჩენილი, ისევ ღრმად ამოიოხრა, უხმოდ შეეევედრა წარმართულ ღმერთებს და თავისი გეგმის მიხედვით წინ გასწია.

სძინავს თუ არა ევას? მირამარის ვილის ჩაბნელებული ფანჯრები სრულიად არაფერს არ ნიშნავდა. ევას აუტანელი ჩვეულება ჰქონდა, შებინდდებოდა თუ არა, ფანჯრებს აუცილებლად ფარდებს ჩამოაფარებდა.

მაგრამ წინა ოთახშიც სიბნელე იყო. ავეჯის ლაქისა და ყავის სუნმა, — რომელიც გამჯდარია ყველა ფრანგულ საცხოვრებელში, — ცოცხლად გაახსენა ნედს წარსულის უწვრილმანესი ამბები. ხელების ცეცებით, თითის წვერებზე მიაღწია კიბემდე და ასვლა დაიწყო.

ვიწრო, ბრინჯაოს ხვეულა მოაჯირიანი კოხტა კიბე კედლის გასწვრივ ადიოდა. ციცაბო საფეხურებს ფარავდა განსაკუთრებული სპილენძის წნელით დამაგრებული ნოხი. ასეთ წნელებს ახლა აღარ ხმარობენ. რამდენჯერ ასულა სიბნელეში ამ საფეხურებზე! რამდენჯერ დაუგდია ყური საათის ტიკტიკისათვის და შეუკავებია გულის ძლიერი ბაგაბუგი; მას უყვარდა ის და შიშობდა, ხომ არ მღალატობსო. ერთ-ერთ, ყველაზე ზედა საფეხურზე (ევას საწოლი ოთახის კარებთან ახლოს) წნელი ამძვრალი იყო. ნედს არაერთხელ წამოუკრავს მისთვის ფეხი. ერთხელ აყვირდა კიდეც, ოდესმე უეჭველად კისერს მოვიტეხო.

ნედს ცალი ხელი მოაჯირზე ჰქონდა ჩავლებული. ევა ჯერ არ დაწოლილიყო. მან საწოლი ოთახის კარების ქვეშ სინათლის ვიწრო ზოლი დაინახა. ნედმა ყურადღება ამ სინათლის ზოლზე გადაიტანა, ნავსი წნელი დაავიწყდა და, რასაკვირველია, გაიშხლართა.

— ოჰ, ჯანდაბა ამას, — ხმამაღლა შეიგინა მან.

ევა ნილმა გაიგონა ხმაური.

მიხვდა, ვინც იყო იქ.

ის ტუალეტის მაგიდის სარკესთან იჯდა და ჯაგრისით თმებს ივარცხნიდა. ნათურა მხოლოდ სარკის თავზე ენთო და სიბნელეში ევას მხრებზე დაყრილ თმებს, ნაზ სახესა და ნაცრისფერ თვალებს ანათებდა. როდესაც ჯაგრისს მაღლა იქნევდა და თავს უკან სწევდა, ყელს შველივით ლამაზად იღერებდა. მას ეცვა თეთრი აბრეშუმის პიჟამა და ატლასის ფეხსაცმელები.

ევა არ შემობრუნებულა. თმების ვარცხნას განაგრძობდა. მაგრამ შიშისაგან მთლად მოიკუნტა, როდესაც მის ზურგს უკან კარი გაიღო და სარკეში ნედ ეტვუდის სახე გამოჩნდა.

ნედი სავსებით ფხიზელი იყო, მაგრამ კინაღამ ატირდა.

— ყური მიგდე, — დაიწყო მან ნახევრად გაღებული კარებიდან, — შენ არ იქმ ამას!

ევამ საკუთარი ხმა გაიგონა. შიშმა არ გაუარა, სულ არ გაუარა, მაგრამ განაგრძობდა თმის ვარცხნას, შესაძლოა, იმისათვის, რომ დაემალა როგორ უკანკალებდა ხელები.

— ასეც ვიფიქრე, რომ შენ იქნებოდი, — მშვიდად წარმოთქვა მან. — შენ რა, ჭკუაზე შეიშალე?

— არა... მე...

— სსუ, ღვთის გულისათვის წყნარად!

— მე შენ მიყვარხარ, — უთხრა ნედმა და ხელები მოსახვევად გაშალა.

— აკი მითხარი, გასაღები დავკარგეო, მაშასადამე, ისევ იცრუე?

— ახლა ჩხუბის დრო არაა არაფრის გამო. შენ რა, სერიოზულად თხოვდები ლოუზზე?

— დიახ.

ორივემ უნებლიეთ ფარდებჩამოფარებული ფანჯრისაკენ

გაიხედა. როგორც ჩანს, ორივეს ერთმა და იმავე აზრმა გაუელვა.

— ნუთუ არ უნდა გახსოვდეს ელემენტარული ზრდილობის წესები? — უთხრა ევამ.

— მაგისთვის არ მცხელა. მე შენ მიყვარხარ.

ის მართლაც ლამის ტიროდა. თვალთმაქცობდა? არა, თვალთმაქცობას არ ჰგავდა. ყოველ შემთხვევაში, წამით ჩამოიცილა თავისი ბრწყინვალე თავდაჯერებულობა და ბოროტი დაცინვა. ის ამ ქვეყნად ყველას აბუჩად იგდებდა ხოლმე, მაგრამ ამან სწრაფად გაუარა. ნედი ისევ თავის თავს დაუბრუნდა. საწოლთან მივიდა, ქუდი დააგდო, ხოლო თვითონ სავარძელში ჩაჯდა.

ევა ძლივს იკავებდა თავს, ყვირილი რომ არ აეტეხა.

— მოპირდაპირე სახლში... — დაიწყო მან.

— ვიცი, ვიცი!

— რა იცი? — შეეკითხა ევა. ის ტუალეტის-პატარა სკამზე შემოტრიალდა და ნედს სახეში შეხედა.

— მოხუცი, სერი მორის ლოუზი...

— ჰო? აბა რა-იცი მის შესახებ?

— ყოველ ღამით გვიანობამდე უზის თავის კოლექციას. შენი ფანჯრიდან ჩანს მისი კაბინეტი.

საწოლ ოთახში ძალიან ცხელოდა, სიგარეტისა და წ-წვის ექსტრაქტის სუნი იდგა. ნედი მოხერხებულად გაიშხლართა სავარძელში, გრძელი ფეხი სახელურზე გადადო და ოთახი მოათვალიერა. სახეზე სულ უფრო მკვეთრად აღებეჭდა ბოროტი დაცინვა. ეს სახე მარტო ლამაზი როდი იყო: შუბლზე, თვალებზე, ტუჩების მოხაზულობაზე ეტყობოდა, შთაბეჭდილებიანი კაცი იყო და არც სინატიფე და დახვეწილობა აკლდა.

მან თვალი მოავლო მუქ წითელ ატლასაკრულ ნაცნობ კედლებს. ჩაიხედა ყველა სარკეში, დახედა საწოლს, სადაც საბანზე მისი საკუთარი ქუდი „განისვენებდა". შეხედა საწოლის მახლობლად დადგმულ ტელეფონს. ახედა ტუალეტის მაგიდის თავზე ობლად ჩამოკიდებულ ნათურას.

— ისინი ძალზე წესიერი ხალხია, ხომ მართალია? — შეეკითხა ის.

— ვინ?

— აი ის ლოუზები. მოხუცმა თუ გაიგო, ძვირფას სტუმარს რომ იღებ ღამის პირველ საათზე...

ევას ადგომა უნდოდა, მაგრამ ისევ დაჯდა.

— ნუ ღელავ, — უხეშად უთხრა ნედმა. — არც ისეთი არამზადა ვარ, შენ რომ გგონია.

— მაშინ კეთილი ინებე და წადი.

— მე მხოლოდ ერთი რამ მინდა ვიცოდე, — თავისას გაიძახოდა ის სასოწარკვეთილი ხმით. — რატომ? რატომ მიყვეები იმ აბუეტს ცოლად?

— იმიტომ, რომ წარმოიდგინე, მიყვარს.

— სისულელეა. — ნედმა ქედმაღლური სიმშვიდით უარყო მისი განმარტება.

— ერთი მითხარი, — უთხრა ევამ. — კიდევ დიდხანს აპირებ მუსაიფს?

— არა, რა თქმა უნდა, ფულის გულისათვის არ მიყვები, არ ცხრებოდა ის. — რა მოგდის რა გემართება? სულ სხვანაირი გახდი.

— მართლა?

— საიდან ასეთი სიწმინდე? ადამიანი როგორც ადამიანი კი იყავი. ხოლო მას შემდეგ, რაც ეს ლოუზები გაიცანი, ისეთი სათნო გახდი, რომ რაღა შენ და რაღა ლიუკრეცია.

— მართლა?

არასასიამოვნო სიჩუმე ჩამოვარდა. ნედი ფეხზე წამოხტა, მძიმედ სუნთქავდა.

— არ მოგბეზრდა ერთი და იგივეს გამეორება? „მართლა, მართლა"! სულაც არაა საჭირო დამაჯერო, თითქოს შენ ეს ტობი გიყვარს! კმარა!

— ყური მიგდე, ნედ, რა გაქვს შენ ტობი ლოუზის საწინააღმდეგო?

— არაფერი, უბრალოდ ყველამ იცის, რომ ის ბღენძია და რეგვენი. უშესანიშნავესი, უმშვენიერესიც რომ იყოს — შენი შესაფერი არაა. აი მე კი ვარ შენი საფერი. აბა რა, აბა რა, — დაიღრიალა ნედმა, და სარკეს მიმართა, — რა უნდა უქნას კაცმა ასეთ ქალს? მან პაუზა გააკეთა და დაუმატა ისეთი ტონით, რომელიც, სამწუხაროდ, ევამ მშვენივრად იცოდა

წარსული დროიდან. — მას მხოლოდ ერთი რამ შეიძლება გაუქეთო.

ევა წამოხტა.

— შენ ისეთი მშვენიერი ხარ, — განაცხადა ნედმა, — განსაკუთრებით ამ პიჟამაში, რომ წმინდანიც ვერ მოითმენდა. მე კი წმინდანი არა ვარ.

— არ გაბედო მოკარება!

— მე მგონია, — უეცრად თავი ჩაქინდრა ნედმა, — რომ უბრალოდ ბოროტმოქმედი ვარ მელოდრამიდან. ხოლო გმირი ქალი შიშისაგან კანკალებს და ვერ ბედავს მშველელს უხმოს იმის გამო, რომ... — მან თავით ფანჯარაზე ანიშნა. აქ ტონი ისევ შეიცვალა. — კეთილი, — გაიცინა მან. — თუ ბოროტმოქმედი ვარ, ბოროტმოქმედი ვიყო, გაიძვერა ვარ, გაიძვერა ვიყო. სამაგიეროდ, შენ იქნები კარგად.

— გაფრთხილებ, მე ვიბრძოლებ!

— ძალიან კარგია, ასე აჯობებს!

— მე არ ვხუმრობ, ნედ.

— და განა მე ვხუმრობ? შენ იბრძოლებ. მაგრამ მხოლოდ თავიდან. არა ვარ წინააღმდეგი.

შენ ყოველთვის აცხადებდი, რომ ფეხებზე გეკიდა ზრდილობის წესები, მაგრამ ყოველთვის ტრაბახობდი, თამაშის წესებს ვიცავო.

— იმაზე თუ ფიქრობ, რომ მოპირდაპირე სახლში მცხოვრებ ბებერ ვირს შეუძლია გაიგონოს ჩვენი ლაპარაკი?

— რას შვრები, ნედ? ახლავე მოშორდი ფანჯარას!

აქ ევას, როგორც იქნა, გაახსენდა, რომ ტუალეტის მაგიდის თავზე ნათურა ეკიდა. მან თავს ზემოთ მიაგნო გამომრთველს და ოთახი წყვდიადში ჩაეფლო. ფანჯრებს მკვრივი ფარდები ეფარა. მათ შიგნით კიდევ მაქმანის ფარდები ეკიდა. ოთახში სიცივე შემოიჭრა, როდესაც ნედმა ფარდის კუთხე მონახა და გადასწია. ის სულაც არ აპირებდა უსიამოვნება მიეყენებინა ევასათვის, თუ ამას უკიდურესი საჭიროება არ მოითხოვდა. და იმან, რაც დაინახა, ნედი დაამშვიდა.

— სერ მორისი ჯერ არ დაწოლილა? არა?

— ჰო, ჯერ არ დაწოლილა. მაგრამ მას ჩვენთვის არ სცხელა. ლუპით ათვარიელებს რომელიღაც საბურნუთეს. ზოიცა!

— რა ხდება იქ?

— მასთან კიდევ ვიღაცაა, მაგრამ კარგად ვერ ვხედავ.

— ალბათ, ტობია.

ევა ჩურჩულიდან ხმადაბალ ყვირილზე გადავიდა:

— მოშორდები თუ არა ფანჯარას, ნედ ეტვუდ?

ამ დროს ორივეს გაახსენდა, რომ ნათურა გამორთულია.

ქუჩიდან შემოღწეულმა სუსტმა სინათლემ ფანჯრიდან შემობრუნებული ნედის სახე გაანათა. ბავშვურ გულუბრყვილო გაოცებას, რომლითაც მან ოთახის სიბნელე აღიქვა, აშკარად ეწინააღმდეგებოდა ტუჩების გესლიანი ნაოჭები. მან ხელი გაუშვა ფარდას და ოთახი წყვდიადმა მოიცვა.

ოთახი დახუთული იყო, სუნთქვა ჭირდა. ევა ხელის ფათურით ეძებდა გამომრთველს, მაგრამ ვერაფრით ვერ პოულობდა. მან თავი გაანება ძებნას, ტუალეტის მაგიდასთან მდგარი სკამიდან წამოხტა და ნედისაგან მოშორებით გაჩერდა.

— ყური მიგდე, ევა...

— ეს უბრალოდ სასაცილოა. სჯობს, სინათლე აანთო.

— როგორ ავანთო? შენ უფრო ახლოს არა ხარ.

— არა... მე...

— ოჰ, — ძალზე უცნაური ტონით თქვა ნედმა.

ევამ დაიჭირა ეს ტონი და კიდევ უფრო შეეშინდა. ნედის ხმაში სიხარულის ტონი გამოსჩვიოდა.

არ სურდა, და არც შეეძლო გაეგო თავის თავზე დიდი წარმოდგენის გამო, რომ ევას ის უბრალოდ ეზიზღებოდა.

უხერხული, უფრო სწორად, პირდაპირ შემზარავი სიტუაცია შეიქმნა. მშველელის მოხმობა ევას აზრადაც არ მოსდიოდა. ყველაფერს იღონებდა, ოღონდ ამას არა. თუმცა საკმარისი იყო, ვთქვათ, მოსამსახურე ქალებისათვის დაეძახა და ამით მორჩებოდა.

ევა ნილს უბრალოდ ეგონა, რომ მის ახსნა-განმარტებას არავინ დაიჯერებდა. ასეთი რამ არ ყოფილა და არც იქნება. ასე უკარნახებდა ცხოვრებისეული გამოცდილება. სიმართლე რომ ითქვას, მოსამსახურე ქალები ახლა მისთვის თითქმის ლიუზებზე უფრო საშიშები იყვნენ. მოსამსახურე ქალები ჭორაობენ, ზურგს უკან ენას აჭარტალებენ; ასჯერ გადაასხვაფერე-

ბენ ერთსა და იმავეს და ყოველთვის ახალ-ახალ წვრილმანს ამატებენ. მაგალითად, ეს ახალი, ივეტა...

— აბა, სერიოზულად ამიხსენი, — ცივად წარმოთქვა ნედმა, — რატომ მიყვები ცოლად ტობი ლოუზს?

თუმცა ის ხმადაბლა ლაპარაკობდა, ევას ხმა მკვეთრად გაისმა სიბნელეში.

— ღვთის გულისათვის, წადი, შენ არ გჯერა, რომ მე ის მიყვარს? მაგრამ ეს სიმართლეა. და საერთოდ ვალდებული არა ვარ ანგარიში ჩაგაბარო. კმარა. შენ რა, რაიმე უფლება გაქვს ჩემზე?

— მაქვს.

— საინტერესოა რა?

— ამას ახლავე გიჩვენებ.

თუმცა ოთახში უკუნეთი იყო, ნედს სრულიად ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი მისი ყოველი მოძრაობა. ზამბარების ჭრიჭინზე და ფაჩუნზე დაადგინა, რომ ევამ ხელი დასტაცა საწოლის ფეხებთან დაგდებულ მაქმანიან ხალათს და იცვამდა. ცალი ხელიც კი არ ჰქონდა გაყრილი სახელოში, რომ ნედი უკვე მის გვერდით გაჩნდა.

ევას კიდევ სხვა შიში სტანჯავდა. უფრო გამოცდილი მეგობარი ქალები მას არწმუნებდნენ, თითქოს ქალი არასდროს არ ივიწყებს თავის პირველ საყვარელს; მას ჰგონია, რომ დაივიწყა, მაგრამ ნურას უკაცრავად. ევაც ქალია და არა ქვა: ამდენი თვე მარტო გაატარა; ხოლო ნედ ეტვუდმა იცის მიდგომა, იცის როგორ მოექცეს ქალს... რა მოხდება, რომ?..

ის უხერხულად, მაგრამ მთელი ძალით იშორებდა მას.

— გამიშვი! მტკივა!

— ჭკუას მოუხმე!

— ნედ! არ გაბედო! მოსამსახურე ქალები...

— სისულელეა. დიდი ამბავი, ბებრუხუნა მოპსი...

— არავითარი მოპსი. ახალი მყავს. მე მას არ ვენდობი.— მგონი ის ჯაშუშია და მე მიდარაჯებს. ნედ, ნუთუ იოტისოდენა პატიოსნებაც არ გაგაჩნია...

— ევა, ევა...

— არა!

ევა მაღალი ქალი იყო, ნედზე, სულ რაღაც ორი დუიმით

თუ იქნებოდა დაბალი. ძლიერი არ იყო, მაგრამ მოქნილი ტანი ჰქონდა. და არ შეიძლებოდა ნედის გაბრუებულ ცნობიერებამდე არ დასულიყო, რომ აქ კეკლუცობა კი არა, ნამდვილი წინააღმდეგობა იყო. ასეთი რამ ხომ იგრძნობა და არც ნედი იყო სულელი.

მაგრამ, ევას გულში რომ იხუტებდა, გონება ერთიანად დაებინდა.

და აი სწორედ ამ დროს გაისმა ტელეფონის გაბმული ზარი.

თავი 3

ტელეფონის გაბმული ზარი ყოველთვის ნერვების ამშლელია. ახლა, ბნელ საწოლ ოთახში, ტელეფონი ბრალმდებელ მხარესავით შმაგობდა და იქაურობას იკლებდა. ის რეკავდა და რეკავდა. ევა და ნედი ერთდროულად შეკრთნენ და ხმას დაუწიეს, თითქოს ტელეფონს შეეძლო მათთვის ყურის დაგდება.

— ევა, არ აიღო ყურმილი.

— გამიშვი, ერთიც ვნახოთ და...

— სისულელეა. რეკოს რამდენიც უნდა...

— ვაითუ დაგვინახეს?

ტელეფონი სულ ახლოს იდგა. ევამ უნებლიეთ წაიღო ხელი ყურმილისაკენ, ნედმა ჯიუტად სტაცა ხელი მაჯაში. ევამ ხელის განთავისუფლება სცადა, ტელეფონი ხათქა-ხუთქით პირქვე დაემხო და ყურმილი მაგიდაზე დავარდა.

რეკვა შეწყდა. მაგრამ ჩამოვარდნილ სიჩუმეში ორივე გარკვევით არჩევდა დაბალ ხმას — ტობი ლოუზის ხმას.

— ალო! ევა? — იმუდარებოდა ის სიბნელეში.

ნედმა მაჯიდან ხელი გაუშვა და განზე გახტა. მას პირველად ესმოდა ეს ხმა, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ იყო, თუ ვის ეკუთვნოდა იგი.

— ალო! ევა!

ევამ დაიჭირა მაგიდიდან ჩამოცურებული ტელეფონი და უხერხულად მიარტყა კედელს. მან მოასწრო სულის მოთქმა.

ახლა ძნელი იყო მისთვის თვალის მოწყვეტა. თითქმის ძალდაუტანებლად ლაპარაკობდა.

— დიახ? შენა ხარ, ტობი?

ტობი ლოუზი როგორც ყოველთვის, დინჯად ლაპარაკობდა. ორივეს ესმოდა ტელეფონის ყურმილიდან გამოფრენილი მისი ხმის ყოველი ბგერა.

— მაპატიე, შუაღამეს რომ აგაყენე, — ეუბნებოდა ტობი. — არ მეძინება და ძალიან მომინდა შენთან დარეკვა. არა უშავს?

ნედ ეტვუდი ხელის ცეცებით მივიდა გამომრთველამდე და ტუალეტის მაგიდის თავზე ჩამოკიდებული ნათურა აანთო. ალბათ, ის მოელოდა, რომ ამ დროს ევა ანთებულ მზერას ესროდა. არაფერი ამის მსგავსი. მან მხოლოდ სწრაფად გაიხედა ფანჯრისაკენ, რათა შეემოწმებინა ჩამოფარებული იყო თუ არა ფარდები! და თითქოს ნედს ვერც ამჩნევდა. ტობი იმდენ ბოდიშს უხდიდა, რომ ევას არაფრის შიში არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ტობი ლაპარაკობდა ისეთი ყოვლისშთანმთქმელი სინაზით, რომ თავის თავით მოხიბლულ ნედს (რომელიც, ალბათ, ფიქრობდა, თითქოს იმის მეტი ვერავინ შეძლებდა ასე ლაპარაკს) მისი ტონი უცნაურად და სასაცილოდაც კი მოეჩვენა.

ნედმა ჩაიცინა. მაგრამ ბოროტი დაცინვა უმალვე გაუქრა სახიდან.

— ტობი, საყვარელო! — წამოსცდა ევას.

ეს იყო გულწრფელი ნათქვამი. ასე ლაპარაკი შეუძლია მხოლოდ ქალს, რომელიც შეყვარებულია, ან თავი შეყვარებული ჰგონია. მას სახე უბრწყინავდა. ის თითქოს შვებისა და მადლიერების გრძნობას ასხივებდა.

— არა უშავს რომ დაგირეკე? — გაიმეორა ტობიმ.

— აბა რას ამბობ! როგორ... როგორა ხარ მანდ?

— ყველაფერი კარგადაა. ოღონდ არ მეძინება.

— მინდოდა მეკითხა... საიდან მირეკავ?

— ქვევიდან, სასტუმრო ოთახიდან, — უპასუხა შეყვარებულმა მისტერ ლოუზმა. მან უცნაური ვერაფერი შენიშნა ამ კითხვაში. — ჩემთან ვიყავი. მაგრამ ერთთავად იმაზე ვფიქრობდი, თუ რა არაჩვეულებრივი ხარ შენ, და აი გადავწყვიტე დამერეკა.

— ტობი, საყვარელო!

— ფუი! — თქვა ნედ ეტვუდმა.

(ყოველთვის არასასიამოვნოა ისმენდე, თუ როგორ ავლენს ვინმე თქვენი თანდასწრებით თავის გრძნობებს, თუნდაც თქვენ მას იზიარებდეთ).

— არა, მართლა,—სერიოზულად დაარწმუნა ის ტობიმ,— ე-ე-ე... მოგეწონა დღეს ინგლისელების მიერ წარმოდგენილი პიესა?

(— და ის რეკავს შუაღამისას სპექტაკლის ღირსების განსახილველად? — შეეკითხა ნედი. — მოიშორე ეს ჭლექის გამჩენი.)

— ძალიან მომეწონა, ტობი! ჩემი აზრით, შოუ დიდებულია.

(— შოუ, — თქვა ნედმა, — დიდებულია, ოჰ, ღმერთო ჩემო!)

ცხადია, ევას სახის გამომეტყველებისას არ შეიძლებოდა არ გაეცოფებინა ნედი.

ტობი დაიბნა.

— მაგრამ, ჩემი აზრით, ზოგჯერ მოურიდებლობას იჩენს.

— იმან არ აგაღელვა?

(— უბრალოდ არ მჯერა, — ამოიგმინა ნედმა და ტელეფონის ყურმილს მიაჩერდა. — უბრალოდ არ მჯერა...)

— დედა, ჯენისი და ძია ბენი, — განაგრძობდა ტობი, — ამბობენ ეს არაფერიაო, მაგრამ მე როგორღაც არ ვიცი... — ტობი იმათ რიცხვს მიეკუთვნება, ვისაც მისტერ შოუს შეხედულებები სასოწარკვეთილებაში აგდებდა. — მე ალბათ ჩამოვრჩი ცხოვრებას, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ არის ისეთი ამბები, რომელთა შესახებ ქალმა, კარგი საზოგადოების ქალმა საერთოდ არაფერი არ უნდა იცოდეს.

— ტობი, საყვარელო, მე ამას არ ავუღელვებივარ!

— მაშ კარგი, — დრო გაჰყავდა მისტერ ლოუზს. თითქოს პირდაპირ მოჩანდა, თუ როგორ ღელავდა ის სადენის მეორე ბოლოში. — საერთოდ კი, მხოლოდ ამის თქმა მინდოდა შენთვის.

(— ღმერთო ჩემო. რა ცერემონიებია!)

მაგრამ ტობი არაფრით არ კიდებდა ყურმილს.

— არ დაგავიწყდეს, ხვალ პიკნიკი გვაქვს. ვიმედოვნებ ამინდიც ხელს შეგვიწყობს. ჰო, მართლა, მამამ თავისი კოლექციისათვის კიდევ ერთი ქღარუნა შეიძინა. ბავშვივით უხარია.

(—კიდევ კარგი, — ჩაიცინა ნედმა, — რომ ჩვენ ახლახან დავინახეთ, თუ როგორ ტკბებოდა ამ ქღარუნას ყურებით ბებერი ვირი).

— ჰო, ტობი, — დაუდასტურა ევამ. — ჩვენ დავინახეთ...

მას წამოსცდა სიტყვები, რომლებმაც ფაქტიურად ის გასცეს, ევა შიშისაგან მთლად მოიკრუნჩხა.

მან ნედს შეხედა და მის სახეზე დაინახა ნაცნობი ღიმილი, რომელიც მომხიბვლელიც იყო და საზიზღარიც. მაგრამ ევა წისქვილის სარეკელასავით აღარ ჩერდებოდა.

— გეუბნები, დღეს ჩვენ შესანიშნავი პიესა ვნახეთ.

— მართლა? — ხელახლა შეეკითხა ტობი. — ჰო, აღარ დაგაყოვნებ. წადი დაწექი, საყვარელო. ღამე მშვიდობისა.

— ღამე მშვიდობისა, ტობი. შენ არ იცი, არ დაიჯერებ, თუ როგორ გამეხარდა შენი ხმის გაგონება.

მან ყურმილი დადო და საწოლ ოთახში სიჩუმემ დაისადგურა.

ევა ლოგინის კიდეზე იჯდა, ერთი ხელი ისევ ტელეფონის ყურმილზე ევლო, ხოლო მეორე ხელით მკერდზე მაქმანიანი ხალათი მიედო. მან თავი ასწია და ნედს შეხედა. ის გაწითლდა. გრძელი, აბრეშუმივით რბილი თმები, სახეს შავი, მოელვარე ღრუბელივით რომ შემოხვეოდა, გასჩეჩვოდა. მან ხელი ასწია და თმაზე გადაისვა. თეთრ თითებზე ვარდისფერმა ფრჩხილებმა გაიელვა. მოახლოებული უმწეობით გულჩათხრობილი, თავშეკავებული, ფარული თამაშის ქინით აღვსილი ის ამ წუთას ისეთი ლამაზი იყო, რომ ნებისმიერ კაცს ჭკუაზე შეშლიდა.

ნედი თვალს ვერ აშორებდა მას. ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი და სანთებელა ამოიღო. სიგარეტს მოუკიდა და ნაფაზი დაარტყა. სანთებელას ალი, სანამ ჩააქრობდა, ხტუნავდა და ციკვავდა. ნერვები დაძაბული ჰქონდა, მაგრამ ცდილობდა არ შემჩნეოდა. საწოლ ოთახში სულის შემხუთველი, დამამძი-

მებელი სიჩუმე ჩამოწვა, საათის ტიკტიკიც ვერ არღვევდა მას.

ნედი არ ჩქარობდა.

— მაშ კარგი — როგორც იქნა, დაიწყო მან. მერე ჩაახველა და განაგრძო: თქვი, რაღას უცდი.

— რა ვთქვა?

— „აიღე ქუდი და წადი"

— აიღე ქუდი, — მშვიდად გაიმეორა ევამ მისი სიტყვები, — და წადი.

— გასაგებია. — მან ყურადღებით დახედა სიგარეტის წვერს, ისევ ნაფაზი დაარტყა და ბოლი გამოუშვა. — სინდისი გქენჯნის, არა?

ცხადია, ის ვერ მიხვდა. მაგრამ სიმართლის რაღაც ნატამალი იყო ამაში, თანაც საკმარისი, რათა ევას სახე წამონთებოდა.

სავარძელში გაშხლართული ნედი ისევ თავისი სიგარეტის წვერს აკვირდებოდა და გამოქექილი გამომძიებელივით განაგრძობდა.

— ერთი მითხარი, ძვირფასო, გული არ გერევა?

— რისგან?

— რისგან და ლოუზებთან მეგობრობისაგან.

— იცი რა, ნედ, შენ ამას უბრალოდ ვერ გაიგებ.

— ჰო, რასაკვირველია, გლახა კეთილშობილი ვარ, არა? ისეთი კეთილშობილი არა ვარ, როგორც ის მოპირდაპირე მხარეს მცხოვრები კრეტინი?

ევა წამოხტა და ხალათი გაისწორა. წელზე ეკრა ვარდისფერი ატლასის წვრილი ქამარი, რომელიც მუდამ ეხსნებოდა და ახლაც ისევ მოუხდა ევას მისი შეკვრა.

— სხვათა შორის, ტყუილად აირჩიე განაწყენებული ბავშვის ტონი. — უთხრა მან. — ამით ფონს ვერ გახვალ.

— რა შუაშია აქ ეს? როდესაც შენ მას ესაუბრები, შენი ტონი უბრალოდ აუტანლად მოქმედებს ჩემს ნერვებზე.

— მართლა?

— მართლა. შენ ხომ ჭკვიანი ქალი ხარ.

— გმადლობთ.

— მაგრამ როდესაც ტობი ლოუზს ესაუბრები თითქოს

განგებ ცდილობ თავის მოსულელებას, რათა შეეთვისო მას, ღმერთო ჩემო, ამასაც ხომ მოხერხება უნდა! როგორი გულგადახსნილი საუბარია, ხედავთ, თურმე შოუ „ქარგია“. ბოლოს და ბოლოს, თავს დაარწმუნებ, რომ შენ ისეთივე სულელი ხარ, როგორიც ტობი, რაკიღა ჯერ, კიდევ დაქორწილებამდე ასე ესაუბრები მას, მერე რაღა იქნება? — ის შემპარავად ლაპარაკობდა. — ნუთუ გული არ გერევა, ევა?

(„ჯანდაბას შენი თავი!“)

— აბა, როგორ გრძნობ თავს? — ჰკითხა ნედმა და კვამლის ახალი ბოლქვი გამოუშვა. — რა, თვალს გკრის სიმართლე?

— შენი მაინცდამაინც არ შემშინებია.

— აბა რა იცი ამ ლოუზების შესახებ?

— კი, მაგრამ, რა ვიცოდი შენს შესახებ. მანამ, სანამ დაქორწინდებოდით? და განა დაქორწინების შემდეგ ბევრი რამ გავიგე შენი უწინდელი ცხოვრებიდან? მხოლოდ ის, რომ ეგოისტი ხარ...

— დავუშვათ.

— უხეში...

— ევა, საყვარელო, ჩვენ ხომ ლოუზებზე ვლაპარაკობდით. მაინც რამ მოგაჯადოვა? მათმა წესიერებამ და პატიოსნებამ?

— რასაკვირველია, მსურს წესიერი ვიყო, როგორც ყველა ქალს.

— ოჰ, რას მეუბნებით!

— თავი დაანებე, საყვარელო, ეს ხომ უგუნურებაა, გაიგე, ისინი მე მომწონს, მე მოსწონს ოჯახის დედაც, ოჯახის მამაც, ტობიც, ჯენისიც და ძია ბენიც. ისინი კეთილმოსურნენი არიან. ისინი ისე ცხოვრობენ, როგორც საჭიროა, და სულაც არ არიან მაბეზარნი და ჭლექის გამჩენნი. ისეთები, არიან, — მან სიტყვა მოძებნა, — ნორმალურები არიან.

— ოჯახის უფროსს მოსწონს შენი ანგარიში ბანკში!

— არ გაბედო.

— დამტკიცება ჯერჯერობით არ შემიძლია, მაგრამ დაიცა, აი...

ნედი გაჩუმდა. შუბლზე ხელი გადაისვა. წუთით ის ევას წრფელი, — ამაზე შეეძლო დაეფიცა, — ღრმა გრძნობით უცქერდა: იყო რაღაც ახალი — დაბნეულობა, სასოწარკვეთილება და ლმობიერებაც კი მის გამოხედვაში.

— ევა,—წამოაყრანტალა მან. — ამას მე არ დავუშვებ.

— რას არ დაუშვებ?

— მე არ დავუშვებ იმას, რომ შენ შეცდომა ჩაიდინო.

როდესაც ის ტუალეტის მაგიდისაკენ წავიდა, ნამწვი რომ საფერფლეში ჩაეგდო, ევა მთლად დაიძაბა. ფართოდ გახელილი თვალებით უყურებდა. ევა ძალიან კარგად იცნობდა მას და გულმა უგრძნო, რაღაცით გახარებული იყო. ნედმა ახალ სიგარეტს მოუკიდა და ისევ ევასკენ შემობრუნდა. გაბრწყინებულ შუბლზე ნაოჭები გასჩენოდა.

— ევა, დღეს „კოშკში“ რაღაც-რაღაცეები გავიგე.

— მართლა?

— ამბობენ, მამა ლოუზს, — განაგრძო მან, ბოლი გამოუშვა და თავით ფანჯრის მხარეს მიანიშნა, — ყურს აკლიაო. მაგრამ მაინც რა იქნება, ფარდები რომ გადავწიო და მთელი ხმით დავუყვირო: „როგორაა-მეთქი საქმეები?“

დუმილი.

ევა ცუდად გახდა, გული ერეოდა; ეს ზღვის ავადმყოფობის დასაწყისს ჰგავდა. თვალთ დაუბნელდა. ყველაფერი ისე იყო, როგორც სიზმარში. დახუთულ საწოლ ოთახში სიგარეტის სქელი კვამლი იდგა. ნედის ლურჯი თვალები კიაფობდა ამ ბოლში. ხოლო მისი საკუთარი ხმა სრულიად უცხო და შორეული იყო.

— შენ არ ჩაიდენ ასეთ სისაძაგლეს!

— რატომ არა? აქ ვერავითარ სისაძაგლეს ვერ ვხედავ, — მშვიდად შეეპასუხა ნედი და თითი ჩაჰყო.—შენ რა დანაშაული მიგიძღვის? ანგელოზივით წმინდა ხარ, განა ასე არაა?

— დიახ.

— ვიმეორებ. შენ განსახიერებული სათნოება ხარ. მე ბოროტმოქმედი ვარ მელოდრამიდან. მართალია, გასაღები მქონდა, მაგრამ აქ ძალით შემოვიჭერი. — მან გასაღები თითზე დაატრიალა. — დავუშვათ ხმაური ავტეხე. შენ რისი გეშინია?

მას ტუჩები გაუშრა. თვალები აუჭრელდა. ყველაფერი

თითქოს საშინელ სიცარიელეში ხდებოდა და ყოველი ბგერა თითქოს ძალიან შორიდან აღწევდა.

— მე ხეპრე ვარ და ცემა მომიხდება — ჰოდა, აი შენმა ტობი ლოუზმა სცადოს და მცემოს. შენ ჩემი გაგდება გსურდა, ხომ ასეა? შენი ერთგული მეგობრები გიცნობენ და ყოველ შენს სიტყვას დაიჯერებენ. ჩინებულია! ჰოდა, მე არავრის უარყოფას არ დავიწყებ, პატიოსან სიტყვას გაძლევ. (რაკი ასე გეზიზღები, ხოლო ისინი ასეთი კარგი ადამიანები არიან, როგორც შენ ამბობ, მაშ რატომ თვითონ არ უხმობ საშველად და ციებიანივით ცახცახებ, მე რომ ყვირილს დაეპირებ?

— ნედ, არ შემიძლია ახსნა...

— რატომ?

— შენ ვერ გაიგებ.

— რატომ?

ევამ სავსებით უმწეოდ ჩაიქნია ხელი. განა ასე ერთბაშად შეაგნებინებ მას?

— მხოლოდ, ერთს გეტყვი, — უთხრა ევამ. თუმცა თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, მაინც მშვიდად ლაპარაკობდა. — სიკვდილი მირჩევნია, ვიდრე დღეს ვინმე შენი აქ ყოფნის ამბავს გაიგებდეს.

ნედმა წამით შეხედა მას.

— მართლა? — უთხრა მან და მაშინვე ფანჯრისაკენ გაემართა.

ევას პირველი მოძრაობა იქითკენ იყო მიმართული, რომ სინათლე ჩაექრო. ის გამომრთველისაკენ გაიქცა. ფეხებში ხალათი ებლანდებოდა, ატლასის სარტყელი ისევ გახსნოდა, შემდეგ ვერაფრით ვერ გაეხსენებინა, ყვიროდა ის ამ დროს თუ არა. მან ფეხი წამოჰკრა პუფს, ძლივს შეიკავა თავი, რომ არ წაქცეულიყო, როგორც იქნა მისწვდა გამომრთველს და ტუალეტის პატარა მაგიდის თავზე ჩამოკიდებული ნათურა ჩააქრო. როდესაც ოთახში სიბნელე ჩამოწვა, სიხარულისაგან ლამის იყვირა.

შეიძლება დაეჭვდეთ იმაში, აპირებდა თუ არა ნედი, — ასეთ მდგომარეობაშიც კი — დაეძახა გზის მეორე მხარეს მცხოვრები სერ მორის ლოუზისათვის. მაგრამ აპირებდა. ეს

ამის გაკეთებას თუ არა — არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

მან მძიმე ფარდები გადასწია და კარნიზზე ხის რგოლები ახმაურდა. მაქმანის ფარდა ასწია და გაიხედა. ეს იყო და ეს.

ის უყურებდა გზის იქით სულ რაღაც ორმოცდაათ ფუტზე მდებარე სერ მორის ლოუზის კაბინეტის განათებულ ფანჯრებს. ეს იყო ფრანგული ფანჯრები, პირდაპირ იატაკიდან რომ იწყებოდა. ფანჯრები ზუსტად წინა შესასვლელის თავზე, რკინის მოაჯირიან ქვის პატარა აივანზე გადიოდა. ფანჯრები ღია იყო. ფოლადის დარაბებიც, ფარდები არ იყო ჩამოფარებული.

მაგრამ კაბინეტში ყველაფერი შეცვლილიყო მას შემდეგ, რაც ნედმა იქეთ სულ რაღაც რამდენიმე წუთის წინ გაიხედა.

— ნედ! — დაუძახა ევამ, რომელსაც სულ უფრო და უფრო იპყრობდა შიში.

არავითარი პასუხი.

— ნედ, რა მოხდა?

ნედმა კაბინეტისაკენ მიუთითა და ეს საკმარისი იყო.

მათ დაინახეს საშუალო სიდიდის ოთახი, რომლის კედლები დაფარული იყო სხვადასხვა სტილისა და ზომის შემინული რაფებით. ფანჯრიდან მთელი ოთახი მოჩანდა. რაფებს შორის ორი სამი წიგნების კარადაც იდგა. წვრილ მოოქროვილ პატარა ფეხებზე მდგარი, ფარჩაგადაკრული ავეჯი მკვეთრად გამოირჩეოდა თეთრი კედლებისა და ნოხის ნაცრისფერ ფონზე.

ნედმა პირველად რომ გაიხედა ფანჯარაში, იქ მხოლოდ მაგიდის ნათურა ენთო. ახლა კი სცენა, რომელმაც ორივე მაყურებელი გააოგნა, ჭაღს გაეჩახჩახებინა.

მარცხენა ფანჯრიდან მოჩანდა სერ მორის ლოუზის დიდი სეკრეტერი. ის მარცხენა კედელთან იდგა. მარჯვენა ფანჯრიდან მოჩანდა მარჯვენა კედელში ჩატანებული თეთრი მარმარილოს ბუხარი. ხოლო უკან, ესე იგი კაბინეტის უკანა კედელში, ფანჯრების პირდაპირ იყო მეორე სართულის ჰოლში გასასვლელი კარი.

მათ თვალწინ ვიღაცამ ფრთხილად გაიხურა ეს კარი. ვიღაც გავიდა კაბინეტიდან. ევამ კარგად ვერ გაარჩია სახე, რომელმაც შემდეგში ასე გააწამა. ნედმა დაინახა ის.

როდესაც ევა ფანჯარასთან მივიდა, ვიღაცამ უკვე მიხურუ-

ლი კარებიდან მუქი ყავისფერ ხელთათმანიანი ხელი გამოყო — ამ სიშორიდან ხელი პატარა ჩანდა. ხელი კარების გვერდზე გამომრთველს შეეხო. მარჯვე თითი გამომრთველს დააწვა და ჭაღი ჩაქრა. ლითონის სახელურიანი თეთრი მძიმე კარი რბილად მიიხურა.

მხოლოდ მაგიდის ნათურა, მწვანე აბაჟურიანი პატარა ნათურა, — როგორიც დაწესებულებებშია ხოლმე, მკრთალად ანათებდა მარცხენა კედელთან მიდგმულ სეკრეტერს და მის გვერდით მდგარ მბრუნავ სკამს. სერი მორის ლოუზი, როგორც ყოველთვის, ფანჯრებისაკენ პროფილით უჯდა სეკრეტერს. მაგრამ ხელში ლუპა აღარ ეჭირა; ამიერიდან მას აღარასოდეს აღარ ეწერა ლუპის ხელში აღება.

ლუპა მაგიდაზე გადაფარებულ საშრობ ქაღალდზე ეგდო. ამ ქაღალდზე — მაგიდის მთელ ზედაპირზე — მიმობნეული იყო რაღაც ნამსხვრევები. უამრავი ნამსხვრევები. უცნაური ნამსხვრევები. გამეცინა, მოწითალო ბრჭყვიალა წინწკლები, რომლებიც ნათურის სინათლეს ვარდისფერი თოვლივით ირეკლავდა. მგონი იქ იყო ოქროს და კიდევ სხვა ნივთები. მაგრამ ფერის გარჩევა ძნელი გახლდათ სისხლის გამო, რომელსაც მთელი მაგიდა და კედელიც მოესვარა.

შემდეგში ევა ნილმა ვერ გაიხსენა რამდენ ხანს იდგა ასე, მოჯადოებულივით. ის საკუთარ თვალებს არ უჯერებდა.

— ნედ, მე ახლა...

— ჩუმად!

სერ მორის ლოუზს თავი გაუტეხეს. მას უამრავი დარტყმა მიაყენეს რაღაც იარაღით, რომელიც, ალბათ, დანაშაულის ჩადენის ადგილზე არ დარჩენილა. მაგიდაზე მიბჯენილი მუხლები აკავებდა გვამს. ნიკაპი მკერდზე ჩამოვარდნოდა; ხელები უღონოდ ჩამოკიდებოდა. სისხლს წითლად შეეღება მთელი სახე.

თავი 4

ასე მოკვდა მორის ლოუზი, ბარონეტი, რომელიც ვესტმინსტერში ცხოვრობდა დედოფალ ანას ქუჩაზე; ხოლო ბოლო დროს ლა ბანდელეტაში რიუ დეზ ანჟზე.

იმ შორეულ დღეებში, როდესაც გაზეთებს არ ჰყოფნიდა ახალი ამბები, მაგრამ ბლომად ჰქონდათ ქაღალდი, ამ სიკვდილმა ააღელვა ინგლისის პრესა. უნდა ვაღიაროთ, რომ იმ დრომდე, სანამ მას საიდუმლო ვითარებაში მოკლავდნენ, ცოტა ვინმემ თუ იცოდა, ვინ იყო სერ მორისი და რისთვის მიიღო ბარონეტობა. მაგრამ ახლა ცხოველი ინტერესი გამოიწვია მისი ცხოვრების ყველა წვრილმანმა. როგორც გამოირკვა, ბარონეტობა, მან ჯილდოდ მიიღო თავისი ჰუმანური მოღვაწეობისათვის. იბრძოდა ჯურღმულების მოსასპობად, ციხის რეჟიმის შემწყნარებლობისათვის, მატროსთა სამსახურის შესამსუბუქებლად. თავის მთავარ გატაცებად ასახელებდა ადამიანთა ხასიათებისა კოლექციების შეგროვებას და გამოკვლევას. ის მიეკუთვნებოდა იმ წინააღმდეგობრივ ნატურათა რიცხვს, რომლებმაც რამდენიმე წლის შემდეგ კინაღამ დაღუპვის პირამდე მიიყვანეს ინგლისი. ის საკმაოდ დიდ თანხას ხარჯავდა საქველმოქმედო მიზნით, იბრძოდა ასიგნებათა მომატებისათვის ღატაკთა დასახმარებლად და ამით გამუდმებით აბეზრებდა თავს ხელისუფლებას. მალე ის საზღვარგარეთ დასახლდა და თავი დააღწია უსამართლო საშემოსავლო გადასახადების გადახდას. დაბალი, ჩასუქებული, აბურძგნულ წვერულვაშიანი, ყრუანჩელა სერ მორის ლოუზი განმარტოებულად ცხოვრობდა. მაგრამ ამ მომხიბვლელი, კეთილი და სასიამოვნო ადამიანის ყველა თვისებამ სრული აღიარება მხოლოდ ოჯახში პოვა. და მან დაიმსახურა ეს აღიარება. ლოზუს თავი არ მოჰქონდა, ერთი უბრალო კაცი იყო.

და აი ვიღაცამ წინასწარ მოფიქრებული სისასტიკით მას თავის ქალა გაუპეპყა. ხოლო ქუჩის მეორე მხარეს, მოპირდაპირე ფანჯარასთან ამ გამაბრუებელ დაფიონზე ორი შეშინებული ბავშვივით იდგნენ ევა ნილი და ნედ ეტვუდი.

ევას განსაკუთრებით საშინლად მოეჩვენა ნათურის ანარეკლი სისხლის პატარ-პატარა გუბეებში. აღარ შეეძლო მისი ყურება და ფანჯარას მოსცილდა.

– ნედ, გამოდი მაქედან

მან არ უპასუხა.

— ნედ, ნუთუ ის...

— მგონი კი. აქედან კარგად არ ჩანს...'

— იქნებ მხოლოდ დაკრეს.

მან კვლავ არ უპასუხა. ამ ორი არსებიდან ქალზე უფრო მგონი მამაკაცი იყო შეძრწუნებული. მაგრამ ეს არაა გასაკვირი. კაცმა დაინახა ის, რაც ქალს არ დაუნახავს. მან დაინახა ყავისფერ ხელთათმანიანი კაცის სახე. ის დაყინებით ეკეროდა განათებულ ოთახს. ყელი გაუშრა, გული ბაგეებამდე უცემდა.

— გვუბნები, იქნებ, მხოლოდ დაკრეს...

ნედმა ჩაახველა.

—. შენი აზრით, ჩვენ უნდა...

— არ შეიძლება, — წაუჩურჩულა ევამ და საბოლოოდ მიხვდა თავისი მდგომარეობის მთელ საშინელებას. — როგორც არ უნდა გსურდეს, არ შეიძლება.

— ჰო, ალბათ.

— მაინც რა შეემთხვა?

ნედმა ლაპარაკი დაიწყო და ხმა ჩაუწყდა. სინამდვილე სპარბობდა ფანტაზიას. ენა ვერ მოატრიალა სათქმელად. სიტყვების მაგიერ პანტომიმას მიმართა და განასახიერა, თუ როგორ შოიქნია ვიღაცამ რაღაც იარაღი და მთელი ძალით დაარტყა. ევამ და ნედმა თითქმის დაკარგეს ხმა. როგორც კი ოდნავ ხმამაღალ ლაპარაკს დაიწყებდნენ, სიტყვები თითქოს ეჭოაო, ისე გაისმოდა საკვამლე მილებში და ორივეს შიშით ენა მუცელში უვარდებოდა. ნედმა კვლავ ჩაახველა.

— დურბინდი ხომ არა გაქვს?

— რად გინდა?

— შენთვის სულერთი არაა. გაქვს?

დურბინდი... ევა ფანჯრის გვერდით, კედელთან იდგა და ცდილობდა გულისყური მოეკრიბა. დურბინდი, დოღი, დოღი. ლონგშანი. ევა ლოუზებმა წაიყვანეს იქ სულ რაღაც რამდენიმე კვირის წინათ. ყველაფერი გაახსენდა: ბრბოს ყვირილი, ჟოკეების ხასხასა პერანგები და ცხენები, მზის დამაბრმავებელ სხივებში ბარიერებს რომ ეღებოდნენ თავს.

მორის ლოუზს ნაცრისფერი ქვაბურა ეხურა და დოღს დურბინდით უყურებდა, როგორც ყოველთვის, ძია ბენი ფსონს ფსონზე ჩადიოდა და აგებდა.

ევას წარმოდგენა არ ჰქონდა და არც სურდა სცოდნოდა,

რად უნდოდა ნედს დურბინდი. უკუნ სიბნელეში ევა ბორძიკ-ბორძიკით მივიდა კომოდთან. ზედა უუთიდან ტყავის ბუდეში ჩაღებული დურბინდი ამოიღო და ნედს გადაუგდო.

ჭერის სინათლე რომ ჩააქრეს, სერ მორისის კაბინეტში უფრო ჰამობნელდა, მაგრამ როდესაც ნედმა დურბინდით მარჯვენა ფანჯარას გახედა, ოთახის ნაწილი გარკვევით გამოჩნდა და მისი თვალთახედვის არეში მოექცა.

ნედი მარჯვენა კედელსა და ბუხარს ათვალიერებდა. თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებული ბუხრის თავზე, კედელზე ეკიდა ბრინჯაოს მედალიონი, რომელზედაც გამოსახული იყო იმპერატორი ნაპოლეონი. აგვისტოს ამ ღამეს ბუხარში ცეცხლი არ ენთო და გობელენის ეკრანი ჰქონდა ჩამოფარებული. გისოსის თაკზე ეკიდა ბუხრის მოწყობილობები: ცეცხლის საჩხრეკი, მაშა, აქანდაზი.

— თუ, — დაიწყო ნედმა, — ეს ცეცხლის საჩხრეკი...

— რა?

— აჰა, გაიხედე.

— არ შემიძლია!

ევას ეგონა, რომ ნედი ამ სიტყვებზე გადაიხარხარებდა. მაგრამ ნედ ეტვუდსაც კი არ ეყო ამაზე იუმორის გრძნობა. ის მიტკალივით გათეთრდა და ხელები აუკანკალდა, დურბინდს ბუდეში რომ დებდა.

— ასეთი ნორმალური სახლი, — შენიშნა მან და თავით კაბინეტისაკენ ანიშნა, სადაც თავის საოცარ განძეულობას შორის იჯდა გასისხლიანებული პატრონი, — ასეთი ნორმალური სახლი. შენ მგონი ასე თქვი, არა?

ევამ იგრძნო, რომ ყელში გაჩხერილი ბურთი საცაა დაახრჩობდა.

— მაშასადამე, შენ დაინახე, ვინც იყო ის?

— სწორედ რომ დავინახე.

— დაინახე, როგორ მოკლა მძარცველმა ის?

— არა, მკვლელი მუშაობის დროს არ დამინახავს. ფანჯრიდან რომ გავიხედე, ყავისფერ ხელთათმანებს თავისი სამუშაო უკვე მომთავრებული ჰქონდათ.

— აბა რა დაინახე?

— დავინახე, როგორ ჰკიდებდა ყავისფერი ხელთათმანქ-

ბით ცეცხლის საჩხრეკს თავის ადგილზე, როდესაც საქმე უკვე მომთავრებული ჰქონდა.

— შეგიძლია ამოიცნო მძარცველი?

— ტყუილად დაიჟინე ეს. მძარცველის თაობაზე.

პირდაპირ განათებულ კაბინეტში ისევ გაიღო კარი.

მაგრამ ამჯერად თამამად, არც უხმაუროდ და არც ფრთხილად. დიახ, კარი გააღეს ფართოდ და გაბედულად და ზღურბლზე გამოჩნდა არა საშინელი პიროვნება, არამედ ელენა როუზი.

მიუხედავად სუსტი განათებულობისა, ელენას ყოველი მოძრაობა კარგად მოჩანდა, გეგონებოდა იქვე გვერდით დგასო. ეს იმიტომ, რომ საერთოდ მისი ჟესტები გამომხატველობით გამოირჩეოდა. მგონი თითოეული მისი ფიქრის გაგება შეიძლებოდა. როდესაც ის ზღურბლზე გამოჩნდა, ტუჩები უცმაცუნებდა. ვარაუდით თუ ტუჩების ცმაცუნით, თუ ერთითაც და მეორითაც, ევასა და ნედს თითქოს ესმოდათ ყოველი მისი სიტყვა.

— მორის, ბოლოს და ბოლოს როდისღა უნდა დაიძინო?

ელენა, რომელსაც არავინ არასდროს ლედი ლოუზს არ უწოდებდა, სქელი, საშუალო სიმაღლის პირმრგვალი ქალი იყო. ხუჭუჭ თმებში ჭაღარა შეჰპარვოდა. ძვირფასი აბრეშუმის გრძელ, ფართოსახელოებიან იაპონურ კიმონოში გახვეულიყო და გაბედულად აფრატუნებდა საშინაო ქოშებს, კარებში შეჩერდა და ისევ ალაპარაკდა. ჭერის სინათლე აანთო. შემდეგ უფრო მაგრად დაიკრიფა გულზე ხელები და ქმრისაკენ წავიდა, რომელიც მისკენ ზურგშექცევით იჯდა.

ბეცი ელენა ვერაფერს ამჩნევდა და ქმარს თავზე დაადგა. მისი მოქანავე ჩრდილი პირველი ფანჯრიდან ქუჩაზე დაეცა, მერე ელენა გაუჩინარდა, მერე მეორე ფანჯარაში გამოჩნდა. — ქორწინების ოცდაათი წლის მანძილზე ელენა ლოუზი იშვიათად უნახავს ვინმეს მოწყენილი. ამიტომ განსაკუთრებით შემზარავი სანახავი იყო ის, როდესაც სერ მორისისაგან განზე გახტა და დაიყვირა. გულგამგმირავმა და გაბმულმა კივილმა დაარღვია ღამის მყუდროება და მთელ ქუჩას მოედო, თითქოს უნდა ყველა და ყველაფერი გააღვიძოსო.

ევა ნილმა მშვიდად თქვა:

— ახლა კი წადი, ნედ. სწრაფად!

ის კვლავინდებურად ადგილიდან არ იძვროდა.

ევამ ხელში სტაცა ხელი.

— ელენა ჩემთან გამოიქცევა! აი ნახავ. მერე კი — პოლიცია. წუთის შემდეგ მთელ ქუჩას შეკრავენ. ახლავე თუ არ წახვალ, — დავიღუპებით.

ხმა სასოწარკვეთილმა კვნესამ ჩაუწყვიტა და ევა არ უშვებდა მის ხელს.

— ნედ, მართლა აპირებდი... მისთვის დაძახებას ჩემს გასაცემად?

ნედმა ხელი ასწია და თვალებზე გრძელი, ძლიერი თითები ფიფარა. ის მხრებში მოიხარა.

— რასაკვირველია. მე სრულებითაც არ მინდოდა, უბრალოდ ნერვებმა მიმტყუნა. ეს იყო და ეს. მომიტევე.

— მაშ მიდიხარ?

— დიახ, ევა, პატიოსან სიტყვას გეუბნები, არ ვაპირებდი...

— ქუდი საწოლზეა. აი.

ის საწოლს მივარდა და საბანზე ხელის ფათურით ძებნა დაიწყო.

— გზას გაიგნებ სიბნელეში, სინათლეს არ ავანთებ.

— რატომ?

— ივეტას გამო. ახალი მოსამსახურის გამო!

ევას თვალწინ წარმოუდგა ივეტა — ხანში შესული, დინჯი, მაგრამ გამრჯე და მკვირცხლი ქალი. მართალია, ივეტა არასდროს არ ამბობდა ზედმეტ სიტყვას, მაგრამ თითოეულ მის ჟესტში იმალებოდა განსაკუთრებული აზრი, ყველაფერზე, რაც კი თვალში ხვდებოდა. ის ტობი ლოუზსაც რაღაც უცნაურად უყურებდა, მაგრამ რატომ, ვერაფრით ვერ გაეგო ევას. ევასთვის მისი მოსამსახურე ქალი ხალხში გავარდნილი ხმებისა და ჭორის და მითქმა-მოთქმის განსახიერება გახდა. უეცრად ევამ წარმოიდგინა, რომ მოუწევდა სასამართლოში მოწამედ გამოცხადება და სიმართლის თქმა: „როდესაც სერ მორის ლოუზის მკვლელობა მოხდა, ჩემს საწოლ ოთახში იმყოფებოდა მამაკაცი. ცხადია, სრული უბიწოება იყო“.

რასაკვირველია, რასაკვირველია, რასაკვირველია: სიცილი — და ბოლოს თავშეუკავებელი ხარხარი.

ევამ ხმამაღლა თქვა:

— ივეტას მაღლა სძინავს. რასაკვირველია, გაიღვიძებს. ეს ყვირილი ვის არ გააღვიძებს.

ყვირილი მართლაც არ წყდებოდა. ღმერთო ჩემო, როდის დამთავრდება? ევამ, როგორც იქნა, იპოვა ქუდი და ნედს გადაუგდო.

— მითხარი ევა, ნუთუ მართლა წამოეგე იმ არარაობის ანკესზე?

— რა არარაობის ანკესზე?

— ტობი ლოუზისა.

— ოჰ, ნახე შენც დრო შეკითხვისათვის!

— სანამ ადამიანი ცოცხალია,—მოიგერია შემოტევა ნედმა, — ყოველთვის გამონახავს სიყვარულზე ლაპარაკის დროს.

ის წასვლას არ აპირებდა. ევას ლამის თვითონ ეყვირა. საშინლად კრუნჩხავდა და შლიდა ხელებს, თითქოს უშუალო ფიზიკური ზემოქმედების ნაცვლად შთაგონების ძალას შეეძლო ებიძგებინა მისთვის კარებისაკენ.

მოპირდაპირე სახლში შეწყდა ელენას ყვირილი. ერთბაშად ჩამოვარდნილმა სიჩუმემ ყურები ატკინა: დაფის აპკები ყოველ წუთს ელოდა გამალებული ნაბიჯების ხმას, რაც agehlt de police[1]-ს გამოჩენის მაუწყებელი იქნებოდა. მაგრამ ევას ფანჯრისაკენ გაექცა თვალი და სულ სხვა რამ დაინახა.

ელენა როუზს მიმატებოდა ორი სხვა პირი, მისი ერთობ ლამაზი ქალიშვილი ჯენისი და ძმა ბენი. ისინი უხერხულად გახირულიყვნენ კარებში, თითქოს სინათლეს დაუბრმავებიაო. ევამ დაინახა ჯენისის წითელი თმები და ძია ბენის შეშფოთებული სახე. ცალკეული, განსაკუთრებით ხმამაღლა წარმოთქმული სიტყვები არღვევდა ღამის მყუდროებას და ქუჩის მეორე მხარეს ისმოდა.

უცებ მას ნედის ხმა ჩაესმა.

— კმარა! — დაიყვირა მან. — წამიც და შენ თვითონ დაგემართება ისტერიკა. წყნარად! ისინი ვერ შემამჩნევენ. უკანა გასასვლელიდან გავალ.

[1] პოლიციის (ფრანგ.)

— ოღონდ ჯერ გასაღები დამიბრუნე.

მან მშვიდად ასწია წარბები, მაგრამ ევა ეცა მას.

— თავს ნუ იკატუნებ. არ დაგიტოვებ შემოსასვლელი კარების გასაღებს. აბა!

— არა, საყვარელო. გასაღები მე მექნება.

— შენ ხომ პატიება ითხოვე, ასე არ არის? ჰოდა, პატიოსნების ნატამალი მაინც თუ გაგაჩნია!.. ნუთუ ისიც არაა შენთვის საკმარისი, ასეთ მდგომარეობაში რომ ჩამაყენე დღეს!..

ევამ იგრძნო, რომ ის შეყოყმანდა.

ნედი ყოველთვის ნანობდა, ადამიანებს ტკივილს რომ აყენებდა.

— თუ მომცემ, იქნებ კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს.

— სერიოზულად ამბობ?

— მომეცი გასაღები!

უკვე წამის შემდეგ ის თითქმის ნანობდა თავისი მოთხოვნის გამო. რგოლიდან გასაღების მოხსნას მან მოანდომა წარმოუდგენლად დიდი დრო — მთელი საუკუნე. ევა, ცხადია, მეტად ბღარ აპირებდა მასთან შეხვედრას, მაგრამ ის ისეთ მდგომარეობამდე მივიდა, რომ მზად იყო ყველაფერს შეპირებოდა, რასაც მოისურვებდა. მან გასაღები პიჟამოს გულის ჯიბეში ჩაიდო და ნედს კარებისაკენ უბიძგა.

ივეტას, როგორც ჩანს, არ გაეღვიძა. მეორე სართულის ჰოლში სიჩუმე და სიბნელე იყო. მაგრამ ერთ უფარდებო ფანჯრიდან სუსტი სინათლე გამოდიოდა და ნედი იოლად მივიდა კიბემდე. მაგრამ ევას ერთი სული ჰქონდა კიდევ ერთი შეკითხვა მიეცა.

მთელი სიცოცხლის მანძილზე მძიმე განცდებისა ეშინოდა. და ახლაც უნდოდა დაეთრგუნა შიში, რომელიც მასში აღძრა თეთრკედლებიან, მოოქროვილი ავეჯით გაწყობილ კაბინეტში სერ მორის ლოუზის ცეცხლის საჩხრეკით გაჭეჭყილმა თავმა. მაგრამ ამჯერად შიშის დათრგუნვა შეუძლებელი იყო. აქ უკვე ბევრი რამ პირადად მას ეხებოდა. მას თვალწინ წარმოუდგა რატუშის კოშკის დიდი საათი, სადაც მოთავსებული იყო პოლიციის პრეფექტურა. თვალწინ წარმოუდგა თვით პრეფექტი მუსიე გორონი, მტრედისფრად განათებული დილა და გილიოტინა.

— ნედ, ის ხომ მართლა მძარცველი იყო?

— საოცარია, — თქვა უეცრად ნედმა.

— რა არის საოცარი?

— როდესაც მე აქ მოვედი, ჰოლში ისე ბნელოდა, როგორც ზანგის კუჭში. ღმერთი-რჯული ამ ფანჯარას ფარდები ეფარა. — მან თითი მიადო უფარდებო ფანჯარას. რაც მეტს ლაპარაკობდა, მისი ვარაუდი უფრო დამაჯერებელი ხდებოდა. მე ხომ ამ მავთულის წნელს წამოვკარი ფეხი. აქ რომ ოდნავი სინათლე მაინც ყოფილიყო, ხომ არ წამოვკრავდი. რა ამბები ხდება ამ სახლში!

— სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ. მითხარი, ის ხომ მართლა მძარცველი იყო?

ნედმა ღრმად ამოიოხრა.

— არა, ბებრუხუნავ! შენც ძალიან კარგად იცი ეს.

— ნუ სტყუი. სულ ერთია, არ დაგიჯერებ!

— ნუ სულელობ, ჩემო სიხარულო. — ნედი ლაპარაკობდა ძალიან მშვიდად, ბინდბუნდში თვალები უბრწყინავდა.

— ჩემს სიცოცხლეში ვერ ვიფიქრებდი, უმწეოთა დამცველი თუ გავხდებოდი. მაგრამ შენ, ჩემო ლამაზო... შენ...

— რა ამბავია კიდევ?

— ნუ გამოხვალ სახლიდან მარტო.

ჯიბე შავ ორმოსავით ეშვებოდა დაბლა. ნედმა ისე დაადო ხელი მოაჯირებს, თითქოს მის გაფართოებას აპირებსო.

— აი მე სულ იმას ვფიქრობდი, მეთქვა თუ არა შენთვის, — ის ეტყობა, თითოეულ სიტყვას ეძებდა.—ვერ ვიტან მორალს საერთოდ და კერძოდ სექსუალურ საკითხებში. მაგრამ, გესმის, უცებ გამახსენდა, რომ სიტუაცია ახალი არაა. მახსოვს პირდაპირ სიცილით ვკვდებოდი, როდესაც მიყვებოდნენ, რომ ასეთივე ამბავი ჯერ კიდევ დედოფალ ვიქტორიას დროს მოხდაო.

— კი მაგრამ რაზე ლაპარაკობ?

— გახსოვს? თითქოს ასი წლის წინათ ვიღაც ლორდი მოკლა მისმა საკუთარმა კამერდინერმა....

— მაგრამ საბრალო სერ მორისს არ ჰყავდა კამერდინერი.

— საყვარელო, თუ შენ კვლავაც ყველაფერს სიტყვა-სი-

ტყვით გაიგებ, ავდგები და მიგტყეპავ. რა, არასდროს არ გაგიგონია ეს ისტორია?

— არ გამიგონია.

— მგონი, მკვლელობა მოპირდაპირე ფანჯრიდან დაინახა ერთმა კაცმა. მაგრამ მას არ შეეძლო მკვლელობის დადასტურება იმიტომ, რომ თვითონ ამ დროს ქმრიანი ქალის საწოლ ოთახში იმყოფებოდა და ცუდ მდგომარეობაში ვერ ჩააყენებდა მას. ჰოდა, როდესაც უდანაშაულო დაიჭირეს, რა უნდა ექნა? რასაკვირველია, ყველაფერი ეს მითია. მკვლელი ამ შემთხვევაში ამხილეს, მაგრამ ამ ისტორიას დღემდე იმიტომ ყვებიან, რომ ყოველთვის სასიამოვნო მოსასმენია, თუ როგორ გაება პატიოსანი წყვილი. მე ეს დღემდე სასაცილოდ მიმაჩნდა.

ცოტა ხანს გაჩუმდა და ისევ დაიწყო:

— არაა, სასაცილო. ღმერთმანი, არაა სასაცილო.

— ნედ, ვინ ჩაიდინა ეს? ვინ მოკლა?

მგონი ის ისე იყო გატაცებული დიდი ხნის წინათ მომხდარი ისტორიით, რომ ვერ გაიგონა მისი შეკითხვა ახლახან მომხდარ ამბავს რომ შეეხებოდა. ან უბრალოდ ისეთი სახე მიიღო, ვითომ ვერ გაიგონა.

— თუ არ მეშლება, ამის შესახებ შემდეგ პიესაც დაწერეს.

— ნედ, ღვთის გულისათვის, სული ნუ ამომართვი!

— ყური დამიგდე. ეს მნიშვნელოვანია.

ევა სიბნელეში ხედავდა მის თეთრ სახეს.

— იქ პიესაში ასეთი დასასრულია — საწყალმა კაცმა თითქოს პოლიციას წერილი მისწერა, გასცა მკვლელი და საქმე მოთავებულად მიიჩნია. მაგრამ სინამდვილეში განა ამით მთავრდება? სინამდვილეში მოწმეები სასამართლოში უნდა გამოცხადდნენ და ჩვენებები მისცენ.

ბრისხანე სიტყვა „სასამართლოს“ ხსენებაზე ევამ ისევ მხარზე მოუჭირა ხელი ნედს. მაგრამ ნედმა დაამშვიდა. ის უკვე ჩავიდა ერთი საფეხურით დაბლა. ახლა უკან მოიხედა. მათი დახშული ხმები სულ უფრო სასოწარკვეთილი და წყნარი ხდებოდა.

— ნუ გეშინია. ვერ ჩაგრევენ. მე შევეცდები.

— არ ეტყვი პოლიციას?

— არავის არაფერს არ ვეტყვი.

— მაგრამ მე მაინც მითხარი. ვინ მოკლა?

მან მხარი გაითავისუფლა და კიდევ ერთი საფეხურით დაბლა ჩავიდა. მარცხენა ხელი მოაჯირზე ეკიდა და უკან უკან მიდიოდა. მისი სახე, რომელზედაც მხოლოდ მბზინავი კბილები მოუჩანდა, თანდათან წყვდიადში უჩინარდებოდა.

ევას თავში იმდენად საძაგელმა აზრმა გაუელვა, რომ მისი ახსნა მხოლოდ მეტისმეტი ნერვული დაძაბულობით შეიძლებოდა.

— არ გინდა, — უთხრა ნედმა (ის მუდამ ხვდებოდა მის აზრებს) — ნუ იტანჯები. არ გეგონოს, ვინმე შინაური იყოს, ვისი გულისთვისაც ღირდეს შენი ნერვიულობა.

— მართლა?

— დიახ, — უპასუხა მან. — ნამდვილად.

— განგებ მაწვალებ?

ნედი სრულიად მშვიდად ლაპარაკობდა.

— პირიქით. მინდა მტლად დაგედო და ყოველი დარტყმისაგან დაგიცვა. თაყვანისმცემლები გითვალთვალებენ. ოღონდ ღმერთო ჩემო! შენი ასაკის და გამრცდილების ქალი დროა განიკურნოს ამ ცინგლიანი მიმნდობელობისაგან. მაგრამ კარგი, — მან ღრმად ამოიოხრა. — ადრე თუ გვიან, სულ ერთია მაინც გაიგებ...

— თქვი, რაღა!

— როდესაც ჩვენ იმ ფანჯრებს პირველად ვუყურებდით... გახსოვს?

ევამ ვერა და ვერ მოიშორა საშინელი მოჩვენება, ნედი ევას უყურებდა, მას კი თვალწინ ედგა მარცხენა კედელთან მდგარი დიდი სეკრეტერი და სერ მორისი ლუპით ხელში. მას მრავალგზის უნახავს ის ასეთ პოზაში მანამდე, სანამ თავზე სისხლის ქუდი დაეხურებოდა.

— როდესაც იქითკენ პირველად გავიხედეთ, მე გითხარი, მგონი იქ მოხუცთან კიდევ ვიღაც არის-მეთქი, -მაგრამ ვინ, ვერ დავინახე.

მერე?

— ხოლო მეორედ, როდესაც უკვე აინთო ჭერის სინათლე...

ევაც ჩავიდა ერთი საფეხურით. აღარ აპირებდა მისთვის ხელის კვრას. მაგრამ, საუბედუროდ, სწორედ ამ დროს გაისმა პოლიციელის სასტვენის ხმა.

სასტვენის ხმა არ წყდებოდა დაბლა და მთელი მხარის პოლიციელებს უხმობდა მკვლელობის ადგილზე — არარსებული მძარცველის დასაჭერად.

სასტვენის წივილი კვლავ ამოვარდა ზევით და გაღებულ ფანჯარაში შემოიჭრა. მკვეთრი ხმისაგან შემკრთალმა ევამ იგრძნო მხოლოდ ერთი რამ: დაუოკებელი სურვილი ხელი ეკრა ნედისათვის გასასვლელისაკენ, გაეგდო კარებში და მალე დაეღწია თავი საშიშროებისაგან. მას ხელები ნედის მხრებზე ეწყო და ჰკრა კიდეც.

ნედმა დაყვირებაც ვერ მოასწრო. ის ზურგით იდგა კიბის ორმოსაკენ, მარცხენა ხელი ოდნავ ეკიდა მოაჯირზე და ფეხი საფეხურის კიდეზე უცურდებოდა. მან მოაჯირს ხელი გაუშვა, დაბარბაცდა, ღვარძლიანად შეიგინა და ზუსტად ავბედით წნელს გადააბიჯა. ევამ ერთხელ კიდევ მოჰკრა თვალი მისი სახის შეძრწუნებულ უებრო გამომეტყველებას. წამის შემდეგ ის უკვე ქვევითკენ მიფრინავდა.

თ ა ვ ი 5

იმ კაცის მიერ ატეხილ ხმაურს, რომელმაც დაქანებული კიბის თექვსმეტი საფეხური ჩაირბინა და ქვემოთ თავით კედელს მიეხეთქა, თითქოს მთელი სახლი უნდა შეეზანზარებინა.

მაგრამ შემდეგ ევამ გაიხსენა, რომ ხმაური თითქმის არ ყოფილა. შესაძლოა უფრო დიდ გრუხუნს მოელოდა ან იქნებ უბრალოდ შოკმა დააყრუა. იმ მომენტსა, როდესაც ნედი ქვევითკენ გაფრინდა და იმ მომენტს შორის, როდესაც ის სუნთქვაშეკრული მისკენ დაიხარა, როგორც მას მოეჩვენა, მხოლოდ წამის მეათედმა განვლო.

ევას არავითარი ბოროტება არ ედო გულში. და აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ასეთ კარგ, ლამაზ ქალზე, რომელშიც მშვენიერი მანერები და მიმზიდველობა იყო შერწყმული,

საერთოდ შეიძლებოდა ეჭვი მიეტანათ ბოროტ განზრახვაში. ის, რა თქმა უნდა, გრძნობდა სკანდალის საფრთხეს, მაგრამ არასდროს არ ცდილობდა გაერკვია რა მიზეზის გამო მოელოდა ეს საფრთხე.

ევა გონს მოვიდა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მოკლა ნედ ეტვუდი. ქვედა ჰოლში ისე ბნელოდა, რომ ფეხი წამოჰკრა გაშხლართულ სხეულს. აი კოშმარის შესაფერისი დაბოლოება, საკმარისია გააღო კარი, დაუძახო პოლიციას და საქმე გათავებულია. ის ლამის ატირდა შვებისაგან, როდესაც საკარაუდო გვამი გაინძრა და ალაპარაკდა:

— რას სჩადი? რატომ გადმომაგდე კიბიდან?

შვების ტალღა მოაწვა და ისევ გაუარა გულის რევასავით.

— წამოდგომა შეგიძლია? ხომ არ დაშავდი?

— რასაკვირველია, არა. მხოლოდ დავენარცხე. აბა, გამაგებინე, რაშია საქმე?

— ს-ს-ს!

ოთხზე წამოდგა, ქანაობდა და ფეხზე დადგომას ლამობდა. მართალია, მისი ხმა თითქმის ჩვეულებრივად, მაგრამ არცთუ ისე მტკიცედ ეღერდა.

ევა მისკენ დაიხარა და წამოდგომაში შეეშველა. მან ნედს სახეზე და თმაზე ხელი გადაუსვა და შიშისაგან სწრაფად უკან გასწია სისხლით მოსვრილი ხელი.

— დაშავდი!

— არაფერია! უბრალოდ დავენარცხე. მხარი მტკივა. ღმერთო ჩემო, ლაზათიანი ტყაპანი კი მოვადინე. მისმინე, მაინც რატომ მკარი ხელი?

— მთელი სახე სისხლით გაქვს მოსვრილი! ასანთი გაქვს? ან სანთებელა? აბა, ერთი აანთე!

მან მაშინვე არ უპასუხა.

— სისხლი ცხვირიდან მომდის. ვგრძნობ. უცნაური კია. ცხვირი მგონი არ გამტეხია. სანთებელა მაქვს. აი, ვიპოვე.

აინთო პაწაწინა ალი, სანამ ის ცხვირსახოცს ეძებდა, ევამ სანთებელა გამოართვა და მაღლა ასწია, უკეთ რომ დაენახა ნედი. მგონი, ყველაფერი რიგზეა, მხოლოდ თმები აქვს აწეწილი და ლაბადა დასვრილი. ცხვირიდან სისხლი სდიოდა. ევას გააკრთოლა, თავის ხელზე სისხლი რომ დაინახა. ნედმა იოლად

შეიჩერა სისხლის დენა და ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიდო. შემდეგ იატაკიდან დაჭმუჭნილი ქუდი აიღო, გაბერტყა და თავზე ჩამოიფხატა.

ნედი იბუტებოდა და გაოცებული იყო. ეს აშკარად ეტყობოდა სახეზე. წამდაუწუმ ილოკავდა ტუჩებს, ყლაპავდა ნერწყვს, თითქოს რაღაც გამოუცნობს გემოს უსინჯავსო. ის თავს იქნევდა და მხრებს იჩეჩდა, ისინჯავდა ხომ არ მტკივაო. მთლად გაფითრებულიყო და ცისფერი თვალები მოჭუტვოდა.

— მართლა შეგიძლია სიარული?

— ნუ ღელავ. მადლობთ, — უეცრად მან უხეშად გამოგლიჯა ხელიდან სანთებელა და ჩააქრო. ნედი გამძვინვარდა ვითარცა მხეცი. ევასთვის ეს ახალი არ იყო, იცოდა მისი ხასიათი.

— საოცარია. ძალზე საოცარი. მაგრამ კარგი, საკმარისია. გინდოდა სული გაგეფრთხობინებინა, აქედან მაინც გამიშვი, ღვთის გულისათვის.

დიახ. ნედ ეტვუდი არ გამოცვლილა, წარსულის საშინელი აჩრდილი... მან კი, სულელმა, კინაღამ იფიქრა...

ჩუმად შეიპარნენ სამზარეულოში და უკანა გასასვლელისაკენ გაიძურწნენ. ევამ ინგლისური საკეტი გააღო.

ქვის რამდენიმე საფეხური ადიოდა ქვის მაღალი კედლით შემოღობილი პატარა ბაღისაკენ. აქედან უკანა ეზოთი კაზინოს ბულვართან შეიძლებოდა გასვლა.

სამარისებურ სიჩუმეში უკანა გასასვლელის კარმა გაიჭრიალა. სახეზე ნამძინარევი თბილი ნიავი მოესალბუნა, სველი ბალახისა და ვარდის სასიამოვნო სუნი რომ უდიოდა. შორს, სახურავების თავზე, ყოველ ოც წამში ინთებოდა და ქრებოდა შუქურას სხივი. ორივე წამით ბაღისაკენ მიმავალ ქვის საფეხურებთან შეჩერდა. ამასობაში კი წინა შესასვლელიდან მოისმა ხმები, რომლებიც იუწყებოდნენ, რომ პოლიცია უკვე მოსულიყო.

ევამ ყურში ჩასჩურჩულა:

— ნედ, მოიცა. გინდოდა ჩემთვის გეთქვა, ვინ...

— ღამე მშვიდობისა, — თავაზიანად წარმოთქვა ნედ ეტვუდმა.

ნედმა დაბნეულად და უგულოდ აკოცა ტუჩებში და ევამ

იგრძნო სისხლის სუნი. მან აიწია ქუდი, შემოტრიალდა, ტანის რხევით ავიდა საფეხურებზე, დინჯი ნაბიჯებით გადაჭრა ეზო და ქუჩაში გავიდა.

ევა დაძახებას ვერ ბედავდა, თუმცა ისე აღელდა, რომ რაღაცნაირად ჩახლეჩილი კვნესა აღმოხდა. მან საფეხურები აირბინა და გამალებით დაიწყო ხელების ქნევა. მაგრამ ნედს ეს არ შეუმჩნევია. ცხადია, ასეთ მდგომარეობაში ევამ ვერ გაიგონა, თუ როგორ გაიჭრიალა უკანა კარმა.

როგორც იქნა ნედი წავიდა და საშიშროებამ განვლო. შეუძლია შვებით ამოისუნთქოს. შეუძლია არ ეშინოდეს მზილებისა. ასე ფიქრობდა ევა.

მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. ბუნდოვანი შიში თან სდევდა ევას. ის სერიოზულად შეაშინა ნედ ეტვუდმა. უქნარა და ქარაფშუტასაგან, როგორსაც ყოველთვის იცნობდა ევა, ნედი თითქოს უეცრად ჯადოქრობით მიუკარებელ და თავზარდამცემ გადამთიელად გადაქცეულიყო. დილისათვის ალბათ ყველაფერი მოგვარდებოდა... მაგრამ...

ევამ ღრმად ამოიოხრა. საფეხურებით ისევ დაბლა ჩავიდა, ხელი მოჰკიდა კარის სახელურს და გაქვავდა. კარი დაკეტილი იყო.

ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში ზოგჯერ გამოერევა ხოლმე ერთი მშვენიერი (უფრო სწორად, საშინელი) დღე, როდესაც ყველაფერი თავდაყირა დგება, მაგრამ რისგან, ცნობილი არ არის. ქალებს ეს უფრო ხშირად ემართება, ვიდრე მამაკაცებს. ვთქვათ, საუზმისათვის ერბოკვერცხის შეწვას აპირებთ და კვერცხი იატაკზე დაგივარდათ — თითქოს არაფერია, მაგრამ ქალისთვის პირდაპირ წამებაა. შემდეგ რაღაცას ტეხთ სასტუმრო ოთახში. თითქმის ყველაფერი ხელიდან გივარდებათ. სამეურნეო უწესივრობანი, მრავალი კვირის მანძილზე რომ თელემდნენ როგორც გველები აცივებისას, უეცრად იღვიძებენ და იგესლებიან. თითქოს უსულო საგნებიც ავსულებს შეუპყრიათ და არაფერი დაგრჩენიათ, გარდა იმისა, რომ სასოწარკვეთილმა წამოიძახოთ: „რისთვის? განა რა ჩავიდინე ისეთი?“

ასეთსავე გრძნობებს განიცდიდა ევა, უიმედოდ რომ აწვალებდა კარის სახელურს.

დიახ, მაგრამ...

მაინც რანაირად ჩაიკეტა კარი?

ქარი არ ყოფილა. თუმცა ღამე გრილი იყო, ვიდრე ამას ევა მოელოდა, მაგრამ არცერთი ფოთოლი არ ირხეოდა ბაღში კაშკაშა ვარსკვლავებით მოქედილ ცის ქვეშ.

მაგრამ რა განსხვავებაა? თუ კი ეწერა, რომ მოულოდნელად ამდენი უბედურება უნდა დატყდომოდა თავს, რა აზრი აქვს იმის გარკვევას, რისგან და რატომ? სჯობს მოიფიქროს, როგორ შეავიდეს სახლში. ყოველ წუთს შეიძლება თავს დაესხას პოლიცია.

დააკაკუნოს?

გააღვიძოს ივეტა? პატარა შავთვალებიანი და ცხვირის ფუძესთან წარბებგადაბმულ ცივი სახის გაფიქრებაზე ევას გააკრკოლა. აქ უკვე სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ივეტა იყო მისი ცხოვრების ენით აუწერელი კოშმარი. მაგრამ როგორ შეავიდეს სახლში? ფანჯრიდან არ შეიძლება, ქვედა ფანჯრებს ყოველ საღამოს ხურავდნენ და კეტავდნენ მთელი ღამით.

ევამ ხელი შუბლთან მიიტანა და ისევ სისხლის სუნი იგრძნო, უმალვე ხელი უკან წაიღო. ახლა იმას არ იკითხავთ, როგორ გამოიყურებოდა! ტანსაცმელზე დაიხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა, ისევ ბნელოდა. სამაგიეროდ, სანამ უფრო სუფთა მარცხენა ხელით ხალათს ისინჯავდა, პიჟამას ჯიბეში ნედ ეტვუდის წინა შესასვლელის გასაღები იპოვა.

შინაგანი ხმა ეუბნებოდა: ქუჩა პოლიციელებითაა სავსე! იქ არ შეიძლება! მეორე ხმა კი ჩასჩურჩულებდა, ქვის კედელი დაგიფარავს უცხო თვალისგან, სახლს ირგვლივ შემოუვლი და უჩინრად შევარდები კარშიო.

ევამ ერთბაშად ვერ გაბედა, მაგრამ იგრძნო, რომ ყოველ წამს საფრთხე მოელოდა და ბოლოს გაიქცა. ცდილობდა სახლთან ახლოს ყოფილიყო. მძიმედ სუნთქავდა. სახლს შემოუარა — და ტობი ლოუზის პირისპირ აღმოჩნდა.

მაგრამ ტობიმ ვერ დაინახა. ამაში მაინც გაუღიმა ბედმა.

მოხდა ისე, როგორც იწინასწარმეტყველა: ისინი მოვიდნენ მასთან. ტობიმ. რომელსაც პიჟამაზე გრძელი ლაბადა ჩაეცვა, ქუჩა გადაკვეთა და მირამარის ვილის ჭიშკრის გაღება დააპირა.

ვილას გარს ერტყა ცხრა ფუტის სიმაღლის კედელი და გისოსის თაღიანი ჭიშკარი ჰქონდა. ანგელოზების ქუჩის მაღალი, მკრთალი ფარნები — სიბნელიდან იტაცებდნენ წაბლის ხეების სიმწვანეს, წყვდიადში ფლავდნენ მირამარის ვილის ბაღს და თავით ფეხთამდე ანათებდნენ ტობის ფიგურას. პოლიციელების არავითარი ჯარი არ აღმოჩნდა რიუ დეზ ანჟზე. პირიქით, ერთადერთმა თავგამოდებულმა აგენტმა იხსნა ევა მხილებისაგან. როგორც კი ტობი ჭიშკართან მიიჭრა, მის ზურგს უკან გაისმა ომახიანი ხმა:

— ახალგაზრდა, შესდექ! — მოუწოდებდა ხმა.—ამას რას ვხედავ? ინგლისურად მიდიხართ, ჰა, რა იყო? რა, რა, რა?

ამ შეძახილების კორიანტელმა, რომელსაც ნაბიჯების ხმაც ემატებოდა, რიუ დეზ ანჟის მყუდროება დაარღვია

ტობი შემობრუნდა, ხელები გაშალა და ფრანგულად უპასუხა. ლაპარაკობდა სწრაფად, მაგრამ არასასიამოვნო აქცენტით, რომელსაც როგორც ევა ეჭვობდა, განგებ არ იშლიდა, რათა არაფერი არ დაეთმო შეჩვენებული უცხოელებისათვის.

— უბრალოდ მივდივარ, — ღრიალებდა ის, — ქალბატონ ნილთან. აი აქ. — და მუშტები დაუშინა ჭიშკარს.

— არა მუსიე. თქვენ სახლიდან გამოსვლის ნება არა გაქვთ. კეთილი ინებეთ და დაბრუნდით. სწრაფად, სწრაფად, სწრაფად!

— მაგრამ ხომ გითხარით?..

— გთხოვთ, დაბრუნდეთ. თავი დაანებეთ ყოველგვარ სისულელეს.

სასოწარკვეთის ნიშნად ტობიმ ხელი ჩაიქნია. ევამ დაინახა, რომ ის ისევ შეტრიალდა. ფარნის სინათლე ხშირ შავ თმებსა და პატარა ულვაშებიან კეთილ სახეზე ეცემოდა. ტობიმ ხელები ცისკენ აღაპყრო. ის რომ ძლიერ იტანჯებოდა, ამაში ახლა ეჭვი არავის შეეპარებოდა, ევას ხომ მითუმეტეს.

— ბატონო ინსპექტორო,—უთხრა მან (ნუ დაგვავიწყდება, რომ ფრანგული inspecteur მხოლოდ და მხოლოდ პოლიციელს ნიშნავს),—დედაჩემი მაინც შეიბრალეთ. მას ხომ ისტერიკა დაემართა. თქვენ ნახეთ.

— ოჰ! — აღმოხდა კანონის მსახურს.

— მან ქალბატონ ნილის მოსაყვანად გამომგზავნა. მხოლოდ ქალბატონ ნილს შეუძლია მისი შველა. და სრულიადაც არ ვაპირებდი ინგლისურად წასვლას. უბრალოდ აი აქ მივდივარ — და ისევ დაიწყო ჭიშკარზე ბრახუნი.

— მუსიე, თქვენ არსად არ წახვალთ.

— მე მამა მომიკვდა...

— მერე მე ვარ დამნაშავე, — შეაწყვეტინა კანონის მსახურმა, — რომ აქ მკვლელობა მოხდა. მკვლელობა ლა ბანდელეტაში! ესღა გვაკლდა! რას იტყვის ბატონი გორონი? გაფიქრებაც კი მზარავს! თვითმკვლელობებიც გვეყოფა კაზინოში. მაგრამ ასეთი რამ... ასეთი რამ! ოჰ, ღმერთო, .ჩემო, — უკვე აღრიალდა კანონის მსახური, — ესეც აქეთ მოდის!

მისი სასოწარკვეთილება იმით იყო გამოწვეული რომ ქუჩაში კვლავ გაისმა ნაბიჯების ხმა, ამჯერად სწრაფი და მსუბუქი ნაბიჯებისა. ჯენის ლოუზმაც, ´რომელსაც ღია წითელი ფერის პიჟამა ეცვა, მოირბინა ჭიშკართან. მხრებზე დაყრილი ღია წითური თმები არ ეხამებოდა ლამაზ, საშინლად ფერმიხდილ სახეს. ოცდასამი წლის ჯენისი იყო პატარა, ჩამრგვალებული, ძალზე კოხტა, ჯანღონით სავსე, თავდაჯერებული. მთელი თავისი გარეგნობით (ხოლო ზოგჯერ სადა და უბრალო მანერებითაც) მეთვრამეტე საუკუნის სულისკვეთებას გამოხატავდა. მაგრამ ახლა ისეთი შეძრწუნებული სახე ჰქონდა, გეგონებოდათ საცაა ხმამაღლა აქვითინდებაო.

— რას შვრები? — მივარდა ის ტობის, — სადღაა ევა? რას დგეხარ აქ?

— აი ეს ყეყეჩი არ მიშვებს...

— მერე, მაგას ყურს რას უგდებ?..

როგორც ჩანს, კანონის მსახურს ესმოდა ინგლისური. სანამ ჯენისი გისოსიდან პირდაპირ თვალებში უყურებდა ევას, მაგრამ ვერ ხედავდა მას, სასტვენის ხმამ ლამის დაფის აპკები გაუხეთქა.

— ეს ჩემი მეგობრების გასაგონად დავუსტვინე. — ბოროტად თქვა აჟანმა. — აბა, რას იზამ მუსიე? აბა, რას იზამ მადმუაზელ? თქვენი ნებით წამომყვებით, თუ ბადრაგით წაგიყვანოთ?

ის ტობისთან მივიდა. (ამ დროს ევას თვალთახედვის არეში მოექცა) და მხარზე დაადო ხელი. ლაბადის ქვეშიდან რეზინის ჯოხი ამოაძრო და ჰაერში გააქნია.

— მუსიე, — საცოდავად მოუწოდა მან, — მე დიდი სიამოვნებით... მაგრამ... ჩემთვისაც არასასიამოვნოა. ალბათ თქვენთვისაც არასასიამოვნოა, რომ თქვენი მამა ასეთ მდგომარეობაშია...

ტობიმ თვალებზე ხელები აიფარა. ჯენისი მკვეთრად შეტრიალდა და შინისკენ გაიქცა.

— ბრძანება ბრძანებაა. აბა წამოდით! — პოლიციელის ყრუ ხმა ცდილობდა პირფერობით დაეყოლიებინა, თითქმის ემუდარებოდა — ჰო, ჰო, არაუშავს. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ უფროსი მოვა. სულ რაღაც თხუთმეტი წუთის შემდეგ, მერე კი წადით მასთან, გნებავთ შინ წადით, ღმერთმა შეგარგოთ. აბა? მანამდე კი...

— კეთილი, — ნაღვლიანად დაეთანხმა ტობი.

პოლიციელმა მხრიდან ხელი ჩამოიღო. ტობიმ უკანასკნელი მზერა ესროლა მირამარის ვილას. და ამ დროს ფართოღაწვებიანი და ჯმუხი პოლიციელი, ძალზე უცნაურად რომ გამოიყურებოდა თავის გრძელ ლაბადაში, ტირადებს მოჰყვა. ის თავდავიწყებას მიეცა. გრძნობებმა აღავსო. მისი წამოძახილები წარმოუდგენელ მელოდრამასავით გაისმოდა.

— უმშვენიერესი, მსოფლიოში კეთილზე კეთილი .არსებაა... — დაიწყო მან.

— ააა?

— ქალბატონი ნილი, — განუმარტა ტობიმ.

— ჰა! — და კანონის მსახური მიაჩერდა ამ საოცრად ლამაზი ქალის საცხოვრებელს.

— მისი მსგავსი, — განაგრძობდა ტობი, — არსად არაა. მისი ნათელი აზრები, სისპეტაკე, სინაზე, და... მას ენა დაება და ისეთი დიდი ვაივაგლახით იკავებდა მღელვარებას, რომ ევამ თითქოს თვითონ იგრძნო ის. — მე აქ არ მიშვებენ, — ფრანგულად დაუმატა მან და დაწითლებული თვალებით ჭამდა ჭიშკარს. — ასე, იქნებ, დარეკვა მაინც არაა აკრძალული?

— რაც შეეხება ტელეფონს, მუსიე, — მცირეოდენი დახა-

ნების შემდეგ უპასუხა წესრიგის დამცველმა, — ამაზე არაფერია ნათქვამი. კეთილი. დარეკეთ.

აი, ისევ ტელეფონი.

ევა გულში ღმერთს ევედრებოდა, აჟანი ჩამოსულიყო თავისი ადგილიდან და შეეწყვიტა გისოსში ყურება. საჭიროა გაუსწროს ტობი ლოუზს და ყურმილი დროზე აიღოს. აქამდე წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ როგორ აიდეალებდა მას ტობი. მას ხელები აუქავდა, მოუნდა ერთი ლაზათიანად მიეკერებინა მისთვის სიფათში მთელი ამ მაღალფარდოვანი ბოდვის გამო. და მიუხედავად ამისა, მას გულზე სევდა შემოაწვა. ერთი მხრივ ბრაზი ახრჩობდა, ხოლო მეორე მხრივ, მან თავისი ნამდვილად ქალური სულის სიღრმეში დაიფიცა, რომ ტობი ვერასგზით, ვერასდიდებით ვერ გაიგებდა ღამის საეჭვო ეპიზოდს.

პოლიციელმა ჭიშკარი გაიღო, თავი ბაღში შეყო (რამდენიმე წამით ევას სუნთქვა შეეკრა) და სრულიად დაკმაყოფილებული იქაურობას გაშორდა. ევამ გაიგონა მისი ნაბიჯების ხმა. პოლიციელმა ქუჩა გადაჭრა. მოპირდაპირე სახლის კარები ჯახუნით დაიხურა. ევამ თავი მხრებში ჩარგო და საკუთარი კარებისაკენ გაიქცა.

ის გრძნობდა, რომ სარტყელი ისევ გახსნოდა და ხალათი გადაღეღოდა. მაგრამ არ მიაქცია ამას ყურადღება. მხოლოდ რამდენიმე საფეხური აშორებდა მას შესასვლელისაგან, მაგრამ დაუსრულებლად მოეჩვენა. მთელი საუკუნე გავიდა, სანამ გასაღებს საკეტში გაუყრიდა და გადაატრიალებდა.

და აი როგორც იქნა ევა ჰოლის კუთხეულ თბილ სიბნელეშია. კარების მსუბუქმა ჯახუნმა იხსნა ის უწმინდური ძალისაგან. ახლა უკვე სამშვიდობოსაა! რაც მთავარია, დარწმუნებული იყო, რომ არავის არ შეუმჩნევია. გული გამალებით უცემდა; ხელზე ისევ სისხლის სუნი უდიოდა. თავი უბრუოდა. სანამ ის სიბნელეში იდგა მოაჯირზე მიყრდნობილი, სულს ითქვამდა და აზრებს იკრებდა ტობისთან სალაპარაკოდ, მაღლა ტელეფონმა დარეკა.

ახლა აღარაფრისა არ ეშინია. ყველაფერი რიგზე იქნება. რასაკვირველია, ყველაფერი კარგად დამთავრდება. აუცილებლად კარგად დამთავრდება. მან ხალათი შეიკრა და ზევით გაეშურა ტელეფონის ყურმილის ასაღებად.

თ ა ვ ი 6

ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, ორშაბათს, პირველ სექტემბერს, საღამო ხანს, მუსიე არისტიდ გორონი თავის მეგობარ ექიმ დერმოტ კინროსთან ერთად იჯდა სასტუმრო „კოშკის“ აივანზე.

მუსიე გორონმა შუბლი შეიჭმუხნა.

— უკვე გადაწყვეტილია. — აუწყა მან და ყავას მოურია.— დაპატიმრებულ იქნას ქალბატონი ევა ნილი სერ მორის ლოუზის მკვლელობისათვის.

— რა? უეჭველი სამხილებია?

— სამწუხაროდ.

დერმოტ კინროსს გააჟრჟოლა.

— მაშასადამე, მას...

მუსიე გორონი ჩაფიქრდა.

— არა, - გადაწყვიტა მან. და ცალი თვალი მოჭუტა, თითქოს სალწორის პინებს ადევნებსო თვალს. — საეჭვოა. ასეთი ნაზი, ასეთი მშვენიერი კისერი...

— მაშასადამე...

— თხუთმეტი წელი ციხე. სავსებით შესაძლებელია. შეიძლება ათი და ხუთი წლითაც კი გადარჩეს, თუ ჭკვიან ადვოკატს იპოვის და თავის მომხიბვლელობას დაატრიალებს. მაგრამ, თავად განსაჯეთ, ხუთი წელი ციხე—ხუმრობა საქმე არაა.

— ოღონდაც, მაგრამ როგორაა... თვითონ ქალბატონი ნილი?

მუსიე გორონი სკამზე აცმუტდა.

— ძვირფასო ექიმო, — უთხრა მან და ყავის ფინჯნიდან კოვზი ამოიღო. — სწორედ ეს აფერხებს საქმეს. ეს მშვენიერი ქალი ფიქრობს, რომ წყლიდან მშრალი ამოვიდა. აზრადაც არ მოსდის, რომ მასზე ეჭვი აქვთ. და როდესაც ჩემი უბედური სამსახურებრივი მოვალეობის გამო, მომიხდება...

პოლიციის პრეფექტს ყველა საფუძველი ჰქონდა მძიმე განცდებისათვის. ლა ბანდელეტასათვის თითქმის გაუგონარმა დანაშაულმა მთლად ამოაგდო კალაპოტიდან. მუსიე გორონი გულარხეინი, თავაზიანი და გალანტური კაცი იყო. მას გეტრები ეცვა და ღილკილოში თეთრი ვარდი ეკეთა. პრეფექტს ხშირად არ უხდებოდა პოლიციური საქმეების გადაწყვეტი.

ლა ბანდელეტაში ის უფრო ცერემონმეისტერის როლს ასრულებდა, მაგრამ ამასთან ერთად მუსიე გორონი გონებამახვილი და შორსმჭვრეტელი კაცი იყო.

შორს იყო გადაჭიმული მისი სამფლობელოები — დე ლა ფორეს თეთრი ავენიუ, რომელიც სავსე გახლდათ დაისის სხივებში მოელვარე მანქანებითა და ღია ეკიპაჟებით. მუსიე გორონის ზურგს უკან მაღლა ატყორცნილიყო სასტუმრო „კოშკის" ფასადი, რომელიც მზისაგან აივნის დასაცავად აღჭურვილი იყო შავზოლებიანი ყვითელი ჩარდახით. აივანზე გაშლილ მაგიდებს ცოტა ხალხი უჯდა. მუსიე გორონის ოდნავ გადმოკარკლული თვალები დაჟინებით მისჩერებოდა თანამოსაუბრეს.

— და მაინც ეს ქალბატონი ნილი სავალალო მდგომარეობაშია. — დაუმატა მან. — რაღაც სტანჯავს მას. ლოუზების. ნახვის შემდეგ სულ შეიცვალა. სინდისმა თუ შეაწუხა? ანდა სხვა. რამემ? სამხილებს, როგორც უკვე ვთქვი, ნაღდია, წყალი არ გაუვა...

— და მიუხედავად ამისა, — სუფთა ფრანგულით შენიშნა დერმოტ კინროსმა, — თქვენ კმაყოფილი არა ხართ.

მუსიე გორონმა თვალები მოჭუტა.

— გამოიცანით, — აღიარა მან.—გულახდილად გითხრათ, სავსებით დაკმაყოფილებული არა ვარ, ამიტომაც მოგმართეთ დასახმარებლად...

დერმოტმა თავაზიანი ღიმილით უპასუხა.

ძნელი დასადგენია, რით გამოარჩევდა გარეგნობა ექიმ კინროსს ხალხში. ექიმის დანახვისთანავე იფიქრებდით, საინტერესო კაცია, კარგი იქნებოდა მისი გაცნობაო. შესაძლოა მას ჰქონდა განსაკუთრებული შემწყნარებლობა, რომელიც სახეზე ეწერა და აღგითქვამდათ, რომ დაგიახლოვდებოდათ და გაგიგებდათ.

ეს იყო სახე დიდებული, დაფიქრებული კაცისა, რომელსაც თავისი ცხოვრების მანძილზე ბევრი ჭირვარამი გადახდოდა. შეუპოვარ გონებრივ შრომას ნაოჭები გაეჩინა, ხოლო შავი თვალები დაბნეულად იყურებოდნენ, ჭაღარა ჯერ არ შეპარვოდა ხშირ შავ თმებს. მხოლოდ თავის განსაკუთრებული შეტრიალებისას მიხვდებოდით, რომ ამ სახის ნახევარი

აღდგენილია პლასტიკური ოპერაციით მას შემდეგ, რაც ის ჭურვმა დააზიანა არასში. ამ სახეზე ამოიკითხავდით იუმორის გრძნობას და გამჭრიახ ჭკუას. მტკიცე ხასიათი ამ ნაკვთებში ყოველთვის კი არ გამოკრთოდა, არამედ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ის სიგარეტს ეწეოდა და წინ ედგა სოდიანი ვისკით სავსე ჭიქა. მართალია, ისე ჩანდა, თითქოს ისვენებსო, მაგრამ ნამდვილი დასვენების შეგრძნება თავის სიცოცხლეში არ განეცადა.

— დიახ, დიახ, მე თქვენ გისმენთ, — უთხრა მან.

პოლიციის პრეფექტმა ხმას დაუწია:

— მაშ ასე, აქ, შეიძლება ითქვას, იწყებოდა მშვენიერი პარტია. მხედველობაში მყავს ქალბატონი ნილი და Ძუსიე... ისინი მას ტობის უძახიან. მაგრამ საერთოდ ჰორაციო... ლოუზია. იდეალური პარტიაა, ფულიცაა და სხვა მისთანებიც. თითქმის დიდი გატაცებაა.

— დიდი გატაცება, — შენიშნა დერმოტ კინროსმა, — საერთოდ არ არსებობს. ბუნებამ იზრუნა იმაზე, რომ თუ ა ვერ გაიცნობდა ვ-ს, ის ასევე ბედნიერი იქნებოდა ს-თან.

მუსიე გორონმა ეჭვის თვალით შეხედა მას.

— სერიოზულად ამბობთ ამას, ექიმო?

— ჩემთვის ეს მეცნიერული ფაქტია.

— როგორც მე ვფიქრობ, თქვენ, — კვლავ ეჭვს გამოთქვამდა მუსიე გორონი, — არ იცნობთ ქალბატონ ნილს?

— არა, — გაუღიმა დერმოტმა. — მაგრამ იმან, რომ მე არ ვიცნობ აღნიშნულ პიროვნებას, საეჭვოა მეცნიერული ფაქტი შეცვალოს.

— ოჰ, რა თქმა უნდა! — ამოიოხრა მუსიე გორონმა და საქმეზე გადავიდა. — ერთი კვირის წინ, ღამით, რიუ დეზ ანჟზე ვილა „სალამში“, პატრონის სერ მორის ლოუზის გარდა, კიდევ იმყოფებოდნენ მისი ცოლი, ქალიშვილი ჯენისი, ვაჟი ჰორაციო და ცოლისძმა მუსიე ბენჟამინ ფილიპსი. და მათ გარდა, კიდევ ორი მსახური.

საღამოს რვა საათზე ქალბატონი ნილი და ლოუზების მთელი ოჯახი, სერ მორის ლოუზის გარდა, თეატრში წავიდნენ. სერ მორისმა თეატრში წასვლაზე უარი თქვა. ყურადღება

მიაქციეთ! ის რაღაც უცნაურ ხასიათზე დაბრუნდა ჩვეულებრივი საღამოს სეირნობიდან. მაგრამ ცოტა მოგვიანებით ხასიათი შეეცვალა. ცხრის ნახევარზე დაურეკა მეგობარმა, ანტიკვარმა მუსიე ვეილმა. მან აცნობა, რომ სერ მორისის კოლექციისათვის შეიძინა ძვირფასი განძი, განსაცვიფრებელი ექსპონატი. მუსიე ვეილმა მოისურვა ეს ნამდვილი საოცრება ვილა „სალამში“ მიეტანა, რათა სერ მორისი მაშინვე მისი მზერით დამტკბარიყო. ასეც მოიქცა.

მუსიე გორონი გაჩუმდა. ექიმმა დერმოტ კინროსმა კვამლის პატარა რგოლი გამოუშვა და თბილ ჰაერში მის ფრენას გააყოლა თვალი.

— მაინც რა განძია ეს? — შეეკითხა ის.

— საბურნუთე,—უპასუხა მუსიე გორონმა. — საბურნუთე, რომელიც როგორც ამბობენ, თვით იმპერატორ ნაპოლეონს ეკუთვნოდა.

პოლიციის პრეფექტმა ცოტა შეიცადა.

— როდესაც შემდეგ მუსიე ვეილმა ამ ნივთის ფასი მითხრა, — განაგრძო მან, — ყურებს არ დავუჯერე. ღმერთო ჩემო! ამდენი ფულის გადაყრა რაღაც... რა თქმა უნდა, ისტორიული ღირებულებაა. — აქ მან ეშმაკური პაუზა გააკეთა.—ჰო, მართლა! იმპერატორი ნაპოლეონი ხომ ნამდვილად ყნოსავდა ბურნუთს?

დერმოტმა გაიღიმა.

— ჩემო მეგობარო, — უთხრა მან. — ერთხელ მაინც თუ გინახავთ, როგორ თამაშობენ ნაპოლეონს ინგლისის თეატრში? ყოველ შემსრულებელს თავის მოვალეობად მიაჩნია ყოველი ხუთი სიტყვის შემდეგ აუცილებლად ამოიღოს საბურნუთე და ისე ირბინოს სცენაზე. სარწმუნო მემუარებშიც ყოველთვის იმაზეა ლაპარაკი, თუ როგორ ებნეოდა იმპერატორს ბურნუთი..

მუსიე გორონი მოიღუშა.

— მაშ, ასე, — დაასკვნა მან, — არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ საბურნუთე არ ეკუთვნოდა იმპერატორს. მაგრამ, გარდა ამისა, — მან ყავა მოსვა და თვალები მოუტა, — საბურნუთე გაკეთებულია, — წარმოგიდგენიათ?— გამჭვირვალე ვარდისფერი ქაღალდისაგან, ჩასმულია ოქროს

ბუდეში და მოოქვილია წვრილი ბრილიანტებით. საინტერესო ფორმა აქვს, თავად ნახავთ, თან ერთვის პასპორტი, რომელიც ადასტურებს.

სერ მორისი აღტაცებაში მოვიდა. მგონი, საერთოდ განსაკუთრებით ძლიერ უყვარდა ყველაფერი, რაც ნაპოლეონთან იყო დაკავშირებული. თანხმობა განუცხადა. რომ იყიდდა საბურნუთეს და სთხოვა ღამით დაეტოვებინა მისთვის — დილით კი გაუგზავნიდა ჩეკს. სამწუხაროდ, საბურნუთეს საფასური ჯერ არაა გადახდილი, მუსიე ვეილი პირდაპირ გადარეულია და ვერც გავამტყუნებ.

სწორედ იმ საღამოს, როგორც უკვე გითხარით, ქალბატონი ნილი ლოუზების ოჯახთან ერთად თეატრში წავიდა. მათ ნახეს ინგლისური პიესა „მისის უორენის პროფესია". ისინი დაახლოებით თერთმეტი საათისათვის დაბრუნდნენ და თავთავიანთ სახლებში წავიდნენ, ახალგაზრდა მუსიე ჰორაციომ ის კარებამდე მიაცილა და დაემშვიდობა. სხვათა შორის, შემდეგ მას გამომძიებელმა ჰკითხა: „მუსიე, გამომშვიდობებისას აკოცეთ?" ის გაბრაზდა და უპასუხა: „მაპატიეთ, მაგრამ ეს თქვენი საქმე არაა". გამომძიებელი დაეჭვდა, ხომ არ იჩხუბესო. მაგრამ ეს ეჭვი არ დადასტურდა.

მუსიე გორონი კვლავ შეყოვნდა.

— ლოუზები სახლში ბრუნდებიან. სერ მორისი მაშინვე კიბით დაბლა ჩამოდის, რათა მწვანე მოოქროვილ კოლოფში ჩადებული თავისი განძით დაიტრაბახოს. მაგრამ შენაძენს მისის ჯენისის გარდა (რომელიც ამბობს, რომ ეს საუცხოოა), აღტაცებით და ენთუზიაზმით არავინ ხვდება. ლედი ლოუზი შენიშნავს, რომ ცოდვაა ფულების ასე ფანტვა. სერ მორის ლოუზი გაბრაზებული თავის კაბინეტში მიდის. დანარჩენები დასაძინებლად მიდიან. მაგრამ ორნი, დაიმახსოვრე, ვერ იძინებენ.

მუსიე გორონი წინ გადაიხარა და მაგიდაზე დააკაკუნა. ის ისე გაერთო საუბრით, რომ ყავა გაუცივდა.

— მუსიე ჰორაციო, იგივე ტობი, აღიარებს, რომ ღამის პირველ საათზე ადგა ლოგინიდან და დაურეკა ქალბატონ ნილს... „აჰა, — ეუბნება მას გამომძიებელი — ვნება გკლავდათ?" მაგრამ აქ მუსიე ჰორაციომ უპასუხა: არაფერი ამის

მსგავსი არ ყოფილაო. ხედავთ: ნუ ქექავთო! მაგრამ მაინც ხომ იგრძნობა რაღაც. დიახ, აქ რაღაც არის. მეთანხმებით?

— დარწმუნებული არა ვარ, — უთხრა დერმოტმა.

— მაშასადამე, არ მეთანხმებით?

— კი მაგრამ, ამას რა მნიშვნელობა აქვს. განაგრძეთ.

— მაშ ასე! ის დაბლა ჩამოდის დასარეკად და ლაპარაკის შემდეგ თავის ოთახში ბრუნდება. სახლში ბნელა. სიჩუმეა. მაჩის კაბინეტის კარების ქვეშ სინათლეს ხედავს, მაგრამ არ სურს სერ მორისის შეწუხება.

ამ დროს არც ლედი ლოუზს სძინავს. არ ვიცი საბურნუთეს შეძენა ეწყინა თუ ისე ვერ იყო გუნებაზე. ორის თხუთმეტ წუთზე — დაიმახსოვრეთ დრო! — ლოგინიდან დგება. ქმრის კაბინეტში მიდის. თითქოს იმისათვის, რომ შეახსენოს ძილის დროაო; მაგრამ სინამდვილეში, როგორც თვითონ აღიარებს, იმისათვის, რათა თავაზიან ფორმებში ქადაგება წაეკითხა იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც ვარდისფერი აქატის ძალზე ძვირფას ნაკეთობებს ყიდულობენ.

მუსიე გორონის ხმამ სცენურ სიმაღლეს მიაღწია.

— და აი — ბოლოს! — წარმოთქვა მან და რამდენადმე მოულოდნელად თითებით გაატკაცუნა. მან ის მკვდარი ნახა სეკრეტერთან. მას თავი გაუტეხეს, ცხრა დარტყმა მიაყენეს ცეცხლის საჩხრეკით, რომელიც ახლა ბუხრის სხვა მოწყობილობებს შორის ჰკიდია. ის ზურგით იჯდა კარებისაკენ და საბურნუთეს აღწერილობას ადგენდა. მაგრამ მომისმინეთ, რა მოხდა შემდეგ! შემთხვევით თუ განგებ ერთ-ერთი დარტყმა მოხვდა აქატის საბურნუთეს და ნამსხვრევებად იქცა.

დერმოტმა დაუსტვინა.

— ის არ იკმარეს, — უთხრა მუსიე გორონმა, — რომ მოხუცს სიცოცხლე მოუსწრაფეს. თურმე კიდევ საჭირო ყოფილა მისი განძის დამსხვრევაც. მაგრამ, შესაძლოა (ვიმეორებ), ეს შემთხვევით მოხდა.

დერმოტი მართლა შეშფოთდა.

— საეჭვოა, ადამიანს თავში უმიზნებდე, — უპასუხა მან, — და მაგიდაზე დადებულ საბურნუთეს მოახვედრო. თუ, რასაკვირველია...

— მაპატიეთ, ექიმო, რა ბრძანეთ?

— არა, არაფერი. ეს ისე. განაგრძეთ.

მუსიე გორონმა ფეხის წვერებზე წამოიწია და ხელი ყურთან მიიდო, თითქოს ბრძნულ სიტყვებს იჭერსო. გადმოკარკლული თვალები დერმოტს მიაპყრო. მაგრამ ისევ დაჯდა.

— დანაშაული სასტიკია, — განაგრძო მან. — უაზრო დანაშაულია. ერთი შეხედვით კაცს ეგონება გიჟმა ჩაიდინაო...

— სისულელეა, — სიტყვა ჩაურთო ოდნავ გაღიზიანებულმა დერმოტმა,—პირიქით, სავსებით ტიპიური დანაშაულია.

— ტიპიური?

— თავისებურად. მაგრამ მაპატიეთ, რომ შეგაწყვეტინეთ. განაგრძეთ.

— არაფერი არ მოუპარავთ, — უთხრა მუსიე გორონმა. — გატეხის არავითარი კვალი არაა. დანაშაული ჩაიდინა იმან, ვინც იცნობს სახლს, იცის სად ჰკიდია ცეცხლის საჩხრეკი; ისიც კი იცის, რომ მოხუცს ყურთ აკლია და შეიძლება ჩუმად მიეპარო უკნიდან. ასეთი მშვენიერი, ბედნიერი ოჯახი, როგორც ფრანგებს შეეფერებათ! ისინი საშინლად არიან შეძრწუნებული.

— შემდეგ რა მოხდა?

— შემდეგ მიდიან ქალბატონ ნილთან. ისინი პირდაპირ შეყვარებულები არიან ქალბატონ ნილზე. დანაშაულის ჩადენისთანავე, როგორც მაცნობეს, მუსიო ჰორაციო და მისის ჯენისი ყოველნაირად ცდილობდნენ მასთან დაკავშირებას. ისინი შეაჩერა მორიგე პოლიციელმა და აუხსნა, რომ პოლიციის კომისრის მოსვლამდე არ უნდა დატოვონ სახლი. მგონი, მისის ჯენისმა შემდეგ შეძლო კიდევ ერთხელ ქუჩაში გამოსვლა. მაგრამ, როგორც ჩანს, ქალბატონი ნილი მაინც ვერ ნახა.

მოდის კომისარი. დიახ! ეკითხება! ისინი ქალბატონ ნილის ნახვის ნებართვას სთხოვენ. კომისარი წინადადებას იძლევა მის მოსაყვანად კაცი გაგზავნონ. აგზავნიან სწორედ იმ პოლიციელს, რომელმაც ასეთი სამსახურებრივი გულმოდგინება გამოიჩინა. საბედნიეროდ, მას თან აქვს ფარანი. ქალბატონი ნილის სახლი ზუსტად მოპირდაპირე მხარესაა, თქვენ ალბათ უკვე გაიგეთ ან წაიკითხეთ?..

— დიახ, — დაუდასტურა დერმოტმა.

— პოლიციელი,—უთხრა მუსიე გორონმა, თავისი ორივე

მსხვილი იდაყვი მაგიდაზე ჩამოდო და წარმოუდგენლად დაიღმიჭა, — შედის ჭიშკარში და ბილიკს მიუყვება. ბილიკზე, ზედ ქალბატონ ნილის ვილის კარებთან. გდია...

— რა? — ვერ გაუძღო პაუზას დერმოტმა.

— ვარდისფერი ლენტი თუ პატარა სარტყელი, რომლითაც ქალები ხალათებსა და პენუარებს იკრავენ. ამ სარტყელზე სისხლის პატარა ლაქებია.

— გასაგებია.

ისევ პაუზა ჩამოვარდა.

— მაგრამ ამ პოლიციელთან ფრთხილად უნდა იყო. პატარა სარტყელს უსიტყვოდ იღებს. ზარს რეკავს. კარს უღებს ორი ძალზე შეშინებული ქალი. მათი სახელებია, — აქ მუსიე-გორონმა პაწაწინა ბლოკნოტში ჩაიხედა, — ივეტა ლატური— მოახლე და სელესტინა ბუშერი — მზარეული.

ქალებმა რაღაც უჩურჩულეს სიბნელეში და თან ტუჩებთან თითები მიიდეს, რითაც აგრძნობინეს ხმა არ ამოიღოო. მათ ზემოთ აიყვანეს ის და უთხრეს, რაც ნახეს.

ივეტა ლატური უამბობს, როგორ გამოაღვიძა საშინელმა ხმაურმა. ოთახიდან გამოსულმა დაინახა ქალბატონი ნილი, რომელიც საკუთარი სახლისკენ მიიპარებოდა. შეშინებული (თუმცა ის მხდალი არაა) ივეტა მზარეულ სილესტინა ბუშერს აღვიძებს. ისინი დაბლა ჩამოდიან და ქალბატონ ნილის საწოლ ოთახში იხედებიან. გვერდით, სარკეებიან სააბაზანეში ხედავენ საშინლად გაჩეჩილ, აქოშინებულ ქალბატონ ნილს, რომელიც სისხლში მოსვრილ ხელებსა და პირისახეს იბანს და მაქმანიან თეთრ ხალათზე, რომლის სარტყელიც დაკარგულია, ბატარ-პატარა სისხლის ლაქებს ირეცხავს.

მუსიე გორონმა ირგვლივ მიმოიხედა.

„კოშკის“ აივანზე ახალმოსულები გამოჩნდნენ. მზე, რომელიც საცაა რიუ დე ლა ფორეს მეორე მხარეს აშოტილ ფიჭვებს უნდა ამოფარებოდა, თვალებში უჭყიტინებდა.

დღესავით ნათელი სურათია, გაიფიქრა დერმოტ კინროსმა: აჩქარებულობა, მღელვარება, მოსამსახურეთა ცნობისმოყვარეობა, სარკეებით გამრავლებული აღგზნებული სახე... ეს სურათი ამოტივტივდა პოლიციის გამგებლობაში არსებული ბოროტების მორევიდან. და აგრეთვე მის საკუთარ გამგებ-

ლობაში მყოფი ფსიქიკის გამოურკვეველი მორევიდან. ის არ ჩქარობდა დასკვნების გამოტანას. მხოლოდ თქვა:

— მერე?..

— მაშ ასე! ჩვენი პოლიციელი ორივე მოსამსახურეს, ივეტასა და სელესტინას, მოუწოდებს სრული სიჩუმისაკენ. პირდაპირ ქალბატონ ნილის საწოლი ოთახისაკენ მიდის და კარებზე აკაკუნებს.

ქალბატონი ნილი ლოგინში იწვა?

— არაფერი ამისი მსგავსი! — თითქმის აღტაცებით წამოიძახა მუსიე გორონმა. — იცვამდა, ქუჩაში რომ გასულიყო. მან აუხსნა, რომ ჰორაციო ლოუზმა გააღვიძა ტელეფონის ზარით. — ტელეფონის მეორე ზარით, გაითვალისწინეთ სულ რამდენიმე წუთის წინ, – და უამბო მომხდარი ამბავი. მანამდე კი თითქოს არაფერი არ გაუგონია. არც პოლიციელების სასტვენების ხმა, არც ყვირილი, არც წივილ-კივილი, ხომ ხედავთ — არაფერი!

ამასაც ხომ მოხერხება უნდა, ექიმო? ნამდვილი მსახიობია! როგორი ცხარე ცრემლებით დასტიროდა საბრალო სერ მორის ლოუზს! როგორ უცახცახებდა ტუჩები! და როგორი თვალები ჰქონდა! უცოდველი ანგელოზი, ჰა? თეთრი ხალათიც მშვიდად ჰკიდია კარადაში. ხოლო გვერდით საბაზანოში, სარკეებს ჯერაც არ მოსცილებია ორთქლი; აკი ის ამ სარკეებთან ცდილობდა გამწარებით მოხუცის სისხლის ჩამორეცხვას.

დერმოტს გააჟრჟოლა.

— მერე, რა ქნა თქვენმა პოლიციელმა?

— მან თავისთვის ჩაიცინა და, ვითომც არაფერი არ მომხდარაო შეეკითხა, ხომ არ წახვიდოდით ქუჩის გადაღმა თქვენი მეგობრების დასამშვიდებლადო. ამის შემდეგ მოიბოდიშა, რომ ცოტა ხანს იქ დარჩებოდა.

— რაიმე მიზნით?..

— დიახ, ხალათის შეუმჩნეველად ხელში ჩაგდების მიზნით.

— მარა ლა? —

— მოახლე ივეტამ დაიფიცა, ხმას არ ამოიღებდა, ხოლო თუ ქალბატონი ხალათს მოიკითხავდა, ეტყოდა გასაწმენდადაო. მეტი დამაჯერებლობისთვის გასაწმენდად მართლაც

გაგზავნეს უამრავი ტანსაცმელი. მაგრამ ქალბატონი რომ აღშფოთდეს? არა, არ აღშფოთდება! სისხლის ლაქები ამორეცხა, ხოლო ის, რომ ქიმიური ექსპერტიზა მაინც აღმოაჩენს მათ, აზრადაც არ მოუვა. მაგრამ სისხლის ლაქები, ძვირფასო ექიმო, ყველაზე საინტერესო როდია ამ ხალათზე.

— ყველაზე საინტერესო არაა?

— არა, — და აქ მუსიე გორონმა მაგიდაზე თითები აათამაშა. ივეტა ლატური ყურადღებით სწავლობს ხალათს ჩემი ხელქვეითის თვალწინ. და სწორედ იმ ივეტა ლატურმა აღმოაჩინა, რომ ხალათის კალთაზე მიკრულია ვარდისფერი აქატის პაწაწინა ნამსხვრევი.

პოლიციის პრეფექტი კვლავ შეჩერდა. ამჯერად ის არ ატარებდა სცენურ ხასიათს, მაგრამ ნიშნავდა, რომ ამით, სამწუხაროდ — არსებითად, უკვე ყველაფერი თქვა.

— ერთი კვირის გულმოდგინე მუშაობის შემდეგ ნამსხვრევი ზუსტად მოვარგეთ გატეხილ საბურნუთეს. ეს ნამსხვრევი მაშინ მოსწყდა მას, როდესაც ქალბატონმა ნილმა ცეცხლის საჩხრეკით თავი გაუტეხა მოხუც ჯენტლმენს. საშინელებაა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფაქტია. ქალბატონი ნილის საქმე დამთავრებულია.

ის კვლავ გაჩუმდა. დერმოტმა ყელი ჩაიწმინდა.

— თვითონ ქალბატონი ნილი, — შეეკითხა ის, — აღიარებს ყოველივე ამას?

მუსიე გორონს სახეზე გაოცება გამოეხატა.

— მაპატიეთ, — გამოასწორა ნათქვამი დერმოტმა. — სულ დამავიწყდა. ჯერ ხომ მისთვის არაფერი გითქვამთ

— ამ ქვეყანაში, ექიმო, — ამაყად წარმოთქვა გორონმა,— მაგიდაზე კარტს არავინ არ გადაგიშლის, სანამ თამაში არ დამთავრდება. ახსნა-განმარტებას მას კიდევ მოსთხოვენ. ოღონდ დაპატიმრების შემდეგ, როდესაც მას გამოძიებელი დაჰკითხავს.

ეს დაკითხვები კი, როგორც დერმოტს ახსოვდა, — ნაკლებ სასიამოვნოა წამებას ცხადია, არ მიმართავენ, მაგრამ დაშვებულია ფსიქიკაზე ზეგავლენის თითქმის ყოველგვარი ფორმა. მხოლოდ ძალზე ამტანი, მაგარ ქალს შეუძლია ასეთ დაკითხვას გაუძლოს, ზედმეტი რომ არაფერი ითქვას.

— დარწმუნებული ხართ, — შეეკითხა ის, — რომ თქვენს მიერ შეგროვილი მასალიდან არცერთი სიტყვა არ გავა გარეთ?

— სრულიად დარწმუნებული ვარ.

— მოგილოცავთ. ჰო მართლა, მოსამსახურეები ივეტა ლატური და სელესტინა ბუშარი რას შვრებიან? ხომ არ ჭორაობენ?

— არა. ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. სელესტინამ შოკი მოიმიზეზა და გავუშვით. მეორეს, მოახლეს შეიძლება ისე ენდო როგორც ქვის კედელს, სამარე. — მუსიე გორონი ჩაფიქრდა. — საერთოდ კი, მე მგონი, მას არ უყვარს ქალბატონი ნილი.

— მართლა?

— მაგრამ იცით, კიდევ რას გეტყვით, ამ ლოუზებს შესანიშნავად უჭირავთ თავი. პირდაპირ არაჩვეულებრივი ხალხია. მწუხარებისაგან თავზარდაცემულნი არიან და მაინც გვიპასუხებენ კითხვებზე. მათ, როგორც თქვენთან ამბობენ,—მუსიე გორონმა გაბედა და მომდევნო სამი სიტყვა ინგლისურად წარმოთქვა, — ვაუკაცურად უჭირავთ თავი. ქალბატონ ნილთან დიდი გულითადობა აკავშირებთ...

— რატომ არ უნდა აკავშირებდეთ, განა მათ ეჭვი აქვთ, რომ ქალბატონი ნილი მკვლელია?

— ღმერთო ჩემო, საიდან მოიტანეთ?

— მაშ როგორღა ხსნიან მკვლელობას?

მუსიე გორონმა ხელები გაშალა.

— როგორ ხსნიან? ქურდი, მანიაკი!

— მაგრამ ხომ არაფერი მოუპარავთ?

— არაფერი არ მოუპარავთ, — დაეთანხმა მუსიე გორონი, — მაგრამ აქატის საბურნუთეს გარდა, კიდევ ერთ ნივთს შეეხნენ. კაბინეტში, კარების მარცხნივ, შემინულ რაფაში ინახებოდა კიდევ ერთი განძი: ბრილიანტისა და ფირუზის ძვირფასი ყელსაბამი, რომელსაც ასევე ისტორიული ღირებულება აქვს.

— მართლა?

— სისხლით ოდნავ მოსვრილი ყელსაბამი იატაკზე იპოვეს, რაფის გვერდით. მაშასადამე, მანიაკია!

ექიმმა დერმოტ კინროსმა, რომელიც შესაძლოა მთელს

ინგლისში სასამართლო ფსიქიატრიის საუკეთესო სპეციალისტი იყო, ცნობისმოყვარედ შეხედა თანამოსაუბრეს.

— შესაფერისი ტერმინია, — უთხრა მან.

— შესაფერისი ტერმინი ექიმო? ესე იგი?

— „მანიაკი". მერე, მათი აზრით, ეს ქურდი მანიაკი როგორ შეიპარა სახლში?

— საბედნიეროდ, — უთხრა მუსიე გორონმა, — ლოუზებმა ჯერჯერობით ეს არ იციან.

— ვთქვათ ეს ასეა, მაგრამ, როგორ შეაღწია სახლში ქალბატონმა ნილმა?

მუსიე გორონმა ამოიოხრა.

— ვშიშობ, — უთხრა მან, — რომ სწორედ აქაა უკანასკნელი დამამტკიცებელი საბუთი. რიუ დეზ ანჟზე მდებარე ოთხივე ვილა ერთი და იმავე კომპანიის მიერაა აშენებული. ოთხი გასაღებიდან ნებისმიერი აღებს ოთხივე წინა შესასვლელს. და მუსიე გორონი უნებლიეთ ისევ სერიოზულ ტონზე გადავიდა. და მაგიდაზე კინროსისაკენ გადაიხარა.

— ქალბატონ ნილის პიჟამას გულის ჯიბეში, — უთხრა მან, — ივეტა ლატურმა აღმოაჩინა შესასვლელი კარების გასაღები. წარმოგიდგენიათ! საკუთარი კარების გასაღები პიჟამას ჯიბეში. რატომ? რატომ უნდა გედოს გასაღები ჯიბეში დაწოლის წინ? აბა თუ იპოვით რაიმე გონივრულ ახსნას — უბრალო ახსნას? არა. აქ ერთი ახსნაა. ქალბატონ ნილს გასაღებიმოპირდაპირე სახლში შესასვლელად დასჭირდა. ამგვარად, სახეზეა უკანასკნელი, გადამწყვეტი დამამტკიცებელი საბუთი, რომ მკვლელობის ღამეს ის იმყოფებოდა ვილა „სალამში".

დიახ, ქალბატონი ნილი გაება. ახლა უკვე დღესავით ნათელია.

— და მაინც... რა მოტივები ჰქონდა მას? — თავისას არ იშლიდა დერმოტი.

და მუსიე გორონი პასუხს აძლევდა. მზე ხეებს ეფარებოდა და ცაზე მეწამულ ზოლს ტოვებდა. ჰაერი დაიხუთა. ფრანგული მზე პროჟექტორივით ჭრის თვალს. მზის ჩასვლის შემდეგ დიდხანს აფახულებდნენ თვალებს, განათების ცვალებას რომ შეგუებოდნენ. მუსიე გორონს შუბლზე ოფლმა დაასხა.

დერმოტი წამოდგა, რათა ნამწვავი გადაეგდო ქვის ბალუსტრადიდან, რომლის გვერდით იდგა მათი პატარა მაგიდა. მაგრამ ადგილზე გაშეშდა და ნამწვიც ხელში შერჩა.

აივანი ორი-სამი ფუტით მაღლა იყო პატარა მოკირწყლული ეზოს თავზე, სადაც ზუსტად ასეთივე პატარა მაგიდები იდგა. ერთ-ერთ მაგიდასთან, პირდაპირ ბალუსტრადის ქვეშ იჯდა ქალიშვილი, რომლის შავი კაბა და ქუდი არ შეეფერებოდა ლა ბანდელეტას მბიარულ კოლორიტს. ქალიშვილი თავაწეული იჯდა: დერმოტი პირდაპირ თვალებში უყურებდა მას.

ქალიშვილი ლამაზი იყო, ასე ოცდაორი-ოცდასამი წლისა. არავინ უწყოდა, რამდენხანს იჯდა ის ასე ჩამავალი მზის სხივებისაგან გაუჩინარებული. წინ ედგა ხელუხლებელი კოქტეილი. მის ზურგს უკან დე ლა ფორის ავენიუზე მანქანები დაგუგუნებდნენ, ხოლო ღია ეკიპაჟები ისეთი მშვიდი თქარათქურითა და წკარუნით დაჰქროდნენ, თითქოს არაფერი მომხდარა და არც შეიძლება მოხდესო.

უცებ ქალიშვილი წამოხტა, ჭიქა გადააბრუნა და კოქტეილი ნარინჯისფერ პატარა მაგიდაზე გადააქცია. მან სწრაფად დასტაცა ხელი პატარა ჩანთას და შავ ხელთათმანებს, მაგიდაზე ხუთფრანკიანი მონეტა დააგდო და იქაურობას გაეცალა. დერმოტი რომელსაც ვერ დაევიწყებინა მისი თვალების გამომეტყველება თვალს არ აშორებდა მიმავალს.

მუსიე გორონმა მშვიდად წარმოთქვა:

— მაინც რა ეშმაკად ვილაპარაკეთ საზოგადოებრივ ადგილზე! — თქვა მან. — ეს ხომ ჯენის ლოუზი იყო.

თ ა ვ ი 7

— აბა, დამშვიდდი ჯენის, — ანუგეშებდა ელენა,—უბრალოდ ისტერიკა დაგემართა.

ძია ბენმა, რომელსაც საჩაიე მაგიდასთან მოეკალათებინა და თავის სპანიელს ყურს ფხანდა, ისეთი ნაღვლიანი მზერა ესროლა დისწულს, რომ სიტყვა აღარ იყო საჭირო.

— ისტერიკა არ მემართება, — ისეთი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმით უპასუხა ჯენისმა, რომ იგი სრულიად არადამაჯერებლად

გაისმა. მან ხელთათმანი გაიძრო. — ეს არც სიზმარია, არც გამოცანა და არც ჭორი. გეუბნები, — ის უკვე თითქმის ყვირილზე გადავიდა და სწრაფად გადახედა ევას, ისე რომ მათი თვალები არ შეხვედრიან ერთმანეთს, — ისინი ევას დაპატიმრებას აპირებენ!

ელენას თვალები გაუფართოვდა.

— კი მაგრამ რატომ?

— დედიკო, იმიტომ, რომ ფიქრობენ თითქოს მან მოკლა ის. შენ რა გეხალისება ყოველგვარი სისულელის გამეორება, — ამოიოხრა ელენემ, მაგრამ მიუხედავად ამისა ამას უხერხული პაუზა მოჰყვა.

„შეუძლებელია, — გაუელვა თავში ევას, — უაზრობაა. ვერც ვიფიქრებდი, ვერც ვივარაუდებდი“.

ევამ მექანიკურად დადგა მაგიდაზე დაუცლელი ჩაის ფინჯანი. ვილა „სალმის“ ვრცელ სასტუმრო ოთახში გაპრიალებული პარკეტი ბრწყინავდა. წინა ფანჯრები რიუ დეზ ანჟზე გადიოდა, უკანა ფანჯრებში ბაღის გრილი მწვანე ბინდი იხედებოდა. ბანჯგვლიანი, ოქროსფერი, მუქფორეჯებიანი სპანიელი პატარა საჩაიე მაგიდიდან ერთგულად შესცინებდა ძია ბენს, თვითონ ძია ბენი, ჯმუხი და ჭაღარა თმიანი კაცი, როგორც ყოველთვის, დუმდა და ალერსიანად იყურებოდა. მაღალი, ალერსიანი, ქოშინით შეწუხებული ელენა, ჩომლის ვერცხლისფერი კულულები არ ეხამებოდა მის მრგვალ ვარდისფერ სახეს, უნდობლად და ნაძალადევად იღიმებოდა...

როგორც ჩანს, საკმაოდ ძნელი ბრძოლა გადაიტანა საკუთარ თავთან. ის პირდაპირ ევას უყურებდა.

— ევა, გაიგეთ, — საცოდავად უთხრა მან და გამშრალ ტუჩებზე ენა მოისვა: მას ფართო პირი ჰქონდა, მაგრამ სულ არ აუშნოებდა. — ჩვენ ვიცით, რომ თქვენ არაფერ შუაში ხართ.

ამ მობოდიშების შემდეგ უკვე ვეღარ უყურებდა ევას თვალებში.

— მაგრამ ისინი მაინც რატომ... — დაიწყო ელენამ.

— ეჭვი აქვთ? — აჰყვა ძია ბენი.

— მაგრამ, — განაგრძობდა ჯენისი და ბუხრის თავზე დაკიდებულ სარკეს უყურებდა, — თქვენ ხომ იმ ღამეს სახლიდან

არ გამოსულხართ, ასე არაა? სისხლში ამოსვრილი არ დაბრუნებულხართ სახლში, ხომ სწორია? ჩვენი გასაღები თქვენ გედოთ ჯიბეში? განა ასე იყო? აი... საბურნუთეს ნამსხვრევი? მიეწება თქვენი ხალათის კალთას? ასე არ ყოფილა, ხომ მართალია?

საოცარია, რატომ არ დაემხო ეს ჭერი ამ მყუდრო სასტუმრო ოთახს. სპანიელი იღრინებოდა, საჭმელს ითხოვდა. ელენამ სათვალის ბუდე მოძებნა, იქიდან პენსნე ამოიღო და ცხვირზე დაისვა. და ეგრევე გაშეშდა პირდაღებული.

— იცი რა, ჯენის! — ბოლოს და ბოლოს მკაცრად წარმოთქვა მან.

— ყველაფერი ეს უკანასკნელ სიტყვამდე, — დაუყვირა ჯენისმა პასუხად, — თვით პოლიციის პრეფექტისაგან მოვისმინე. დიახ! — ჯიუტად გაიმეორა მან.

ძია ბენ ფილიპსმა პიჯაკიდან ნამცეცები ჩამოიბერტყა. დაბნეულად და ალერსიანად მოუთათუნა ყურებზე ხელი თავის სპანიელს, მერე ჯიბიდან ჩიბუხი ამოიღო. შეუმუხვნილი შუბლი და ლურჯი კეთილი თვალები გაოცებას გამოხატავდა. ეს გაოცება მან უმალვე მორცხვად დამალა.

— მე ვიყავი „კოშკში", — აუხსნა ჯენისმა. — დასალევად შევედი იქ.

— ჯენის,—ჩვეულებისამებრ შენიშნა ელენამ, — რამდენჯერ გითხარი!..

— ფარულად მოვისმინე, როგორ ელაპარაკებოდა იქ გორონი ერთ ექიმს; ის ინგლისელია, გამოჩენილი კაცია სასამართლო ფსიქიატრიაში. ესე იგი ექიმი და არა გორონი. სადღაც მინახავს მისი ფოტოსურათი. გორონმა უთხრა, ევა იმ ღამეს მთლად სისხლში მოსვრილი მოვიდა და კალთაზე საბურნუთე ნამსხვრევი ჰქონდა მიწებებულიო.

ჯენისი კვლავინდებურად არავის არ უყურებდა თვალებში. შოკმა გაუარა. იგი შიშმა შეცვალა.

— ის ამბობს, რომ ევა დაინახა ორმა მოწმემ, ივეტამ და სელესტინამ. პოლიციამ წაიღო მისი ხალათი, მასზე სისხლი იყო...

ევა ნილი სკამზე გაშეშდა. პირდაპირ ჯენისს უყურებდა, მაგრამ ვერ ხედავდა მას. ევას სურდა გადაეხარხარა და ყუ-

რებში საშინელი ხმაურის ჩასახშობად ესარხარა და ეხარ-
ხარა.

მკვლელობაში მისი დადანაშაულება! ეს სასაცილო იქნე-
ბოდა ზურგში დანის ჩაცემასავით საშინელი რომ არ ყოფი-
ლიყო. არა, მაინც სასაცილოა. მარტო ეს ბოდვა, „ვითომ მის
კალთაზე მიწებებული საბურსუთეს ნამსხვრევის" შესახებ,
უკვე ნამდვილად გაუგებარია! — სასაცილო არაფერია. აქ რა-
ღაც გაუგებრობაა, ანდა განგებ უნდათ მისი ჩიხში მიმწყვდევა
და ბოლოს მოღება. რასაკვირველია, მას პოლიციის არ ეშინია.
მოხუცი ლოუზის მკვლელობაში მისი კოშმარული და სულ-
ლური დადანაშაულება იოლი უარსაყოფია. საკმარისია ყვე-
ლაფერი გაამხილოს ნედ ეტვუდის შესახებ და ის დაადასტუ-
რებს.

არავინ რომ არ მოუკლავს, იოლი დასამტკიცებელია, მაგ-
რამ ნედ ეტვუდის შესახებ მოყოლა...

— ჩემს სიცოცხლეში არ მსმენია ამაზე სასაცილო ამბა-
ვი, — წამოიძახა მან, — ოჰ, მომეცით გონს მოსვლის საშუა-
ლება!

— მაშ ყველაფერი ეს ტყუილია? — არ ცხრებოდა ჯენ-
ნისი.

ევამ მკვეთრად გააქნია თავი.

— რა თქმა უნდა ტყუილია! — უთხრა მან. — ესე იგი...

და აქ ენა დაება. ისე აუკანკალდა ხმა, რომ ეს ყველა
სიტყვაზე უფრო მეევრმეტყველური იყო.

— რა თქმა უნდა ტყუილია, — მტკიცედ თქვა ძია ბენმა
და ჩაახველა.

— რა თქმა უნდა, ტყუილია, — ექოსავით გამოეხმაურა
ელენა.

— მაშინ, — ჯიუტობდა ჯენისი, — რა არის ეს უცნაური
„ესე იგი".

— მე... მე არ მესმის...

— თავიდან ყველაფერი ისე თქვით, როგორც საჭირო
იყო, — განმარტა ჯენისმა, — მერე კი თითქოს გონს მოეგეთ
და ისე გაუგებრად გამოიხედეთ და წარმოთქვით „ესე იგი" —
თითქოს რაღაცას მაინც ჰქონდა ადგილი სინამდვილეში.

(ღმერთო ჩემო, როგორღა ვუთხრა?)

— მაშასადამე, ყველაფერი ეს ტყუილია? — გაბრაზებით დააყარა ჯენისმა,—აქ ხომ არ შეიძლება, რაღაც სწორი იყოს და რაღაც კიდევ არა?

— მგონი, გოგონა არც ისეთ სისულელეს ამბობს, — უხალისოდ შენიშნა ძია ბენმა და ისევ ჩაახველა.

სამი წყვილი თვალი, მშვენიერი თვალი, უდაოდ კეთილმოსურნე თვალი მიაჩერდა ევას. წამით სუნთქვა შეეკრა.

როგორც იქნა მიხვდა, რომ ყველაფერი ეს მონიჩმახია და გაუგებრობა. ანდა კიდევ უფრო უარესი, როგორც მაგალითად ეს „საბურნუთეს ნამსხვრევი", რომელიც აკვიატებულად და მტანჯველად უტრიალებდა თავში. მაგრამ ზოგიერთი რამ აქედან ხომ ფაქტია. პოლიციას შეუძლია მათი დამტკიცება. და სრულიად ამაოა მათი უარყოფა.

— მითხარით, — დაიწყო ევამ ნიადაგის მოსინჯვა, — ნუთუ გჯერათ, რომ სწორედ მე შემეძლო... როგორ გითხრათ... ხელი აღმემართა... სწორედ მასზე?

— არა, საყვარელო, რასაკვირველია, არა, — დაამშვიდა ის ელენამ და ვედრებით მიაპყრო ბეცი თვალები. თქვენ მხოლოდ გვითხარით, რომ ყველაფერი ეს ტყუილია. მეტი არაფერი არ გვინდა.

— ევა, — მშვიდად ჩაილაპარაკა ჯენისმა. — როგორ ცხოვრებას ეწეოდით ტობისთან შეხვედრამდე?

ამ სახლში პირველად მისცეს მას ასეთი მოურიდებელი კითხვა.

— იცი რა ჯენის, — შეაწყვეტინა მას მოთმინებიდან გამოსულმა ელენამ.

ჯენისმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია დედას. ნელა გადავიდა სასტუმრო ოთახში და ევას პირდაპირ დაბალ რბილ სკამზე დაჯდა. ნაზი, თითქმის გამჭვირვალე კანი, როგორიც ხშირად აქვთ ხოლმე წითურებს, მღელვარების წუთებში ზოგჯერ უშნოდ ლურჯდება. ჯენისმა დიდრონი შავი თვალები ევას მიაპყრო. მათში ერთდროულად გამოკრთოდა ზიზღი და აღფრთოვანება.

— არ გეგონოთ გკიცხავდეთ! — უთხრა მან თავისი ოცდასამი წლისათვის დამახასიათებელი უხეში დიდსულოვნებით. — თქვენით აღფრთოვანებულიც კი ვარ. მართალს ვამ-

ბობ. ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი თქვენით. მაგრამ ამის შესახებ უბრალოდ პოლიციის პრეფექტი ლაპარაკობდა. მე მხოლოდ მის ნათქვამს ვიმეორებ.

—ესე იგი იმას, თუ რატომ დაგჭირდათ მამის მოკვლა. გამიგეთ, არ ვამბობ, რომ თქვენ მოკალით! ფიქრადაც არ გამივლია, რომ თქვენ ხართ მკვლელი. ესე იგი, რომ სწორედ თქვენ... მხოლოდ...

ძია ბენმა ჩაახველა.

— ვფიქრობ, ჩვენ ყველანი დიდი გონების ადამიანები ვართ, — თქვა ელენამ. — უფრო სწორად, ტობისა და კიდევ, მგონი საბრალო მორისის გარდა. მაგრამ, იცი რა, ჯენის!

მაგრამ ჯენისმა დედის ნათქვამი ერთ ყურში შეუშვა და მეორეში გაუშვა.

— თქვენ ხომ იმ ნედ ეტვუდის მეუღლე იყავით, ასეა?

— დიახ, — უპასუხა ევამ. — რასაკვირველია, ვიყავი.

— ის ახლა ლა ბანდელეტაშია, იცით?

ევამ ტუჩები მოილოკა.

— მართლა?

— დიახ. ერთი კვირის წინ „კოშკის“ ბარში იყო. საკმაოდ ბევრს ლაპარაკობდა და, მთისა და ბარის ამბების გარდა, თქვა, რომ თქვენ დღემდე გიყვართ ის და დაგიბრუნებთ, რადაც არ უნდა დაუჯდეს.

ევას განძრევის თავიც არ ჰქონდა. გული ხან სულ უჩერდებოდა, ხან გამალებით უცემდა. ამ თავხედობისაგან უბრალოდ ენა ჩაუვარდა.

ჯენისმა ყველას გადახედა.

— გახსოვთ, — განაგრძო მან, — მამის სიკვდილის წინა საღამო?

ელენამ თვალები მოჭუტა.

— როგორი დაბრუნდა ის მაშინ სეირნობიდან, — განაგრძობდა ჯენისი,—დაბეჩავებული და განაწყენებული? თეატრშიც აღარ წამოგვყვა? და არაფრის დიდებით არ გვითხრა რატომ. მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როდესაც ანტიკვარმა დაურეკა საბურნუთეს თაობაზე, ასე არ არის? და გახსოვთ, კიდევ რაღაც ისეთი უთხრა ტობის ჩვენი თეატრში წასვლის წინ? ტობიც რაღაც უცნაური გახდა, არა?

— მერე. რა მოხდა? — ველარ მოითმინა ძია ბენმა, ყურადღებით რომ ათვალიერებდა თავის ჩიბუხს.

— სისულელეებია,—თქვა ელენამ. — მაგრამ იმ საღამოს გახსენებაზე თვალებზე ცრემლები მოადგა.—ტობი მაშინ მხოლოდ იმის გამო შეწუხდა, რომ „მისის უორენის პროფესია“ — პიესაა... როგორ გითხრათ, ერთი სიტყვით, პროსტიტუციაზე.

ევა სკამზე გასწორდა.

— ყველაზე მეტად მამას „კოშკის“ უკან მდებარე ზოოლოგიურ ბაღში სეირნობა უყვარდა და აი, უკეთუ ეს მისტერ ეტვუდი მას უკან გაჰყვა და რაიმე უთხრა...

ჯენისმა ფრაზა არ დაამთავრა. მან თავით ანიშნა ევაზე და თვალი მოარიდა.

— და მამა სახლში მოვიდა — გახსოვთ? — ფერდაკარგული და უცნაური. მან რაღაც უთხრა ტობის. ტობიმ არ დაუჯერა. თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ, რომ ყველაფერი ასე იყო! და — გახსოვთ? — ტობიმ ვერა და ვერ დაიძინა. ღამის პირველ საათზე ევას დაურეკა. იქნებ ევას უთხრა მამის სიტყვები? ხოლო ის აქ მოვიდა მამასთან ურთიერთობის გასარკვევად და...

— მაპატიეთ, ერთი წუთით, — ძალზე მშვიდად თქვა ევამ.

მან ღრმად ამოიოხრა, მოიცადა, სანამ თანაბრად სუნთქვას შეძლებდა და კვლავ ალაპარაკდა.

— საინტერესოა, მაინც რას ფიქრობდით თქვენ ჩემზე მთელი ამ ხნის განმავლობაში? — შეეკითხა ის.

— სრულებით არაფერს! — წამოიძახა ელენამ და პენსნე მოიხსნა. — თქვენ მშვენიერი, ყველაზე კარგი ხართ' ოჰ, ღმერთო ჩემო, სად ჯანდაბაში წავიღე ცხვირსახოცი! უბრალოდ როდესაც ჯენისი კვლავ და კვლავ ყვება სისხლის ამბავს და კიდევ, ღმერთმა უწყის, რას, ხოლო თქვენ არ აწყვეტინებთ, არ უარყოფთ...

— დიახ, — ჩაურთო ძია ბენმა.

— მაგრამ მინდა კიდევ ზოგიერთი რამის გარკვევა, — არ ცხრებოდა ევა. — ეს რა ქარაგმული ლაპარაკი და ჩაკრული სიტყვებია, რაც თქვენგან წინათ არასდროს გამიგონია? გადაკ-

ვრით ხომ არ მეუბნებით, რომ „მისის უორენის პროფესიას“ „მისის ნილის პროფესია“ უნდა ერქვას? ასე ხომ არაა?

ელენა გაშტერდა.

— არა, საყვარელო, ოჰ, ღმერთო ჩემო! რასაკვირველია, არა!

— მაშინ მაინც რაშია საქმე? ვიცი, რასაც ჩემზე ამბობენ, ყოველ შემთხვევაში, ამბობდნენ. ყველაფერი ჭორია, მაგრამ თუკი გაუთავებლად დამიწყებენ ამის მტკიცებას, იქამდე მიიყვანენ საქმეს, რომ სიმართლე გახდება!

— აბა, რას ფიქრობ მკვლელობის შესახებ? — მშვიდად შეეკითხა ჯენისი.

ჯენისი ბავშვივით გულუბრყვილო იყო. გავიდა ის დრო, როდესაც თავის თავზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა და თანატოლების მიამიტურ ოინებზე ცხვირს იბზუებდა. ის დაბალ სკამზე იჯდა და ხელები მუხლებზე შემოეჭდო. ქუთუთოები უცახცახებდა და ტუჩები უთრთოდა.

— იცით, — განუმარტა მან, — ჩვენ ისე გაიდეალებდით, რომ... და ისევ არ დაამთავრა ფრაზა, ევას, რომელიც კეთილად იყო განწყობილი ამ ხალხის მიმართ, უნდოდა მიწა გახეთქილიყო და შიგ ჩაეტანა.

— თქვენ კიდევ გიყვართ ნედ ეტვუდი? — განაგრძობდა დაკითხვას ჯენისი.

— არა!

— ნუთუ მთელი ამ კვირის მანძილზე თვალთმაქცობდით? რაღაცას გვიმალავდით?

— არა. ესე იგი...

— მე რატომღაც მგონია, — წაიბურტყუნა ძია ბენმა, — რომ ის ბოლო დროს გახდა, ლოყები ჩამოუცვივდა და ყველა ჩვენც ხომ... — ჯაყვა ამოიღო და ჩიბუხის წმენდა დაიწყო. შემდეგ დაღლილი, შეშფოთებული თვალები ელენას მიაპყრო. დოლი გახსოვს?

— მე უნდა მახსოვდეს?

— მანქანას ვუჩხიკინებდი და არაფერი ისეთი არ გამიკეთებია, მხოლოდ ხელი გავუწოდე და ხელთათმანით შევეხე, ჰო, ტყავის შავი ხელთათმანით. მას კი კინაღამ გული წაუვიდა. ხელთათმანი რა თქმა უნდა, არც ისეთი სუფთა იყო. რაც მართალი, მართალია.

ევამ თვალებზე ხელები აიფარა.

— თქვენზე ჭორები რომ დადის, იმ ჭორებისა არავის სჯერა. — თავაზიანად უთხრა ელენამ. — მაგრამ ახლა ამაზე არაა ლაპარაკი. — ის სტვენით სუნთქავდა. — თქვენ მაშინ არ უპასუხეთ ჯენისს კითხვაზე. გამოხვედით თუ არა იმ ღამეს სახლიდან?

— გამოვედი, — უთხრა ევამ.

— სისხლი? გეცხოთ სისხლი?

— დიახ, ცოტა.

ჩამავალი მზის სხივებით მკრთალად განათებულ ფართო სასტუმრო ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც მხოლოდ პარკეტზე გაშხლართული მთვლემარე სპანიელის ფშვინვა არღვევდა. ჯაკვით ჩიბუხის ფხეკის ხმაც კი შეწყდა. შავტანსაცმლიანი სამი ადამიანი (ორი ძაძით მოსილი ქალი და ერთი კაცი მუქ-ნაცრისფერში) ევას სხვადასხვაგვარი გაოცებითა და უნდობლობით უყურებდა.

— აგრე რატომ მიყურებთ? — იყვირა ევამ, — ტყუილია! მე ის არ მომიკლავს! მე ის ძალიან მიყვარდა! აქ გაუგებრობაა! შემაძრწუნებელი გაუგებრობა და არ ვიცი როგორ გავხსნა ეს ბნელით მოცული საქმე! — ჯენისს ტუჩებიც კი გაუფითრდა.

— აქ მოხვედით იმ ღამეს?

— არა, არ მოვსულვარ, გეფიცებით!

— მაშ რატომ გედოთ პიჟამას ჯიბეში ჩვენი სახლის გასაღები?

— გასაღები თქვენი სახლისა არ იყო. ეს ჩემი საკუთარი გასაღები იყო, და არა თქვენი სახლისა! დიდი ხანია მინდოდა ყველაფერი მეთქვა თქვენწთვის იმ ღამის შესახებ. ჯერ კიდევ მაშინ მინდოდა, მაგრამ ვერ გავბედე.

ევას სიტყვაც არ ჰქონდა დაძრული, რომ უკვე მიხვდა, რამდენი ბოროტი ირონია იმალებოდა იმაში, რაც მას მათთვის უნდა გაენდო. ვიოლაცას ყველაფერი უთუოდ სასაცილოდ მოეჩვენებოდა. თუ მის ბედს დამცინავი ღმერთები განაგებდნენ, მაშინ ახლა მათ სიცილისაგან მუცელი ხელში უნდა სჭეროდათ. თითოეულ მის სიტყვას მათი თავხედური ხარხარი მოჰყვებოდა.

— ვერ გავბედე, ყველაფერი მეთქვა თქვენთვის, — უპასუხა მან, — იმიტომ, რომ ჩემს საწოლ ოთახში მაშინ ნედ ეტვუდი იმყოფებოდა.

თ ა ვ ი 8

მუსიე არისტიდ გორონი და ექიმი დერმოტ კინროსი სწრაფად მიაბიჯებდნენ.რიუ დეზ ანჟზე.

— თითქოს ჯიბრზე! — ბოღმა ერეოდა მას, — ბედი არ გინდა! ეს გოგონა მისის ჯენისი, რა თქმა უნდა, პირდაპირ ქალბატონ ნილთან გაიქცა.

— სავსებით შესაძლებელია, — დაეთანხმა დერმოტი.

პოლიციის პრეფექტს ეხურა ქვაბ-ქუდა, რომელიც ყველაზე უკეთ უსვამდა ხაზს მისი თავის იშვიათ ფორმას. პატარა ხელჯოხი ეჭირა. პაჭიჭებიანი პატარა ფეხები ძლივს ეწეოდნენ დერმოტის განიერ ნაბიჯებს.

— თუ თქვენ თანახმა ხართ ესაუბროთ ქალბატონ ნილს და მაშინვე უთხრათ თქვენი გულწრფელი შთაბეჭდილება, მაშინ უმჯობესია მალე მოხდეს ეს. გამომძიებელი გადარეული იქნება. მე მას დავურეკე, მაგრამ ადგილზე არ იყო. წინასწარ ვიცი, რას გააკეთებს ის, როდესაც ეტყვიან. მას მაშინვე სასალათეში შეტენის და ღღესვე ქალბატონი ნილი ვიოლინოში გაათევს ღამეს.

დერმოტი თვალებდაჭყეტილი უყურებდა მას.

— სასალათე? ვიოლინო?

— ოჰ! დამავიწყდა! სასალათე — ესაა... — მუსიე გარონმა სიტყვის ძებნა დაიწყო. შემდეგ ჟესტები მოიშველია.

— „შავი ყვავი“? — მიხვდა დერმოტი.

— დიახ! დიახ! მე ხომ ვიცოდი! აი ვიოლინო კი — ეს ისაა, რასაც თქვენებურად საპატიმრო ეწოდება.

— აა, საჭიროა დამახსოვრება, — თქვა მუსიე გორონმა და ბლოკნოტი ამოიღო. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ინგლისურად ცუდად არ ვლაპარაკობ, არა? ლოუზებთან ყოველთვის ინგლისურად ვსაუბრობ.

— თქვენ მშვენივრად ლაპარაკობთ ინგლისურად. ოღონდ გემუდარებით: ნუ ამბობთ „გაბოძიების“ ნაცვლად „ღამის გათევას“.

მუსიე გორონმა თავი დაუქნია.

— ეს ერთი და იგივე არაა?

— სულაც არაა ერთი და იგივე, მაგრამ...

დერმოტი გაჩერდა. თვალი მოავლო წყნარ ქუჩას, რომელიც საღამოს სინათლეზე სუფთად, პროვინციულად და მყუდროდ გამოიყურებოდა. ბაღის ნაცრისფერი გალავნის მიღმა წაბლის ხეები ყელყელაობდნენ.

ლონდონელი კოლეგები ახლა უბრალოდ ვერ იცნობდნენ ექიმ კინროსს. ნაწილობრივ ეს თავისუფალი ჩაცმულობითაც აიხსნებოდა. მას განიერი სპორტული კოსტიუმი ეცვა და საკმაოდ საეჭვო ქუდი ეხურა. მაგრამ, გარდა ამისა, ლა ბანდელეტაში არც ისეთი დაღლილი და გამუდმებული მუშაობით გატანჯული გამოიყურებოდა. თვალები ელვისებურად უკრიალებდა, სახე გამოუცოცხლდა, მხოლოდ ხანდისხან ამჟღავნებდა პლასტიკური ოპერაციის კვალს. ზუსტად რომ ვთქვათ, ის თავისუფლად და მოსვენებით მანამდე იყო, სანამ მუსიე გორონი მკვლელობის დაწვრილებით ისტორიას მოუყვებოდა.

დერმოტი მოიღუშა.

— სად არის აქ, — იკითხა მან, — ქალბატონ ნილის სახლი?

— პირდაპირ თქვენს წინ, — და მუსიე გორონმა ხელჯოხი ნაცრისფერ კედელს მიაბჯინა. — ხოლო მოპირდაპირე სახლი, ბუნებრივია, არის ვილა „სალამი“.

დერმოტმა უკან მიიხედა.

თეთრფასადიანი და მაგარსაძირკვლიანი ვილა „სალამი“ მუქი წითელი კრამიტით იყო დახურული. კედლების გამო პირველი სართულის ფანჯრები არ ჩანდა. მეორე სართულზე ექვსი ფანჯარა იყო, ოთახებს ორ-ორი ფანჯარა ჰქონდა. ორი შუა ფანჯარა — ამ სართულზე მხოლოდ ისინი იწყებოდა იატაკიდან — აივანზე გამოდიოდა. დერმოტმა და გორონმა სწორედ მათ მიაპყრეს მზერა. ლიდონის ნაცრისფერი დარაბები მჭიდროდ იყო დახურული.

— ძალიან მინდოდა, — თქვა დერმოტმა — მენახა, შიგნიდან როგორია ეს კაბინეტი.

— ძვირფასო ექიმო, რა არის ამაზე იოლი, — მუსიე გორონმა ევას სახლზე ანიშნა თავით. ის აშკარად ღელავდა. — მაგრამ ჩვენ ხომ ქალბატონ ევას სახლისაკენ მივდიოდით?

დერმოტმა მის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია.

— სერ მორისი, — იკითხა მან, — საღამოობით ყოველთვის ფარდებჩამოფარებულ ფანჯრებიან კაბინეტში იჯდა?

— ალბათ, როგორი სიცხეა.

— მაშასადამე, მკვლელი დიდ რისკს სწევდა?

— როგორ?

— როგორ და ის შეიძლებოდა დაენახათ ყოველი მოპირდაპირე სახლის ზედა სართულიდან, — აუხსნა დერმოტმა.

— არა, საეჭვოა.

— რატომ?

მუსიე გორონმა მხრები აიჩეჩა, რომლებიც მისი მკერავის უჩვეულო მიღწევას წარმოადგენდა.

— სეზონი ჩვენს მშვენიერ ქალაქში, — უთხრა მან, — პრაქტიკულად დამთავრებულია. ამ ვილებში ახლა თითქმის არავინ არ ცხოვრობს. ვერ შეამჩნიეთ, როგორი გამოცარიელებულია აქაურობა?

— მართლა?

— ქალბატონ ნილის სახლის ორივე მხარეს მდებარე ვილები ცარიელია. დასარწმუნებლად ყველა დავკითხეთ, ვისი დაკითხვაც კი შეიძლებოდა. ერთადერთი პიროვნება, ვისაც შეეძლო რაიმეს დანახვა — თავად ქალბატონი ნილია. მაგრამ ერთიც ვნახოთ და, მოლოდინის წინააღმდეგ, აღმოჩნდა, რომ ის მკვლელია, მაშინაც ვერაფრით ვერ დაგვეხმარება. იმიტომ რომ მას, როგორც თქვენ იტყოდით, აქვს მანია: ფანჯრებს აუცილებლად აფარებს ფარდებს.

დერმოტმა ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა.

— ჩემო მეგობარო, — უთხრა მან, — არ მომწონს თქვენი გამოძიება.

— ოჰო?

— მაგალითად, მოტივები, რომლებიც ქალბატონ ნილს ნიაწერეთ, მაპატიეთ და გიჟის ბოდვაა. ახლავე დაგიმტკიცებთ.

მაგრამ დამამტკიცებელი საბუთი არ მოუტანია. მუსიე გორონმა მთელი ყურადღებით მიმოიხედა ირგვლივ, რომ დარწმუნებულიყო, მათ ყურს არავინ უგდებდა. კაზინოს ბულვარის მხრიდან მათკენ მომავალი ფიგურა რომ შეამჩნია, მუსიე გორონმა თავის თანამგზავრს ხელი სტაცა, მირამარის ვილის ჭიშკარში შეათრია და კარები დაბურა.

— მუსიე, — წასჩურჩულა მან, — ეს თვით ჰორაციო ლოუზია, უეჭველია, ის ქალბატონ ნილთან მიდის, მისგან რომ რაიმე გაიგოს. ჩვენ უნდა დავასწროთ მას.

— ჰო, მაგრამ...

— გთხოვთ, არ შეჩერდეთ, არაფერს მოგცემთ მისი ყურება. ღმერთმანი, საინტერესოს ვერაფერს დაინახავთ. წინ გასწით — და კარზე ზარი დარეკეთ.

ზარის დარეკვა არ დასჭირდათ. ფეხიც არ ჰქონდათ შედგმული ქვის კიბის პირველ საფეხურზე, რომ მათ ცხვირწინ კარები გაიღო.

ისინი, ვინც კარებს მიღმა აღმოჩნდნენ, მათზე ნაკლებად არ გაოცებულან. ბინდბუნდში გაისმა გამაყრუებელი კივილი. ზღურბლზე ორი ქალი იდგა. ერთ მათგანს კარის სახელურზე ეკიდა ხელი.

ეს, როგორც დერმოტი მიხვდა, ივეტა ლატური იყო. თავისი შავი თმებით, დიდი მკვრივი და მსხვილი სახის ნაკვთებით თითქოს ჰოლის ავეჯს შერწყმოდა.

მის სახეზე გაოცება შეცვალა შავ თვალებში გაელვებულმა ბოროტმა სიხარულმა, რათა უმალვე ადგილი დაეთმო გულგრილობისათვის. მეორე ქალიშვილის დანახვაზე, რომელიც ოცი-ოცდაერთი წლის იქნებოდა, მუსიე გორონმა განცვიფრებისაგან თვალები დაჭყიტა.

— ასე! — თითქმის წაიღიღინა მან და თავიდან ქუდი მოიშვლიპა. — ასე-ასე-ასე-ასე!

— გთხოვთ მომიტევოთ, მუსიე, — წაიმღერა ივეტამ.

— რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ.

— ეს ჩემი დაა, მუსიე, — შემპარავად წარმოთქვა ივეტამ. — ის სწორედ ახლა მიდის.

— ნახვამდის, ძვირფასო, — უთხრა ქალიშვილმა.

— ნახვამდის, გოგონა, — წრფელი სინაზით უპასუხა ივეტამ. — კარგად იყავი. მომიკითხე დედა.

ქალიშვილი კარებში გაცქრიალდა.

ძნელი არ იყო მათი ნათესაური მსგავსების შემჩნევა. მაგრამ ეს იყო და ეს.

ქალიშვილი იყო ტანადი, ეცვა უკანასკნელ მოდაზე და გემოვნებით, თავი მშვენივრად ეჭირა, ერთი სიტყვით, რომ იტყვიან „მოხდენილი ქალიშვილიაო“, სწორედ ასეთი გახლდათ. დიდრონი შავი თვალები დერმოტს მიაპყრო. ეს იყო მზერა აშკარად შემფასებლური და ამავე დროს გულგრილი, როგორიც მხოლოდ ფრანგ ქალებს სჩვევიათ. ურცხვად მიმზიდველი უკარება და ამპარტავანი სანამ კიბეზე ჩამოდიოდა, ირგვლივ, როგორც წესია (ალბათ, ცოტა ძლიერ), სუნამოს სუნს აფრქვევდა.

— მადმუაზელ პრიუ, — თავაზიანად მიესალმა გორონი.

— მუსიე, — მოწიწებით წარმოთქვა ქალიშვილმა და რევერანსით გავიდა ჭიშკარში.

— ჩვენ გვინდა, — უთხრა ივეტას პრეფექტმა, — ქალბატონი ნილი.

— სამწუხაროდ, მუსიე გორონ, თქვენ უნდა გადახვიდეთ ქუჩის მეორე მხარეს ვილა „სალამში“. ქალბატონი ნილი იქ ჩაის სვამს.

— გმადლობთ, მადმუაზელ.

— რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ, მუსიე!

ივეტა აუღელვებელ თავაზიანობას ინარჩუნებდა. მაგრამ სწორედ იმ წამს როდესაც მათ უკან უკვე კარი იხურებოდა, მის სახეზე გაიელვა გამომეტყველებამ, რომელიც დერმოტმა ვერაფრით ვერ გაარკვია. დაცინვაა? მუსიე გორონი დახურულ კარს მიაჩერდა და ქუდის დახურვამდე ხელჯოხის ბუნიკი კბილებზე მიიკაკუნა.

— დიახ! — წაიბურტყუნა მან. — ჩემო მეგობარო, ვგრძნობ რომ...

— რა?

— ამ პატარა ეპიზოდის უკან რაღაც იმალება. ოღონდ არ ვიცი, სახელდობრ რა.

— მეც ასე ვფიქრობ, — დაეთანხმა დერმოტი.

— რაღაც აქვთ განზრახული ამ დებს. ვგრძნობ. იცით — პროფესიული ყნოსვაა. მაგრამ ჯერჯერობით რაიმე კონკრეტული დასკვნის გამოტანას ვერ ვბედავ.

— იცნობთ ქალიშვილს?

— მადმუაზელ პრიუს? რასაკვირველია.

— ის...

— წესიერი თუა, ეს გინდათ მკითხოთ? — მუსიე გორონმა უცებ ჩაიცინა. — დიახ, დიახ! ინგლისელები ყოველთვის ამ კითხვით იწყებენ! — მან თავი გვერდზე გადახარა და ცოტა ხნის შემდეგ უპასუხა: — რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კი, ის საკმაოდ წესიერია. ყვავილების დუქანი აქვს რიუ დე ლა არპზე, ჩემი მეგობრის, მუსიე ვეილის ანტიკვარული მაღაზიის ახლოს.

— ეს ისაა, სერ მორის ლოუზს საბურნუთე რომ მიჰყიდა?

— დიახ. და მისი ფული ვერ მიიღო. — პრეფექტი ისევ ჩაფიქრდა. — მაგრამ ასე შორს ვერ წავალთ. — გაბრაზდა ის და უკმაყოფილო სახე მიიღო. — რას ვდგევართ აქ და ვმკითხაობთ, თუ რისთვის მობრძანდა მადმუაზელ პრიუ თავის დასთან? ჩვენ გვჭირდება ქალბატონი ნილი. იმაზე ადვილი რა არის, გადავიდეთ ქუჩის მეორე მხარეს და მოვუსმინოთ, რას იტყვის თვით ქალბატონი ნილი.

ასეც მოიქცნენ.

ვილა „სალამის“ წინა შესასვლელთან გაშენებული ბაღი წარმოადგენდა კარგად მოვლილ პატარა მდელოს. ის შემოღობილი იყო აგურის კედლით. წინა შესასვლელი დაკეტილი დახვდათ, მაგრამ მარჯვენა მაღალი ფანჯრები ბოლომდე იყო გაღებული. ექვსს გადაცილებული იყო, უკვე ბინდდებოდა და სასტუმრო ოთახში საღამოს ჩრდილები ეცემოდა. მაგრამ ამ ბინდბუნდში ყოველგვარ ელექტრონულ მუხტზე უფრო ძლიერი ემოციების მუხტი დაგროვილიყო. მუსიე გორონმა ჭიშკრის გაღება ვერ მოასწრო, რომ სასტუმრო ოთახიდან ხმა შემოესმათ, ინგლისურად მოლაპარაკე გოგონას ხმა. დერმოტს

ისეთი სიცხადით წარმოუდგა თვალწინ აღელვებული ჯენის ლოუზი, თითქოს დაენახოსო.

— ჰო, შემდეგ, — თქვა ხმამ.

— შე... მე არ შემიძლია, — პაუზის შემდეგ უპასუხა ქალის მეორე ხმამ.

— ნუ მიყურებთ ასე! ილაპარაკეთ! თქვენ რა, ტობის მოსვლისთანავე დადუმდით? — არ ცხრებოდა ჯენისი.

— რა არის ეს?—ჩაერია მამაკაცის სოლიდური ხმაც. მიუხედავად სოლიდურობისა, ამ ხმაში სრული დაბნეულობა გამოსჩენოდა. რა მოხდა?

— ტობი, საყვარელო, მე ხომ სწორედ გეუბნები...

— დღეს სამსახურში მძიმე დღე მქონდა. თქვენ, ქალები ამას ვერ გაიგებთ. თან მამაჩემის საქმეებიც საკმაოდ სავალალო მდგომარეობაშია მიტოვებული. ასე რომ ხუმრობისათვის არ მცხელა.

— ხუმრობისათვის? — ექოსავით აიტაცა ჯენისმა.

— დიახ, ხუმრობისათვის! ნუთუ არ შეიძლება, ადამიანი მოასვენოთ!

— იმ ღამეს, როდესაც მამა მოკლეს, — უთხრა ჯენისმა,— ევა სახლიდან გამოვიდა და მთლად სისხლში მოსვრილი დაბრუნდა. თან ჰქონდა ჩვენი კარების გასაღები. მის პენუარს მიეწება საბურნუთეს აქატის ნამსხვრევი.

მუსიე გორონმა თანამგზავრს თავით ანიშნა, უხმაუროდ გაიარა მაღალ ბალახზე და სასტუმრო ოთახის ფანჯარაში შეიხედა.

თვალწინ გადაეშალა ფართო, ავეჯით გაჭედილი, მყუდრო და საცხოვრებლად მოწყობილი ოთახი, სადაც ბლომად იყო საფერფლეები და აქა-იქ მიმობნეული ნივთები. გაპრიალებული პარკეტი სარკესავით ბრწყინავდა. ოქროსფერი, მუქფორეჯებიანი სპანიელი პატარა საჩაიე მაგიდასთან თვლემდა. ნახევრად სიბნელეში ბუნდოვნად მოჩანდა ვაზა, ცისფერი და ალისფერი ასტრებით, თეთრი მარმარილოს ბუხარი და რაღაც მკვრივი და გახუნებული ფერის ქსოვილგადაკრული საჯარძლები. შავებში ჩაცმული ადამიანები რომ არა, მათი აშკარად გამოცოცხლებული სახეები მოჩვენებები გეგონებოდათ.

მუსიე გორონის აღწერილობის მიხედვით დერმოტმა

მაშინვე იცნო ელენა ლოუზი და ბენჟამინ ფილიპსი, რომელიც საჩაიე მაგიდასთან იჯდა და კბილებში ჩამქრალი ჩიბუხი გაეჩარა. ჯენისი ფანჯრისაკენ ზურგით იჯდა დაბალ სკამზე.

ევა ნილი სულ არ ჩანდა, მას ტობი ლოუზი ეფარებოდა. ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილ ტობი ლოუზს სახელოზე საშგლოვიარო ლენტი ეკეთა. ის ბუხართან იდგა. ცოტა არ იყოს, სახის სულელური გამომეტყველება მიეღო და ცალი ხელი თითქოს სინათლისაგან თვალების დასაცავად მაღლა აეწია.

ის გაოცებით უყურებდა ხან ჯენისს, ხან დედამისს. ტობიმ ხმას აუწია:

— ღმერთო ჩემო, რა დაგემართათ, რას ბჭობთ?

— ტობი, — ყოყმანით მიმართა ელენამ, — ყოველივე ამას, რასაკვირველია, აქვს ახსნა.

— ახსნა?

— დიახ. ყველაფერი ეს მოხდა ევას ქმრის, ნედ ეტვუდის გულისთვის.

— ჰო? — იკითხა ტობიმ.

ამ დაუჯერებელი ფრაზით თავგზააბნეულმა ტობიმ წარბები ასწია. მისი ტუჩებიდან მომწყდარ ერთმარცვლოვან წამოძახილს, წინ უძღოდა მცირე პაუზა. ეს „ჰო?“ სავსებით თავშეკავებულად გაისმა. და მაინც მგრძნობიარე ყური შეუცდომლად გაარჩევდა მასში ეჭვით გამოწვეულ ტანჯვას.

— დედა! — ტობიმ ტუჩები მოილოკა. — ნუთუ არ შეიძლება იმის დამახსოვრება, რომ ის უკვე ევას ქმარი აღარაა?

— მაგრამ ევა ამბობს, რომ თვით ნედს_არ შეუძლია ამის დამახსოვრება, — ჩაერია ჯენისი. — ის დაბრუნდა ლა ბანდელეტაში.

— ვიცი. გავიგე. — წარმოთქვა ტობიმ. — მერე თვალებიდან ხელი მოიშორა და მთლად გადაირია. — მინდა ვიცოდე, მაინც რა არის ეს... რა არის ეს...

— მისტერ ეტვუდი, — უპასუხა ჯენისმა, — იმ ღამეს, როდესაც მამა მოკლეს, ევას შეუვარდა.

— შეუვარდა?

— მას ჰქონდა მისი სახლის გასაღები. ზევით ავიდა, როდესაც ევა უკვე გახდილი იყო.

ტობი გაქვავდა.

რამდენადაც ბინდ-ბუნდში გარჩევა შეიძლებოდა, მან სრულიად უაზრო გამომეტყველება მიიღო. წამოდგა, ბუხარს დაეჯახა და კინაღამ დაეცა. ევასკენ გახედვა დააპირა, მაგრამ უმალვე გონს მოეგო.

— შემდეგ, — ჩახლეჩილი ხმით თქვა მან.

— მე რა შუაში ვარ, — უთხრა ჯენისმა.—ევას ჰკითხე. ის მოგიყვება. აბა, მოუყევი ევა! მას ყურადღებას ნუ აქცევთ, ყველაფერი ისე მოგვიყევით, ვითომ ტობი არც იყოს აქ.

ლა ბანდელეტას პოლიციის პრეფექტის მუსიე გორონის ტუჩებს მუცლის ბუყბუყი მოსწყდა. მერე სული მოითქვა. მრგვალ ფუნთუშა სახეზე თავაზიანობა გამოეხატა. მხრებში გასწორდა და ქუდი მოიხადა, მკვირცხლად გადადგა ნაბიჯი, ქუსლებით ერთი გაატკაცუნა გაპრიალებულ პარკეტზე და სასტუმრო ოთახში აღმოჩნდა.

— უჩემოდ აქ არაფერი გამოვა, ქალბატონო ნილ, — უთხრა მან.

თ ა ვ ი 9

ათი წუთის შემდეგ მუსიე გორონი სავარძელში იჯდა და მთელი ყურადღებით უსმენდა მის ლაპარაკს. ბრწყინვალედ დაიწყო გამოკითხვა ინგლისურად, შემდეგ აღელდა, დაიბნა გრძელ, ძნელად გასაგებ პასაჟებში და პირდაპირ ფრანგულზე გადავიდა.

— მაშ, ასე, ქალბატონო, — ის გამოტეხას ცდილობდა, — რა მოხდა მერე?

— რაღაა აქ კიდევ სათქმელი? — დაიყვირა ევამ.

— მისტერ ეტვუდი, — უთხრა პრეფექტმა, — კიბეებით ზემოთ ამოიპარა და ხელში ეს გასაღები ეჭირა. დიახ! ლამობდა. — მუსიე გორონმა ჩაახველა,—თქვენს დაპატრონებას, არა?

— — დიახ.

— და, რა თქმა უნდა, თქვენი სურვილის წინააღმდეგ?

— აბა რა!

— რასაკვირველია, რასაკვირველია, — დაამშვიდა ის მუსიე გორონმა. — მერე, მერე, ქალბატონო?

— ვემუდარებოდი წასულიყო სცენების მოუწყობლად და უხმაუროდ, იმიტომ რომ გზის მეორე მხარეს, მოპირდაპირე ოთახში იჯდა სერ მორის ლოუზი.

— შემდეგ? მან ფარდა გადასწია, რათა დაენახა, მართლა იჯდა თუ არა სერ მორისი თავის კაბინეტში. მე სინათლე ჩავაქრე...

— სინათლე ჩააქრე?

— დიახ.

მუსიე გორონი მოიღუშა.

— მომიტევეთ, ქალბატონო, გონებაჩლუნგობისათვის, მაგრამ დამეთანხმებით, ეს არ იყო საუკეთესო საშუალება მისტერ ეტვუდის გზნების გასანელებლად.

— ხომ გეუბნებით! არ მინდოდა, რომ სერ მორისს გაეგო!

მუსიე გორონი დაფიქრდა.

— ქალბატონო, მაშასადამე, თქვენ აღიარებთ, — უთხრა ბოლოს მან, — რომ მხილების შიშმა, სწორედ ამ შიშმა გაქციათ თქვენ უდრეკად?

— არა, არა, არა!

მოგრძო სასტუმრო ოთახში ბინდი ჩამოწვა. ლოუზების ოჯახის წევრები სანთლის ფიგურებივით სხვადასხვა პოზაში გაშეშებულიყვნენ. მათი სახეები თითქმის არაფერს არ გამოხატავდნენ, ყოველ შემთხვევაში, არავითარ გარკვეულ გრძნობებს. ტობი ისევ ბუხართან იდგა და მისკენ შებრუნებულს ხელები არარსებული ცეცხლისაკენ გაეშვირა.

პოლიციის პრეფექტი არ აშინებდა, არ ემუქრებოდა. ის აშკარად გუნებაზე არ იყო. მამაკაცი და ფრანგი, მუსიე გორონი, პატიოსნად ცდილობდა გარკვეულიყო სიტუაციაში, რომელიც მას ჩიხში ამწყვდევდა.

— შეგეშინდათ ამ ეტვუდისა?

— დიახ, ძალიან.

— და მაინც არ შეეცადეთ სერ მორისისათვის დაგეძახათ, — ის ხომ იქვე იყო?

— ხომ გითხარით, არ შემეძლო!

— ჰო, მართლა, რას აკეთებდა ამ დროს სერ მორისი?

— იჯდა, — უპასუხა ევამ და იხსენებდა სცენას, ასე ნათლად რომ აღბეჭდოდა გონებაში. — მაგიდასთან იჯდა, ხელში ლუპა ეჭირა და რაღაცას ათვალიერებდა. მის გვერდით...

— დიახ, ქალბატონო?

ევამ კინაღამ დაუმატა, „მის გვერდით კიდევ ვიღაც იყოო", მაგრამ ლოუზებს რომ გადახედა, მიხვდა, როგორ შეიძლებოდა ეს გაეგოთ, და ენა ჩაუწყდა. თვალწინ დაუდგა ბებერი ჯენტლმენი, ტუჩებს რომ აცმაცუნებდა. ლუპა და ბუნდოვანი ლანდი უკან.

— მის ახლოს, მაგიდაზე, იდო საბურნუთე, — ოდნავ გასაგონი ხმით თქვა ევამ, — ის მას ათვალიერებდა.

— რომელ საათზე იყო ეს ქალბატონო?

— არ მახსოვს!

— მერე რა მოხდა?

— ნედი მე მომვარდა. ხელისკვრით მოვიცილე. ვემუდარებოდი, რომ არ გაეღვიძებინა მოსამსახურე ქალები. ევა გულახდილი იყო, სრულ ჭეშმარიტებას ლაპარაკობდა და მაინც მის უკანასკნელ სიტყვებზე მსმენელებს სახეები ოდნავ დაეძაბათ. — როგორ არ გესმით? მე არ მინდოდა, მოსამსახურე ქალებს გაეგოთ! ამ დროს ტელეფონმა დარეკა.

— ჰოო! — შვებით ამოისუნთქა მუსიე გორონმა. — ასეთ შემთხვევაში ძნელი არაა დროის დადგენა, — მან ყველას გადახედა. — მუსიე ლოუზ, თქვენ მგონი ზუსტად პირველ საათზე დაურეკეთ ქალბატონ ნილს?

ტობიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მაგრამ მას არ შეუხედავს მუსიე გორონისათვის. პირდაპირ ევას მიმართა:

— მაშასადამე, სანამ მე მელაპარაკებოდი, — უთხრა ტობიმ, — ის ტიპი შენს საწოლ ოთახში იყო ატუზული?

— მაპატიე! ვცდილობდი, არ გაგეგო.

— დიახ, — დაეთანხმა დაბალ პატარა სკამზე გაუნძრევლად მჯდომი ჯენისი, — რაც მართალი მართალია.

— ის გვერდით იდგა, — ბუტბუტებდა ტობი, — გვერდით იჯდა. შეიძლება, კიდეც... — მან თავისი ფრაზა გამომეტყველებითი ჟესტით დაამთავრა. — შენ კი ისე მშვიდად მელაპარაკებოდი. თითქოს არაფერი მომხდარაო. თითქოს მე დაგი-

ფრთხე ძალი, რომ დაგირეკე და შენ ჩემს გარდა არავისზე და არაფერზე არ ფიქრობ...

— განაგრძეთ, გეთაყვა, — შეაწყვეტინა მას მუსიე. გორონვა.

— შემდეგ, — თქვა ევამ, — ბანი გაგდება მოვინდომე. ის კი არადა არ მიდიოდა. მითხრა, არ დავუშვებ, რომ შენ შეცდომა ჩაიდინოო.

— რა ჰქონდა მხედველობაში, ქალბატონო?

— ცოლად არ უნდა გავყოლოდი ტობის. ფიქრობდა, ჩემზე ცუდს იფიქრებდნენ და აუგს იტყოდნენ, თუ ის ფანჯრიდან თავს გაყოფდა და სერ ბორისს დაუძახებდა, რომ ის ჩემს საწოლ ოთახში იმყოფებოდა. ხოლო თუკი ნედმა რაიმე აიჩემა და დაიკონა, მასთან ვერაფერს გახდები. ფანჯარასთან მივიდა. მე მას ვეცი. მაგრამ გავიხედეთ და...

ევამ ხელები გაშალა და წინ გაიშვირა. დერმოტ კინროსი, არისტიდ გორონი — ყველა, ვისაც ატმოსფეროს შეგრძნების უნარი ჰქონდა, ჩამოვარდნილი პაუსის საშინელებით განიმსჭვალა.

პაუზას არღვევდა ჩუმი სმენი. ელენა როუზს ხელი გულზე მიედო და წყნარად ახველებდა. ბენჯამინ ფილიპსი, რომელმაც ის-ის იყო საგულდაგულოდ გატენა ჩიბუხი, ახლა ასანთს ანთებდა, ასანთის ღერის ტკაცუნი კოლოფზე ხამუშ-ხამუშ გაისმოდა. ჯენისი გაქვავებულიყო. მისი დიდრონი, მიამიტური თვალებიდან ჩანდა, რომ იგი თანდათან ხვდებოდა ევას ანაზდეული დუმილის მნიშვნელობას. მხოლოდ ტობიმ შეაწყვეტინა მას სიტყვა.

— ფანჯარაში გაიხედეთ? — შეეკითხა ის.

ევამ სასოწარკვეთით გააქნია თავი.

— როდის?

— მაშინვე, რაც...

ეს საკმარისი იყო. მის ირგვლივ უკვე გაისმა ჩურჩული. თითქოს ავი სულების მოხმობისა ეშინიათო, ხმამაღლა ლაპარაკს ვერავინ ბედავდა.

— თქვენ არ დაგინახავთ?... — დაიწყო ელენამ.

— არავინ? — ჩაერია ჯენისი.

— არაფერი? — წაიბურტყუნა ძია ბენმა.

ბნელ კუთხეში ყველასაგან შეუმჩნევლად იჯდა დერმოტი, რომელიც ნიკაპით ხელის გულს დაყრდნობოდა და თვალს არ აშორებდა ევა ნილს. ის თავს იტეხდა იმაზე, თუ რა იმალებოდა ევას უთავბოლო, არადამაჯერებელ ნაამბობს მიღმა.

ჩვეულებრივად ყველაფერს რომ გააანალიზებდა, აღნიშნავდა: მდიდრული წარმოსახვა აქვს, ადვილად შთაგონებადია, კეთილია, დიდსულოვანია, შესაძლოა თავის საზიანოდაც კი. ერთგულია ყველასი, ვინც კარგად ექცევა. დიახ, ასეთი ქალი შეიძლება იქამდეც კი მიიყვანონ, რომ მკვლელობა ჩაიდინოს. და ამ აზრმა გამოაღწია სქელი ნაჭუჭიდან, რომელშიც ის აი უკვე ოცი წელი ემალებოდა თავის გრძნობებს და მტკივნეულად სჭვალავდა დერმოტს.

დერმოტი ევას დააცქერდა. თვალს ადევნებდა. თუ როგორ უჭერდა თითებს წითელი საკარძლის სახელურებს. ათვალიერებდა თხელ სახეს, მოკუმულ ტუჩებს და ყველაზე მფეთქავ ძარღვს. შუბლის ნოჭი გონების გამალებულ მუშაობას ამჟღავნებდა. ის კარგად ხედავდა, თუ როგორ გადაჰქონდა მას მზერა ტობიდან ჯენისზე, ჯენისიდან ელენასა და ძია ბენზე და ისევ ტობიზე.

და დერმოტმა გაიფიქრა: „ახლა ეს ქალი ტყუილს იტყვის“.

— არა! — იყვირა ევამ; მთელი სხეული დაძაბა და ჩანდა, რომ რაღაც გადაწყვიტა. — ჩვენ არავინ და არაფერი არ დაგვინახავს.

— ჩვენ. — გაიმეორა ტობიმ და ბუხარს მუშტი დაარტყა — „ჩვენ“ არაფერი დაგვინახავს!

მუსიე გორონმა თვალებით ანიშნა მას გაჩუმებულიყო.

— კი, მაგრამ, ქალბატონო, — წარმოსთქვა მან საბედისწერო თავაზიანობით, — თქვენ რაღაც ხომ მაინც დაინახეთ. სერ მორისი მკვდარი იყო?

— დიახ!

— კარგად დაინახეთ ის?

— დიახ.

— მაშ საიდან ამტკიცებთ, ქალბატონო, — შემპარავად შეეკითხა პრეფექტი, — რომ ეს იყო „სწორედ მას შემდეგ“, როცა ის მოკლეს?

— ამას არ ვამტკიცებ, — ხანმოკლე დუმილის შემდეგ უპასუხა ევამ. ნაცრისფერი თვალები პირდაპირ მუსიე გორონს მიანათა. ის მძიმედ სუნთქავდა. — უბრალოდ მე ასე მომეჩვენა.

— განაგრძეთ, გეთაყვა, — ამოიოხრა მუსიე გორონმა და თან თითებით გაატკაცუნა.

— შემოვიდა საბრალო ელენა და დაიყვირა. მაშინ კი მართლა გავაგდე ნედი.

— ჰო? მაშასადამე, ქალბატონო, თქვენ მას მანამდე მართლა არ აგდებდით?

— უკვე გითხარით! მართლა ვაგდებდი. მაგრამ აქ უკვე თვითონაც მიხვდა, რომ წასვლა აუცილებელი იყო! ჯერ მას სწორედ ეს გასაღები წავართვი და პიჟამას ჯიბეში ჩავიდე. როდესაც ჯიბეზე ჩადიოდა, ის... — აქ ევა მიხვდა, თუ რა უცნაური, თითქმის უაზრო ამბავი უნდა ეთქვა ახლა — როდესაც ის ჯიბეზე ჩადიოდა, ფეხი დაუცდა და ცხვირი გაიტეხა.

— ცხვირი გაიტეხა? — გაიმეორა მუსიე გორონმა.

— დიახ. სისხლი წასკდა. მე მას შევეხე და ხელები და ხალათი დამესვარა.

— თქვენ ასე მხოლოდ და მხოლოდ ნედ ეტვუდის სისხლის გამო აღელდით.

— ნუთუ, ქალბატონო?

— მე რატომ მეკითხებით? შეგიძლიათ ნედს ჰკითხოთ. როგორიც არ უნდა იყოს ის, ყოველ სიტყვას დაადასტურებს, რაკი თქვენ ასეთ მდგომარეობაში ჩამაყენეთ.

— ასე გგონიათ, ქალბატონო?

ევამ კვლავ სასოწარკვეთით გააქნია თავი. მან თვალი გადაავლო ყველას, მაგედრებელი თვალი. ამ ქალმა მგონი დერმოტს ყველაფერი ჩაუშალა, ეშმაკმა დალახვროს! თავის სიცოცხლეში არ განუცდია ასეთი რამ! მაგრამ ის ცივი გონებითაც მიხვდა, რომ ევამ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ პატარა წაბორძიკებას, სრული ჭეშმარიტება ილაპარაკა.

— მაშ ასე, როგორც თქვენ ამტკიცებთ, — განაგრძობდა პრეფექტი, — მისტერ ეტვუდს „კიბეზე ფეხი დაუცდა და ცხვირი გაიტეხა". სხვა არაფერი დაუზიანებია?

— არ მესმის?

— ხომ არ დაიზიანა, ვთქვათ, თავი?

ევამ წარბები აზიდა.

— არ ვიცი. შეიძლება, კიბე ციცაბო და მაღალია, ის მაგრად დაენარცხა. სიბნელეში კარგად ვერ დავინახე. მაგრამ ცხვირიდან სისხლი სდიოდა, ეს მახსოვს.

მუსიე გორონმა ულვაშებში გაიღიმა და ამით აგრძნობინა, სხვანაირ პასუხს არც ველოდიო.

— თუ შეიძლება, განაგრძეთ.

— ის უკანა გასასვლელიდან გავეშვი...

— რატომ უკანა გასასვლელიდან?

— ქუჩა პოლიციელებით იყო სავსე. ის წავიდა. და აი აქ კიდევ ერთი რამ მოხდა. ჩემი უკანა შესასვლელის კარები ინგლისური გასაღებით იკეტება. სანამ ეზოში ვიდექი ის ქარმა დაკეტა და სახლში ვეღარ შევედი.

პაუზის შემდეგ, რომლის დროსაც ლოუზების ოჯახის წევრებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს, ელენამ ევას მიმართა.

— არა, ძვირფასო, როგორც ჩანს, შეცდით? — ცოტა არ იყოს შეგონების ტონით უთხრა მან. — კარები ქარმა დაკეტა? კარგად გახსოვთ?

— იმ ღამეს ნიავიც არ ქროდა, — ჩაერია ჯენისი. — ამის შესახებ ჯერ ისევ თეატრში ვილაპარაკეთ.

— დიახ... ვიცი.

— აბა, მაშ რამ დაკეტა, ძვირფასო! — დაიყვირა ელენამ.

— დიახ, მეც გავიფიქრე ეს. და უკვე შემდეგ, როდესაც დავიწყე ფიქრი, თუ როგორ მოხდა ეს, მივხვდი, ვიღაცამ... მართლაც განზრახ დაკეტა კარი.

— ოჰო? — თქვა მუსიე გორონმა. — მაინც ვინ?

— ივეტამ. ჩემმა მოახლემ. — ევამ ხელები დამუშტა და ერთიანად გააჟრჟოლა, როგორც ტკივილისაგან. — ნეტავ რატომ ვძულვარ ასე?

მუსიე გორონმა წარბები კიდევ უფრო მაღლა აზიდა.

— სწორად გაგიგეთ, ქალბატონო? თქვენ ბრალს დებთ ივეტა ლატურს იმაში, რომ მან განგებ ცხვირწინ დაგიკეტათ კარი?

— გეფიცებით, არავის არ მინდა ბრალი დავდო! უბრა-

ლოდ ყოველ ღონეს ვხმარობ და ვცდილობ გავიგო, როგორ მოხდა ეს!

— აი ჩვენც ვცდილობთ, ქალბატონო. გააგრძელეთ თქვენი ძალზე საინტერესო თხრობა. მაშ ასე, თქვენ ეზოში ხართ...

— დიახ! მე ხომ ვერ შევედი სახლში!

— ვერ შეხვედით სახლში? ღმერთო ჩემო! იმაზე იოლი რა იყო. დაგეკაკუნებინათ კარზე, ან დაგერეკათ, ჰა, ქალბატონო?

— რა თქმა უნდა, და გამეღვიძებინა მოსამსახურე ქალები, მე ხომ არაფრის დიდებით არ მინდოდა მათი გაღვიძება. არაფრის დიდებით. განსაკუთრებით ივეტასი...

— რომელმაც, თუ მე თქვენ სწორად გაგიგეთ, უკვე თვითონ გაიღვიძა და რატომღაც დასჭირდა თქვენთვის კარები დაეკეტა. ძალიან გთხოვთ, — დაუმატა მუსიე გორონმა და არადამჯერებლად ცდილობდა ხმისთვის თანაგრძნობის ტონი მიეცა. — ნუ გეწყინებათ. არ ვცდილობ დაგიჭიროთ ან თავგზა აგიბნიოთ, ქალბატონო. მსურს მხოლოდ დავადგინო... როგორ გითხრათ?... სრული სიმართლე როგორც თქვენ მას ყვებით...

— მაგრამ სულ ესაა!

— სულ? სულ?

— გამახსენდა, რომ პიჟამას ჯიბეში წინა შესასვლელის გასაღები მედო, შემოვუარე სახლს და ჰოლში შევედი. სარტყელი დავკარგე, არც მახსოვს, როგორ გამეხსნა, მისი დაკარგვა მხოლოდ მაშინ შევამჩნიე... როდესაც დაბანა დავიწყე.

— აჰ!

— თქვენ ალბათ იპოვეთ ის?

— დიახ, ქალბატონო. მაპატიეთ, რომ ამას ყურადღებას ვაქცევ, მაგრამ თქვენმა ისტორიამ ნათელი ვერ მოფინა ერთ წვრილმანს. მხედველობაში მაქვს აქატის ნამსხვრევი, თქვენი ხალათის მაქმანებში რომ გაიხლართა.

ევამ მშვიდად უპასუხა.

— მის შესახებ არაფერი ვიცი, გთხოვთ, დამიჯეროთ. — მან ხელის გულები თვალებზე აიფარა და მაშინვე მოიშორა. ისეთი უღრმესი გულწრფელობით ლაპარაკობდა, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა მსმენელებზე. — პირველად მესმის ეს. თითქმის შემიძლია დავიფიცო, რომ როდესაც სახლში

მოვედი, ხალათზე არავითარი ნამსხვრევი არ იყო. აკი გითხარით კიდეც, რომ ხალათი გავიხადე, უნდა დამებანა. უბრალოდ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ნამსხვრევი ვიღაცამ უკვე შემდეგ შემომაპარა.

— შემოგაპარა, — მუსიე გორონმა უფრო დადებითად შენიშნა, ვიდრე კითხვის კილოთი.

ევას გაეცინა. მას გაოცებით გადაჰქონდა მზერა ერთი სახიდან მეორეზე.

— მაგრამ თქვენ ხომ მაინც არ ფიქრობთ, რომ მე ვარ მკველი?

— სიმართლე გითხრათ, ქალბატონო, ჩვენთვის უცხო არაა ეს ფანტასტიკური იდეა.

— მაგრამ მე შემიძლია... მე ხომ შემიძლია დავამტკიცო, რომ თითოეული ჩემი სიტყვა სრული ჭეშმარიტებაა!

— რანაირად, ქალბატონო? — ჰკითხა პრეფექტმა და მანიკიურიანი თითები სავარძლის გვერდზე მდგარ პატარა მაგიდაზე დააკაკუნა.

ევამ დანარჩენებს მიმართა.

— მაპატიეთ. ადრე იმიტომ არ გითხარით არაფერი, არ მინდოდა გცოდნოდათ, რომ ნედი ჩემს ოთახში იმყოფებოდა.

— სავსებით გასაგები მიზეზია, — უფერული ხმით უთხრა ჯენისმა.

— მაგრამ ეს, — ევამ ხელები ასწია, — ეს იმდენად სასაცილოა, რომ მე არც კი ვიცი, რა ვთქვა. ასე შეიძლება შუაღამესაც გააღვიძო ადამიანი და განუცხადო, რომ მან მოკლა ვიღაც, ვინც თვალითაც არ უნახავს. ალბათ შიშით მოკვდებოდი, ყოველი ჩემი სიტყვის დამტკიცება რომ არ შემეძლოს. ამაში დარწმუნებული ვარ.

— უნდა შეგაწუხოთ, ქალბატონო, ჩემი შეკითხვის გამეორებით, — უთხრა მუსიე გორონმა. — რანაირად აპირებთ ყოველივე ამის დამტკიცებას?

— რასაკვირველია, მხედველობაში მყავს ნედ ეტვუდი.

— აჰ... თქვა პოლიციის პრეფექტმა.

ყოველი მისი მოძრაობა მოფიქრებული იყო. მან პიჯაკის ლაცკანი ასწია და საღილეში გაჩრილ თეთრ ვარდს დაყნოსა. თვალს არ აშორებდა რაღაც წერტილს პარკეტზე. ოდნავ შე-

სამჩნევად აიქნია ხელი. მოიღუშა და სახეზე აღარაფერი აღბეჭდვია.

— მითხარით, ქალბატონო. მთელი კვირა ამ ისტორიის მოფიქრებას მოუნდით?

— არაფერი არ მომიფიქრებია. პირველად მესმის ყოველივე ეს. სიმართლეს გეუბნებით.

მუსიე გორონმა თვალები აღაპყრო.

— ქალბატონო, ამ კვირის მანძილზე ნედ ეტვუდს თუ შეხვდით?

— არა, რასაკვირველია, არა.

— ევა, კიდევ გიყვართ ის? — წყნარად შეეკითხა ჯენისი. — გიყვართ თქვენ ის?

— ძვირფასო, აბა, რაღა თქმა უნდა, არა,—დასამშვიდებლად ჩაერია ელენა.

— დიდი მადლობელი ვარ თქვენი, — უთხრა ევამ. მანტობის შეხედა. — ნუთუ კიდევ ახსნა სჭირდება ამას? მე იგი მძულს, მეზიზღება, ის ჩემთვის არ არსებობს! ნეტავ თვალით არ დამანახა!

— ვეჭვობ, — რბილად შენიშნა მუსიე გორონმა, — თქვენ კიდევ გექნებათ ბედნიერება მასთან შეხვედრისა.

ყველა მისკენ მობრუნდა, მუსიე გორონმა, რომელიც კვლავ პარკეტს უჭვრეტდა, ბოლოს და ბოლოს მოსწყვიტა მზერა მას.

— თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, ქალბატონო, მუსიე ეტვუდს, გულითაც რომ ეწადოს, არ შეუძლია თქვენი ვერსიის დადასტურება?

მუსიე გორონს ხმაში მკაცრი კილო დაეტყო.

— თქვენ, ცხადია, იცით, ქალბატონო, რომ მუსიე ეტვუდი ტვინის შერყევით წევს სასტუმრო „კოშკში"?

ათი წამი გავიდა, სანამ ევა ღრმა სავარძლიდან პრეფექტს უყურებდა. დერმოტმა მხოლოდ ახლა შეამჩნია რომ მას ეცვა შავი ქვედა კაბა და ნაცრისფერი აბრეშუმის კოფთა. რომელიც ამუქებდა სახის ნაზ ვარდისფერს და ნაცრისფერ, ფართოდ გახელილ თვალებს. მაგრამ, გარდა ამისა, დერმოტმა, რომელიც თითქოს ყველა მის აზრს იჭერდა, ცვლილება შეამჩნია მის სულიერ განწყობილებაშიც.

ევამ იგრძნო, აქამდე ყველა ეს ბრალდება მისთვის მხოლოდ და მხოლოდ რაღაც უხეში, უკბილო ხუმრობის მსგავსი რომ იყო. ახლა მიხვდა, რომ ეს ასე არ არის. მიხვდა, რომ ამას შეიძლება ბევრი რამ მოჰყოლოდა. მიხვდა, რა საშინელი საშიშროება იმალებოდა პრეფექტის ყოველ შემპარავ სიტყვასა და ყოველ თავდაჭერილ ჟესტში.

— შერყევა... — დაიწყო ევამ.

მუსიე გორონმა თავი დაუქნია.

— ერთი კვირის წინ, ღამის ორის ნახევარზე, — განაგრძო მან, — მუსიე ეტვუდი შევიდა სასტუმრო „კოშკის" ვესტიბიულში. ნომერში რომ ადიოდა, ლიფტში გრძნობა დაკარგა.

ევამ ხელისგულები საფეთქლებზე მიიდო.

— მაშასადამე, როდესაც ჩემგან წავიდა! ბნელოდა. არაფერი არ ჩანდა. მაშასადამე, თავი გაიტეხა, როდესაც...—პაუზის შემდეგ დაუმატა. — საბრალო ნედი!

ტობი ლოუზმა ბუხარს მუშტი დაჰკრა.

სარკასტულმა ჩაცინებამ რამდენადმე წაახდინა მუსიე გორონის სახის ფაქიზი თავაზიანობა.

— სამწუხაროდ, — განაგრძობდა ის, — სანამ გონებას დაკარგავდა, მუსიე ეტვუდმა მაინც მოასწრო ეთქვა, რომ ქუჩაში მანქანა დაეჯახა და თავი ტროტუარის ქიმს დაარტყა. ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

აქ მუსიე გორონმა ჰაერში თითი გაავლო, როგორც კალმის ერთი მოსმით ხელის მოწერისას.

— იცით რა, საეჭვოა, მუსიე ეტვუდმა ახლა რაიმეს დადასტურება შეძლოს. არა მგონია, მოიკეთოს.

თ ა ვ ი 10

მუსიე გორონს სახეზე ეჭვი აღებეჭდა.

— იქნებ, არ უნდა მეთქვა თქვენთვის ეს, — დაუმატა მან. — დიახ. დაპატიმრებამდე რეკომენდებული არ არის ბრალდებულთან ზედმეტი გულახდილობა...

— დაპატიმრებამდე! — აღმოხდა ევას.

— უნდა გაგაფრთხილოთ, ქალბატონო, რომ ასეთი რამ შეიძლება მოხდეს.

დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. მუსიე გორონის გარდა უკვე აღარავის შეეძლო ფრანგულად ლაპარაკი.

— არა, ისინი არ იზამენ ამას, — თქვა თვალებზე ცრემლმომდგარმა ელენამ. ის სტვენით სუნთქავდა და ქვედა ტუჩი წინ წამოეწია. — ასე ვერ მოექცევიან ინგლისის ქვეშევრდომს. საბრალო მორისი ძალიან მეგობრობდა ჩვენს კონსულთან. და მაინც, ევა...

— არა, ეს ზოგ რამეს არკვევს, — ჭკუაზე გადამცდარივით იყვირა ჯენისმა. — ნამსხვრევზე ვლაპარაკობ... საშველად რატომ არავის მოუხმეთ, თუ მართლა შეგეშინდათ იმ მისტერ ეტვუდისა. მე აუცილებლად მოვიხმობდი.

გულმოსულმა ტობიმ წიხლი ჰკრა ბუხრის გისოსს.

— და ეს ბიჭი მართლა იყო ატუზული ოთახში, როდესაც მე ვრეკავდი, — წაიბურტყუნა მან, — აი რა მკლავს...

ძია ბენი დუმდა. საერთოდ იშვიათად ერეოდა საუბარში. ძია ბენს ოქროს ხელები ჰქონდა, შეეძლო მანქანის შეკეთება, პატარა სათამაშო გემის გარანდვა და კედლებზე შპალერის გაკვრა ამ საქმეში პროფესიონალებს არ ჩამოუვარდებოდა. ის პატარა საჩაიე მაგიდასთან იჯდა და ჩიბუხს ეწეოდა. დროდადრო ევას უყურებდა, ოდნავ შესამჩნევი გამამხნევებელი ღიმილით, მაგრამ კეთილი თვალები მოუსვენრად იმზირებოდნენ და ძია ბენი გამუდმებით თავს აქნევდა.

— რაც შეეხება, — აქ მუსიე გორონიც ინგლისურზე გადავიდა, — მისის ნილის დაპატიმრებას...

— ერთი წუთით, — შეაწყვეტინა დერმოტმა.

ყველა შეკრთა, როდესაც მან ლაპარაკი დაიწყო:

მათ ის არ შეუმჩნევიათ, ყოველ შემთხვევაში ყურადღება არ მიუქცევიათ მისთვის. ის იჯდა ბნელ კუთხეში პიანინოსთან. ახლა ევამ თვალები პირდაპირ მას მიაპყრო. წამით შიშისა და უხერხულობის გრძნობა დაეუფლა, გრძნობა, რომელიც ასე სტანჯავდა მას წარსულში, როდესაც ფიქრობდა, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე გონჯი დარჩებოდა. დიდიხნის წინანდელი უბედური დღეების გადმონაშთია. იმ დღეებისა, როდესაც მიხვდა, რომ არაფერია სულიერ ტანჯვაზე უფრო მტანჯველი და შესაფერისი სპეციალობაც აირჩია.

მუსიე გორონი წამოხტა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — თეატრალურად წამოიყვირა პრეფექტმა. — დამავიწყდა. ჩემო მეგობარო, მომიტევეთ, უკეთუ უდიერად მოგეპყარით. მაგრამ აქ ისეთი ამბებია...

პრეფექტმა ხელი წინ გაიშვირა:

—მსურს წარმოგიდგინოთ ჩემი მეგობარი, ექიმი კინროსი, ინგლისიდან. ესენი კი ის ხალხია, ვისზედაც უკვე მქონდა თქვენთან საუბარი. მილედი ლოუზი, ძმა, ქალიშვილი, ვაჟიშვილი და ქალბატონი ნილი. როგორ ბრძანდებით? იმედი მაქვს, კარგად?

ტობი გაშტერდა.

— თქვენ ინგლისელი ბრძანდებით? — შეეკითხა ის.

— დიახ, — გაუღიმა დერმოტმა. — ინგლისელი ვარ. მაგრამ თქვენ ეს ნუ აგაღელვებთ.

— მე გორონის ხელქვეითი მეგონეთ. — ღირსებაშელახული კაცის ტონით განაცხადა ტობიმ. — ეშმაკმა დალახვროს, ჩვენ კი თქვენი თანდასწრებით ვლაპარაკობდით, — მან ყველას გადახედა, — თანაც ასე თავისუფლად!

— მერე რა? — უთხრა ჯენისმა.

— მომიტევეთ, გეთაყვა, — უთხრა დერმოტმა, — ერთადერთი რაც ამართლებს ჩემს შემოჭრას, ესაა...

— ეს ისაა, რომ მე ექიმ კინროსს დახმარება ვთხოვე — განმარტა მუსიე გორონმა. — მედიცინის სიყვარული ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. შესანიშნავი ექიმია და უიმპოლსტრიტზე მუშაობს. ხოლო გარდა ამისა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მან დაიჭირა სამი საშიში დამნაშავე. ერთს არასწორად ჰქონდა შებნეული ლაბადა, მეორე გასცა ლაპარაკის მანერამ... ფსიქოლოგიური მიდგომაა, გესმით. ჰოდა, აი აქაც მოვიწვიე...

დერმოტი პირდაპირ ევას უყურებდა.

— იმიტომ; რომ ჩემს მეგობარს მუსიე გორონს, — თქვა მან, — აეჭვებს სამხილები მისის ნილის წინააღმდეგ.

— ჩემო მეგობარო! — მწარე საყვედურით წამოიძახა პრეფექტმა.

— განა არა?

— არა, — ავბედითი ტონით უპასუხა გორონმა. — ახლა უკვე არა.

— მაგრამ ჩემი მოსვლისა და თქვენთვის დახმარების გაწევის ცდის ნამდვილი მიზეზი ისაა, რომ მე ოდესღაც ვიცნობდი თქვენს ქმარს...

— თქვენ იცნობდით მორისს? — წამოიძახა ელენამ და დერმოტს შეხედა.

— დიახ, ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ, როდესაც ჩემი საშუშაო ციხეებთან იყო დაკავშირებული. მას ძალიან აინტერესებდა ციხის რეფორმები.

ელენამ თავი გააქნია. მოულოდნელი სტუმრის ყოფნით თავი უხერხულად იგრძნო, სავარძლიდან წამოხტა და შეეცადა გულითადობა გამოეჩინა. მაგრამ არ შეიძლებოდა, თავი არ ეჩინა უკანასკნელი კვირის დაძაბულობას. როგორც ყოველთვის, ახლაც მორისის ხსენებისას თვალებზე ცრემლები მოადგა.

— მორისი, — თქვა მან, — მარტო დაინტერესებული როდი იყო. ის სწავლობდა ციხის ხალხს, ესე იგი, მინდა გითხრათ, პატიმრებს, თითქმის ყველაფერი იცოდა მათ შესახებ. თუმცა თვითონ პატიმრებმა ხშირად მის შესახებ არაფერი იცოდნენ. იმიტომ რომ, გამიგეთ, ის მათ ეხმარებოდა და არავითარი მადლობა არ უნდოდა, — მას ხმა აუკანკალდა. — ოჰ, ღმერთო ჩემო, რაებს ვლაპარაკობ. რა აზრი აქვს ახლა ამის გახსენებას?

— ექიმო კინროს, — წუნარად და გარკვევით წარმოთქვა ჯენისმა.

— დიახ?

— ისინი სერიოზულად ლაპარაკობენ ევას დაპატიმრებაზე?

— იმედი მაქვს, რომ არა, — მშვიდად მიუგო დერმოტმა.

— იმედი გაქვთ? რატომ?

— იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მომიხდება ბრძოლა ჩემს ძველ მეგობარ მუსიე გორონთან.

— მაშ კარგი, აი თქვენ მოისმინეთ ევას ნაამბობი. რას ფიქრობთ ამის შესახებ? გჯერათ მისი?

— დიახ.

ვუსიე გორონის სახე თავაზიანი გაცოფების ნიმუში გახლდათ, მაგრამ იგი დუმდა.

დერმოტის ყოფნამ ყველაზე დამამშვიდებლად იმოქმედა, და განმუხტა ნერვული დაძაბულობა.

— როგორი იყო ყოველივე ამის მოსმენა, — შენიშნა ტობიმ, — როგორი იყო ყველა ჩვენგანისათვის...

— რა თქმა უნდა. მაგრამ აზრადაც არ მოგსვლიათ, — უთხრა დერმოტმა, — რომ მისის ნილს არ ეხალისებოდა ამის მოყოლა?

— და თანაც სრულიად უცხო ადამიანის თანდასწრებით! — თავისას განაგრძობდა ტობი.

— გთხოვთ მომიტევოთ. შემიძლია წავიდე?

ტობიმ, ეტყობა, თავს ძალა დაატანა.

— მე არ მითქვამს, წადითო, — წაიბურტყუნა მან. კეთილ სახეზე დაბნეულობა დაეტყო. — ყველაფერი ეს ისე მოულოდნელია... ადამიანი სამსახურიდან მოვიდა — და უცებ... მაგრამ თქვენ ერკვევით ასეთ ამბებში, სწორია? სიტყვამ მოიტანა და, ერთი ჩემი ნაცნობი თქვენ გიცნობთ.

დერმოტი ყოველნაირად ცდილობდა, ევასთვის არ შეეხედა.

ის ძალზე საცოდავი იყო. შიშისაგან თავზარდაცემული სავარძელთან იდგა, ხელები გულზე დაეკრიფა და ტობის გამოხედვას იჭერდა. დიდი ფსიქოლოგობა არ იყო საჭირო იმის მისახვედრად, რომ ევას მისგან მხოლოდ ერთი მხარდამჭერი სიტყვა უნდოდა. მაგრამ ასეთ სიტყვას ვერ ეღირსა. ამის დანახვაზე დერმოტს ბოღმა მოაწვა.

— გნებავთ გულახდილად? — შეეკითხა ის.

შესაძლოა გულის სიღრმეში ტობის სულაც არ უნდოდა გულახდილობა, მაგრამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— კეთილი, — გაიღიმა დერმოტმა. — ჩემი აზრით, თქვენ თვითონ უნდა გადაწყვიტოთ.

— გადავწყვიტო?

— დიახ, მისის ნილი ღალატშია დამნაშავე თუ მკვლელობაში? იცით, არ შეიძლება, ეს იმაშიც დამნაშავე იყოს და ამაშიც.

ტობის რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა.

დერმოტმა სათითაოდ ყველას თვალი მოავლო და ისევ ტობის მიმართა მკაცრად და დაჟინებით:

— გავიწყდებათ არსებითი რამ. ხან აცხადებთ, როგორი აუტანელია, რომ მისტერ ეტვუდი იმყოფებოდა საწოლ ოთახში, როდესაც თქვენ დარეკეთ. და აქვე მოითხოვთ განმარტებას, რატომ გაეხლართა საბურნუთეს ნამსხვრევი მის მაქმანებში. იფიქრეთ, როგორაა ამ მისის ნილის საქმე, თუ თქვენ, მის მეგობრებს, არ გყოფნით ორიდან ერთი მოტივი. მისტერ ლოუს, თქვენ უნდა გადაწყვიტოთ. თუ ის იყო აქ და მოკლა მამათქვენი — რა მოტივით, თუმცა ჩემთვის სრულიად გაუგებარია — მაშინ ეტვუდი არ ყოფილა მის საწოლ ოთახში. და თქვენ არ უნდა წუხდეთ მისი ღალატის თაობაზე. ხოლო თუ ეტვუდი იყო მის საწოლ ოთახში, მაშასადამე, არაფრით არ შეეძლო მას აქ ყოფნა და მამათქვენის მოკვლა. — ის გაჩუმდა. — აბა, სხვანაირად როგორღა, სერ?

მისი ტონის მეტისმეტმა თავაზიანობამ ტობიზე ისე იმოქმედა გეგონებოდათ სამართებელი დაუსვესო. თითქოს ყველანი გონს მოვიდნენ.

— ექიმო, — ხმამაღლა, მაგრამ თავშეკავებით უთხრა მუსიე გორონმა, — მინდა მარტო მოგელაპარაკოთ.

— დიდი სიამოვნებით.

— თქვენ წინააღმდეგი ხომ არა ხართ, ქალბატონო, — მუსიე გორონი ქალბატონ ელენას მიუბრუნდა და უფრო ხმამაღლა თქვა, — რომ მე და ექიმი კინროსი ერთი წუთით ჰოლში გავიდეთ?

მუსიე გორონმა პასუხს აღარ დაუცადა. მტკიცედ მოკიდა ხელი მხარზე დერმოტს და შინაურივით ოთახის გავლით გაიყვანა. მუსიე გორონმა კარები გააღო, ჟესტით მიიპატიჟა დერმოტი წინ წასულიყო, სასტუმრო ოთახში დარჩენილებს თავი დაუკრა და გავიდა.

ჰოლში თითქმის სავსებით ბნელოდა. მუსიე გორონი მისწვდა გამომრთველს და გაანათა თაღოვანი, ნაცრისფერი შორენკეცებით ამოშენებული ჰოლი და წითელი ნოხით მოფენილი ქვის კიბე. პოლიციის პრეფექტი მძიმედ სუნთქავდა. მან ქუდი და ხელჯოხი საკიდარზე ჩამოკიდა. ინგლისურ ენაზე საუბარმა რამდენადმე დაღალა ის: როდესაც დარწმუნდა, რომ კარები დაკეტილი იყო, დერმოტს ფრანგულად დაუწყო ლაპარაკი.

— ჩემო მეგობარო, თქვენ მე იმედი გადამიწურეთ.

— ბოდიშს გიხდით.

— უფრო მეტიც, თქვენ მიღალატეთ. აქ იმიტომ წამოგიყვანეთ, რომ თქვენი დახმარების იმედი მქონდა, და, ღმერთო ჩემო, თქვენ კი რას აკეთებთ? შეგიძლიათ ამიხსნათ თქვენი ასეთი ქცევის მიზეზი?

— ეს ქალი უდანაშაულოა.

მუსიე გორონმა ჰოლში ბოლთისცემა დაიწყო. მხოლოდ იმიტომ შეჩერდა, რომ დერმოტისთვის იდუმალი, გალური მზერა ეწყალობა.

— მერე, მერე, — ზრდილობიანად დაინტერესდა ის, — ეს დასკვნები გულისაა, თუ გონებისა?

დერმოტმა არ უპასუხა.

— არა უშავს რა! — უთხრა მუსიე გორონმა.—მე კი მეგონა, რომ თქვენ მაინც, მეცნიერული ფაქტების მსახური — თვითონ არ უწოდეთ თავს ასე? — ყურადღებას არ მიაქცევდით ქალბატონ ნილის ჯადოს! ეს ქალი სოციალურად საშიშია.

— თქვენ გეუბნებით...

მაგრამ ის სინანულით უყურებდა.

— მე დეტექტივი არ ვარ, ძვირფასო ექიმო. არამც და არამც! მაგრამ როდესაც ლაპარაკია ტრუ-ლა-ლაზე, — ჰო! აქ სხვანაირი საქმეა. ყოველ ტრუ-ლა-ლას ნახევარ მეტრზე მიწის ქვეშაც ვგრძნობ.

დერმოტმა პირდაპირ თვალებში შეხედა მას.

— გეფიცებით, — დარწმუნებით უთხრა მან, — არ მჯერა, რომ ის დამნაშავეა.

— ოჰ, ეს მისი ისტორია...

— რითაა ცუდი?

— ძვირფასო ექიმო! თქვენ კიდევ მეკითხებით?

— დიახ, მერე რა? ეტვუდი კიბიდან ჩამოვარდა და თავი გაიტეხა. ყველაფერი, რასაც მისის ნილი მოყვა, ძალზე ტიპიურია. ამას გეუბნებით როგორც მედიკოსი. ცხვირიდან სისხლისდენა, როცა ცხვირი გატეხილი არაა, ტვინის შერყევის ერთ-ერთი ყველაზე უტყუარი ნიშანია. ეტვუდი დგება, ფიქრობს, რომ ნატკენი სერიოზული არაა; მიდის სასტუმროში და იქ გონებას კარგავს. ესეც ტიპიური სურათია.

სიტყვა „ტიპიურმა“ ყურები დააცქვეტინა მუსიე გორონს. მაგრამ ის წვრილმანებს არ გამოჰკიდებია.

— მაგრამ თვითონ მუსიე ეტეუდი ხომ?..

— მერე რა? ესმის, რომ მისი საქმე ცუდადაა. ესმის, რომ არაფერი არ უნდა აკავშირებდეს მისის ნილთან და რიუ დეზ ანჟზე მომხდარ ამბავთან. საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ევას ჩაითრევდნენ ამ მკვლელობაში, როგორც მთავარ დამნაშავეს? ვინ გაითვალისწინებდა ამას? და აი თხზავს ისტორიას, რომ მანქანა დაეჯახა.

მუსიე გორონი მოიღუშა.

— მითხარით, — შეეკითხა დერმოტი, — თქვენ, რასაკვირველია, შეადარეთ სერ მორისის სისხლი იმასთან, რომელიც სარტყელსა და ხალათზე აღმოაჩინეთ?

— რა თქმა უნდა. და უნდა გითხრათ, რომ სისხლის ჯგუფი აქაც და იქაც ემთხვევა.

— მაინც რომელი ჯგუფია?

— მეოთხე.

დერმოტმა წარბები აზიდა.

— ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, ხომ მართალია? ეს ყველაზე გავრცელებული ჯგუფია. ასეთი სისხლით მთელი ევროპის მოსახლეობის ორმოცდაერთი პროცენტი დადის. ეტეუდს აუღეთ სისხლი გამოსარკვევად?

— რასაკვირველია, არა, რა საჭიროა? მე ხომ პირველად მესმის დღეს ქალბატონ ნილის ვერსია!

— მაშ შეამოწმეთ. თუ სისხლი სხვა ჯგუფის აღმოჩნდება, მისი ისტორია თავისთავად იხსნება.

— ოჰ!

— მაგრამ, მეორე მხრივ, თუ ისიც მეოთხე ჯგუფისა აღმოჩნდება, ყოველ შემთხვევაში ეს იქნება მისის ნილის სიტყვების ნეგატიური დადასტურება. ყოველ შემთხვევაში, მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს როგორც ჯერ არს ყველაფერი შემოწმდეს, სანამ ამ ქალს ციხეში ჩააგდებდეთ და მასზე გამოსცდიდეთ ზემოქმედების უახლეს დახვეწილ მეთოდებს.

მუსიე გორონმა კვლავ ბოლთისცემა დაიწყო ჰოლში.

— მე კი, — დაიღრიალა მან, — პირადად მე ვფიქრობ,

რომ ქალბატონმა ნილმა ყური მოჰკრა, რომ ეტვუდს მანქანა დაეჯახა! და ეს ფაქტი გამოიყენა თავისი ისტორიისათვის. სრულიად დარწმუნებულია — დაიმახსოვრეთ! — რომ მუსიე ეტვუდი, რომელსაც ასევე უყვარს ის, დაადასტურებს ყოველ მის სიტყვას, როდესაც მოიკეთებს.

დერმოტს არ შეეძლო გულის სიღრმეში არ ეღიარებინა, რომ ეს ფრიად სარწმუნოდ ჟღერდა. მას სრულიად არ ეპარებოდა ეჭვი თავის სიმართლეში, მაგრამ ევა ნილის შემაშფოთებელმა ზემოქმედებამ არ გაუარა; ის თითქოს მასთან ერთად იყო ჰოლში.

და მიუხედავად ამისა მან ზუსტად იცოდა, რომ მისი დასკვნები, მისი ვარაუდები შეუცდომელია, რომ ადამიანის ლოგიკა ყოველთვის გადასწონის სამხილების ლოგიკას. მაგრამ თუ ის მტკიცედ არ იბრძოლებს ვერაგობის წინააღმდეგ, ამ ქალს ციხეში ჩასვამენ როგორც მკვლელს.

— კი მაგრამ, მოტივები? — დაინტერესდა ის. — რაიმე მოტივი თუ იპოვეთ?

— ჯანდაბას თქვენი მოტივები!

— აბა! ეს თქვენ არ გეკადრებათ. მაინც რატომ უნდა მოეკლა მას სერ მორის ლოუზი?

— დღეს უკვე გითხარით, — უპასუხა მუსიე გორონმა. — ეს, რასაკვირველია, თეორიაა, მაგრამ მასში ყველაფერი ემთხვევა. საღამოს სანამ მას მოკლავდნენ, სერ მორისმა რაღაც საშინელი გაიგო ქალბატონ ნილზე...

— მაინც რა გაიგო?

— საიდან უნდა ვიცოდე!

— მაშ, რატომღა გამოთქვამთ ასეთ ვარაუდებს?

— ექიმო, ნუ მაწყვეტინებთ, მათქმევინეთ! მოხუცი სახლში ბრუნდება უცნაურ მდგომარეობაში — ხომ გაიგონეთ. ის რაღაცას ეუბნება მუსიე ჰორაციოს, ამ ტობის. ორივე აღელვებულია. ღამის პირველ საათზე მუსიე ჰორაციო ურეკავს ქალბატონ ნილს და ყველაფერს გადასცემს. ქალბატონი ნილი, ასევე აღელვებული, მოდის აქ, სერ მორისთან, რათა ურთიერთღბები გაარკვიოს მასთან...

— ჰოო, — შეაწყვეტინა დერმოტმა, — თქვენთვისაც ცოტაა ორიდან ერთი მოტივი!

მუსიე გორონმა გაოცებით დაახამხამა თვალები.

— მომიტევეთ?..

— ახლა დარწმუნდებით,—განაგრძობდა დერმოტი, — რომ ასეთი არაფერი ყოფილა. არავითარი ჩხუბი. არავითარი მკვახე სიტყვები და ურთიერთობათა გარკვევა. თქვენივე საკუთარი თეორიის მიხედვით მკვლელი ჩუმად შევიდა, უკნიდან მიეპარა ყრუ მოხუცს და ჩაარტყა, როდესაც ის თავისი ფასდაუდებელი საბურნუთეს ცქერით ტკბებოდა. ასე არ არის?

მუსიე გორონი დაიბნა.

— აბა... — დაიწყო მან.

— მაშ ასე! თქვენ ამბობთ, რომ ეს ჩაიდინა მისის ნილმა. რატომ? იმიტომ, რომ სერმა მორისმა მასზე რაღაც იცოდა, რაც იცოდა ტობი ლოუზმაც. აკი ტობიმ მაშინვე აუწყა მას ტელეფონით, ხომ მართალია?

— დავუშვათ, თქვენ მართალი ხართ...

— წარმოიდგინეთ, რომ მე თქვენ გბრეკავთ შუადამისას და გეუბნებით: „მუსიე გორონ, დღეს გამომძიებელმა მითხრა, რომ თქვენ ჯაშუში ხართ და დაგხვრეტენ“.. ნუთუ თქვენ გაიქცევით გამომძიებლის მოსაკლავად, რათა შეწყვიტოს საიდუმლოების გავრცელება, საიდუმლოებისა, რომელიც მე უკვე ვიცი? იგივე შემთხვევაა! თუკი გამოაშკარავდა რაღაც, რაც სახელს უტეხს მისის ნილს, რატომღა-გადაიპარა ქუჩის მეორე მხარეს და მოკლა თავისი საქმროს მამა, ისე რომ არც უცდია, რაიმეს გამორკვევა?

— ქალები, — დამაჯერებლად თქვა მუსიე გორონმა, — უცნაური არსებები არიან.

— მაგრამ არცთუ ისეთი უცნაურები!

ამჯერად მუსიე გორონი უფრო ნელა და დაკვირვებით ზომავდა ნაბიჯებით ჰოლს. თავი ჩაქინდრა და ბოღმა აღრჩობდა. რამდენჯერმე წამოიწყო ლაპარაკი, მაგრამ ენა ჩაუწყდა. ბოლოს და ბოლოს სასოწარკვეთით გაშალა ხელები.

— ჩემო მეგობარო, — წამოიძახა მან, — თქვენ ცდილობთ. თეთრი შავად მომაჩვენოთ.

— მაგრამ ეჭვები ხომ შეიძლება იყოს?

— ეჭვები, — აღიარა პრეფექტმა, — ყოველთვის შეიძლება იყოს.

— და მაინც აპირებთ მის დაპატიმრებას?

მუსიე გორონი მაშინვე ახტა.

— რა თქმა უნდა! ულაპარაკოდ! როგორც კი იქნება გამომძიებლის განკარგულება! თუ, რასაკვირველია... — პატარა თვალები მზაკვრულად გაუბრწყინდა, — თუ, რასაკვირველია, ჩემი მეგობარი ექიმი, რამდენიმე საათის განმავლობაში არ დაამტკიცებს მის უდანაშაულობას. მითხარით, გაქვთ ამ საკითხზე საკუთარი ჰიპოთეზა?

— საერთოდ მაქვს.

— მაინც როგორი?

დერმოტმა ისევ პირდაპირ თვალებში შეხედა მას.

— მე თითქმის ზუსტად ვარ დარწმუნებული, — უთხრა, მან, — რომ მკვლელობა ჩაიდინა ამ მეტისმეტად სასიამოვნო ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა.

თ ა ვ ი 11

არც ისე ადვილი იყო ლა ბანდელეტას პოლიციის პრეფექტის გაოცება. მაგრამ იმან, რაც მას დერმოტმა უთხრა, იგი განაცვიფრა. თვალები შუბლზე დაასხდა. როგორც ჩანს, ეგონა, რომ აქ სიტყვები უძლური იყო და თითით სასტუმრო ოთახის დაკეტილი კარებისაკენ ანიშნა.

— დიახ, უთხრა დერმოტმა. — მართლაც.

მუსიე გორონმა ჩაახველა.

— თქვენ, მგონი, ოთახის ნახვა გინდოდათ, სადაც დანაშაული მოხდა. წავიდეთ გაჩვენებთ. ჯერჯერობით კი, — და მან სასოწარკვეთილი პანტომიმით დუმილისაკენ მოუწოდა. — ხმაკრინტი!

მუსიე გორონი შემობრუნდა და კიბისაკენ გაემართა. დერმოტს მისი მძიმე სუნთქვა ესმოდა.

ზევით ჰოლშიც სიბნელე იყო, სანამ მუსიე გორონმა სინათლე არ აანთო. მან დერმოტს კაბინეტის კარები უჩვენა. რა ელით მათ ამ დიდი თეთრი კარების იქით? გამოცანაა: შეიძლება, რაღაც საშინელი რამ. ვინ იცის? დერმოტმა გამბედაობა მოიკრიბა, ხელი მოკიდა ლითონის სახელურს და კარები გააღო.

ისინი კვლავ სიბნელეში აღმოჩნდნენ. კაბინეტში მთელ იატაკზე ეფინა ნოხი, რაც საფრანგეთში იშვიათია. ნოხი ისეთი სქელი იყო, რომ კარები ძლივს გაიღო, ხაოში ეფლობოდა. დერმოტმა ეს თავისთვის აღნიშნა, კარების მარცხნივ გამომრთველს რომ ეძებდა.

გამომრთველი ორი იყო ერთმანეთის მიყოლებით. როდესაც დერმოტმა პირველს დააჭირა თითი, აინთო მწვანე მინის აბაჟურიანი მაგიდის ლამპა, როდესაც მეორეს დააჭირა, აინთო ჭაღი — კაშკაშა პრიზმებისაგან გაკეთებული მინის მთელი სასახლე.

მან დაინახა კვადრატული ოთახი, რომელსაც თეთრი, ხის პანელებით შეფიცრული კედლები ჰქონდა. კარების პირდაპირ ოთახს ორი დიდი ფანჯარა ჰქონდა, დარაბები დახურული იყო. მარცხენა კედელში იყო ვეებერთელა თეთრი მარმარილოს ბუხარი. მარჯვენა კედელთან სეკრეტერი იდგა, ხოლო გვერდით პატარა მბრუნავი სკამი. მრგვალი, ოქროცურვილი მაგიდის ირგვლივ ფარჩაგადაკრული, წვრილი მოოქროვილ-ფეხებიანი სკამები ლამაზად გამოიყურებოდა ნოხის ნაცრისფერ ფონზე. კაბინეტში იდგა სულ ორი-სამი წიგნების კარადა, მაგრამ სამაგიეროდ ყველა კედლის გასწვრივ გაჭიმული იყო შემინული რაფები, ჭაღის სიკაშკაშეს რომ ირეკლავდნენ. სხვა დროს დერმოტი, რასაკვირველია, დაინტერესდებოდა, თუ რა იყო მათში გამოფენილი.

ოთახში დახუთული ჰაერი იყო და რაღაც სადეზინფექციო სითხის მკვეთრი სუნი იდგა, სიკვდილის სუნს რომ ჰგავდა.

დერმოტი სეკრეტერთან მივიდა.

ასეცაა: აქ უკვე ყველაფერი საგულდაგულოდ გაურეცხავთ. სისხლის დაჟანგული ლაქები დარჩენილა მხოლოდ პრეს-პაპიესა და ბლოკნოტზე, რომელშიც სერ მორის ლოუზმა თავისი უკანასკნელი ჩანაწერები გააკეთა.

და არსად გატეხილი საბურნუთეს არავითარი კვალი არ არის. მწვანე აბაჟურის ქვემოდან ლამპის სინათლე ეცემოდა გამადიდებელ მინას, საიუველირო ლინზას და დაუდევრად მიმობნეულ კალმებსა და სხვა საწერ მოწყობილობებს. დერმოტმა ბლოკნოტს დახედა, რომლის გვერდით იდო პატრონის ხელიდან გავარდნილი ოქროს კალმიანი კალმისტარი. „საათის-

ნაირი საბურნუთე, რომელიც ოდესღაც ეკუთვნოდა იმპერატორ ნაპოლეონ I“ — გარკვეული ლამაზი ასოებით იყო გამოყვანილი ბლოკნოტში. ამ სათაურს მოჰყვებოდა გარკვეული ხელით ნაწერი ტექსტი: „ეს საბურნუთე ბონაპარტს მიართვა მისმა სიმამრმა, ავსტრიის იმპერატორმა ნაპოლეონის შვილის, რომის მეფის დაბადების დღეს 1811 წლის 20 მარტს. კორპუსის ზომა — 2 1/4 დუიმი დიამეტრში კორპუსი ოქროსია. რგოლიც — რომელიც თითქოს საათის ძეწკვისთვის უნდა იყოს განკუთვნილი — ოქროსია. ციფრები და ისრები მოფენილია პატარ-პატარა ბრილიანტებით, ციფერბლატის ცენტრში არის ნაპოლეონის ემბლემა, ასო N...“

ამას მოსდევდა სისხლის ორი ლაქა.

დერმოტმა დაუსტვინა.

— ეს პატარა ნივთი, — უთხრა მან, — ალბათ ძალიან ძვირფასი იყო.

— ძვირფასი? — თითქმის დაიღრიალა პრეფექტმა. — მე ხომ გითხარით!

— და ის გატეხეს.

— როგორც ხედავთ, ძვირფასო ექიმო. და ისიც გითხარით,—განაგრძობდა მუსიე გორონი,—მას საინტერესო ფორმა ჰქონდა. ხედავთ, აქ წერია, რომ მას საათის ფორმა ჰქონდა.

— როგორი საათის?

— ყველაზე ჩვეულებრივი საათის! — აქ მუსიე გორონმა პატარა ჯიბიდან საათი ამოიღო და აჩვენა. — უფრო მეტიც. როდესაც სერ მორისმა საბურნუთე ოჯახის წევრებს აჩვენა, მათ ასეც იფიქრეს, რომ საათი იყო. იღებოდა ის... აი ასე. მიაქციეთ ყურადღება, გეთაყვა, როგორაა მაგიდა გაჩხაპნილი იქ, სადაც მკვლელმა დაარტყა.

დერმოტმა ბლოკნოტი ადგილზე დადო.

სანამ აფორიაქებული პრეფექტი თვალს არ აშორებდა დერმოტს, ის შეტრიალდა და ბუხრის მოწყობილობებს დაუწყო თვალიერება, თეთრი მარმარილოს ბუხრის ახლოს. ბუხრის თავზე ეკიდა ბრინჯაოს მედალიონი, იმპერატორ ნაპოლეონის პროფილით. ბუხრის მოწყობილობას ახლა აკლდა ცეცხლის საჩხრეკი — მკვლელობის იარაღი. დერმოტმა თვალით გაზომა მანძილი. თავში ათასი ვარაუდი უტრიალებდა,

მაგრამ საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მუსიე გორონის მსჯელობები დაუსაბუთებელია.

— მითხარით, — დაიწყო მან,—ლოუზების ოჯახიდან ვინმე უჩივის მხედველობას?

—ოჰ, ღმერთო ჩემო! — წამოიძახა მუსიე გორონმა. — ლოუზების ოჯახი! რას ჩააცივდით ამ ლოუზების ოჯახს! ყური მიგდეთ, — ის დერმოტისკენ დაიხარა. — ჩვენ აქ მარტონი ვართ. არავინ გვისმენს. შეგიძლიათ ამიხსნათ, რატომ ხართ ასე დარწმუნებული, რომ მოხუცი რომელიმე მათგანმა მოკლა?

— არა, თქვენ მაინც მიპასუხეთ კითხვაზე: რომელიმე მათგანი ცუდად ხედავს?

— ძვირფასო ექიმო, რაც არ ვიცი, არ ვიცი.

— მაგრამ, ეს ხომ ადვილი გასარკვევია?

— რასაკვირველია! — აქ მუსიე გორონს ენა ჩაუწყდა. თვალები მოჭუტა. — გგონიათ, — თქვა მან და ხელი მოიქნია, რითაც ცეცხლის საჩხრეკით დარტყმა განასახიერა — მკვლელი ცუდად ხედავდა, რაკი ადამიანის თავს უმიზნებდა და ააცდინა.

— შესაძლებელია.

დერმოტი დინჯად დადიოდა ოთახში და რაფებს ათვალიერებდა. ზოგიერთი ექსპონატი ბრწყინავდა განმარტოებული დიდმშვენიერებით, სხვებს ახლდა პატარა ბარათები, დაწერილი იმავე წვრილი კალიგრაფიული ხელით. მართალია, დერმოტი კოლექციების მცოდნე არ იყო და მხოლოდ ძლივსძლივობით ერკვეოდა ძვირფას ქვებში, მაგრამ შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, რომ აქ კარგა ბლომად იყო თავმოყრილი თავშესაქცევი ხარახურა და ზოგიერთი მართლაც ძვირფასი ნივთი.

აქ ნახავდით ფაიფურს, მარაოს, სანაწილეს, იშვიათ საათებს, რაპირების სადგარს და ყუთს (ყველაზე უშნოს მთელ ამ სილამაზეში), რომელშიც ინახებოდა დიდი ხნის წინათ დანგრეული ნიუგეიტის ციხის წვრილმანი რამეები. წიგნებიდან სჭარბობდა სპეციალური შრომები, რომლებიც ძვირფასეულობის გარკვევა-გამოცნობას ეხებოდა.

— მერე, მერე? — აღარ ეშვებოდა მუსიე გორონი.

— გახსოვთ, თქვენ კიდევ მითხარით, — უთხრა დერმოტმა, — რომ თუმცა არაფერი არ მოუპარავთ, ფირუზია-

ანი ბრილიანტის ყელსაბამი ამოუღიათ რაფიდანო. თქვენ ის ოდნავ სისხლით მოსვრილ იატაკზე იპოვეთ.

მუსიე გორონმა თავი დაუქნია და კარების მარცხნივ გამობერილ რაფაზე დააკაკუნა. ისე როგორც სხვები, არც ის იყო დაკეტილი. პატარა კარი იოლად გაიღო. შიდა თაროებიც შემინული იყო. საპატიო ადგილზე, ცენტრში ლურჯ ხავერდზე, უკეთ დასანახად ვერტიკალურად იდო და თვალისმომჭრელად ბრწყინავდა ყელსაბამი.

— გარეცხეს და თავის ადგილზე დადეს, — უთხრა მუსიე გორონმა, — გადმოცემით ეს ყელსაბამი ეკეთა დედოფალ მარია-ანტუანეტას ფავორიტს, ქალბატონ დე ლამბალს, როდესაც ის ბრბომ ჩააქვავა დე ლა ფორსის ციხესთან. უცნაური მიდრეკილება ჰქონდა სერ მორის ლოუზს საშინელებებისადმი, ხომ მართალია?

— ეს ხდება.

მუსიე გორონმა ჩაიხითხითა.

— ხედავთ, რა არის იქ უკან?

— მგონი, — დერმოტმა ყელსაბამის უკან შეიხედა, — მუსიკალური ყუთი პატარა თვლებზე?

— სავსებით სწორია. როგორ შეიძლება ასეთი ნივთის მინაზე დადება! მახსოვს, როდესაც დანაშაულის მეორე დღეს ოთახს ვათვალიერებდით და მკვდარი ჯერ კიდევ აქვე იჯდა, პოლიციის კომისარმა კარი გამოაღო და ყუთს წამოედო. ის იატაკზე დაეცა...

მუსიო გორონმა ისევ თითი ჰკრა ყუთს. ეს იყო ვეებერთელა ხის ყუთი. ლითონის უფერულ გვერდებზე შემორჩენოდა ნახატების კვალი. ამ სურათებზე, როგორც დერმოტი მიხვდა, გამოსახული იყო ამერიკის სამოქალაქო ომის სცენები.

— ყუთი გვერდზე დაეცა. და „ჯონ ბრაუნის გვამი" დაუკრა[1]. იცით მელოდია? — პრეფექტმა რამდენიმე ტაქტი

---

[1] ამერიკის 1861—1865 წლების სამოქალაქო ომის დროინდელი სიმღერა: „ჯონ ბრაუნის გვამი მიწაში ლპება, მაგრამ მისი სული ჩვენთანაა". ჯონ ბრაუნი (1800—1859) 1855 წელს სათავეში ჩაუდგა კანზასის მონათმფლობელურ შტატად გადაქცევის წინააღმდეგ ბრძოლას. მისმა სიკვდილით დასჯამ მონათა აჯანყება გამოიწვია.

დაუსტვინა. — და შთაბეჭდილება, მე თქვენ გეტყვით, შესაფერისი იყო. შემორბის გაცეცხლებული მუსიე ჰორაციო, მოითხოვს ხელი არ ვახლოთ მამამისის კოლექციას. მუსიე ბენჟამინი ამბობს, რომ ეტყობა ახლახან ის ვიღაცამ დაქოქა; იმიტომ რომ მან, რომელსაც ყველაფერი ეხერხება, სულ რაღაც რამდენიმე დღის წინ შეაკეთა და დაქოქა, ახლა კი პირველ ფრაზაზევე, ენა ებმება. წარმოგიდგენიათ! აურზაური არაფრის გამო.

— მაშ, ასე, უკვე გითხარით, რომ ეს დანაშაული ტიპიურია.

— ოჰ! — მუსიე გორონმა ყურები ცქვიტა. — ჰო, მითხარით, რა თქმა უნდა, მითხარით და ძალიან მინდა ვიცოდე, რა გქონდათ მხედველობაში?

— ის რომ, — უთხრა დერმოტმა, — ეს არის შინაურული დანაშაული. მყუდრო, ხელსაყრელი, ფაქიზი დანაშაული, როგორც უფრო ხშირად ოჯახის წიაღში იბადება ხოლმე.

მუსიე გორონმა აკანკალებული ხელი შუბლზე მოისვა. აქეთ-იქით მიიხედა, თითქოს მხარდაჭერას ეძებსო.

— ექიმო, — უთხრა მან, — ამის სერიოზულად ამბობთ?

დერმოტი პატარა მრგვალი მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა. გვერდზე გაყოფილ შავ ხშირ თმებზე თითები გადაისვა; თითქოს გულისყურის მოკრებას ცდილობდა, მაგრამ შავი თვალები გამგმირავად იყურებოდნენ.

— კაცი მოკლეს ცეცხლის საჩხრეკის ცხრა დარტყმით, თუმცა ერთიც სრულიად საკმარისი იყო. რა უნდა ითქვას ამის შესახებ? თქვენ ამბობთ: „უხეშობაა, უაზრობაა, უბრალოდ გიჟის ჩადენილია". და შემდეგ ზურგს აქცევთ წყნარ ოჯახურ წრეს, სადაც, თქვენი აზრით, ასეთი მხეცობის ჩადენის თავი არავის არა აქვს.

მაგრამ აქ ხომ დარღვეულია დანაშაულის უბრალო ლოგიკა. ყოველ შემთხვევაში, ანგლოსაქსური დანაშაულისა, და არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ ეს ადამიანები ინგლისელები არიან. ჩვეულებრივი მკვლელი, — რომელსაც აშკარა და ნათელი მოტივები აქვს, არ იზამს ასეთ მხეცობას. რატომ? მისი საქმეა — მოკვლა და რაც შეიძლება საგულდაგულოდ დაფარვა კვალისა.

ხოლო ოჯახში, სადაც ადამიანებს ერთად ცხოვრების ვამო გამუდმებით უხდებათ თავშეკავება, მაგრამ უკმაყოფილება გროვდება და ურთიერთობა სულ უფრო აუტანელი ხდება, — ასეთ ოჯახში ადრე თუ გვიან აფეთქება მოხდება და ეს ზოგჯერ ისეთ შემზარავ ფორმებს იღებს, როგორიც ჩვეხ ძმას არც დაესიზმრება. ოჯახში გაუგებარი ამბები ხდება.

დაიჯერებდით, რომ კარგად აღზრდილი ქალი, ღვთისმოსავი ოჯახიდან, ცულით აკუწავდა ჯერ დედინაცვალს, ხოლო შემდეგ საკუთარ მამას მხოლოდ გაუგებარი ოჯახური შეხლა-შემოხლის გამო? რომ დაზღვევის დარბაისელი აგენტი, რომელსაც თავის დღეში უხეში სიტყვაც არ უთქვამს ცოლისათვის, ცეცხლის საჩხრეკით გაუტეხდა მას თავის ქალას? რომ თექვსმეტი წლის წყნარი ქალიშვილი ყელს გამოსჭრიდა უმცროს ძმას მხოლოდ იმიტომ, რომ დედინაცვალი სძულდა? არ გჯერათ? არასაკმაო მოტივებია? მაგრამ მაინც მოხდა. ყველაფერი ეს!

— მაშასადამე, ყველა ისინი ნადირები იყვნენ, — უთხრა მუსიე გორონმა.

— არაფერიც, ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, როგორიც ჩვენ ვართ. ხოლო მისის ნილმა...

— ჰოო! რა მისის ნილმა?

— მისის ნილმა, — უპასუხა დერმოტმა და თანამოსაუბრისთვის თვალი არ მოუშორებია, — რაღაც დაინახა. ნუ მკითხავთ — რა! მან იცის, რომ მოკლა ოჯახის რომელიღაც წევრმა.

— აბა რა ვირზე შეჯდა და დუმს?

— შეიძლება არ იცის, სახელდობრ, ვინ.

მუსიე გორონმა თავი გააქნია და სარდონიკულად გაიღიმა.

— ექიმო, ჩემი აზრით, ეს ასე არაა. და ვშიშობ, თქვენი ფსიქოლოგიით შორს ვერ წავალთ.

დერმოტმა ჯიბიდან ამოიღო „მერილენდის“ ყვითელი კოლოფი. სიგარეტს მოუკიდა, სანთებელა ჩააქრო და გორონს ისეთი თვალით შეხედა, ცოტა არ იყოს, მას ნირი ეცვალა. დერმოტი იღიმებოდა, მაგრამ მისი ღიმილი მხოლოდ საკუთარ თეორიაში დარწმუნებული ადამიანის მხია-

რულ კმაყოფილებას გამოხატავდა. მან ნაფაზი დაარტყა და ბოლის პატარა რგოლი გამოუშვა, რომელმაც ჭაღის თვალისმომჭრელ სინათლეში გაცურა.

— იმ ჩვენებებში, რომლებიც თქვენ თვითონ გადმომეცით, — უთხრა დერმოტმა გულიდან აღმომხდარი მშვიდი ხმით, რომლითაც მას შეეძლო თითქმის მოენუსხა ადამიანები, — ამ ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა, თქვა შეგნებულად, უხეში, აშკარა ტყუილი, — მან პაუზა გააკეთა. — გითხრათ, სახელდობრ რა, თუ არ ღირს?

ესიე გორონმა ტუჩები მოიღოკა.

ბაგრამ პასუხი ვერ მოასწრო: კაბინეტის კარები — დერმოტი მგონი თავისი მოსაზრებების საილუსტრაციოდ უკვე უთითებდა მასზე, — კაბინეტის კარები გაიღო. ზღურბლზე გამოჩნდა თვალებზე ხელაფარებული ჯენის ლოუზი.

ეტყობოდა, ეს ოთახი აქამდე ამშინებდა მას. ჯენისმა სწრაფად, ბავშვურად შეხედა ცარიელ მბრუნავ სკამს და, დეზინფექციის საზიზღარი სუნი რომ ეცა, შეკრთა. მაგრამ წყნარად შევიდა კაბინეტში და კარი მიხურა. ჯენისს შავი კაბა ეცვა და კარგად მოჩანდა ოთახის თეთრ ფონზე. ძან ინგლისურად მიმართა დერმოტს.

— მე კი ვფიქრობდი, სად გაქრნენ-მეთქი. — საყვედურით უთხრა მან, — გახვედით ჰოლში და — ჰეფი! — ძან ჟესტით წარმოადგინა, როგორ გაქრნენ ისინი.

— დიახ, დიახ, მადმუაზელ?—აფორიაქდა მუსიე გორონი.

ჯენისმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია მას. გეგონებოდა ძალას იკრებს და საცაა აფეთქდებაო. მაგრამ ის კიდევ დიდხანს დუმდა და დერმოტს სახეზე აკვირდებოდა. მხოლოდ ამის შემდეგ მთელი თავისი ახალგაზრდული უშუალობით წარმოთქვა:

— თქვენი აზრით, ჩვენ საშინლად მოვექეცით ევას, ხომ მართალია?

დერმოტმა გაიღიმა.

— ჩემი აზრით, თქვენ კეთილშობილურად დაიცავით ის, მისის ლოუზ. მაგრამ აი თქვენმა ძმამ...

— თქვენ ვერ უგებთ, ჩვენს ტობის... — იყვირა ჯენისმა და ფეხი დააბაკუნა.

— შესაძლოა.

— ტობის უყვარს ის. ტობი — გულღია და პირდაპირია.

— Sancta simplicitas!

— ეს ნიშნავს „წმინდა უბრალოებას“, არა? — მაშინვე შეეკითხა ჯენისი, მან თვალით გაზომა დერმოტი, ყოველნაირად ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი ჩვეულებრივი მსუბუქი და მოურიდებელი ტონი. — კეთილი, მე რა მენაღვლება... მაგრამ თქვენც არაფერი დაგიშავდებათ ჩვენს მდგომარეობაში რომ შეხვიდეთ. მაინც ხომ... — და მან მბრუნავ სკამზე მიუთითა.

— ის აღარ არის, — განაგრძობდა ჯენისი, — ახლა ჩვენ ყველა მხოლოდ ამაზე ვფიქრობთ. და უცებ სად იყო და სად არა, ეს ბრალდება... ჩვენ კი ისეთ მდგომარეობაში ვართ, მშვიდად ვერ ვუპასუხებთ: „რა უაზრობაა, შეუძლებელია, სისულელეა ამის ახსნა და მტკიცება“. აქ არ ვიცი, ვინ უნდა იყო, რომ მშვიდად უპასუხო.

დერმოტს არ შეეძლო არ ეღიარებინა, რომ ის მართალი იყო. მან გაიღიმა და ამან ჯენისს მხნეობა შემატა.

— აი რატომ მინდოდა — განაგრძო ჯენისმა, — თქვენთვის ერთი კითხვის მოცემა საიდუმლოდ. მხოლოდ საიდუმლოდ, შეიძლება?

— როგორ არა! — დაასწრო დერმოტის მუსიე გორონმა. და მშვიდად უპასუხა — მ-მ, სად არის ახლა მისის ნილი?

ჯენისს სახე მოეღუშა.

— ურთიერთობებს არკვევს ტობისთან. დედა და ძია ბენი მორიდებულად გავიდნენ. მაგრამ კითხვა, რომლის მოცემაც მინდოდა... მას ენა დაება, შემდეგ ღრმად ამოიოხრა და პირდაპირ დერმოტს შეხედა. — გახსოვთ, თქვენ დედას ესაუბრებოდით იმის თაობაზე, თუ როგორ იყო მამა დაინტერესებული ციხეებით?

რატომღაც უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმისას მის ხმაში მუქარა გაისმა.

— მერე? — შეეკითხა დერმოტი.

— და აი მე ვიფიქრე... გახსოვთ, ეს ყველას ახსოვს, რა უცნაური სახე ჰქონდა იმ ღამეს მამას? როგორ

დაბრუნდა სეირნობიდან და უარი თქვა თეატრში წასვლაზე, მთლად გაფითრებული იყო და ხელები უკანკალებდა? და გავიხსენე, როდესაც ერთხელ ის სავსებით ისეთივე იყო... ერთადერთხელ...

— მერე?

— რვა წლის წინათ, — უთხრა ჯენისმა, — მამას შეუჩნდა ერთი ძველი მლიქვნელი, მას ფინისტერი ერქვა; მან მამა რაღაც საქმეში გააბა და მერე მოატყუა. დაწვრილებით არ ვიცი; მაშინ ჯერ კიდევ პატარა ვიყავი და საქმეები არ მაინტერესებდა, თუმცა არც ახლა მაინტერესებს. მხოლოდ მახსოვს, მამამ და მან უკანასკნელი სიტყვებით გალანძღეს ერთმანეთი.

მუსიე გორონი, რომელსაც ყურზე ხელი მიედო, გაოცდა.

— ეს, რასაკვირველია, ძალზე საინტერესოა, — უთხრა პრეფექტმა, — მაგრამ, გულახდილად რომ გითხრათ, არ მესმის...

— მომითმინეთ! — შეაწყვეტინა მას ჯენისმა და ისევ დერმოტს მიმართა. — მამა ცუდად იმახსოვრებდა სახეებს. მაგრამ ზოგჯერ სრულიად მოულოდნელად გაიხსენებდა, ვინ სად ენახა. და აი, როდესაც ფინისტერი თავის დაძვრენასა და გამართლებას ლამობდა (მაგრამ მამის ზარალის ანაზღაურებას არ ფიქრობდა), მამას უცებ გაახსენდა, ვინ იყო ის.

თურმე, ის არავითარი ფინისტერი არ ყოფილა, ის იყო პატიმარი მაკკონკლინი, რომელიც თავდებით გამოუშვეს. მან კი მოატყუა და მიიმალა. მამა ჯერ კიდევ მაშინ დაინტერესდა მაკკონკლინით, როდესაც ის ციხეში იჯდა, მაგრამ მან ამის შესახებ არაფერი არ იცოდა. და აი, თურმე ნუ იტყვით, ისევ მაკკონკლინი.

როდესაც ნახა, რომ იგი იცნეს, ტირილი მორთო და მამას შეეხვეწა პოლიციისათვის არ გადაეცა. დაპირდა ფულს დაგიბრუნებო. ახსენებდა ცოლსა და პატარა შვილებს. ეუბნებოდა, რომ თანახმა იყო ყველაფერზე. ოღონდ მამას ხელახლა არ ჩაესვა ციხეში. დედა ამბობს მამას მკვდრისფერი დაედო. სააბაზანოში გავიდა და იქ გული აერიაო. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, ჩემი აზრით, მამა საკუთარ ქალი-

შვილსაც ჩასვამდა იქ, თუ მიიჩნევდა, რომ ის ამას იმსახურებდა.

ჯენისი გაჩუმდა.

ყოველივე ეს მან სულმოუთქმელად თქვა და ტუჩები გაუშრა. კაბინეტს თვალი მოავლო, თითქოს იმედოვნებდა, რაფებს შორის უცბად მამა გამოჩნდებაო.

— მერე მან ფინისტერს უთხრა: „დასამალად გაძლევთ ოცდაოთხ საათს. ამ ვადის გასვლის შემდეგ კი ყველა ცნობა თქვენი ახალი ცხოვრების შესახებ — მისამართი, ახალი სახელი, ყველაფერი — გადაცემული იქნება სკოტლანდ იარდში". ასეც მოიქცა. ფინისტერი ციხეში მოკვდა. დედა ამბობს, ამის შემდეგ მამას რამდენიმე დღე საშველი არ უჭამიაო, გესმით, ეს ფინისტერი მას მოსწონდა.

უკანასკნელი სიტყვა ჯენისმა რაღაც უცნაური მრავალმნიშვნელოვნებით წარმოთქვა.

— ოღონდ არ გეგონოთ, რომ ბოროტი ვარ და მშურს მისი. ღმერთმა დამაფაროს! უბრალოდ შეიძლება თქვენ ასე მოგეჩვენოთ. კეთილი, სჯობს გულახდილები ვიყოთ, — მან პირდაპირ თვალებში შეხედა დერმოტს. — როგორ ფიქრობთ — იქნებ ევა ნილი ოდესღაც ციხეში იჯდა?

თავი 12

ქვემოთ, სასტუმრო ოთახში, მარტო ევა და ტობი დარჩნენ. მხოლოდ მოოქროსფრო-ყვითელაბაჟურიანი ტორშერი ენთო და ისიც ყველაზე შორეულ კუთხეში იდგა. ევას არ უნდოდა ტობის სახე კაშკაშა სინათლეზე დაენახა, არც ტობის ეპიტნავებოდა დიდად მისი სახის ყურება.

ევა ჩანთას ეძებდა. ისე იყო აღელვებული, ვერაფრით ვერ პოულობდა. ოთახში დაბორიალებდა და ჩანთას ერთსა და იმავე ადგილას რამდენჯერმე ეძებდა; მაგრამ როდესაც კარს მიუახლოვდა, ტობიმ გზა გადაუჭრა.

— მიდიხარ? — დაუყვირა მან.

— ჩანთას ვეძებ, — ცივად მიუგო ევამ. — მერე კი წავალ. კარს მოცილდი.

— მაგრამ უნდა მოვილაპარაკოთ!

— რაზე უნდა მოვილაპარაკოთ?

— პოლიცია ფიქრობს...

— როგორც უკვე გაიგონე, — უთხრა მას ევამ, — პოლიციას ჩემი დაპატიმრება სურს. ასე რომ უნდა წავიდე და გავემზადო. ვფიქრობ, ამის ნებას დამრთავენ?

ტობის სახეზე სრული დაბნეულობა გამოეხატა. შემდეგ ხელი აწია და შუბლი მოიწმინდა. ის, სიმართლე უნდა ითქვას, აშკარად ვერ გრძნობდა რამდენად კეთილშობილი და ვაჟკაცურია ახლა მისი სახე. მას ნიკაპი წინ წამოეწია და ისე იდგა. აშკარად ეტყობოდა, რომ გაბედულად და სწორად უნდა მოქცეულიყო, რადაც არ უნდა დასჯდომოდა.

— თვითონაც იცი, — უთხრა მან, — რომ კბილებით დაგიცავ. შეგიძლია ეჭვი არ შეგეპაროს.

— გმადლობთ.

ტობიმ ვერ დაიჭირა მისი ირონია და ფიქრმორეული იატაკს მიაჩერდა. მსჯელობას მოჰყვა.

— შენი დაპატიმრება მათ არ შეუძლიათ. რას ამბობ! ჩემი აზრით, არც აპირებენ. უბრალოდ უნდათ შეგაშინონ, მაგრამ მაინც დღესვე წავალ ინგლისის კონსულთან. შენ თუ დაგაპატიმრებენ — საეჭვოა, ეს ჩვენს ბანკს მოეწონოს, გასაგებია?

— იმედი მაქვს, ეს არც თქვენ მოგეწონებათ.

— ოჰ, ევა, არ გესმის ეს საქმე. ჰუკსონების ბანკი — ერთ-ერთი უძველესი ფინანსური დაწესებულებაა ინგლისში. ცეზარის ცოლიც და მისთანანი... ერთი სიტყვით, უკვე ასჯერ მაქვს ნათქვამი. ასე რომ, ნუ გამკიცხავ სიფრთხილის სხვადასხვაგვარი ღონისძიებებისათვის...

ევა რაც შეეძლო თავს იკავებდა.

— შენ გჯერა ტობი, რომ მამაშენი მე მოვკალი?

ევა განაცვიფრა მძაფრმა გამოხედვამ, რომელიც არ ეხამებოდა მისი სახის ჩვეულებრივ გულგრილ გამომეტყველებას და მოულოდნელად გამომჟღავნებულმა განცდის უცნაურმა სიღრმემ. ევას არაფრით არ ეგონა, თუ ეს სიღრმე გაეჩნდა ტობი ლოუზს.

— შენ არავინ არ მოგიკლავს, — უპასუხა მან და აი-

ფხორა. — ეს სულ შენი წყეული მოახლის ამბებია. ო, ეს მან...

— რა იცი მის შესახებ, ტობი?

— არაფერი. — მან ღრმად ამოიოხრა. — მაგრამ საერთოდ ჩემთვის არც ისე სასიამოვნოა, — აქ უკვე აბუზღუნდა, — მე და შენ ყველაფერი ასე კარგად, ასე საუცხოოდ გვქონდა და უცებ ისევ დაუკავშირდი ამ ეტვუდს.

— მაშასადამე, შენ ასე ფიქრობ?

ტობიმ გუდას პირი მოხსნა.

— აბა, რა უნდა ვიფიქრო? მოდი, გავერკვეთ! ოღონდ პატიოსნად! არც ისეთი ჩამორჩენილი ვარ, შენ რომ გგონია. ვფიქრობ, ფართო შეხედულებებისა და დიდი გაქანების კაცი ვარ. არაფერი ვიცი და არც მინდა ვიცოდე, თუ როგორ ცხოვრებას ეწეოდი ჩვენს გაცნობამდე. შემიძლია ყოველივე ეს გაპატიო და დავივიწყო.

ევა გაშტერებული უყურებდა.

— კეთილი, ჯანდაბას ყველაფერი ეს, — გაცხარებით განაგრძობდა ტობი, — ადამიანს აქვს იდეალები, გესმის? დიახ, იდეალები! და როდესაც ის ცოლის შერთვას გადაწყვეტს, იმედი აქვს, რომ მისი სატრფო შესაფერისი იქნება!

ევამ ჩანთა იპოვა. ის მაგიდაზე, თვალში საცემ ადგილზე იდო და საკვირველი იყო ადრე როგორ ვერ შენიშნა. მან ხელი დასტაცა ჩანთას, გახსნა, უნებლიეთ შიგ ჩაიხედა და კარებისაკენ გაიქცა.

— გამიშვი. უნდა წავიდე.

— მოიცა! სად მიდიხარ? უეცრად პოლიციას ან რეპორტიორებს, ანდა სხვა ვინმეს რომ გადაეყარო! ახლა ისეთ მდგომარეობაში ხარ, ვინ იცის, რას წამოროშავ!

— ჰუკსონებს-კი ეს არ მოეწონებათ!

— კარგი, კარგი. რა საჭიროა აქ ირონია? საქმეს რეალისტურად უნდა შეხედო ევა. ქალებს ეს არ გესმით...

— საერთოდ ვახშმობის დროა.

— კეთილი, ამაზედაც შემიძლია წავიდე. შემიძლია ჰუკსონებიც ჯანდაბის იქით გავგზავნო, ოღონდ დანამდვილებით ვიცოდე ერთი, გულახდილი ხარ თუ არა ჩემთან? მითხარი, ისევ შეურიგდი ეტვუდს?

— არა.

— არ მჯერა.

— მაშინ მეასედ რატომ მაძლევ ამ კითხვას? იცი რა, მოცილდი, გეთაყვა, კარს.

— ო, შესანიშნავია, — უთხრა ტობიმ და ხელები ამაყად დაიწყო გულზე. — რაკი შენ ასე...

ის განზე გადგა, ღირსებაშელახული და თავაზიანობაჩამორთმეული კაცის სახით და ნიკაპი ზევით ასწია. ევა ყოყმანობდა. სხვა დროს შეეცდებოდა აზრი შეეცვლევინებინა; მაგრამ მისი სულიერი ტანჯვა, შელამაზებულ-შეფერადებული რომ ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო, გულზე არ ხვდებოდა. ევამ ცხვირწინ ჩაუქროლა, ჰოლში გავარდა და კარი გაიჯახუნა.

კაშკაშა სინათლემ ევა წამით დააბრმავა. როდესაც თვალები მიაჩვია, დაინახა, მისკენ მომავალი ძია ბენ ფილიპსი. რაღაც უცნაურ ხორხისმიერ ბგერებს გამოსცემდა.

— მიდიხართ? — უთხრა ძია ბენმა.

(ეგღა აკლდა! ღმერთო, შენ მიშველე)

ჩანდა, ძია ბენს თანაგრძნობის გაწევა უნდოდა, მაგრამ ისე, რომ არავის დაენახა. აშკარად დარცხვენით იფხანდა ჭალარა თავს. მეორე ხელში დაჭმუჭნილი კონვერტი ეჭირა და თითქოს არ იცოდა, რა ექნა მისთვის.

— ააა, — კინაღამ დამავიწყდა, — უთხრა მან. — თქვენი წერილია.

— ჩემი?

ძია ბენმა თავით შემოსასვლელ კარზე ანიშნა:

— ათი წუთის წინ ვნახე საფოსტო ყუთში. ვილაცას ჩაუგდია. თქვენს სახელზეა. — კეთილი ლურჯი თვალები მის გამოხედვას ეძებდა. — ალბათ მნიშვნელოვანია.

ევას არ აინტერესებდა მნიშვნელოვანი იყო ეს წერილი თუ არა. მან გამოართვა ის, დახედა თავის სახელს, ბატიფეხურით რომ ეწერა კონვერტზე, და ჩანთაში ჩააგდო. ძია ბენმა პირში ჩამქრალი ჩიბუხი გაირჭო და ხმაურით დაიწყო ქაჩვა; ჩანდა, მხნეობას იკრებდა ევასთან საუბრის გასაბმელად.

— ჩემს აზრს ამ სახლში არავინ არაფრად არ აგდებს, — წარმოთქვა მან ბოლოს, — მაგრამ... მე თქვენს მხარეზე ვარ.

— გმადლობთ.

— ყოველთვის, — უთხრა ძია ბენმა. მაგრამ როდესაც მან ევას ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად, ის უნებლიეთ განზე გახტა და მოხუცი შეკრთა, თითქოს სილა გააწნესო.

— რა მოხდა, ძვირფასო?

— არაფერი. მაპატიეთ.

— როგორც მაშინ, ხელთათმანებმა რომ შეგაშინათ? ჰა?

— რა ხელთათმანებმა?

— თქვენ იცით, — ძია ბენმა კვლავ მიაპყრო მას თავისი კეთილი თვალები, — როდესაც მანქანას ვუჩხაკუნებდი და ყავისფერი ხელთათმანები მეკეთა. სულ მიკვირდა, რა არ მოგეწონათ მაშინ?

ევამ ზურგი შეაქცია მას და ქუჩაში გავარდა.

ქუჩაში უკვე ბნელოდა. სექტემბრის ბურუსიანი საღამო იდგა, ისეთი, რომელიც უფრო ათრობს ადამიანს, ვიდრე გაზაფხულის ბინდ-ბუნდი. წაბლის ხეებში მკრთალი ფარნები აინთო. ვილა „სალამში" მტანჯველი ყოფნის შემდეგ ევამ, როგორც იქნა, თავისუფლად ამოისუნთქა, მაგრამ, ეტყობოდა, დიდხანს ვერ იბოგინებდა თავისუფლად.

ყავისფერი ხელთათმანები, ყავისფერი ხელთათმანები...

ის კედლის ჩრდილში გაჩერდა. მარტო ყოფნა უნდოდა; რაც შეიძლება შორს ამ დაკითხვებისა და ფარულად მომზირალი თვალებისაგან. სიბნელეში, სადაც ვერავინ დაინახავდა.

„სულელი ხარ, სულელი, — უთხრა მან თავის თავს, — რატომ არ მოუყევი მათ ის, რაც დაინახე? რომ მათს ოჯახში ვილაც, ვინც ყავისფერ ხელთათმანებს ატარებს — საზიზღარი ფარისეველია? ვერ თქვი? ვერ აიძულე თავი გეთქვა? მერედა, რატომ? რომ არ გაგებრიყვებინა ისინი? თუ იმის შიშით, რომ ასეთი ბრალდების მოსმენის შემდეგ, ზურგს შეგაქცევდნენ? ან იქნებ იმიტომ, რომ არ მოგეტყუებინა ტობი, რომელიც თავისი ნაკლოვანებების მიუხედავად, ყოველ შემთხვევაში, პატიოსანი და პირდაპირი კაცი მაინცაა?

მაგრამ შენ, ევა ნილ, მათთან არავითარი მოვალეობა არ გაკავშირებს. მორჩა. უკვე აღარ გაკავშირებს".

ევასათვის განსაკუთრებით საზიზღარი იყო ეს ნიანგის

ცრემლები. რასაკვირველია, მთელი ოჯახი არაა დამნაშავე. და ყველა, ერთის გარდა, ისევე თავზარდაცემულია, როგორც ის. მაგრამ იმათგან ერთ-ერთს, ვინც ახლა მას სიყვედურით უცქერის, ჩირად უღირდა მშვიდად აეღო იარაღი და მოეკლა.

და მათ — არსებითად, რაც ყველაზე მეტად სწყინდა ევას, — ლამის ნათრევ ქალად მიეჩნიათ ის; თუმცა მაინც დიდსულოვნად და ხელგაშლით ხვდებოდნენ სახლში, რასაკვირველია, გაზვიადება არაა საჭირო, ისინი დარდით გულმოკლულები არიან. სრულიად ბუნებრივია, მაგრამ ევას მუდამ ზიზღს ჰგვრიდა მფარველური კილო.

კი მაგრამ, მთავარი?

ალბათ მას ციხე მოელის.

არა, ეს შეუძლებელია! ეს არ მოხდება!

მხოლოდ ორმა, — შემთხვევით თუ მართლა? — გამოავლინა თავი კეთილშობილ ადამიანად. პირველია — უმაქნისი ნედ ეტვუდი. მას არასდროს არ მოჰქონდა თავი „პატიოსან“ კაცად, მაგრამ მაინც, გრძნობას რომ კარგავდა, ტყუილი მოიგონა, რითაც იმედოვნებდა, უშველიდა. მეორე კი — ეს ექიმია, რა ჰქვია? ევას გვარი დაავიწყდა. ისიც ვერაფრით ვერ გაიხსენა, როგორ გამოიყურებოდა, მაგრამ სახის გამომეტყველება დაამახსოვრდა, დაამახსოვრდა აგრეთვე შავი თვალები; ჭკვიანი და გულუბრყვილო თვალები; მისმა ირონიულმა ხმამ ლოუზების სასტუმრო ოთახში გაჩსკდარი ბომბის შთაბეჭდილება მოახდინა.

საკითხავია მხოლოდ: დაუჯერებს კი პოლიცია ნედ ეტვუდს, სრული ჭეშმარიტებაც რომ თქვას მან?

ნედი ავად არის, დაიმტვრა, უგონოდაა. „საეჭვოა, რომ მოიკეთოს“. თავისი უბედურების გამო ისე აღელდა, რომ სრულიად დაავიწყდა ნედი. იქნებ სჯობს, ყველაფერზე ხელი ჩაიქნიოს, მიაფურთხოს ლოუზების აზრს და პირდაპირ ნედთან მივიდეს? ახლა მას არც დარეკვა შეუძლია და არც წერილის მოწერა...

წერილი.

გრილ ჩრდილში მდგარ ევას მაგრად ჩაებღუჯა ჩანთა ხელში. მერე გახსნა და დაჭმუჭნულ კონვერტს დახედა.

მტკიცე ნაბიჯებით გადავიდა რიუ დეზ ანჟზე და თავისი სახლის ახლოს ფარნის ქვეშ გაჩერდა. აქ მან კარგად დაათვალიერა ნაცრისფერი დაწებებული კონვერტი; მასზე კოხტა ფრანგულით გამოყვანილი იყო მისი სახელი, ფოსტის შტემპელი არ ჰქონდა; ვიღაცამ ეს წერილი ჩააგდო იმ სახლის საფოსტო ყუთში, სადაც ის არ ცხოვრობდა. უბრალო სწორკუთხედში არაფერი იყო სასტიკი და საშინელი. მაგრამ გულმა ბაგაბუგი დაუწყო და ალმური მოედო, როდესაც კონვერტი გახსნა. წერილი ფრანგულად იყო დაწერილი, ხელს არავინ არ აწერდა.

„თუ ახლანდელ მდგომარეობაში მყოფ. ქალბატონს სურს შეიტყოს მისთვის ძვირფასი ცნობები, მოვიდეს რიუ დე ლა არპის ქუჩაზე, № 17 სახლში ათი საათის შემდეგ. კარები ღიაა, მობრძანდით“.

ევას თავზე ფოთლები შრიალებდნენ, რაღაცაზე ესაიდუმლოებოდნენ ერთმანეთს და ნაცრისფერ ფურცელზე მოცახცახე ჩრდილებს ჰფენდნენ.

ევამ თავი ასწია. იქვე იყო მისი საკუთარი ვილა, სადაც ივეტა ლატური, ალბათ ვახშამს უმზადებდა, რადგან მზარეული ქალი წასული იყო. ევამ წერილი დაკეცა და ისევ ჩანთაში ჩადო.

ვერც კი მოასწრო ზარზე თითის დაჭერა, რომ მუდამ მკვირცხლმა და გულჩათხრობილმა ივეტა ლატურმა უკვე გააღო კარი.

— ვახშამი მზადაა ქალბატონო, — უთხრა ივეტამ. — უკვე ნახევარი საათია, რაც მზადაა.

— არავითარი ვახშამი არ მინდა.

— ცოტა უნდა წაიხემსოთ, ქალბატონო, ძალები უნდა შეინარჩუნო.

— რატომ? — შეეკითხა ევა.

ის ივეტას გასცდა და კიბით თავისი მყუდრო ჰოლისაკენ გაემართა. ჰოლი ბონბონიერივით იყო მორთული. კედლები სარკეებს დაეფარა. იატაკზე ნოხები ეფინა.

ის მკვეთრად შემოტრიალდა და თავისი კითხვა გაიმეორა. მხოლოდ ახლაღა მიხვდა, რომ სახლში მარტო ის და ივეტა იყვნენ.

— გეკითხებით: რატომ? — გაუმეორა ევამ.

— ღმერთმანი, ქალბატონო, — ივეტა მოულოდნელად კეთილი ადამიანივით აბუზღუნდა, თითქოს ცდილობს თავიდან აიშოროს ჩხუბიო. თვალებიც კი გადმოკარკლა და მოჭიდავესავით დოინჯი შემოიყარა. — ყველამ უნდა შეინარჩუნოს ძალები, აბა როგორ, ქალბატონო?

— რატომ დამიკეტეთ ცხვირწინ კარები იმ ღამეს, როდესაც სერ მორის ლოუზი მოკლეს?

უცებ საათის წიკწიკი მოისმა.

— ქალბატონო?..

— თქვენ კარგად გაიგონეთ, რაც გითხარით.

— გავიგონე. მაგრამ ვერ გაგიგეთ, ქალბატონო.

— როგორ დამასმინეთ პოლიციაში? — შეეკითხა ევა. მას გული შეეკუმშა და სახეზე სისხლი მოაწვა.

— ქალბატონო?..

— რატომ აღარ მოიტანეს სამრეცხაოდან ჩემი თეთრი მაქმანიანი ხალათი?

— ო, ქალბატონო! არ ვიცი. ზოგჯერ იმდენ ხანს აჩერებენ ხოლმე. როდის ინებებთ ვახშამს?

ევას აღტყინება ივეტას შეუვალობას შეეჯახა და ნამსხვრევებად იქცა სერ მორის ლოუზის ერთ-ერთი ფაიფურის ლანგარივით.

— ხომ გითხარით, არ ვაპირებ ვახშამს-მეთქი, — უკვე კიბიდან უპასუხა ევამ. — ოთახში მივდივარ.

— ბუტერბროდები ხომ არ მოგიტანოთ?

— დიახ, გეთაყვა, და ყავაც.

— კეთილი, ქალბატონო. დღეს კიდევ გამოხვალთ?

— არ ვიცი. შესაძლოა.

და კიბეები სირბილით აიარა.

მის საწოლ ოთახში ფარდები იყო ჩამოფარებული და ბრა ენთო. ევამ კარები დაკეტა. სუნთქვა ეკვროდა; გულში საშინელ სიცარიელეს გრძნობდა; მუხლები უკანკალებდა; სისხლი უკუიქცა ლოყებიდან და საფეთქლებში უცემდა. საკარძელში ჩაეშვა და ცდილობდა გონს მოსულიყო.

სახლი 17 დე ლა არპზე, სახლი 17 დე ლა არპზე, სახლი 17, სახლი 17.

საწოლ ოთახში საათი არ იყო. ევა შეუმჩნევლად გავიდა ჰოლში, იქიდან სასტუმრო ოთახში და საათი მოიტანა. საათი დაქოქილი ნაღმივით ავბედითად წიკწიკებდა. მან ის კომოდზე დადგა და დასაბანად სააბაზანოში გავიდა. როდესაც დაბრუნდა სუფრა გაშლილი დახვდა. მაგიდაზე ლამაზად ელაგა ბუტერბროდები და ყავა. ბუტერბროდებისათვის პირი არ დაუკარებია, მაგრამ ყავა-ცოტა მოსვა. მერე კი დაიწყო სიგარეტების ზედიზედ მოწევა, სანამ საათის ისრები ცხრის ნახევრიდან ცხრამდე და ათის ნახევრიდან ათამდე მიცოცავდა.

ერთხელ პარიზში ის ესწრებოდა სასამართლოს, ასამართლებდნენ მკვლელს. ნედი ამას თავშესაქცევად მიიჩნევდა და ევა თან წაიყვანა. ყველაზე მეტად ის ყვირილმა გააკვირვა, მოსამართლეები, — ისინი კი ბევრნი იყვნენ, ყველას მანტიები ეცვა და მოსამართლის ქუდები ეხურა, — ხმამაღლა უყვიროდნენ მკვლელს; მას უყვიროდა პროკურორიც და დანაშაულის აღიარებას მოითხოვდა.

მაშინ ყველაფერი ეს მას უცხოდ, არასასიამოვნოდ, მაგრამ თავშესაქცევად მოეჩვენა. მაგრამ საბრალო ტურტლიან ბრალდებულს, ჭუჭყიანი ფრჩხილებით რომ ჩაფრენოდა სკამს და არანაკლებ შემზარავი ხმით უყვიროდა მოსამართლეებს, ეს სრულებითაც არ ეჩვენებოდა თავშესაქცევად. როდესაც ის გაჰყავდათ, საკეტებმა გაიჩხაკუნა და კრეოზოტის სუნი დადგა. ევამ თითქოს ისევ იგრძნო ეს საზიზღარი სუნი. ის ისე გაიტაცა მოგონებებმა, ლამის ქუჩის ხმაურიც აღარ ესმოდა.

მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როდესაც კარზე ზარი დარეკეს.

დაბლა ერთბაშად მრავალი ხმა გაისმა. ბაკ-ბუკ, ბაკ-ბუკ — ააბაკუნა ივეტამ ფეხები. ნოხზე ისე ჩქარ-ჩქარა აბაკუნებდა, როგორც არასდროს. ივეტამ დაუკაკუნა, მოკრძალებულობას ინარჩუნებდა.

—იქ, დაბლა პოლიციელებითაა სავსე, ქალბატონო,—მოახსენა მან და ისე მხიარულად, კმაყოფილების ისეთი ღრმა გრძნობით წარმოთქვა, რომ ევას პირი გაუშრა. — ვუთხრა, რომ ჩახვალთ, ქალბატონო?

მისი ხმა კიდევ დიდხანს ჩაესმოდა ევას ყურებში.

— შეიყვანეთ ისინი მთავარ სასტუმრო ოთახში, — თითქოს შორიდან გაიგონა ევამ საკუთარი განკარგულება. — ახლავე ჩამოვალ.

— კარგით, ქალბატონო.

კარი მიიხურა. ევა მაშინვე წამოხტა. კარადასთან მივიდა, ბეწვის წამოსასხამი გამოიღო და ჩაიცვა. ჩანთაში ჩაიხედა, შეამოწმა ფული თუ ჰქონდა იქ. შემდეგ სინათლე ჩააქრო და ჰოლში გავარდა.

ავბედით ლითონის წნელს გასცდა და კიბეზე ისე ჩუმად ჩაირბინა, რომ არავის არ გაუგონია. მან სრულიად ზუსტად გაითვალისწინა ივეტას ყოველი მოძრაობა. ხმები უკვე მთავარ სასტუმრო ოთახიდან მოისმოდა: კარი ოდნავ ღია იყო. ივეტა ზურგით იდგა მისკენ. ის სტუმართმოყვარული ჟესტით ეპატიჟებოდა კანონის მსახურთ, მობრძანდით, დაბრძანდით, ნუ გერიდებათო. ევამ დაინახა ვიღაცის ულვაშები და ვიღაცის თვალები, მაგრამ, როგორც ჩანს, ის ვერ დაინახეს. კიდევ ორი წამიც — და ის უკვე შევიდა ბნელ სასადილო ოთახში და იქიდან კიდევ უფრო ბნელ სამზარეულოში.

ისევე, როგორც ამას წინათ, უკანა გასასვლელის კარი გააღო. მაგრამ ამჯერად გასვლისას მოიკეტა. კიბეებით ნამიან სანაპირო შუქურის სხივებით განათებულ ბაღში ავიდა და უკანა ჭიშკრით გავიდა. ის არავის შეუმჩნეია, გარდა მეზობლის ძაღლისა, რომელიც ჯაჭვიდან აწყვეტას ლამობდა. სამი წუთის შემდეგ უკვე ტაქსი გააჩერა კაზინოს წყნარი ბულვარის ფარნების მკრთალ სინათლეში.

— რიუ დე ლა არპზე, სახლი ჩვიდმეტი, — უთხრა ევამ.

თავი 13

— აქ არის?

— დიახ, ქალბატონო, — უთხრა ტაქსისტმა. — სახლი ჩვიდმეტი, რიუ დე ლა არპზე.

— ეს კერძო სახლია?

— არა, ქალბატონო. დუქანია, ყვავილების დუქანი.

როგორც გამოირკვა, რიუ დე ლა არპი მდებარეობდა ლა

ბანდელეტას არამოდურ ნაწილში; უფრო სწორად — ზედ სანაპიროსთან, ინგლისური ფულის ტომრებს, რომლებიც ეხმარებოდნენ ლა ბანდელეტას, ეს რაიონი, იმიტომ სძულდათ, რომ ის ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც უეტსონ-სიუპერ-მერი, პეინტონი ან ფლაკსტონი[1].

დღისით პატარა მტვრიანი ქუჩები აჭრელებული იყო სუვენირებით გატენილი ვიტრინებით, სათამაშო პატარა ვედროებით, ნიჩბებითა და ამერიკული ფოტოაპარატების „კოდაკის" ყვითელი რეკლამებითა და საპატიო კაფეების ბრწყინვალე ფირნიშებით. მაგრამ ღამღამობით, ახლა, როდესაც შემოდგომა ძალაში შევიდა, ეს ქუჩები სიბნელესა და სევდას მოეცვა. მაღალ სახლებს შორის დაკლაკნილმა რიუ დე ლა არპმა ტაქსი შთანთქა. როდესაც ის ჩაბნელებული კარის წინ გაჩერდა, ევას საშინლად არ უნდოდა გადმოსელა.

სახელურზე ხელჩაკიდებული იჯდა და მრიცხველის მკრთალ სინათლეზე შოფერს უყურებდა.

— ყვავილების დუქანი? — ხელმეორედ შეეკითხა ის.

— დიახ, ქალბატონო, — და მან ჩაბნელებული ვიტრინის თეთრი ფირფიტა დაანახა. „სამოთხის ბაღები. ყვავილების დიდი ასორტიმენტი", მაგრამ, იცით, ის დაკეტილია, — გააფრთხილა მან.

— დიახ, დიახ. რასაკვირველია.

— იქნებ კიდევ სადმე წაგიყვანოთ ქალბატონო?

— არა, არა. აქ მინდა. — ევა მანქანიდან გადმოვიდა. — შემთხვევით ხომ არ იცით, ვისია ეს დუქანი?

— ჰა, ვისია? არ ვიცი, — უპასუხა შოფერმა, ვისია — არ ვიცი. მაგრამ აქ მართავს მადმუაზელ ლატური, მოკლედ მადმუაზელ პრიუ. ძალზე თავაზიანი გოგონა.

— ლატური?

— დიახ, ქალბატონო. ცუდად ხართ ქალბატონო?

— არა. მას ჰყავს ნათესავი, და, ან მამიდა, ვინმე ივეტა ლატური?

შოფერი მიაჩერდა მას.

---

[1] ინგლისის კურორტები.

— ღმერთმანი, თავსატეხი გამიჩინეთ ქალბატონო!

— მე დიდი სიამოვნებით... მაგრამ მხოლოდ დუქანი ვიცი. დუქანი თავად მადმუაზელ პრიუსავით სუფთა, აკურატული, მორთული და ლამაზია (აქ ევამ მისი ცნობისმოყვარე გამოხედვა დაიჭირა). დაგიცადოთ, ქალბატონო?

— არა. ვაიმე, კი, კი! აჯობებს დამელოდოთ.

ევას კიდევ უნდოდა მისთვის რაღაც ეკითხა, მაგრამ გადაიფიქრა, შებრუნდა და ყვავილების დუქნისაკენ გაეშურა.

მშვიდი ტაქსისტი მის ზურგს უკან ბჭობდა: „ღმერთო ჩემო! რა ლამაზი ვიღაცაა, და თანაც ინგლისელი! ნუთუ მადმუაზელ პრიუმ არშიყი წაართვა და ახლა ეს ქალბატონი ანგარიშების გასასწორებლად მოვიდა? მაშინ, ბებერო, მარსელ, თავი თუ არ მოგბეზრებია, მოუსვი აქედან, სანამ არ შეუწუხებიხარ ვინმეს. თუმცა არა, ინგლისელებმა მგონი შეხურება არ იციან. მაგრამ ისინიც კაი ვინმეები არიან, მე ვინახავს, რა ხდება ხოლმე, როდესაც მისტერი სახლში მთვრალი მოდის, ხოლო მისისი მას ამისათვის საყვედურებით იკლებს. კეთილი, მაგრამ რატომ არ უნდა გაერთო, თუ არაფერი საფრთხე არ გვემუქრება. თანაც ქალმა ხომ რვა ფრანკი უნდა გადაიხადოს“.

რაც შეეხება ევას, ის არც ისე მარტივად და სწორხაზოვნად ფიქრობდა.

კარების წინ შეჩერდა. სუფთად გარეცხილი სარკისებრი მინის შიგნით თითქმის არაფერი არ ჩანდა. შავი სახურავებიდან მთვარე ამოგორდა, მაგრამ მინა ირეკლავდა და სინათლეს არ ატარებდა.

ათის შემდეგ, როცა გენებოთ. კარი ღიაა. მობრძანდით.

ევამ ხელი მოკიდა სახელურს და კარი გამოაღო. მოელოდა, რომ უმალვე ზარი დაირეკებოდა. მაგრამ ყველაფერი წყნარად იყო. სიბნელე და სიწყნარე, მან კარი ღია დატოვა, ეშინოდა, თუმცა ტაქსისტის ირეკი ჰქონდა. ევა დუქანში შევიდა.

კვლავ არავინ ჩანდა...

ნესტიანი, კეთილსურნელოვანი სიგრილე იგრძნო. დუქანი პატარა იყო. ზედ ფანჯარასთან, დაბალ ჭერზე მიმაგრებულ ჯაჭვზე ჩიტების გალია ეკიდა. მთვარის სხივი იატაკზე

მიცოცავდა, ყვავილების მოჩვენებით ნადიმს ანათებდა და სამგლოვიარო გირლიანდების ჩრდილს სცემდა კედელზე.

მან ჩაუარა დახლსა და სალაროს, სადაც ნესტით განზავებული ყვავილების სუნი იდგა და ბოლოს სინათლის ყვითელი ზოლი შეამჩნია. ის გამოდიოდა მძიმე პორტიერის ქვეშიდან, რომელიც უკანა ოთახის კარს ფარავდა. იმავე წამს პორტიერის იქიდან ქალიშვილის სასიამოვნო ხმა მოისმა.

— ვინ არის? — ფრანგულად იკითხა მხიარულმა ხმამ.

ევამ ნაბიჯი წადგა და პორტიერა გადასწია.

ოთახზე, რომელიც მას წარმოუდგა თვალწინ, ზედგამოჭრილი იყო სიტყვა „მყუდრო". ის მართლაც რომ სიმყუდროვეს ასხივებდა. ის იყო პატარა. კედელზე გაკრული შპალერიც კი, რომელსაც გემოვნების ნატამალი არ ეტყობოდა, სიმყუდროვეს ქმნიდა.

ბუხრის თავზე ეკიდა ხის ყუთების კონსტრუქციით გარშემორტყმული სარკე. მაყალში კაშკაშით იწვოდა მრგვალი ნახშირები, რომლებსაც ფრანგები ბირთვს უწოდებენ. მაგიდაზე იდგა ლამპა, ფოჩებიანი აბაჟურით. ოთახს ამშვენებდა თოჯინებით სავსე ტახტი. პიანინოს თავზე ეკიდა ჩარჩოში ჩასმული საოჯახო ფოტოსურათი. თავად მადმუაზელ პრიუ ლამპასთან ახლოს სავარძელში იჯდა თითქოს არაფერი არ მომხდარაო. ევას მანამდე არასდროს არ ენახა ის, მაგრამ მუსიე გორონი და დერმოტ კინროსი ალბათ მაშინვე იცნობდნენ მას. ქალიშვილს ბრწყინვალედ ეცვა და მშვიდი ღირსების განსახიერებას წარმოადგენდა. დიდი შავი თვალები მორიდებით უყურებდა ევას. მის გვერდით მაგიდაზე იდო საკერავის ყუთი, ის წინდებას ვარდისფერ ელასტიურ სარტყელს კემსავდა და ძაფს კვნეტდა. ეს დეტალი მთელ ამ სცენას პარადულ და ინტიმურ სიმყუდროვეს ანიჭებდა.

მის პირდაპირ ტობი ლოუზი იჯდა.

მადმუაზელ პრიუ ადგა და სარტყელი და ძაფიანი ნემსი გვერდზე გადადო.

— ოჰ, ქალბატონო! — თქვა მან, მაშასადამე, თქვენ ჩემი წერილი მიიღეთ? ძალიან კარგი, შემობრძანდით, გეთაყვა.

შემდეგ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

რა სათქმელია და პირველად ევამ კინაღამ გადიხარხარა, მაგრამ სასაცილო აქ არაფერი იყო, თითქმის არაფერი.

ტობი სკამზე გაქვავდა. მოჯადოებულივით უყურებდა ევას, ვერა და ვერ აშორებდა თვალს. ნელნელა მუქი ფერი ედებოდა სახეზე, სანამ ჭარხალივით არ გაუწითლდა; სინდისის ქენჯნა შესაბრალისი სიცხადით გამოეხატა მასზე. ვისაც არ უნდა ენახა ახლა ტობი, ყველას შეეცოდებოდა.

ევამ გაიფიქრა: „ოღონდ არაფერი წამომცდეს. არა, ახლა არაფრით არ შეიძლება. არ შეიძლება".

— თქვენ... თქვენ დაწერეთ ეს წერილი? — მოესმა საკუთარი ხმა.

— მაპატიეთ! — ღრეჭით და გულწრფელი შებრალების ტონით უპასუხა პრიუმ, — მაგრამ, ქალბატონო, საგნებს პრაქტიკულად უნდა შეხედოთ!

ის ტობისთან მივიდა და გულგრილად აკოცა შუბლზე.

— საბრალო ტობი, — უთხრა მან. — მგონი უკვე დიდი ხანია, რაც ჩვენ ვმეგობრობთ, მან კი მაინც ვერაფერი გაიგო. მაგრამ დროა გულახდილად ვისაუბროთ, კარგი?

— კარგი, — უპასუხა ევამ. — დამდეთ პატივი.

პრიუს პატარა ლამაზ სახეზე მშვიდი თავდაჯერებულობა აღდგა.

— იცით რა ქალბატონო, უპატრონო არ გეგონოთ, კარგი ოჯახის შვილი ვარ, — მან პიანინოს თავზე ჩამოკიდებული სურათი აჩვენა. — ეს მამაა. ეს დედა. ეს ძია არსენი. ეს ჩემი დაა, ივეტა. თუ ოდესმე წუთიერ სისუსტეს ვამჟღავნებდი... კეთილი! ყველა ქალმა შეიძლება მისცეს თავის თავს ამის უფლება, თუ ის ქვა და ხე არაა, ხომ სწორია?

ევამ ტობის შეხედა.

ტობი წამოიწია, მაგრამ მყისვე დაჯდა.

— მაგრამ, დაიმახსოვრეთ, — უთხრა პრიუმ, — მე მაგრძნობინეს... ანდა, ყოველ შემთხვევაში, ჩემი მიამიტობით ასე გავიგე... რომ მუსიე ლოუზს აქვს პატიოსანი ზრახვები და აპირებს ჩემს ცოლად შერთვას. და უცებ თქვენი ნიშნობის გამოცხადება! არა, არა და არა! — ხმაში საყვედური შეეპარა — თქვენ გეკითხებით! ეს ნამუსია? სამართლიანია? პატიოსანი საქციელია?

მან მხრები აიჩეჩა.

— მაგრამ, მე ვიცნობ მამაკაცებს! ჩემი და ივეტა პირდაპირ გადარეულია. ამბობს, თუ ქალი ვარ, ჩავუშლი ქორწინებას და მოვთოკავ, ის შენი იქნებაო!

— მართლა? — შეეკითხა ევა, რომლისთვისაც ბევრი რამ უკვე ნათელი ხდებოდა.

— მაგრამ მე ასეთი არ ვარ. მამაკაცებს კალთებს არ ვახევ. მიმიფურთხებია მათთვის! ტობის გარდა ქვეყნად სხვაც მოიძებნება. მაგრამ სამართლიანობის გამო — თქვენც ხომ ქალი ბრძანდებით, ქალბატონო, და გამიგებთ — სამართლიანობის გამო რაღაც საზღაური მერგება, დაკარგული დროისა და შელახული გრძნობებისათვის. ხომ ასეა?

როგორც იქნა ტობიმ ხმა ამოიღო.

— შენ მისწერე მას? — აღელვებით დაიწყო მან.

პრიუმ ყური არ ათხოვა ტობის კითხვას და მხოლოდ ნაზი ღიმილი უბოძა. ახლა მისთვის არ სცხელოდა; ისევ ევას მიმართა:

— და აი, მე, მაშასადამე, ვთხოვ მას საზღაურს, განშორების შემდეგაც მეგობრებად რომ დავრჩეთ. თუ რაიმე კარგია ამქვეყნად, მას ვუსურვებ, კარგს ვუსურვებ. ვულოცავ ცოლის შერთვას. მაგრამ ის მაბრიყვებს და იმიზეზებს თავის გაჭირვებულ მდგომარეობას.

პრიუს მეტყველი გამოხედვა ამტკიცებდა, რომ თვითონაც ფიქრობდა ამაზე.

— ამ დროს კვდება მამამისი. ძალზე სამწუხაროა, — პრიუს სახეზე გულწრფელი წყენა გამოეხატა, — მთელი ერთი კვირის მანძილზე არ შემიწუხებია, მხოლოდ თანაგრძნობა გავუწიე. თუმცა, თვითონაც მითხრა, მემკვიდრეობის წყალობით ახლა შევძლებ პატიოსნად გაგისწორო ანგარიშიო. გუშინ კი მოულოდნელად მიცხადებს, მამაჩემის საქმეები არეულია; ფული კაპიკი არა აქვსო. ჩემი მეზობელი ანტიკვარი მუსიე ვეილი გატეხილი საბურნუთეს საფასურს ითხოვსო, ის კი იმდენი ღირს, შეიძლება კაცი გაგიჟდესო — შვიდას ორმოცდაათი ათასი ფრანკი.

— ეს წერილი... — კვლავ დაიწყო ტობიმ.

პრიუ კვლავინდებურად ევას მიმართავდა.

— დიახ, ეს წერილი მე დავწერე, — დაეთანხმა ის. — ჩემმა დამ ივეტამ ამის შესახებ არაფერი იცის. თვითონ მოვიფიქრე.

— რატომ დაწერეთ? — ჰკითხა ევამ.

— ქალბატონო, მეკითხებით კიდეც რატომ დავწერე?

— დიახ, გეკითხები.

— ყოველი მგრძნობიარე ადამიანისათვის, — უთხრა პრიუმ და ტუჩები გამობერა, — ეს თავისთავად ნათელია, — ის ტობისთან მივიდა ხელი გადაუსვა. —ძალიან მიყვარს საბრალო ტობი...

ჯენტლმენი ფეხზე წამოიჭრა.

— სიმართლე გითხარი, მე მდიდარი არა ვარ. თუმცა — აღიარეთ!—პრიუ თითის წვერებზე აიწია, ბუხრის თავზე დაკიდებულ სარკეში ყურებით რომ დამტკბარიყო, — ყოველივე ამის მიუხედავად ცუდად არ გამოვიყურები. ასე არ არის?

— მშვენივრად გამოიყურებით!

— ჰოდა! ქალბატონო, მე მითხრეს, რომ თქვენ მდიდარი ხართ. ხოლო მგრძნობიარე ადამიანებს, გამჭრიახ ადამიანებს, არ სჭირდებათ ასეთი რამეების ღეჭვა, ხომ მართალია?

— მაგრამ მე როგორღაც...

— ქალბატონო, თქვენ გინდათ ცოლად გაჰყვეთ საბრალო ტობის, მე, რასაკვირველია, სასოწარკვეთილი ვარ, მაგრამ მესმის რატომ და რისთვის. მე დამოუკიდებელი გოგონა ვარ. არავის არაფერს ვუშავებ. მაგრამ პრაქტიკულობა აქ აუცილებელია. ასე რომ თუკი თქვენ თვითონ, ქალბატონო, თანახმა იქნებით, გამომიყოთ მცირეოდენი საზღაური, ყველაფერი საუცხოოდ მოგვარდება და ყველა კმაყოფილი დავრჩებით.

კვლავ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა არის აქ სასაცილო ქალბატონო? — უკვე სულ სხვა ხმით იკითხა პრიუმ.

— მაპატიეთ. არ ვიცინი. ესე იგი, ეს მე ისე, შეიძლება დავჯდე?

— რასაკვირველია. ოჰ, ეს რა მომივიდა, უბრალოდ უწესობაა! აი აქ, გეთაყვა. ეს ტობის საყვარელი სკამია.

ევას მოულოდნელი გამოჩენით გამოწვეულმა სიწითლემ უკვე გადაუარა ტობის სახიდან. ის უკვე აღარ იყო საჭირბოროტო დანაშაულის განსახიერება, უკვე აღარ მოგაგონებდათ თხუთმეტი რაუნდისაგან განაწამებ მოკრივეს, რომელსაც გინდა ხელი მოუთათუნო ბეჭებზე და უთხრა: „არა უშავს, არა უშავს, ძველო“.

ის ჯერ კიდევ შებოჭილად გრძნობდა თავს, მაგრამ უკვე იჩინა თავი გულისწყრომამ და მასთან ერთად მორალური უპირატესობის შეგრძნებამ. ვინც რა უნდა თქვას, კაცი ყოველთვის კაცად რჩება. ტობი საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა. და ვინმეზე ჯავრის ამოყრა უნდოდა.

— გადი, — უთხრა მან პრიუს.

— მუსიე...

— შენ გეუბნებიან, გადი!

— შენ ალბათ დაგავიწყდა, — ისე მკვეთრად და ცივად ჩაერია ევა, რომ ტობიმ თვალები დაახამხამა, — შენ ალბათ დაგავიწყდა, რომ ეს სახლი მადმუაზელ პრიუსაა?

— ჩემთვის სულ ერთია, ვისია ეს სახლი. ესე იგი...

ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვით ტობიმ თავისი თავი ხელში აიყვანა, ორივე ხელებით თავის თმებს ჩააფრინდა. მძიმე სუნთქვით გასწორდა.

— გადი აქედან, — სთხოვა მან. — გეთაყვა, გაქრი. და რაც შეიძლება სწრაფად. ქალბატონთან სალაპარაკო მაქვს.

შიშის პატარა ღრუბელი ჩამოეცალა პრიუს პატარა სახეს. მან ღრმად ამოიოხრა და მთელი თავისი გამომეტყველებით თავაზიანობა გამოხატა.

— უეჭველია, — თქვა მან და სახე გაუცისკროვნდა. — ქალბატონი მოისურვებს დააზუსტოს საზღაურის ამბავი?

— საერთოდ კი, — დაეთანხმა ევა.

— მეც ხომ მესმის, — თქვა პრიუმ. — მერწმუნეთ, ქალბატონო, ჩემთვის ძალზე სასიამოვნოა, ასე კეთილშობილად რომ მიუდექით თქვენ ყველაფერს. თორემ ვწუხდი. აი მივდიგარ. ზევით ვიქნები. როდესაც ჩემი ნახვა მოგინდეთ, ცოცხის ტარით დამიკაკუნეთ ჭერზე და ჩამოვალ.

პრიუმ მაგიდიდან ძაფიანი ნემსი და სარტყელი აიღო და კარებისაკენ გაემართა. მან მხიარულად, ალერსიანად დაუკრა

ორივეს თავი, თავისი ლამაზი თვალები, ტუჩები და კბილები უჩვენა და კარი გაიხურა.

ევა მაგიდის გვერდით მდგარ სავარძელთან მივიდა და დაჯდა. ის ხმას არ იღებდა.

ტობი ერთიანად თრთოდა. ბუხართან მივიდა და იდაყვით დაეყრდნო მას. ქარიშხლის მომასწავებელ ატმოსფეროს, ყვავილების დუქნის მიღმა, მშვიდობიან კუთხეში რომ ჩამოწოლილიყო, ტობი ლოუზზე სქელკანიანი კაციც კი იგრძნობდა.

იშვიათად თუ ჰქონია რომელიმე ქალს ასეთი ბრწყინვალე შესაძლებლობა. ამდენი ტანჯვა-წამების შემდეგ ევას ბოლოს და ბოლოს შეეძლო მისგან თავი დაეძვრინა, ყოველი მიუდგომელი მაყურებელი, ამ ორს რომ ნახავდა მყუდრო ოთახში, ცხადია, ევას წააქეზებდა მხიარული ყიჟინით ბრძოლაში გადაშვებულიყო და გაენადგურებინა მტერი. მაგრამ მიუდგომელი მაყურებლისათვის იოლია ლაპარაკი და წაქეზება.

პაუზა გაგრძელდა. ტობი, რომელიც იდაყვით ბუხარს დაჰყრდნობოდა და თავი მხრებში ჩაერგო, ულვაშებს აწვალებდა და დროდადრო ალმაცერად გადახედავდა ხოლმე ევას. ევამ მხოლოდ ერთი სიტყვა თქვა:

— გისმენთ.

თავი 14

— ყური მიგდე, — დაიწყო ტობიმ თავისი ჩვეულებრივი გულწრფელობით. — ჩემთვის საშინლად არასასიამოვნოა.

— მართლა?

— რომ შენ ყველაფერი გაიგე.

— მართლა? და შიშისაგან თავის ჭკუაზე აღარა ხარ, რომ ბანკიც ყველაფერს შეიტყობს?

ტობი ჩაფიქრდა.

— არა, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, — დაამშვიდა მან ევა და სახეზე აშკარა შვება გამოეხატა. — მაშასადამე, ეს შენ გაწუხებდა?

— საესებით შესაძლებელია.

— არა, გარწმუნებ, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. — სერიოზულად უთხრა ტობიმ. — მე თვითონ ვფიქრობდი ამაზე. მაგრამ არაფერია, ყველაფერი კეთილად დამთავრდება. მთავარია, რომ ისინი არ ჩავითრიოთ აშკარა კონფლიქტში. პირადი ცხოვრება, პირადი ცხოვრებაა. ჩვენს შორის დარჩეს, — აქ მან აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, — მმართველი მოხუცი დიუფური ბულონში დაეთრევა ერთ მეგობარ გოგონასთან, ფაქტია! სამსახურში ყველამ იცის. რასაკვირველია, ეს ჩვენს შორის უნდა დარჩეს სრულიად საიდუმლოდ.

— რასაკვირველია.

ტობი ისევ გაწითლდა.

— შენში ევა ის მომწონს, — უთხრა მან, — რომ ყველაფერი გესმის.

— მართლა?

— დიახ, — უპასუხა ტობიმ ისე, რომ მისთვის თვალებში არ შეუხედავს. — შენ გგონია, მე მსიამოვნებს ასეთ ამბებზე ლაპარაკი... რა სასიამოვნოა წესიერ გოგონასთან ასეთ რამეზე საუბარი და შენთან მით უმეტეს. მაგრამ რაკი უკვე დასაკარგავი აღარაფერია...

— დიახ. მაშასადამე, დასაკარგავი აღარაფერია?

— სხვა ქალს ალბათ გული წაუვიდოდა. ამას პირდაპირ გეუბნები. ვერ წარმოიდგენ, რა გადავიტანე ჯერ კიდევ მამის სიკვდილამდე უკანასკნელი კვირეების მანძილზე, შენ იქნებ კიდეც შეამჩნიე, ჩემს თავს არ ვგავდი. სად გაქრა ჩემი სიმშვიდე და მხიარულება... ეს საზიზღარი იქ, ზევით რომაა, — ევა მთლად მოიბუზა, — პირდაპირ შიშისმომგვრელია. ვერ წარმოიდგენ, როგორ გავწამდი.

— სულ ესაა, — მშვიდად შეეკითხა ევა, — შენი სათქმელი?

ტობიმ თვალები დაახამხამა.

— ესაა ყველაფერი, რისი თქმაც შენთვის შემიძლია?

ევა ნილს ჩინებული აღზრდა ჰქონდა მიღებული. მაგრამ მაინც სამუდამოდ დარჩა ლანკაშირში ძაფსართავების მეპატრონის, მოხუცი ჯო ნილის ქალიშვილად. და მოხუცი

ჯოს მსგავსად, ისიც ზოგიერთ რამეში დიდად მომთმენი იყო, ხოლო ზოგიერთ რამეს სრულიად ვერ იტანდა.

მადმუაზელ პრიუს მიერ დატოვებულ სკამზე მჯდარს ოთახი თითქოს თხელ ნისლში გახვეულად მოეჩვენა. ბუხრის თავზე დაკიდებულ სარკეში დაინახა ტობის კეფა და ხშირ თმებში შემალული პაწაწინა, ექვს პენსიანზე უფრო პატარა მელოტი. ამ მელოტმა საბოლოოდ აუვსო ევას მოთმინების ფიალა.

ბრაზმორეული ევა სკამზე გასწორდა.

— შენ რა, არ გესმის, რა თავხედი პირუტყვი ხარ?

ტობიმ საკუთარ ყურებს არ დაუჯერა.

— თუ დაფიქრებულხარ, — უთხრა ევამ, — რას ჰგავს შენი საქციელი: მთელი დღის განმავლობაში მორალს მიკითხავ და თავი მოგაქვს უმწიკვლო სერ გალაჰადად[1], ლაპარაკობ საკუთარ იდეალებსა და პრინციპებზე, ხოლო სინამდვილეში თურმე ძალიან დიდი ხანია თავგზას უბნევ ამ ქალიშვილს?

ტობი გადაირია.

— აბა, ევა! — წაიბურტყუნა მან. — რას ამბობ! რას ამბობ! — და მან ნერვიულად დაიწყო აქეთ-იქით ყურება, თითქოს ეშინოდა ოთახში ბანკის მმართველი მუსიე დიუფურის მოულოდნელი გამოჩენისა.

— რას ამბობ! — გამოაჯავრა ევამ, — ფუი-შენ, აი-შენ!

— შენგან არ მოველოდი ასეთ გამოთქმებს.

— გამოთქმებს! საქციელზე რაღას იტყვი?

— რა შუაშია აქ საქციელი? — შეკითხა ტობი.

— მაშასადამე, შენ შეგიძლია „გაგება და პატიება“ იმისა, რასაც მე ვაკეთებ? ჰა? პირფერო, უბედურო ორპირო და ფლიდო! ურია ჰიპო![2] აბა რას იტყვი შენი იდეალების შესახებ? რას იტყვი მათ შესახებ, თავმდაბალო ახალგაზრდავ? ჰა?

---

[1] ლეგენდარული არტურ მეფის მრგვალი მაგიდის ყველაზე კეთილშობილი რაინდი. მრავალი ლიტერატურული ნაწარმოების გმირი, კერძოდ, ალფრედ ტენისონის (1809—1892) პოემისა „სერი გალაჰადი“.

[2] დიკენსის რომანის „დავით კოპერფილდის“ გმირი, რომლის სახელიც საზოგადოდ ორპირის აღმნიშვნელი გახდა.

ტობი მარტო შეძრწუნებული როდი იყო. ის უსაზღვროდ გაკვირვებული გახლდათ. ის ზუსტად დედასავით ბეცივით ახამხამებდა თვალებს და ევას მისჩერებოდა.

— ეს ხომ სულ სხვა საქმეა, — უკმაყოფილოდ შეეპასუხა ის, როგორც უფროსი ადამიანი აუხსნის ხოლმე მოუსაზრებელ ბავშვს აშკარა ცნებებს.

— ნუთუ ასეა?

— დიახ, ასე.

— მაინც რატომ?

ტობი მთლად დაიძაბა, თითქოს მას მზიური სისტემის კანონების ახსნა ანდა ერთი ერთმარცვლიანი სიტყვის საშუალებით სამყაროს აგებულების გადმოცემა მოსთხოვესო.

— ევა, საყვარელო! მამაკაცს შეიძლება ჰქონდეს... როგორ გითხრა, აღტყინება, აღფრთოვანება.

— მაგრამ ქალს, შენი აზრით, არ შეიძლება ჰქონდეს ისინი?

— ოი! — წამოიძახა ტობიმ. — მაშასადამე, გამოტყდი?

— რაში?

— რომ კვლავ დაუკავშირდი იმ საზიზღარ ეტვუდს?

— მსგავსი არაფერი მითქვამს. მარტო ის ვთქვი, რომ ქალსაც...

— ოჰ, არა, — ტობიმ თავი გააქნია და ისეთი არსების სახე მიიღო, რომელიც ღმერთების ჭეშმარიტი სიბრძნითაა დაჯილდოვებული.—მხოლოდ პატიოსან ქალს არა. კაცსა და ქალს შორის არის განსხვავება. ქალი, რომელიც აღტყინებას ემორჩილება, უკვე აღარ არის ლედი, და არაა გაღმერთების ღირსი. სწორედ ამიტომ მაოცებ, ევა. გინდა გულახდილად გითხრა? არაფრით არ მივცემ თავს შენი შეურაცხყოფის ნებას. თავადაც იცი. მაგრამ არ შემიძლია, არ გითხრა, რაც გულში მიდევს, გესმის? დღეს ვეღარ გცნობ. მე მგონია...

ევა არ აწყვეტინებდა მას.

მან გულგრილად გაივლო გონებაში, რომ ის ძალზე ახლოს იდგა ცეცხლთან; რომ საცაა შარვალზე ცეცხლი წაეკიდებოდა; კიდევ წამიც და ტობის კაშკაშა ალი მოედებოდა. მაგრამ ეს პერსპექტივა ნაკლებად აწუხებდა მას.

ამ დროს დააკაკუნა და ოთახში შემოვარდა მადმაუზელ პრიუ. ის შეწუხებული სახით მაგიდას მივარდა.

— მე... ძაფისთვის შემოვედი, — აუხსნა მან, — აქ მქონდა კიდევ ერთი გორგალი. — მადმაუზელ პრიუმ საკერავებიან კალათში დაიწყო ქექვა და იმავე წამს ტობი გველნაკბენივით შეხტა. ბარძაყი დაეწვა.

— საყვარელო ტობი, — უთხრა მადმუაზელ პრიუმ, — და თქვენც, ქალბატონო. იქნებ შეიძლება ასე ხმამაღლა არ ილაპარაკოთ? აქ ჩვენთან წესიერი ხალხი ცხოვრობს და არ გვიყვარს მეზობლების შეწუხება.

— ჩვენ რა, ვყვიროდით?

— ძალზე ხმამაღლა ლაპარაკობდით. სიტყვები ვერ გავარჩიე, ინგლისური არ მესმის. მაგრამ, ალბათ, არასასიამოვნო საუბარი გქონდათ. — მან იპოვა წითელძაფიანი გორგალი და ლამპასთან ახლოს მიიტანა. — იმედია, არ დაობთ... საზღაურის თაობაზე?

— რატომ გგონია, — უთხრა ევამ.

— ქალბატონო...

— არ მსურს თქვენგან თქვენი საყვარლის გამოსყიდვა, — უთხრა ევამ. ახლა კი აევსო მოთმინების ფიალა ტობის. ჯეროვანი უნდა მიეზღოს ტობის, საკითხის ასე დასმა ევაზე ნაკლებად როდი ახელებდა მას.

— მაგრამ შემიძლია შემოგთავაზოთ შემდეგი, — განაგრძობდა მოხუცი ჯო ნილის ქალიშვილი, — ორმაგ საზღაურს მოგცემთ, თუ დაარწმუნებთ თქვენ დს ივეტას, რათა პოლიციას გამოუტყდეს, რომ მან სერ მორის ლოუზის მკვლელობის ღამეს კარი ცხვირწინ ჩამიკეტა.

პრიუ ოდნავ გაფითრდა და ვარდისფერი ტუჩები და შავწამწამებიანი თვალები კიდევ უფრო მომხიბვლელი გაუხდა.

— პასუხს არ ვაგებ დის გამო, არ ვიცი, რას აკეთებს ის იქ.

— თქვენ რა, არ იცით, რომ დასაჭერად მიხდის საქმეს? შესაძლოა იმის იმედით, რომ მაშინ მუსიე ლოუზი თქვენ ცოლად შეგირთავთ?

— ქალბატონო! — წამოიძახა პრიუმ.

(არა, გაიფიქრა ევამ, მან მართლაც არაფერი არ იცის).

— დაპატიმრებისა კი ნუ გეშინია, — ჩაერია ტობი, — ისინი უბრალოდ, გაშინებენ, არ დაგიჭერენ.

— შენ ასე გგონია? ეს ესაა პოლიციის მთელი ჯარი დამესხა თავს სახლში დასაპატიმრებლად, ძალით გამოვექეცი და აქ მოვედი.

ტობიმ საყელო გაისწორა. მართალია უკანასკნელი ფრაზა ევამ ინგლისურად თქვა, მაგრამ უეჭველი იყო, შეშინებულმა პრიუმ გაიგო მისი აზრი.

— შეიძლება რომ ისინი აქ მოვიდნენ?

— არ გამიკვირდება, — უპასუხა ევამ.

პრიუ აკანკალებული ხელებით იქექებოდა საკერავებიან კალათაში, რაღაც-რაღაცეები ამოჰქონდა და მაგიდაზე ყრიდა. ძაფის გორგალები. ქინძისთავები. მაკრატლები. ამათ ყოვლად გაუგებრად მოყვა ფეხსაცმლის კაწაპი, დახვეული სანტიმეტრი და თმის ბადე, რომელიც ბეჭედს გამოედო.

— ვიცოდი, — უთხრა ევამ, — რომ თქვენი და რაღაცაზე იყო გადარეული, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, რომ თქვენი გულისთვის.

— მერსი, ქალბატონო!

— მაგრამ საქმეს ვერ წაახდენს. ნომერი არ გაუვა. მუსიე ლოუზი, როგორც ალბათ უკვე თვითონაც გითხრათ, არ აპირებს თქვენს ცოლად შერთვას. ჩემს ცხოვრებას კი ემუქრება სერიოზული საფრთხე და თქვენს დას შეუძლია ჩემი ხსნა.

— არ მესმის, რას ლაპარაკობთ. ივეტას სულელი ვგონივარ. არაფერს არ მეუბნება.

— გთხოვთ! — შეევედრა ევა. — თქვენმა დამ მშვენივრად იცის, რაც მოხდა იმ ღამეს. მას შეუძლია დაამტკიცოს, რომ მუსიე ეტვუდი მაშინ ჩემს ოთახში იმყოფებოდა. თუ ეტვუდს არ დაუჯერებენ, თქვენს დას დაუჯერებენ. ის დაპატიმრებაზე ოცნებობს მხოლოდ თქვენი გულისათვის, მაშინ, რასაკვირველია...

აქ ევას ენა ჩაუწყდა და ელდანაცემივით სკამიდან წამოხტა.

პრიუმ უკვე თითქმის მთელი კალათა დაცალა. უკანასკნელი, რაც მან ზიზღით დააგდო გორგალებსა და ქინძისთა-

ვებზე, შეიძლება იაფფასიანი ელარუნა იყო. ან იქნებ სულაც არ იყო იაფფასიანი ელარუნა. წვრილი წახნაგოვანი გამქვირვალე პატარა კენჭები ფილიგრანულად შესრულებული ძველებური ნახატის ლითონში ჩასმულ წვრილ ლურჯ ქვებთან შენაცვლებით ყელსაბამს ქმნიდნენ. როდესაც ის გველივით დაეხვა მაგიდაზე, ლამპის ცივმა შუქმა გადაუარა ქვებს და ისინი აინთნენ და აციმციმდნენ.

— საიდან აიღეთ თქვენ ეს? — შეეკითხა ევა.

პრიუმ წარბები ასწია.

— ეს ხომ იაფფასიანი ნივთია, ქალბატონო.

— იაფფასიანი ნივთი?

— დიახ, ქალბატონო.

— ბრილიანტები და ფირუზი, — ევამ ერთ ბოლოში მოკიდა ხელი ყელსაბამს, და ის ლამპის შუქზე გველივით დაიკლაკნა. — ეს ქალბატონ დე ლამბალის ყელსაბამია! ან მთლად შევიშალე ჭკუიდან, კიდევ ამას წინათ ვნახე მე ის სერ მორის ლოუზის კოლექციაში. როგორც კი კაბინეტში შედიხარ, კარის მარცხენა მხარეს, რაფაში.

— ბრილიანტები და ფირუზი? — სცდებით, ქალბატონო, — სიმწრით ჩაილაპარაკა პრიუმ. — არ გჯერათ? კეთილი? შეგიძლიათ აქვე გვერდზე მუსიე ვეილის დუქანში შეხვიდეთ, და ის თვითონ შეგიფასებთ.

— მართლა, — რაღაც უცნაურად შეეკითხა ტობი. — მაინც სად აიღე შენ ის, ძვირფასო?

პრიუმ თვალი მოაშორა ტობის და ევას შეხედა.

— იქნებ, მართლაც ისეთი სულელი ვარ, როგორც ჩემს დას ჰგონია, — პატარა შუბლი შეეკმუხნა, — ალბათ ტყუილად წამოვიწყე ყოველივე ეს. ღმერთო ჩემო, ჩემი და მომკლავს, თუ შეცდომა დავუშვი! თქვენ ჩემი ჩათრევა გინდათ. თქვენი არ მჯერა. მეტს აღარ გიპასუხებთ კითხვებზე, გესმით? მე... მე ახლა დას დავურეკავ.

პრიუ საშინლად დაემუქრა მათ და ოთახიდან გავარდა. გავარდა ისე სწრაფად, რომ მათ ვაის დაძახებაც ვერ მოასწრეს. კიბეზე მისი ქუსლების დანაწევრებული კაკუნი გაისმა. ევამ ყელსაბამი მაგიდაზე დააგდო.

— შენ აჩუქე ის, ტობი?

— ო, არა. ღმერთი-რჯული!

— ნამდვილად?

— ეგლა მაკლია, ტყუილი ვთქვა! თანაც, — დაუმატა ტობიმ და უეცრად ზურგი შეაქცია ისე, რომ ახლა სარკეში უყურებდა, — ის ყელსაბამი თავის ადგილზე დევს.

— მართლა?..

— როგორც იდო, ისევე დევს კარის მარჯვენა მხარეს რაფაში, მინის უკან. ყოველ შემთხვევაში, ერთი საათის წინ, როდესაც სახლიდან გამოვდიოდი, ის იქ იდო. მახსოვს, ჯენისი მელაპარაკებოდა მის შესახებ.

— ტობი, — ჰკითხა ევამ, — ვის ეცვა ის ყავისფერი ხელთათმანები?

ოდნავ ჟანგის შეეპმული სარკე უცნაურად ასახავდა ტობის სახეს.

— როდესაც დღეს პოლიციამ დამკითხა, — უთხრა ევამ და იგრძნო, როგორ დაეძაბა ყოველი ნერვი, — სრული ჭეშმარიტება არ მითქვამს. ნედ ეტვუდმა დაინახა მამაშენის მკვლელი, მეც კინაღამ დავინახე. ვიღაც ყავისფერ ხელთათმანიანი შევიდა კაბინეტში, გატეხა საბურნუთე და მოკლა სერ მორისი. იქნებ გადარჩეს ნედი და თუ ის გადარჩა, — ტობის თვალები სარკეში ოდნავ დაებრიცა, — იტყვის, რაც დაინახა. მეტი არაფერი მაქვს შენთვის სათქმელი, ტობი. მაგრამ ეს დაიმახსოვრე, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, ეს იყო თქვენი მშვენიერი, საყვარელი ოჯახის წევრი.

— ბინძური ტყუილია! — ხმამაღლა თქვა ტობიმ.

— მართლა? კეთილი. როგორც გინდა, ისე იფიქრე.

— და დაინახა შენმა... შენმა მეგობარმა?

ევამ უამბო.

— და შენ არაფერი უთხარი გორონს ამის შესახებ, — შენიშნა ტობიმ. — ხმა მთლად ჩაეხლიჩა.

— არა. და იცი რატომ?

— საიდან უნდა ვიცოდე? ალბათ იმიტომ, რომ არ გაგეხსენებინა თავისი ვნებიანი ხვევნა-კოცნა იმ...

— ტობი ლოუზ, შენ რა, გინდა სიფათში მიიღო?

— გადავდივართ უხამს ტონზე, ჰა?

— და შენ კიდევ უხამსობაზე მელაპარაკები?

— მაპატიე. — ტობიმ თვალები დახუჭა და მუშტები შეკრა, — მაგრამ გამიგე, ევა. ეს უკვე უკანასკნელი წვეთია. არ მინდა დედისა და დის სახელს ჩირქი მოსცხონ, გესმის?

— კი მაგრამ, ვინ ლაპარაკობს შენს დედასა და დაზე? მე შენ გიჯხარი მხოლოდ ის, რაც შეუძლია დაამტკიცოს ნედ ეტვუდსა და ალბათ კიდევ ივეტა ლატურს. მე სულელი კი ვდუმდი, მხოლოდ. იმიტომ, რომ როგორმე არ შემელახა შენი გრძნობები. იცით რა, ასეთი კეთილშობილი, ასეთი პირდაპირი ახალგაზრდა...

ტობიმ ჭერზე მიუთითა.

— შენ რა, ჩემს წინააღმდეგ გინდა წააქეზო ის?

— არავის წაქეზება არ მინდა შენს წინააღმდეგ.

— ეჭვიანობ, ჰა? — გამოცოცხლდა ტობი.

ევა დაფიქრდა.

— არა. ყველაზე სასაცილოა, რომ არ ვეჭვიანობ. — მან გადაიხარხარა. — ერთი გენახა, როგორ დაგიგრძელდა სახე, როდესაც მე შემოვედი! კარგი სანახავი იქნებოდი, უკან რომ მართლა პოლიცია შემომყოლოდა, ინებეთ, გეთაყვა, — მადმუაზელ პრიუ და ყელსაბამი, ზუსტად ისეთივე, როგორიც...

ფარდა, რომელიც სასტუმრო ოთახს დუქნისაგან ყოფდა, მძიმე შავი გადასაკრავი ქსოვილისა იყო, ვიღაცის ხელმა ის გადასწია. ევამ დაინახა ცალუბა ღიმილი — უცნაური ღიმილი ძველ სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილი მაღალი კაცის სახეზე; კაცი სასტუმრო ოთახში შევიდა და ქუდი მოიხადა.

— მაპატიეთ, რომ ვერევი, — უთხრა დერმოტ კინროსმა, — მაგრამ ნება მიბოძეთ ყელსაბამს დავხედო?

ტობი მკვეთრად შემობრუნდა.

დერმოტი მაგიდასთან მივიდა და ზედ ქუდი დადო. მან ხელში აიღო თეთრი და ცისფერი პატარა ქვები და ლამპასთან მიიტანა. მერე სათითაოდ დამარცვლა თითებით. ჯიბიდან ამოიღო საიუველირო ლინზა, საკმაოდ უხერხულად ჩაისვა მარჯვენა თვალში და ხელახლა დაიწყო ყელსაბამის თვალიერება.

— დიახ, — ჩაილაპარაკა მან და შვებით ამოისუნთქა — ყველაფერი რიგზეა. ეს ნამდვილი არ არის.

მან ყელსაბამი მაგიდაზე დააგდო, ხოლო ლინზა ჯიბეში ჩაიდო.

მხოლოდ ახლაღა შეძლო ევამ ხმის ამოღება.

— თქვენ პოლიციასთან ერთად მოხვედით! ისინი?..

— გდევენ? არა, — გაუღიმა დერმოტმა. — პატიოსან სიტყვას გეუბნებით, რიუ დე ლა არპზე ანტიკვარ მუსიე ვეილის სანახავად მივედი, ექსპერტის აზრი მჭირდებოდა აი ამის შესახებ.

მან გულის ჯიბიდან პაპიროსის ქაღალდში გახვეული რაღაც ამოიღო. გახსნა და წვერით ასწია მოელვარე თეთრი და ლურჯი ქვების მეორე ასხმულა. ერთი შეხედვით ეს ყელსაბამი ისე ზუსტად ჰგავდა მაგიდაზე დაგდებულ ყელსაბამს, რომ ევა გაოცებით უყურებდა ხან ერთსა და ხან მეორეს.

— ეს, — განუმარტა დერმოტმა და თავის მოტანილ ყელსაბამს შეეხო, — ქალბატონ დე ლამპბალის ყელსაბამია სერ მორის ლოუზის კოლექციიდან. მკვლელობის შემდეგ ის იპოვეს იატაკზე, რაფის ახლოს, გახსოვთ?

— მართლა? — უთხრა ევამ.

— მე სულ ვფიქრობდი, რატომ? ნამდვილი ფირუზი და ბრილიანტებია, — ის კვლავ შეეხო მათ. — მუსიე ვეილმა ახლახან დაადასტურა. და აი, თურმე, არის მეორე ყელსაბამი — ნაყალბევი. და აქ, იცით, დასკვნა ერთია, რომ...

წამით ის პირდაპირ წინ იყურებოდა. შემდეგ თავი დაიქნია, თითქოს გამოფხიზლდაო. სათუთად გაახვია პაპიროსის ქაღალდში ნამდვილი ყელსაბამი და ისევ ჯიბეში ჩაიდო.

— იქნებ, ბოლოს და ბოლოს თქვენ ამიხსნათ, — დაიღრიალა ტობიმ, — რა ჯანდაბისთვის მოხვედით აქ?

— ძალით შემოგეჭერით სახლში, სერ?

— მშვენივრად გამიგეთ. და მოეშვით ამ „სერს". შეიძლება იფიქრო. რომ...

— რა?

— რომ თქვენ მე დამცინით!

დერმოტი ევას მიუბრუნდა:

— მე დაგინახეთ, როგორ შემოხვედით აქ. შოფერი მარწმუნებდა, რომ თქვენ ისევ აქ იყავით; შემოსასვლელი კარი ღია იყო. თქმით კი მხოლოდ ერთის თქმა მინდა: ნურაფრის

შიში ნუ გექნებათ. თქვენ არ დაგაპატიმრებენ. ყოველ შემთხვევაში, ახლა.

— მაგრამ ისინი მოვიდნენ ჩემს წასაყვანად?

— არა უშავს, მათ ასე იციან. ახლა ისინი აღარ მოგასვენებენ. მაგრამ საიდუმლოდ გეტყვით, თქვენზე მეტად დააინტერესა ისინი ივეტა ლატურმა, რომელმაც ასეთი გულთბილი მიღება მოუწყო. და თუ ამ წუთას კუდიანი ბებერი ქვეყნად ყველაფერს არ წყეველს, მაშინ მე უბრალოდ არაფერი გამეგება ფრანგული ხასიათისა. აბა, დაწყნარდით და ყოჩაღად იყავით!

— მე... მე არაფერი.

— ივახშმეთ?

— არა.

— ასეც ვიცოდი. ცუდია. უკვე თორმეტის ნახევარია, მაგრამ არის საშუალებები ნებისმიერ დროს დასაქმო რომელიმე კაფეს მეპატრონე. ჰო, კიდევ ერთი. ჩვენი მეგობარი გორონი ოდნავ შედრკა მას შემდეგ, რაც ვიღაცამ უთხრა, რომ ლოუზების ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა შეგნებულად იცრუა.

ავბედითი სიტყვების „ლოუზების ოჯახის" ხსნებაზე ატმოსფერო კვლავ შეიცვალა. ტობი წინ წადგა.

— მაშასადამე, თქვენც ამ შეთქმულების მონაწილე ხართ?

— შეთქმულებას ადგილი ჰქონდა, სერ. რა თქმა უნდა, მაგრამ მე აქ არაფერ შუაში ვარ.

— რაკი თქვენ კარებთან მოყურიადედ იდექით, — მკაფიოდ წარმოთქვა ტობიმ და ხაზი გაუსვა სიტყვა „მოყურიადეს" — მაშინ ალბათ გაიგონეთ ყავისფერი ხელთათმანებისა და მისთანების შესახებ?

— დიახ.

— ამან არ გაგაოცათ?

— არა. უნდა გამოგიტყდეთ, არ გავუოცებივარ.

ტობი მძიმედ სუნთქავდა და წყენით უყურებდა ორივეს.

— მისმინეთ, — უთხრა მან. — მე არ მივეკუთვნები იმათ, რიცხვს, ვისაც თავისი ინტიმური საქმეების სააშკარაოზე გამოტანა უყვარს, ამაში მგონი არ შემედავებით. მაგრამ

გეკითხებით როგორც გონიერ კაცს: განა მე მოტყუებული არა ვარ საუკეთესო გრძნობებში?

ევას რაღაცის თქმა უნდოდა.

— მოიცა! — თავისას განაგრძობდა ტობი. — გეთანხმები, — ბევრი რამის მოჩვენება შეიძლება! მაგრამ იმის განცხადება, რომ ვიღაც ჩვენგანმა მოკლა მამა, — ეს უკვე ისეთი ბრდვაა, რომ შეთქმულების სუნი უდის. და ყველაფერი ამისგან მოდის! — მან ევაზე მიუთითა. — ქალისაგან, რომლისაც მჯეროდა, და რომელსაც პირდაპირ ვალმერთებდი. მე უკვე ვუთხარი მას, რომ ახალ სამყაროში ვიხილე. აბა სხვანაირად როგორ! ის საერთოდ აღიარებს, რომ ისევ დაუკავშირდა ეტვუდს. იცით, ეს მისთვის ცოტა ყოფილა! ხოლო როდესაც მას ამის შესახებ ველაპარაკები, უხეშობს და ისეთ გამოთქმებს ხმარობს, იმ ქალს რომ არ შეშვენის, რომლის ცოლად შერთვასაც მე ვაპირებ. მერე რატომ, მისი გულისთვის? ყველაფერი ამ გოგონას, პრიუს გულისთვის კეთილი, ვაღიარებ, რომ ეს ლამაზად არ გამომივიდა; მაგრამ ხომ შეუძლია მამაკაცს ზოგჯერ რაღაცის ნება მისცეს თავს, ხომ მართალია? ეს ხომ სერიოზული არაა. და არც არავინ იღებს ამას სერიოზულად.

ტობიმ ხმას აუწია.

— მაგრამ ქალი, მით უმეტეს, რომელსაც სიტყვა აქვს მოცემული, — სულ სხვა ამბავია. თუნდაც მას არაფერი საერთო ჰქონოდა იმ პირუტყვთან, აქ კი ნება მიბოძეთ დავეჭვდე, მაინც ხომ იყო მის საწოლ ოთახში, ხომ მართალია? მე პატივს მცემენ სამსახურში. თავს ნებას ვერ მივცემ, ჩემი მეუღლის წარსულზე ასეთი ხმები დადიოდეს; ჩვენ ხომ უკვე დანიშნულები ვართ, ის რომ ასე გაგიჟებით მიყვარს, უკვე მნიშვნელობა არა აქვს. ვფიქრობდი, შეიცვალა მეთქი და ყოველთვის ვიცავდი მას. მაგრამ, რაკი ის ასე მექცევა, ხომ არ აჯობებს ჩავშალოთ ჩვენი დანიშვნა?

აქ პატიოსანი ტობი დამნაშავესავით გაჩუმდა, ევა ატირდა. ატირდა ნერვული დაძაბულობისა და უძლური სიბრაზისაგან. მაგრამ ტობიმ ეს არ იცოდა.

— მე შენდამი მაინც კარგად ვარ განწყობილი, — დიდსულოვნად დაუმატა მან.

ათ წამს, რომლის განმავლობაში ისეთი სიჩუმე სუფევდა, რომ ზევიდან მადმუაზელ პრიუს სლუკუნი ისმოდა, დერმოტ კინროსს სულის მოთქმისა ეშინოდა. ეგონა, სული რომ მოეთქვა, ფეხქვეშ მიწა გაუსკდებოდა. ძველი მწუხარებითა და დამცირებით (რომელთაგან იბადება სიბრძნე) ნაწროდ გონებაში, საშინელი ზმანება წარმოუდგა. ის თვითონ იყო სისხლიანი მკვლელის როლში.

მაგრამ მან მტკიცედ და გაბედულად გაუყარა ევას ხელი.

— წავიდეთ აქედან, — რბილად უთხრა მან, — თქვენ უკეთესი ბედის ღირსი ხართ.

თავი 15

ლამაზია მზის ამოსვლა სექტემბრის გრილ დილას პიკარდიის სანაპიროზე. ჰორიზონტის გასწვრივ ჯერ ნათელ და მკვეთრ ხაზს ავლებს. საღებავი წყალზე ისე გაიდღაბნება, თითქოს მასში პომადის მთა ჩაძირესო; მაგრამ აი ამოცურდება მზე და მისი სხივები ეცემა ქარისაგან მორეკილ ლა-მანშის ტალღებს.

მათგან მარჯვნივ იყო ლა-მანში, მარცხნივ—ბუჩქებით დაფარული დიუნები. ნაპირის გასწვრივ მიმავალი მოასფალტებული გზატკეცილი. მის ყველა ხვეულს იმეორებდა და თვითონაც მდინარესავით ბრწყინავდა. გზატკეცილზე ეტლი მიდიოდა. ეტლში ორი მგზავრი იჯდა. კოფოზე სულგრძელი მეეტლე დასკუპებულიყო. კაზმულობის ყოველი ჟღარუნი და ჭრაჭუნი, ცხენების ფლოქვების ხმა მკაფიოდ გაისმოდა ადრიანი დილის სიმყუდროვეში.

არხიდან მონაბერი ნიავი გამალებით უწეწავდა ევას თმებს და მისი წამოსასხამის შავ ბეწვს ალივლივებდა. თვალთა უპეები წრეებს დაეფარა, მაგრამ მაინც მხიარული იყო და იცინოდა.

—თქვენ იცით, რომ,—შეეკითხა ის,—მთელი ღამე შეუსვენებლივ მალაპარაკეს?

— ძალიანაც კარგი, — უთხრა დერმოტმა.

ცილინდრიანი მეეტლე არ მობრუნებულა და არც არაფერი უთქვამს, მაგრამ მხრები ლამის ყურებამდე აიჩეჩა.

— სად ვიმყოფებით? — შეეკითხა ევა. — ალბათ ხუთ-ექვს მილზე ლა ბანდელეტადან!

მეეტლემ მხრები ისევ აიჩეჩა თანხმობის ნიშნად.

— თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს? — დაამშვიდა ის დერმოტმა. — ახლა კი იმ თქვენი ისტორიის შესახებ.

— ჰო?

— მინდა რომ კიდევ გამიმეოროთ. სიტყვა სიტყვით.

— კიდევ?

ამჯერად მეეტლემ მხრები უკვე ყურებს მაღლა აიჩეჩა — ეს იყო სხვა პროფესიის წარმომადგენლებისათვის მიუწვდომელი აკრობატული ნომერი. მან მათრახი გაატყლაშუნა და ცხენები გააქენა. მგზავრები, რომლებიც ერთმანეთის შეხედვას ცდილობდნენ, კარგა გვარიანად შეინჯღრნენ.

— ოჰ, გეთაყვა, — შეეევედრა ევა. — მე ხომ უკვე ოთხჯერ გიამბეთ ყველაფერი. გეფიცებით, არც ერთი წვრილმანი არ გამომიტოვებია იქიდან, რაც მოხდა... აი, იმ ღამეს მთლად ჩამეხლიჩა ხმა. წარმოდგენილი მაქვს, როგორ გამოვიყურები! — ორივე ხელით სახიდან თმები გადაიწია. ქარისაგან ოდნავ აცრემლებული ნაცრისფერი თვალები ვედრებით უცქეროდა მას. — იქნებ, საუზმემდე მაინც გადავდოთ?

დერმოტი გახარებული იყო.

ის გახუნებულ საჯდომზე გადაწვა და მხრები მოადუნა. ოდნავ თავბრუ ეხვეოდა უძილო ღამისა და იმ აღმოჩენის შემდეგ, რომელმაც თავზარი დასცა. სულ დაავიწყდა, რომ გაუპარსავი იყო და ალბათ საშინლად გამოიყურებოდა. აღფრთოვანებულს შეეძლო მთელი სამყარო აეწია და კიბიდან დაეგორებინა.

— კარგი შეგიბრალებთ, — დაეთანხმა ის. — ბოლოს და ბოლოს, ჩემი აზრით, მთავარი ხელთა მაქვს. იცით რა, მისის ნილ, თქვენ ძალზე მნიშვნელოვანი ამბავი შემატყობინეთ.

— რა?

— თქვენ გამაგებინეთ, ვინაა მკვლელი, — უთხრა დერმოტმა.

ეტლი პირდაპირ ჰაერში მიფრინავდა და ევა ორივე ხელით ფეხთსაბურს ჩაფრენოდა.

— მაგრამ მე წარმოდგენა არა მაქვს! — გაოცდა ევა.

— ვიცი. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი თქვენი ნაამბობი.

— თქვენ რომ გცოდნოდათ, რაც იმ ღამეს მოხდა, მაშინ... მან ალმაცერად, გაუბედავად გადახედა ევას.

— ბუნდოვნად შევხვდი, — განაგრძობდა ის, — რომ დამნაშავეს იქ არ ვეძებდი, სადაც საჭირო იყო. ამას მიეხვდი გუშინ — ვახშმობის წინ. მაგრამ საბოლოოდ ამეხილა თვალები მამა რუსესთან ომლეტის ჭამის დროს თქვენი ნაამბობის შემდეგ.

— ექიმო კინროს, — ჰკითხა ევამ. — მათგან რომელმა მოკლა?

— თქვენთვის ამას მნიშვნელობა აქვს? თქვენთვის სულ ერთი არაა?

— არა. მაგრამ... მაინც რომელმა?

— აი ამას კი არ გეტყვით.

აქ ევამ ვეღარ მოითმინა. მაგრამ მრისხანე ტირადა ყელში გაეჩხირა; მას უცქეროდა კეთილი, მეგობრული, გამამხნევებელი, თანაგრძნობით აღსავსე თვალები.

— მისმინეთ, — განაგრძობდა ის, — ამას ვამბობ არა როგორც პოლიციის დიდი აგენტი, რომელიც უკანასკნელ თავში ცდილობს რომელიმე ჩერჩეტის დარეტიანებას. ამას ვამბობ ყველაზე სერიოზული მიზეზის გამო, რომელიც კი შეიძლება ფსიქოლოგს ჰქონდეს. მთელი საიდუმლო, — ის ევას შუბლზე შეეხო, — აი, აქაა. თქვენს თავში.

— არაფერი მესმის!

— არა, თქვენ ყველაფერი იცით. მაგრამ ანგარიშს არ აძლევთ თქვენს თავს. მე რომ გითხრათ, საგნებს ახლებურად შეხედავთ, დაიწყებთ განმარტებების ძებნას. ფაქტების გადასინჯვას. ეს კი სრულებით არაა საჭირო. ჯერჯერობით ყველაფერი — გესმით — ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ უამბობთ მომხდარ ამბავს მუსიე გორონსა და გამომძიებელს ზუსტად ისევე, როგორც მე მიამბეთ.

ევა შემცივნებულივით მოიბუზა.

— აი თქვენი ილუსტრაცია, — უთხრა დერმოტმა, რომელიც მას თვალს არ აშორებდა. ჟილეტის ჯიბიდან საათი ამოიღო. — მაგალითად, რა არის ეს?

— მაპატიეთ, მაგრამ...

— რა მიჭირავს ხელში?

— საათი, ბატონო ილუზიონისტო.

— როგორ მიხვდით? საშინელი ქარია. საათის წიკწიკი არ გესმით.

— იცით რა! მე ხომ ვხედავ, რომ ეს საათია!

— ხედავთ, საქმეც მაგაშია. თანაც საათის მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ, — მხიარულად დაასკვნა მან, — რომ უკვე ექვსის ოცი წუთია და თქვენ უეჭველად გეძინებათ. მეეტლევ!

— დიახ, მუსიე?

— ქალაქში, გეთაყვა.

— დიახ, მუსიე.

მშვიდ მეეტლეს თითქოს ჯადოსნური ჯოხი შეეხოო. ის წარმოუდგენელი სისწრაფით შეტრიალდა. ეს კინოქრონიკის ჩქარ გადაღებებს ჰგავდა, როდესაც უეცრად ყველანი ხტუნვა-ხტუნვითა და კისრისტეხით მიჰქრიან. ეტლი იმავე გზით მიჰქროდა უკან; ლურჯ-მონაცრისფრო წყალზე თოლიები ყვიროდნენ; ევა ისევ ალაპარაკდა:

— ახლა რა ვქნათ?

— დაიძინეთ. მერე კი ენდეთ თქვენს მონა-მორჩილს. დღეს შეხვედრა მოგელით გორონთან და გამომძიებელთან.

— დიახ, ალბათ.

— გამომძიებელ მუსიე ვატურზე სხვადასხვა საშინელებებს ყვებიან. მაგრამ თქვენ ნუ გეშინიათ მისი. თუმცა ისინი მკაცრად იცავენ წესებს და ალბათ დაკითხვას არ დამასწრებენ.

— თქვენ იქ არ იქნებით? — წამოიძახა ევამ.

— მე ხომ ადვოკატი არა ვარ. სიტყვამ მოიტანა და, თქვენ ადვოკატი უნდა აიყვანოთ. სოლომონს გამოგიგზავნით, — მას ენა დაება. რა, ეს ასე მნიშვნელოვანია, — დაუმატა მან და მეეტლეს ზურგზე მიაჩერდა, — ვიქნები იქ, თუ არა?

— რასაკვირველია, მნიშვნელოვანია. თქვენთვის ჯერ მადლობა არ გადამიხდია...

— აბა, რას ამბობთ... მაშ ასე მოუყევით ყველაფერი, რაც მოხდა, დაწვრილებით, როგორც მე მიამბეთ. როგორც კი თქვენს ნაამბობს ოქმში შეიტანენ, მე უკვე შემიძლია ვიმოქმედო.

— მანამდე რას იზამთ?

დერმოტი დიდხანს დუმდა.

— ერთ კაცს შეუძლია დაამტკიცოს, ვინაა მკვლელი, — უპასუხა მან ბოლოს. — ეს არის ნედ ეტვუდი. მაგრამ მისგან დიდი იმედი არაა; თუმცა მეც „კოშკში" გავჩერდი და ყოველი შემთხვევისათვის გამოვკითხავ მის ექიმს. არა... — და ისევ დადუმდა. — მე ლონდონში მივდივარ.

ევა დასაჯდომზე გასწორდა.

— ლონდონში?

— ერთი დღით. აქედან თვითმფრინავი მიფრინავს ათ საათსა და ოცდაათ წუთზე, საღამოს კი არის რეისი კროიდონიდან[1], რომლითაც ვახშამს ჩამოვუსწრებ. იმ დროისათვის, თუ გეგმა ჩამეშლება, მე უკვე მექნება გადამწყვეტი მნიშვნელობის ცნობები.

— ექიმო კინროს, რატომ იწუხებთ ასე თავს ჩემი გულისათვის?

— არ დავუშვებ, რომ ჩემს თანამემამულეს ჩემს თვალწინ ციხეში ამოაყოფინონ თავი.

— ისევ ხუმრობთ?

— განა მე ვხუმრობ? მაპატიეთ.

დამცინავი ღიმილი ეწინააღმდეგებოდა მობოდიშებას. ევა სახეზე მისჩერებოდა. მზის მკვეთრმა სხივმა შეაკრთო დერმოტი. მან ხელისგული ლოყასთან მიიტანა ჩამოსაფარებლად. დიდი ხნის დავიწყებული მტანჯველი გრძნობა დაუბრუნდა. ევამ ვერაფერი შენიშნა. ის დაიღალა, გაიყინა თავის მოკლე წამოსასხამში და იმ ღამის ამბები უეცრად ისევ მწვავედ აღიდგინა მეხსიერებაში.

— მე, ალბათ, საშინლად მოგაბეზრეთ თავი, — უთხრა მან, — ჩემი ინტიმური ცხოვრების ყველა ამ წვრილმანით.

— თვითონაც იცით, რომ სრულიადაც არა.

— მე ყველაფერი გავუმხილე სულ უცნობ ადამიანს, ახლა კი დღის სინათლეზე უბრალოდ მრცხვენია თქვენთვის შეხედვისა.

— აბა, რას ამბობთ. მაშ რაღაზე ვარ აქ? ოღონდ შეიძლება ერთი კითხვა მოგცეთ — პირველად?

[1] აეროპორტი ლონდონის სამხრეთ ნაწილში.

— რასაკვირველია.

— როგორ მოექცევით ტობი ლოუზს?

— როგორ მოიქცეოდით თქვენ, თუ ასე ზრდილობიანად და ლამაზად გადაგაყენებდნენ? უბრალოდ მიმატოვეს, ხომ მართალია? თანაც მოწმის თანდასწრებით.

— გგონიათ, რომ კიდევ გიყვართ ის? არ გეკითხებით, გიყვართ თუ არა, მხოლოდ გეკითხებით, რას ფიქრობთ?

ევა არ პასუხობდა. ცხენთა ფეხის ხმა ისმოდა. უცებ ევამ გაიცინა.

— ბედი არა მაქვს ქმრებში, ხომ მართალია?

მეტი აღარაფერი დაუმატებია, დერმოტიც აღარ ჩაეძია. თითქმის დილის ექვსი საათი იყო, როდესაც ლა ბანდელეტას სუფთად დაგვილ გარინდებულ ქუჩებს მოაღწიეს. მყუდროებას დილაადრიან მხოლოდ ცხენოსნობის მცირერიცხოვანი მოყვარულები არღვევდნენ. როდესაც მათ რიუ დეზ ანჟზე შეუხვიეს, ევამ ქვედა ტუჩზე იკბინა და ოდნავ გაფითრდა. თავის სახლთან დერმოტი დაეხმარა ეტლიდან გადმოსვლაში.

ევამ გზის გადაღმა სწრაფი მზერა ესროლა ვილა „სალამს". იქ თითქოს ყველაფერი ჩამკვდარიყო. მხოლოდ მაღლა ერთ ოთახში დარაბები ღია იყო. იაპონურკიმონოიანი და სათვალიანი ელენა ლოუზი ფანჯარასთან გაქვავებულივით იდგა და მათ უყურებდა.

ქუჩის სიჩუმეში ლაპარაკი ისე ხმამაღლა გაისმოდა, რომ ევა ინსტინქტურად ჩურჩულზე გადავიდა.

— აიხედეთ. ხედავთ მაღლითა ფანჯარას?

— დიახ.

— მივაქციო მას ყურადღება?

— არა.

ევას სახეზე უიმედობა გამოეხატა.

—.იქნებ, მაინც მითხრათ ვინ?...

— არა. მხოლოდ ერთს გეტყვით. თქვენ განზრახ აგირჩიეს მსხვერპლად, და მთელი გეგმა ისეა მოფიქრებული, ისეთი სასტიკია და გულგრილი, რომ ჩემს სიცოცხლეში მსგავსი არ შემხვედრია. ის, ვინც ყველაფერი ეს წამოიწყო, არ იმსახურებს შეწყალებას და ვერც მიიღებს მას. მაშ ასე, საღამომდე. მერე კი, ღმერთია შემწე, ზოგ-ზოგებს გავუსწორდებით.

— რაც არ უნდა მოხდეს, — უთხრა ევამ, — მადლობელი ვარ თქვენი. გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ!

ევამ ხელი მოუჭირა, ჭიშკარი გააღო და ბილიკით თავისი სახლის კარებისაკენ გაიქცა; დაღლილმა მეეტლემ შვებით ამოისუნთქა; დერმოტი კი ქვაფენილზე იდგა და მის სახლს ისე დიდხანს უყურებდა, რომ მეეტლეს შიში განუახლდა. მერე დერმოტი ისევ ეტლში ჩაჯდა.

— სასტუმრო „კოშკი", მეგობარო. და ამით თქვენი სამუშაო დამთავრდება.

სასტუმროსთან გადაუხადა მეეტლეს, დამატებით ბევრი ფული აჩუქა და ეპიკური მასშტაბის მადლიერების ნაკადის თანხლებით კიბეზე ავიდა. ჰოლში უკვე იგრძნობოდა გამოღვიძების ნიშნები.

დერმოტი თავის ნომერში შევიდა. ჯიბიდან ამოიღო მუსიე გორონისაგან მიღებული ფირუზისა და ბრილიანტების ყელსაბამი; მოამზადა შეკვეთილი პაკეტი პრეფექტისათვის ყელსაბამის დასაბრუნებლად და შიგ ჩადო წერილი, რომლითაც ატყობინებდა, ერთი დღით მივდივარო. შემდეგ გაიპარსა, გამოსაფხიზლებლად ცივი შხაპი მიიღო, ჩაიცვა და საუზმე ნომერში შეუკვეთა.

ჰოლიდან ტელეფონით შეატყობინეს, რომ მუსიე ეტვუდი 401 ნომერში იმყოფებოდა. საუზმის შემდეგ დერმოტი იქ წავიდა. გზაში სასტუმროს ექიმს შეხვდა, რომელსაც ის-ის იყო ნედი გაესინჯა.

ექიმ ბუტეზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა დერმოტის სავიზიტო ბარათმა. მაგრამ მოუთმენლობას არ ამჟღავნებდა. ექიმი ბუტე სუსტად განათებულ დერეფანში ნედის კარებთან იდგა და უხალისოდ უპასუხებდა კითხვებზე.

— არა, მუსიე, მუსიე ეტვუდი გონს არ მოსულა. დღეში ოცჯერ მაინც მოდის ვინმე პრეფექტურიდან ან პოლიციიდან და ყველა ერთსა და იმავე კითხვას იძლევა.

— რასაკვირველია, საერთოდ არ არის არავითარი გარანტია. მაგრამ, მეორე მხრივ, ხომ შეიძლება ყოველ წუთს მოიხედოს?

— დაზიანების ხასიათით თუ ვიმსჯელებთ, ეს შესაძლებელია. მე გიჩვენებთ რენტგენის სურათებს.

— დიდი მადლობელი ვიქნები. მაშასადამე, იმედი არის?

— ჩემის აზრით, კი.

— მან რაიმე თქვა ბოდვის დროს?

— ზოგჯერ უეცრად იცინის. ეს არის და ეს. მე არც ისე ხშირად ვარ მასთან. უმჯობესია მომვლელ ქალს გამოჰკითხოთ.

— შეიძლება მასთან შევიდე?

— რასაკვირველია.

საიდუმლოების დამცველი ჩაბნელებულ ოთახში გვამიყვით იდო. მომვლელი ქალი მონაზონი იყო. მისი უზარმაზარი თავსამკაული მკაფიო სილუეტივით მოჩანდა ჟალუზების თეთრ ფონზე.

დერმოტი ავადმყოფს აკვირდებოდა. „ლამაზია, ეშმაკის კერძი", — მწარედ გაიფიქრა მან. ევა ნილის პირველი სიყვარული, შესაძლებელია... მაგრამ უმალვე მოიშორა არასასიამოვნო ფიქრი. თუ ევას კიდევ უყვარს ეს ახალგაზრდა, მაშასადამე, სხვანაირად არ შეუძლია. ნედის მაჯა გაუსინჯა, სამარისებურ სიჩუმეში გარკვევით ისმოდა საათის წიკწიკი. ექიმმა ბუტემ აჩვენა რენტგენის სურათები და ჩაილაპარაკა, საკვირველია, რომ მისი პაციენტი აქამდე არ გაემგზავრა საიქიოს.

—რაიმეს თუ ლაპარაკობს? — გაიმეორა დერმოტის კითხვა მომვლელმა ქალმა. — ზოგჯერ რაღაცას ბურტყუნებს ხოლმე, მუსიე.

— მართლა?

— მაგრამ ის ხომ ინგლისურად ლაპარაკობს. მე კი ინგლისური არ მესმის. ზოგჯერ იცინის და ვიღაცას უხმობს.

დერმოტი, რომელიც უკვე კარებისაკენ მიდიოდა, მკვეთრად შემობრუნდა.

— ეძახის? ვის?

— ს-ს-ს, — ჩაერია მუსიე ბუტე.

— ვერ გეტყვით, მუსიე. ყველა მარცვალი ერთნაირია. დიდი სიამოვნებით, მუსიე, მაგრამ არ ვიცი, როგორ გამოითქმება, — ნახევრად სიბნელეში შეშინებული იყურებოდა. — მაგრამ თუ საჭიროა, შემიძლია სხვა დროს ჩავწერო.

ეს იყო და ეს. ჯერჯერობით დერმოტს აქ აღარაფერი ესაქმებოდა. ისღა დარჩენოდა ვიღაც-ვიღაცეები დაეკითხა სას-

ტუმროს სხვადასხვა ბარებში: ერთი ოფიციანტი დიდი გატაცებით ლაპარაკობდა მისის ჯენის ლოუზზე; თურმე თავისი სიკვდილის დღეს სერ მორისი იყო პირველი სართულის ხმაურიან ბარში და ბარმენი და ოფიციანტები გააოცა.

— რა თვალები ჰქონდა! როგორ ბობოქრობდა! — ბუზუნა ხმით ამბობდა ბარმენი. — მერე კი უეცრად ჟიულ სეზნეკი ხედავს მას ზოოპარკში, მაიმუნების გალიასთან. ის ვიღაცას ელაპარაკებოდა, მაგრამ ვის, ჟიულმა ვერ დაინახა, ბუჩქები ეფარებოდა.

სანამ ინგლისის თვითმფრინავზე ბილეთს შეუკვეთდა, რომელიც ლა ბანდელეტადან თერთმეტის ნახევარზე მიფრინავდა, დერმოტმა კიდევ მოასწრო დარეკვა მეტრ სოლომონთან, თავის მეგობარ იურისტთან ფირმა „სოლომონი და კოჰენი“-დან.

დღის დარჩენილ დროს შემდეგში ღამის კოშმარივით იგონებდა. თვითმფრინავში წაიძინა, ყველაზე მთავარი ამბისათვის ძალები რომ მოეკრიბა. ავტობუსი კროიდონიდან უსასრულოდ დიდხანს მიჩანჩალებდა; რამდენიმე დღის არყოფნის შემდეგ ლონდონმა ის ჭვარტლითა და გამონაბოლქვი გაზების მყრალი სუნით გააოცა. დერმოტმა ტაქსი დაიჭირა და ერთ მისამართზე წავიდა. ნახევარი საათის შემდეგ სიხარულისაგან ლამის აყვირდა.

მან დაამტკიცა ის, რისი დამტკიცებაც იყო საჭირო. როდესაც საღამოს გაყვითლებული ცის ქვეშ ლა ბანდელეტაში მიმავალ თვითმფრინავში შედიოდა, უკვე აღარ გრძნობდა დაღლილობას. ძრავები გუგუნებდნენ; თვითმფრინავი ასაფრენ მოლზე გაქანდა; პროპელერების ჰაერის ნაკადი ბალახს მიწაზე აკრავდა; ევა კი გადარჩენილი იყო. დერმოტი სავარძელში გადაწოლილიყო, მუხლებზე პორტფელი ედო და დახუთული სალონის ვენტილატორების ხმაურში თვალს ადევნებდა, თუ როგორ იქცა ინგლისი ჯერ ნაცრისფერ და წითელ სახურავებად, ხოლო შემდეგ მოძრავ რუკად.

ევა გადარჩენილი იყო. დერმოტი გეგმებს ადგენდა. ის კიდევ მათ შედგენაში იყო, როდესაც თვითმფრინავი დაბლა, ეროდრომზე დაეშვა. შორს, ქალაქში ჩირაღდნები ციმციმებდნენ. ახლო-ახლო დარგული ხეების ხეივანში რომ მიდიოდა

და მწუხრის ფიქვნარის ჰაერს ისუნთქავდა, დერმოტი დღევანდელი ტანჯვა-წამებიდან ოცნებით მერმისში წავიდა, როდესაც...

„კოშკში" ორკესტრი უკრავდა. კაშკაშა სინათლემ და ხმაურმა ფიქრებიდან გამოიყვანა. მას რეგისტრატორმა დაუძახა:

— ექიმო კინროს. თქვენ მთელი დღე გკითხულობდნენ. ერთი წუთით მგონი, ახლაც გიცდიან ორნი.

— ვინ არიან?

— მუსიე სოლომონი, — ბლოკნოტში ჩაიხედა და ისე უპასუხა რეგისტრატორმა, — და მადმუაზელ ლოუზი.

— სად არიან?

— სადღაც აქ არიან, მუსიე, — მან პატარა ზარი დარეკა, — მიგაცილებენ გნებავთ?

დერეფნის მორიგე ბიჭუნას დახმარებით დერმოტმა ჯენის ლოუზი და მეტრ პიერ სოლომონი ვითომ გოთური ფოიეს ერთ-ერთ კუთხეში იპოვა. ვითომ ძველებური და ტიტველი ქვის კედლებზე ვითომ შუა საუკუნეების იარაღი ეკიდა. კედლების გასწვრივ ჩამწკრივებული იყო რბილი სკამები, ხოლო შუაში იდგა პატარა მაგიდა. ჯენისი და მეტრ სოლომონი შორიშორ ისხდნენ სკამებზე. დერმოტის დანახვისთანავე ფეხზე წამოდგნენ; იგი გააოცეს მათ სახეებზე აღბეჭდილმა საყვედურმა.

მეტრ სოლომონი იყო მაღალი, სქელი, შავგვრემანი, წარმოსადეგი და დაბალი ბანით ლაპარაკობდა. მან ძალზე უცნაურად შეხედა დერმოტს.

— ააა, დაბრუნდით, ჩემო მეგობარო, — სამარისეული ხმით თქვა მან.

— რასაკვირველია! ხომ გითხარით, დავბრუნდები-მეთქი. მისის ნილი სადღაა?

ადვოკატი ყურადღებით ათვალიერებდა თავის ფრჩხილებს, ხელს ხან ასე ატრიალებდა და ხან ისე. ბოლოს თვალები ასწია.

— ის რატუშაშია, ჩემო მეგობარო.

— რატუშაში? აქამდე? რატომ აკავებენ ამდენ ხანს?

მეტრ სოლომონს სახე მთლად მოეღუშა.

— საკანში ჩასვეს,—უპასუხა მან.—და ძლიერ ვშიშობ, მოხუცო, რომ არც ისე მალე გამოუშვებენ იქედან. ქალბატონი ნილი დაპატიმრებულია მკვლელობის ბრალდებით.

თავი 16

— მითხარით, მოხუცო, — გულწრფელი ინტერესით განაგრძობდა მეტრ სოლომონი, — ჩვენ შორის დარჩეს. კაცურად ვილაპარაკოთ. თქვენ რა — თავგზას მიბნევთ?

— თუ ევას უბნევთ თავგზას? — ჩაურთო ჯენისმა.

დერმოტი პირდაღებული უყურებდა მათ.

— არაფერი მესმის.

მეტრ სოლომონმა თითი მიადო დერმოტს და დაუქნია თითქოს სასამართლოზე კითხვას აძლევსო.

— თქვენ დაარიგეთ ქალბატონი ნილი, რომ პოლიციისათვის სიტყვა სიტყვით გაემეორებინა თავისი ისტორია, როგორც თქვენ მოგიყვათ? ჰო თუ არა?

— რასაკვირველია, ჰო.

— აჰა!—დიდი კმაყოფილებით დაიჭექა მეტრ სოლომონმა. მან მხრები გაშალა და ორი თითი ჟილეტის ჯიბეში ჩაიყო.— თქვენ, ალბათ, შეიშალეთ, ჩემო მეგობარო? უიმედოდ შეიშალეთ?

— ყური მიგდეთ...

— დღეს საღამომდე და პოლიციაში ქალბატონ ნილის დაკითხვის დროსაც თითქმის დარწმუნებული იყვნენ მის უდანაშაულობაში. თითქმის! თქვენ აიძულეთ ისინი დაეჭვებულიყვნენ.

— მართლა?

— მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც ის უკანასკნელ ჩვენებას აძლევს, საჭოჭმანო აღარაფერია. მუსიე გორონმა და გამომძიებელმა ერთმანეთს გადახედეს. ქალბატონმა ნილმა დაუშვა იმდენი უხეში შეცდომა, იმდენად მამხილებელი ყველას თვალში, ვინც კი სამხილებს იცნობს, რომ მის დამნაშავეობაში საეჭვო აღარაფერი რჩება. — მორჩა! გათავდა! მთელი ჩემი ხელოვნება — ჩემიც კი — უძლურია მის დასახმარებლად.

ჯენის ლოუზის წინ პატარა მაგიდაზე იდგა ნახევრამდე მოსმული მარტინი და ერთი მეორეზე დაწყობილი სამი თეფში, რაც მოწმობდა, რომ სამი ულუფა უკვე მიერთმიათ. ჯენისი ჩამოჯდა, მარტინი ბოლომდე დალია და კიდევ უფრო გაწითლდა. აქ რომ ელენა ყოფილიყო, ალბათ ბევრ რამეს იტყოდა. მაგრამ დერმოტს არ აინტერესებდა ეს თვისება მის ქალიშვილში.

მან კვლავ შეხედა მეტრ სოლომონს.

— ერთი წუთით! — წამოიძახა მან — ეს ეგრეთწოდებული „შეცდომა“ ხომ არაა დაკავშირებული... იმპერატორის საბურნუთესთან?

— დაკავშირებულია.

— ესე იგი როგორ აღწერა ის მან, არა?

— დიახ.

დერმოტმა მაგიდაზე დააგდო თავისი პორტფელი.

— მაშ ასე!—ისეთი სიმწრით და სარკაზმით წარმოთქვა მან, რომ მეტრ სოლომონი და ჯენისი შეკრთნენ. — გამოდის, იმ ჩვენებამ, რომელსაც ისინი უნდა დაერწმუნებინა მის უდანაშაულობაში, დაარწმუნა მის დამნაშავეობაში?

ადვოკატმა დევის მხრები აიჩეჩა.

— არ მესმის თქვენი.

— მუსიე გორონი, — უთხრა დერმოტმა, — ჭკვიანი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. ღმერთო ჩემო, მაშ რა მოუვიდა მას? — ის მოიღუშა. — თუ ევას დაემართა რამე?

— ის აშკარად ცუდ მდგომარეობაში იყო, — დაეთანხმა ადვოკატი, — რაღაც არადამაჯერებლად ყვებოდა, იმ ადგილებშიც კი, სადაც თითქოს არაფერი იყო შარის მოსადები.

— მესმის. მაშასადამე, მან ყველაფერი ისე ვერ უამბო გორონს, როგორც მე მიამბო დილით?

მეტრ სოლომონმა კვლავ მხრები აიჩეჩა.

— რაც არ ვიცი, არ ვიცი.

— ნებას მომცემთ? — მორიდებით ჩაერია ჯენისი.

დიდხანს ატრიალებდა ხელში სირჩას და ბოლოს ინგლისურად მიმართა დერმოტს.

— არაფერი მესმის. მთელი დღე უკვე დავდევ ამ აპიუს კლავდიუსს[1], — მან თავით მეტრ სოლომონზე ანიშნა, —ის კი მხოლოდ ხმაურობს და საკუთარი ღირსების შელახვისა ეშინია. ჩვენ ყველანი კი საშინლად ვღელავთ. დედა, ტობი და ძია ბენი ახლა რატუშაში არიან.

---

[1] აპიუს კლავდიუსი — რომის კონსული და დეცემვირი (451 წლიდან 449 წ. ჩვ. წ. აღრიცხვამდე) ცნობილი იყო თავისი სისასტიკით. 449 წელს ფესცეს სამართალში და თავი მოიკლა.

— ჰო? იქ არიან?

— დიახ. ევას ნახვა უნდოდათ, მაგრამ ვერ ახერხებენ. — ჯენისს ენა დაება. — მე ისე გავიგე, რომ გუშინ ტობის და ევას შორის შავმა კატამ გაირბინა. ტობი რაღაც ხასიათზე ვერ არის (ასეთი რამ ხშირად ემართება) და ღმერთმა იცის რა უთხრა ევას. დღეს კი სინდისი ქენჯნის. ჯერ არასდროს არ მინახავს ასე განაწამები.

მან სწრაფად შეხედა დერმოტს ბოროტად მოღუშულ სახეზე და კვლავ დაიწყო სირჩის ფეხის ტრიალი აკანკალებულ თითებით.

— ბოლო დღეები, — განაგრძნობდა ის, — ჩვენც კარგად გაგვიმწარდა. მაგრამ, რაც არ უნდა იფიქროთ, ჩვენ ევას მხარეზე ვართ. მისი დაპატიმრების ამბავი რომ გავიგეთ, თქვენზე ნაკლებად არ გაევოცებულვართ.

— ბედნიერი ვარ ამის მოსმენით.

— გემუდარებით, ნუ იქცევით ასე ჯალათივით.

— გმადლობთ. იმედი მაქვს, მის ფუნქციას შევასრულებ.

ჯენისმა თვალები მიაპყრო მას.

— ვის მიმართ?

— როდესაც უკანასკნელად გორონს ვესაუბრე, — თქვა დერმოტმა, ისე რომ პასუხის ღირსი არ გახადა, — მას ხელთ ჰქონდა ორი საუკეთესო კოზირი. სწორედ იმით უნდა დაეწყო. პირველი — დაჟინებით დაკითხვა ივეტა ლატურისა, რომლისაგანაც ის ბევრს ელოდა. ხოლო მეორე — ის ფაქტი, რომ ერთმა პირმა, იმ სამახსოვრო ღამის ამბავის მოყოლისას, აშკარად ტყუილი თქვა. მაშ რა ეშმაკი შეუჩნდა, რომ ორივე კოზირი სანაგვე კალათაში მოისროლა და ევა დააპატიმრა? არა, ეს უკვე ჩემი მოკლე ჭკუის მოსაზრება როდია.

— თავად მას ჰკითხეთ, — წინადადება მისცა ადვოკატმა.— ეი ის ჩვენკენ მოდის.

მიუხედავად შეწუხებული გამოხედვისა, თავაზიანი და ერთობ გადაპრანჭული არისტიდ გორონი ჩვეულებისამებრ ხელჯოხის თამაშითა და მონარქის სიარულით მოდიოდა მათკენ.

— ოჰ! საღამო მშვიდობისა, ჩემო მეგობარო, — ოდნავ

დამნაშავის გამომეტყველებით მიესალმა ის დერმოტს, — ვხედავ, უკვე ჩამოსულხარ ლონდონიდან.

— დიახ, და აქ მშვენიერი სიტუაცია დამხვდა.

— ფრიად ვწუხვარ, — ამოიოხრა მუსიე გორონმა,—მაგრამ მართლმსაჯულება მართლმსაჯულებაა. მეთანხმებით? შეიძლება გკითხოთ რისთვის გაფრინდით ასე სასწრაფოდ ლონდონში?

— იმისათვის, — უპასუხა დერმოტმა, — რომ ნათელი მოეფინა მოტივებისათვის, რომლებითაც ხელმძღვანელობდა სერ მორის ლოუზის ნამდვილი მკვლელი.

— ფუი! — აღმოხდა მუსიე გორონს.

დერმოტი მეტრ სოლომონს მიუბრუნდა.

— აუცილებლად უნდა მოველაპარაკო პოლიციის პრეფექტს. მის ლოუზ, მაპატიეთ უზრდელობა, და გთხოვთ მარტო დამტოვოთ ამ ბატონებთან?

ჯენისი უდიდესი თავშეკავებით წამოდგა.

— დავიკარგო თუ რა ვქნა?

— როგორ გეკადრებათ. მუსიე სოლომონი ახლავე დაგეწევათ და რატუშაში თქვენს ნათესავებთან მიგიყვანთ.

ცოტა დაიცადა, სანამ ჯენისი დატოვებდა მშვენიერ კუთხეს და შემდეგ ადვოკატს მიმართა.

— შეგიძლიათ ჩემო მეგობარო, რომ ევა ნილს რაღაც გადასცეთ?

— ყოველ შემთხვევაში, ვეცდები, — მხრები აიჩეჩა მეტრ სოლომონმა.

— კეთილი. გადაეცით მას, რომ მე მოველაპარაკები მუსიე გორონს და, იმედი მაქვს, ორი საათის შემდეგ გაათავისუფლებენ. მის მაგივრად კი წინადადება შემომაქვს მართლმსაჯულებას გადასცენ სერ მორის ლოუზის ნამდვილი მკვლელი.

ყველა გაჩუმდა.

— ყველაფერი ეს წვნიანი კოკის ბრალია?—იყვირა ბოლოს მუსიე გორონმა, და ხელჯოხი ჰაერში აიქნია. — როგორ შეიძლება! გთხოვთ, ნუ გამრევთ ამაში, გესმით!

ამასობაში ადვოკატი გამოემშვიდობა. ის ფოიეს გაუყვა. მათ დაინახეს, როგორ გაჩერდა და რაღაცა უთხრა ჯენისს. მან

ხელი შესთავაზა ჯენისს. ჯენისმა უარი უთხრა, რის შემდეგ ერთად დატოვეს ფოიე და ხალხში გაუჩინარდნენ. შემდეგ დერმოტი რბილ სკამზე დაჯდა და პორტფელი გახსნა.

— თქვენ არ დაჯდებით, მუსიე გორონ?

— არა, მუსიე. არ დავჯდები, — მრისხანედ უპასუხა გორონმა.

— აბა, გეყოფათ! გაითვალისწინეთ, რა უნდა შემოგთავაზოთ...

— ფუ!

— რატომ არ ჯობდა მოეწყოთ უფრო მოხერხებულად? იქნებ დაგველია რამე?

— კეთილი! —რამდენადმე შერბილებულად წაიბურტყუნა მუსიე გორონმა და დერმოტს გვერდით სკამზე ჩამოჯდა. — მხოლოდ ერთი წუთით და დავლიოთ თითო სირჩა. რაკი ასე დაჟინებით ითხოვთ, მუსიე, დავლევდი წვნიან კოკს... ესე იგი სოდიან ვისკის.

დერმოტმა შეუკვეთა.

— თქვენ მაკვირვებთ, — ცბიერი თავაზიანობით დაიწყო მან. — ისეთი განსაცვიფრებელი ოპერაციის შემდეგ, როგორიც ქალბატონ ნილის დაპატიმრებაა, თქვენ იმის მაგივრად რომ ის კითხვებით ჩიხში მოამწყვდიოთ, რატომღაც აქ ზიხართ. რატომ არა ხართ რატუშაში?

— აქ, სასტუმროში, საქმე მაქვს, — უპასუხა მუსიე გორონმა და მაგიდაზე თითები აათამაშა.

— საქმე?

— დიახ, — უპასუხა მუსიე გორონმა, — ექიმმა ბუტემ დამირეკა და მითხრა, მუსიე ეტვუდი გონს მოვიდა და შეიძლება მისი დაკითხვაო, რასაკვირველია, ზომიერების ფარგლებში...

დერმოტის კმაყოფილი სახე რომ შენიშნა, პრეფექტი ისევ აენთო.

— იცით რა, — უთხრა დერმოტმა, —მუსიე ეტვუდი ზუსტად იმასვე გეტყვით, რის თქმასაც მე ვაპირებ. სწორედ ეს იქნება ის რგოლი, რომელიც დამამტკიცებელი საბუთების ჯაჭვს აკლია. და თუ ჩემი მხრიდან ყოველგვარი დაწოლის გარეშე ის დაადასტურებს ჩემს სიტყვებს, თანახმა ხართ მოისმინოთ ჩემი ჩვენებები?..

— ჩვენებები? რა ჩვენებები?..

— ერთი წუთით, — შეაწყვეტინა მას დერმოტმა, — რაში დაგჭირდათ ამ ას ოთხმოცი გრადუსით შემობრუნება და ევა ნილის დაპატიმრება?

მუსიე გორონმა ყველაფერი უამბო.

პრეფექტმა, რომელიც სოდიან ვისკის წრუპავდა, დაწვრილებით გააცნო თავისი მოსაზრებები. თუმცა მუსიე გორონს ახლა დიდად მხიარული სახე არ ჰქონდა, დერმოტმა აღიარა, რომ პრეფექტის ეჭვი და გამომძიებელ მუსიე ვოტურის საბედისწერო დაჯერებულობა მოკლებული არ იყო ზოგიერთ საფუძველს.

— მაშასადამე, — წაიბურტყუნა დერმოტმა, — მან მაინც არ გითხრათ... არ გაიმეორა თქვენთან ის, რაც დღეს დილით აღმოხდა, როდესაც უძილო ღამის შემდეგ პირდაპირ კლავდა დაღლილობა. მან არ გითხრათ ის ერთადერთი მნიშვნელოვანი ამბავი, რომელიც ამტკიცებს მის უდანაშაულობასა და სხვა პირის დამნაშავეობას.

— სახელდობრ, რა?

— მისმინეთ! — უთხრა დერმოტმა და პორტფელის შესაკრავი ააჩხაკუნა.

როდესაც ლაპარაკი დაიწყო, კედელზე ჩამოკიდებული ძნელსაცნაური საათის ისრები უჩვენებდა, რომ ცხრას ხუთი წუთი აკლდა. ათის ხუთ წუთზე მუსიე გორონმა მოუსვენრად დაიწყო ცქმუტვა სკამზე. კიდევ ათი წუთის შემდეგ სევდიანად გარინდებულმა პრეფექტმა ვედრებით გაიშვირა ხელები დერმოტისაკენ.

— მომბეზრდა ეს საქმე, — ამოიკვნესა მან, — შემზიზღდა. ის-ისაა რაღაცას ნათელი მოეფინება და—თხლაშ! ყველაფერი თურმე სხვაგვარადაა. და ასეა დაუსრულებლად.

— ბოლოს და ბოლოს ახლა განა ყველაფერი ნათელი არაა?

— ამჯერად ვდუმვარ! უკვე გამოცდილი ვარ! მაგრამ საერთოდ კი... ჰო.

— მაშასადამე, ნათელია. დაგრჩათ მხოლოდ ეს ერთადერთი კითხვა მისცეთ იმას, ვინც ყველაფერი დაინახა. ჰკითხეთ ნედ ეტვუდს იყო ეს ასე და ასე თუ არა? და თუ ის იტყვის „ჰო“-ს, მოამზადეთ თქვენი „ვიოლინო“ ღირსეული შეხვედ-

რისათვის. ხოლო მე ვეღარ დამდებთ ბრალს იმაში, თითქოს დამერიგებინოს ის.

მუსიე გორონი წამოდგა და ვისკის უკანასკნელი ყლუპი შესვა.

— აბა, წავიდეთ დასაღუპავად,—მიიწვია მან დერმოტი.

დერმოტი უკვე მეორედ იყო იმ დღეს 401 ნომერში. მაგრამ პირველად ყოფნის დროს ვერც კი იფიქრებდა, რომ უცებ ასე გაუღიმებდა ბედი. წყალობა და დამცინავი დამღუპველობა თითქოს დაუღალავად იბრძოდნენ ევა ნილის ბედისათვის და წამდაუწუმ ფეხს უდებდნენ ერთმანეთს.

საწოლ ოთახში მქრქალი ნათურა ენთო. ნედ ეტვუდს სრული ცნობიერება დაბრუნებოდა, თუმცა საშინლად ფერმკრთალი იყო და ოდნავ დაბინდული თვალები ჰქონდა. ის წამოჯდომას ცდილობდა და ეჩხუბებოდა ინგლისის საავადმყოფოს ღამის მომვლელ ქალს, დასავლეთი საგრაფოს მხიარულ და ზორბა მკვიდრს, რომელიც მას ისევ ბალიშზე აწვენდა.

— მაპატიეთ შეწუხებისათვის, — დაიწყო დერმოტმა, — მაგრამ...

— ყური მიგდეთ,—ხველებით უთხრა ნედმა.—თქვენ ექიმი ხართ? მაშინ ღვთის გულისათვის მომაცილეთ ეს ბოროტი დედაკაცი! მას ძალით უნდა ნემსი გამიკეთოს.

— დაწექით, — ბრაზობდა მომვლელი ქალი. — თქვენ სიმშვიდე გჭირდებათ!

— რა ჯანდაბად მინდა სიმშვიდე, როდესაც არ მეუბნებით, რა ხდება? არ მჭირდება ეს თქვენი სიმშვიდე. პირობას გაძლევთ, კარგად მოვიქცევი; განურჩევლად მივიღებ ყველა თქვენ საძაგელ წამლებს, ოღონდ იქონიეთ სინდისი და გამაგებინეთ, რა ხდება.

— ყველაფერი რიგზეა, მომვლელო, — უთხრა დერმოტმა ქალს მისი საეჭვო გამოხედვის პასუხად.

— შეიძლება შეგეკითხოთ, ვინა ხართ, თქვენ სერ? და რატომ მოხვედით?

— მე ექიმი კინროსი ვარ. ეს მუსიე გორონია. პოლიციის პრეფექტი, რომელიც იძიებს სერ მორის ლოუზის მკვლელობის საქმეს.

ნედ ეტვუდს სახე ფოკუსში მოხვედრილ გამოსახულება-

სავით თანდათან გაუნათდა, გამოხედვა გონივრული გაუხდა. ლოგინზე წამოჯდა და ხელებით ბალიშებს დაეყრდნო. მძიმედ სუნთქავდა. თავის პიჟამოზე დაიხედა, თითქოს პირველად ხედავსო და მერე თვალები ხამხამით მოავლო ოთახს.

— ლიფტით ამოვდიოდი, — მკაფიოდ განაცხადა მან, — და აი უცებ... — ყელზე ხელი მოიკიდა, — რამდენ ხანს ვეგდე ასე?

— ცხრა დღე.

— ცხრა დღე?

— სავსებით მართალია. სწორია, მისტერ ეტვუდ, რომ თქვენ მანქანა დაგეჯახათ სასტუმროს ახლოს?

— მანქანაო? რა ბოდვაა? რა მანქანა, რის მანქანა?

— თქვენ თვითონ თქვით ასე.

— არაფერი ამის მსგავსი არ მითქვამს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი რამ არ მახსოვს. — გამოხედვა სავსებით ცნობიერი გაუხდა. ევა, — თქვა მან და ყველაფერი ამ ერთ სიტყვაში ჩააქსოვა

— დიახ. ეცადეთ არ აღელდეთ, მისტერ ეტვუდ. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ მას საფრთხე ემუქრება და საჭიროებს თქვენს დახმარებას.

— თქვენ რა, მისი მოკვლა გინდათ? — აენთო მომვლელი ქალი.

— გაჩუმდით — უბრძანა ნედმა განსაკუთრებული თავაზიანობის გარეშე. საფრთხე ელის? — შეეკითხა ის დერმოტს. — რა საფრთხე?

მას პოლიციის პრეფექტმა უპასუხა. მუსიე გორონს ხელები გულზე დაეკრიფა და ცდილობდა, რაც შეიძლება თავდაჭერილი ყოფილიყო და არაფრით არ გაემხილა მოწოლილი გრძნობები.

— ქალბატონი ციხეშია, — ინგლისურად უთხრა პოლიციის პრეფექტმა, — მას ბრალად ედება სერ მორის ლოუზის მოკვლა.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა; საღამოს გრილი სიო არხევდა ფანჯრების თეთრ ფარდებს. ბალიშებზე მიყრდნობილი ნედი მნახველებს უყურებდა. თეთრი პიჟამოს სახელოები აეკაპიწებინა. ამ ცხრა დღეში ხელები გახდომოდა და საოც-

რად გასთეთრებოდა. თმა გადაპარსული ჰქონდა. დოლბანდის სახვევი სულ არ უხდებოდა მის გატანჯულ, ლამაზ სახესა და კრიალა ლურჯ თვალებს. უეცრად მან გადაიხარხარა.

— თქვენ ხუმრობთ?

— არა, — დაარწმუნა ის დერმოტმა. — მის წინააღმდეგ სერიოზული სამხილებია. ხოლო ლოუზების ოჯახი თითქმის არავითარ ღონეს არ ხმარობს მის გამოსახსნელად.

— რა თქმა უნდა, არ იხმარს, — უთხრა ნედმა. მან საბანი გადაიხადა და ლოგინიდან წამოდგა.

შემდეგ დაიწყო არეულ-დარეული ლაპარაკი.

ნედი ფესვზე დადგა, მაგრამ ცალი ხელით მაგრად ჩაბღაუჭებოდა საწოლთან მდგარ მაგიდის კიდეს. მის სახეს კვლავ დაუბრუნდა წინანდელი მხიარული გამომეტყველება. ლამის გასკდა წარმოუდგენლად სასაცილო ხუმრობისაგან, რომელიც იმდენად მახვილგონივრული გასლდათ, რომ სხვები ვერაფრით ვერ გაიგებდნენ.

— ამბობენ, რომ მე ავად ვარ, — განაგრძობდა ის და ძლივს იდგა ფეხზე. — მართალია! მაშ ნუღარ მაღიზიანებთ! ტანსაცმელი მჭირდება. რატომ? რატუშაში წასასვლელად. არ მომცემთ ტანსაცმელს—ამ ფანჯარაში გადაეხტები; ევას კი შეუძლია დაგიდასტუროთ, რომ მე ხუმრობა არ მიყვარს.

— მისტერ ეტვუდ, — უთხრა მომვლელმა ქალმა, — აი ახლა დავრეკავ და დაგაწვენენ...

— მე კი გეუბნები, ბუნების შვილო, ვერც კი მოასწრებ ზარისთვის შენი მშვენიერი ხელის დაკარებას, რომ ფანჯარაში გადავხტები. ამ წუთას მხოლოდ ჩემს ქუდს ვსედავ, არაუშავს, გადავხტები.

მან დერმოტსა და მუსიე გორონს მიმართა:

— მას შემდეგ, რაც თამაშიდან გავედი, არ ვიცი რა ხდება ამ ქალაქში. როდესაც ევასთან წავალთ, გზაში განმანათლეთ. იცით, ბატონებო, ამ საქმეში არის წყალქვეშა დინებები. თქვენ არ გესმით.

— რატომ არ გვესმის? — უპასუხა დერმოტმა. — მისის ნილმა გვიამბო ყაჩისფერი ხელთათმანების შესახებ.

— მაკრამ, ნიძლავს დავდებ, მან არ გითხრათ, ვის ეცვა ისინი რატომ არ გითხრათ? იმიტომ, რომ თვითონაც არ იცის.

— თქვენ იცით? — შეეკითხა მუსიე გორონი.

— რასაკვირველია, — უპასუხა ნედმა, რის შემდეგ მუსიე გორონმა მოიხადა თავისი ქვაბქუდა. აშკარად ჰქონდა განზრახული მუშტით გაეხვრიტა ის. გაღიმებული ნედი მაგიდასთან ტორტმანობდა. შუბლი მთლად დანაოჭებოდა.

— ევამ ალბათ, ისიც გითხრათ, ფანჯარაში რომ გავიხედეთ და მოხუცთან დავინახეთ კიდევ ვიღაც? და მერეც, როდესაც მოხუცი უკვე მოკლეს, კიდევ დავინახეთ ის? სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული. სწორედ ამაშია მთელი გემო. ეს იყო...

თავი 17

— ქალბატონებო და ბატონებო, — დაუძახა გამომძიებელმა მუსიე ვოტურმა, — გთხოვთ ჩემს უბრალო კაბინეტში.

— გმადლობთ, — წაიბურტყუნა ჯენისმა.

— აქ გვალაპარაკებთ საბრალო ევასთან? — წარმოთქვა ელენამ, რომელსაც სული ეხუთებოდა. — ჰო, მართლა, როგორ არის ის, ჩვენი საყვარელი გოგონა?

— მე მგონი მთლად კარგად ვერა, — გაბედა სიტყვის ჩართვა ძია ბენმა.

ტობიმ არაფერი თქვა. ღრმად ჩაიყო ხელები ჯიბეში და თანხმობის ნიშნად თავი სევდიანად დაიქნია.

ლა ბანდელეტას რატუშა—მაღალი, მოყვითალო ქვის ვიწრო ნაგებობაა კოშკის საათით. იგი მდებარეობს პარკის გვერდზე, მთავარი მოედნის ახლოს. მუსიე ვოტურის დიდი კაბინეტი ზედა სართულზე იყო. მისი ორი ფანჯარა გადიოდა ჩრდილოეთით, ხოლო ერთი დასავლეთით. აქ იყო კართოთეკებიანი ყუთები, რამდენიმე დამტვერიანებული იურიდიული წიგნი — გამომძიებელი უნდა ერკვეოდე სამართალში — და ფოტოსურათი რომელიღაც მივიწყებული დიდი ვინმესი საპატიო ლეგიონის მუნდირში.

მუსიე ვოტურს, საწერი მაგიდა ისე ედგა, რომ ზურგით იჯდა დასავლეთის ფანჯრისაკენ. მაგიდის პირდაპირ, ცოტა მოშორებით, იდგა ხის ძველი სავარძელი და პირდაპირ ამ სავარძლის თავზე ეკიდა ნათურა.

და კიდევ რაღაც შენიშნეს მნახველებმა — რომელიც მათ ბავშვობად, მაგრამ საშიშრად და საშინლად მოეჩვენათ.

დასავლეთის უფარდო ფანჯარაში შემოიჭრა სხივთა დამაბრმავებელი კონა, რომლისგანაც ყველას ერუანტელმა დაუარა ტანში. მან თეთრი ცოცხივით მოხვეტა ოთახის შუა ნაწილი, მაგნიუმის აბრიალებასავით გაიელვა და უმალვე გაქრა. ეს შუქურას სხივი იყო. ის, ვინც მუსიე ვოტურის პირდაპირ საკარძელში ჯდებოდა, დამაბრმავებელი სხივი, ყოველ ოც წამში თვალებში სცემდა მთელი დაკითხვის მანძილზე.

— თავი მომაბეზრა ამ შუქურამ! — წაიბურტყუნა მუსიე ვოტურმა: მან ოთახის იმ ნაწილში მდგარ სკამებზე მიუთითა, სადაც სინათლე ვერ აღწევდა.

— დაბრძანდით, გეთაყვათ, როგორც საკუთარ სახლში.

თვითონ მუსიე ვოტური მაგიდას მიუჯდა და სკამი ისე მოაბრუნა, რომ ისინი დაენახა.

გამომძიებელი ხნიერი, გამხდარი კაცი იყო. მკაცრი გამოხედვა ჰქონდა. ტკაცატკუცით ისრესდა ხელებს.

— მისის ნილს ვნახავთ? — შეეკითხა ტობი.

— მ-მ... არა, — უპასუხა მუსიე ვოტურმა, — ჯერჯერობით არა.

— მაინც რატომ?

— იმიტომ, რომ ალბათ ჯერ მე უნდა ამისსნათ ზოგი რამ.

კვლავ თეთრი ალის ნაკადი მოაწყდა ფანჯარას და მუსიე ვოტურის მხრებიდან გადმოიღვარა; ის სილუეტად იქცა, თუმცა ზედა ნათურა ენთო. ნაცრისფერი თმები შარავანდედივით აინთო; მუსიე ვოტური ისევ ძველებურად იჯდა და ხელებს ისრესდა. თეთრი აალებები რომ არა, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა უფრო მყუდრო ბუდე, ვიდრე ამ თეატრალური ეფექტების მოყვარულის კაბინეტი იყო. საათი წიკწიკებდა და ასაკეც მაგიდაზე კატა მოგვარგლულიყო.

და მიუხედავად ამისა, არ შეიძლებოდა არ ეგრძნოთ გამომძიებლის გულისწყრომა.

— ახლახან, — განაგრძობდა ის, — ტელეფონით ხანგრძლივი საუბარი მქონდა ჩემს კოლეგასთან მუსიე გორონთან. ის ახლა „კოშკშია". მელაპარაკა ახალ სამხილებზე. საცაა აქ გაჩნდება თავის მეგობარ ექიმ კინროსთან ერთად.

აქ მუსიე ვოტურმა ხელისგული დაარტყა მაგიდას.

— და მაინც არა მგონია, — მიმართა მან, — რომ ავჩქარდით. ახლაც არა ვარ დარწმუნებული, რომ ვიჩქარეთ ქალბატონ ნილის დაპატიმრება...

— აი ეს მესმის! — წამოიძახა ტობიმ.

— მაგრამ ახალი სამხილები განსაცვიფრებელია, ეს ძალზე მაწუხებს. მაიძულებს დავუბრუნდე ერთ მოსაზრებას, რომელიც ამას წინათ ექიმმა კინროსმა ჩაგვაგონა და ქალბატონ ნილის ამბებთან დაკავშირებული მღელვარების გამო კინაღამ დაგვავიწყდა.

— ტობი, — მშვიდად ჰკითხა ელენამ, — რა მოხდა გუშინ საღამოს?

ელენა შეტრიალდა და ხელი მუსიე ვოტურისაკენ გაიშვირა. ახლა მგონი ის უფრო მშვიდად იყო ოჯახის სხვა წევრებთან შედარებით, რომლებიც აშკარად მახეს გრძნობდნენ.

— მუსიე ვოტურ, — ამოოხვრით განაგრძო ელენამ, — მოდით მე მოგიყვებით. გუშინ ჩემი შვილი სახლში გვიან დაბრუნდა. ის გიჟივით შემოვარდა...

— ამას ხომ, — სასოწარკვეთით შეაწყვეტინა ტობიმ, — არავითარი კავშირი არა აქვს მამის სიკვდილთან.

— ჯერ დაწოლილი არ ვიყავი, მაინც არ დამეძინებოდა და ვკითხე, კაკაოს ხომ არ დალევ-მეთქი. მან არც კი მიპასუხა, საერთოდ არ დამლაპარაკებია, შევიდა თავის ოთახში და კარი მიიჯახუნა, — ელენას სახე მოეღუშა.

— ბოლოს ძლივს ვათქმევინე: საშინლად უჩხუბია ევასთან. მისთვის უთქვამს, აღარ მსურს შენთან შეხვედრაო.

მუსიე ვოტური ხელებს ისრესდა. ფანჯარაში კვლავ სხივთა თეთრი კონა შემოიჭრა.

— ჰოო! — წაიბურტყუნა გამომძიებელმა. — არ გითხრათ, ქალბატონო, სად იყო?

ელენამ გაოცებით შეხედა მას.

— არა, რა იყო?

— სახლი ჩვიდმეტი, რიუ დე ლა არპზე. არაფერი უთქვამს ამის შესახებ?

ელენამ თავი გააქნია.

ჯენისი და ძია ბენი თვალს არ აშორებდნენ ტობის. ფხი-

ზელი მეთვალყურე შეამჩნევდა ცალყბა ღიმილს, ტუჩებზე რომ გადაურბინა ჯენისს. მაგრამ ნორჩმა არსებამ, რომელმაც უზმოზე ოთხი კოკტეილი დალია, მაშინვე მოიცილა ის სახიდან და კვლავ მიამიტურად დაიწყო ყურება. ძია ბენი ჯიბის დანით ჩიჩქნიდა ცარიელ ჩიბუხს; დანის ფხაკუნი, როგორც ჩანს, საშინლად მოქმედებდა ტობის ნერვებზე. მაგრამ ელენა მგონი ვერაფერს ამჩნევდა და განაგრძობდა თავისას.

— ევას წაეჩხუბა,—ეს კი, იცით, უკანასკნელი წვეთია. თვალი არ მომიხუჭავს, სულ ვფიქრობდი და ვფიქრობდი. შემდეგ კი ფანჯრიდან დავინახე, როგორ დაბრუნდა ევა სახლში უკვე დილით. იგი მოაცილა იმ საკმაოდ არასასიამოვნო კაცმა, რომელზედაც ამბობენ გენიოსიაო მედიცინაში. მაგრამ აქ. ის უეცრად დააპატიმრეს! არის აქ რაიმე კავშირი? გვითხარით, ბოლოს და ბოლოს, რა ხდება?

— ვუერთდები, — ჩაურთო ძია ბენმა.

მუსიე ვოტურმა შუბლი შეიკრა.

— მაშასადამე თქვენმა შვილმა არაფერი გითხრათ, ქალბატონო?

— უკვე გითხარით.

— არც ქალბატონ ნილისადმი წაყენებულ ბრალდებებზე?

— ბრალდებებზე?

— რომ ვიღაც თქვენი ოჯახიდან, ვიღაც ყავისფერ ხელთათმანიანი წყნარად შეეიდა სერ მორისის კაბინეტში და მოკლა ის?

ყველა გაჩუმდა. ტობი იდაყვებით მუხლებს დაყრდნობოდა და სახე ხელისგულებში ჩაერგო; ის სასოწარკვეთით აქნევდა თავს, თითქოს ამგვარი ვარაუდი თვით შესაძლებლობასაც კი არ უშვებსო.

— ასეც ვიცოდი, რომ ეს ყავისფერი ხელთათმანები ადრე თუ გვიან გამომჟღავნდებოდა, — საოცრად მშვიდად შენიშნა ძია ბენმა. მან, როგორც ჩანს, რაღაც ივარაუდა.—თქვენი აზრით, მან... დაინახა?

— ვთქვათ და დაინახა, მუსიე ფილიპს?

ძია ბენმა თავშეკავებით გაიღიმა.

—რომ დაენახა, აღარ იმარჩიელებდით. ჩასვამდით. მაშასადამე, არ დაუნახავს. მკვლელი ოჯახში, ჰა? როგორ შეიძლება!

— რა არის აქ დასამალი, — წამოაყრანტალა ჯენისმა. — ყველას დაგვებადა ასეთი აზრი.

სრულიად შეძრწუნებულმა ელენამ თვალით გაზომა ის.

— ასეთი რამ აზრად არ მომსვლია, შვილო ჯენის! ხომ არ გადაირიე? დიახ, ალბათ ყველანი ჭკუაზე შევიშალეთ!

— ყური დამიგდეთ,—დაიწყო ძია ბენმა და ცარიელი ჩიბუხი მოქაჩა.

დაელოდა, სანამ ყველანი შეხედავდნენ იმ შემწყნარებლობით, რომელსაც მუდამ იწვევდა მისი მსჯელობები, თუ ისინი ეხებოდა წვრილმან სამეურნეო საქმეებს. მან წარბი შეიკრა და ცოტა არ იყოს დაჟინებით განაგრძობდა:

— რატომ მოგაქვთ თავი მიამიტად? დიახ, რასაკვირველია, ჩვენ ყველაფერი მოვიფიქრეთ! ღმერთო ჩემო! — ყველა დაძაბა და განაცვიფრა მის ტონში მომხდარმა ცვლილებამ. — გვეყოფა ჩვენი ოჯახის კეთილშობილ ოჯახად წარმოჩენა. დროა ვილაპარაკოთ გულახდილად... თუ კიდევ გაგვაჩნია გულახდილობა.

— ბენ! — იყვირა ელენამ.

— სახლი დაკეტილი იყო. კარები და ფანჯრები. არავითარი მძარცველი არ მოსულა. ამის მისახვედრად აუცილებელი არაა, საიდუმლო პოლიციის აგენტი იყო. ასე რომ, ან ევა ნილია დამნაშავე, ანდა რომელიმე ჩვენგანი.

— ნუთუ ფიქრობ, — შეეკითხა ელენა,—რომ სრულიად უცხო ქალის კეთილდღეობისათვის, გავწირავ ჩემს ღვიძლ ადამიანს?

— დავუშვათ, — შეეპასუხა ძია ბენი, — მაგრამ მაშინ რა საჭიროა პირფერობა? რატომ პირდაპირ არ ამბობთ, რომ ეს მან ჩაიდინა და ამაში დარწმუნებული ხარ?

ელენა საშინლად აღელდა.

— იმიტომ რომ შევეჩვიე გოგონას. მას დიდძალი ფული აქვს და შეიძლება ძალიან გამოადგეს ტობის. უფრო სწორად გამოადგებოდა, რომ ფიქრი არ მღრღნიდეს; ფიქრი იმაზე, რომ ეს მან უყო მორისს, მაგრამ რაღა დასამალია, ეს ფიქრი მღრღნის.

— მაშასადამე, შენ გჯერა, რომ ევა დამნაშავეა?

— არ ვიცი! — საშინლად დაიყვირა ელენამ.

— შესაძლოა, — შენიშნა მუსიე ვოტურმა ცივი, მკაცრი, მკაფიო ხმით და მაშინვე გონს მოიყვანა ისინი, — მალე მივიღებთ ზოგიერთ განმარტებას... შემობრძანდით!

ჰოლის კარები დასავლეთისაკენ გამავალი ფანჯრის პირდაპირ იყო და კაბინეტში შემოჭრილი შუქურას სხივი ყოველთვის ტოვებდა მასზე გამტვერილი მინის მომენტურ ფოტოსურათს. ვიღაცამ დააკაკუნა ამ კარებზე და მუსიე ვოტურის მოპატიჟების პასუხად ოთახში დერმოტ კინროსი შემოვიდა.

ის უკვე მიმავალმა დამაბრმავებელმა სხივთა კონამ გაანათა. თუმცა დერმოტმა თვალებზე ხელი აიფარა, მაგრამ კაშკაშა სინათლეზე ყველამ დაინახა, მისი მრისხანებით აღსავსე პირისახე. მრავალი ცნობისმოყვარე მზერის დაჭერისთანავე ამ საშიშმა პირისახემ ალერსიანი გამომეტყველება მიიღო, რაც ხალხში ყოფნისას ახასიათებდა. მან საერთო სალამი მისცა ყველას, შემდეგ კი მივიდა გამომძიებელთან და ფრანგული წესით ხელი ჩამოართვა.

მუსიე ვოტურისათვის უცხო იყო მუსიე გორონის ფაქიზი თავაზიანობა.

— არ მქონდა თქვენი ნახვის ბედნიერება, მუსიე, — ცივად უთხრა მან. — მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთი გაგვაცნეს გუშინ საღამოს, სანამ თქვენ ერთი ფრიად საინტერესო ყელსაბამით რიუ დე ლა არპზე წახვიდოდით.

— მას შემდეგ,—უთხრა დერმოტმა,—ბევრი რამ შეიცვალა.

— მე ვფიქრობ! ეს თქვენი ახალი მონაცემები... დიახ, მათში უეჭველად არის რაღაც. მაშ ასე, ინებეთ! დაიწყეთ! — მან ხელის აქნევით ლოუზებზე მიუთითა. — ნუ მოეფერებით მათ! შემდეგ კი... — დავინახავთ.

— მუსიე გორონი, — განაგრძო დერმოტმა და ალმაცერად გადახედა მთელ ოჯახს, — ახლავე მოიყვანს აქ ქალბატონ ნილს. ნებას დაგვრთავთ?

— რასაკვირველია, რასაკვირველია.

— რაც შეეხება ყელსაბამს, მუსიე გორონმა მითხრა, რომ ორივე ეგზემპლარი თქვენთან არის?

გამომძიებელმა თავი დაუქნია. მაგიდის ყუთი გამოსწია და ორი ნივთი ამოიღო. ფანჯარაში ხელახლა შემოჭრილმა შუქურას სხივმა მაგიდაზე ორ წყებად დაკლაკნილი მოელვარე

წერტილები გამოაცოცხლა. ბრილიანტებისა და ფირუზების ყელსაბამი და ნაყალბევი, ერთი შეხედვით, არაფრად რომ არ განსხვავდებოდა მისგან, გვერდიგვერდ იყო. მეორეზე მიბმული იყო პატარა ბარათი.

— მუსიე გორონისადმი მიწერილი თქვენი ბარათის საფუძველზე, — მოღუშულად უთხრა გამომძიებელმა, — კაცი გავგზავნეთ რიუ და ლა არპზე, გამოვითხოვეთ იმიტაცია და გამოვიკვლიეთ. ხედავთ?

მან ხელი შეახო ბარათს. დერმოტმა თავი დაუქნია.

— თუმცა მე მხოლოდ ახლა ვხვდები, რად დასჭირდა ეს,— წაიბურტყუნა მუსიე ვოტურმა, — დღეს, გარწმუნებთ, ისე გაგვაწვალეს ქალბატონმა ნილმა და საბურნუთემ, რომ, ღმერთმანი, შეუძლებელი იყო კიდევ ამ ყელსაბამზე თავის მტვრევა.

დერმოტი შეტრიალდა და გასუსული ლოუზებისაკენ წავიდა. ისინი დერმოტივით აღშფოთებული იყვნენ. ის გრძნობდა მათი აღშფოთების ძალას; გამოუთქმელი გულისწყრომა მატულობდა; ეს ჰას მგონი ეამებოდა. მუსიე ვოტური იჯდა, როგორც ობობა გაშლილ ბადეში. აუტანელი თეთრი სხივი კვლავ იერებოდა ოთახში. დერმოტმა სკამის საზურგეს მოჰკიდა ხელი, ფეხებით ლინოლეუმზე გაათრია, შეატრიალა და მათკენ პირით დაჯდა.

— დიახ, — ინგლისურად უთხრა მან. — როგორც თქვენც ფიქრობდით, მე ამ საქმეში ცხვირს ვყოფ.

— რატომ? — შეეკითხა ძია ბენი.

— ვინმემ უნდა აიღოს თავის თავზე, თორემ ეს ჩახლართული საქმე არასდროს არ გაიხსნება. გსმენიათ გახმაურებული ყავისფერი ხელთათმანების შესახებ? შესანიშნავია! მაშ ზოგიერთ რამეს კიდევ მოგიყვებით მათ შესახებ.

— იმასაც გვეტყვით,—შეეკითხა ჯენისი,—ვის ეცვა ისინი?

— გეტყვით, — უპასუხა დერმოტმა.

ის სკამზე გასწორდა და ხელები ჯიბეებში ჩაიყო.

— მინდა თქვენთან ერთად დაწვრილებით გავიხსენო სერ მორის ლოუზის სიკვდილის დღე, საღამო და ღამე. სამხილები თქვენთვის ზოგადად უკვე ცნობილია. მაგრამ ამ წვრილმანების გახსენება ხელს არ შეგვიშლის.

მაშ ასე, იმ დღეს სერ მორისი, როგორც ყოველთვის, საღილის შემდეგ სასეირნოდ წავიდა. მისი სეირნობის საყვარელი ადგილი, როგორც ვიცით, იყო სასტუმრო „კოშკის“ უკან მდებარე ზოოლოგიური ბაღი. მაგრამ ამით არ დამთავრებულა. ამჯერად, ბარმენისა და ოფიციანტების გასაოცრად, ის პირველი სართულის ბარში შევიდა.

აშკარად დაბნეული ელენა ძმისკენ მიბრუნდა, რომელიც შეშინებულ მზერას არ აშორებდა დერმოტს. მაგრამ ამ დროს ჯენისი ალაპარაკდა.

— აი თურმე რა? — თქვა მან და თავისი მრგვალი ნიკაპი ასწია. — რაც არ მსმენია, არ მსმენია.

— შესაძლებელია, მაგრამ ახლა ხომ მოისმინეთ. დილით ვიღაც-ვიღაცეები დავკითხე ბარში. შემდეგ ის ნახეს ზოოლოგიურ ბაღში, მაიმუნების გალიის ახლოს. ვიღაცას ელაპარაკებოდა, მაგრამ ის ბუჩქების უკან იდგა და მოწმემ ვერ დაინახა. დაიმახსოვრეთ ეს უმნიშვნელო ინციდენტი. ის ძალზე მნიშვნელოვანია. ეს იყო მკვლელობის პრელუდია.

— ხომ არ გინდათ თქვათ, — შეაწყვეტინა ელენამ, რომელიც მთლად გაწითლდა და ფართოდ გახელილი თვალებით დერმოტს მიაჩერდა, — რომ იცით, ვინ მოკლა მორისი?

— დიახ.

— და საიდან გაიგეთ, — შეეკითხა ჯენისი, — ეს?

— სიმართლე გითხრათ, მისის ლოუზ, თქვენგან გავიგე.

დერმოტი ოდნავ შეყოვნდა.

— ქალბატონი ლოუზიც დამეხმარა, — დაუმატა დერმოტმა, — მან წაბოიწყო ლაპარაკი, რომელიც თქვენ გააგრძელეთ. ფსიქიკის სფეროში, — მან, თითქოს თავის გასამართლებლად, — შუბლი მოიწმინდა, — ერთ წერილმანს უმალვე მეორე მოჰყვება. მაგრამ ნება მომეცით გავაგრძელო ჩემი საუბარი.

ვახშმობის დროისათვის სერ მორისი სახლში დაბრუნდა. ბარმენმა მისი „მძვინვარე გამოხედვა“ ჯერ კიდევ ზოოლოგიურ ბაღში საბედისწერო შეხვედრამდე შენიშნა. მაგრამ სახლში ის მთლად გაფითრებული და შეძრწუნებული მოვიდა, რაც ჩვენ არაერთხელ მოვისმინეთ. მან უარი თქვა თეატრში წასვლაზე. კაბინეტში ჩაკეტა. რვა საათზე ყველანი. მის გარდა, თეატრში წავიდნენ. ხომ მართალია?

-ძია ბენმა ნიკაპზე მოისვა ხელი.

— დიახ, სრული სიმართლეა. მაგრამ რა საჭიროა კიდევ ერთხელ გამეორება?

— იმიტომ რომ ეს ძალზე ყურადსაღებია. ევა ნილი და თქვენ თეატრიდან დაახლოებით თერთმეტი საათისათვის დაბრუნდით. ცხრის ნახევარზე კი დარეკა ანტიკვარმა მუსიე ვეილმა, რომელმაც აუწყა თავისი ახალი განძის შესახებ, მოუტანა საბურნუთე და სერ მორისს დაუტოვა. თქვენ თეატრიდან მოსვლამდე არავითარ საბურნუთეზე არაფერი არ იცოდით. ჯერ-ჯერობით ყველაფერი მართალია?

— დიახ, — დაეთანხმა ძია ბენი.

— ევა ნილმა, რასაკვირველია, საერთოდ არაფერი არ იცოდა საბურნუთეს შესახებ; თანახმად ჩვენებებისა, რომლებიც გუშინ მუსიე გორონმა გადმომცა, თეატრის შემდეგ ის თქვენთან არ შემოსულა. მისტერ ლოუზმა, — მან თავით ტობიზე ანიშნა, — ის თავისი ვილის კარებამდე მიაცილა და დაემშვიდობა.

— ყური მიგდეთ! — უეცრად გამძვინვარდა ტობი. — რა არის ეს, რას გავს? სად ურტყამთ?

— სწორად გადმოგცემთ ჩვენებებს?

— დიახ, მაგრამ...

ტობი ის იყო უნდა წამომდგარიყო, მაგრამ თავი შეიკავა. თეთრი სხივი კვლავ შემოიჭრა ოთახში. ის ყველას ნერვებზე მოქმედებდა, თუმცა არავის არ სცემდა თვალებში; კარებზე დააკაკუნეს. მუსიე ვოტური და დერმოტი წამოდგნენ. კაბინეტში სამნი შემოვიდნენ.

პირველი მუსიე არისტიდ გორონი შემოვიდა. მეორე შემოსულს ღია ფერის თმები და სევდიანი სახე ჰქონდა. ნაცრისფერი მაუდის კაბა ემოსა, ცოტათი უნიფორმას რომ წააგავდა. მესამე ევა ნილი იყო; ღიაფერის თმიანი ქალი მრავალმნიშვნელოვნად აქნევდა ხელს ევას წელთან და მზად იყო უმალვე ჩაბღაუჭებოდა, როგორც კი მისი სამეურვეო გაქცევას შეეცდებოდა.

ევა გაქცევის არავითარ სურვილს არ იჩენდა. მაგრამ ულმობელი სხივით განათებული ხის ძველი სავარძლის დანახვა-

ზე ის შეკრთა და ისე დაიხია უკან, რომ მცველმა ქალმა წელში სტაცა ხელი.

— აღარ ჩავჯდები ამ სავარძელში, — ის მშვიდად ლაპარაკობდა, მაგრამ მისმა ტონმა დერმოტი შეაშფოთა, — როგორც გინდათ, მაგრამ ამ სავარძელში არ ჩავჯდები.

— არცაა საჭირო, ქალბატონო, — უთხრა მუსიე ვოტურმა. — ექიმო კინროს, შეიკავეთ გეთაყვა თავი!

— ჰო, ჰო, ცხადია, ეს არაა საჭირო, — არიგებდა მუსიე გორონი და ევას ზურგზე უთათუნებდა ხელს. — არ დაგჩაგრავთ, ძვირფასო, ერწმუნე მოხუც გორონს.

დერმოტმა თვალები დახუჭა და ისევ გაახილა.

—ალბათ მე თვითონ ვარ დამნაშავე,—მწარედ თქვა მან.— მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ერთი დღე, მხოლოდ და მხოლოდ ერთი დღე ასე გააფუჭებდა ყველაფერს.

ევამ გაუღიმა.

— ნუთუ რაიმე გააფუჭა? — შეეკითხა ის. — მუსიე გორონი მარწმუნებს, რომ თქვენ შეასრულეთ ყველაფერი, რაც დამპირდით და რომ მე... ერთი სიტყვით, თითქმის არაფრისა არ უნდა მეშინოდეს.

— ვშიშობ, ქალბატონო, რომ ჩიტუნია ნაადრევად აეღურტულდა, — თვალები გაუბრწყინდა გამომძიებელს.

— ჩიტუნია, — უთხრა დერმოტმა, — სწორედ რომ დროზე აეღურტულდა.

როდესაც შუქურას სხივი ჩაქრა, ევა უკვე ისე მშვიდად იყო, თითქოს რაც ხდებოდა, მას არ ეხებაო. მუსიე გორონის შეთავაზებულ სავარძელში რომ ჯდებოდა, მან თავაზიანად დაუკრა თავი ელენას, ჯენისს და ძიე ბენს. ტობის გაუღიმა. შემდეგ დერმოტს მიმართა:

— ეჭვი არ მეპარებოდა თქვენში, — უთხრა მან. — მაშინაც კი, როდესაც საქმეები ძალზე ცუდად წავიდა, როდესაც ისინი მაგიდაზე მუშტებს ურტყამდნენ და ღრიალებდნენ „Assassin, confess"[1], აქ მას უნებლიეთ გაეცინა — ვიცოდი, რომ ტყუილად არ მთხოვდით მეთქვა ის, რაც ადრე ვთქვი, და მაშინაც კი არ დავეჭვებულვარ... მაგრამ, ღმერთო ჩემო, მაინც დიდი შიში ვჭამე!

[1] აღიარე, მკვლელო (ფრანგულად).

— დიახ, — უთხრა დერმოტმა. — სწორედ ამაშია უბედურება.

— უბედურება?

— სწორედ ამის გამოა მთელი ეს სისულელე. თქვენ ენდობით ხალხს. მათ იციან. და ამით სარგებლობენ. მე კი შეგიძლიათ მენდოთ; მაგრამ ეს საქმეს არ ეხება.—დერმოტმა მიმოიხედა.—ახლა მე თვითონ ვაწარმოებ დაკითხვას. საეჭვოა, ის სასიამოვნო იყოს თქვენი ყურებისათვის. მაშ ასე, გავაგრძელოთ?

თავი 18

ვიღაცამ ლინოლეუმზე სკამის ფეხი გააჭრაჭუნა.

— დიახ. გაგრძელეთ, — ჩაიბურტყუნა მუსიე ვოტურმა.

— მე გავაკეთე მკვლელობის დღის ზერელე მიმოხილვა. მათი მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება ძნელია. მათ ისევ და ისევ ვუბრუნდებით. იქ გავჩერდი, როდესაც თქვენი კომპანია — დერმოტმა ტობის გადახედა, — თერთმეტ საათზე თეატრიდან დაბრუნდა. თქვენი საცოლე მისი სახლის ზღურბლთან დატოვეთ და თქვენიანებს შეუერთდით. შემდეგ რა მოხდა.

ჯენის ლოუზმა დაფიქრებით შეხედა.

— მამა ჩამოვიდა, — უპასუხა მან, — და საბურნუთე გვაჩვენა.

— ასე. მუსიე გორონმა გუშინ მითხრა, — განაგრძო დერმოტმა, — რომ პოლიციამ მკვლელობის შემდეგ, დილით, წაიღო ნამტვრევები და მთელი კვირის დაძაბული მუშაობით შეძლო მისი დაწებება.

ტობი სკამზე გასწორდა, ჩაახველა და სახე იმედით გაუბრწყინდა.

— დააწებეს? — ექოსავით გაიმეორა მან.

— ის ახლა ძვირი აღარ ღირს, მუსიე ლოუზ, — გააფრთხილა პოლიციის პრეფექტმა.

დერმოტის ნიშანზე გამომძიებელმა კვლავ გამოსწია მაგიდის ყუთი. მუსიე ვოტურმა დერმოტს ფრთხილად გაუწოდა რაღაც პატარა საგანი, თითქოს ეშინოდა არ დაბნეოდა ან ხელში არ გალღობოდა.

სერ მორის ლოუზს ეს ალბათ არ გაუხარდებოდა. იმპერატორის საბურნუთეს შუქურას სხივი დაეცა, ვარდისფერი აქატის სიღრმეებში ჩაიძირა, პაწაწა ბრილიანტებიანი ციფრი და ისარი ააკაშკაშა, კორპუსი და ყალბი ბალთის ენა ოქროსფრად აალაპლაპა. მიუხედავად ამისა ყველაფერი ერთად უფერულად და (თუ შეიძლება ასეთი გამოთქმა) გაზინთულად გამოიყურებოდა, თითქოს საბურნუთე რაღაცით. დასვარესო. დერმოტმა საბურნუთე ლოუზებს აჩვენა.

— თევზის წებოთი დააწებეს, — აუხსნა მან. — ასეთი მუშაობის დროს შეიძლება დაბრმავდე. ახლა ის აღარ იხსნება. მაგრამ სანამ ახალი იყო, ხომ გინახავთ.

— დიახ! — უპასუხა ტობიმ და მუხლებზე მუშტი დაირტყა. — ჩვენ ვნახეთ ის, როდესაც ახალი იყო. მერე რა?

დერმოტმა საბურნუთე მუსიე ეოტურს მისცა.

— სერ მორის ლოუზი თერთმეტი საათის შემდეგ მალე ავიდა თავის კაბინეტში. ეწყინა, მისი ოჯახის წევრებში ახალმა შენაძენმა დიდი აღფრთოვანება რომ არ გამოიწვია. დანარჩენები (მე ასე ვფიქრობ) დასაძინებლად წავიდნენ.

— მაგრამ თქვენ, მისტერ ლოუზ, ვერ დაიძინეთ. ღამის პირველი საათზე ადექით, სასტუმრო ოთახში ჩახვედით და ევა ნილს დაურეკეთ.

ტობიმ, თანხმობის ნიშნად თავს რომ უქნევდა, ჩუმად გააპარა მზერა ევასაკენ — ძალზე უცნაური მზერა: თითქოს რაღაც არ უნდა დასჯდომოდა რაღაცის თქმა სურდა მისთვის. მაგრამ ის იტანჯებოდა და ვერ ბედავდა.

ტობი ულვაშებს აწვალებდა, ევა კი პირდაპირ იყურებოდა.

დერმოტმა დაიჭირა ტობის ეს მზერა.

— თქვენ რამდენიმე წუთს ესაუბრეთ მას ტელეფონით. რაზე ისაუბრეთ?

— ჰა?

— გეკითხებით, რაზე ისაუბრეთ?

ტობიმ მზერა მოსწყვიტა ევას.

— განა დაიმახსოვრებ კაცი? ცოტა დამაცადეთ, ჰო, გამახსენდა, — პირი ხელით მოიწმინდა. — იმ საღამოს ნანახ ბიესაზე ესაუბრობდით.

ევამ ოდნავ გაიღიმა.

— პიესა პროსტიტუციას ეხებოდა, — ჩაურთო მან. — ტობის ეშინოდა მისი ნახვის შემდეგ თავი უხერხულად არ მეგრძნო. ეს თემა მაშინ, ჩანს არ ასვენებდა მას.

— ყური დამიგდე, — ტობი სკამზე შეტოკდა, თავის შეკავება სცადა, — მაშინ ჩვენ ახალი დანიშნულები ვიყავით, თვითონ გითხარი შენი ღირსი არა ვარ-მეთქი, — გახსოვს? მაშ რატომ გწყინს ის, რაც გუშინ გაცეცხლებულმა დაუფიქრებლად ვთქვი?

ევამ არ უპასუხა.

— დავუბრუნდეთ ტელეფონით საუბარს, — შესთავაზა დერმოტმა. — თქვენ ლაპარაკობდით პიესაზე. კიდევ რაზე?

— ღმერთო ჩემო, ამას მნიშვნელობა აქვს?

— აქვს ძალიან დიდი.

— ჰო... რაღაც ვუთხარი პიკნიკის შესახებ; მეორე დღეს პიკნიკს ვაპირებდით; ოღონდ ის, რა თქმა უნდა, არ შედგა. ჰოო, კიდევ ვახარე, მამას კოლექციაში ახალი ჩხარუნა აქვს-მეთქი.

— მაგრამ, არ გითქვამს, სახელდობრ, რა?

— არა.

დერმოტმა ყურადღებით აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— შემდეგ ხელახლა ვყვები მხოლოდ იმას, რაც მუსიე გორონმა მაცნობა. ტელეფონით საუბრის შემდეგ თქვენს ოთახში ახვედით და დაწექით. ორის ხუთი წუთი იყო. ზევით ასულმა გაიგეთ, რომ მამათქვენი ჯერ არ დაწოლილიყო, მისი კარის ქვეშიდან გამომავალი სინათლის ზოლი შენიშნეთ. და თქვენ ხელი არ შეუშალეთ მას. ხომ მართალია?

— მართალია!

— ვფიქრობ, სერ მორისს ჩვევად არ ჰქონდა ასე გვიანობამდე მჯდარიყო?

ელენამ ჩაახველა და ტობის მაგივრად უპასუხა:

— არა. ჩვენებურად „გვიან“ იმას არ ნიშნავს, ზოგიერთებს რომ ესმის. მორისი ჩვეულებრივ თორმეტ საათზე უკვე ლოგინში იყო.

დერმოტმა თავი დაიქნია.

— ორის თხუთმეტ წუთზე, ლედი ლოუზ, თქვენც ადექით. ადექით და ქმრის კაბინეტისაკენ გაემართეთ, რათა შეგეხსე-

ნებინათ, რომ დიდი ხანია ძილის დროა და თანაც სამდურავი გეთქვათ საბურნუთეს შეძენისათვის; დაუკაკუნებლად შეაღეთ კარი. ჭერის სინათლე ჩამქრალი იყო, მხოლოდ მაგიდის ლამპა ენთო. დაინახეთ თქვენკენ ზურგით მჯდომი ქმარი. მაგრამ, რადგან ახლომხედველი იყავით, უცნაური ვერაფერი შეამჩნიეთ, სანამ ახლოს არ მიხვედით და სისხლი არ დაინახეთ.

ელენას თვალებზე ცრემლი მოადგა.

— ნუთუ ეს აუცილებელია? — შეეკითხა ის.

— აუცილებელია კიდევ ზოგიერთი რამის დაზუსტება, — უთხრა მას დერმოტმა. — ჩვენ შეგვიძლია ჩუმად ავუაროთ გვერდი ტრაგედიას, მაგრამ ფაქტებს გვერდს ვერ ავუვლით.

გამოიძახეთ პოლიცია. მისის ლოუზი და მისტერ ლოუზი ცდილობდნენ გზის მეორე მხარეს გადასულიყვნენ და მისის ნილისთვის დაეძახებინათ. ისინი დააკავა პოლიციამ და უთხრა პოლიციის კომისარს უნდა დაელოდოთო.

რა ხდებოდა ამასობაში? მივმართოთ შეუდარებელ ივეტა ლატურს. ივეტას (მისი საკუთარი ჩვენებების მიხედვით) გაეღვიძა, როდესაც პოლიცია მივიდა და აურზაური ატყდა. ივეტა ოთახიდან გამოდის. სწორედ აქ არის ჩვენების ღერძი; აქ საქმეს უკვე გილიოტინის სუნი უდის. ივეტა ხედავს ქალბატონ ნილს, რომელიც მკვლელობის შემდეგ ბრუნდება სახლში. ის ხედავს, როგორ აღებს ქალბატონი ნილი გასაღებით შემოსასვლელ კარს, გასისხლიანებული ხალათით მიიპარება ზევით და შემდეგ საბაზანოში ირეცხავს სისხლს. დრო—დაახლოებით ორის ნახევარია.

გამომძიებულმა მკვეთრად ასწია ხელი.

— ერთი წუთით, — წაიბურტყუნა მან, ადგა და მაგიდას შემოუარა.—არ მესმის, თქვენს ახალ მონაცემებს საით მიეყავართ.

— არ გესმით?

— არა, ქალბატონმა ნილმა თვითონ აღიარა, რომ სწორედ ასე მოიქცა!

— დიახ. ორის ნახევარზე, — დააზუსტა დერმოტმა.

— რა შუაშია აქ ორის ნახევარი? ამიხსენით, რა გაქვთ მხედველობაში, ექიმო კინროს!

— სიამოვნებით. — დერმოტი მაგიდის ახლოს იდგა. მან

აიღო დაწებებული საბურნუთე და უკანვე დადო. შემდეგ ტობისთან მივიდა და დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შეხედა.

— ხომ არ გსურთ, რაიმე შეცვალოთ თქვენს ჩვენებებში? — შეეკითხა ის. — მოიფიქრეთ.

ტობიმ თვალები დაახამხამა და შეხედა.

— მე? არა.

— არა? — ხელახლა შეეკითხა დერმოტი. — არ გსურთ აღიაროთ, რომ თავიდან ბოლომდე სიცრუე მოჩმახეთ? არ გსურთ, ამით მაინც გადაარჩინოთ, როგორც ირწმუნებით, საყვარელი ქალი?

ოთახის მეორე ბოლოში ჩუმად ჩაიხითხითა მუსიე გორონმა. გამომძიებელმა საყვედურის გამომხატველი მზერით წესრიგისაკენ მოუწოდა მას; თვითონ გამომძიებელმა კი გაბრაზებულმა შემოუარა მაგიდას, ტობისთან მივიდა და ახედ-დახედა.

— მაშ ასე, მუსიე? — წარმოთქვა მუსიე ვოტურმა.

ტობი წამოხტა და სკამი ისეთი ძალით გასწია, რომ გვერდზე გადავარდა.

— თავიდან ბოლომდე სიცრუეა? — წაიბუტბუტა მან.

— მისის ნილთან ტელეფონით საუბრის შემდეგ, — უთხრა დერმოტმა, — თქვენ თითქოს ახვედით ზემოთ და, მამათქვენის კაბინეტს რომ ჩაუარეთ, კარების ქვეშ სინათლე დაინახეთ.

აქ მუსიე გორონი ჩაერია.

— გუშინ მე და ექიმი კინროსი კაბინეტში ავედით, — აუხსნა პრეფექტმა მსმენელებს, — კარს რომ შეხედა, ექიმი გაოცდა. მაშინვე ვერ მივხვდი, რატომ. ზოგჯერ გამომეპარება ხოლმე ასეთი წვრილმანი. მაგრამ ახლა ვხვდები. კარი — თქვენ ხომ გახსოვთ ის? — ძალიან მძიმეა და ისე მჭიდროდაა მორგებული, რომ ძლივს მოძრაობს ნოხის ხაოზე.

ის გაჩუმდა. ხელის მოძრაობით — წინ. და უკან — აჩვენა, როგორ იღება კარი.

— მის ქვეშ სინათლის დანახვა არაფრით არ შეიძლება. — დაუმატა მუსიე გორონმა პაუზის შემდეგ: — მაგრამ ეს მუსიე ლოუზის მიერ დაშვებული ერთადერთი შეცდომა როდია.

— დიახ, — დაადასტურა გამომძიებელმა. — როგორც ჩანს, ზედმეტი არ იქნება ორი ყელსაბამის გახსენებაც?

მათგან განსხვავებით დერმოტ კინროსს არ ამხიარულებ-

და დახურული ხაფანგის ტკაცანი. ადამიანის ჩიხში მომწყვდევით სიხარულს არ განიცდიდა. მაგრამ ევას კითხვითი მზერის პასუხად თავი დააქნია.

— მაშასადამე, ყავისფერი ხელთათმანები... — თითქმის იყვირა ევამ.

— დიახ, — უთხრა დერმოტმა. — ისინი თქვენს საქმროს, ტობი ლოუზს ეცვა.

თავი 19

— ეს ისტორია ახალი არ არის, — განაკრძო დერმოტმა.— მას ჰყავს მეგობარი გოგონა, სახელად პრიუ ლატური, ივეტას და, რომელიც დიდად დაეხმარა ძიებას. მადმუაზელ პრიუ ტობის სთხოვს ძვირფას საჩუქრებს. სკანდალით ემუქრება. მას კი ხელფასი დიდი არა აქვს. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მამის კოლექციიდან მოეპარა ბრილიანტებიანი ფირუზის ყელსაბამი.

— არაფრის გულისათვის არ დავიჯერებ, — თქვა ელენამ; მისი ძლიერი ქოშინი ქვითინს წააგავდა.

დერმოტი ჩაფიქრდა.

— ჰო, იქნებ, „მოპარვა“ — მეტისმეტად მკაცრი ნათქვამია. ალბათ თვითონ ის, როდესაც ლაპარაკი იქნება, იტყვის, რომ არავისთვის არ უნდოდა ვნების მიყენება. სურდა ყელსაბამის ადგილზე იმიტაცია შეეპარებინა, ისე რომ მამამისს ვერ შეემჩნია. პრიუს გულის მოსაგებად თითქოს სესხად იღებდა მანამ, სანამ მისგან სასყიდლით თავს დაიხსნიდა.

დერმოტი დაბრუნდა გამომძიებლის მაგიდასთან და ორივე ყელსაბამი ხელში აიღო.

— მან შეუკვეთა ყალბი ყელსაბამი...

— პოლიეს სახელოსნოში რიუ დე გლოარზე, — დაამთავრა პოლიციის პრეფექტმა. — მუსიე პოლიე მზადაა დაადასტუროს, რომ სწორედ მუსიე ლოუზმა შეუკვეთა იმიტაცია.

ტობი დუმდა. სწრაფად გაიარა კაბინეტი, არავისთვის არ შეუხედავს. მუსიე ვოტურს ეგონა, რომ კარისკენ წავიდა და მკაცრად დაუყვირა. მაგრამ ტობის ეს არ ჰქონდა განზრა-

ხული, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით სახის დამალვა სურდა. ის კარტოთეკებიან სტელაჟამდე მივიდა და იქ ზურგით დადგა.

— გუშინ საღამოს,—დერმოტმა აიღო ერთი ყელსაბამი,— ეს ნაყალბევი პრიუს საკერავების ყუთში აღმოჩნდა. მიზანშეწონილად ვცანი, ლონდონში გამგზავრებამდე წერილი მიმეწერა მუსიე გორონისათვის, რათა მას პრიუსაგან წამოეღო ყელსაბამი და ნათელი მომეფინა მისთვის. უეჭველია, ტობი ლოუზმა აჩუქა პრიუს ნაყალბევი.

— გულახდილად გითხრათ, — თქვა უეცრად ევა ნილმა,— ეს არ მიკვირს.

— არ გიკვირთ, ქალბატონო? — გამოეხმაურა მუსიე გორონი.

— არა. გუშინ ვკითხე, შენ ხომ არ აჩუქე მას ყელსაბამი-მეთქი. მან ეს უარყო, მაგრამ ისეთი მზერა ესროლა, ყველაფერი ნათელი გახდა. — ევამ თვალებზე ხელი მოისვა. გაწითლდა. — პრიუ პრაქტიკული გოგოა. როდესაც ტობიმ ჰკითხა საიდან ჰქონდა ეს ნივთი, პრიუმ მიუხმატკბილა და არ გასცა. მაგრამ რა აზრი აქვს ქალისათვის ნაყალბევის ჩუქებას?

— ის აზრი აქვს, — უპასუხა დერმოტმა, — რომ ნამდვილი ყელსაბამი არ დასჭირდა.

— არ დასჭირდა?

— დიახ, არ დასჭირდა. რადგანაც სერ მორისი მოკვდა, კეთილშობილი ახალგაზრდა მამისეული მემკვიდრეობით ფიქრობდა პრიუსაგან თავის გამოსყიდვას.

ელენამ ცივი ხმით იკივლა.

მუსიე გორონისა და მუსიე ვოტურის მიდრეკილება სცენური ეფექტებისადმი საკვლევით დაკმაყოფილებულ იქნა; ამ უკანასკნელმა ელენა გაბადრული ღიმილითაც კი დააჯილდოვა. მაგრამ სხვას არავის მოეწონა ეს. ბენჯამინ ფილიპსი დის სკამის უკან დადგა, ხელები მხრებზე დაადო და დამშვიდება დაუწყო. გეგონებოდათ დერმოტმა შოლტი გაატყლაშუნაო. მისი ზუზუნი გამუდმებით ისმოდა ჰაერში.

— არ იცოდა, რომ მამამისი თითქმის მასავით ხელმოკლედ იყო, — თქვა დერმოტმა.

— ის სრულიად შეძრწუნებული იყო ამით, არა? — შეეკითხა მუსიე გორონი.

— რა თქმა უნდა. სწორედ მკვლელობის წინ, თვით პრიუს გუშინდელი აღიარებით, მან მთელი აურზაური ატეხა. ჩხუბი დაიწყო, როგორც კი ტობისა და ევა ნილის ნიშნობის ამბავი გაიგო. ეჭვის გარეშეა, ზოგჯერ ცოლობის პირობის დარღვევითაც ემუქრებოდა! დანარჩენზე კი იზრუნა მისმა დამ ივეტამ. ის საბრალო ჯენტლმენს აშინებდა, ჰუკსონების ბანაკში აურზაური ატყდებაო. მუსიე გორონი დაგიდასტურებთ, რომ პრიუ წესიერი ქალიშვილია, ტობი ლოუზმა იფიქრა, ყელსაბამი მდგომარეობიდან გამომიყვანსო. რასაკვირველია, ნამდვილი ყელსაბამი. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ ასი ათასი ფრანკი ღირს. მან გააკეთებინა ნაყალბევი, მაგრამ თაღლითობას მაინც ვერ ბედავდა.

— რატომ? — მშვიდად ჰკითხა ევამ.

პასუხად დერმოტმა გაუღიმა.

— იცით რა, —უთხრა მან,—მას მაინც აქვს სინიდისი.

ტობი კი ისევ ზურგით იდგა და ხმას არ იღებდა.

ბოლოს გაბედა... შოუს პიესის ზეგავლენით თუ სხვა რაიმე მიზეზით — ეს მხოლოდ თვითონ მას შეუძლია გვითხრას. მაგრამ რაღაცამ წაახალისა.

ღამის პირველ საათზე ტელეფონით ესაუბრა საცოლეს, საუბრის დროს საკუთარ თავს არწმუნებდა (ვფიქრობ არ ვცდები?), რომ მისი ცხოვრების მთელი ბედნიერება იმაზეა დამოკიდებული, შეძლებს თუ არა ის ყელსაბამის მოპარვას და პრიუსაგან თავის დაღწევას. ის გულწრფელი იყო. თითქმის სპეტაკი. მას უნდოდა, რაც შეიძლება უკეთესი გამოსავალი ენახა. და ამას ვამბობ, ქალბატონებო და ბატონებო, ყოველგვარი სარკაზმის გარეშე.

აქ დერმოტი, რომელიც კვლავინდებურად გამომძიებლის მაგიდასთან იდგა, შეჩერდა.

— ყველაფერი ასე იოლი იყო. ტობიმ იცოდა, მამამისი არასოდეს არ იჯდა გვიანობამდე. კაბინეტი ჩაბნელებული და ცარიელი ეგულებოდა. საკმარისი იყო შესვლა, კარიდან მარცხენა რაფის ყუთის გაღება, ყალბი ყელსაბამით ნამდვილის შეცვლა და მშვიდობიანად გამოსვლა.

და აი ორის ხუთ წუთზე გადაწყვიტა ემოქმედა. დეტექტურ-რი რომანების საუკეთესო ტრადიციების მიხედვით ჩაიცვა ყავისფერი ხელთათმანები, რომელთაც თითქმის ყველა ხმარობდა სახლში შავი სამუშაოებისათვის. ჯიბეში ყალბი ყელსაბამი ედო. ჩუმად ავიდა კიბეზე. რამდენადაც კარების ქვეშ არავითარი სინათლის დანახვა არ შეეძლო, ბუნებრივია, იფიქრა, კაბინეტი ჩაბნელებულია და ცარიელია. მაგრამ ის არც ჩაბნელებული იყო, არც ცარიელი. როგორც უკვე მრავალგზის მოვისმინეთ, სერ მორის ლოუზის მოტყუება აღარ მოუწია.

— მშვიდად, ელენა! — წაიბურტყუნა ძია ბენმა და მხრებზე ხელი მოუჭირა.

ელენამ მკვეთრი მოძრაობით გაინთავისუფლა მხრები.

— ჩემს შვილს ბრალს ხომ არ დებთ საკუთარი მამის მკვლელობაში?

და აქ ბოლოს და ბოლოს ალაპარაკდა ტობი. შუქურას უმოწყალო შუქზე, მის პატარა მელოტს რომ ალაპლაპებდა, ტობი თავისი ნებით კუთხეში იდგა, გეგონებოდათ მოულოდნელი აღმოჩენითაა გაოგნებულიო. მან მალულად მიმოიხედა. შემდეგ, როგორც ჩანს, იფიქრა, ძალიან შორს შეტოპეს, ეს კი უკვე მეტისმეტიაო. ის ჯერ გაშეშდა, ხოლო მერე უნდობლად წარმოთქვა.

— მკვლელობაში?

— წარმოიდგინეთ, ყმაწვილო, — უთხრა მუსიე გორონმა.

— თქვენ რა? — რამდენადმე აგრესიულად წარმოთქვა ტობიმ. მან ხელები სწრაფად წინ გამოიშვირა, თითქოს მუსიე გორონს უნდა ჰკრასო. — ხომ არ ფიქრობთ, რომ მამაჩემი მე მოვკალი?

— რატომ არ უნდა ვიფიქროთ? — შეეკითხა დერმოტი.

— რატომ არ უნდა იფიქროთ? საკუთარი მამის მოკვლა? — აქ დარეტიანებულმა ტობიმ უბრალოდ პასუხი ვერ იპოვა. სხვა რამეს ჩაებღაუჭა: — იმ დაწყევლილი „ყავისფერი ხელთათმანების“ შესახებ გუშინ საღამომდე არაფერი მსმენია. ევას არაფერი უთქვამს ჩემთვის, მერე კი უეცრად გულახდილად მითხრა პრიესთან. შემირჩია დრო, მე შეძრწუნებული ვიყავი! მე ხომ მას ზოგადად ვუთხარი გუშინ. და თქვენც უკვე

გითხარით ზოგადად, რომ ყავისფერ ხელთათმანებს არავითარი კავშირი არა აქვს მამის სიკვდილთან. ღმერთო ჩემო, ნუთუ არ გესმით იქ რომ შეეედი, მამა უკვე მკვდარი იყო!

— ყველაფერი ნათელია, — თქვა დერმოტმა და მაგიდაზე ხელისგული დაარტყა. ამ დარტყმისაგან ყველას საბოლოოდ აეშალა ნერვები. ტობი განზე გახტა.

— რას ნიშნავს — ყველაფერი ნათელია?

— არაფერს. მაშ თქვენ გეცვათ ყავისფერი ხელთათმანები?

— როგორ გითხრათ... დიახ.

— და მამა, გასაძარცვავად რომ შეხვედით, მკვდარი ნახეთ?

ტობი კიდევ ერთი ნაბიჯით გახტა განზე.

— რატომ „გასაძარცვავად? თქვენ ხომ თვითონ თქვით, მკაცრად ნათქვამიაო. არ ვაპირებდი მის გაძარცვას. მაგრამ ჩემი როგორ გამეტანა, თუ ვინმეს ცუდს არ გავუკეთებდი?

— იცი რა, ტობი, მორიდებული შეძრწენებით შენიშნა ევამ, — მშვენიერი ხარ, უბრალოდ მშვენიერი!

— თავი დავანებოთ ეთიკურ მოსაზრებებს, — შესთავაზა დერმოტმა და მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა, — უბრალოდ თანმიმდევრულად მოგვიყევით ყველაფერი.

ტობი მთლად აკანკალდა. უკვე მსნედ ეჭირა თავი. შუბლზე ხელი მოისვა.

— რაღაა აქ მოსაყოლი. თავს ლაფი დამასხით დედისა და დის წინაშე. ასე რომ, უკეთესია თავად გადმოგილაგოთ გულის ნადები. კეთილი, ყველაფერი ეს მე გავაკეთე, ყველაფერი, როგორც თქვენ მოყევით. მაშინვე ზევით ავედი, როგორც კი ევას ველაპარაკე. სახლში სიწყნარე იყო. ყალბი ყელსაბამი ხალათის ჯიბეში მედო. კარი გავაღე. დავინახე, მაგიდის ლამპა ენთო, ხოლო საბრალო მამა ჩემსკენ ზურგით იჯდა.

აი ყველაფერი, რაც დავინახე. დედასავით ცუდად ვხედავ. თქვენ იცით. ალბათ შეამჩნიეთ როგორ, — აქ მან დამახასიათებელი ჟესტით მიიფარა თვალებზე ხელი და აახამხამა, — მაგრამ, კმარა! სათვალე უნდა ვატარო. ბანკში ყოველთვის სათვალეთი ვარ. ჰოდა, ვერ შევამჩნიე, რომ მკვდარი იყო.

პირველად მინდოდა კარები დამეკეტა და წავსულიყავი. მერე კი ვიფიქრე: რატომ არა-მეთქი? იცით, როგორ ხდება. რაიმეს წამოიწყებ და ყოველთვის სამერმისოდ გადადებ ხოლმე. ბოლოს და ბოლოს ბგონია, თუ არ გადაწყვიტე და არ გააკეთებ იმას, რაც წამოიწყე, უბრალოდ ჭკუაზე შეიშლები.

და აი ვიფიქრე: რატომ არა-მეთქი? მამას ყურთ აკლია, თანაც მთელი გულისყურით საბურნუთესკენ იყო. ყელსაბამი იქვე კარის მარცხნივ დევს. საკმარისია ხელი გავწიო, შევცვალო ყელსაბამი და — ვინ მიხვდება? შემდეგ კი შეიძლება მშვიდად დავიძინო და დავივიწყო რიუ დე ლა არპეს ალქაჯი. და შევედი. კაბინეტის კარი ხომ უხმაუროდ იღება. ავიღე ყელსაბამი და ამ დროს....

ტობი დადუმდა.

სხივთა თეთრი კონა ისევ შემოიჭრა ოთახში, მაგრამ ის ვერავინ ვერ შენიშნა. ტობი ისე აგზნებული ლაპარაკობდა, რომ მსმენელები თვალს ვერ აშორებდნენ მის სახეს.

— ამ დროს მუსიკალურ ყუთს წამოვედე და ის მინის თაროდან გადმოვარდა, — თქვა ტობიმ და კვლავ გაჩუმდა, სიტყვებს ეძებდა.

— ის დიდია, მძიმე, გაკეთებულია ხისა და თუნუქისაგან, აქვს პატარა თვლები. დგას მინის თაროზე, ყელსაბამის გვერდით. ხელი წამოვკარი. ისეთი გრუხუნით დაენარცხა იატაკზე, რომ მკვდარსაც კი გაეღვიძებოდა. საბრალო მამას ყურთ კი აკლდა, მაგრამ ისე არა, ასეთი გრუხუნი რომ ვერ გაეგონა.

ამით არ დამთავრებულა. ვერც კი მოასწრო ყუთმა იატაკზე დავარდნა, რომ სულიერივით ზუზუნი და ფართხალი დაიწყო და „დონ ბრაუნის გვამი“ დაუკრა. შუაღამისას ის მუსიკალური ყუთების მთელი გუნდივით ყღერდა, მე კი ვიდექი და ხელში ყელსაბამი მეჭირა. საბრალო მამას შევხედე, მაგრამ არც ახლა განძრეულა.

ტობიმ ხარბად შეისუნთქა ჰაერი.

— ახლოს მივედი, რომ დამეხედა. თვითონ იცით, რაც დავინახე. ჭერის სინათლე ავანთე, მაგრამ რისთვის? ისედაც ყველაფერი ნათელი იყო. მე კი ისევ ყელსაბამი მეჭირა. როგორც ჩანს, მაშინ დავსვარე სისხლით, თუმცა ხელთათმანებზე არაფერი არ მოხვედრილა. მამას თითქოს მშვიდად ეძინა,

მხოლოდ თავი ჰქონდა გატეხილი. ყუთი კი გაბმულად უკრავდა „ჯონ ბრაუნის გვამს“.

საჭირო იყო მისი გაჩუმება. მივირბინე, ფეხი წავკარი და ისევ თაროზე შევდე. და კიდევ უეცრად მიეხვდი, რომ ვეღარ შევცვლიდი ყელსაბამს. ვიფიქრე, მამა მძარცველმა მოკლამეთქი. მაშასადამე, ამ საქმეს პოლიცია მოჰკიდებს ხელს. და თუ ასიათას ფრანკიან ყელსაბამს მივუტან პრიუს, და პოლიცია ამას გაიგებს, ხოლო მერე აღმოაჩენს ნაყალბევს...

იმედი გადავიწურე. აქ ყველა დაკარგავდა იმედს. მიმოვიხედე და დავინახე ცეცხლის საჩხრეკი, რომელიც მშვიდად ეკიდა ბუხრის მოწყობილობებს შორის. ხელში ავიღე. მასზე თმები და სისხლი იყო. უკანვე დავკიდე. ამან გამათავა კაცი. ვოცნებობდი, მალე გავცლოდი იქაურობას. ყელსაბამის დადება მინდოდა თაროზე, მაგრამ ის ხავერდზე ჩამოცურდა და იატაკზე დაეცა. იქვე მივანებე თავი, მოვიფიქრე და ჰერის სინათლე ჩავაქრე. უხერხული იყო.

ის გაჩუმდა.

მუსიე ვოტურის კაბინეტი ავბედითი მოჩვენებებით გაივსო.

დერმოტ კინროსი გამომძიებლის მაგიდის კუთხეში იჯდა და ტობის დაცინვით, მაგრამ აღფრთოვანებით უყურებდა.

— ამის შესახებ არავისთვის გითქვამთ? — შეეკითხა ის.

— არა.

— რატომ?

— შეიძლება?... შეიძლება არასწორად გაეგოთ. ხომ შეიძლებოდა ჩემი განზრახვა მცდარად გაეგოთ.

— გასაგებია. ზუსტად ისევე, როგორც მცდარად გაიგეს ევა ნილის განზრახვა, როდესაც ის თავის ისტორიას მოყვა. მაგრამ, გულზე ხელი დაიდეთ, ჩვენგან რატომ მოითხოვთ, რომ დაგიჯეროთ?

— გეყოფათ! — შეევედრა ტობი, — სიიდან უნდა მცოდნოდა, რომ იმ დაწყევლილი ფანჯრიდან ვიღაც მიყურებდა გზის მეორე მხარეს? — მან ევას სტყორცნა მზერა. — ჯერ ერთი, ევა თვითონ იფიცებოდა, არაფერი დამინახავსო, თქვენ ყველა მოწმე ხართ, დაადასტურებთ გუშინ საღამოდე არაფერი მსმენია იმ დაწყევლილ „ყავისფერ ხელთათმანებზე“!

— და აქამდე დუმდით თქვენს გმირობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ აღიარებაზე იყო დამოკიდებული თქვენი საცოლის ბედი?

ტობიმ გაოცებით შეხედა დერმოტს:

— არაფერი მესმის!

— არ გესმით? აბა, მაშ მომისმინეთ. მაშინვე, მასთან ლაპარაკის შემდეგ, ღამის პირველ საათზე, ახვედით მამასთან და მკვდარი ნახეთ?

— დიახ.

— მაშასადამე, თუ ევამ მოკლა ის, გამოდის პირველ საათამდე მოუკლავს? პირველ საათზე, თავისი საქმე რომ მოათავა, ის უკვე შინაა და ტელეფონით გემუსაიფებათ, ასეა?

— დიახ.

— მან მოათავა თავისი საქმე და პირველი საათისათვის სახლში დაბრუნდა. მაშ კვლავ რისთვისღა გამოვიდა სახლიდან და ორის ნახევარზე მთლად სისხლში მოსვრილი დაბრუნდა?

ტობიმ დაღო და უმალვე დახუჩა პირი.

— რაღაც არ ემთხვევა, იცით რა, — მაცთუნებელი ლმობიერებით შენიშნა დერმოტმა, — ორიდან ერთი მაინც. ივეტას მიერ დახატულ მთელ სურათზე — დამნაშავე, რომელიც ორის ნახევარზე აღებს შემოსასვლელ კარს, იპარება სახლში „საშინლად გაჩეჩილი" და საჩქაროდ ირეცხავს სისხლს, — ითქმის კარგი რამე ცოტ-ცოტაობითო. გადაკვრით ხომ არ ამბობთ იმას, რომ სერ მორის ლოუზის მოკვლიდან ნახევარ საათზე მეტი ხნის შემდეგ მან ჩაიდინა კიდევ ერთი მკვლელობა? ვინაიდან, პირველი მსხვერპლის სიკვდილის შემდეგ, შინ რომ დაბრუნდა, ალბათ, პირველ რიგში თავს მიხედავდა და წესრიგში მოიყვანდა, სანამ ისევ გავიდოდა სახლიდან?

გულხელდაკრეფილი დერმოტი დაუდევრად იჯდა მაგიდის კიდეზე.

— მეთანხმებით, მუსიე ვოტურ? — შეეკითხა ის.

ელენა ლოუზმა მხრიდან მოიცილა ძმის ხელი, რომელიც მას აკავებდა.

— არ მესმის თქვენი დეტალები. მე მხოლოდ ჩემი შვილი მაინტერესებს და მეტი არაფერი.

— ო, არა, — უეცრად ჩაერია ჯენისი. — თუ ტობი იმ რიუ

დე ლა არპზე მცხოვრებ ქალთან ჰქონდა საქმე და ჩაიდინა ის, რაც ახლა თვითონვე აღიარა, მაშინ, ჩემი აზრით, ჩვენ საშინლად მოვექეცით ევას.

— დამშვიდდი, ჯენის. შენ ხომ თვითონ ამბობ: თუკი მან ეს ჩაიდინაო...

— მაგრამ მან აღიარა, დედა!

— ალბათ, ჰქონდა მიზეზი! დიდ პატივს ვცემ ევას, — და მთელი სულითა და გულით ვუსურვებ ამ ისტორიიდან თავის დაღწევას,—მაგრამ მე უფრო სხვა რამ მაწუხებს. ექიმო კინროს, ტობი სიმართლეს ამბობს?

— ო, რა თქმა უნდა, — უთხრა დერმოტმა.

— მას არ მოუკლავს საბრალო მორისი?

— რასაკვირველია, არა.

— მაგრამ ვიღაცამ მოკლა, — შენიშნა ძია ბენმა, ძია ბენს თვალები აუთამაშდა.

— დიახ. ვიღაცამ მოკლა, — დაეთანხმა დერმოტი. — ჩვენ მას ვუახლოვდებით.

მთელი ამ სცენის განმავლობაში ერთადერთი პირი, რომელსაც სიტყვა არ უთქვამს, იყო ევა. შუქურას სხივი კედლებზე დამახინჯებულ ჩრდილებს ჰფენდა. ისინი ისე მოძრაობდნენ, როგორც ლანდების თეატრში. ევა კი გაშტერებით უყურებდა თავისი ფეხსაცმელების ჭკვინტებს. მხოლოდ მოთხრობის ერთ ადგილზე, თითქოს რაღაც გაახსენდაო, ხელები საკარძლის სახელურებს მოუჭირა. თვალთა უპეები ჩაშავებოდა, ხოლო ქვედა ტუჩზე კბილების თეთრი ნიშანი აჩნდა. ფიქრმორეული თავს იქნევდა; ბოლოს თვალები ასწია და დერმოტის მზერას წააწყდა.

— მგონი გამახსენდა, — უთხრა მან და ჩაახველა, — ის, რის გახსენებასაც თქვენ მთხოვდით.

— უნდა აგიხსნათ. და კიდევ ბოდიში მოგიხადოთ.

— არა, — უთხრა ევამ. — არა, არა, არა! ახლა ვხვდები, დღევანდელმა ჩემმა ნაამბობმა რატომ მომაყენა ამდენი უსიამოვნება.

— ოღონდ ნუ მაწყვეტინებთ, მომეცით შეკითხვის საშუალება! აღშფოთდა ჯენისი. — პირადად მე არაფერი მესმის. რა გამოუცნობი გამოცანაა?

— გამოცანა, — უპასუხა დერმოტმა, — მკვლელის სახელია.

— ოჰ, — ჩაიბურტყუნა მუსიე გორონმა.

ევა ათვალიერებდა იმპერატორის საბურნუთეს, ნაირფრად რომ ბზინავდა მაგიდაზე.

— ცხრა დღის განმავლობაში არ მცილდებოდა კოშმარი,— თქვა მან. — ყავისფერი ხელთათმანები. სხვა არაფერზე არ შემეძლო ფიქრი. და უეცრად აღმოჩნდა, თურმე ისინი ტობის ეცვა.

— მადლობთ, — კბილებში გამოსცრა ხსენებულმა ჯენტლმენმა.

— მასხარად აგდების გარეშე, სერიოზულად. როდესაც რაიმეზე გაქვს მთელი ყურადღება გადატანილი, სხვა ამბები გავიწყდება. ხდება ხოლმე, რაღაცის გულისთვის თავს იკლავ და სრულიად ტყუილუბრალოდ. გგონია, ეს ზუსტია, სიმართლეა, მაგრამ თურმე — არაფერი ამისი მსგავსი და მხოლოდ საშინელი დაღლილობის ჟამს, როდესაც გონება გამოთიშულია. უეცრად გაგონდება სიმართლე.

ელენა ლოუზმა ხმის ჩახლეჩამდე იკივლა:

— აბა, საყვარელო, — იყვირა მან, — ყველაფერი ეს ძალზე ფსიქოლოგიურია და ფრეიდის მიხედვითაა, ანდა კიდევ ვინ უწყის როგორ, მაგრამ მაინც აგვიხსენით, ღვთის გულისათვის, რაზე საუბრობთ?

— საბურნუთეზე, — უპასუხა ევამ.

— რა შუაშია აქ საბურნუთე?

— მკვლელმა გატეხა ის. პოლიციამ მაშინვე შეაგროვა ნატეხები და დააწება. იცით, მე ხომ ჩემს სიცოცხლეში პირველად ახლა ვნახე ის.

— მაგრამ!... — დაიწყო ჯენისმა აშკარად დაბნეულად.

— აბა ერთი დახედეთ საბურნუთეს,—შესთავაზა დერმოტ კინროსმა, — ის პატარაა. სერ მორისის ჩანაწერის მიხედვით მისი დიამეტრი ორი დუიმი და მეოთხედია. და რას ჰგავს ის, მაშინაც კი, როდესაც ახლოდან უყურებ? ფორმით ზუსტად საათს ჰგავს. და მართლაც, როდესაც სერ მორისმა ის თავისიანებს უჩვენა, ყველას საათი ეგონა. ხომ მართალია?

— დიახ, — დაუდასტურა ძია ბენმა, — მაგრამ...

— ხომ სულ არა ჰგავს საბურნუთეს?

— არა.

— მკვლელობამდე არავის ერთხელაც არ უჩვენებია და არ აუწერია საბურნუთე ევა ნილისათვის?

— როგორც ჩანს, არავის.

— მაშ როგორ შეძლო მან ორმოცდაათი ფუტის მანძილზე გაერკვია, რომ ეს საბურნუთეა?

ევამ თვალები მოჭუტა.

მუსიე გორონმა და გამომძიებელმა ერთმანეთს გადახედეს.

— აი ამაშია მთელი გამოცანა,—განაგრძობდა დერმოტი.— და კიდევ შთაგონების ძალა.

— შთაგონების ძალა? — წამოიკივლა ელენამ.

— მკვლელი ძალზე ჭკვიანი კაცი იყო. მან შეადგინა სერ მორის ლოუზის მკვლელობის გონივრული გეგმა, რაც ევა ნილთან იყო დაკავშირებული. ევა ნილი მეორე მსხვერპლი უნდა ყოფილიყო. ეს გეგმა უზრუნველყოფდა მისთვის რკინის ალიბს. და ის კინაღამ მშრალი ამოვიდა წყლიდან. გინდათ გაიგოთ, ვინაა მკვლელი?

დერმოტი მაგიდის კიდიდან ჩამოსრიალდა. ჰოლის კართან მივიდა და შუქურას სხივთა კონის სინათლეზე გააღო.

— ის იმდენად ეგოცენტრულია, რომ მიუხედავად მთელი ჩვენი პროტესტებისა, დაიჟინა და აქ გამოცხადდა, რათა პირადად მოგვცეს ჩვენებები. შემოდით, მეგობარო, გთხოვთ.

შუქურას სხივის სინათლეზე ყველამ გარკვევით დაინახა ნედ ეტვუდის მიტკალივით თეთრი სახე.

თავი 20

ზუსტად კვირის თავზე, ერთ მშვენიერ საღამოს, ჯენის ლოუზი თავის შეხედულებას გამოთქვამდა.

— მაშასადამე, მკვლელობის მოწმე, პირზე დუმილის ბეჭედი რომ ედო, ვინაიდან არ შეეძლო ქალისთვის სახელი გაეტეხა — თქვა ჯენისმა, — მკვლელია? ეს რაღაც ახალი ამბავია, არა?

— ნედ ეტვუდი თვითონ ასე ფიქრობდა,—დაეთანხმა დერ-

მოტი, — მან ხელი მოჰკიდა ლორდ უილიამ რასელის 1840 წლის საქმეს და უკუღმა შეატრიალა. მისი მიზანი, როგორც უკვე გითხარით, იყო სერ მორისის მკვლელობაში თავისთვის ალიბის უზრუნველყოფა. ევა უნდა გამხდარიყო მისი ალიბი და მოწმეც, მით უმეტეს, საიმედო, — გესმით? — რომ მას მიიჩნევდნენ როგორც არაკეთილსაიმედო მოწმეს.

ევას გააჟრჟოლა. დერმოტი კი განაგრძობდა:

—მე მერე კიდევ აგიხსნით მის ამოსავალ გეგმას. მაგრამ, რასაკვირველია, ის ვერ გაითვალისწინებდა, რომ ყავისფერ ხელთათმანებიანი ტობი ლოუზი უეცრად გაერეოდა ამ საქმეში და უზრუნველყოფდა მისთვის მოწმესაც და მსხვერპლსაც. ის რომ დაინახა ეტვუდმა, ალბათ, უბრალოდ საკუთარ თვალებს არ დაუჯერა და სიხარულისაგან კინაღამ იყვირა. მეორე მხრივ, ვერ გაითვალისწინებდა, რომ კიბიდან ჩამოვარდებოდა და ტვინი შეერყეოდა, — რამაც, ბოლოს და ბოლოს, მთელი გეგმა ჩაუშალა. ყველა შემთხვევითობას ვერ გაითვალისწინებ კაცი.

— განაგრძეთ, — ჩაერია ევა. — ყველაფერი მოყევით. ყველაფერი, ყველაფერი.

ყველამ იგრძნო დაძაბულობა. ევა, დერმოტი, ჯენისი და ძია ბენი ჩაის დალევის შემდეგ მირამარის ვილის უკან ბაღში ისხდნენ, მაღალი კედლებისა და წაბლის ხეების ჩრდილში. ჩაის სვამდნენ ხის ქვეშ, რომლის ფოთლებს უკვე ოდნავ შეპარვოდა სიყვითლე.

(შემოდგომა, შემოდგომა, — ფიქრობდა დერმოტ კინროსი, — ხვალ კი ლონდონში უნდა დავბრუნდე“).

— დიახ, — თქვა მან. — მე თვითონ მინდა ყველაფერი გიამბოთ. მთელი ამ კვირის მანძილზე ვოტური, გორონი და მე საქმის არსს ვიკვლევდით.

ევას შეშფოთებულ სახეს რომ უყურებდა, გულში წყევლიდა იმას, რის მოყოლასაც აპირებდა.

— თქვენ სამარესავით დუმდით, — წაიბურტყუნა ძია ბენმა. — ერთბაშად ვერ დაიმორჩილა ხმა. მერე წამოისროლა:— ერთი რამ არ მესმის: რად უნდოდა მორისის მოკვლა?

— არც მე მესმის, — თქვა ევამ. — რად უნდოდა? არც კი იცნობდა მას, ხომ მართალია?

— ეგონა, რომ არ იცნობდა.

— რას ნიშნავს — ეგონა?

დერმოტმა ფეხი ფეხზე გადაიდო და მოწნულ სავარძელზე გადაწვა. სიგარეტს რომ უკიდებდა, სიბრაზისაგან სახეზე ღრმა ნაოჭები გაუჩნდა. მაგრამ ევას გაუღიმა და შეეცადა მხიარული სახე მიეღო.

— მინდა მოიგონოთ ზოგიერთი რამ იქიდან, რისი გამორკვევაც მოვასერხეთ. წინა დღეებში, როდესაც თქვენ ჯერ კიდევ ეტვუდის მეუღლე იყავით, — მან შენიშნა, რომ ევას ეჩოთირა, — ლოუზებს არ იცნობდით, ხომ მართალია?

— არ ვიცნობდით.

— მაგრამ ბევრჯერ მიგიქცევიათ ყურადღება ოჯახის მამაზე?

— დიახ, სწორია.

— და ყოველთვის, ეტვუდთან ერთად რომ გხედავდათ, დაჟინებით, ერთგვარი გაოცებით გიმზერდათ ორივეს? ასე იყო. ცდილობდა გაეხსენებინა, სად ენახა ეტვუდი.

ევა სავარძელში გასწორდა. უეცარმა წინათგრძნობამ, მოულოდნელმა მიხვედრილობამ გაუელვა თავში. მაგრამ დერმოტისათვის მიხვედრები ახლა უკვე განვლილი ეტაპი იყო.

— და ერთხელ, — განაგრძობდა ის, — როდესაც თქვენ უკვე ტობი ლოუზის საცოლე გახდით, სერ მორისი ფრთხილად გეკითხებოდათ ეტვუდის შესახებ. მაგრამ ენა ებმოდა, ახველებდა, უცნაურად გიყურებდათ და მოულოდნელად შეწყვიტა გამოკითხვები. გახსოვთ? ასე იყო, თქვენ კი ეტვუდის მეუღლე იყავით. მაგრამ რა იცით მის შესახებ? რისი გაგება მოახერხეთ მის შესახებ — მის წინანდელ ცხოვრებაზე, ოჯახზე და საერთოდ?

ევამ ტუჩები მოილოკა.

— ვერაფრის! რა უცნაურიც არ უნდა იყოს, სწორედ ეს ვუსაყვედურე იმ ღამეს... მკვლელობის ღამეს.

დერმოტმა მზერა ჯენისზე გადაიტანა. მოულოდნელი ვარაუდით გაოგნებულს, მასაც პირი დაეღო.

— თქვენ მითხარით, საყვარელო გოგონა, მამათქვენი სახეებს ცუდად იმახსოვრებდა. მაგრამ უცებ რაღაც უბიძგებდა ხოლმე მის მეხსიერებას და მაშინ ჩვეულებრივად იხსე-

ნებდა, ვინ სად ენახა. ციხეებში მუშაობის დროს უამრავი სახე ნახა. საეჭვოა ოდესმე გავიგოთ, სახელდობრ, როდის გაიხსენა, სად ენახა ეტვუდი. მაგრამ დანამდვილებით გაიხსენა, რომ „ეტვუდი“ — იყო ნამდვილი დამნაშავე. იგი გაიქცა უონდსვორტის ციხიდან, სადაც ორცოლიანობისათვის იხდიდა ხუთწლიან სასჯელს.

— ორცოლიანობისათვის? — წამოიძახა ევამ.

მაგრამ არ შეკამათებია. თვალწინ წარმოუდგა ნამიან ბალახზე მოსიარულე ნედ ეტვუდი. წარმოიდგინა ისეთივე სიცხადით, თითქოს თავისი თვალით დაინახა მისი გაცინება.

— ტიპიური პატრიკ მეჰხონი[1],—განაგრძობდა დერმოტი:— წარმოუდგენელი წარმატებები ქალებთან. დაეხეტება კონტინენტზე, ინგლისიდან შორს ფულს ძლივს შოულობს სხვადასხვა გარიგებებით, ზოგჯერ სესხულობს კიდეც... დერმოტს ენა დაება. — როგორც, ხედავთ, მოვლენები თანდათან მკაფიოდ ჩნდება.

თქვენ ეტვუდს გაშორდით. უფრო სწორად, კანონის მიხედვით არასდროს არ ყოფილხართ ცოლ-ქმარი. მისი გვარი სულაც არაა ეტვუდი. აბა ერთი ჩაიხედეთ მის დოსიეში. ეგრეთწოდებული განქორწინების შემდეგ ეტვუდი შეერთებულ შტატებში გაემგზავრა, გეუბნებოდათ, რომ კიდევ დაგიბრუნდებოდათ. და მართლაც აპირებდა, მაგრამ ამასობაში თქვენ ტობი ლოუზის საცოლე გახდით. სერ მორისი ძალზე კმაყოფილი იყო. პირდაპირ აღფრთოვანებული გახლდათ. სურდა, რომ არაფერს, არაფერს არ შეეშალა ხელი ამ ქორწინებისათვის. ვიმედოვნებ, ჯენისი და მისტერ ფილიპსი გამიგებენ, როცა ვიტყვი, რომ მისი მთავარი მოსაზრება...

ყველანი დუმდნენ.

— დიახ, — ჩიბუხის ღეჭვით თქვა ძია ბენმა. და მკაცრად დაუმატა: — პირადად მე ყოველთვის ევას ვემხრობოდი.

ჯენისმა ევას შეხედა.

— მე საშინლად მოგექეცით, — მიმართა ჯენისმა.— როგორ ვიფიქრებდი, თუ ჩვენი ტობი ასეთი ეგოისტური ღორი იყო. დიახ, თუმცა ის ჩემი ღვიძლი ძმაა, სულერთია, მაინც

[1] ინგლისელი მწერლის ანრი დე ვერ სტაკპულის (1863—1951) ნაწარმოების „ომის დაფდაფების“ გმირი.

ღორია. მაგრამ თქვენს შესახებ მე საერთოდ არასდროს არ მეგონა...

— მაშინაც კი, — გაუღიმა დერმოტმა, — როდესაც დაინტერესდით, ციხეში ხომ არ მჯდარაო?

ჯენისმა ენა გამოუყო მას.

— მავრამ თქვენ მოგვეცით გასაღები, — განაგრძო დერმოტმა, — არსებითად თქვენ გაგვიხსენით ყველაფერი, თქვენი იგავი რომ მოყევით ვიღაც ფინისტერსა თუ მაკონკლინზე. ყური დამიგდეთ, ისტორია მეორდება. თქვენი ბრალი არაა, თუ რაიმე დაამახინჯეთ. შემდეგ. მე ვფიქრობ, ყველამ კარგად იცოდით (ასეა ხომ?), რომ ნედ ეტვუდი დაბრუნდა ლა ბანდელეტაში და „კოშკში" გამოცხადდა.

სერ მორისი ვახშმის წინ სასეირნოდ წავიდა. სად წავიდა? „კოშკის" ბარში. და ვინ იყო (ჩვენ დიდი ხანია ვიცოდით) ამ ბარში? ნედ ეტვუდი, რომელიც ყველას გასაგონად ტრაბახობდა, ცოლს დავიბრუნებ რადაც უნდა დამიჯდესო.

გახსოვთ, ჯენის, თქვენ იმასაც კი ვარაუდობდით, რომ თქვენმა მამამ ნახა ეტვუდი და ელაპარაკა კიდეც? ასეც იყო. მამათქვენმა უთხრა მას: „გთხოვთ სერ, ორი სიტყვა მაქვს სათქმელი და გამომყევითო". ეტვუდმა არ იცოდა, რა საუბარი იქნებოდა. ის გამოვიდა. აქ მან გაიგო — ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაცოფდებოდა, — რომ ძველმა ჯენტლმენმა მშვენივრად იცოდა მისი საქმეები.

ისინი ზოოლოგიურ ბაღში წავიდნენ. აკანკალებულმა სერ მორისმა მას ზუსტად ის უთხრა, რაც ოდესღაც ფინისტერს. გახსოვთ?

ჯენისმა თავი დაუქნია.

— „ოცდაოთხ საათში გუდანაბადი აიკარი აქედან, — გაიმეორა — ჯენისმა. — ვადის გასვლის შემდეგ ყველა ცნობა თქვენზე და თქვენს ახალ ცხოვრებაზე — სად შეიძლება თქვენი პოვნა, თქვენი ახალი სახელი, ერთი სიტყვით, ყველაფერი— გადაეცემა სკოტლანდ იარდში".

დერმოტს კისერი წაეგრძელებინა და დაძაბულად უსმენდა. მერე ისევ გადაწვა მოწნული სავარძლის ზურგზე.

— ეს ამბავი მეხივით დაეცა თავზე. ახლა ეტვუდი ვეღარ ჩაიგდებდა ხელში ცოლს, ის კი დარწმუნებული იყო, რომ აუ-

ცილებლად დაიბრუნებდა. და — მშვიდობით განცხრომით ცხოვრებავ. წინ ისევ ციხე. თუ წარმოიდგენთ, როგორ აწყდებოდა აქეთ-იქით მხეცივით გალიაში, მაშინ დაახლოებით შეიძლება წარმოიდგინოთ ისიც, რაც ხდებოდა მის სულში. მას ისევ ციხე არ ასცდებოდა.

თუ...

ის არ იცნობდა სერ მორის ლოუზს, მაგრამ კარგად იცოდა ვილა „სალამში" არსებული წესები. ნუ დაგავიწყდებათ, მან მრავალი წელი იცხოვრა აქ.

მას არაერთხელ უნახავს, როგორ იჯდა გვიანობამდე სერი მორისი კაბინეტში, როდესაც ოჯახის სხვა წევრებს უკვე ეძინათ. მას, ისევე როგორც ევას, არაერთხელ შეუხედავს გზის მეორე მხრიდან მისი კაბინეტის ფანჯარაში. იცოდა კაბინეტის გეგმა, იმიტომ რომ სიცხეში მოხუცი არ აფარებდა ფარდებს. იცოდა, სად იჯდა სერ მორისი, სად იყო კარი, სად ბუხრის მოწყობილობა. და (იშვიათი ბედი) მას ჰქონდა ევას სახლის გასაღები, რომელიც — გახსოვთ? — ვილა „სალამის" კარსაც აღებდა.

ბენჯამინ ფილიპსმა ჩიბუხით შუბლი მოიფხანა.

— აი ყველა სამხილი, ასე არ არის?

— უდავოდ, — დერმოტს ენა დაება — დანარჩენი არა მგონია სიამოვნებით მოისმინოთ. დაჟინებით მოითხოვთ?

— თქვით, — წამოიძახა ევამ.

— რაკი გადაწყვიტა ემოქმედა, სამუდამოდ უნდა დაედუმებინა სერ მორისი. ეტვუდმა სწორედ განსაჯა: სერ მორისმა გადაწყვიტა დაეცადა, სანამ ის ქალაქიდან არ გავიდოდა. ამიტომ ჯერ არავისთვის არაფერი არ უთქვამს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველ შემთხვევაში უნდა უზრუნველეყო უტყუარი ალიბი. ბაღში რომ მიდიოდა, ჭკუასა და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის წყალობით, ათ წუთში შეადგინა ასეთი ალიბის გეგმა. ალბათ თვითონაც ხვდებით, რა გეგმა იყო ეს.

მან იცოდა ოჯახის ყველა წევრის ჩვეულება. ის რიუ დეზ ანჟზე დაეხეტებოდა, როდესაც თქვენ ყველანი თეატრიდან დაბრუნდით. ევა თავის სახლში წავიდა, თქვენც, ყველანი, შინ წახვედით. ის მოთმინებით ელოდა, სანამ თქვენ დასაძინებლად დაწვებოდით, სანამ სინათლე არ ჩაქრა ყველა ფანჯარაში,

გარდა კაბინეტის ორი ფარდაჩამოფარებული ფანჯრისა. ღია ფანჯრები მას ხელს აძლევდა: ეს მის გეგმაში შედიოდა.

თუმცა ჯენსს ტუჩები გაუთეთრდა, მაინც ვერ შეიკავა თავი კითხვისაგან:

— რომელიმე მოპირდაპირე სახლიდან რომ დაენახათ, რას შვრებოდა?

— სახელდობრ, რომელი სახლიდან? — შეეკითხა დერმოტი.

— მიეხვდი, — უთხრა ევამ, — ფანჯრებზე ფარდები ყოველთვის ჩამოფარებული მაქვს. სხვა ვილებში კი ახლა, სეზონის ბოლოს, უკვე აღარავინ ცხოვრობს.

— დიახ, — დაეთანხმა დერმოტი. — ეს გორონმა მითხრა. მაგრამ დავუბრუნდეთ გამჭრიახ მისტერ ეტვუდს. ის სამოქმედოდ მოემზადა. თავისი გასაღებით გააღო სერ მორისის სახლის კარი...

— როდის?

— დაახლოებით პირველს რომ ოცი წუთი აკლდა.

დერმოტის სიგარეტი ბოლომდე დაიწვა. მან ის მიწაზე დაადგდო და ფეხით გასრისა.

— ვფიქრობ, მას თან ჰქონდა რაღაც იარაღი, უხმაურო იარაღი, იმ შემთხვევისათვის, თუ ბუხრის მოწყობილობებს შორის არ აღმოჩნდებოდა ცეცხლის საჩხრეკი. მაგრამ ტყუილად წუხდა. ცეცხლის საჩხრეკი ადგილზე ეკიდა. ნედ ეტვუდმა იცოდა, რომ სერ მორისს ყურთ აკლდა. ეს ევასთან მისი საუბრიდან ვიცით. მან გააღო კარი, ხელი დასტაცა ცაცხლის საჩხრეკს და უკნიდან მიეპარა თავის მსხვერპლს. მოხუცი თავის განძს ჩაჰკირკიტებდა. მოხუცს წინ ედო ბლოკნოტი, რომელშიც მსხვილი კალიგრაფიული შრიფტით ეწერა: „საათის მსგავსი საბურნუთე“.

მკვლელმა ხელი აღმართა და ჩაარტყა. ერთხელ რომ ჩაარტყა, მერე გამხეცდა.

ევამ, რომელიც კარგად იცნობდა ნედ ეტვუდს, წარმოიდგინა ეს სურათი.

— ერთ-ერთი დარტყმა, შესაძლებელია, შემთხვევით, მაგრამ უფრო განზრახ მოხვდა ძვირფას სამშვენისს. ეტვუდი, როგორც ჩანს, დაინტერესდა რა გატეხა. ბლოკნოტის დასვრილ

ფურცლიდან იყურებოდა სიტყვა „საბურნუთეს“ მსხვილი ასოები. როგორც დავინახავთ, ეს სიტყვა მას გონებაში ჩარჩა. ახლა კი გადავიდეთ ყველაზე მთავარზე.

დერმოტი ევას მიუბრუნდა.

— როგორი კოსტიუმი ეცვა ეტვუდს?

— მუქი, ხაოიანი, არ ვიცი, რა ჰქვია ნაჭერს.

— ასე, — დაეთანხმა დერმოტი. გასაგებია. როდესაც მან საბურნუთე გატეხა, პაწაწინა ნამსხვრევი მოსწყდა და კოსტიუმზე მიეწება. მან ვერ შეამჩნია. მერე კი ეს ნამსხვრევი თარსად თქვენს მაქმანებში გაიბლანდა, როდესაც საწოლ ოთახში მომხდარი ეპიზოდის დროს ის თქვენ გეხვეოდათ.

— თქვენც ვერაფერი შეამჩნიეთ. არაფერი იცოდით ნამსხვრევის შესახებ და მზად იყავით დაგეფიცა, რომ ვიღაცამ შემოგაჩეჩათ; სინამდვილეში კი ყველაფერი უფრო მარტივად იყო.

— აი, მთელი ისტორია, — მან ჯენისსა და ძია ბენს შეხედა, — იმედი მაქვს, აქატის ავბედითი ნამსხვრევი, უკვე აღარ გგონიათ ისეთი ავბედითი და ბნელით მოცული.

მაგრამ შორს შევტოპე. ყველაფერს ისე გიყვებით, როგორც ახლა გახდა ცნობილი, და არა ისე, როგორც ეს შემთხვევა თავიდანვე მქონდა წარმოდგენილი. როდესაც გორონმა საქმის არსი გამაცნო, ვიფიქრე, მკვლელი რომელიღაც ლოუზია-მეთქი. ნუ მიწყენთ; თქვენ თვითონაც ხომ ასე ფიქრობდით.

მე შეცდომაში შემიყვანა ზოგიერთმა წვრილმანმა ევას პირველი ძალიან მოკლე მონათხრობიდან, გორონს რომ უამბო იმ პირველ საღამოს ვილა „სალამში“, მაგრამ სულ ახლახან, როდესაც ევამ ხელახლა ყველაფერი დაწვრილებით მიამბო, მამა რუსესთან ომლეტის ჭამის დროს, თითქოს თვალი ამეხილა, ბუნდოვანი ვარაუდი რწმენად იქცა, და მივხვდი, რომ დამნაშავეს იქ არ ვეძებდი, სადაც საჭირო იყო. ახლა უკვე თქვენთვისაც ყველაფერი გასაგებია.

ევა შეკრთა.

— დიახ, — დაეთანხმა ის. — რაღა თქმა უნდა, გასაგებია.

— სხვებისთვისაც ნათელი რომ გახდეს, მოდით აღვადგინოთ სურათი. ეტვუდი თქვენთან მოვიდა პირველს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა;

კარი გააღო ფასდაუდებელი გასაღებით...

— მას შუშის თვალები ჰქონდა, — წამოიყვირა ევამ. — ერთი პირობა ვიფიქრე, ნასვამია-მეთქი, რაღაც უცნაური იყო, ლამის ტირიოდა. არასდროს არ მენახა ნედი ასეთი, მაგრამ არა, ის არ იყო მთვრალი.

— არა, — უთხრა დერმოტმა. — მას უბრალოდ ის-ის იყო კაცი ჰყავდა მოკლული. მოკლა კაცი, მოკლა წინასწარი განზრახვით — ეს არც ისე იოლია თვით ნედისთვისაც კი. ის წავიდა ვილა „სალმიდან" ერთი-ორი წუთი კაზინოს ბულვარში იბორიალა, შემდეგ კი დაბრუნდა მოპირდაპირე ვილაში ისე, თითქოს ეს-ესაა შემოვიდა რიუ დეზ ანჟზეო. თავისი ალიბის უზრუნველსაყოფად მოემზადა.

მაგრამ კვლავ ვუსწრებ მოვლენებს — გავიხსენოთ მხოლოდ როგორ მიმდინარეობდა ყველაფერი. ის თქვენთან შემოვარდა. საუბარი ჩამოაგდო ლოუზებსა და მოხუცზე, გზის მეორე მხარეს მდებარე სახლში რომ იჯდა. დაბოლოს, სრული ისტერიკა რომ დაგმართათ, ფარდა გადასწია და ფანჯარაში გაიხედა. თქვენ სინათლე ჩააქრეთ. ასე, სიტყვასიტყვით გამიმეორეთ, რას ლაპარაკობდა მომდევნო წუთებში.

ევამ თვალები მოჭუტა.

მე ვკითხე: „სერ მორისი კიდევ არ დაწოლილა-მეთქი?

ნედმა მიპასუხა: „არა, ჯერ არ დაწოლილა, მაგრამ მას ჩვენთვის არა სცხელა. ლუპით ათვალიერებს რაღაც საბურნუთეს. მოიცა!"

მე ვუთხარი: „რა ამბავია იქ?"

ნედმა მიპასუხა: „მასთან კიდევ ვიღაც არის, მაგრამ კარგად ვერ ვხედავ".

მე ვუთხარი: „ალბათ, ტობია. ნედ ეტვუდ, მოსცილდები თუ არა ფანჯარას?"

ევამ ღრმად ამოიოხრა. მთელი სიცხადით გაახსენდა ის წყნარი ღამე და საწოლი ოთახის დახუთული ჰაერი. მან თვალები გაახილა.

— სულ ეს იყო, — უთხრა მან.

— მაგრამ თქვენ თვითონ, — არ მოეშვა დერმოტი, — თქვენ თვითონ იყურებოდით ფანჯარაში?

— არა.

— არა. თქვენ მის სიტყვას დაუჯერეთ. — დერმოტი დანარჩენებს მიუბრუნდა. — ყველაზე საოცარი, უბრალოდ თავზარდამცემი—ესაა ნედის განცხადება იმის შესახებ, რაც დაინახა თუკი მან რაიმე დაინახა ორმოცდაათი ფუტის მანძილზე, დაინახავდა მხოლოდ რაღაც საათის მსგავს საგანს. მან კი უყოყმანოდ თქვა, საბურნუთეს ვხედავო. სწორედ აქ გასცა თავი ჩვენმა ჭკუის კოლოფმა. მას არ შეეძლო სცოდნოდა, რომ ეს საბურნუთე იყო. უფრო სწორად, მის ცოდნას შეიძლება მხოლოდ ერთი ძალზე ბნელით მოცული ახსნა ჰქონოდა.

ის მაშინვე იწყებს ეგას დარწმუნებას, თითქოს ისიც იხედებოდა ფანჯარაში, თითქოს იმანაც დაინახა სერ მორისი ცოცხალი და საღსალამათი, რომელსაც ხელში ლუპა ეჭირა და მის გვერდით ვითომ იმალებოდა ვიღაც ავბედითი ლანდი.

ეტვუდმა შთაგონებას მიმართა. ამაში შეიძლება არ დამეთანხმოთ, თუ ევა თქვენც ისევე გიამბობთ ყველაფერს, როგორც მე მიამბო, ეტვუდი გაუთავებლად იმეორებს: „გახსოვს, რა დავინახეთ?“ ევა კი განსაკუთრებით შთაგონებადია, ეს ერთხელ უკვე უთხრა მას ერთმა ფსიქოლოგმა და მე თვითონაც შევამჩნიე. მას ნერვები აქვს მოშლილი; მზადაა დაინახოს, რასაც ინებებთ. და აი, შთააგონა რა, რომ თითქოს დაინახა ცოცხალი სერ მორისი, ის სწრაფად სწევს ფარდას და უჩვენებს მკვდარს.

აი მაშინ კი მოვისაზრე.

მთელი თამაში იქეთკენ იყო მიმართული, დაერწმუნებინა ევა, რომ დაინახა ის, რაც არ დაუნახავს, — ესე იგი დაინახა ცოცხალი სერ მორისი, როდესაც ნედი უკვე მასთან იყო.

ეტვუდმა მკვლელობა ჩაიდინა. და მან შეადგინა გეგმა. ერთი „მაგრამ“ რომ არა, გეგმას განახორციელებდა. ევა დაარწმუნა და მანაც გულწრფელად დაიჯერა, რომ დაინახა ცოცხალი სერ მორისი თავის კაბინეტში ისეთსავე პოზაში, როგორშიც არაერთხელ უნახავს. ზუსტად ასევე უთხრა მუსიე გორონსაც ჩემი თანდასწრებით. და საბურნუთე, ჩვეულებრივი საბურნუთე რომ ყოფილიყო, ჭკვიანი მისტერ ეტვუდი წყლიდან მშრალი ამოვიდოდა.

დერმოტი ჩაფიქრდა. ის იდაყვით სავარძლის სახელურს დაყრდნობოდა და ნიკაპზე მუჭი მიებჯინა.

— ექიმო კინროს, — რბილად შენიშნა ჯენისმა, —ეს ძალზე ჭკვიანურია.

— ჭკვიანურია? მართლაც რომ! ახალგაზრდამ, როგორც ჩანს, იცოდა დანაშაულობათა ისტორია. მან ისე მოხერხებულად გამოიყენა ლორდ უილიამ რასელის საქმე, რომ ნებისმიერ...

— არა, მხედველობაში მაქვს, როგორ გამოჩხრიკეთ ყოველივე ეს.

დერმოტმა გაიცინა. სიამაყე არ ახასიათებდა და ისე მწარედ გაიცინა, თითქოს ეს-ესაა მწარე აბი გადაყლაპაო.

— ოჰ, ეს! აქ ხომ ყველა მიხვდებოდა: არიან ქალები, რომლებიც თითქოს სპეციალურად არამზადების მსხვერპლი ხდებიან. მაგრამ ახლა თქვენთვის ნათელია ყველა წყალქვეშა დინება და ყველაფერი, რაც თავგზას გვიბნევდა. ყავისფერ ხელთათმანებიანმა ტობი ლოუსმა ცოტა არ იყოს, აგვირია სურათი. ეტვუდისათვის ის უბრალოდ ციური მანანა იყო. თუ ევამ სწორად გადმომცა მისი რეაქცია — ის გაოცებული და აღფრთოვანებული იყო. ტობიმ ყოველივეს უკანასკნელი უტყუარი შტრიხი დაუმატა და ეტვუდს უკვე აღარაფრის შიში არ ჰქონდა.

ეხლა ხომ გესმით, რით უნდა დამთავრებულიყო მთელი თამაში? ის სრულებით არ აპირებდა საქმეში მონაწილეობას. გაპარვა უნდოდა. ხალხის თვალში არაფერი აკავშირებდა სერ მორისთან. მაგრამ მაინც — ყოველი შემთხვევისათვის — მას ჰქონდა ალიბი — ყოველ წუთს შეიძლებოდა, როგორც ის ფიქრობდა, მასზე დამოკიდებული ქალის ჩვენებების გამოყენება. და ამ ჩვენებების განსაკუთრებული დამაჯერებლობა იმაში მდგომარეობდა, რომ მათი მიცემისას მოწმეს უნდა გაემჟღავნებინა ზოგიერთი გარემოება, რაც მას სახელს გაუტეხდა.

აი რატომ იყო, რომ გულის წასვლის შემდეგ სასტუმროში თქვა: „მანქანა დამეჯახაო“. საერთოდ არ აპირებდა შეხებოდა თემას, რომელიც მას აღელვებდა. და ერთი წუთითაც არ უფიქრია, რომ სერიოზულად იყო დაშავებული.

მაგრამ მან ჩაფუშა მთელი გეგმა ჯერ დაეცა და ტვინის შერყევა მიიღო, შემდეგ საქმეში ჩაერია შურისმაძიებელი

ივეტა და საკუთარი თამაში წამოიწყო. ეტვუდი, რასაკვირველია, სრულებითაც არ ფიქრობდა, რომ ეშვს ევაზე მიიტანდნენ. ყველაზე ნაკლებად ამას მოელოდა. ის უგრძნობლად იწვა, მაგრამ ალბათ თავზარი დაეცემოდა, რომ გაეგო, რაც ხდებოდა ამასობაში.

— მაშასადამე, — გააწყვეტინა სიტყვა ჯენისმა, — მართლა ივეტამ მიუკეტა ევას ცხვირწინ კარი?

— დიახ, დიახ. ივეტაზე მხოლოდ მიხვედრილობით შეიძლება ვილაპარაკოთ. ის ნორმანელი გლეხის ქალია; დუმს; ვოტურმა სიტყვა ვერ ათქმევინა. როგორც ჩანს, კარი რომ დაკეტა, არაფერი არ იცოდა მკვლელობის შესახებ. იცოდა, რომ საწოლ ოთახში ევასთან ეტვუდი იყო. და შეეცადა საქმე სკანდალამდე მიეყვანა, რათა თქვენს ღვთისმოსავ ძამიკოს ნიშნობა ჩაეშალა.

მაგრამ ვიმეორებ, ივეტა ნორმანელი გლეხის ქალია. როდესაც, თავისდა გასაოცრად, დაინახა, რომ ევაზე ეშვი მიიტანეს როგორც მკვლელზე, არ დაიბნა. თავგამოდებით დაეხმარა ბრალდებას. გადაწყვიტა ამ სიტუაციიდან ყველაფერი გამოეწურა, რისი გამოწურვაც კი შეიძლებოდა. ასე უფრო იოლი იყო ნიშნობის ჩაშლა. ევა მართალი იყო თუ დამნაშავე, მას არ ეხებოდა; მისთვის მთავარი იყო თავისი და ტობისთვის მიეთხოვებინა.

დაიწყო სრული არეულ-დარეულობა და ასე გრძელდებოდა იმ ღამემდე, როდესაც მე ყვავილების დუქანში ვნახე ორი ყელსაბამი და მოვისმინე ევას დაწვრილებითი მონათხრობი, საიდანაც ნათელი გახდა, ვინ იყო მკვლელი. ამის შემდეგ, ძნელი აღარ იყო ყველაფრის თავიდან მიკვლევა. ძნელი აღარ იყო სამხილების შეთანხმება.

რჩებოდა კითხვა: რამ აიძულა ეტვუდი მკვლელობის ჩასადენად? პასუხისკენ, რასაკვირველია, გზას გვიჩვენებდა სერ მორისის ციხეში მუშაობის ამბავი, მისმა ცოლმა და ქალიშვილმა რომ აღწერეს, და განსაკუთრებით ფინისტერის ისტორია. მაგრამ როგორ დაგვემტკიცებინა ეს ჰიპოთეზა? ძალიან იოლად! თუ ეტვუდით ოდესღაც უკვე დაინტერესებული იყო პოლიცია, თუ ოდესღაც უკვე ჩადენილი ჰქონდა დანაშაული,

მისი თითების ანაბეჭდები სკოტლენდ-იარდში უნდა ყოფილიყო.

ძია ბენმა დაუსტვინა.

— ოჰ! ოჰ! — წაიბურტყუნა მან. — მოფიქრება არ გინდა? მაშასადამე, თქვენი პატარა გასეირნება თეითმფრინავით ლონდონში...

— სანამ ამას არ გამოვარკვევდი, სხვას ვერაფერს მოვიმოქმედებდი. სასტუმროში ეტვუდთან რომ შევედი, შეუმჩნეველად ავიღე მისი თითების ანაბეჭდი. მაჯისცემის გასინჯვისას თითებზე საათი მივადე. ყველაფერი ძალზე ბუნებრივად გამოვიდა. დიახ, სკოტლენდ-იარდში, რაღა თქმა უნდა, აღმოჩნდა ამ ანაბეჭდების დუბლიკატი. ამასობაში....

— კვლავ დაიწყო არეულ-დარეულობა, — ჩაურთო ევამ და ნერვიულად გადაიხარხარა.

— დიახ, თქვენ დაგაპატიმრეს, — უთხრა დერმოტმა. მას სახე მოეღუშა: — არ მესმის, რა არის აქ სასაცილო.

ის დანარჩენებს მიუბრუნდა.

— როდესაც მან ყველაფერი დაწვრილებით მიამბო, იმდენად განაწამები იყო, რომ მის მაგივრად ლაპარაკობდა მისი ქვეცნობიერება — რასაც ჩვენ სასაცილოდ ვიგდებთ ხოლმე — და მისდა უნებართვოდ გასცა სიმართლე. მას სულ არ გაუხედავს ფანჯარაში და არ დაუნახავს ცოცხალი სერ მორისი, რასაც ყველაზე უფრო ადვილად მისივე სიტყვებიდან მიხვდებოდით, არავითარი საბურნუთე არ უნახავს მას არასდროს. ეს მხოლოდ ეტვუდმა ჩააგონა.

მე აღარაფრის გამოჩხრეკა არ დამიწყია. სავსებით მაკმაყოფილებდა, რასაც ევა ლაპარაკობდა. მისი მონაყოლი შავით თეთრზე ადასტურებდა ეტვუდის დამნაშავეობას. ევას ვუთხარი თავისი ისტორია სიტყვა-სიტყვით გაემეორებინა გორონისათვის, ისე როგორც მე მიამბო. გავითვალისწინე, რომ ყველაფერს ოქმში შეიტანდნენ, მე კი უკვე მექნებოდა ეტვუდის მოტივების დამადასტურებელი მონაცემები და შემეძლო შემდგომ მემოქმედა. მაგრამ მაინც სათანადოდ ვერ შევაფასე მისი შთაგონებადობა, ან გორონისა და ვოტურის გალური ენერგია. მათ უამბო ეტვუდის ვერსია, მაგრამ სიტყვასიტყვით არ მოუთხრო სცენის ამბები.

— ისინი... ისინი სხივით მანათებდნენ, მარიონეტებივით თრთოდნენ. — თავს იცავდა ევა. — პირდაპირ აუტანელია! თქვენ კი გვერდით არ მახლდით, და არავინ არ აღმომიჩინა მორალური მხარდაჭერა...

ჯენისმა რაღაც უცნაურად შეხედა ჯერ ევას, შემდეგ დერმოტს; ორივემ, საშინლად შემცბარმა, თითქმის ბოროტი მზერით უპასუხა:

— მაშ ასე, — განაგრძო დერმოტმა, — იცით, მათ თვალი აეხილათ. მხოლოდ ეტვუდის შეცდომა ევას მიაწერეს. აა! არავის უთქვამს მისთვის სერ მორისის ახალი განძის შესახებ? არავის აღუწერია ის? არა, რასაკვირველია, არა. მაშ საიდანღა იცის, რომ საათი — ეს „საბურნუთეა? და აქ უკვე ყოველი მისი სიტყვა ისე მიიღეს, თითქოს ისინი მის დანაშაულს ამხილებდნენ. ევა ციხეში წაათრიეს, მე კი მოქმედების ადგილზე მივედი როგორც უკვე დრამის მთავარი ბოროტმოქმედი.

— გასაგებია, — თქვა ძია ბენმა. — ყოველთვის ასეა, ვაის გაეყრები, ვუის შეეყრები. სწორედ ამ დროს ეტვუდი გონს მოვიდა.

— დიახ, — დაღვრემით თქვა დერმოტმა. — ეტვუდი გონს მოვიდა.

ამ უგვანო მოგონებისაგან ვერტიკალური პატარა ნაოჭი წარბებს შორის უფრო გაულრმავდა.

— ცდილობდა დაედასტურებინა, რომ ის ყავისფერ ხელთათმნიანი კაცი ტობი იყო, და ამით მოემთავრებინა საქმე. ყოველნაირად ცდილობდა! რადაც არ უნდა დაჯდომოდა. ერთი დარტყმით აპირებდა ცოლის დაბრუნებას და მოწინააღმდეგის ციხეში გაგზავნას. ვინ წარმოიდგენდა, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი კაცი ადგებოდა ლოგინიდან, ჩაიცვამდა და მთელი ლა ბანდელეტას გავლით ვოტურთან წავიდოდა? მიუხედავად ამისა, მან ყველაფერი ეს გააკეთა.

— და თქვენ არ შეაჩერეთ ის?

— არა, — უპასუხა დერმოტმა. — არ შემიჩერებია.

პაუზის შემდეგ დაუმატა:

— ის მოკვდა ვოტურის კაბინეტის ზღურბლზე. გონება დაკარგა, დაეცა და მოკვდა, სანამ შუქურას სხივი მოსცილდებოდა. იმიტომ მოკვდა, რომ იგი ამხილეს.

მზე ჩადიოდა. ბაღში უცხო ჩიტები გალობდნენ. აგრილდა.

— ჩვენი ყვითელშობილი ტობი კი, — წამოიწყო ჯენისმა. მას ენა დაება და სიბრაზისაგან გაწითლდა, რადგანაც ამ დროს დერმოტმა გადაიხარხარა.

— ვფიქრობ, არ იცნობთ თქვენს ძმას, საყვარელო გოგონა.

— დიახ, არ ვიცოდი, რომ ქვეყანაზე ასეთი პირუტყვები არიან!

— ის სულაც არ არის პირუტყვი. უბრალოდ შენელებული განვითარების (მაპატიეთ) ჩვეულებრივი შემთხვევაა.

— რა გაგებით?..

— გონებრივად და ემოციურად ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის ბიჭია. ესაა და ეს. გულწრფელად არ ესმის, რა დიდი დანაშაულია საკუთარი მაგის გაქურდვა. მამაკაცისა და ქალის ურთიერთდამოკიდებულების გაგებაში ხომ სკოლის მეოთხე კლასის დონეზე დარჩა.

ასეთი ტობები ქვეყნად უამრავია. ზოგჯერ ისინი დიდ წარმატებასაც აღწევენ. მათ მიიჩნევენ პრინციპულობის განსახიერებად, სიმტკიცის იდეალად, სანამ სერიოზული გამოცდის წინაშე დადგებიან. მაშინ კი ასაკგადასული გიჟნაზიელი, რომელსაც ვაჟკაცობა და წარმოსახვა აკლია, აუცილებლად გაამჟღავნებს თავს — და მისი წირვა გამოსულია. მასთან სასიამოვნოა დალევა, სასიამოვნოა გოლფის თამაში. მაგრამ ეჭვი მეპარება, კარგი ქმარი გამოდგეს... მაგრამ თავი დავანებოთ ამ თემას.

— საინტერესოა... — დაიწყო ძია ბენმა და ენა დაება.

— დიახ?

— აი სულ ვფიქრობდი.... როდესაც მორისი იმ სეირნობიდან დაბრუნდა — სულ კანკალებდა და სახეზე ფერი არ ედო, — რაღაცაზე ესაუბრა ტობის. მისთვის არაფერი უთქვამს ეტვუდის შესახებ?

— არა, — უპასუხა ჯენისმა. — ამაზე მეც ვფიქრობდი. იქნებ რაიმე გაიგო ტობის შესახებ-მეთქი? როდესაც ჩვენ ყველაფერი გავიგონეთ, ტობის შევეკითხე. არა, მამამ მხოლოდ უთხრა: „მე დღეს ვნახე ერთი კაცი (მას, რასაკვირველია, მხედველობაში ჰყავდა ეტვუდი) — კიდევ უნდა მოგესაუბრო“. ტობის თავზარი დაეცა. იფიქრა, პრიუ ლატური

ლია შეტევაზე გადმოვიდაო. ის საბოლოოდ დაიბნა და გადაწყვიტა იმ ღამესვე მოეპარა ყელსაბამი.

მან კისერი უხერხულად მიატრიალ-მოატრიალა და ხმამაღლა დაუმატა:

— დედა იქ, — თავით მოპირდაპირე ვილისკენ ანიშნა, — საბრალო ტობის ანუგეშებს. ოჰ, რა საზიზღრად მოექცნენ უბედურს. ალბათ, ყველა დედა ასეთია.

— ოჰ! — მგრძნობიარედ წარმოთქვა ძია ბენმა.

ჯენისი სკამიდან წამოდგა.

— ევა, — აენთო ის, — მეც ხომ თითქმის არა ვარ ტობიზე უკეთესი. მაპატიეთ! ჩემთვის ძალზე სამარცხვინოა და არასასიამოვნო! დამიჯერეთ!

მერე ამაოდ ეძებდა სიტყვებს, ვეღარაფერი ვერ დაამატა და გაიქცა. ბალის ბილიკით შემოურბინა ვილას და თვალს მიეფარა. ძია ბენი დინჯად წამოდგა.

— არ გინდათ, — უთხრა ევამ, — არ წახვიდეთ...

ძია ბენმა მის სიტყვებს, არავითარი ყურადღება არ მიაქცია. ფიქრებში იყო წასული.

— მე კი — არა, — წაიბურტყუნა მან. — ესე იგი ჩემთვის არ არის არასასიამოვნო. თქვენ ყოველივე კარგის ღირსი ხართ. თქვენ და ტობი? არა, — მთლად დაბნეული წასასვლელად შეტრიალდა, მერე ისევ შემობრუნდა: — თქვენთვის პატარა გემი გამოვთალე, — დაუმატა მან. — ვფიქრობდი — მოგეწონებოდათ. როგორც კი შევღებავ — გამოგიგზავნით. მშვიდობით.

და კოჭლობით გასცილდა იქაურობას.

ის წავიდა, ხოლო ევა ნილი და ექიმი კინროსი დიდ ხანს ისხდნენ ჩუმად. ისინი ერთმანეთს არ უყურებდნენ. პირველად ევა ალაპარაკდა.

— ის სიმართლეა, რაც გუშინ თქვით?

— რა?

— რომ ხვალ ლონდონში უნდა დაბრუნდეთ?

— დიახ, ადრე თუ გვიან უნდა დავბრუნდე. საინტერესო სხვაა — რას აპირებთ მომავალში?

— არ ვიცი. დერმოტ, მე მინდოდა...

მან შეაწყვეტინა:

— ყური დამიგდეთ. ისევ სულელურ მადლობებს აწყებთ?

— მაგრამ უხეშობა რა საჭიროა?

— არ ვუხეშობ. უბრალოდ არ მინდა მადლობებზე იფიქროთ. მოიშორეთ ეგ ფიქრი.

— რატომ? რატომ გააკეთეთ ყოველივე ეს ჩემი კეთილისთვის?

დერმოტმა მაგიდიდან აიღო სიგარეტ „მერილენდის" კოლოფი და ევას შესთავაზა, მაგრამ მან უარის ნიშნად თავი გააქნია.

დერმოტმა სიგარეტს მოუკიდა.

— რა მიამიტობაა, — უთხრა მან. — თქვენ თვითონაც ხომ მშვენივრად იცით. ოდესმე, როდესაც საბოლოოდ მოხვალთ გონს, ჩვენ კიდევ ვიმსჯელებთ ამაზე. ჯერჯერობით კი ისევ გეკითხებით:

— რას აპირებთ მომავალში?

ევამ მხრები აიჩეჩა.

— არ ვიცი. უკვე დავაპირე ჩემოდნის ჩალაგება და ნიცაში ან კანში გადასვლა....

— არა, ამას თქვენ არ იზამთ.

— რატომ?

— იმიტომ რომ ეს შეუძლებელია. ჩვენმა მეგობარმა გორონმა თქვენ სავსებით სწორი დახასიათება მოგცათ.

— ჰო, მაინც როგორი?

— მან თქვა, რომ სოციალურად საშიში ხართ და არაეინ უწყის კიდევ რა შეგემთხვევათ. თუ რიკიერაზე გაემგზავრებით, თქვენი ცხოვრების გზაზე უმალვე გამოცხადდება რომელიმე ყოჩაღი გულთა მომნადირებელი; წარმოიდგინეთ, თითქოს გიყვართ ის და... არა. სჯობს ინგლისში დაბრუნდეთ, არც იქ გაქვთ უსაფრთხოების გარანტია, მაგრამ თვალყურის დამჭერი მაინც გეყოლებათ.

ევა ჩაფიქრდა.

— სიმართლე გითხრათ, მე თვითონ ვფიქრობდი ინგლისზე, — მან შეხედა. მითხარით. გგონიათ ნედ ეტვუდმა დამწყვიტა გული?

დერმოტმა პირიდან სიგარეტი გამოიღო. მან თვალები

მოჭუტა. დიდხანს უყურებდა ევას, მერე მუშტი დაარტყა სავარძლის სახელურს.

— აი სად არის ნამდვილი ფსიქოლოგია, — უთხრა მან. — ვსინჯოთ სიტყვების მინიმუმით გავიდეთ იოლას.

— მიპასუხეთ.

— მე არ მომიკლავს ის. „შენ მკვლელი არ ხარ, მაგრამ ნურც ირჯები, რომ ახლობელი იხსნა სენისაგან“[1]. მე, რასაკვირველია, ხელი შევუწყე მის სიკვდილს. მე რომ არა, მას მოარჩენდნენ და გილიოტინა მოუღებდა ბოლოს. მაგრამ მაშინ ამას ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა.

დერმოტი მოიღუშა.

— ტობი ლოუზს, — განაგრძო მან, — თქვენ არასდროს არ მიიჩნევდით სერიოზულად. მარტოობისაგან მოწყენილი იყავით, თანამდგომი გინდოდათ, ასეთ შეცდომას აღარ დაუშვებთ. ამის თავდები მე ვიქნები. ეს მკვლელობა რომ არა, ძვირფასო, მაშინ კიდევ სხვა რამ დაგიფარავდათ. მაგრამ ეტვუდი, შესაძლოა, სრულებით სხვაა.

— ასე ფიქრობთ?

— ახალგაზრდას მართლაც უყვარდით, რასაკვირველია, თავისებურად. როდესაც თავის გრძნობებზე გელაპარაკებოდათ, საეჭვოა რომ მსახიობობდა. რამაც ხელი არ შეუშალა მას გამოეყენებინეთ ალიბისათვის...

— რა თქმა უნდა.

— მაგრამ ამის გამო მისი გრძნობები არ შეცვლილა. საინტერესოა, თქვენი თუ შეიცვალა? ეტვუდები — ძალზე საშიში მოვლენაა.

ევა გაუნძრევლად იჯდა. ბაღში ჩამობნელდა. მას თვალები უბრწყინავდა.

— არაფერია, რასაც თქვენ ფიქრობთ ჩვენზე — უთხრა ევამ. — მართალია, ასე უკეთესიცაა. ოღონდ თუ შეიძლება ერთ რამეს ნუ იფიქრებთ, — იმას, რასაც ლოუზები ფიქრობდნენ. ერთი წუთით მოდით აქ...

ლა ბანდელეტას პოლიციის პრეფექტმა, მუსიე არისტიდ

---

[1] სტრიქონები ინგლისელი პოეტის არტურ ხიუ კლაფის (1819—1861) ლექსიდან „უახლესი ათი მცნება“.

გორონმა რიუ დეზ ანჟზე შეუხვია და მონარქის მედიდური ნაბიჯებით გაუყვა მას. ამაყად გამოეზნიქა მკერდი და მეფურად ადგამდა მოკლე ნაბიჯებს. საუცხოო ხასიათზე იყო და ხელჯოხს ათამაშებდა.

მას აცნობეს, რომ განსწავლულ ექიმ კინროსის ნახვა შეიძლება ქალბატონ ნილთან, ამ ლამაზი არსების ვილის უკან მდებარე ბაღში, სადაც ის ჩაის სვამს. მას, არისტიდ გორონს, მათთვის უნდა ეცნობებინა, რომ ლოუზების საქმე მშვიდობიანად დამთავრდა.

მუსიე გორონმა ღიმილით გაანათა მთელი რიუ დეზ ანჟი. ლოუზების საქმემ ლა ბანდელეტას პოლიციას უდიდესი სახელი მოუხვეჭა. თვით პარიზიდან ჩამოდიოდნენ აქ რეპორტიორები, განსაკუთრებით ფოტოგრაფები.

მუსიე გორონს ვერაფერი ვერ გაეგო, რატომ მოითხოვა დერმოტმა, რომ პროცესთან დაკავშირებით არ ეხსენებინათ მისი სახელი, და, რაც მთავარია, არ გადაღებინა ფოტოსურათი. მაგრამ რაკი ვიღაცას უნდა მიეწეროს სახელი კარგი გამოძიებისათვის... რას იზამ, რატომ უნდა გაუტეხო გული ხალხს?

დიახ, მუსიე გორონს უნდა გადაესინჯა თავისი წინანდელი ეჭვები ექიმ კინროსის მიმართ. მოაზროვნე მანქანაა — და მეტი არაფერი. გამოჩენილი პიროვნება. მთელი მისი სიცოცხლე ეწირება ფსიქოლოგიურ გამოცანათა გამოცნობას და მეტს არაფერს — ზუსტად ისე, როგორც თვითონ ეუბნებოდა პრეფექტს. ტვინს დაშლის როგორც საათის მექანიზმს, თვითონაც საათის მექანიზმია და მეტი არაფერი.

მუსიე გორონმა ვილა მირამარის ჭიშკარი შეაღო. მარცხნივ ბილიკი დაინახა, ვილას გარს რომ უვლიდა, და მას გაუყვა.

საერთოდ კი სასიამოვნოა, რომ ყველა ინგლისელი არ არის ისეთი ფარისეველი, როგორიც ეს მუსიე ლოუზი. ახლა მუსიე გორონი უკეთ იცნობს ინგლისელებს...

მუსიე გორონმა ბალახი ხელჯოხით გაკვალა და მხნედ შეუხვია კუთხეში. ბინდი ჩამოწვა, წაბლის ხეები გარინდებულიყო. გონებაში იმეორებდა წარმოსათქმელ სიტყვას და ამ დროს წინ ორნი დაინახა.

მუსიე გორონი ადგილზე გაშეშდა.

თვალები დააჭყიტა, შუბლზე დააჯდა.

კიდევ რამდენიმე წამს თვალი ვერ მოაშორა მათ. ის წესიერი, ზრდილობიანი კაცი იყო და სულაც არ გახლდათ წინაღმდეგი ყოველგვარი სიამოვნებისა. და გორონი შეტრიალდა და იქაურობას გასცილდა. მაგრამ ამასთან ის იყო სამართლიანი კაცი და უყვარდა, მასაც პატივისცემით რომ ექცეოდნენ. რიუ დეზ ანჟზე რომ გავიდა, მუმუნვარედ გააქნია თავი. ახლა უფრო ჩქარა მიაბიჯებდა ქუჩაში, ვიდრე უწინ. თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა ძალზე ხმადაბლა, რომ არავის გაეგონა, მაგრამ სიტყვა „ტრუ-ლა-ლა“ წამდაუწუმ სწყდებოდა ბაგეებიდან და საღამოს ჰაერში იკარგებოდა.

ეროსალო, ნარსეფაკი

ქალი, რომელიც ისეროსნელს გამოასალმეს



საზღვარგარეთული დეტექტივი

— ფერნან, გეეედრები, შეწყვიტე ოთახში სირბილი!..

რავინელი ფანჯარასთან გაჩერდა და ფარდა გადასწია. ნისლი ჩამოწოლილიყო, სავსებით ყვითელი ნავსადგურის ფარნების გარშემო, ხოლო ქუჩის აირმაშუქების ქვეშ — მომწვანო. ნისლი ხან სქელ, მძიმე ბოლქვებად იკვრებოდა, ხან კი ჟინჟღლის მბრწყინავ წვეთებად იცრებოდა. ბუნდოვნად მოჩანდა სატვირთო გემ „სმოლენას“ ცხვირი და მისი განათებული ილუმინატორები. რავინელმა მიაყურადა და მუსიკის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმები შემოესმა. გემზე პატეფონს უკრავდნენ. სწორედ პატეფონს, რადგან ყოველი მუსიკა დაახლოებით სამ-სამ წუთს გრძელდებოდა. მერმე მცირე ხნით პაუზა ჩამოვარდებოდა. ცხადია, ფირფიტას აბრუნებდნენ. და ისევ მუსიკის ჰანგები იღვრებოდა.

— ჰ-ოო, სახიფათოა, — შენიშნა რავინელმა. — ერთიც ენახოთ და, გემიდან მირეის შემოსვლა დაინახეს?

— შენც იტყვი ხოლმე...—აღშფოთდა ლიუსიენი.—გაფრთხილდება. მერე ისინი ხომ უცხოელები არიან! რა შეუძლიათ თქვენ?

მან ამონასუნთქი ჰაერით დაორთქლილი მინა სახელოთი გაწმინდა. ბაღჩის ღობეზე რომ გადაიხედა, მარცხნივ მკრთალ სინათლეთა პუნქტირი და უცნაური თანავარსკვლავედი დაინახა, თითქოს ტაძარში ანთებული სანთლების ენები ციცინათელების მწვანე მოციმციმე წერტილებს შერევიანო. რავინელმა ადვილად იცნო ფოსის სანაპიროს შეჭრილ-შემოჭრილი ხაზი, ბირჟის ძველი სადგურის სემაფორი, ღამით ბორნის შემოსასვლელის ჩამკეტი ჯაჭვზე ჩამოკიდებული სანიშნო ფარანი და პროექტორები, „კანტალიას“, „კასარიას“ და „სმოლენას“ მისაბმელ ადგილებს რომ აშუქებდა. მარჯვნივ გადიოდა ერნესტ-რენოს სანაპირო. აირმაშუქები მკრთალად და სევდისმომგვრელად დაჰნათოდა რელსებსა და სველ ქვაფენილს: „სმოლენას“ გემბანზე პატეფონი ვენის ვალსებს უკრავდა.

— იქნებ მოსახვევამდე მაინც მოვიდეს ტაქსით? — ივარაუდა ლიუსიენმა.

რავინელმა ფარდა გაასწორა და შემობრუნდა.

— არა მგონია, ძალიან ხელმოჭერილია, — წაიბურტყუნა მან.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. რავინელმა კვლავ დაიწყო ოთახში ბოლთისცემა. თერთმეტი ნაბიჯი ფანჯრიდან კარებამდე და — უკან. ლიუსიენი მანიკიურს იკეთებდა, დროდადრო ხელს სინათლეს უშვერდა. თვითონ არ გაუხდია პალტო, სამაგიეროდ ის აიძულა მოეხსნა საყელო და ჰალსტუხი, ჩაეცვა საშინაო ხალათი და ფლოსტები. „შენ ახლახან მოხვედი. დაღლილი ხარ. რაც შეიძლება მყუდროდ მოეწყობი და ივახშმებ, — გაიგე?“.

მან გაიგო. ყველაფერი კარგად გაიგო. მეტისმეტად კარგად. ლიუსიენმა ყველაფერი გაითვალისწინა. ბუფეტიდან სუფრის გამოღება უნდოდა, მაგრამ არ აცალეს.

— არავითარი სუფრა. შენ მოხვედი. მარტო ხარ. სახელდახელოდ დანაყრდები პირდაპირ მუშამბაზე. — გაისმა ლიუსიენის ხრინწიანი, მბრძანებლური ხმა.

ლიუსიენმა თვითონ დაუდგა თეფში. ღვინიან ბოთლსა და გრაფინს შუა სახვევიანად დაუგდო ლორის ნაჭერი. კამამბერიან კოლოფზე ფორთოხალი დაუდო.

„საუცხოო ნატურმორტია“, — გაუელვა თავში რავინელს. უცებ ხელისგულები გაუოფლიანდა, სხეული დაეძაბა და ადგილზე გაქვავდა.

— რაღაც გვაკლია, — განაგრძო ლიუსიენმა — მაშ ასე. ტანისამოსი უკვე გამოიცვალე. სავახშმოდ ემზადები... მარტო... მიმღები არა გაქვს... აა! ყველაფერი ნათელია! ამ დღის შეკვეთებს გადაათვალიერებ. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისეა, როგორც ყოველთვის!

— მაგრამ გარწმუნებ...

— მომაწოდე ერთი ხელსახოცი!

ლიუსიენმა მაგიდის კიდეებზე დაყარა მანქანაზე ნაბეჭდი ბლანკები, დაშნებივით გადაჯვარედინებული ანკესისა და პეპლების საჭერი ბადის გამოსახულებებით: „ფირმა ბლაში და ლიუედე — 145, მაჟანტის ბულვარი — პარიზი“.

ცხრის ოცი წუთი იყო. რავინელს ზუსტად წუთობით შეეძლო ყველაფერი ჩამოეთვალა, რაც კი რვა საათამდე გააკეთა. ჯერ ყურადღებით დაათვალიერა საბაზანო და დარწმუნდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო და არავითარ მზაკვრობას აქ ადგილი არ ექნებოდა. ფერნანს წინასწარაც კი უნდოდა აბაზანის ავსება. მაგრამ ლიუსიენმა ნება არ დართო.

— თავად განსაჯე. ის ყველაფრის დათვალიერებას მოინდომებს. აუცილებლად დაინტერესდება, რატომაა აბაზანაში წყალი.

წაჩხუბებაღა აკლდათ. ლიუსიენი უგუნებოდ იყო. მიუხედავად გულცივი თავდაჭერილობისა, მაინც იგრძნობოდა, რომ დაძაბული და აღელვებული იყო.

— თითქოს არ შეგესწავლოს... ხუთი წლის მანძილზე, ჩემო საბრალო ფერნან.

სავსებით არ იყო დარწმუნებული, რომ ცოლი შესწავლილი ჰყავდა. ქალი! მასთან სადილობ, მასთან წევხარ. კვირაობით კინოში დაგყავს. ფულს აგროვებ, რომ ქალაქგარეთ პატარა სახლი უყიდო. გამარჯობა, ფერნან! გამარჯობა, მირეი! მას ლამაზი ტუჩები აქვს და ცხვირის გარშემო პატარა ჭორფლები აყრია, რომლებსაც მხოლოდ მაშინ ამჩნევ, როდესაც ჰკოცნი. მირეი ძალიან ჰაეროვანია. გამხდარი, მაგრამ მაგარი. ნერვული, სანდომიანი, ლამაზი პატარა ქალია. რატომ შეირთო ცოლად? და განა იცის, რატომ შეირთო ცოლი? უბრალოდ დრო დაუდგა. ოცდაცამეტმა მოუკაკუნა. დაღალა სასტუმროებმა და სასაუზმეებმა. რა არის სასიხარულო კომივოიაჟორის ცხოვრებაში? ოთხი დღე გზებსაა გაკრული. მხოლოდ ისღა აქვს სასიხარულო, რომ შაბათს უბრუნდება თავის პატარა სახლს ანგიანში და ხვდება სამზარეულოში კერვით გართულ მირეის ღიმილს.

კარებიდან ფანჯრამდე თერთმეტი ნაბიჯია. „სმოლენას“ ილუმინატორები, ოქროს სამი დისკო, სულ უფრო დაბლა ეშვებოდა — იწყებოდა უკუქცევა. შანტენიდან ნელა მოიზლაზნებოდა პატარა საბარგო. რელსების პირაპირებზე ღრჭიალებდა თვლები, ვაგონების კრიალა, სველი სახურავები სემაფორის ახლოს ნელა მიცურავდა. მემუხრუჭე კონდუქტორის ჯიხურიანი, ძველი გერმანული პულმანი ბუფერებზე წითელი

ნათურების ციმციმით სულ ბოლოს შთაინთქა ღამეში. ისევ გაისმა პატეფონის ხმა.

ცხრას თხუთმეტი წუთი აკლდა, მხნეობის მოსაკრებად თითო სირჩა კონიაკი დალიეს. რავინელმა უკვე ფეხთ გაიხადა, ჩაიცვა ძველი, წინა მხარეს ჩიბუხით ამომწვარი ხალათი, ლიუსიენმა სუფრა გაშალა. საუბარი ვერ აეწყო. ცხრა საათსა და თექვსმეტ წუთზე რენადან მომავალმა ავტომოტრისამ ჩაიარა. სასადილო ოთახის ჰერზე სინათლის ათინათები ათამაშდა და დიდხანს გაისმოდა თვლების მკაფიო კაკუნი.

მატარებელი პარიზიდან მხოლოდ ათ საათსა და ოცდათერთმეტ წუთზე ჩამოვა. წინ იყო მთელი ერთი საათი! ლიუსიენი უხმაუროდ ხმარობდა პატარა ხერხს. ბუხარზე დადგმული მაღვიძარა აჩქარებით წიკწიკებდა, თითქოს საცაა შეფერხდება, ამოვარდება რიტმიდანო, მაგრამ უმალვე განახლდებოდა ოდნავ სხვაგვარი ტონალობით. რავინელმა ჯიბეებიდან ხელები ამოიღო, ზურგს უკან დაიწყო და განაგრძო ბოლთისცემა. დროდადრო გაქვავებულსახიან, ახალ, უცნობ ლიუსიენს გადახედავდა ხოლმე. ღმერთო ჩემო, რა საქმე წამოიწყეს... ეშმაკმა უწყის რა. ერთიც ვნახოთ და მირეიმ ვერ მიიღო ლიუსიენის წერილი? ანდა ავად გახდა? ერთიც ვნახოთ და...

რავინელი სკამზე დაეშვა ლიუსიენის გვერდით.

— აღარ შემიძლია.

— გეშინია?

მან შეუღრინა:

— გეშინია! გეშინია! შენზე მეტად არა!

— კარგი იქნებოდა...

— აი, მხოლოდ ლოდინი... ციებ-ცხელებიანივით მაკანკალებს. ლიუსიენმა მაშინვე გამოცდილი ხელით გაუსინჯა მაჯა და სახე დაღმიქა.

— აბა. რას გეუბნებოდი, — განაგრძო რავინელმა. — აი ნახავ, ავად გავხდები. და კარგი დღე არ დაგვადგება.

— ჯერ კიდევ არის დრო, — ცივად შენიშნა ლიუსიენმა.

ქალი წამოდგა, ნელა შეიკრა პალტო, დაუდევრად გაისწორა მოკლედ შეკრეჭილი მუქი, წაბლისფერი კულულები.

— რას აპირებ, — წაილუღლუღა რავინელმა.

— ეს შეუძლებელია!

— მაშინ გამაგრდი... რისა შეგეშინდა?

დაუსრულებელი ისტორიაა! ეჰ! მან ზეპირად იცოდა ლიუსიენის ყველა მოსაზრება. მრავალი დღის განმავლობაში აპოწმებდა და განიხილავდა. განა იოლი იყო მისთვის ასეთი ნაბიჯის გადადგმა? რავინელი ისევ ხედავს მირეის სამზარეულოში: აუთოებს და წამდაუწუმ საქმეს თავს ანებებს ქვაბში კერძის მოსარევად. რა მშვენივრად გამოსდიოდა ტყუილი! თითქმის ძალდაუტანებლად, დალაგებულად.

— გრადერს შევხვდი, ერთად ვმსახურობდით პოლკში. მგონი გითხარით არა? ახლა სადაზღვეევო კომპანიაშია. ეტყობა, კარგი გამომუშავება აქვს.

მირეი ქვედა საცვლებს აუთოებს. უთო მოელვარე წვერით ფრთხილად დასრიალებს ღილებს შორის და თეთრ მბოლავ ბილიკს ტოვებს.

— ის დიდხანს ჩამჩიჩინებდა, როგორ დამეზღვია თავი უკეთ.

...ოჰ! სიმართლე გითხრა, თავდაპირველად ეს სისულელე მეგონა, კარგად ვიცი, რა შვილებიც არიან. უპირველეს ყოვლისა საკომისიებზე ფიქრობენ. ეს უკვე ბუნებრივია... და მაინც კარგად თუ დაუფიქრდები...

მირეი უთოს რთავს და სადგარზე დებს.

— ჩვენს ფირმაში ქვრივებს პენსია არ ეკუთვნის. მე კი სულ გზაში ვარ, ყოველგვარ ამინდში... ერთიც ვნახოთ და ავარია-შემემთხვა. მაშინ რა მოგელის შენ? არავითარი დანაზოგი არა გვაქვს. გრადერმა კი ერთი პატარა ვარიანტი შემომთავაზა. შესატანი ცოტაა, მოგება კი დიდია. მე თუ აღარ ვიქნები... ეშმაკმა დალახვროს! ვინ იცის, ვის უწერია სიცოცხლე და ვის სიკვდილი... შენ კი ორ მილიონს მიიღებ.

აი მესმის! აი ეს არის სიყვარული! — მირეი აღელდა...

„რა კეთილი ხარ, ფერნან!“

რჩებოდა ყველაზე ძნელი — მიეღწია იმისათვის, რომ მირეის მოეწერა ხელი დაზღვევის ანალოგიურ პოლისზე, უკვე მის სასარგებლოდ. მაგრამ როგორ დაეწყო საუბარი ასეთ საჩოთირო თემაზე?

და აი ერთი კვირის შემდეგ საბრალო მირეიმ თავად შესთავაზა მას.

— ჩემო კარგო! მეც მინდა დაზღვევის პოლისზე ხელის მოწერა. ვინ იცის, ვის უწერია სიკვდილი და ვის სიცოცხლე: შენ თავად თქვი ასე... ვაითუ შენ დარჩე მარტოდმარტო, მოსამსახურისა და ღვიძლი ადამიანის გარეშე.

რასაკვირველია, ის ცოლს შეედავა. ზრდილობის წესები დაცულ იქნა. და მან ყველაფერზე მოაწერა ხელი. მას აქეთ ორ წელზე მეტი გავიდა.

ორი წელი! ვადა, რომლის განმავლობაში სადაზღვევო კომპანიები თავს იკავებენ სადაზღვევო თანხის გადახდისაგან კლიენტის თვითმკვლელობის შემთხვევაში. ლიუსიენს შემთხვევის იმედი არასოდეს არ ჰქონდა, ვინ იცის, რა დასკვნას გამოიტანენ გამოძიებისას? საჭიროა, დაზღვეულებს იოტისოდენა მიზეზიც კი არ ჰქონდეთ კინკლაობისათვის...

ყველაფერი, უმნიშვნელო რამეც კი, საგულდაგულოდ იყო მოფიქრებული. ორი წელი საკმაო დროა ყველაფრის გასათვალისწინებლად, ასაწონ-დასაწონად, ასჯერ გასაზომად და ერთხელ გასაჭრელად, არა, საშიში აბსოლუტურად არაფერია.

ათი საათია. რავინელი წამოდგა და ფანჯარასთან მდგომ ლიუსიენთან მივიდა. სველ ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ იყო. მან ლიუსიენს მკლავში ხელი გამოსდო.

— ვერ ვერევი თავს, ვერაფერს გავხდი. ნერვები მღალატობს როგორც კი გავიფიქრებ...

— შენც ნუ ფიქრობ.

იდგნენ ასე გაუნძრევლად, გვერდიგვერდ და გრძნობდნენ, რა მძიმე ტვირთად აწვათ ჩამოვარდნილი სიჩუმე. ამ სიჩუმეში გამალებით ითვლიდა წამებს მაღვიძარა. მათ ზურგს უკან ტალღებზე რიტმულად ირხეოდა „სმოლენსკი“ მკრთალი ილუმინატორები. ნისლი წვებოდა, პატეფონის ხმა კი თანდათან წყდებოდა და ახლა ტელეფონის დუდღუნა წკარუნს მოგაგონებდათ.

რავინელმა უკვე აღარ იცოდა, რომელ ქვეყანაში იყო. ბავშვობაში მას ასე წარმოედგინა სალხინებელი: დიდი ხნის ლოდინი ნისლში; ხანგრძლივი, გულის გამაწვრილებელი ლოდინი; ის თვალებს ხუჭავდა და ეჩვენებოდა, რომ უფსკრულში ვარდებოდა. შიშისაგან თავბრუ ესხმოდა და მაინც

ეს სასიამოვნო იყო; დედა შეანჯღრევდა ხოლმე: „რას შვრები, სულელო?“

— ვთამაშობ.

შემცბარი, დაბნეული, დაბნაშავესავით ისევ გაახელდა თვალებს. მოგვიანებით, როდესაც აბატმა ჟუსომ პირველი ზიარების დროს ჰკითხა: „ცუდი აზრები ხომ არ მოგდის? ხომ არაფრით წაგიბილწავს უბიწოებაო“,—მას მაშინვე გაახსენდა ნისლში თამაშის ამბავი. დიახ, მასში ნამდვილად იყო რაღაც უწმინდური, ბიწიერი და მაინც მთელი სიცოცხლე თამაშობდა ამ თამაშს. წლითიწლობით სრულყოფდა მას. მან ისწავლა საკუთარ თავში უცნაური გრძნობის გამოხმობა, თითქოს უჩინარდებოდა და ღრუბელივით იფანტებოდა... მაგალითად, მამის დაკრძალვის დღეს... მაშინ მართლაც ისეთი სქელი ნისლი იწვა, კატაფალკი მის უფსკრულში ფსკერისაკენ მიმავალი გემივით იძირებოდა. ეს იყო სხვა სამყაროში გადასვლა. არც ნაღვლიანი, არც მხიარული. სრული სიმშვიდე ჩამოვარდა აკრძალულ ზღვარს მიღმა..

— თერმომეტის ოცი წუთია.

— რაო?

და რავინელი ისევ ცუდად განათებულ, ღარიბად მორთულ ოთახში, შავპალტოიანი ქალის გვერდით აღმოჩნდა. აი ის ჯიბიდან იღებს შუშას. ლიუსიენი! მირეი! მან ღრმად ამოისუნთქა და სიცოცხლისაკენ იბრუნა პირი.

— აბა! ფერნან! გამოცოცხლდი, მოხადე თავი გრაფინს. ლიუსიენი მას როგორც პატარა ბიჭუნას, ისე ელაპარაკებოდა. ამიტომაც უყვარდა იგი — ექიმი ლიუსიენ მოგარი. კიდევ ერთი სულელური, უადგილო აზრი... ექიმი ლიუსიენ მოგარი — მისი საყვარელია! ზოგჯერ ეს მას უბრალოდ დაუჯერებლად, საოცრადაც კი ეჩვენებოდა. ლიუსიენმა შუშის შიგთავსი წყლიან გრაფინში ჩაასხა და ნარევი შეანჯღრია.

— აბა ერთი დაყნოსე. არავითარი სუნი არა აქვს.

რავინელმა ცხვირი გრაფინთან მიიტანა. სწორია, არავითარი სუნი არა აქვს. მან ჰკითხა:

— დარწმუნებული ხარ, რომ დოზა არც ისე დიდია?

ლიუსიენმა მხრები აიჩეჩა.

— თუ მთელ გრაფინს დალევს, მაშინ პირობას ვერ მოგ-

ცემ. ჯერ ესეც არ ვიცი. მაგრამ ის ხომ ერთ ან ორ ჭიქას დალევს. დამშვიდდი, მე ვიცი, როგორ იმოქმედებს! ის მაშინვე დაიძინებს, შეგიძლია მენდო.

— ვერც გაკვეთის დროს აღმოაჩენენ ვერავითარ კვალს?

— ეს ხომ საწამლავი არაა, ჩემო საბრალო ფერნან, დასაძინებელია, მაშინვე შეიწოვება... აბა დაჯექი მაგიდასთან!

— იქნებ, ცოტა ადრეა?

ისინი ერთდროულად მიაჩერდნენ მაღვიძარას. ათს აკლდა ოცდახუთი წუთი. პარიზის მატარებელი ახლა მახარისხებელ სადგურს გადის ბლოტერიერში. ხუთი წუთის შემდეგ ის სადგურ ნანტსამგზავროსთან გაჩერდება. მირეიმ სწრაფი სიარული იცის. გზას იგი ოც წუთზე მეტს არ მოანდომებს, უფრო ნაკლებსაც, თუ კომერსის მოედნამდე ტრამვაით მოვა.

რავინელი დაჯდა და ლორს სახვევი შემოაცალა. მოვარდისფრო ხორცის დანახვაზე კინაღამ გული აერია. ლიუსიენმა ღვინო დაუსხა, უკანასკნელად მოავლო თვალი ოთახს და, მგონი, კმაყოფილი დარჩა.

— აბა, მე წავედი... დროა... ნუ ნერვიულობ, მოიქეცი ისე, ვითომც არაფერი... — აი ნახავ — ყველაფერი კარგად იაიელის.

სანამ წავიდოდა, რავინელს გადაეხვია, შუბლზე აკოცა და ერთხელ კიდევ შეავლო თვალი. რავინელმა გადაწყვეტილება მიიღო, მოიჭრა ლორის ნაჭერი და ღეჭვა დაუწყო. ლიუსიენის გასვლა არ გაუგია, მაგრამ რაღაც განსაკუთრებულმა სიჩუმემ აგრძნობინა, რომ მარტო დარჩა და ისევ მოუსვენრობა დაეტყო. ცდილობდა მეხსიერებაში აღედგინა თავისი ჩვეული ჟესტები — პურს ანამცეცებდა, დანის წვერით მუშამბაზე მარშს უკრავდა, დაბნეულად ათვალიერებდა საბეჭდ მანქანაზე ღაბეჭდილ ანგარიშებს:

სპინინგი „ლუქსორი" (10) — 30 ათასი ფრანკი.

მოდელის „სოლონის" ჩექმები (20 წყ.) — 31500 ფრანკი.

ხელჯოხები — „ფლექსორი" მასიური ბუნიკით — 22300 ფრანკი.

მაგრამ ეს ცუდად გამოუდიოდა. ერთი ნაჭერიც ვერ გადაყლაპა. სადღაც შორიდან — შანტენეს მხრიდან თუ ვანდეის ხიდიდან — ორთქლმავლის საყვირის ხმა მოისმა. ამ

დაწყევლილ ნისლში ვერაფერს გაარჩევ. გაიქცეს? ლიუსიენი ალბათ სანაპიროზეა სადმე მიმალული. გაიქცეს? გვიანაა, მირეის უკვე ვეღარ უშველის. და ყველაფერი ეს რაღაც ორი მილიონისათვის! ლიუსიენის პატივმოყვარეობისათვის, რომელმაც მის ხარჯზე მოინდომა ანტიბში დასახლება. ლიუსიენმა ყველაფერი აწონ-დაწონა. მას საქმოსნის ჭკუა აქვს, სრულყოფილი გამომთვლელი მანქანაა. ყველაზე ურთულეს გაანგარიშებებს წამში ალაგებს თავში. არცერთ შეცდომას არ უშვებს. საკმარისი იყო ნახევრად დაეხუჭა თვალები და ჩაებურტყუნა: „ყურადღება! მხოლოდ არ აურიო!"—რომ სისტემა ამოქმედდა. პასუხი ამომწურავი და ზუსტი იყო. აი ის კი...

მას მუდამ ერეოდა ანგარიშები, საათობით იქექებოდა, სინჯავდა ქაღალდებს, ავიწყდებოდა, ვინ ვაზნები შეუკვეთა და ვინ—სათევზაო ბამბუკის ჯოხები. მობეზრდა თავისი სამუშაო. სამაგიეროდ ანტიბში...

რავინელი მოელვარე გრაფინს მიაჩერდა; მინაში ასარკული პურის პატარა ნაჭერი ღრუბელს აგონებდა.

ანტიბი! მდიდრული მაღაზია... ვიტრინებში სასულე თოფები წყალქვეშა ნადირობისათვის, სათვალეები, ნიღბები, მსუბუქი საყვინთი კოსტიუმები... კლიენტურა — წყალქვეშა ნადირობაზე დახარბებული მდიდრები. ზღვა. მზე. მხოლოდ ლაღი, სასიამოვნო აზრები, რომლებიც არ გაგაწითლებენ. არც შენი ლუარისა და ვილენის ნისლი და არც ნისლში თამაში. ის სხვა კაცი გახდება — ასე დაპირდა ლიუსიენი. მომავალს თვალნათლივ ხედავს. რავინელმა უკვე წარმოიდგინა თავი თხელ ფლანელის შარვალში და ლაკოსტის პერანგში; გარუჯულია და ყველას მასზე რჩება თვალი...

მატარებელმა თითქმის ზედ ფანჯრის წინ დაუსტვინა, რავინელმა თვალები მოისრისა, წამოდგა, ფარდის ბოლო ასწია. ეს ალბათ პარიზ-კემპერის მატარებელია, ანგიანში ხუთწუთიანი დგომის შემდეგ რედონისაკენ რომ მიემართება. მირეი ჩამოვიდა ერთ-ერთი ამ განათებული ვაგონით, რომელსაც გზატკეცილით უკან მისდევდა თეთრი კვადრატების მწკრივი. აი სარკეებიანი და მაქმანიანი კუპე. იქ არავინ არის, დანარჩენები კი სავსეა მეზღვაურებით, რომლებიც კევს ღეჭავენ და ხარხარებენ. მირეი სადღაა? ბოლო კუპეში ეძინა

ვიღაც მამაკაცს, რომელსაც სახე დაკეცილი გაზეთით დაეფარა. ბოლო საბარგო ვაგონი შორეთში გაუჩინარდა და აქ რავინელმა შეამჩნია, რომ „სმოლენას“ გემბანზე მუსიკა აღარ უკრავდა. აღარც ილუმინატორები მოჩანდა. მირეი ალბათ სადღაც მახლობლად მოგბაკუნებს უკაცრიელ ქუჩაში თავისი წვრილქუსლიანი ფეხსაცმელებით. შესაძლოა, ჩანთაში რევოლვერი უდევს — სწორედ ის, მან რომ დაუტოვა, სამსახურის საქმეებზე გამგზავრების წინ. მაგრამ ქალმა არ იცის მისი გამოყენება. რავინელმა ყელში ჩაავლო ხელი გრაფინს და სინათლესთან ახლოს მიიტანა: წყალი გამჭვირვალეა, ნარკოტიკი არ დაილექა. მან თითი დაისველა, გალოკა. წყალს ოდნავ სხვა გემო დაჰკრავდა. თითქმის შეუმჩნეველი. თუ არ იცი, ვერაფერს მიხვდები...

თერთმეტს უკლია ოცი წუთი.

რავინელმა თავს ძალა დაატანა და ლორის რამდენიმე ნაჭერი გადაყლაპა. ის უკვე განძრევასაც ვეღარ ბედავდა. დაე ასე ნახოს მირეიმ, მარტოხელა, მოღუშული, დაღლილი, მაგიდის კუთხეში ღარიბულ ვახშამს რომ შეექცევა. უცებ რავინელმა ყური მოკრა ცოლის ფეხისხმას ტროტუარზე. შეცდომა გამორიცხულია. მან თითქმის უხმაურო სიარული იცის. და მიუხედავად ამისა, ათასი კაცის ფეხის ხმაში გამოარჩევდა ამ ვიწრო ქვედაკაბისაგან შებორკილ, აჩქარებულ ნაბიჯებს. ოდნავ დაიჭრიალა ჭიშკარმა და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მირეიმ ფეხის წვერებით გაიარა ბაღჩა და ფრთხილად მოკიდა ხელი კარის სახელურს. რავინელი გონს მოვიდა და კვლავ ლორისაკენ წაიღო ხელი. ის უნებლიეთ დაჯდა სკამზე, ოდნავ გვერდშექცევით. მას ზურგს უკან კარი აშინებდა. მირეი, რასაკვირველია, უკვე მიეკრა საგდულს, ყური მიადო და უსმენს. რავინელმა ჩაახველა, ღვინიანი ბოთლის ყელი ჭიქის ნაპირზე გააწკარუნა და ბლანკების ფურცლები ააშრიალა. იქნებ ქალი კოცნის ხმის გაგონებას ელოდება...

მირეიმ კარები შემოაღო. რავინელი მობრუნდა.

— შენა ხარ?

მირეი თავის ლურჯ კოსტიუმში, გახსნილი საგზაო პალტოს ქვეშ რომ ეცვა, ბიჭივით კაფანდარა ჩანდა. იღლიაში ამოეჩარა დიდი შავი ჩანთა მონოგრამით — მ. რ. გამხდარი

თითებით ნერვულად ჭმუჭნიდა ხელთათმანს, ის ქმარს კი არ უყურებდა, არამედ ბუფეტს, სკამებს, მიხურულ ფანჯარას, მერმე მზერა გადაიტანა გაშლილ სუფრაზე, ფორთოხალზე და ყველიან კოლოფსა და გრაფინზე. მან ორი ნაბიჯი გადადგა და მოიხსნა პატარა ვუალი, რომელზედაც წვიმის წვეთები შერჩენოდა.

— სად არის ის? მითხარი, სად არის?

თავზარდაცემული რავინელი ნელა წამოდგა.

— ვინ — ის?

— ის ქალბატონი... მე ყველაფერი ვიცი... უმჯობესია სიმართლე თქვა.

რავინელმა უნებლიეთ სკამი დაუდგა, ორად მოიხარა, გაკვირვებისაგან შუბლი შეიჭმუხნა, ხელები გაშალა და ჩაილაპარაკა.

— მირეი, ძვირფასო!.. რა დაგემართა? ნუთუ ეს შენა ხარ?

მირეი სკამზე დაეშვა, ხელები სახეზე აიფარა და აქვითინდა. ქერა თმის კულულები ლრრიან თეფშში ჩაებნა. დაბნეული, შეძრწუნებული რავინელი მხარზე უთათუნებდა ხელს.

— კმარა! გეყოფა!.. დამშვიდდი! ეს რა სულელური ეჭვებია? შენ გგონია, გღალატობ?.. ჩემი საბრალო გოგონა! აბა, კარგი! გეყოფა! მერე გეტყვი.

მან წამოაყენა ცოლი, წელზე მოხვია ხელი და ნელა წაიყვანა. ის კი, მის მკერდზე მიკრული, გულამოსკვნით ტიროდა.

— აბა, ყველაფერი კარგად დაათვალიერე. ნუ გეშინია.

მან ფეხი ჰკრა საწოლი ოთახის კარს, ხელის ფათურით მოძებნა გამომრთველი და თან ძველი კეთილი მეგობარივით ხმამაღლა და ბუზღუნით ელაპარაკებოდა.

— ცნობ საწოლ ოთახს, ჰა?.. აი, საწოლი, კარადა და ყველაფერი... არავინაა. საწოლის ქვეშაც არავინაა, არც კარადაშია ვინმე... დაყნოსე... რა თქმა უნდა თამბაქოს სუნია, ძილის წინ ვეწევი... სუნამოების არავითარი კვალი, შეგიძლია შემოხვიდე... სააბაზანოშიც შეიხედე... სამზარეულოშიც, არავინ არაა გეთაყვა!

მან ხუმრობით სამზარეულოს კარადაც კი გამოაღო, მირეიმ თვალები მოიწმინდა და გაიღიმა. მან ოდნავ წაჰკრა მას ხელი და ყურში ჩასჩურჩულა:

— დარწმუნდი გოგონა? მომწონს კიდეც, რომ ეჭვიანობ.. მაგრამ გაუდგე ასეთ გზას... ნოემბერში! ღმერთმა უწყის, რა არ მოიგონეს.

ისინი სასადილო ოთახში დაბრუნდნენ.

— ეშმაკმა დალახვროს! გარაჟი კი დაგვავიწყდა!

— სახუმარო არაფერია, — წაიტიტინა მირეიმ და კინაღამ ხელახლა ატირდა.

— აბა, დაიწყე! მომიყევი მთელი ტრაგედია. აი, დაჯექი სავარძელში, მე კი ბუხარში ცეცხლს ავაგუზგუზებ... ძალიან დაიღალე? ვხედავ, ვხედავ, არაქათი გამოგლეკია! უფრო მოხერხებულად დაჯექი.

მან ელექტრობუხარი ცოლს ფეხებთან დაუდგა, ქუდი მოხადა და სავარძლის სახელურზე მოიკალათა.

— ანონიმური წერილი მიიღე არა?

— ანონიმური რომ იყოს, რა უშავს! თვით ლიუსიენმა მომწერა.

— ლიუსიენმა! წერილი შენთანაა?

— რასაკვირველია!

მან ჩანთა გახსნა და წერილი ამოიღო. რავინელმა ხელიდან გამოსტაცა კონვერტი.

— დიახ, მისი ხელია! წარმოგიდგენია!

— ო-ო! ხელის მოწერასაც კი არ მორიდებია.

რავინელმა თავი მოაჩვენა, თითქოს კითხულობდა. მან ზეპირად იცოდა ეს სამი გვერდი, რომელიც ლიუსიენმა მისი თანდასწრებით გუშინწინ დაწერა: „ბანკ „ლიონის კრედიტის" ქერა, ახალგაზრდა მემანქანე ქალი ყოველ საღამოს მასთანაა. დიდხანს ვყოყმანობდი, არ ვიცოდი, გამეფრთხილებინეთ, თუ არა, მაგრამ..."

რავინელი ბოლთას სცემდა ოთახში და მუშტებს კუმშავდა.

— წარმოუდგენელია! ლიუსიენი გადარეულია.

მან თითქოსდა უნებლიეთ წერილი ჯიბეში ჩაიდო და საათს დახედა.

— მგონი უკვე გვიანაა... და თანაც ოთხშაბათობით ის

საავადმყოფოშია... საწყენია. ახლავე გავერკვეოდით იმ იდიოტურ ამბავში. არა უშავს, ვერსად გაგვექცევა.

ის უცებ შეჩერდა და გაოცების ნიშნად ხელები გაშალა.

— ოჯახის მეგობრადაც კი მოაქვს თავი. ჩვენ თითქმის ნათესავადაც მიგვაჩნია ის. მაინც რატომ მოიქცა ასე? რატომ?..

მან ჭიქაში ღვინო დაისხა და სულმოუთქმელად დალია.

— შეგეჭამა პატარა ნაჭერი?

— არ მინდა, გმადლობთ.

— მაშინ ღვინო დაგელია?

— არა. ერთ ჭიქა წყალს დავლევ.

— როგორც გენებოს...

მან გრაფინი აიღო, ჭიქაში წყალი დაასხა და მირეის წინ დაუდგა.

— იქნებ ვინმემ მიამსგავსა მის ნაწერს და ყალბი ხელმოწერა გააკეთა?

— სისულელეა! მე მას ძალიან კარგად ვიცნობ. ქაღალდსაც! წერილი ნამდვილად აქედანაა გამოგზავნილი; დახედე შტემპელს. „ნანტი". გამოგზავნილია გუშინ. მე ის ოთხსაათიანი ფოსტით მივიღე. არა! პირდაპირ საშინელებაა!

მან ცხვირსახოცი მოისვა ლოყებზე და ჭიქისკენ წაიღო ხელი.

— ოჰ! ერთი წამითაც კი არ მიფიქრია!

— გიცნობ!

რავინელმა ალერსიანად გადაუსვა თავზე ხელი.

— შესაძლებელია, ლიუსიენს უბრალოდ შურს ჩვენი, — წაიბურტყუნა მან, — ხედავს, როგორი მეგობრები ვართ... ზოგიერთებისათვის აუტანელია სხვათა ბედნიერება. ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ არ ვიცით, რას ფიქრობს ის? სამი წლის წინათ, ავად რომ გახდი, როგორ გიყლიდა... დიახ... ორგულობას ვერ დასწამებ. მან გადაგარჩინა. ჰმ! მაშინ არავის ეგონა, რომ გადარჩებოდი... მაგრამ ბოლოს და ბოლოს ადამიანის ხსნა მისი პროფესიაა... მერე კიდევ, შეიძლება მას უბრალოდ ბედნიერი ხელი აქვს, თანაც ტიფით ყოველთვის ხომ არ კვდებიან.

— სწორია, მაგრამ გაიხსენე, როგორი გულითადი იყო...

პარიზში „სასწრაფო დახმარების“ მანქანით ჩემი გადაყვანაც კი უბრძანა.

— გეთანხმები! მაგრამ ჩვენ საიდან ვიცით? შეიძლება, უკვე მაშინ გადაწყვიტა ჩვენს შორის ჩადგომა? აი ახლა მახსენდება... რომ ის მეკეკლუცებოდა. მიკვირდა კიდეც, ასე ხშირად რომ ვხვდებოდი მას. მირეი, მითხარი, ხომ არ შევუყვარდი?

მთელი ამ საღამოს განმავლობაში მირეის პირველად გადაურბინა სახეზე ღიმილმა.

— შენ? იცი რა, ძვირფასო! ნუ მოიგონებ რაღაცას!

მან პატარ-პატარა ყლუპებით დალია წყალი და ცარიელი ჭიქა ვადადგა. როდესაც შენიშნა, რავინელი გაფითრდა და თვალები გაუბრწყინდა, ხელი ხელზე მოუჭირა და დაუმატა.

— ნუ გაჯავრდები, ძვირფასო, მე ხომ განგებ, შენს გასაღიზიანებლად ვთქვი... სამაგიერო ხომ უნდა გადამეხადა!

2

— ვფიქრობ, ძმას მაინც არ ეტყოდი...

— ესღა მაკლდა! ჯერ ერთი, სირცხვილით დავიწვებოდი... მეორეც... ვეღარც მატარებელს მივუსწრებდი.

— მაშასადამე, შენი აქ წამოსვლის ამბავი არავინ იცის?

— არავინ! ანდა ვისთვის უნდა ჩამებარებინა ანგარიში?— რავინელმა გრაფინისაკენ წაიღო ხელი.

მან დინჯად აავსო ჭიქა წყლით და მაგიდაზე გაფანტული ფურცლები შეაგროვა. „ფირმა ბლანში და ლიუედე“... წუთით ჩაფიქრდა.

— მაგრამ სხვაგვარ ახსნას მე ვერ ვხედავ. ლიუსიენს ჩვენი განშორება უნდა. აბა გაიხსენე... გახსოვს, ზუსტად ერთი წლის წინათ, როდესაც ის პრაქტიკულ სწავლებას გადიოდა პარიზში? დამეთანხმები, მას ხომ მშვიდად შეეძლო საავადმყოფოში ანდა სასტუმროში მოწყობილიყო... მაგრამ არა... მაინცდამაინც ჩვენთან დასახლდა.

— სწორია... ისღა გვაკლდა, ჩემდამი გამოჩენილი ამდენი ყურადღების შემდეგ შინ არ მოგვეწვია!

— რასაკვირველია. მაგრამ რაში სჭირდებოდა ჩვენი ნდობის მოპოვება? ცოტაც და ის სრულუფლებიან დიასახლისად იგრძნობდა თავს. შენ უკვე ისე გექცეოდა, როგორც მოახლეს.

— შენც იტყვი ხოლმე... თავის ჭკუაზე არ გათამაშებდა?

— განა მე ვუმზადებდი მას ნაირნაირ მწნილებს?

— რასაკვირველია, არა. მაგრამ შენ უბეჭდავდი წერილებს.

— უცნაური ვინმეა, — გაიცინა რავინელმა, — რას ფიქრობდა, ასეთ წერილს რომ გზავნიდა? ხომ უნდა მოესაზრებინა, რომ შენ მაშინვე აქეთ გამოიქცეოდი... და მშვენივრად იცოდა, მარტო დაგხვდებოდი. მისი ორპირობა კი მაშინვე გამოაშკარავდებოდა?

მისმა მოსაზრებებმა ერთობ შეაკრთო მირეი და რავინელმა მწარე სიამოვნება განიცადა. მას ვერ ეპატიებინა მირეისათვის, რომ ქმარს ლიუსიენს ამჯობინებდა.

— რატომ? — წაიბურტყუნა მან. — მაინც რატომ? ის ხომ კეთილია.

— კეთილი?! გეტყობა, მას არ იცნობ.

— სხვათა შორის, მას შენზე ნაკლებად არ ვიცნობ! მინახავს სამუშაოზე, საავადმყოფოში, თავის სტიქიაში. შენ კი ამაზე წარმოდგენაც არა გაქვს!... მაგალითად, მომვლელი ქალები! ნეტა განახა, როგორ უტატანებს მათ!

— კარგი, გეყოფა, წავიდეთ!

მირეიმ წამოდგომა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. სავარძლის ზურგს ჩაებღაუჭა, მაგრამ უკანვე ჩავარდა და შუბლზე ხელი გადაისვა.

— რა მოგივიდა?

— არაფერი! თავბრუ დამესხა.

— რატომ იღუპავ თავს. ისღა გაკლია, ავად გახდე...

— რაც არ უნდა მოხდეს, ლიუსიენი აღარ გიმკურნალებს.

მან დაამთქნარა და ხელის მოდუნებული მოძრაობით შუბლიდან თმები გადაიწია.

— დამეხმარე, გეთაყვა. წავალ, წამოვწვები. საშინლად მოვეკიდა ძილი.

მან ხელი გამოსდო, ის წაბარბაცდა და კინაღამ წაიქცა, მაგრამ დროზე მოჰკიდა ხელი მაგიდის კიდეს.

— საბრალო! რა დღეში ჩავარდა!

მან მირეი საწოლი ოთახისაკენ წაიყვანა. მას ფეხები ეკეცებოდა, ძლივს მიათრევდა პარკეტზე და გზაში ფეხსაცმელი დაკარგა. აქოშინებულმა რავინელმა საწოლზე დააწვინა. მირეის მკვდრის ფერი ედო და ძლივს სუნთქავდა.

— ჩანს... ამაოდ...

მირეი უკვე ჩურჩულით ლაპარაკობდა, მაგრამ თვალებში ჯერ კიდევ უკიაფებდა სიცოცხლის შუქი.

— ამ დღეებში ჟერმენის ან მარტას ნახვას ხომ არ აპირებდი? — ჰკითხა რავინელმა.

— არა... მომავალ კვირას ვფიქრობდი.

მან ცოლს ფეხებზე გადასაფარებელი დაახურა. მირეი არ აშორებდა შიშჩამდგარ თვალებს.

— ფერნან!

— ჰა, რა გინდა კიდევ?... დაისვენე.

— ...ჭიქა...

მეტი მოტყუება აღარ იყო საჭირო. რავინელს სურდა საწოლს გასცლოდა და ვედრებით შესცქეროდა მას.

— დაიძინე! — დაუყვირა მან.

მირეიმ ერთი-ორჯერ დაახამხამა თვალები. გუგების ცენტრში მხოლოდ ერთი პატარა წერტილი ენთო. შემდეგ ისიც ჩაქრა და თვალები ნელ-ნელა დახუჭა.

რავინელმა სახეზე ისევ გადაისვა ხელი, თითქოს მიწებებულ ობობას ქსელს იშორებსო. მირეი აღარ ინძრეოდა. შეღებილ ტუჩებს შორის სადაფის კბილების მწკრივი გამოუჩნდა.

რავინელი საწოლი ოთახიდან გამოვიდა და კედელ-კედელ შემოსასვლელამდე მიაღწია. მას ოდნავ უბრუოდა თავი და თვალწინ მირეის ყვითელი სახე არ შორდებოდა — ხან გარკვევით ხედავდა, ხან ბუნდოვნად — ის გიგანტურ პეპელასავით დაფრინავდა მის წინ.

მან წამში გაიარა ბაღჩა, ხელი ჰკრა ჭიშკარს, რომელიც მირეის მიეხურა და დაბალი ხმით დაიძახა:

— ლიუსიენ!

ის მაშინვე გამოვიდა ჩრდილიდან.

— წამოდი! — უთხრა მან, — მზადაა.

ლიუსიენი წინ გაუძღვა საბღისაკენ.

— საბაზანოს მიხედე!

მაგრამ ის საწოლ ოთახში შეჰყვა, გბად ფეხსაცმელი აიღო და ბუხარზე დადო. ლიუსიენმა მირეის ქეთუთოები აუწია.

გამოჩნდა მოთეთრო თვალის კაკალი, დახატულივით უმოძრაო გუგა. რავინელი მოჯადოებულივით იდგა, მობრუნების თავი არ ჰქონდა. გრძნობდა, რომ ლიუსიენის ყოველი მოძრაობა მეხსიერებაში საშინელი სვირანგვიით აღბეჭდებოდა. მას ოდესღაც წაეკითხა ჟურნალებში ცნობები. და სტატიები სიცრუის დეტექტორზე. და უცბად პოლიცია... რავინელი შეკრთა, თითები შეაერთა, მერმე თვითონვე შეეშინდა თავისი მაცედრებელი ჟესტისა და ხელები ზურგს უკან დაიწყო. ლიუსიენი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მირეის მაჯისცემას. მისი გრძელი ნერვული თითები დარბოდნენ თეთრ მაჯაზე, თითქოს გაუმაძღარი პატარა მხეცი არტერიას ეძებს სისხლის გამოსაწოვადო. აი თითები გაჩერდნენ და ლიუსიენმა ბრძანა:

— აბაზანაში... ჩქარა!

მან ეს მშრალი პროფესიული ხმით წარმოსთქვა; ზუსტად ასე ჩვეულებრივ საბედისწერო დიაგნოზებს სვამდა ხოლმე, მაგრამ ზუსტად ასევე ამშვიდებდა რავინელსაც, როდესაც ის გულის არეში ტკივილებს უჩიოდა. რავინელი საბაზანოსკენ წალასლასდა, გახსნა ონკანი და წყალი თქრიალით წამოვიდა. მან ფრთხილად დაკეტა ონკანი.

— რა ამბავია, მანდ? — დაუყვირა ლიუსიენმა.

რავინელი დუმდა და თვითონ მივიდა საბაზანოსთან.

— ხმაურია, — წაიბურტყუნა მან. — გავაღვიძებთ.

ლიუსიენმა პასუხის ღირსი არ გახადა, ჯერ ცივი წყლის ონკანი გააღო ბოლომდე, მერმე ცხელი წყლისა და საწოლ ოთახში დაბრუნდა. აბაზანა ნელ-ნელა ივსებოდა. მომწვანო, ბუშტულებიანი წყალი იყო მსუბუქი, ორთქლი მრგვალ წვეთებად გროვდებოდა და მოცურავდა აბაზანის თეთრ მომინანქრებულ კედლებზე, კედელსა და პირსაბანის თავზე ჩამოკიდებულ მინის პატარა თაროზე. დაორთქლილ მინაში სრულიად გაურკვევლად, ისე ბუნდოვნად, რომ ვერ იცნობდით, ირეკლებოდა რავინელი... მან გასინჯა წყალი, თითქოს ლაპარაკი იყო ნამდვილ აბაზანაზე, და მაშინვე განზე გახტა, საფეთქლე-

ბი დაებერა. უეცრად ჩაწვდა საშინელ სიმართლეს. მიხვდა, რის გაკეთებასაც აპირებდა და კანკალმა აიტანა. საბედნიეროდ ამან მალე გაუარა. დანაშაულის შეგნება სწრაფად გაიფანტა. მირეიმ დასაძინებელი წამალი დალია — ეს იყო და ეს. აბაზანა ივსებოდა. ეს რა დანაშაულია? საშინელი აქ არაფერია. მან მხოლოდ ჭიქაში წყალი ჩაასხა და შემდეგ ცოლი ლოგინში დააწვინა... რას იზამ, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა... მირეი მოკვდა, ასე ვთქვათ, თავისივე მიზეზით, მოკვდა, ასე ვთქვათ, თავისივე გაუფრთხილებლობით. დამნაშავეები არ არიან. მტრები საიდან უნდა ჰყავდეს საბრალო მირეის? ერთი ჩვეულებრივი ქალი იყო... მაგრამ როდესაც რავინელი საწოლ ოთახში დაბრუნდა, მას ყველაფერი ისევ დაუჯერებლად, საზარელ სიზმრად მოეჩვენა... ისიც კი გაიფიქრა, ხომ არ მესიზმრებაო. არა, ეს სიზმარი არაა. აბაზანაში წყალი მოთქრიალებდა. გვამი ისევ საწოლზე იდო, ხოლო ბუხარზე ქალის ფეხსაცმელი ეგდო. ლიუსიენი ოლიმპიური სიმშვიდით იქექებოდა მირეის ჩანთაში.

— ყური მიგდე! — შეიქმუხნა რავინელი.

— მის ბილეთს ვეძებ, — განუმარტა ლიუსიენმა,—ვაითუ უკან დასაბრუნებელიც აიღო? ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ.

— ჩემი წერილი სადღაა? შენ გამოართვი?

— ჰო, ჯიბეში შიდევს.

— დაწვი... ახლავე დაწვი... თორემ ისევ დაგავიწყდება. საფერფლე ღამის მაგიდაზე დევს.

რავინელმა სანთებელა აანთო, კონვერტის კუთხეს წაუკიდა და წერილს მხოლოდ მაშინ გაუშვა ხელი, როდესაც ცეცხლმა თითები დასწვა. კიდეებში მოწითალო არშიით შემოქმობილი შავი ქაღალდი საფერფლეში დაიფერფლა.

— მას არავისთვის უთქვამს, სად მიდიოდა?

— არავისთვის.

— არც ჟერმენისათვის?

— არა.

— მომეცი ერთი მისი ფეხსაცმელი.

მან ბუხრიდან ფეხსაცმელი აიღო და ყელში ბოღმა მოაწვა.

ლიუსიენმა მარჯვედ ჩააცვა ფეხსაცმელი მირეის.

— ალბათ, წყალი საკმარისია, — თქვა მან.

რავინელი მთვარეულივით მოძრაობდა. ონკანი დაკეტა და ერთბაშად ჩამოვარდნილმა სიჩუმემ გააბრუა. წყლის ჭავლში თავისი დამახინჯებული ანარეკლი დაინახა. მელოტი თავი, ზშირი ბურჩხა ქერა წარბები და შეკრეჭილი ულვაშები უცნაურად მოხაზული ცხვირის ქვეშ. ენერგიული, თითქმის უხეში სახე. მხოლოდ და მხოლოდ ნიღაბია, მიწყივ შეცდომაში რომ შეჰყავს ხალხი — მრავალი წლის მანძილზე, თვით რავინელიც კი — ყველა, გარდა ლიუსიენისა.

— ჩქარა, — გაიმეორა მან.

ის შეკრთა და საწოლთან მივიდა. ლიუსიენმა მხრებით წამოსწია მირეი და შეეცადა პალტო გაეხადა მისთვის. მირეის თავი აქეთ-იქით უვარდებოდა.

— აბა, დაიჭირე!

რავინელმა კბილი კბილს დააჭირა, ხოლო ლიუსიენი ზუსტი მოძრაობებით ხდიდა მირეის პალტოს.

— ახლა დაწვინე!

რავინელმა მკერდზე მიიკრა ცოლი, თითქოს შეყვარებულს ეხვევაო. მერე მძიმედ ამოისუნთქა და ბალიშზე დაასვენა. ლიუსიენმა ფაქიზად დაკეცა პალტო და სასადილო ოთახში გაიტანა, სადაც უკვე იდო მირეის ქუდი. რავინელი სკამზე დაეცა. აი ის, სწორედ ის მომენტი... სწორედ ის, როდესაც უკვე აღარ ძალგიძს ფიქრი: „კიდევ შეიძლება შეჩერება, გადათამაშება!“ საკმაოდ დაიმედა ამ მოსაზრებამ. ისევ არწმუნებდა თავის თავს, რომ შესაძლებელია. უკანასკნელ მომენტში... და ისევ გადასდებდა. აკი ყოველ ჩანაფიქრში ყოველთვის არის დამამშვიდებელი გაურკვევლობა. შენ უფლება გაქვს ამისა. მომავალი არარეალურია. ახლა აღსრულდა. ლიუსიენი დაბრუნდა და რავინელს მაჯისცემა გაუსინჯა.

— თავს ვერაფერი მოვუხერხე, — წაიბურტყუნა მან. — ვცდილობ კი, რაც შემიძლია.

— მე თვითონ ავწევ მხრებით, — უთხრა ლიუსიენმა, — შენ მხოლოდ ფეხები დაუჭირე.

მაგრამ არა, აქ უკვე მამაკაცის თავმოყვარეობა ალაპარაკებდა. რავინელმა თავს თალა დაატანა. მან ხელი მოუჭირა

მირეის კოჭებს. გონებაში სულელური ფრაზები წამოუტივ-ტივდა: „შენ ვერაფერს იგრძნობ, ჩემო საბრალო მირეი... ხომ ხედავ... მე დამნაშავე არა ვარ. ვფიცავ, შენთვის ცუდი არ მსურს... თვითონ მეც ავადა ვარ. დღეს თუ არა, ხვალ მეც დავიღუპები... გული გამისკდება". ის კინაღამ ატირდა. ლიუ-სიენმა ქუსლი ჰკრა სააბაზანოს კარს. მამაკაცზე ნაკლები ღონე როდი აქვს, ამასთან მიჩვეულია ავადმყოფების გადა-ყვან-გადმოყვანას.

— ბოლოში მიაყუდე... ასე... კარგი. ახლა მე თვითონ.

რავინელმა ისე სწრაფად დაიხია უკან, რომ იდაყვი პირ-საბანის თავზე დაკიდებულ პატარა თაროს გაჰკრა და კინაღამ კბილის ჯაგრისიანი ჭიქა გატეხა. ლიუსიენმა წყალში ჯერ მირეის ფეხები ჩაუშვა, მერმე მთელი სხეული. წყალი კაფე-ლის იატაკზე გადმოიღვარა.

— აბა, ჩქარა! — უბრძანა ლიუსიენმა. — მოიტა სადგარე-ბი შეშისათვის, სასადილო ოთახშია.

რავინელი შეტრიალდა და გავიდა. რასაკვირველია... რასაკ-ვირველია... ის მოკვდა. რავინელი ბარბაცებდა. სასადილო ოთახში ჭიქა ღვინით აავსო და სულმოუთქმელად დალია. ფანჯრის ქვემოთ ორთქლმავალმა დაუსტვინა. ალბათ, საგარე-უბნოა რენიდან მომავალი. სადგარები გამურული იყო. იქნებ გაწმენდაა საჭირო? მაგრამ ვინ იცის, როგორ სჯობს? მან სადგარები მიიტანა და საწოლ ოთახში გაჩერდა. ლიუსიენი აბაზანაზე იყო დახრილი. მარცხენა ხელი წყალში ჩაეშვა.

— დააწყვე ეგენი! — უბრძანა მან.

რავინელმა ვერ იცნო მისი ხმა. სადგარები სააბაზანოს ზღურბლზე დააწყო. ლიუსიენმა მარჯვენა ხელით აიღო — ჯერ ერთი, მერე მეორე. მას არც ერთი ზედმეტი მოძრაობა არ გაუკეთებია. სადგარებს ტანი ბალასტივით უნდა დაეკავე-ბინა წყალში.

რავინელი საწოლამდე მიბარბაცდა, თავი ბალიშში ჩარგო და მწუხარებას მიეცა. გონებაში გაიქროლეს წარსულის სუ-რათებმა... აი, მირეი პირველად ჩამოდის აგარაკზე, ანგიანში: „რადიომიმღებს საწოლ ოთახში დავდგამთ, არა, საყვარელო?" მან_იყიდა ორსაწოლიანი სარეცელი და მირეი ტაშს უკრავს: „რა მოხერხებული იქნება! როგორი ფართოა". და სხვა უფრო

ბუნდოვანი სურათები: მოტორიანი ნავი ანტიბში, ბაღი, ყვავილები, პალმა...

ლიუსიენმა პირსაბანის ონკანი მოუშვა. რავინელმა ფლაკონის წკარუნი გაიგონა. როგორც ჩანს, საგულდაგულოდ იწმენდს ხელებს იდაყვებამდე ოღეკოლონით, როგორც ოპერაციის შემდეგ. მაშასადამე, მაინც დიდი შიში ქამა. თეორიულად კი ყველაფერი იოლია. თავს ისე აჩვენებ, თითქოს ჩირადაც არ გიღირს ადამიანის სიცოცხლე. თავი მოგაქვს ყოელისმცოდნედ, რომელიც ოცნებობს აღსასრულზე... დიახ, დიახ, სწორედ ასეა. ხოლო როდესაც აღსასრული დგება, თუნდაც სრულიად უმტკივნეულო, იოლი (ევტანაზია, ამბობს ლიუსიენი), მაშინ თავს მეტად საზიზღრად გრძნობ. არა, ის ვერ დაივიწყებს ლიუსიენის გამოხედვას იმ წუთებში, როდესაც იატაკიდან სადგარებს იღებდა — როგორი ამღერეული გამოხედვა ჰქონდა, თვალები აცაბაცა გაურბოდა... მას კი რავინელის გამხნევება ეწადა. ახლა ისინი თანამონაწილენი არიან. ახლა ის უკვე არ მიატოვებს მას. რამდენიმე თვის შემდეგ შეუღლდებიან. თუმცა, მერე ვნახავთ. საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

რავინელმა თვალები მოიწმინდა და გაოცდა: რამ აუჩვილა გული ასე? საწოლზე ჩამოჯდა და დაიძახა:

— ლიუსიენ!

— ჰო, რა გინდა?

ხმა უკვე ჩვეულებრივი იყო. მას შეეძლო დაეფიცა, რომ ამ დროს ის იპუდრებოდა და ტუჩებზე პომადას ისვამდა.

— იქნებ, დღესვე მოვათავოთ ეს საქმე?

ქალი სააბაზანოდან გამოვიდა, ხელში პომადა ეჭირა.

— თან ხომ არ წაგვეღო? — განაგრძო რავინელმა.

— იცი, რა ძვირფასო, შენ თავგზა გებნევა. მაშ რაღა საჭირო იყო მთელი გეგმის შემუშავება?

— ისე მინდა... რაც შეიძლება მალე მოვიშორო თავიდან.

ლიუსიენმა კიდევ ერთხელ შეიხედა აბაზანაში, ჩააქრო სინათლე და ფრთხილად მოიხურა კარი.

— კი მაგრამ, შენი ალიბი? იცი, პოლიციას საფუძველი ექნება შენზე ეჭვი აიღოს. სადაზღვევო კომპანიას კი მით

უმეტეს... საჭიროა, რომ მოწმეებმა განახონ სადმე, დღესვე საღამოს, ხვალაც... და ზეგაც.

— ჰო, რა თქმა უნდა, — გამოსცრა მან.

— გეყოფა პანიკიორობა! ყველაზე ძნელი უკან დარჩა, ახლა არაფერია სატირალი.

ლიუსიენმა რავინელს სახეზე ხელი გადაუსვა. მას ხელებზე ოდეკოლონის სუნი ასდიოდა. ის ლიუსიენს მხრებზე დაეყრდნო და წამოდგა.

— კეთილი. მაშასადამე, ვერ განახავ პარასკევამდე...

— სამწუხარრდ, შენ თვითონ კარგად იცი... საავადმყოფო... ეგეც არ იყოს, სად უნდა შევხვდეთ?... აქ ხომ არა?

— არა, არა! აქ არა! — აღმოხდა მას.

— აი, ხომ ხედავ. ახლა არ შეიძლება, ერთად რომ გვნახონ. ყველაფერს წყალში ხომ არ გადავყრით რაღაც... ბავშვური საქციელის გამო.

— მაშინ ზეგ რვა საათზე?

— რვაზე ილ-გლორიეტის- სანაპიროზე. შევთანხმდით. იმედი ვიქონიოთ, რომ ღამე ისეთივე ბნელი იქნება, როგორიც დღესაა.

მან რავინელს ფეხსაცმელი და ჰალსტუხი მოუტანა, თან პალტოს ჩაცმაში დაეხმარა.

— რას გააკეთებ ამ ორი დღის განმავლობაში, ჩემო საბრალო ფერნან?

— ღმერთმანი, არ ვიცი.

— ალბათ გამოჩნდებიან ოლქში კლიენტები, რომლებიც უნდა მოინახულო.

— რა თქმა უნდა, კლიენტები ყოველთვის გამოჩნდებიან.

— შენი ჩემოდანი მანქანაშია?... სამართებელი?... კბილის ჯაგრისი?

— დიახ, ყველაფერი მზადაა.

— მაშინ გავიქცეთ. მე კომერსის მოედანზე გადმომსვამ.

რავინელი გარაჟისაკენ წავიდა, ლიუსიენმა კი ამასობაში მოიხურა კარი და დინჯად, ორი გადატრიალებით ჩაკეტა. ფარნების მქრქალი სინათლე თეთრ ფარდაში ატანდა. თბილ ნისლს ჭაობის სუნი ასდიოდა. სადღაც იქ, მდინარესთან, დიზელის ძრავა შეფერხებებით გუგუნებდა. ლიუსიენი რავი-

ნელის გვერდით დაჯდა. მან ნერვულად გადართო სიჩქარე და მანქანა ტროტუართან დააყენა. შემდეგ მკვეთრი ბიძგით ამისწია გარაჟის კარები, გააფთრებით გააჩხაკუნა საკეტი, გასწორდა, სახლისაკენ გაიხედა და პალტოს საყელო აიწია.

— წავიდეთ.

მანქანა მძიმედ დაიძრა, ყვითელ ტალახს აქეთ-იქით აშხეფებდა. მის შხეფებს დაუღალავი „მეეზოვეებიც" კი ვერ გაწმენდდნენ საქარე მინიდან. გვერდზე ბულდოზერმა ჩაიქროლა და უმალვე თვალს მიეფარა, თითქოს ნისლში ნათელ გვირაბს თხრიდა, რომელშიც დროგამოშვებით ლიანდაგები და ისრები გაიელვებდნენ ხოლმე.

— ნეტავ კი არავინ დამინახოს მანქანიდან გადმოსვლის დროს, — წაიჩურჩულა ლიუსიენმა.

მალე მათ დაინახეს წითელი სანიშნო ფარანი ბირჟის ახლოს და კომერსის მოედანთან გაჩერებული ტრამვაის ანთებული სინათლეები.

— აქ გადმომსვი.

ის გადაიხარა და რავინელს საფეთქელთან აკოცა.

— ნუ ღელავ და ნუ სულელობ. შენ კარგად იცი, ძვირფასო, რომ ეს აუცილებელი იყო.

მან კარი მიხურა და კედელივით აღმართულ სქელ, ნაცრისფერ ნისლში გაუჩინარდა. მარტოდ დარჩენილი რავინელი ხელს უჭერდა აძაგძაგებულ საჭეს. და აქ ის განიმსჭვალა რწმენით, რომ ეს ნისლი... არა! ის, რავინელი... ზის აქ, ლითონის კოლოფში და თითქოს განკითხვის დღეს ელის... ეჰ, რავინელი, ...ჩვეულებრივი კაცუნა, სინამდვილეში ცუდი არ არის. სარკეში მოჩანდა მისი ბურჩხა წარბები. ფერნან რავინელი ცხოვრებაში ბრმასავით წინგაწვდილი ხელებით რომ იგნებდა გზას... მარადიულ ნისლში. ირგვლივ ოდნავ გასარჩევი მაცდური სილუეტებია... მირეი... მზე აღარ გამოაჭყეტს. არასდროს. ის ვერ გამოაღწევს ნისლიდან, რომელიც დაუსაბამოა, უსასრულოა. დაუდგრომელი სული! მოჩვენება! ეს აზრი დიდხანს აწვალებდა რავინელს. რა იქნება, რომ ეს მართლაც მხოლოდ მოჩვენება იყოს?

მან სიჩქარე ჩართო და მოედანს შემოუარა. კაფეს დაორთქლილ მინებს მიღმა, ჩუმად, როგორც ლანდების თეატრში,

მოძრაობდნენ სილუეტები. ცხვირი, უზარმაზარი ჩიბუხი; გაშლილი ხელი და ყველგან ჩირაღდნები, ჩირაღდნები... ეს ჩირაღდნები აუცილებელი იყო რავინელისათვის... მას სინათლე სწყუროდა, მხოლოდ სინათლეს შეეძლო მისი სულის წყურვილის მოკვლა, მისი უმეცრების შევსება. მანქანა მან სალუდე „ფოსთან“ გაჩერა და მბრუნავი კარით, მოღიმარ ახალგაზრდა ქერა გოგონას შემდეგ სალუდეში შევიდა და აღმოჩნდა სხვა ნისლში — მბოლავი ჩიბუხებისა და სიგარეტების ნისლში. ბოლი ადამიანთა სახეებს შორის გაწოლილიყო, ებღაუჭებოდა ბოთლებს, რომლებსაც ლანგარით დაატრიალებდა ოფიციანტი. ჯვარედინი გამოხედვები. თითების ტკაცუნი.

— ფირმენ, კონიაკი!

მონეტები დახლსა და მაგიდებზე წკარუნებდა. დაუღალავი სალარო ფიცრებს ფქვავდა. დარბაზში გაისმოდა წამოძახილები, შეკვეთები...

— სამი კოლოფი ფილტრიანი სიგარეტი!

ბილიარდის მაგიდაზე მსუბუქი დარტყმისაგან ბურთები დაგორავდნენ. ხმაური. სიცოცხლე. რავინელი სავარძლის კიდეზე ჩამოჯდა და როგორღაც მოეშვა. „მგონი, უკიდურესობამდე მივედი“, — გაიფიქრა მან.

ხელები პატარა მაგიდაზე დააწყო, კვადრატული საფერფლის ახლოს, რომლის ყოველ წახნაგზე ყავისფერი ასოებით იყო გამოყვანილი „Byrrh“[1]. ვერაფერს იტყვი, სოლიდურია. ასეთი საფერფლისათვის ხელის შეხებაც კი სასიამოვნოა.

— რას ინებებთ, მუსიე?

ოფიციანტი მოკრძალებით და თავაზიანად დაიხარა. და აქ რავინელი უცნაურმა ჭირვეულობამ შეიპყრო.

— პუნში, ფირმენ, — უბრძანა მან. — დიდი პუნში!

— არის, მუსიე.

თანდათანობით რავინელს ავიწყდებოდა განვლილი ღამეცა და საბაზანოც. ის თბილად და მყუდროდ იყო. სურნელოვან სიგარეტს ეწეოდა. ოფიციანტი ჭეშმარიტი პირის გემოს მოყვარულივით მღვდელმსახურებდა. შაქარი, რომი... მალე რომი აალდა. თითქოს თავისთავად, არაფრისაგან, გაჩნდა ჯერ ცის-

---

[1] ლუდის მარკა — რედაქტორის შენიშვნა.

ფერი ალი, ხოლო მერე მოცახცახე ცეცხლის ენებად გაიბნა და ნარინჯისფერი გახდა. რავინელმა გაიხსენა სურათებიანი კალენდარი, რომლის დათვალიერებაც უყვარდა პატარაობისას: დაჩოქილი ზანგი ქალი ეგზოტიკური ხეების ქვეშ, ოქროს ნაპირთან, იქ, სადაც ლურჯი ზღვა დგაფუნობდა. პუნშის ალში მან შეიცნო ის ნათელი, თვალისმომჭრელი ფერები. და სანამ სვენებ-სვენებით მშუშხავ სასმელს სვამდა, ეჩვენებოდა, თითქოს სვამდა გამდნარ ოქროს, თითქოს თავს ზემოთ ხედავდა მშვიდობიან მზეს, რომელიც ფანტავდა ყველა შიშს, სინდისის ქენჯნას, დარდსა და წუხილს. მასაც აქვს უფლება იცხოვროს, როგორც მოესურვება და არავის ჩააბაროს ანგარიში. როგორც იქნა, განთავისუფლდა ხანგრძლივი ჩაგვრისაგან. პირველად შესცქეროდა შიშის გარეშე ოცდათვრამეტი წლის რავინელს, პირდაპირ რომ იჯდა სარკეში. მას მოხუცის შესახედაობა აქვს, ცხოვრება კი ჯერაც არ დაუწყია. ის ხომ იმ ბიჭუნას თანატოლია, ზანგ ქალს და ლურჯ ცას რომ ათვალიერებდა, მაგრამ არა უშავს ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული როდია.

— ფირმენ! გაიმეორეთ! და მატარებლების განრიგი მომიტანეთ.

— კისმენთ, მუსიე.

რავინელმა ჯიბიდან საფოსტო ღია ბარათი ამოიღო. რასაკვირველია, ეს ლიუსიენის იდეაა — მირეის გაუგზავნოს ღია ბარათი: „ვიქნები მანდ შაბათს, დილით“. მან მუდმივი კალამი შეანჯღრია. ოფიციანტი დაბრუნდა.

— მითხარით, ფირმენ, რა რიცხვია დღეს?

— დღეს?... ოთხი, მუსიე.

— ოთხი... ზუსტია! ოთხი. მე ხომ მთელი დღე ამ თარიღს ვუსვამდი ანგარიშს... თქვენ შემთხვევით მარკა ხომ არა გაქვთ?

განრიგი ჭუჭყიანი იყო, გაქონილი, კუთხეებში ლაქები აჩნდა. მიმიფურთხებია. ოჰო, აი პარიზ-ლიონ-მარსელის ხაზიც. ცხადია, ისინი პარიზიდან წავლენ! და აუცილებლად, მატარებლით! ქეციან ავტომობილზე ლაპარაკიც კი არა ღირს. მას დასახელებები ხიბლავდა. დიჟონი, ლიონი, რონის დაბლობის გასწვრივ მდებარე ქალაქები... მატარებელი ნომერი

ოცდათხუთმეტი. რივიერის ექსპრესი — პირველი და მეორე კლასი —ანტიბი, შვიდი საათი და ორმოცდაოთხი წუთი... სხვა ჩქარი მატარებლებიც იყო, ისინი ვინტიმილამდე მიდიოდნენ. იყო ისეთებიც, მოდანის გავლით იტალიაში რომ მიემართეზოდნენ. იყო ვაგონ-რესტორნიანი, საძინებელვაგონიანები... გრძელი ლურჯი საძინებელვაგონებიანი შემადგენლობები. ყოველივე ამას ის სიგარეტის ბოლის ღრუბლებში ხედავდა. მას ელანდებოდა ვაგონის ზომიერი რწევა და ღამე ფანჯრებს მიღმა, ნათელი ვარსკვლავებიანი ღამე.

სასმელმა პირში კარამელის გემო დაუტოვა. ყურებში თითქოს მატარებლის ბორბლების ხმაური ჩაესმის. ბრუნავს შემოსასვლელი კარი, ცეკვავენ სინათლის სხივები.

— ჩვენ ვკეტავთ, მუსიე.

რავინელი მაგიდაზე ყრის მონეტებს და ხურდაზე უარს ამბობს. ჟესტით იშორებს თავიდან ყველას და ყველაფერს: ფირმენსაც, მოლარესაც, რომელიც მას მისჩერებია და თავის წარსულსაც. კარი იტაცებს მას და ტროტუარზე ისვრის. საით წავიდეს, არ იცის. კედელს ეტუზება. აზრები ერთმანეთში ერევა. რატომღაც ენის წვერზე ერთადერთი სიტყვა უტრიალებს — „ტიპერერი“, საიდანაა „ტიპერერი“? გაუგებარია. მას დაღლილად ეღიმება.

3

დღენახევარზე მეტია! მეტი! და აი უკვე საათებზე მიდგა ანგარიში. რავინელი ფიქრობდა, რომ ლოდინი აუტანელი იქნებოდა. არა. არაფერია საშინელი. მაგრამ შესაძლოა ასე კიდევ უფრო უარესია. დრომ დაკარგა ჩვეულებრივი განსაზღვრულობა. პატიმარი, რომელსაც ხუთი წელი აქვს მისჯილი, პირველად ალბათ დაახლოებით ასეთსავე გრძნობას განიცდის. ხოლო პატიმარი, რომელსაც მუდმივი პატიმრობა აქვს მისჯილი? რავინელი ჯიუტად იცილებს თავიდან ამ აზრს, ლეშის სუნზე მოფრენილი ბუზივით აბეზარს.

ის წამდაუწუმ იყუდებს ბოთლს. არც ხალხის დასანახად და არც დასათრობად. უბრალოდ იმისათვის, რომ რამენაირად ზეგავლენა მოახდინოს ცხოვრების რიტმზე. ზოგჯერ ორი

სირჩა კონიაკის დალევისას ვერც კი ამჩნევ, როგორ გაირბენს დრო. გონებაში აღიდგენ ათასგვარ სისულელეს. მაგალითად იგონებ სასტუმროს, სადაც წინადღით ღამე გაათევ, ცუდ საწოლს, საძაგელ ყავას, ვიღაცას, განუწყვეტლივ ბოლთას რომ სცემს. მატარებლების საყვირის ხმებს. საჭირო იყო ნანტიდან რედონში, ანსენში წასვლა. მაგრამ გამგზავრება შეუძლებელია. შეიძლება იმიტომ, რომ ყოველთვის იღვიძებ ერთი და იმავე გამგმირავი, საქციელის წამხდენი ნათელი აზრით... აწონ-დაწონი შანსებს. ისინი იმდენად უმნიშვნელო გეჩვენება, რომ ბრძოლის ხალისიც კი გეკარგება. დაახლოებით ათი საათისათვის იმედი გიბრუნდება. ეპვები რწმენად გადაიქცევა და მხნედ აღებ „კაფე ფრანსეს“ კარებს. ხედები მეგობრებს. ორ-სამს აუცილებლად ნახავ, ისინი კონიაკიან ყავას სვამენ.

— ოჰ, შე ძველო ფერნან!

— მითხარი გეთაყვა! რა გემართება, რატომ გამოიყურები ასე.

იძულებული ხარ მათთან იჯდე გაღიმებული სახით. საბედნიეროდ, ის მაშინვე სიამოვნებით აიტაცებს ყოველ შენს განმარტებას. ისე ადვილია ტყუილი. შეგიძლია თქვა, რომ კბილები გტკივა და უბრალოდ წამლებმა გამოგათაყვანა.

— მე კი, — ამბობს ტამიზიე, — შარშან ფლუსი მქონდა... ცოტაც და ალბათ გავთავდებოდი... აი, ის იყო ტკივილი!

რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ყოველივე ამას თვალის დაუხამხამებლად უსმენ. თავს არწმუნებ, რომ მართლაც აუტანლად გტკივა კბილები და ყველაფერი კარგად მიდის. ჯერ კიდევ მაშინ, მირეისთან... მაშინ... ღმერთო ჩემო! ეს ხომ გუშინ საღამოს მოხდა... და განა მთელი ეს ამბავი კბილების შესახებ — ტყუილია? არა! ყველაფერი უფრო რთულადაა. უცებ, სხვა ადამიანი ხდები, მსახიობივით გარდაისახები. მაგრამ მსახიობი, როგორც კი ფარდა დაეშვება, აღარ აიგივებს თავს თავის პერსონაჟთან. მისთვის კი ახლა ძნელი გასარკვევია, სად თავდება თვითონ და სად იწყება მისი როლი...

— მითხარი, რავინელ, ახალი სპინინგი „როტორი“ კარგი რამეა? მასზე ჟურნალ „თევზის ჭერა“-ში წავიკითხე.

— კარგია. განსაკუთრებით თუ ზღვაზე ითევზავებ.

ნოემბრის დილა, კაშკაშა მზე, სველი ტროტუარები ნისლში გახვეულა... დროდადრო გამოჩნდება ტრამვაი, კაფეს კუთხესთან უხვევს. ისმის თვლების ჭრიალი — გაბმული, მკვეთრი ხმაა, მაგრამ უსიამოვნო გრძნობას არ გგვრის.

— სახლში ყველანი კარგადა ხართ?

— უჰუ...

და აქ მას არ უცრუია. უეჭველია გაორებაა.

— მხიარული ცხოვრება, — შენიშნავს ბელიო. — გზაში ხართ ერთთავად... არასდროს მოგისურვებია პარიზის რაიონის აღება?

— არა. ჯერ ერთი, პარიზის რაიონს აძლევენ უფრო დიდი სტაჟის მქონე მუშაკებს. მეორეც, პერიფერიაში საქმე გაცილებით ცოცხლად კეთდება.

— პირადად მე, — ამბობს ტამიზიე, — ყოველთვის მაოცებს, რატომ აირჩიე ასეთი პროფესია... შენი განათლების მქონემ!

და იგი ბელიოს უხსნის, რომ რავინელი იურისტია. როგორ გააგებინოს მათ ის, რაშიც თვითონაც ვერ გარკვეულა? წყლისაკენ მისწრაფება...

— კიდევ გტკივა? — ჩურჩულებს ბელიო.

— მტკივა... დროდადრო მომეშვება.

წყლისაკენ, პოეზიისაკენ მისწრაფება, იმიტომ რომ რთულ და ფაქიზ სათევზაო აღჭურვილობაში მისთვის არის — პოეზია. შესაძლებელია უბრალოდ ბავშვობაა, ბავშვობის გადმონაშთი? მაგრამ, დაე, ასე იყოს. ნუთუ უსათუოდ უნდა ჰგავდე პერანგებითა და ჰალსტუხებით მოვაჭრე მუსიო ბელიოს, რომელიც იშოვის თუ არა თავისუფალ დროს, მაშინვე ღვინით იჭყიპება? და კიდევ რამდენი კაცია მიბმული უხილავი ჯაჭვებით თავის საძაღლესთან! ჰოდა, როგორ ეტყვი მა ?, რომ ცოტათი გეზიზღებიან, რომ ეკუთვნი მომთაბარეთა მოდგმას და ვაჭრობ ოცნებით, როდესაც დახლზე აწყობ სათევზაო ანკესებს, ხელოვნურ მისატყუარს ან სხვადასხვა ფერის კილიტებს, რომელთაც ასე ზუსტად უწოდებენ მისატყუარებს. რასაკვირველია, როგორც ყველას, შენცა გაქვს პროფესია. მაგრამ აქ უკვე სხვაა. აქ რაღაც ფერწერისა და ლიტერატურის მაგვარი რამაა... როგორ ავხსნათ ეს? თევზაობა — თავი-

სებური გაქცევაა. მაგრამ რას გაურბიხარ? ეს უკვე სხვა საკითხია.

...რავინელი შეკრთა. ცხრის ნახევარია. თითქმის ერთი საათის განმავლობაში იხსენებდა არცთუ ისე შორეულ მოგონებებს.

— ოფიციანტ, კონიაკი!..

მაგრამ რა მოხდა მერე, კაფედან რომ გამოვიდა? მან შეიარა დალაქ ლე ფლემთან, პირმინოს ხიდთან ახლოს. ლე ფლემმა, რომელიც ყოველ ორშაბათს პელერენას მახლობლად მისგან იძენდა ვეებერთელა ქარიყლაპიებს, მას სამი ხაფანგი შეუკვეთა იხვებისათვის. ისაუბრეს კარჩხალზე, ბუზით თევზაობაზე. დალაქს არ სწამდა ხელოვნური ბუსებისა. მის დასარწმუნებლად „სატყუარას" გაკეთება მოუხდა კაკბების ბუმბულისაგან. რავინელისნაირად ხელოვნურ ბუზებს ვერავინ აკეთებდა საფრანგეთში, და შეიძლება მთელ ევროპაშიც. მას ჰქონდა სატყუარას თავისებური, მარცხენა ხელით დაჭერის მანერა. რაც მთავარია — იგი ისე მოხერხებულად გრეხს ბუმბულს, რომ თითოეული ბეწვი მოჩანს. კვანძსაც თავისებურად კრავს. ლაქის წასმას ყველა შეძლებს. ხოლო წვრილი ბეწვების აწეწვა, პატარა ულვაშებისთვის ადგილის მიჩენა, ცოცხალი ბუზის სახეს რომ აძლევს და საღებავების მარჯვედ შერჩევა — ეს უკვე ნამდვილი ხელოვნებაა. ბუზი ხელისგულზე თრთის, ცახცახებს. შეუბერავ — და გაფრინდება. სრული ილუზიაა. როდესაც ასეთ ბუზს ხელისგულზე დაისვამ, ტყუილად როდი გეუფლება უსიამო გრძნობა. ერთი სურვილი გაქვს, მოკლა.

— აი ეს მესმის! — აღფრთოვანებას ვერ ფარავს დალაქი.

ლე ფლემი ხელს იქნევს, თითქოს ანკესს ისვრისო და წარმოსახვითი ბამბუკი რკალივით იღუნება. დაძაბულობისაგან ხელი უცახცახებს, თითქოს თევზმა წყალი გააპო და კისრისტეხით მოკურცხლაო.

— თქვენ, აი, ასე ურტყამთ კარჩხალს... და საქმე მოთავებულია!

ლე ფლემი მარცხენა ხელით მარჯვედ სვამს დამორჩილებულ თევზს წარმოსახვით პეპლის საჭერ ბადეში.

სიმპათიური ყმაწვილია ეს ლე ფლემი.

გავიდა რამდენიმე საათი. საღამოს — კინოში. მერე ისევ კინოში. შემდეგ სხვა, ამჯერად ძალიან წყნარ- სასტუმროში. მირეი განუყრელად აქაა, გვერდით... მაგრამ ის კი არა, აბაზანაში რომ წევს, ანგიანში მყოფი მირეი. ცოცხალი მირეი, რომელსაც სიამოვნებით გაუზიარებდა თავის შიშს. „შენ როგორ მოიქცეოდი ჩემს ადგილზე, მირეი?“ მას ხომ კიდევ უყვარს ის, უფრო სწორად, გაუბედავად იწყებს შეყვარებას. უაზროდ, ბილწად და მაინც...

— შეხედე, ერთი!... ეს ხომ... რავინელია.

— რა?

მის წინ ორნი გაჩერდნენ — კადიუ და სპორტულ ქურთუკში გამოწყობილი ვიღაც უცნობი, მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი. მან თვალი თვალში გაუყარა რავინელს, თითქოს...

— გაიცანი, ეს ლარმინჟაა, — ღიმილით სახე გაებადრა კადიუს.

ლარმინჟა! რავინელი იცნობდა ლარმინჟას, შავ ხალათიან ბიჭუნას, რომელიც მას ამოცანებს უხსნიდა. ისინი ერთმანეთს ათვალიერებდნენ.

ლარმინჟა პირველი უწოდებს ხელს.

— ფერნან! სასიამოვნო მოულოდნელობაა... ალბათ ოცდახუთი წელი მაინც გავიდა, არა?

კადიუ ტაშსა სცემს.

— სამი კონიაკი!

მცირე პაუზა. ნუთუ ეს ცივთვალებიანი და კაუჭაცხვირიანი ვაჟკაცი — ლარმინჟაა?

— სად ხარ, რას საქმიანობ? — ეკითხება რავინელი.

— არქიტექტორი ვარ... შენ?

— ო-ო! კომივოიაჟორი გახლავარ.

ეს ცნობა ერთბაშად ამყარებს დისტანციას. ლარმინჟა ორეოფულად ეუბნება კადიუს:

— ჩვენ ერთად ვსწავლობდით ბრესტის ლიცეუმში. მგონი ერთადაც ვაბარებდით გამოსაშვებ გამოცდებს... რამდენი ხანია ერთმანეთი აღარ გვინახავს!

ის ხელში კონიაკიან სირჩას ათბობს და ისევ რავინელს მიმართავს:

— მშობლები როგორა გყავს?

— დაიხოცნენ.

ლარმინჟამ ამოიოხრა და კადიუს უხსნის:

მამამისი ლიცეუმში ასწავლიდა. ახლაც თვალწინ მიდგას ქოლგითა და პორტფელით. იშვიათად იღიმებოდა.

რაც მართალი, მართალია. იშვიათად. მას ტუბერკულიოზი სჭირდა. მაგრამ რაში სჭირდება ლარმინჟას ეს? ქმარა მამაზე ლაპარაკი, ის ყოველთვის შავებში ჩაცმული დადიოდა; ლიცეუმელებმა მას სარდინი შეარქვეს. კაცმა რომ სიმართლე თქვას, სწორედ მან ააღებინა რავინელს სწავლაზე ხელი. ერთთავად ჩასჩიჩინებდა: „აი, როდესაც მე აღარ ვიქნები... როდესაც უმამოდ დარჩები... იშრომე, იშრომე...“ მაგიდასთან მჯდომ მამამისს უცებ ავიწყდებოდა საუბელი, შეიკრავდა ბანჯგვლიან წარბებს, რავინელმა მემკვიდრეობით რომ მიიღო მისგან, და მიაშტერდებოდა შვილს. „ფერნან, კამპო-ფორმიოს თარიღი? ბუტანის ფორმულა? დროთა შეთანხმება ლათინურ ენაში?“ ის პუნქტუალური, პედანტური კაცი იყო, ყველაფერს ბარათებში ინიშნავდა. მისთვის გეოგრაფია იყო ქალაქების ნუსხა, ისტორია — თარიღთა ნუსხა, ადამიანი — ძვლებისა და კუნთების ნუსხა. რავინელს ახლაც ცივი ოფლი ასხამს, როდესაც იგონებს გამოცდებს სიმწიფის ატესტატზე. და ზოგჯერ როგორც კოშმარულ სიზმარში, ისე ახსენდება უცნაური სიტყვები: პუანტ-ა-პიტრი კირქვიანი... ერთმეშვიდედიანი... შეუძლებელია დაუსჯელი იყოს სარდინის შვილი. ნეტავ რას იტყოდა ლარმინჟა რავინელის აღიარებაზე, რომ ის ღმერთს ევედრებოდა მამის სიკვდილს და თვალყურს ადევნებდა მოახლოებული აღსასრულის ნიშნებს? თუმცა რა სათქმელია. ის გაწაფულია მედიცინაში. იცის, რას ნიშნავს დუქი პირის კუთხეებში, მშრალი ხველა საღამოობით; იცის, როგორი იყო ავადმყოფის შვილი. ერთთავად გაკანკალებდეს მისი ჯანმრთელობის გამო, თვალს ადევნებდე ტემპერატურას, ამინდის ცვალებადობას. დედამისი იტყოდა ხოლმე: „ჩვენ გაჭაღარავებას ვერ ვესწრებითო“. მან ქმარზე მხოლოდ რამდენიმე თვით მეტი იცოცხლა ანგარიშიანობითა და მომჭირნეობით გატანჯული ჩუმად წავიდა საბუდაბო სასუფეველში. რავინელს და-ძმები არ ჰყავდა და დედის სიკვდილის შემდეგ, მიუხედავად მოწიფულობისა, თავს საბრალო ობლად გრძნობ-

და. ეს გრძნობა დღემდე ვერ მოიშორა. მასში ჯერ კიდევ ვერ გაიფურჩქნა რაღაც და მუდამ კრთება კარის მიჯახუნებაზე ან მოულოდნელ დაძახებაზე. მას ეშინია პირდაპირი შეკითხვებისა, რასაკვირველია, ახლა მას აღარ ეკითხებიან კამპო-ფორმოს თარიღებს, მაგრამ წინანდებურად ეშინია ხათაბალაში ჩავარდნისა, რაიმე არსებითის დავიწყებისა. მას მართლაც დავიწყნია საკუთარი ტელეფონის ნომერი, საკუთარი მანქანის ნომერი. ერთ მშვენიერ დღეს საკუთარი სახელიც დაავიწყდება. და არც არავის შვილი იქნება, არც არავის ქმარი, არც არავინ იქნება... ეს იქნება ბრბოში გათქვეფილი უსახელო ადამიანი, შესაძლოა იმ დღეს განიცადოს ბედნიერება, აკრძალული ბედნიერება! ვინ იცის?

— გახსოვთ, როგორ დავეხეტებოდით ესპანეთის ისარაზე?

რავინელი ნელა იშორებს ფიქრებს. ჰო, მართლა, ლარმინჟა.

— საინტერესოა, როგორი იყო მაშინ რავინელი? ალბათ, უგულო.

— უგულო?

რავინელმა და ლარმინჟამ ერთმანეთს გადახედეს და ერთდროულად გაიცინეს, თითქოს პაკეტი დაამოწმესო. ვადიუ ამას ვერ გაიგებს...

— მგონი, მართლაც უგულო... გამოეხმაურა ლარმინჟა და ჰკითხა: — ცოლიანი ხარ?

რავინელმა თავის ნიშნობის ბეჭედს დახედა და გაწითლდა.

— ცოლიანი ვარ. ანგიანში ვცხოვრობთ, პარიზთან ახლოს.

— ვიცი.

საუბარი ვერ აეწყო. ყოფილი მეგობრები მალულად ათვალიერებდნენ ერთმანეთს. ლარმინჟასაც ნიშნობის ბეჭედი ეკეთა. ის საცაა თვალებს მოიწმენდს — ეტყობა მიჩვეული არაა ღვინოს. შეუძლია ჰკითხოს ცხოვრებაზე, მაგრამ რა საჭიროა? სხვისი ცხოვრება არასოდეს არ აინტერესებდა რავინელს.

— როგორ მიდის რეკონსტრუქციის საქმე? — ეკითხება ვადიუ.

— ნელ-ნელა, — უპასუხებს ლარმინჟა.

— რა ჯდება საშუალოდ პირველი სარეველა მთელი კეთილმოწყობილობით?

— გააჩნია როგორი ბინაა. ოთხი ოთახი აბაზანიანად — ორ მილიონამდე. ცხადია, თუ აბაზანა სავსებით თანამედროვეა.

რავინელი ოფიციანტს უხმობს.

— წავიდეთ კიდევ სადმე, — სთავაზობს კადიუ.

— არა. პაემანი მაქვს. უნდა მაპატიო, ლარმინჟა.

ის მათ რბილ და თბილ ხელს ართმევს. ლარმინჟას ნაწყენი სახე აქვს.

— მაინც შეგეძლო ჩვენთან ერთად გესაუზმა, — ბუზღუნებს კადიუ.

— სხვა დროს.

— ეს თავისთავად. გაჩვენებ ნაკვეთს სენსის ხიდთან, რომელიც ახლახან შეეძინე.

რავინელს ეჩქარება. თავს უსაყვედურებს სიმშვიდის უქონლობის გამო, მაგრამ მისი ბრალი არაა, ასე მტკივნეულად რომ რეაგირებს ყველაფერზე. ალბათ, სხვაც მის ადგილზე...

საათები გარბის. მას მანქანა მიყავს ერბენში, მომსახურების სადგურში, შესასვლელად. აიღო საწვავით სავსე ავზი და ორი კანისტრა მარავი. მერმე წავიდა კომერსის მოედანზე, ჩაუარა ბირჟას, გადაკვეთა კუნძულ ჟოლიეტის ესპლანადა. მარცხნივ პორტია, შორს რჩება თავისუფლების ქანდაკების სინათლეები, ხედავს ათინათებით აკრელებელ ლუარას. ჯერ არასოდეს უგრძვნია ასეთი შინაგანი თავისუფლება და. ბიუხედავად ამისა, ნერვები დაძაბული აქვს, გული მტკივნეულად ეკუმშება, გარდუვალი ჯამოცდისათვის რომ ემზადება. გრუხუნით ჩაიარა დაუსრულებელმა საბარგო შემადგენლობამ. რავინელი ითვლის ვაგონებს. ოცდათერთმეტია. ახლა ლიუსიენი ალბათ საავადმყოფოდან გამოდის. დაე დაამთავროს სამუშაო დღე. ბოლოს და ბოლოს მთელი გეგმა ხომ მან შეიმუშავა. ჰო, მართლა, ბრეზენტი! მშვენივრად ახსოვს, რომ დახვეული ბრეზენტი უკან დევს, მანქანის კუთხეში და მაინც შეშფოთებულმა მიიხედა. ბრეზენტი „კალიფორნია" კარვის მასალის ნიმუშად აქვს. ის ისევ მოტრიალდება და ამ დროს

დაინახავს ლიუსიენს, მიკროპორებიანი ფეხსაცმელებით უხმაუროდ რომ მოაბიჯებს მისკენ ტროტუარზე.

— საღამო მშვიდობისა, ფერნან... ყველაფერი წესრიგშია... დაიღალე?

ის აღებს კარებს, მაშინვე იხდის ხელთათმანს და რავინელს პულსს უსინჯავს. უკმაყოფილებისაგან სახე ეღრიჯება.

— შენ აშკარად ნერვიულობ... დაგილევია კიდეც.

— კიდევ რის გაკეთებას მიბრძანებ? — ბუზღუნებს ის და სტარტერს ფეხს აჭერს. —თვითონ მირჩიე, ხალხში მეტრიალა.

მანქანა ფოსის სანაპიროზე მიქრის. „პიკის“ საათია. სინათლეები სიბნელეში ციმციმებენ, ხლართავენ გზას, ახლოს მიდიან, შორდებიან. ესენი ველოსიპედისტები არიან. ფხიზლად უნდა იყო. თუმცა რავინელი ღმერთს მექანიკოსად არ უქნია, მაგრამ მანქანას ჩინებულად მართავს. მარჯვედ მანევრირებს. შლაგბაუმის იქით სიარული გაცილებით გაადვილდა.

— გასაღები მომეცი, — ჩურჩულებს ლიუსიენი.

რავინელი თავს აბრუნებს და მანქანა უკან სვლით მიჰყავს. ლიუსიენი მანქანიდან გადმოდის და გარაჟის კარებს აღებს. რავინელი სიამოვნებით დალევდა კონიაკს.

— ბრეზენტი, — ახსენებს ლიუსიენი.

ახლა ლიუსიენი აღებს უკვე სხვა, ცოტა მოშორებულ კარებს, ყურს უგდებს, შემდეგ შედის სჯლში, ხოლო რავინელს ამასობაში გამოაქვს ბრეზენტი, შლის, ახვევს და უცებ ესმის ხმა, რომლისაც ასე ეშინოდა... წყალი... აბაზანიდან გამომდინარე წყალი... ჩასადენი მილი გარაჟში გადის.

რავინელს არაერთხელ უნახავს წყალში დამხრჩვალები. ისეთი სამუშაოს დროს, როგორიც მას აქვს, ხშირად გიხდება ყოფნა მდინარესთან. ყველა დამხრჩვალი საშინელი შესახედავია. გაშავებული, გასიებული, ბარჯის მოდების გამო კანი აქვს დამსკდარი. რავინელმა ძლივს აიარა ორი საფეხური. იქ, მიჩუმებული სახლის სიღრმეში, ბუყბუყით გადმოდის აბაზანიდან წყალი... რავინელი გადის დერეფანს და საწოლი ოთახის ზღურბლზე ჩერდება. აბაზანის კარი ღიაა. ლიუსიენი აბაზანაზე დაიხარა. იგი რაღაცას დასცქერის... ბრეზენტი ვარდება. რავინელმა თვითონაც არ იცის, მან გაუშვა ხელი თუ უბრალოდ ნაჭერი თავისით ჩამოცურდა... ის ჩუმად ბრუნ-

დება და სასადილო ოთახში მიდის. ღვინიანი ბოთლი ისევ მაგიდაზე დგას, გრაფინის გვერდით. ის პირდაპირ ბოთლიდან სვამს, სულმოუთქმელად. რაღას უყურებს, ბოლოს და ბოლოს უნდა გაბედოს. ის საბაზანოში ბრუნდება, ბრეზენტს იღებს.

— კარგად გაშალე, — უბრძანებს ლიუსიენი.

— რა გავშალო?

— ბრეზენტი.

მას მკაცრი, დაძაბული სახე აქვს — ლიუსიენს ასეთი სახე ჯერ არ უნახავს. რავინელი შლის წყალგაუმტარ ქსოვილს. დიდი მომწვანო ნოხი, აბაზანაში არ ეტევა.

— როგორაა საქმე? — ჩურჩულებს რავინელი.

ლიუსიენი იხდის პალტოს, სახელოებს იკაპიწებს.

— როგორაა საქმე? — იმეორებს რავინელი.

— აბა რა გეგონა? — ეუბნება ის, — ორი დღე-ღამის შემდეგ.

სიტყვების საოცარი მაგიაა! რავინელს უეცრად შესცივდა. მირეის დანახვა სურს, ის აბაზანაზე იხრება, თითქოს გული ერევაო. ხედავს ფეხებზე შემოტმასნილ ქვედატანს, გულზე დაკრეფილ ხელებს და ყელში წაჭერილ თითებს... ო!...

რავინელი ყვირილით უკან იხევს. მან დაინახა მირეის სახე. წყლისაგან გამუქებული თმები, წყალმცენარეებივით რომ მიკრობია შუბლზე და თვალები დაუფარავს. დაკრეჭილი კბილები, გაქვავებული პირი...

— დამეხმარე, — ეუბნება ლიუსიენი.

ის პირსაბანს ეყრდნობა. გული ერევა.

— დამაცადე... ახლავე.

რა საშინელებაა! და მაინც წარმოსახვა უფრო საშინელ რამეს უხატავდა. მაგრამ მდინარიდან ამოთრეული დამხრჩვალები — ესენი მართლა დამხრჩვალები არიან, მრავალი დღის მანძილზე შავი უსწორმასწორო ნაპირების გასწვრივ. რომ დაცურავდნენ. აქ კი... ის სწორდება, იხდის პალტოს, პიჯაკს.

— ფეხებში მოკიდე ხელი, — უბრძანებს ლიუსიენი.

მისთვის უხერხულია, ხელები არ ემორჩილება და სატარებლადაც უფრო მძიმე ეჩვენება. ხმაურით ეცემა წვეთები. აჰ! გაშეშებული, ყინულივით ცივი ფეხები. აი ისინი სწევენ

მირეის გვამს, ამოაქვთ აბაზანიდან და დაბლა ასვენებენ. შემდეგ ლიუსიენი გვამს ზემოდან აფარებს, და თითქოს საქონელს ფუთავსო, ბრეზენტში ახვევს. ახლა მათ ფეხებთან მხოლოდ მბრწყინავი ცილინდრი დევს, რომლის ნაოჭებში წყალი ჟონავს. მხოლოდ ბრეზენტის ორი ბოლოს დახვევაა საჭირო, ხელის მოსაკიდებელი რომ იყოს. ამასაც აკეთებენ და თავის ტვირთიანად სახლიდან გამოდიან.

— წინდაწინ უნდა გაგვეღო მანქანა, — შენიშნავს ლიუსიენი.

რავინელი აღებს საბარგეს სახურავს. ძვრება მანქანაში და თავისკენ ეჭაჩება გრძელ შეკვრას. ის მხოლოდ დიაგონალურად თავსდება.

— უკეთესი იყო შეგვეკრა, — ბურტყუნებს რავინელი.

და მაშინვე ბრაზი მოსდის თავის თავზე. ის კომივოიაჟორივით მსჯელობს და არა როგორც ქმარი. ლიუსიენმაც, რასაკვირველია, უკვე ყველაფერი მოიფიქრა.

— დრო არ ითმენს. ასეც არა უჭირს რა.

რავინელი მანქანიდან გადმოდის და წელს იზელს. ეშმაკმა დალახვროს! მაინც გაცივდა. უნდა გაფრთხილებოდა თავს, არ უნდა აჰყოლოდა ნერვებს. ის უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებს და უსარგებლო კრუნჩხვით მოძრაობებს აკეთებს. კუმშავს და ხსნის თითებს, ისრესს კეფას, ცხვირს იხოცავს, იფხანს.

— დამიცადე, — ეუბნება ლიუსიენი, — ცოტათი მაინც მივალაგებ ოთახებს.

— არა.

ოღონდაც არა! მას არ შეუძლია მარტოდ დარჩენა მკრთალად განათებულ გარაჟში. ისინი ისევ სახლში ადიან. ლიუსიენი ალაგებს სასადილო ოთახს, გრაფინიდან ღვრის წყალს, წმენდს მას. რავინელი კი ჯაგრისით წმენდს პიჯაკს, ასწორებს ლოგინს. სრული წესრიგია. უკანასკნელი შარიანი მზერა... რავინელი იხურავს ქუდს, ხოლო ლიუსიენი იცმევს ხელთათმანს, იღებს მირეის ჩანთასა და ქურქს. დიახ, დიახ, სრული წესრიგია. ლიუსიენი რავინელს მიუბრუნდა:

— აბა, კმაყოფილი ხარ, საყვარელო? მაშინ მაკოცე.

ვერ გაკოცებ! ოღონდ აქ არა! როგორი გულქვაობაა! ესეც შენი ლიუსიენი! ხშირად რავინელს ან არ ესმის მისი ანდა

უთავხედესად მიიჩნევს. რავინელი მას დერეფანში აგდებს და კარებს გასაღებით კეტავს. შემდეგ ბრუნდება გარაჟში. უკანასკნელად ათვალიერებს მანქანას, საბურავს ფეხსაცმელის წვერს ჰკრავს. ლიუსიენი უკვე მანქანაშია. რავინელს მანქანა გამოჰყავს. სასწრაფოდ კეტავს გარაჟს. უეცრად უკან რაღაც ავტომანქანა ჩერდება. ცნობისმოყვარეობის გამო ხომ არა? რავინელი ნერვულად აჯახუნებს კარებს, სიჩქარეს რთავს და მანქანას სადგურისაკენ მიაქროლებს. ის ბნელ ქუჩებს არჩევს და ენერალბიუატზე ხვდება. მანქანა აქეთ-იქით აწყდება, უსწრებს მოღრეიალე ტრამვაიებს, რომელთა დაორთქლილ ფანჯრებში მგზავრთა შავი სილუეტები მოჩანან.

— სად გეჩქარება ასე, — საყვედურით მიმართავს მას ლიუსიენი.

მაგრამ რავინელს ერთი სული აქვს, ქალაქგარეთ გავიდეს და მინდვრის ბნელ გზებზე გაუჩინარდეს. აქა-იქ გაიელვებენ ბენზინის ჩასასხმელი კოლონები — წითლები, თეთრები... ჩაუქროლეს მუშათა სახლებს... მოჩანს ქარხნების კედლები. აი პროსპექტის ბოლოს შლაგბაუმი ეშვება და უკვე რავინელს შიში იპყრობს. აუტანელი შიში... ის სატვირთო მანქანის უკან ჩერდება, ფარებს აქრობს.

— შეგვეძლო დაგვეცვა ქუჩაში მოძრაობის წესები!

დიახ, ეს ქალი მართლა სალი კლდეა. გაიარა საბარგო მატარებელმა. მას პატარა ძველი ორთქლმავალი მიათრევს, მოგზაგზე საცეცხლე ანათებს ღამის წყვდიადს. სატვირთო მანქანა მიდის. გზა თავისუფალია. რავინელს დავიწყებული რომ არ ჰქონოდა ყველა ლოცვა, აუცილებლად ილოცებდა.

4

რავინელს ხშირად უხდება მანქანით მგზავრობა ღამღამობით. მოსწონს ეს. გზაზე არავინაა, სრული სვლით აპობ სიბნელეს. სიჩქარის შეუნელებლად გაივლი სოფლებს. ფარები უცნაურად ანათებს გზას, რომელიც ჭავლგადაკრულ არხს წააგავს. ასე გგონია, ნაპირ-ნაპირ მიყვები, მერე უცებ თითქოს ამერიკული გორაკებიდან გორდები: თეთრი პატარა ბოძები, მოსახვევებს რომ ზღუდავენ, ფარების ანარეკლში თაკ-

ბრუდამხვევი სისწრაფით მიქრიან. თითქოს ნებსით წარმარ-
თავ ამ წარმტაც ფერიას, იქცევი იდუმალებით მოცულ გრძნე-
ულად, ჯადოსნური პატარა ჯოხით ეხები უცნაურ საგნებს
შორეულ ჰორიზონტზე. ფრენისას სიბნელიდან ჭრი ნაპერ-
წკლების კონებსა და უცნობ თანავარსკვლავედებს. ეძლევი
ოცნებას, თავს აღწევ რეალობას და უკვე ადამიანი კი არა,
გაშიშვლებული სული ხარ, რომელიც დინებას მიაქვს და
მიძინებულ სამყაროში დაეხეტება. ქუჩები, მდელოები, ეკლე-
სიები, სადგურები უხმაუროდ მისრიალებენ განზე და სიბნე-
ლეში უჩინარდებიან. იქნებ არც არის არავითარი მდელოები,
არავითარი სადგურები? თვითონა ხარ საკუთარი თავის პატ-
რონი. მოუმატებ სიჩქარეს და უკვე აღარაფერი ჩანს, გარდა
მოცახცახე ხაზებისა, გვირაბის კედლებივით სტვენით რომ
მიჰქრიან მინის მიღმა, მაგრამ საკმარისია ასწიო დაბუჟებული
ფეხი, რომ დეკორაციები მაშინვე შეიცვალოს. და გაიელვებს
ნაღვლიანი მწკრივი სურათებისა, ზოგიერთები თვალის დახამ-
ხამებაში აღიბეჭდება თავში როგორც მანქანის სიჩქარე მინასა
და რადიატორზე გაკრული ფოთოლი. ჭა, საზიდავი, რკინიგზის
დარაჯის ჯიხური, მოელვარე შუშები აფთიაქში. რავინელს
უყვარს ღამე. ანჟერი უკან დარჩა, უკან დარჩა ჩირაღდნების
ჩახჩახა ჯაჭვი. გზა უკაცრიელია. ლიუსიენი ჯიბეებში ხელებ-
ჩაწყობილი ზის, ნიკაპი საყელოში ჩაუყვია და ხმას არ იღებს.
ნანტის იქით რავინელი ნელა მიდის, და მოსახვევში ფრთხი-
ლად უხვევს. ბიძგებს ერიდება, რომ არაფერი ევნოს ძარაში
დაგდებულ გვამს. სპიდომეტრზე დახედვა არცაა საჭირო.
მან ისედაც იცის, რომ საშუალო სიჩქარე ორმოცდაათი
კილომეტრია. ხოლო რახან ასეა, მაშასადამე, ანგიანში ისინი
მზის ამოსვლამდე იქნებოდნენ, როგორც გათვალისწინებული
ჰქონდათ. ოღონდ ყველაფერმა კარგად ჩაიაროს!.. ანჟერში
მოულოდნელად ძრავამ ძიგძიგი დაიწყო. სტარტერზე ფეხის
დაჭერა და ყველაფერი წესრიგშია. მიხვდა რაშიც იყო საქმე,
კარბიურატორი არ გაუწმენდია! ეგლა აკლიათ, გზაში დარჩ-
ნენ ასეთ ღამეში. კმარა, არ ღირს წუწუნი. უმჯობესია ყური
არ უგდო ძრავას. ის და ლიუსიენი ატლანტიკაზე მფრენი
მფრინავებივით არიან! ძრავის დაზიანება მათთვის ნიშნავს...

რავიწელმა თვალები მოჭუტა. ასეთი ფიქრებით მხოლოდ

უბედურებას გადაეყრები. შორს წითელი სინათლე კიაფობს ეს მრავალტონიანი საბარგულია. სქელ ზეთიან კვამლს უშვებს, არღვევს რიგს, მარცხნივ ტოვებს ვიწრო დერეფანს, რომელშიც ძლივს თუ გაძვრები. რავინელი ხედავს, რომ მოხვდა საბარგულების ფარების სხივთა ფოკუსში და სწორდება. მძღოლის კაბინიდან ალბათ ჩანს მათი მანქანის მთელი სალონი. რავინელი სვლას უმატებს და ძრავა მაშინვე თეხთუხს იწყებს. ალბათ ფრქვევანაში მტვერი მოხვდა და კარბურატორი დანაგვიანდა. ლიუსიენი ვერაფერს ხედება ის მშვიდად თვლემს. რა ენაღვლება? საოცარია, როგორ არა ჰგავს სხვა ქალებს... როგორ მოხდა, რომ ის მისი საყვარელია? ვისი ინიციატივა იყო ეს? თავიდან თითქოს ლიუსიენი უბრალოდ ვერ ამჩნევდა მას. მხოლოდ მირვი აინტერესებდა. მას პაციენტივით კი არ ექცეოდა, არამედ როგორც მეგობარს. ისინი თანატოლები არიან. იქნებ მიხვდა, რომ მათი ქორწინება მტკიცე არ იყო? ან მოულოდნელ აღტყინებას დაემორჩილა? მაგრამ მან ხომ მშვენივრად იცის, რომ მაინცდამაინც არ ბრწყინავს სილამაზით, არც გონებამახვილობით. თავად ის ვერასდროს ვერ გაბედავდა ლიუსიენისათვის თითის დაკარებასაც კი... ლიუსიენი სულ სხვა, რჩეული, დახვეწილი, კულტურული სამყაროდანაა. მამამისი, ბრესტის ლიცეუმის საცოდავი მასწავლებელი, ამ ქვეყანას მხოლოდ შორიდან უყურებდა ლატაკის თვალებით. პირველ ხანებში რავინელი ფიქრობდა, რომ ეს ქალის ახირებაა. უცნაური ახირებაა მხოლოდ და მხოლოდ... ქურდული კოცნა... ზოგჯერ პირდაპირ კაბინეტში, საწოლზე, იმავე მაგიდის გვერდით, რომელზედაც მონიკელებულ ინსტრუმენტებს ხარშავდნენ. შემდეგ ზოგჯერ ლიუსიენი მას წნევას უზომავდა — მისი გულის ჯავრი ჰქონდა? წუხდა? არა. საეჭვოა. მაგრამ ლიუსიენს არაერთხელ გამოუჩენია მზრუნველობა, რაც მართალი მართალია, მგონი, ღელავდა კიდეც... ხოლო ზოგჯერ ღიმილით გამოაგდებდა ხოლმე გარეთ... „რას ამბობ, საყვარელო, ღმერთმანი, ეს სისულელეა“. ბოლოსდაბოლოს რავინელი სრულიად გატანჯა დაურწმუნებლობამ. უფრო სწორად... ყურადღებამ! ძნელი გზაჯვარედინი... ლიუსიენს პირველი დღიდანვე შორს გამიზნული გეგმები ჰქონდა. მას თანამონაწილე სჭირდებოდა. ისინი

თავიდანვე, პირველი შეხვედრიდანვე თანამონაწილენი არიან. სიყვარული აქ არაფერ შუაშია, ესე იგი ნამდვილი სიყვარული! მათ ერთმანეთთან მიდრეკილება კი არ აკავშირებთ, არამედ რაღაც ღრმა, საიდუმლო, დახლართული რამ. განა ლიუსიენი ფულს დახარბდა და მხოლოდ ფულს? არა, მისთვის უფრო მნიშვნელოვანია ძალაუფლება, რომელსაც ფული იძლევა, მდგომარეობა საზოგადოებაში და განკარგულების გაცემის უფლება. მას მბრძანებლობა სურს. ის კი ერთბაშად დამორჩილდა. მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდია. ლიუსიენის არსებაში რაღაც ფარულ შიშს დაუსადგურებია. ოდნავ საგრძნობს. მაგრამ უდაოდ შიშს... ესაა შიში უფსკრულის პირას მისული არსებისა, რომელიც მთლად ნორმალური არ უნდა იყოს. შიში. ამიტომაც დაუახლოვდნენ ისინი ერთმანეთს. ის თვითონაც ხომ მთლად ნორმალური არაა, თუნდაც ლარმინჟას აზრით, ის ცხოვრობს როგორც ყველა, ფირმის საუკეთესო წარმომადგენლადაც კი ითვლება, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითია... დაწყევლილი ფერდობი! ძრავა კარგად არ ეწევა!.. ჰო, რას ვამბობდი? აქეთ-იქით ვაწყდები, საზღვრისკენ ვიხედები გაძევებულივით, კვლავ სამშობლოში დაბრუნებას რომ ცდილობს. და ისიც აგრეთვე... ისიც ასევე... ეძებს, იტანჯება, მასაც აკლია რაღაც. ზოგჯერ ის თითქოს შიშით მიეტმასნება. ხოლო ზოგჯერ ისე მიყურებს, თითქოს მეკითხება, ვინა ხარო. შევძლებთ კი ერთად ცხოვრებას? და საერთოდ მსურს მასთან ცხოვრება?

დამუხრუჭება. ორი დამაბრმავებელი ფარი. მანქანამ ჰაერი გააპო, გაიქროლა და გზა ისევ თავისუფალია. ხეები შეთეთრებულია ადამიანის სიმაღლეზე, გზატკეცილი შუაში ყვითელი ხაზითაა გაყოფილი და ხანდისხან მოასფალტებულ გზაზე დავარდნილ შემოდგომის ფოთოლი შორიდან ქვად თუ ღრანტედ ეჩვენება. რავინელი ზანტად უტრიალებს ერთსა და იმავე ფიქრებს. მას დაავიწყდა სიკვდილის ამბავი, დაავიწყდა ლიუსიენი. მარცხენა ფეხი დაუბუჟდა. ძალზე მოუნდა მოწევა. თავს საკუთარ ეგოისტურად გრძნობს ამ ყველა მხრიდან დახურულ მანქანაში. რაღაც ამდაგვარს განიცდიდა ჯერ კიდევ ბავშვობაში, სკოლაში, ღილშებნეული მოსასხამით რომ დადიოდა. ჩამოშვებული კაპიშონის ქვეშ მას ვერავინ ხედავდა,

თვითონ კი ყველას უთვალთვალებდა, თან თავისთვის თამაშობდა, თითქოს იალქნიან ნავზე იმყოფებაო, თავის თავს აძლევდა ბრძანებებს, ახდენდა რთულ მანევრებს: „მიაბრუნე ანძის წვეტი!“ „დაუშვი ყველა იალქანი!“ ის იხრებოდა, ქარის მიმართულებით დგებოდა და ზურგქარის შემწეობით მიდიოდა საბაყლო დუქნისაკენ, სადაც ხშირად გზავნიდნენ ღვინისათვის. იმ დროიდან მოუნდა სხვა სამყაროში ყოფნა, უფროსების გარეშე, რომლებიც მუდამ მხოლოდ ერთ მკაცრ მორალს უქადაგებდნენ.

ლიუსიენმა ფეხი ფეხზე გადაიდო და ფაქიზად გაისწორა მუხლებზე პალტო. რავინელმა ძლივს შეიგნო, რომ გვამი გადაჰქონდათ — ტურზე გავლით უფრო მალე ჩავიდოდით — შენიშნავს ლიუსიენი, ისე რომ თავიც არ მიუბრუნებია. არც რავინელი განძრეულა, ისე მოუჭრა:

— ანჟერის შემდეგ გზა გაჭედილია. და მერე სულ ერთი არ არის?

ოღონდ ლიუსიენი არ შეეპასუხოს, თორემ უეჭველად წაეჩხუბება არაფრის გამო. ლიუსიენი კი მხოლოდ იმით კმაყოფილდება, რომ ჯიბიდან იღებს საავტომობილო გზების რუკას და ხელსაწყოების განათებულ დაფაზე დახრილი ათვალიერებს. რავინელს ესეც აღიზიანებს. რუკები მისი საქმეა. განა თვითონ ჩაძვრებოდა მის ჩანთაში? სიტყვამ მოიტანა და, არასდროს არ უნახავს ლიუსიენის ბინა. ისინი ძალზე დაკავებულები არიან: ერთიცა და მეორეც. ძლივძლივობით ასწრებენ ერთად საუზმობას ანდა საავადმყოფოში შეხვედრას, სადაც ის ვითომ მიღებაზე დადის. უფრო ხშირად კი ლიუსიენი მოდის ნავმისადგომთან მდებარე პატარა სახლში. სწორედ იქ განიზრახეს ყველაფერი. რა იცის მან ლიუსიენის შესახებ, მის წარსულზე? ერთხელ უთხრა, რომ მამამისი მოსამართლე იყო ექსში. გარდაიცვალა ომის დროს. ვერ აიტანა ხელმოკლეობა. რამდენჯერ არ ჰკითხა რავინელმა, მაგრამ დედის შესახებ საერთოდ ვერაფერი ათქმევინა, ის მხოლოდ იღუშებოდა. ეს იყო და ეს. ერთი რამ ნათელია. ლიუსიენი მას არ ნახულობს: ალბათ ოჯახური უსიამოვნება აქვთ. ყოველ შემთხვევაში ექსში ლიუსიენი აღარ დაბრუნებულა. მაგრამ ეს ადგილები, ეტყობა, მაინც ძვირფასია მისთვის, რაკი ანტიბში და-

კვიდრება სურს. და-ძმები არა ჰყავს. მის კაბინეტში დგას — უფრო სწორად, იდგა, იმიტომ, რომ უკვე დიდი ხანია აღარ უნახავს — პატარა ფოტოსურათი. მასზე აღბეჭდილია ლამაზი, ქერათმიანი, სკანდინავიური ტიპის გოგონა. ის კიდევ ჰკითხავს, ვინ არის ეს. მერე, როცა დაქორწინდებიან, რა მშვენივრად ჟღერს ეს! რავინელს ვერ წარმოუდგენია თავი ლიუსიენის ქმრად. ლიუსიენიცა და ისიც, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ტიპიური შინაბერები არიან. ჩვეულებებიც შინაბერული აქვთ. მისი ჩვეულებები ხელშეუვალია ლიუსიენისაგან. მას მოსწონს ისინი. ხოლო ლიუსიენის ჩვეულებები უბრალოდ სძაგს. სძაგს მისი სუნამოები. ცხოველისა თუ ყვავილის მწკლარტე სუნი. ეზიზღება მისი ბეჭედი, რომელსაც ლაპარაკის დროს ერთთავად ატრიალებს. მასიური ბეჭედი, რომელიც ლამაზად გამოჩნდებოდა ბანკირის ან მრეწველის თითზე. ეზიზღება მისი ჭამის მანერა; კბილებს აღრჭიალებს და სისხლიანი ხორცი უყვარს. ზოგჯერ მისი მოძრაობა და გამომეტყველება ვულგარულია. თავს კარგად უვლის. ჩინებულადაა აღზრდილი. ზოგჯერ კი მოულოდნელად მთელი ხმით ხარხარებს და ხალხს ძალზე თავხედურად და ქედმაღლურად უყურებს. მას ფართო მაჯები, მსხვილი კოჭები და თითქმის ბრტყელი მკერდი აქვს. ეს რავინელს ოდნავ ეჩოთირება. იგი ეწევა წვრილ მყრალ სიგარეტებს. მგონი, ესპანეთში შეძენილი ჩვეულებაა. რატომ იყო ესპანეთში? ყოველ შემთხვევაში მირეის წარსული მოკლებულია საიდუმლოებას. ლა ფლეშის შემდეგ ადგილი იცვლება. ხვდებოდათ ბორცვები, ხევები, სადაც ჯერ კიდევ დგას ნისლი. მინები ჭირხლს დაუფარავს. ზოგიერთი ციცაბო აღმართი რავინელმა მხოლოდ მეორე ცდით აიღო.

ეს ორმაგი ნარევი — პირდაპირ საზიზღრობაა. სწორედ მის გამო სკდება ძრავები და ვერც გაზგენერატორებზე უკეთ ეწევიან. ამინდი საბოლოოდ გაფუჭდა. თერმომეტის ნახევარია. გზაზე ცაცის ჭაჭანება არაა. მინდორში ორმო რომ ამოთხარო და გვამი ჩამარხო, ვერავინ მიხვდება. ფარულად... მაგრამ მათ გარკვეული გეგმა აქვთ... საბრალო მირეი! ის არ იმსახურებს ამას. რავინელი გულისამაჩვილებელი სინანულით იგონებს მას. რატომ არ იყო ის ამავე მოდგმისა, როგორისაც თა-

ვადაა? თავდაჯერებული დიასახლისია! მოსწონდა ფერადი კინოფილმები, სტანდარტული ფასების მაღაზიები, პატარა ქოთნებში ჩადგმული კაქტუსები. თავს მასზე მაღლა აყენებდა, უწუნებდა ჰალსტუხებს, რომლებსაც ის ატარებდა, აბუჩად იგდებდა მის სიმელოტეს. ვერ გაეგო შინ, გაჯავრებისას რატომ სცემდა ბოლთას ჯიბეებში ხელებჩაწყობილი. „რა დაგემართა, საყვარელო? მოდი კინოში წავიდეთ თუ მოწყენილი ხარ, მითხარი". მაგრამ არა, ის არ იყო მოწყენილი, უფრო უარესი სჭირდა! მას გული ერეოდა — აი ზედგამოჭრილი სიტყვა. ახლა მან იცის — ეს განუკურნებელია. ესაა ქრონიკული დაავადება. გულის ამრევია ამ ქვეყანაზე ცხოვრება. და ვერავითარი მკურნალობა ვერ უშველის. მირეი მკვდარია! შეიცვალა ამით რამე? მაგრამ, შესაძლოა, როდესაც ისინი ანტიბში დასახლდებიან...

გზის ორივე მხარეს უსასრულო დაბლობი გადაჭიმულა. გეგონება მანქანა სულ არ მოძრაობსო. ლიუსიენი ხელთათმანით წმენდს მინას, და ათვალიერებს სევდიან პეიზაჟს. ჰორიზონტზე მანსის ჩირაღდნები გამოჩნდა.

— ხომ არ გცივა?

— არა. — მოუჭრის ლიუსიენი.

რავინელს არც მირეისთან გაუღიმა ბედმა.

ისევე როგორც ლიუსიენთან. როგორც ჩანს, მას მხოლოდ ცივი ქალები დაებედა. ამაოდ ცდილობდა მირეი, ვნებიანად მოეჩვენებინა თავი. ეგონა, რომ მოვალე იყო ვნებიანობანა გაეთამაშებინა. ეგრე ადვილად ვერ მოატყუებდი. სწორედ აქედან დაიწყო მათი უთანხმოება. ლიუსიენი არც ცდილობს მის მოტყუებას. სავსებით ნათელია, რომ სიყვარული მას მხოლოდ აღაგზნებს. სულაც არა ჰგავს მირეის.

რავინელი ცდილობს არ იფიქროს ამაზე. ბოლოს და ბოლოს მირეი ხომ მან მოკლა. მაგრამ სწორედ ესაა დაბრკოლება. მას ვერას დიდებით ვერ დაურწმუნებია თავი, რომ დანაშაული ჩაიდინა. დანაშაული — ასე ეგონა მას ყოველთვის და ასე ჰგონია დღესაც — საშინელი ამბავია! სისხლისმსმელი ველური უნდა იყო. ის სრულებითაც არაა სისხლის მსმელი. მას ორგანულად არ ძალუძს დანის ხელში აღება... ანდა რევოლვერის ჩახმახზე თითის გამოკვრა. ანგიანში მას სეკრეტერში

უდევს გატენილი ბრაუნინგი... უკაცრიელი ღამის გზებზე ვინ იცის, ვის გადაეყრები. დავრელმა, დირექტორმა, ურჩია იარაღის შეძენა. ერთი თვის შემდეგ ამ რევოლვერს მან საცხი წაუსვა და ყუთში ჩადო, აზრადაც არ მოუვიდოდა, მირეისათვის ესროლა. მისი დანაშაული შედეგია უმნიშვნელო, გაუგებრობით ჩადენილი პატარ-პატარა სისაძაგლეებისა. თუკი მოსამართლე — აი დაახლოებით ლიუსიენის მამის მსგავსი — დაუწყებდა დაკითხვას, ის გულწრფელად უპასუხებდა: „მე არაფერი გამიკეთებია ისეთი". და რაკი არაფერი გაუკეთებია, არც მოინანიებს. რა უნდა მოინანიოს? ბოლოს და ბოლოს მოინანიებდა იმას, რომ ის ისეთია, როგორიც არის. ეს კი უკვე სისულელეა.

საგზაო ნიშანი: „მანსამდე 1500 მეტრი დარჩა". მომსახურების თეთრი სადგურები. გზა ლითონის ხიდის ქვეშ გადის და თეთრ სახლებს შორის მიემართება.

— არ გსურს ცენტრზე გავლა?

— რა შუაშია ცენტრი?.. მივდივარ უმოკლესი გზით.

თერთმეტის ოცდახუთი წუთია. ხალხი კინოდან გამოდის. სველი ტროტუარები. ძრავის ხმა ექოსავით გაისმის ცარიელ ქუჩებში. მარცხნივ მოედანია. მასზე დინჯად მიდის ორი ველოსიპედიანი პოლიციელი. შემდეგ ისევ გარეუბანი, გაზის ფარნები. კვლავ თეთრი სახლები და ბენზინის კოლონები. ქუჩები მთავრდება. ციმციმებს ხიდი, მასზე სამანეერო ორთქლმავალი ქშინავს. შემხვედრი მიმართულებით მოქრის ავეჯის გადასაზიდი ფურგონი. რავინელი სიჩქარეს უმატებს, სამოცდათხუთმეტ კილომეტრს ავითარებს. ცოტა კიდევ და ბოსი იქნება. ნოჟან-ლე-როტრუმდე იოლი გზაა.

— უკან მანქანაა, — ეუბნება ლიუსიენი.

— ვხედავ.

ფარების სინათლე საჭესა და ხელსაწყოების დაფას ოქროს მტვერივით ეფრქვევა, სურვილი გაქვს, ხელით გადაწმინდოთ. გზა კი ადრინდელზე უფრო ბნელი ჩანს. მანქანა — „პეჟო" — უსწრებს მათ და მაშინვე უკან ბრუნდება. დაბრმავებული რავინელი იწყევლება. „პეჟო" ნელ-ნელა უჩინარდება, ქრება, როგორც სილუეტი ეკრანზე და უკვე შორიდან გზავნის სხივთა ორ კონას. სიჩქარე ას ათ კილომეტრზე ნაკლები არაა.

სწორედ ამ დროს ძრავამ დაახველა და გაიგუდა. რავინელი რთავს სტარტერს. მოტორი მთლად ქრება. მანქანა მხოლოდ ინერციით მიგორავს. რავინელს უნებლიეთ გზის ნაპირისაკენ მიჰყავს მანქანა, ამუხრუჭებს, რთავს ფარებს და ანთებს უკანა სინათლეებს.

— რა მოიფიქრე? — ეკითხება ლიუსიენი.

— უწესივრობებია! მანქანის უწესივრობები. ალბათ კარბურატორია!

— ესღა გვაკლდა!

კაცს შეიძლება ეფიქრა, რომ მან ეს განგებ გააკეთა. რასაკვირველია, საწყენია მანსთან დარჩენა. იქ დიდი მოძრაობაა, ღამითაც კი! რავინელი მანქანიდან გადმოდის. გული ბაგაბუგით უცემს. ცივი ქარი ძვალსა და რბილში ატანს და შიშველ ტოტებში სტვენს. გარკვევით ისმის ყოველი ხმა. აი სადღაც ახარხარდნენ ვაგონები, მერმე შემადგენლობა ადგილიდან დაიძრა. ნელ-ნელა გადაუარა სოფელს ავტომობილის საყვირის ხმამ. ეშმაკმა დალახვროს, ადამიანები კუს ტემპით ცხოვრობენ. რავინელმა ასწია კაპოტი.

— მომაწოდე ფარანი.

ლიუსიენი ფარანს აწვდის. რავინელი თბილ, შეზეთილ მოტორზე იხრება. სახრახნისი ხელში უთამაშებს და საჭირო კილოში ვერ ხვდება.

— დაუჭარე.

რავინელს არ სჭირდება ჩიჩინი. ის გაშმაგებით უბერავს მწვავე, ბენზინისა და ზეთის სუნიან ორთქლს. მყიფე ყიკლერი ხელისგულზე უდევს. უნდა დაშალოს კარბურატორი და სადმე დადოს პაწაწინა ხრახნები. მათი ბედი ერთ-ერთ ამ პატარა ლითონის ნაჭერზე ჰკიდია. რავინელს შუბლზე ოფლს ასხამს, წურწურით ჩამოსდის და თვალებს სწვავს. ის საფეხურზე ჯდება და წინ საგულდაგულოდ აწყობს კარბურატორის ნაწილებს. ლიუსიენი გზატკეცილზე ბოლთას სცემს.

— უმჯობესია დამეხმარო, — შენიშნავს რავინელი.

— მართალია, შესაძლოა ასე უფრო სწრაფად გაკეთდეს. სავსებით შესაძლებელია, რომ...

— რა?

— რომ პირველივე შემხვედრი ავტომობილისტი დაინტერესდეს, დახმარება ხომ არ გეჭირდება,

— მერე რა?

— როგორ თუ „მერე რა?" ის შეიძლება მანქანიდან გადმოვიდეს და დახმარება შემოგვთავაზოს.

რავინელი ძალუმ უბერავს სპილენძის პატარა მილებში. პირი მეავე ნერწყვით ევსება. მაგრამ მაინც უბერავს და უბერავს და უკვე აღარ ესმის ლიუსიენის შენიშვნები. ესმის მხოლოდ როგორ უფეთქავს საფეთქლებში სისხლი, ბოლოს, როგორც იქნა, სული მოითქვა.

— ...პოლიცია!

რაებს როშავს ეს ლიუსიენი! რავინელი თვალებს იწმენდს და მას შესცქერის. ჰმ... ეშინია!.. უეჭველია. ნამდვილად შიშით კვდება, მანქანიდან თავისი ჩანთა გადმოაქვს. რავინელი წამოხტება და კბილებში ჟიკლერგაჩრილი ბურტყუნებს:

— შენ რა, ჩემ დატოვებას აპირებ?

— გეყოფა ლაყბობა, სულელო!

მანქანა. მანსიდან. თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრეს და ის თითქმის მათ გვერდით აღმოჩნდა. სინათლის კაშკაშა შუქი მათ ფიგურებს ეცემა და ისინი თავს ტიტვლებივით გრძნობენ. თანდათან მზარდი შავი ვეება რაღაც სვლას უკლებს.

— ცუდადაა საქმე? — გაისმის ხალისიანი ხმა.

სიბნელეში მოჩანს დიდი საბარგული. სარკმლიდან თავს ყოფს კაცი. ალისფრად ღვივის სიგარეტის წითელი წერტილი.

— არა! — უპასუხებს რავინელი, — უკვე წესრიგშია.

— იქნებ გოგონამ ისურვოს ჩემთან წამოსვლა? — ხარხარებს მძღოლი და დაძვრისას ხელს უქნევს.

საბარგული სრული სვლით განაგრძობს გზას, ისმის მხოლოდ სიჩქარეთა გადამრთველის ჭრიალი. ლიუსიენი ღონემიხდილი ეშვება დასაჯდომზე, მაგრამ რავინელი გაცოფებულია. ლიუსიენმა პირველად უწოდა მას სულელი.

— კეთილი ინებე და იჯექი წყნარად. შენი მოსაზრებები შენთვისვე შეინახე. შენ ჩემზე ნაკლები დამნაშავე არა ხარ. ნუთუ მართლა აპირებდა გაქცევას? მანსამდე მისვლას? ისინი ხომ ერთი თოკით არიან გადაბმულნი. და განა მისგან გაქცევა გადაარჩენდა მას?

ლიუსიენი დუმს. მისი პოზა ამჟღავნებს, რომ გადაწყვიტა,

არაფერში ჩაერიოს. დაე, თვითონ დააღწიოს თავი. განა ადვილია კარბურატორის თითქმის ბრმად ხელახლა აწყობა? ფარნის მოციმციმე სინათლეს ხან სიჩქარეების კოლოფს მიანათებს, ხან ფრთას, და ხანაც რადიატორს. ყოველ წამს შეიძლება გაგივარდეს ქანჩი და სილაში შეგორდეს. მაგრამ სიბრაზისაგან რავინელის თითები ისეთ სიმტკიცეს, მოქნილობასა და მოძრაობის უნარს იძენენ, როგორიც მათ არასდროს ჰქონიათ. ის ათვალიერებს მანქანას, აწვება სტარტერს. ყველაფერი წესრიგშია. ძრავა გამართულად მუშაობს. მაშინ რავინელი უტიფრად სტაცებს ხელს კანისტრას და აუჩქარებლად, ნელა აკვლებს ავზს. მათ ასწრებს საბარგული-ცისტერნა. იგი წამით ანათებს სალონს და მუქი მწვანე ფერის გრძელ შეკვრას. ლიუსიენი დასაჯდომზე იკრუნჩხება. ყველაფერი რიგზეა! რავინელი ვეებერთელა კანისტრას დებს თავის ადგილზე, რაზრაბა რკინის ფურცელზე და ხურავს საბარგეს, წავედით! ჰირველის ნახევარია. რავინელი სატერფულს ფეხს აჭერს. იგი თითქმის გამხიარულდა. ლიუსიენი შეშინდა და მერე როგორ. უფრო მეტად, ვიდრე მაშინ, საბაზანოში რატომ? რისკი ისეთივეა — არც მეტი და არც ნაკლები. ყოველ შემთხვევაში მათს ურთიერთობაში უეცრად რაღაც შეიცვალა. მან კინაღამ უღალატა რავინელს. რასაკვირველია, რავინელი ამაზე კრინტს აღარ დასძრავს, მაგრამ სხვანაირად მოახდენს რეაგირებას, თუკი ის კვლავ შეეცდება ქედმაღლურად მოექცეს მას.

საბარგულ-ცისტერნის წითელი სინათლე უახლოვდებათ. რავინელი უსწრებს მას და წინ მიჰქრის. აი ბოსიც. ცა მოიწმინდა. ვარსკვლავებმა გამოანათა. ისინი ნელ-ნელა გარბიან მანქანის კარს მიღმა. საინტერესოა, რაზე ფიქრობდა ლიუსიენი, ჩანთას რომ დასტაცა ხელი? თავის საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, თავის ადგილზე საავადმყოფოში? ლიუსიენს ოდნავ ეზიზღება ის. უბედური კომივოიაჟორი! მან დიდი ხანია გაიგო ეს! მას მიიჩნევენ . გულუბრყვილო ადამიანად, რომელიც წვრილმანებში ვერ ერკვევა. მაგრამ ის არც ისეთი სულელია. როგორც ჰგონია.

ნოჟან-დე-როტრუ! გრძელი, უსასრულოდ გრძელი ქუჩა, ციწრო და არასწორი. პატარა ხიდი და შავი. ფარების სინათ-

ლეზე მბრწყინავი წყლის წყნარი ზედაპირი. „ყურადღება — სკოლაა!“ ღამით მოსწავლეებს სძინავთ. რავინელს არ შეუნელებია სვლა. აი ის უკვე მეორე ციცაბო ნაპირზეა. მოტორი მთელი ძალით ღმუის.

ეშმაკმა დალასვროს! ჟანდარმები, სამნი, ოთხნი. „სიტროენი“ გზის გარდიგარდმო დგას და გასასვლელს კეტავს; გზის ნაპირთან მოტოციკლები ჩამწკრივებულა. ყველაფერი გაკაშკაშებულია: ზურგები, პორტუპეები, ჟანდარმთა სახეები. ისინი ნიშანს აძლევენ. უნდა გაჩერდეს. რავინელი ფარებს რთავს. მოულოდნელად ყელში მოწოლილი გულის რევა კრუნჩხავს, როგორც მაშინ სააბაზანოში. ის უნებლიეთ მკვეთრად აუხრუკავს და ლიუსიენი მთელი ძალით ეყრდნობა გამანაწილებელ დაფას, რომ არაფერს მიეჯახოს. რავინელს გული ერევა. აი ელექტროფარანი ანათებს მოტორს, ძარას... ჟანდარმები რავინელს თვალს თვალში უყრიან...

— საიდან მოდიხართ?

— ნანტიდან. კომივოიაჟორი გახლავართ.

რავინელმა დროზე მოიფიქრა, რომ ამ დაზუსტებამ შეიძლება იხსნას ისინი.

— მანსთან დიდი საბარგულისათვის ხომ არ გადმოგისწრიათ.

— შეიძლება, რატომღაც არ მიმიქცევია ყურადღება, იცით...

ჟანდარმს მზერა ლიუსიენზე გადააქვს, რავინელი რაც შეიძლება ძალდაუტანებლად ეკითხება:

— განგსტერები არიან?

ჟანდარმი დასაჯდომის ქვეშ იხედება და პატარა ფარანს აქრობს.

— ყალთაბანდები. გამოსახდელი ქვაბი მიაქვთ.

— უცნაური პროფესიაა. მე ჩემი უფრო მომწონს!

ჟანდარმი განზე დგება. რავინელი ნელა იძვრის ადგილიდან, ჩამწკრივებულ მამაკაცებს გვერდს უვლის და თანდათან უმატებს სვლას.

— მე უკვე ვიფიქრე, რომ... — ბურტყუნებს ის.

— მეც, — აღიარებს ლიუსიენი.

რავინელი ძლივს ცნობს მის ხმას.

— ყოველ შემთხვევაში, გამორიცხული არაა, რომ მან ჩაინიშნა ჩვენი ნომერი.

— მერე რა?

სწორედ რომ მერე რა! რა განსხვავებაა? რავინელს არ განუმარტავს თავისი ღამის მოუზაურობის დამალვა. ერთი ნაბიჯი, კარგიც კია თუ ყანდარმმა მანქანის ნომერი ჩაიწერა. რა ვე რომ მოხდეს, ამ კაცს შეუძლია დაადასტუროს... აი მხოლოდ ერთი... ქალი მანქანაში. მაგრამ შესაძლოა ყანდარმმა ვერც გაიხსენოს ეს.

საათის ისარი თვალწინ გარბის ერთფეროვნად. სამი საათია. შარტრი სადღაც შორსაა, სამხრეთ აღმოსავლეთით. მოსახვევის შემდეგ რამბუიე მოჩანს. კვლავინდებურად უკენი ღამეა. ტყეილად კი არ ამოირჩიეს ნოემბერი. სამაგიეროდ სულ ეფერო ძლიერდება მოძრაობა. რძის საბარგულები, კაეშირგამბულობის მანქანები, სასიღრები... ახლა რავინელს ფიქრის თავი არა აქვს. ის ყურადღებით გასცქერის გზას. აი, ვერსალის გარეუბანიც. ქალაქს სძინავს ქუჩების სარწყავი მანქანები აუჩქარებლად მიზოზინებენ მწკრივში, ტანკისმაგვარი უზარმაზარი საბარგულის უკან. რავინელი საშინელ დაღლილობას გრძნობს, სწყურია.

ვილ-დ' ავრე... სენ-კლუ... პიუტო... სახლები თითქოს შესასვვედრად მოიჩქარიან. მოხურული დარაბები ჩაბნელებულია. ყანდარმებთან შეხვედრის შემდეგ ლიესიენს არ გაუკეთებია არც ერთი მოძრაობა, არც ერთი ჟესტი. მაგრამ მას არ სძინავს. ის პირდაპირ იხედება დაორთქლილ საქარე მინაში.

სენის ბნელი, უძირო ხნარცვი. და აი უკვე ანგიენის პირველი პატარა სახლები. რავინელი ცხოვრობს ჩიხის ბოლოში, პატარა ტბასთან. იქეთ რომ გაუხვია, მაშინვე გამორთო გადაბმულობა და გამოთიშა კონტაქტი. მანქანა ინერციით უხმაუროდ მიგორავს წინ.

რავინელი ჩიხის ბოლოში, მრგვალ პატარა მოედანთან ჩერდება და მანქანიდან გადმოდის. ისე გაშეშებია ხელები, რომ ძლივს იქერს გასაღებს. ბოლოს აღებს ჭიშკარს. მანქანა ეზოში შეჰყავს და სასწრაფოდ კეტავს ორივე საგდულს მარჯვნივ — სახლია, მარცხნივ — გარაჟი. დაბალი, დოტივით მასი-

ური. ხეივნის ბოლოში, ხეებს იქით, მოჩანს ფლიგელის დაქ
ნებული სახურავი.

ლიუსიენი დაბარბაცდა და მანქანის კარის სახელურს ხტ-
ცა ხელი. ფეხები დაუბუჟდა, ჯერ ერთ, მერე მეორე ფეხს
აქნევს და ღუნავს. გულჩათხრობილად, მოღუშულად გამო-
იყურება, ასეა ყოველთვის, როცა ძალიან ცუდ" გუნებ-
რავინელი საბარგულის სახურავს სწევს.

— .ბა, დამეხმარე!

შეკვრა მთელი და ფვნებელია. ერთი კალთა ოდნავ შეკ-
ცილა და წყლისაგან გახეშეშებული ფეხსაცმელი გამოჩრილა.
რავინელი შეკვრას თავისკენ ითრევს, ლიუსიენი მეორე ბო-
ლოს ჰკიდებს ხელს.

— წავიდეთ?

თანხმობის ნიშნად ის თავს ხრის. მზადაა!

წელში მოხრილები ხეივანს მიჰყვებიან, ცოცხალი ღობე
გაიარეს. დაქანებულსახურავიანი ფლიგელი — სამრეცხაო.
პაწაწა ნაკადული ზანტად მიჩუხჩუხებს წანწალებისაკენ. გზად
ნაკადული ფართოვდება, მიექანება ქვევით, ქმნის პაწაწა ჩან-
ჩქერს და ტბაში იკარგება.

— გამინათე!

ლიუსიენი ისევ იწყებს ბრძანებას, შეკვრა ცემენტის
ფილებზე დევს. რავინელს ფარანი უჭირავს. ლიუსიენი ბრე-
ზენტის გახსნას იწყებს. დაჭმუჭნილტანისამოსიანი გვამი ადვი-
ლად. თითქოს საკუთარი ნებით ბრუნავს. მირეის სახე, შემ-
შრალი, გაჩეჩილი თმები რომ ახვევია გარს, თითქოს იმან-
ჭება... ბიძგი — და გვამი წანწალებზე მისრიალებს. ჩქაფუნი
და ტალღა მოპირდაპირე ნაპირამდე აღწევს. კიდევ ცოტაც...
ლიუსიენი გვამს ფეხს ჭკრავს და წყალში იძირება. მერმე ის
ხელის ცეცებით — რავინელმა უკვე ფარანი ჩააქრო — კეცავს
ბრეზენტს და მანქანისაკენ მიათრევს. ექვსის ოცი წუთია.

— ძალზე ცოტა დრო დამრჩა, — ბურტყუნებს ლიუ-
სიენი.

ისინი შედიან სახლში, წინკარში საკიდარზე კიდებენ მირე-
ის ქუდსა და საგზაო პლატოს. ჩანთას სასადილო ოთახში მა-
გიდაზე დებენ.

— დაუჩქარე,—უბრძანებს წამოწითლებული ლიუსიენი,—

ჩქარი მატარებელი ნანტისაკენ ექვსსა და ორმოც წუთზე გავდის. ჩემი დაგვიანება არ შეიძლება.

ისინი მანქანაში სხდებიან. მხოლოდ ახლა იგრძნო რავინელმა, რომ დაქვრივდა.

5

რავინელი ნელ-ნელა დაეშვა მონპარნასის სადგურის კიბეზე, ვესტიბიულის შესასვლელთან ერთი კოლოფი „გალუაზის" სიგარეტები იყიდა და დიუპონისაკენ გაემართა. „დიუპონთან ისე დანაყრდები, როგორც შინ" განათებული ფირნიში აისის სხივებში ღია ვარდისფრად ბზინავდა. ფართო მინებში მოჩანდა პარის წინ მსხდომი ხალხის ზურგები და თვლებიანი, სახელურებიანი, დისკოებიანი ყავის უზარმაზარი მანქანა, რომელსაც ნამძინარევი ოფიციანტი აპრიალებდა. რავინელი კარის უკან დაჯდა და ერთბაშად მოეშვა. ბევრჯერ შემოსულა აქ, ასე ადრიანად. მთელ პარიზს შემოივლიდა, დრო რომ გაეყვანა და მირეი არ გაეღვიძებინა. ჩვეულებრივი დილა იყო... — შავი ყავა... და სამი რქაპურა.

ყველაფერი ძალზე იოლადაა: ის თითქოს გონს მოდის ღამის საშინელების შემდეგ. ისევ გრძნობს თავის ხელებს, იდაყვებს, მუხლებს, თითოეულ კუნთს. სულ მცირე მოძრაობაზე ტანში უგლის დაღლილობის ტალღა. თავი უხურს. ტვინში თითქოს რაღაც გლაუნებს, თვალები სტკივა, მტკივნეულად ეჭიმება ღაწვებზე კანი... კინაღამ პირდაპირ სკამზე ჩასთვლიმა ხმაურიან კაფეში. მაგრამ ყველაზე ძნელი წინაა. ახლა საჭიროა ვითომ გვამის აღმოჩენა. მაგრამ როგორ ეძინება! ყველა იფიქრებს, რომ მწუხარებისგანაა გულმოკლული. გატანჯული სახე ერთგვარ კეთილ სამსახურს გაუწევს მას.

მან ფული მაგიდაზე დადო, რქაპურა ყავაში ჩაიწო. ყავა ნაღველივით მწარე მოეჩვენა. თუ დაუფიქრდები, ჟანდარმებთან შეხვედრა — სისულელეა. ვინმემ კიდეც რომ შეატყობინოს, მანქანაში ქალი იჯდაო. ინებეთ: ეს უცნობი ქალი გზაში ჩაისვა. ანჟერიდან გამოსვლისას შეხვდა. ვერსალში ჩავიდა. არავითარი კავშირი მირეის სიკვდილთან... მერე კიდევ. ვის მოუვა აზრად იმის გამოძიება, თუ რომელი გზით დაბრუნდა

ის სახლში? დავუშვათ, რომ ეპვიც მიიტანონ. მაგრამ მხოლოდ მანამდე, ვიდრე მის ალიბს არ შეამოწმებენ. რავინელი ნანტსა და მის შემოგარენს არ გასცილებია. ამას დაადასტურებს ოცდაათი მოწმე. თუ საღ[illegible] [illegible]ოდის [illegible]ვიდა შეუძლიათ დაადგინონ ერთი საათის სიზუსტით ან მიახლოებით. არც ერთი ხარვეზი. ოთხშაბათს ოთხში — გაკვეთა კი დაუსრულებია საათის თუ არა, სიკვდილის ზუსტი დღის დადგენაში, — ოთხშაბათს, ოთხში?... მოიცა. მოიცა, მე მა[illegible]ი საღამო სალუდე „ფოსში" გავატარე. შეაღამებამდე ვიჯექი იქ. ჰკითხეთ ცერმენს, ოფიციანტს, მას ნამდვილად ემახსოვრება. ხოლო ხეთში დილას ელაყბობდი... მაგრამ რა საჭიროა ზედმეტად აწეწო ეს უსიამოვნო ფიქრები?

ლიუსიენი ყველაფერ ამას გაუთავებლად უმტკიცებდა მას სადგურში. უბედური შემთხვევის ვერსია თავისთავად წამოიჭრება. თავბრუდახვევა, რუში ჩავარდნა, ფყისიერი გაგუდვა... ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი საქმეა. მართლა, მირეის საშინაო ტანსაცმელი არ ეცვა და რაკი ასეა; რისთვის ჩავიდოდა სამრეცხაოში? მიზეზი ბევრია, რისთვისაც შეიძლება ქალი თავის სამრეცხაოში ჩავიდეს? იქნებ იქ თეთრეული ან საპნის ნაპერი დაავიწყდა... თუმცა, საეჭვოა, ვინმეს ამგვარი კითხვები დაებადოს. ხოლო თუკი ვინმე უპირატესობას მისცემს თვითმკვლელობის ვერსიას — რა გაეწყობა, ინებონ. ორი წელი გასულია, სწორედ ის ორი წელი, რომელსაც საადზღვევო კომპანია მოითხოვს...

შვიდს უკლია ათი წუთი. ეშმაკმა დალახვროს! წასვლის დროა. რავინელს პირი არ დაუკარებია უკანასკნელი რქაპურასათვის, ხოლო პირველი ორი ყელში გაეჩხირა გულისამრევ მასასავით... წუთით ტროტუარის პირას გაჩერდა. ყველა მიმართულებით დაქროდნენ ავტობუსები და ტაქსები. მოსამსახურეთა და გარეუბნების მცხოვრებთა ჯგუფები სწრაფად გამოდიოდნენ სადგურიდან. აი ესეც სევდიანი პარიზი განთიადისას. ჰოო... და მაინც უნდა გაუდგეს გზას.

მანქანა საბილეთო სალაროების ახლო იდგა. იქ, როგორც გამოფენაზე სურათი, ისე ეკიდა საფრანგეთის დიდი რუკა, ხაზებით დასერილ გადაშლილ ხელისგულს რომ ჰგავდა: პარიზი — ბორდო, პარიზი — ტულუზა, პარიზი — ნიცა... ბედ-

ილბლის ხაზები, ცხოვრების ხაზები ფორტუნა! ბედი! რაკინელმა უკუსვლით წაიყვანა მანქანა და გზაზე გავიდა. რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეატყობინონ სადაზღვეო კომპანიას. ჟერმენს დეპეშა გაუგზავნონ. დაკრძალვაზეც უნდა იზრუნონ. მირეი საკადრის დაკრძალვას მოისურვებდა და, რაღა თქმა უნდა, ეკლესიაში წესის აგებასაც. რავინელს მანქანა ავტომატიკით მიჰყავდა. ის კარგად იცნობდა ამ ქუჩებს, ბულვარებს... მოძრაობაც არ იყო დიდი... მირეი ურწმუნო იყო, მაგრამ წირვაზე მაინც დადიოდა. მოსწონდა საზეიმო წირვა — ორღანის, გალობისა და მორთულობის გამო. დაბადების დრის არ გამოტოვებდა მამა რიკეს ქადაგებას რადიოთი. ის მაინცდამაინც კარგად ვერ ერკვეოდა, მაგრამ ფიქრობდა, რომ მშვენივრად კითხულობდა. და მერე კიდევ მამა რიკე — ცვალებადი პიროვნებაა! კლინიკურის ჭიშკარი. ღრუბლებში ვარდისფერი სხივი გამოკრთა. მირეი რომ ხედავდეს მას... მაშინ ეცოდინებოდა, რომ მას ბოროტება არ ამოქმედებდა. სასაცილოა!.. დიახ, მაგრამ სად იშოვოს შავიკოსტიუმი? მოუწევს კიდევ ქიმწმენდაში გაქცევა, მეზობლისათვის თხოვნა, რომ სამგლოვიარო შემოსაკრავი შეუკეროს. ლუსიენს კი შეუძლია მშვიდად დაელოდოს მას ნანტში. სად არის სამართალი?

თუმცა ამაზე ფიქრის დრო არ იყო, რადგან წინ მოძველებული „პეჟო“ გამოჩნდა და არაფრით გადასწრების უფლებას არ აძლევდა საკუთარ თავს. მან მაინც რატომღაც გაუსწრო ზედ ეპინესთან, მაგრამ მაშინვე შეანელა სვლა. სალამი! ნანტიდან მოვდივარ. არაფერი ვიცი იმის შესახებ, რომ ცოლი მომიკვდა.

სწორედ ამაშია დაბრკოლება. არაფერი ვიცი...

ანგიანი. ის თამბაქოს ფარდულთან გაჩერდა.

— გამარჯობათ, მორენ.

— გაგიმარჯოთ, მუსიე რავინელ. შემთხვევით ხომ არ დაგაგვიანდათ? ჩვეულებრივ. მგონი, უფრო ადრე ჩაიქლიღეთ ხოლმე.

— ნისლმა შემაყოვნა. წყეულმა ნისლმა! განსაკუთრებით ანჟერის ახლოს.

— ოჰ, ღმერთმა ნუ ქნას, მთელი ღამის განმავლობაში საჭესთან ჯდომა!

— უბრალოდ შეჩვევის ამბავია. რა არის ახალი?

— არაფერი. რა უნდა იყოს აქ, ჩვენთან, ახალი?

რავინელი მანქანიდან გადმოვიდა. დაყოვნება აღარ შეიძლება. მარტო რომ არ იყოს, ყველაფერი რა ბუნებრივად იქნებოდა! მოწმეები ხომ... ოჰ, ეშმაკმა დალახვროს! ეს გუტრი. აი ბედი!

— როგორაა საქმე, მუსიე რავინელ?

— არა უშავს... მოხარული ვარ, რომ შეგხვდით... სწორედ თქვენ მჭირდებით...

— რაშია საქმე?

— ჩემი სამრეცხაო სულ დაძველდა. საცაა ჩამოინგრევა. ცოლმა მითხრა, ძია გუტრს მოელაპარაკეო.

— ვიცი, ვიცი! ეს ის სამრეცხაოა ნაკვეთის ბოლოს რომაა?

— დიახ, ვერ მოიცლით ერთი წუთით? იქნებ, წავსულიყავით. თითო ჭიქა მუსკატსაც გადავკრავთ გასამხნევებლად.

— იცით რა... მშენებლობაზე ვარ წასასვლელი...

— ბას-გულენის მუსკატია. რას იტყვი? გზაში აქაურ ახალ ამბებსაც მომიყვებით.

გუტრს დიდი თავპატიჟი არ დასჭირვებია და მანქანაში შეძვრა.

— მხოლოდ ერთი წუთით... თორემ ტელადი მელოდება.

მათ ნახევარ კილომეტრზე უჩუმრად ჩაუარეს უცნაურ პატარა სააგარაკო სახლებს და გაჩერდნენ გისოსიან ჭიშკართან, რომელსაც ამშვენებდა მომინანქრებული ფირფიტა „მხიარული კუთხე“. რავინელმა ხანგრძლივი საყვირი მისცა.

— არა. არა. არ გადახვიდეთ. ცოლი ახლავე გააღებს.

— იქნებ ჯერ არ ამდგარა, — შეეპასუხა გუტრი.

— ამ დროს? ხუმრობთ? მით უმეტეს შაბათს.

მან ნაძალადევად გაიღიმა და ისევ მისცა საყვირი.

— დარაბები ისევ დაკეტილია! — შენიშნა გუტრმა.

რავინელი მანქანიდან გადმოვიდა და დაიყვირა:

— მირეი!

გუტრი უკან მიჰყვა.

— იქნებ. ბაბარში წავიდა.

— არა მგონია. გავაფრთხილე, რომ მოვიდოდი. ყოველთვის ვაფრთხილებ, როდესაც შესაძლებლობა მაქვს.

რავინელმა ჭიშკარი გაღო. დაბლა ჩამოწოლილ ღრუბლებში საცაა ლურჯი ცა გამოჩნდებოდა.

— დიახ, შემოდგომაა, უკანასკნელი თბილი დღეები, — ამოიოხრა გუტრმა და დაუმატა: თქვენი ჭიშკარი იქანგება, მუსიე. რავინელ, სურინჯის წასმაა საჭირო.

საფოსტო ყუთში გაზეთი იდო. რავინელმა ამოიღო ის. და მასთან ერთად გაზეთის კუთხეში შეჩრილი ღია ბარათი.

— ჩემი ღია ბარათი, — წაიბურტყუნა მან. — მაშასადამე, მირეი სახლში არაა. ძმასთან თუ წავიდა. ნეტავ არაფერი დაემართებოდეს. ომის შემდეგ ჟერმენი ძალზე მოტყდა.

ის სახლისაკენ გაეშურა.

— მხოლოდ პალტოს გავიხდი და ახლავე დაგეწევით. გზა იცით.

სახლში ობისა და შმორის სუნი იდგა. დერეფანში რავინელმა აბაჟურიანი ნათურა აანთო. ეს ვარდისფერი აბრეშუმის ფოჩებიანი აბაჟური თვითონ მირეიმ გააკეთა ჟურნალ „მოდები და თავისუფალი დრო"-ში მოთავსებული მოდელის მიხედვით. გუტრი პარმაღთან იდგა და ფეხს არ იცვლიდა.

— წადით! წადით! — დაუძახა რავინელმა — დაგეწევით.

ის განგებ შეყოვნდა სამზარეულოში, გუტრი რომ წინ წასულიყო, ის კი შორიდან უყვიროდა:

— რა კარგია თქვენი თეთრი ვარდკაქაჭა! ბედნიერი ხელი გაქვთ.

რავინელი გავიდა და კარები ღია დატოვა: დასამშვიდებლად გააბოლა. გუტრი სამრეცხაოსთან მივიდა. შეეხო. რავინელი შუა ხეივანში გაჩერდა. თითქოს იხრჩობაო, გაშმაგებით გამოუშვა ცხვირიდან ბოლი და ადგილზე გაქვავდა. ნაბიჯის გადადგმის თავი არ ჰქონდა.

— ეი, მუსიე რავინელ! — დაუძახა გუტრმა.

ფეხები სრულებით არ ემორჩილებოდა რავინელს, როგორ ჯობდა, რა გაეკეთებინა — ეყვირა, ეტირა, გუტრისთვის ხელი ჩაევლო და მწუხარებით გულმოკლული კაცის როლი გაეთამაშებინა?

სამრეცხაოს შესასვლელში გუტრი გამოჩნდა.

— მითხარით, ნახეთ უკვე?

რავინელი ნიხვდა, რომ მეტისმეტს შვრება და ჩქარობს.

— რა? რა ვნახე?

— ო-ო! საწყენად არ ღირს, ამის შეკეთება შეიძლება. უყურეთ!

მან მიუთითა ჭიანაჭამზე ძელურში და დასაკეცი საზომი მეტრის წვერით ხე გაჩხაპნა.

— დამპალა! გულგულამდე დამპალა. ნივსივების გამოცვლა მოგვიხდება მთელ სიგრძეზე.

რავინელი პირით იდგა ნაკადულისკენ და მობრუნებას ვერ ბედავდა.

— დიახ, დია... ვხედავ... სულ... დალპა... — გაურკვევლად ბურტყუნებდა იგი.

— იქ კიდევ წანწალები... ნაპირზე...

გუტრი გვერდზე შეტრიალდა და რავინელის თვალწინ თვლის მანასავით ნელა დატრიალდა ვეება კოჭებიანი ძელური. ისევ გულისრევის შეტევა... „ახლა გულწასული დავეცემი", — გაიფიქრა მან.

— ცემენტი წესრიგშია, — ჩვეულებრივი ტონით შენიშნა გუტრმა, — ფიცარი, კი ნამდვილად... აბა როგორ გინდათ? ყველაფერი ცვდება!

„სულელი!" — მოერია თავს რავინელი, წყალს შეხედა, და პირიდან სიგარეტი გაუვარდა. გამჭვირვალე წყალში ფსკერზე მოჩანდა კენჭები, კასრის ჟანგიანი ფერსო, გათელილი ბალახი და წყალსაშვები, სადაც ნაკადული, ვიდრე გზას გაიგნებდა, სინათლეს გაეპო. გუტრი ხან დაიხრებოდა წანწალებზე, ხან წელში სწორდებოდა და ისევ სამრეცხაოს უყურებდა. რავინელიც გულისყურით ათვალიერებდა ყველაფერს... სარეველა ბალახებით დაფარულ მინდორს, ძველ წანწალებს, გაშავებულ, ნაცრით გატენილ პატარა ღუმელს და მოტიტვლებული ცემენტის იატაკს, რომელზედაც მათ ორი საათის წინ ბრეზენტის შეკვრა დადეს.

— აი თქვენი სიგარეტი, — უთხრა გუტრმა, თან დასაკეც მეტრიანს მუხლებზე ირტყამდა და რავინელს სიგარეტი გაუწოდა.

— სიმართლე გითხრათ, — განაგრძობდა ის და თავს მაღლა სწევდა, — მთელი სახურავი არაფრად აღარ ვარგა. მე თქვენს ადგილას სახურავს უბრალოდ ტოლით გადავხურავდი.

რავინელი ყურადღებით ათვალიერებდა წყალსაშვებს. გვიანი დინებასაც რომ წაეღო, — რაც საეჭვოა, — აუცილებლად წენაკადში გაიჩხირებოდა.

— მთელი სიამოვნება — ოცი მონეტა დაჯდება. მაგრამ ძალიან კარგია, რომ გამაფრთხილეთ. დიდი ხანია ამას შეკეთება სჭირდებოდა. აუცილებლად უნდა შეკეთდეს, თორემ ერთ მშვენიერ დღეს სახურავი თქვენს ძვირფას მეუღლეს თავზე დაემხობა... რა გემართებათ, მუსიე რავინელ? სახეზე ფერი აღარ გადევთ.

— არაფერია... დავიღალე... მთელი ღამე საქმეს ეუჯექი!

გუტრმა რაც საჭირო იყო ყველაფერი გაარკვია და დიდი ბრტყელი ფანქრით ციფრები კონვერტზე დაწერა.

— მაშ ასე, ხვალ — კვირაა. ორშაბათს ვერუდისთან მაქვს სამუშაო... სამშაბათს? სამშაბათს უკვე შემიძლია მუშა გამოგიგზავნოთ... ქალბატონი რავინელი სახლში იქნება?

— არ ვიცი... — ბაგე გახსნა რავინელმა. — ალბათ... თუმცა არა. იცით... მე თვითონ მოვალ თქვენთან და გეტყვით... ასე აჯობებს.

— როგორც გენებოთ..

ეჰ! რა კარგი იქნება ახლა საწოლზე გაიშოტოს, თვალები დახუჭოს, აზრებს თავი მოუყაროს და გაისიგრძეგანოს ყველაფერი, რაც მოხდა. რაიმე უნდა იღონოს, მაგრამ რა... ძია გუტრი კი გულარხეინად ტენის ჩიბუხს, სალათის კვლებზე იხრება, ხეზე მსხლებს ათვალიერებს.

— არასდროს არ უბოლავთ მათ? უნდა შეუბოლოთ. მადრონი მეუბნებოდა გუშინ... არა... ხუთშაბათს თუმცა სწორია, გუშინ...

რავინელს ლამის საკუთარ იდაყვებზე ეკბინა. ეყვირა, შეევედრებოდა ძია გუტრს, შინ წასულიყო.

— თქვენ წადით, ძია გუტრ, დაგეწევით.

ის აუცილებლად უნდა დაბრუნებულიყო იმ ცარიელ სამრეცხაოში და ყველაფერი კიდევ ერთხელ დათვალიერებინა. ჰალუცინაციების დროს ხედავ იმას, რაც არ არის იქნებ შებ-

რუნებული ჰალუცინაციებიც არსებობს? როდესაც ვერ ხედავ ციმას, რაც არის... მაგრამ ეს არაა ჰალუცინაცია, არაა სიზმარი. ყველაფერი ცხადში ხდება. მზის ირიბი, ცივი სხივი სამრეცხაოსაკენ მისრიალებდა და კეთილსინდისიერად ანათებდა ფსკერს. კენჭები ადგილიდან არ დაძრულიყო. თითქოს გვამი სხვა სამრეცხაოში დაეტოვებინოთ, ზუსტად ასეთივეში, მაგრამ სადღაც შორს, საშინელებებისა და სიზმრების ქვეყანაში. ძია გუტრი ალბათ უკვე კარგავს მოთმინებას. წყეული გუტრი!... ოფლად გაღვრილი რავინელი ხეივანს გაუყვა. გუტრი სამზარეულოში ელოდებოდა. ლაზღანდარა! მაგიდასთან ზის და ნერწყვით დასველებული ცერით თავის ქაღალდებს ფურცლავს... იქვე გვერდზე მისი ქუდი დევს.

— იცით რა, მუსიე რავინელ. მე თქვენ ტოლი შემოგთავაზებთ, მაგრამ შემდეგ ვიფიქრე. შიფერი აჯობებს-მეთქი...

რავინელს უეცრად მუსკატი გაახსენდა. ეშმაკმა დალახვრის! ის ხომ დაპირებულ მუსკატს ელოდება!

— ერთი წუთით, ძია გუტრ. სარდაფში ჩავალ.

ღმერთო ჩემო, მიიღებს ის თავის მუსკატს და წავა, თუ არა და... რავინელმა მუშტები მოკუმშა. რამდენი შიში... ის ცახცახმა აიტანა. ეს იყო ნამდვილი კრუნჩხვები... ზედ კარებთან შეშინებული შეჩერდა. ვთქვათ და მირეი სარდაფში აღმოჩნდა? მაგრამ არა! რა იდიოტური შიშია? რავინელმა სინათლე აანთო. სარდაფში, რასაკვირველია, არავითარი მირეი არ იყო! და მაინც რავინელი შეეცადა სწრაფად ამოსულიყო სარდაფიდან. დასტაცა ბოთლს ხელი და ზემოთ ამოვარდა. ის ნელ-ნელა ეულობდა, ბუფეტის კარებს აჯახუნებდა ჭიქების გამოღებისას, და მაგიდის კუთხეს ბოთლი გაჰკრა. ხელები უკვე აღარ ემორჩილებოდა. საცობის ამოძრობისას კინაღამ ბოთლი გატეხა.

— თვითონ დაისხით, ძია გუტრ. მე ხელები მიკანკალებს... რვა საათია საჭესთან ვზივარ...

— ჰო-ო. ცოდვაა ღვინის დაქცევა. — თვალები გაუბრწყინდა გუტრს.

ნელ-ნელა, მცოდნის სახით, მან ორი ჭიქა დაასხა, ადგა და ადგომით პატივი სცა მუსკატს

— თქვენ გაგიმარჯოთ. მუსიე რავინელ და თქვენს მეუღ-

ლეს. იმედი მაქვს, თქვენი ცოლის ძმა ავად არ არის. თუმცა ასეთ წვიმიან ამინდში!.. აი მე ფეხი... რავინელმა სულმოუთქმელად დალია თეთრი ღვინო, ისევ შეავსო ჭიქა — და ისევ დალია. და კიდევ...

— აი, ეს შესაბის, — შეაქო გუტრმა. — გეტყობათ შეჩვეული ხართ.

— როდესაც არაქათი გამომელლება, ღვინო მამხნევებს!

— ეს მართალია. — თავი დაუქნია გუტრმა, — ის მკვდარსაც კი გააცოცხლებს.

რავინელი მაგიდას ჩაებღაუჭა. ამჯერად უკვე მართლა ეხვეოდა თავბრუ.

— მაპატიეთ. ძია გუტრ, მაგრამ მე უნდა... ყოველი წუთი ჩემთვის ძვირფასია... სასიამოვნოა თქვენთან საუბარი. მაგრამ იცით...

გუტრმა თავზე ქუდი დაიხურა.

— გაიგე, გავიგე! გავიქცევი, მეც მშენებლობაზე მელოდებიან.

ის ბოთლისაკენ დაიხარა და ეტიკეტზე წაიკითხა „უმაღლესი ხარისხის მუსკატი — ბას-გულენი“.

— ჩემს მაგივრად მიულოცეთ იმას, მუსიე რავინელ, ვინც ასეთი ღვინო დააყენა. მან თავისი საქმე იცის, წყალი არ გაუვა.

ზღურბლზე ქათინაურები უთხრეს ერთმანეთს, შემდეგ რავინელმა კარი დაკეტა, გასაღები გადააბრუნა, სამზარეულომდე მივიდა და დარჩენილი მუსკატი შესვა. „დაუჯერებელია!“ — წაიბურტყუნა მან. მას სრულიად ნათელი გონება ჰქონდა, მაგრამ ყველაფერი სიზმარივით იყო, როდესაც ხედავ კარს, ეხები მას, და მიუხედავად ამისა, გადიხარ მასში და ამას კიდევ სრულიად ბუნებრივად მიიჩნევ. აუჩქარებლად წიკწიკებდა მაღვიძარა ბუხარზე და სხვა მაღვიძარას წიკწიკს აგონებდა იქ, ნანტში.

დაუჯერებელია!

რავინელი წამოდგა და სასადილო ოთახში გავიდა. მირეის ჩანთა ძველ ადგილზეა. წინკარში — პალტო და ქუდი საკიდარზე ჰკიდია. ის მეორე სართულზე ავიდა. სახლი მდუმარე და ცარიელი იყო — სავსებით ცარიელი. და მაშინ რავინელმა

შენიშნა, რომ ბოთლი ყელით ეჭირა კეტივით. ის მტანჯველმა შიშმა აიტანა. ბოთლი იატაკზე დადგა, ნელა, ფრთხილად დადგა. შემდეგ უხმაუროდ გააღო სეკრეტერი. გაზეთილ ნაპერში გახვეული რევოლვერი ადგილზე იდო, გაწმინდა, საკეტი გამოსწია და ლულაში ტყვია ჩადო. ჭახუნის ხმა გაისმა. რავინელი გონს მოეგო. რა სისულელეა? რა შუაშია აქ რევოლვერი? განა იმ ქვეყნიდან მოსულებს რევოლვერით კლავენ? ამოიოხრა და ის შარვლის ჯიბეში ჩაიდო. რა უცნაურიც არ უნდა იყოს, თავი უფრო მტკიცედ იგრძნო. შემდეგ საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და ხელები მუხლებზე დაიწყო. საიდან დავიწყო? მირეი ნაკადულში არაა — მორჩა და გათავდა. მხოლოდ ახლა შეიგრძნო მთლიანად ამ ფაქტის სინამდვილე. არც ნაკადულშია, არც სამრეცხაოში, არც სახლში. ეშმაკმა დალახვროს... გარაჟში შეხედვა დაავიწყდა.

რავინელმა შურდულივით ჩაირბინა კიბე, ხეივანი გადაირბინა და გარაჟი გააღო. ცარიელია. სასაცილოც კია. მხოლოდ სამი-ოთხი ზეთიანი ბიდონი დგას და ტავოტით დასვრილი ჩვრები ყრია. რავინელს სხვა აზრი მოუვიდა თავში. ნელა გაუყვა ხეივანს. მისი და გუტრის ნაკვალევი გარკვევით მოჩანდა, ხოლო სხვა არ აღმოჩნდა. თუმცა რავინელმა თეითონაც არ იცოდა. რას ეძებდა. უბრალოდ აღტყინების ტყვეობაში იმყოფებოდა, უნდოდა ემოძრავა, რაღაც ეკეთებინა. ივედდაკარგულმა უკან მოიხედა. მარჯვნივ და მარცხნივ დაუსახლებელი ნაკვეთები გადაჭიმულიყო. მისი უახლოესი მეზობლები ქუჩიდან მხოლოდ „მხიარული პატარა კუთხის“ ფასადს ხედავდნენ. რავინელი სამზარეულოში დაბრუნდა. იქნებ, გამოვკითხო მათ? ვუთხრა: „ცოლი მოვკალი... ხომ არ გინახავთ მისი გვამი?“ სასაცილოა და მეტი არაფერი! ლიუსიენი?.. მაგრამ ლიუსიენი ახლა მატარებელშია. შუაღამემდე მასთან ტელეფონით დაკავშირება შეუძლებელია. დავბრუნდე ნანტში?... მაგრამ რა საბაბით? რა მოხდება, რომ გვამი დღის განმავლობაში აღმოაჩინონ? რა გამართლება ექნება მაშინ ამ გამგზავრებას. ამ გაქცევას? მოჯადოებული წრე! რავინელმა მაღვიძარას შეხედა. ათი საათია! ის წასასვლელი იყო მაჟანტის ბულვარზე მდებარე „ბლანში და ლუედეს“ მაღაზიაში. რავინელმა საგულდაგულოდ დაკეტა შესასვლელი კარი, მიუჯ-

და საქეს და ისევ პარიზისაკენ დაიძრა. გამოიდარა. თბილი, საღამოვნო ამინდია... ნოემბრის დასაწყისია. მაგრამ გასაფხულივით თბილა. გვერდზე სპორტულმა მანქანამ ჩაიქროლა. ნკზაკრებს სახურავი გადაეხადათ. ისინი მხიარულად იცინოდნენ. ქალი ულწეწავდათ თმებს და-უეცრად რავინელმა თავი სუსტ. ხნიერ და დამნაშავე კაცად იგრძნო. ის მირეიმ ბრაზობდა. მან ულალატა რავინელს. მან ერთბაშად მიაღწია იმას, რაშიც ის ჭუდამ კრახს განიცდიდა: მირეიმ გადალახა საღეველო ხღვარი. ის იქითა მხარესაა — უხილავი, მოუხელეებელი, როგორც აჩრდილი, როგორც რხევადი ნისლი გზაზე. შეიძლება სიცოცხლეში მკვდარი იყო... და სიკვდილის შემდეგაც ცოცხალი დარჩე... რავინელი ხშირად გრძნობდა ამას... დიახ, მაგრამ გვაქვს?..

აბრები აეწეწ-დაეწეწა. ძილი მოეკიდა და თითქოს უგულო ორეულს მტკიცედ მიჰყავდა ის მიხვეულ-მოხვეული გზით, სცნობდა ქუჩებს, გზაჯვარედინებს. მანქანა თითქოს თავისთავად გაჩერდა მაღაზიის წინ.

მაჟანტის ბულვარიდან ცენტრისაკენ წავიდა, ლუვრის კუთხეში სადაც თითქმის არასდროს არ შეუხვედია. მაგრამ დღეს თავის ჭკუაზე არ იყო. გზაში სულ ანგარიშობდა, ვარაუდობდა, ერეოდა ციფრები... მაშასადამე, მატარებელი მოდის თერთმეტ საათსა და ოც წუთზე თუ თერთმეტ საათსა და ორმოც წუთზე... გზას სჭირდება ხუთი საათი... მაშასადამე, თერთმეტ საათსა და ათ წუთზე... ხოლო საავადმყოფოდან სადგურამდე ხუთი წუთის სავალია. ლიუსიენი ალბათ უკვე იქაა. ის კაფესთან გაჩერდა.

— ისაუზმებთ, მუსიე?

— თუ გნებავთ.

— როგორ თუ მნებავს?..

ოფიციანტმა შეხედა გაუპარსავ კლიენტს, რომელიც ხელით თვალებს იწმენდდა. როგორც ჩანს, ქეიფს გადაყვა!

— სადა გაქვთ აქ ტელეფონი?

— დარბაზში, მარჯვნივ.

— შეიძლება დავრეკო?

— სალაროს მიმართეთ ჟეტონისათვის.

სამზარეულოს კარი რავინელის უკან წამდაეწერმ ბრაბუ-

ნებს. „სამი საუზმე!.. და ანტრეკოტიც მოამზადეთ!“ ხაზზე ცახაჭუხია. ლიუსიენის ხმას თითქმის ვერ ცნობს. ის ძალიან შორიდან მოისმის და ეს აღიზიანებდა. თუმცა ასეთ ოროტრიალში გასაგებად ლაპარაკი შეუძლებელია.

— ალო!.. ალო, ლიუსიენი ხარ?.. ჰო, მე ვარ. ფერნანი.. ის გაქრა. არა, მისთვის არავის მოუკითხავს.. ის გაქრა... დღეს დილით ის იქ არ იყო...

მის ზურგს უკან, სარკესთან ვილაც ტიპი თმას ივარცხნის. ალბათ ტელეფონს უცდის!

— ალო, ლიუსიენ! მისმენ?.. უნდა ჩამოხვიდე. მშობიარობა? მიშიფურთხებია მშობიარობისათვის... არა, ავად არა ვარ... არც დამილევია... ვიცი. რასაც ელაპარაკობ... არა! არითმარი ნაკვალევი... როგორ?... ნუთუ ფიქრობ. რომ განგებ ქვეთხზე ასეთი ისტორია? რა?... ცხადია. ურიგო არ იქნებოდა. მაგრამ. თუ დღეს საღამოს არაფრით არ შეგიძლია... მაშინ ხვალ თორმეტ საათსა და ორმოც წუთზე... კეთილი! მე იქ დავბრუნდები... ვნახო? სად მიბრძანებ ნახვას?... მეც არ მესმის... კარგი! შევთანხმდით. ხვალამდე.

რავინელმა ყურმილი დაკიდა და ძველ ადგილზე დაჯდა ფანჯარასთან. რას იზამ, შეიძლება აპატიო ლიუსიენს. ასეთი ახალი ამბავი ტელეფონით რომ შეეტყობინებინათ მისთვის, რავინელისთვის, განა ის დაიჯერებდა? ანგარიშმიუცემლად შეკამა შეკვეთილი საუმელი და ისევ მანქანაში ჩაჯდა. ისევ კლინიანკურის ჭიშკარი, ანგიანის გზა. ლიუსიენი მართალია, უნდა დაბრუნდეს იქ, კიდევ ეძებოს და უარეს შემთხვევაში, შეზობლებს მაინც დაენახვოს. დროს მოგებაა საჭირო. მთავარია. მათ დაინახონ, რომ მას ისე უჭირავს თავი, ვითომ არაფერი არ მომხდარა.

რავინელმა კარი გამოსწია. გასაღებითაა დაკეტილი. ამან მას რატომღაც გული დაწყვიტა. მაინც რას ელოდა? სიმართლე რომ ითქვას, აღარაფერს. მას სიწყნარე და სიმშვიდე სურდა, ეწადა თავდავიწყებას მისცემოდა. ოთახში რომ შევიდა, ბი გადაყლაპა, ავიდა საწოლ ოთახში. ჩაიკეტა, რევოლვერი ბატარა მაგიდაზე დადო და გაუხდელად დაწვა. მაშინვე შეეფარა ეთ ჩაეძინა.

6

რავინელს დაახლოებით ხუთი საათისათვის გამოეღვიძა. ტანში ამტკრევდა. კუჭი ტყვიასავით დამძიმებოდა, სახე შეზეპებოდა, ხელისგულები გაოფლიანებოდა. მაგრამ როდესაც თავისთავს შეეკითხა: „მაინც სად გაქრა გვამი?" — მაშინვე გარკვევით და მტკიცედ უპასუხა: „გვამი მოიპარეს". და რავინელი ერთბაშად დამშვიდდა. ადგა, ხელპირი ცივი წყლით დაიბანა და დინჯად გაიპარსა. გვამი მოიპარეს, ეშმაკმა დალახვროს! საქმემ ძალიან სერიოზული სახე მიიღო, მაგრამ ჭურდთან კიდევ შეიძლება მორიგება. საქმარისია ფასის დათქმა.

მას საბოლოოდ გამოეღვიძა. აი ის კელავ თავის სუფლითახში, ნაცნობ საგნებს შორის. ცხოვრება გრძელდება ფეხები აღარ ეკვეთება. დიახ, ის სახლშია, ჩვეულებრივ. სრულიადაც არასაიდუმლო ვითარებაში. საჭიროა ერთი წუთი სიმშვიდე — ყველაფერში უნდა გაერკვეს. გვამი მოიპარეს. ეს სათელია... და ქურდიც სადღაც აქვეა ახლომახლო.

მაგრამ რაც უფრო ბევრს ფიქრობდა, მით უფრო სტანჯავდა ეჭვები. გვამი მოიპარეს? მაგრამ რატომ გარისკეს ამ ერიგად? ის კარგად იცნობდა თავის უახლოეს მეზობლებს. მარჯვნივ ცხოვრობს ბიგო — ორმოცდაათამდე წლის რკინიგზელი, ერთი კეთილი კაცი, არც წყალია და არც ღვინო. სამეშაო, ბალი და ბანქო, ეს არის მისი საქმე. ხმას არ უშვებს. ბიგომ დაშალა გვამი! სასაცილოა! მის ცოლს კუჭის წყლული აქვს, ან როგორღა უდგას სული!.. მარცხნივ პონიატოვსკი, მოანგარიშედ მუშაობს ავეჯის ფაბრიკაში. ცოლს გაეყარა და სახლში თითქმის არაა. იმასაც კი ამბობენ. თავისი პატარა სანლის გაყიდვასაც აპირებსო... თუმცა, არც ბიგო და არც ნოანგარიშე არ შეიძლება ყოფილიყვნენ სამრეცხაოში მომხდარი სცენის მოწმენი. ეგებ მათ გვამი მოგვიანებით აღმოაჩინეს? მაგრამ მათი ნაკვეთებიდან ნაკადულისაკენ გამოსასვლელი არ არის. იქნებ მდელოებზე ან უშენ ადგილებზე გადმოვიდნენ. მაგრამ რად უნდათ გვამი, თუ არაფერი იციან მომხდარ ამბებზე?... ქურდობა ხომ მხოლოდ ერთი რამით შეიძლება აიხსნას — შემღგომი შანტაჟის განზრახვით. მაგრამ სადა-

ზღვეგო პოლისის ამბავი არავინ იცის. კეთილი და პატიოსანი... რაღა აზრი აქვს კომიციოიაჟორისათვის შანტაჟის მოწყობას? ყველამ იცის, რომ რავინელი პატიოსნად შოულობს თავის სარჩენ ფულს — და მეტს არა... თუმცა, ზოგიერთი შანტაჟიატი მცირედითაც კმაყოფილდება. მცირე რენტით. და მიუხედავად ამისა... რომ აღარაფერი ვთქვათ საშიშროებაზე. საინტერესოა, ყველას შეუძლია გვამის მოპარვა? მას, რავინელს, ნამდვილად არ ეყოფოდა გამბედაობა.

მან ათასგზის აწონ-დაწონა ყველა მოსაზრება, მაგრამ მაინც ვერაფერი გაიგო. ისევ მოიცვა სრული უსასრულობის გრძნობამ. არა, გვამი არ მოუპარავთ. მაგრამ გვამი არ არის. მაშასადამე, მოიპარეს... ჰმ... არა, არავითარი აზრი არა აქვს მის მოპარვას... ჰმ... არა, არავითარი აზრი არა აქვს მის მოპარვას. რავინელმა მსუბუქი ტკივილი იგრძნო მარცხენა საფეთქელში და შუბლი დაიზილა. ავად მაინც არ გახდეს! მას არ შეუძლია, არა აქვს ამის უფლება... მაგრამ რა ქნას, ღმერთო, რა გააკეთოს?

მარტოობით გაწამებული აქეთ-იქით აწყდებოდა ოთახში. ირის თავიც არ ჰქონდა, დაჭმუჭნილი გადასაფარებელი გაესწორებინა, გაეწმინდა მღვრიე წყლით სავსე ბაკანი, იატაკიდან აეღო ცარიელი ბოთლი; მან ფეხი წაჰკრა ბოთლს და კარადის ქვეშ შეაგდო. რევოლვერი აიღო და კიბეზე დაეშვა. საით წავიდეს? ვის მიმართოს?

ცაში გაიქიმა გრძელი ვარდისფერი ზოლები. შორს თვითმფრინავების გუგუნი გაისმა. უბრალო და არაჩვეულებრივმა სალამომ გული მწუხარებით, ბრაზითა და სინანულით აუვსო. ასეთივე საღამო იყო მაშინ, როდესაც ის და მირეი პირველად შეხვდნენ ავგუსტინელების სანაპიროზე. სენ-მიშელის მოედნის ახლოს. ის ბუკინისტის ფარდულში იქექებოდა. გვერდით წრგნს ფურცლავდა ქალი... ირგვლივ სინათლეები ენთო! ხიდთან მომწესრიგებელი უსტვენდა. რა იდიოტობაა — ამოატივტივო ყოველივე ეს გონებაში?

რავინელი სამრეცხაოში ჩავიდა. ნაკადული ოდნავ დგაფუნობდა წყალსაშვებთან და მოწითალო ათინათინებით ბზინავდა. მეორე ნაპირიდან თხის კიკინი ისმოდა. რავინელი შეკრთა. ფოსტალიონის თხა იყო... ყოველ დილით ფოსტალიონის

გოგონას თხა მოჰყავდა მდელოზე და გრძელი თოკით აბამდა პალოზე. ყოველ საღამოს მოდიოდა მის წასაყვანად. მაგრამ ერთიც ვნახოთ და?..

ფოსტალიონი — ქვრივია. გოგონას გენრიეტა ერქვა. ის დაბეჩავებული და ჩერჩეტი გოგო იყო. შეტწილად სახლში იჯდა. საჭმელს აშზადებდა, ოჯახს უვლიდა... და თორმეტი წლის კვალობაზე კარგადაც ართმევდა თავს.

— თქვენგან რალაცის გაგება მინდა, მაფუაზელ.

თაკის დღეში არავის მიუმართავს მისთვის ასე. შიშით მან სახლშიც არ შეუშვა რავინელი, ის კი შეცბუნებული, სუნთქვაშეკრული იდგა მის წინ და არ იცოდა, საიდან დაეწყო.

— დილით თქვენ გაიყვანეთ თხა მდელოზე?

გოგონა გაწითლდა და მაშინვე შეშფოთდა, ნეტავ ხომ არ დააშავა რამე?

— მე პირდაპირ ვცხოვრობ... „მზიარული პატარა კუთხე"... პატარა სამრეცხაოც ჩემია...

გენრიეტა ოდნავ ელამი იყო და რავინელი დაეინებით მისჩერებოდა ხან ერთ და ხან მეორე თვალში, ცდილობდა გაეგო, ხომ არ ცრუობდა.

— ჩემმა ცოლმა გასაშრობად გაკიდა ცხვირსახოცები... ალბათ ქარმა გაიტაცა ისინი.

სულელური, სასაცილო საბაბია, მაგრამ ის ისე იყო დაღლილი, რომ უკეთესი ვერაფერი მოიგონა.

— დღეს დილით... არაფერი შეგინიშნავთ სამრეცხაოს წინ?

მას გრძელი, ვიწრო სახე ჰქონდა, რომელიც ორი ლამაზი ნაწნავის ჩარჩოში იყო ჩასმული, წინა ორი კბილი უშნოდ ჰქონდა გამოშვერილი. რავინელმა ბუნდოვნად იგრძნო რალაც გულის ამაჩუყებელი ამ შეხვედრაში.

— თქვენ თხას აბამთ ამ ნაკადულთან. ხომ ასეა? არასდროს არ გიფიქრიათ იქეთა ნაპირზე გაგეხედათ?

— როგორ არა...

— ჰოდა, აბა გაიხსენეთ. დღეს დილით...

— არა... არაფერი არ დამინახავს.

— რომელ საათზე მოიყვანეთ თხა მდელოზე?

— არ ვიცი.

დერეფნის სიღრმეში რაღაცამ გაიტკაცუნა. გოგონა კიდევ უფრო გაწითლდა, წინსაფარი მოიძრო და თქვა:

— წვნიანი ადუღდა... თუ შეიძლება წავალ, ვნახავ?

— რა თქმა უნდა... გაიქეცით, გაიქეცით.

ის გაიქცა, რავინელი კი, მეზობლებს რომ არ დაენახათ, დერეფანში მიიმალა. აქედან ხედავდა სამზარეულოს კუთხეს და თოკზე გაფენილ პირსახოცს. მგონი, ჯობია წავიდე. ლამაზი არ გამოვა გოგონასათვის დაკითხვის მოწყობა.

— ასეც არის, წვნიანი... — თქვა გენრიეტამ — ამოშრა...

— ძალიან?

— არა, არც ისე... შესაძლოა მამამ ვერ შეამჩნიოს.

მას მიშყლეტილი ნესტოები ჰქონდა. და მირეისავით ჭორფლიანი ცხვირი.

— მამა გიჯავრდება? — შეეკითხა რავინელი.

და მაშინვე ინანა ამ სიტყვების გამო. მიხვდა, რომ გოგონას თავისი თორმეტი წლის მანძილზე დიდი ჭარ-ვარამი გადაეტანა.

— რომელ საათზე დგებით?

ის მოიღუშა, ნაწნავებს იწეწდა. ალბათ ფიქრობდა, რა ეპასუხა.

— უთენია დგებით?

— დიახ.

და მაშინვე გამოგყავთ თხა მდელოზე?

— დიახ.

— თვითონ არ სეირნობთ მდელოზე?

— არა.

— რატომ?

მან ტუჩები პატარა ხელისგულით მოიწმინდა, შეტრიალდა და გაურკვევლად ჩაიბურტყუნა რაღაც.

— ჰა?

— მეშინია.

თორმეტი წლისას მასაც ეშინოდა სკოლის გზისა. დილის ბურუსი, ეინეღლი, მონასტრისაკენ ძიმავალი ვიწრო ჭუჭყიანი ქუჩები, გაუთავებელი ნაგვის ყუთები.. ყოველთვის ეგონა, რომ უკან ვიღაც მოსდევდა... რას იზამდა, მასაც რომ გაეყვანა თხა მდელოზე? უყურებდა გოგონას ეჭვითა და შიშით გალეულ, შეჭმუხვნილ სახეს და უცებ დაინახა ის უცნობი

პატარა რავინელი, რომელზედაც არავისთან თავის დღეში კრინტი არ დაუძრავს და რომელზედაც არ უყვარდა ფიქრი, მაგრამ რომელიც უტყვ მოწმესავით მაინც ყოველივის თან ახლდა. მას რომ დაენახა წყალში მცურავი რაღაც?..

— მდელოზე არავინ იყო?

— არა... მგონი, არა.

— აიც საძრეცხაოში... დაგინახავთ ვინმე?

— არა.

მან ჯიბიდან ათფრანკიანი მონეტა ამოიღო და გოგონას ხელში ჩაუდო.

— ეს თქვენ.

— ის წამართმევს.

— არ წაგართმევთ. მონახეთ საფულე ადგილი და დაბალეთ. — გოგონა შეფიქრიანდა და თავი შეაქნია.

— ერთხელ კიდევ გიხილავთ, — დაჰპირდა რავინელი.

საჭირო იყო კეთილი სიტყვა ეთქვა, სასიამოვნო შთაბეჭდილება დაეტოვებინა და ისე წასულიყო, გაეკეთებინა ისე, თითქოს არც თხისა და არც საძრეცხაოს ხსენება არ ყოფილა.

ზღურბლზე რავინელი ფოსტალიონს შეეჩეხა! — ხმელხმელ კაცს, რომელიც თავის გაბერილ ჩანთის სიმძიმეს ორად მოეხარა.

— სალამი უფროსო... თქვენ გინდოდათ ჩემი ნახვა? — თვალები მოჭუტა ფოსტალიონმა. — ალბათ თქვენი პნევმატური ფოსტის გამო.

— არა. მე... მე ველი შეკვეთილ წერილს... თქვენ ამბობთ პნევმატური ფოსტაო?

ფოსტალიონი გატეხილწინაფრიანი ქუდის ქვემოდან უყურებდა მას.

— დიახ. მე დავრეკე. მაგრამ არავინ გამომხედა. და ის ყუთში ჩავაგდე. რა, თქვენი მეუღლე სახლში არაა?

— პარიზშია.

რავინელს შეეძლო არ ეპასუხა, მაგრამ ახლა ფრთხილობდა. ლაციცი იყო საჭირო.

— აბა, ნახვამდის! — დაემშვიდობა ფოსტალიონი, სახლში შევიდა და კარები მოაჯახუნა.

პნევმატური ფოსტა? მაგრამ ვისგან? რასაკვირველია, არა „ბლანში და ლიუედესაგან" ის ხომ ახლახან იყო იქ. იქნებ

ჟერმენისაგან? საეჭვოა. მაგრამ ეგებ მირეის სახელზეა გამოგზავნილი?

რავინელი სახლში განათებული ქუჩებით ბრუნდებოდა. ფიცხად შესცივდა, თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა. ფოსტალიონის გოგონას არაფერი დაუნახავს, და თუ რაიმე მაინც ეკითხა, ვერაფერს მიხვდა, და თუ მიხვდა, სულერთია, არ წამოროშავს. მირეის ყველა იცნობს. ვინმეს რომ ეპოვა მისი გვარი, აუცილებლად შეატყობინებდნენ.

მაგრამ ეს პნევმატური ფოსტა! შესაძლოა, ის ქურდმა გამოგზავნა, თავისი პირობები რომ უკარნახოს.

კონვერტი ყუთში იდო. რავინელი სამზარეულოში შევიდა და სინათლეზე დაიწყო კითხვა. „ბატონ ფერნან რავინელს“: ნაწერი! თვალები დახუჭა, ათამდე დაითვალა, გაიფიქრა, რომ ალბათ ავად გახდა, სერიოზულად გახდა ავად. შემდეგ თვალები გაახილა და კონვერტის წარწერას დააშტერდა. მეხსიერების ღალატი... პიროვნების გაორება... დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ უნივერსიტეტში ყოფნისას წაიკითხა ამის შესახებ მალაპერტის ძველ წიგნში... პიროვნების გაორება, შიზოფრენია...

არა, ეს მირეის ხელი არაა. ო, ღმერთო ჩემო! ნუთუ მირეის ხელია? ყოვლად შეუძლებელია!

კონვერტი ფაქიზადაა დაწებებული. ბუფეტის უჯრაში ხელი მოაფათურა, დანა ამოიღო, იარაღივით დაიჭირა და ბაგიდისაკენ გაემართა, სადაც გაკრიალებულ მუშამბაზე კონვერტი იდო. დანის წვერით კონვერტში ნახვრეტი მოძებნა, დაუწყო ძებნა, ამაოდ! მაშინ რავინელმა ბოღმამორეულად გაფოფატრა და სულგანაბულმა წაიკითხა წერილი. წაიკითხა და ვერაფერი გაიგო.

„ძვირფასო, ორი-სამი დღით მივდივარ. არ იდარდო, სერიოზული არაფერია. შემდეგ აგიხსნი. სურსათი სარდაფშია; სანოვაგის კარადაში. ჯერ გაათავე მურაბა გახსნილი ქილიდან, ხოლო მერე ახალი გახსენი. ონკანსაც მოუჭირე, როდესაც გაზის ქურას არ ხმარობ. თორემ ყოველთვის გავიწყდება. მომავალ შეხვედრამდე!

გკოცნი, რომ გიყვარს ისე, ჩემო მგელიკა.

მირეი“.

რავინელმა ხელახლა წაიკითხა წერილი დინჯად, მერე კიდევ გადაიკითხა. ეტყობა, ფოსტაში ეგდო დიდხანს. მირეიმ ალბათ კვირის დასაწყისში ჩააგდო ყუთში. შტემპელს დახედა „პარიზი, 7 ნოემბერი, 16 საათი". 7 ნოემბერი — ეს... ეს ხომ დღევანდელი დღეა! ეშმაკმა დალახვროს! მაშასადამე, მირეი იყო პარიზში. რა შეიძლება იყოს ამაზე ბუნებრივი! ყელში გუნდა გაეჩხირა. უცებ ახარხარდა. ახარხარდა ხმამაღლა, თავშეუკავებლად. თვალებზე ცრემლები მოადგა... და უკვე, არ აცივა. არც აცხელა, საბზარეულოში დანა მოისროლა. ის კარებში ჩაერეო და ისარივით აძაგძაგდა. დარეტიანებული, გაბრუებული რავინელი კი პირდაღებული და დაღრეკილი ადგილზე გაქვავდა... შემდეგ ფეხქვეშ იატაკი შეერხა. დაეცა და თავი დაახალა. დიდხანს იწვა იატაკზე, მაგიდასა და ქერქს შორის. გაშეშებული, ტუჩებზე დუქმორეული.

გონს მოეგო თუ არა, იმ წამსვე გაიფიქრა, რომ კვდებოდა. კი არ კვდებოდა, უკვე მკვდარი იყო... ნელ-ნელა გაუარა საოცარმა გამოშტერებამ და თითქოს უწონობის მდგომარეობაში გადავიდა. მთელი მისი არსება თითქოს ორ ურთიერთშეუთავსებელ ნაწილად გაიყო. წყლისა და ზეთის ნარევივით. ერთი მხრივ ის განიცდიდა განთავისუფლებისა და უსასრულო სიმსუბუქის შეგრძნებას, მაგრამ ამავე დროს თავს მძიმედ გრძნობდა. მცირეოდენი ძალდატანებაც და ის დაძლევს ამ გაორებას, საკმარისია მხოლოდ თვალების გახელა. მაგრამ, ვაი რომ ვერ ახელს. ამ დროს უეცრად აღმოჩნდა რაღაც მიცვალებულივით ფერმკრთალ სივრცეში. სალხინებელში... რაგორც იქნა განთავისუფლდა... მართალია, ამას აღიქვამდა ბუნდოვნად როგორც ნისლში... დიახ... ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მისი სხეული იყო თხევადი, ამორფული და მზად იყო ყოველგვარი ფორმის მისაღებად... ის სულად გადაიქცა... ის აღარაა ამ ქვეყნიური ადამიანი. ის — სულია. შეიძლება ყველაფრის თავიდან დაწყება... თავიდან დაწყება, მაგრამ რა დაიწყოს? განა ეს საკითხავია? მთავარია — თვალი ადევნო ამ სითეთრეს, — გაიმსჭვალო, გაიჟღინთო მისით, შეისრუტო მისი სინათლე ისე, როგორც წყალი ისრუტავს მზის სხივს... სინათლე წყალში ფსკერამდე აღწევს... ნეტავ წყლად იქცეს, სუფთა, გამჭვირვალე წყლად... სადღაც იქ, მოშორებით,

სითეთრეს ოქროსფერი დაჰკრავდა. ეს არ იყო უ[illegible]ალ სიცარიელე. ო არა! აქა-იქ მუქი ლაქები ატანს. განსაკ[illegible]ბით აი იქ, ბნელ, ამღვრეულ კუთხეში, საიდანაც [illegible]ნოტონური გუგუნი. იქნებ ეს განვლილი ცხოვრების გ[illegible]ნია? უცებ თეთრი საბურველი შეირხა, გამოჩნდა შავი [illegible]ავი წერტილი. ახლა საკმარისია მხოლოდ ერთი [illegible] წარმოთქმა — და დაინგრევა ყველა ზღუდე, დადგება [illegible]ხნის ნანატრი მყუდროება. დაისადგურებს სიმშვიდე [illegible]ოდნავ სევდაშერეული მხიარულება. ეს სიტყვა ჰაერში [illegible]ქრის. თავდაპირველად სადღაც შორს იყო, მაგრამ აი გუგუნით უახლოვდება. მაინც სადაა? და უცებ სიტყვის ნაცვლად ბუზი!

ბუზი. უბრალო ბუზი. ჭერზე ზის ბუზი... ხოლო დიდი შავი ლაქა კუთხეში — ეს ბუფეტია. და აი ყველაფერი თავიდან იწყება. სიცივე, სიჩუმე. თითებით ვეხები კაფელის ფილებს. მთლად გავიყინე. იატაკზე ვწევარ. მე, რავინელი. მაგიდაზე წერილი დევს...

მთავარია — არ შეეცადო გაგებას. არ დაიტანჯო თავი კითხვებით. უმჯობესია რაც შეიძლება მეტხანს დარჩე აი ასეთ განმარტოებულ გულგრილობაში. ძნელია. საშინელია. და მაინც არაა საჭირო ფიქრი. მხოლოდ ფრთხილად უნდა გაინძრე. სხეული მგონი გემორჩილება. თუ მოიწადინებ, შეგიძლია ხელი ასწიო. თითები იღუნება. მზერა სიამოვნებით ჩერდება გარემომცველ საგნებზე. ყველაფერი ერთიმეორის მიყოლებით, დამარცვლით უნდა წარმოთქვა: ფი-ლა... ქუ-რა... ასე, ყველაფერი სწორია... მაგრამ მაგიდაზე დევს ვარდისფერი ქაღალდი, გაფატრული კონვერტი... ყურადღება! საშიშროება! უნდა გაიქცე ჯედლისაკენ ზურგშექცევით, ხელების ცეცებით გაიღო კარი, შემდეგ დაკეტო გასაღების ერთი — არა, ორი გადატრიალებით. ახლა უკვე არ იცი, რა ხდება ამ კარის უკან. უკეთესიცაა, რომ არ იცი, თორემ რა ხეირს დაგაყრის იმის დანახვა, თუ როგორ ცვივა ქაღალდიდან სიტყვები, ცილდებიან ერთმანეთს, დგებიან მწყობრში და ბოლოს და ბოლოს მოხაზავენ საშინელ სილუეტს.

ქუჩის ბოლოში რომ გავიდა. რავინელმა უკან მოიხედა. შორიდან ისე ჩანს, თითქოს განათებულ სახლში ვიღაც არის:

წასვლისას ხომ სინათლე არ ჩაუქრია. ჩვეულებრივად საღამოობით რომ ბრუნდებოდა, ფარდებს ჭიქმა ხედავდა მირეის მოძრავ აჩრდილს. მაგრამ ახლა ის სახლიდან ძალიან შორს წავიდა და აჩრდილი კიდევაც რომ მოძრაობდეს, სულერთია, საინც ვერ დაინახავს. აი ის უკვე სადგურზეა. თავშიშველი. ეზობელ კაფეში ორ კათხა ლუდს სვამს. ბარმენი ვიქტორი, ჯელამდე რომ არ იყოს საქმეში ჩაფლული, აუცილებლად ილაყბებდა მასთან. ის თვალს უკრავს, უღიმის. ეს სრულიად ახალი ლუდი რატომ წვავს სპირტივით? გაიქცეს? არა, გაქცევა სისულელეა. სხვა ვარდისფერი წერილი მივა პოლიციის უფროსართან და აუწყებს დანაშაულის ამბავს. მირეის შეუძლია იჩივლოს, რომ ის მოკლეს. სდექ! ოღონდ არ იფიქროს! ბაქანი სავსეა ხალხით. ფერები თვალებს სჭრის. შუქნიშნის წითელი ფერი მეტად მძაფრია, მწვანე კი — სიროფივით ტკბილია... გაზეთებს ახალი საღებავის სუნი ასდის, ხოლო ადამიანებს... ადამიანებს ნანადირევის ხორცის სუნი... მატარებელი მეტროსავით ყარს. აი! ამისათვის მიდიოდა... ერთი დღით ადრე, თუ გვიან... რა განსხვავებაა? ადრე თუ გვიან უნდა აღმოეჩინა ის, რაც სხვებმა არ იციან. ცოცხლებს და მკვდრებს შორის არავითარი განსხვავება არ არის. ჩვენი გრძნობები უხეშია და ჩვეულებისამებრ ვფიქრობთ, თითქოს მკვდრები შორს არიან და გვჯერა ორი სამყაროს არსებობა. არაფერი ამისი მსგავსი, ისინი აქ არიან, ეს უჩინმაჩინები, ჩვენს ცოდვილ მიწაზე. ჩვენს ცხოვრებაში ერევიან, თავის საქმეებს აცხობენ. „გადაკეტე ონკანი, როდესაც გაზის ქურს არ ხმარობ“. ისინი ლაპარაკობენ მუნჯი ბაგეებით, წერენ მოჩვენებითი ხელებით. უგულისყურო ადამიანები ამას საერთოდ ვერ ამჩნევენ. ეჰ, უკეთესი იქნებოდა, რომ საერთოდ არ დაბადებულიყო, არ გადაშვებულიყო მჩქეფარე და ბრწყინვალე ცხოვრებაში, ხმათა, ფერთა და ფორმათა ოლიმპრიალში... მირეის წერილი — ეს მხოლოდ დასაწყისია საიდუმლოების განდობისა. კაცმა რომ თქვას, რისი ეშინია?

— ბილეთები, გეთაყვა.

კონტროლიორი. — წითური სახე და ორი მსუქანი ნაკეცი კეფაზე. მგზავრებს მოუთმენელი ჟესტით იცილებს. ეშვადაც არ აქვს, რომ მათთან ერთად იცილებს აჩრდილთა ბრბოსაც.

და საერთოდ ყველაფერი არ თავსდება ჩანაჩოგებში: მირეი საცაა გამოჩნდება. წერილი მხოლოდ ნიშანია. თვითონ არ ისურვა მოსვლა. სახლიდან წავიდა ორი-სამი დღით, როგორი თავმდაბლობაა! „ორიოდე დღით წავალ“ — ბავშვური ხრიკია. „სერიოზული არაფერია. შემდეგ აგიხსნი“. ჰო, რასაკვირველია, სიკვდილში არაფერია სერიოზული. უბრალო ცვლილება წონასა და სიმკვრივეში. ისიც სიცოცხლეა, მაგრამ სიცოცხლე უზრუნველი შიშის გარეშე, რომელიც ადამიანს ყოველ ნაბიჯზე სდარაჯობს. ის არც ისე ცუდადაა, ეს მირეი! ხედავთ, თურმე „ყველაფერს ახსნის“. ო, არ დასჭირდება ბევრი ახსნა-განმარტება. ყველაფერი გასაგები. ისევე როგორც მირეი წარსული, უეცრად რომ წარმოუდგება თვალწინ ნამდვილი სახით. დედა, მამა, მეგობრები ყოველთვის ცდილობდნენ ხელ-ფეხი შეებორკათ მისთვის, არ აძლევდნენ აღმაფრენის საშუალებას, მთავარზე ყურადღებას არ აპახვილებინებდნენ. გამოცდები. პროფესია — რამდენი მახეა! ლიუსიენსაც არაფერი ესმის. ფული! ფული! მხოლოდ ფულზე ფიქრობს. თითქოს ფული არ იყოს ყველა უბედურების პირველი მიზეზი. ის ხომ პირველი ალაპარაკდა ანტიბის შესახებ!

აი მზე რომ ანათებდეს, კაშკაშა მზე, ყველაფერი შეიცვლებოდა. მირეი არ გამოჩნდებოდა. სინათლე შლის ვარსკვლავებს, ასე არ არის? სხვათა შორის ვარსკვლავები არ ქრებიან, ისინი ცოცხლობენ. ანტიბი! მირეის მოკვლის, უფრო სწორად, საბოლოოდ პირისაგან მიწისა მისი აღგვის ერთადერთი ხერხი. ლიუსიენმა იცოდა, რასაც აკეთებდა. მაგრამ რავინელი ახლა ყველაფერს მიხვდა და აღარ სურს გაქცევით უშველოს თავს; დიახ, აღარ სურს მზით გასხივოსნებულ სამხრეთში გაქცევა. მირეი ხომ უკვე აღარ ბრაზობს. მხოლოდ ისღა დარჩენია, დათრგუნოს შიში, მომენტს რომ უცდის მასზე თავდასხმისათვის. ამ აზრის შეგუება ძნელია. ალბათ სჯობს, მშვიდად, უძრწოლველად გაიხსენო, აბაზანა და მკვდარი, გაფშეკილი, ცივი მირეი, შუბლზე მიწებებული თმებით...

შემადგენლობის გასწვრივ გამალებით გარბოდნენ რელსები. ერთმანეთში იხლართებოდნენ, და ისევ სხვადასხვა მხარეს გარბოდნენ მატარებლები, სადგურები, ხიდები, საწყობები გუგუნით უჩინარდებოდნენ შორეთში. ლბილი ლურჯი

სინათლით განათებული ვაგონი მოქნილად ირწეოდა. თითქოს-და შორეულ მოგზაურობაში მიდიხარო. მიდიხარ-მიდიხარ და ვეღარ ჩაგიღწევია, რადგან გზის დასასრელს მაინც წთაინთქმები ცოცხლების ბრბოში! ბაქნის თავზე ორთქლმავ-ლის ბოლის ბოლქვები ირხევა. ფუსფუსებენ მებარგულები. ბგზავრებს ფეხებში ედებიან. მამაკაცები, ქალები მირბიან, ხელებს იქნევენ, ერთმანეთს ეხვეევიან... „გკოცნი, შენ რომ გიყვარს ისე, ჩემო მგელიკა“. მაგრამ მირეი არ არის და არც შეიძლება იყოს ბაქანზე. მისი დრო ჯერ არ დამდგარა.

— შემაერთეთ ნანტთან!

კაბინეტის კედლები აკრულებულია წარწერებით, ტელე-ფონების ნომრებით, უხამსი ნახატებით.

— ალო, ნანტია?.. საავადმყოფო?.. ექიმ ლიუსიენ მო-გ-რს სთხოვეთ.

კაბინაში მდგარ რავინელს უკვე არაფერი ესმის, გარდა მდინარესავით აბობოქრებული ბრბოს ხმაურისა.

— ალო!.. შენა ხარ? მან წერილი მოგწერა. კი, კი... რამ-დენიმე დღის შემდეგ ამირებს დაბრუნებას... ჰო, მირეიმ! მირეიმ მოგწერა, გასაგებია? ჰნეფატერი ფოსტით... გარწმუ-ნებ, რომ ის... არ არა. სრულ ჭკუაზე ვარ.. სრულებით არ ვაპირებ შენს წამებას, მაგრამ უკეთესია, იცოდე... რა თქმა უნდა, მესმის... მაგრამ ბევრ რამეს თანდათან ვიგებ... ო-ო! დიდი დრო უნდა ამის ახსნას... რას ვაპირებ? რა ვიცი?.. შევ-თანხმდით, ხვალამდე!

საბრალო ლიუსიენ! მუდმივი მოთხოვნილება მსჯელობი-სა... რა გაეწყობა, თვითონ დარწმუნდება. თვითონ შეეხება საიდუმლოს. თვითონ ნახავს წერილს.

წერილს?.. მაგრამ ნახავს კი ის მას? რასაკვირველია, რა-ხან ერთმა ფოსტის მუშაკმა ის ყუთიდან ამოიღო, მეორემ შტემპელი დაარტყა, ხოლო ფოსტალიონმა ადრესატს მიუ-ტანა! არა, წერილი ნამდვილია. ოღონდ მას ყველა ვერ გაი-გებს. კარგი წარმოსახვის უნარი უნდა გქონდეს.

დენენის ბულვარი. წვიმის მოკამკანე ისრები. პრიალა მანქანების რიგი. აჩრდილთა ფერხული, უზარმაზარი, გაჩახ-ჩახებული მღვიმეების მსგავსი კაფეები, უბილავი სარკეები რომ ირეკლავენ და უსასრულობაში იკარგებიან... აქაც ისე-

ოიევ ბსუბუქი გადასვლა რეალობიდან აჩრდილთა სამყაროში... და ვერავინ ვერაფერს ამჩნევს.

შემოპარულმა სიბნელემ აბობოქრებულ ნიაღვარივით წალეკა ბულვარი. ისეთი ნიაღვარივით, ერთბაშად რომ მიაქცს სინათლეც, სუნიცა და ადამიანებიც. აბა! იყავი გულახდილი! რამდენჯერ გინატრია ამ დიდ თხრილებში დახრჩობა, ქუჩებად რომ იწოდებიან? რამდენჯერ გიი ცნებია თევზივით გეცურა ამ თხრილებში და გასართობად ვიტრინებში ჩაგეყო ცხვირი, გემსირა დინების გარდიგარდმო დადგმული კოკოზა ეკლესიებისათვის და სკვერებისათვის, სადაც იბრძვიან, ფართხალებენ გაურკვეველი სილუეტები? და თუ მხარი დაუჭირე ლიუსიენის იდეას აბაზანის შესახებ, განა წყლის გამო არა? წყალი! გლუვი კამკამა ზედაპირი, რომლის ქვეშაც ხდება რაღაც თავბრუდამხვევი. შენ გინდოდა, მირეის მონაწილეობა მიეღო შენს თამაშში. ახლა შენ თავად აჰყევი ცდუნებას, ხომ არ გშურს მისი?

რავინელი დიდხანს, უმიზნოდ დაეხეტებოდა ქუჩებში... და აი ის, სენის ნაპირთანაა. მიუყვება ქვის მაღალ, მხრებამდე რომ სწვდება, მოაჯირს. წინაა ხიდი, დიდი თაღი, მის ქვეშ ბეთიანი ანარეკლები. ქალაქი უკაცრიელი ჩანს. სუსტ ნიავს რაბისა და წყალსადინარის სუნი მოაქვს. მირეი სადღაც აქაა. სიბნელეს შეერია. ისინი — მირეი და ის — თავთავის სტიქიაში არიან და არ ძალუძთ შეერთება. ისინი სხვადასხვა განზომილებაში იმყოფებიან, მაგრამ მათ კიდევ შეუძლიათ ზღვაში ბოულოდნელი შეხვედრილი გემებივ მგზავრებივით ნახონ ერთმანეთი და ნიშნები გაცვალონ.

მირეი!

ის ნაზად წარმოთქვამს მის სახელს. გადადება აღარ შეიძლება. ყველა ზღუდე უნდა გადალახოს და მის შესახვედრად გაიქცეს.

7

რავინელს სასტუმროს ნომერში გამოეღვიძა და მაშინვე გაახსენდა, რომ დიდხანს დაეხეტებოდა ქუჩებში. მერე თვალწინ ისევ მირეი წარმოუდგა და ამოიოხრა. მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ მოისაზრა, რომ დღეს კვირა იყო. რა-

საკვირველია, კვირა. ლიუსიენი ხომ თორმეტის **რაღაც** წუთებზე ჩამოდის მატარებლით. ალბათ ახლა უკვე გზაშია. რა გავაკეთო მანამდე? ან კი საერთოდ რა უნდა გაკეთო კვირადღეს? დაკარგული დღე მხოლოდ ურევს მთელ კვირას და აყოვნებს ჟამთა სრბოლას. რავინელი კი ჩქარობს. ლიუსიენთან შეხვედრას ეშურება.

ცხრა საათია.

ადგა, ჩაიცვა, გადასწია დაძველებული ფარდა, რომელიც ფანჯარას ეფარა. ლეგა ცა. სახურავები. მოსასმენი ფანჯრები — ზოგიერთი კარგადაც კი ჩამოურეცხავთ შენიღბვისაგან. ის დაბლა ჩავიდა და ნომრის საფასური გადაიხადა. ფული მოხუც ქალს მისცა. ქუჩაში მიმოიხედა და მიხვდა, რომ ცენტრალური ბაზრის რაიონში იმყოფებოდა, ორ ნაბიჯზე იმ სახლიდან, სადაც ჟერმენი ცხოვრობდა. რა შუაშია აქ ჟერმენი? მასთან შეიძლება მოცდა...

მირეის ძმის ბინა მეოთხე სართულზე იყო. ამომრთველი არ მუშაობდა და ხელის ცეცებით ავიდა კიბეზე. ფარღალალა ტიხარიდან მოისმოდა სიმღერები, რადიოს ხმა, ყბედობდნენ მოახლოებული მატჩისა და ახალი ფილმის შესახებ; ქურაზე დადგმულ ქვაბში რძე ამომშრალიყო, ბავშვები ღრიალებდნენ. რავინელი ვიღაც კაცს შეეჩეხა. საყელოაწეული პალტო პირდაპირ პიჟამოზე წამოესხა და სადავით ძაღლი მიჰყავდა. ალბათ, უცხოელია. ჟერმენის ბინის გასაღები კარში იყო დატოვებული. მუდამ ასეა. მაგრამ რავინელს გასაღებით არ გაუღია კარი. დააკაკუნა. თვითონ ჟერმენმა გაუღო.

— ოო, ფერნან! როგორ ხარ?

— თავად როგორ გიკითხო?

— ნელ-ნელა ვიშლები ნაწილებად... ბოდიშს ვიხდი, არეულობაა... ახლა ავდექი. ყავას ხომ დალევ? რა თქმა უნდა დალევ!

ის პირველი გავიდა სასადილო ოთახში, გზიდან სკამები ჩამოიცილა, ხალათი კარადაში დაკიდა.

— მარტა სახლშია? — დაინტერესდა რავინელი.

— ეკლესიაში წავიდა, მალე დაბრუნდება... დაჯექი, ბერიკაცო. ჯანმრთელობაზე აღარაფერს გეკითხები, მირეიმ მითხრა შესანიშნავად არისო. ბედნიერი ხარ. მე კი არ მგავხარ ერთი

გენახა ჩემი უკანასკნელი რენტგენის სურათი... ოჰ... მიირთვი, ყავა ქერაზეა. ახლავე მოვიტან

რავინელმა სასადილო ოთახის შეხუთული, ევკალიპტის ნაყენისა და წამლების სუნით გაჟღენთილი ჰაერი იყნოსა. ყავადანის გვერდით პატარა ქვაბი იდგა, შიგ ნემსები და შპრიცი ელაგა. რავინელმა ინანა, რომ მოვიდა. ჟერმენი რაღაცას ეძებდა საწოლ ოთახში და იქიდან ყვიროდა.

— გასინჯე სუფთა თუა... ექიმმა თქვა... კარგი მოელით... როდესაც ცოლს თხოულობ, გგონია, რომ ქალს ირთავ. სინამდვილეში კი ქორწინდები ნათესავების არმიაზე, მთელი მათი ისტორიებით. ქორწინდები ჟერმენის დაუსრულებელ მონათხრობზე იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობდა ტუვეობაში, ქორწინდები ჟერმენის საიდუმლოებებზე, ჟერმენის ავადმყოფობებზე, ჟერმენის... წუთისოფელი ცრუ და მუხთალია.. ბავშვობაში სასწაულებს გპირდება, მერე კი...

ჟერმენი დიდი ყვითელი კონვერტებით დაბრუნდა.

— დაისხი. ბერიკაცო! ალბათ ნასაუზმები ხარ? ექიმი გლიაიზე ჭკუის კოლოფია. ისეთ რენტგენების სურათებს აკეთებს! აი შენ ვერაფერს დაინახავ, გარდა შავი და თეთრი ლაქებისა, ის კი ყველაფერს ისე გაგიშიფრავს, თითქოს წიგნს კითხულობსო.

ჟერმენი ფანჯარასთან მივიდა და სინათლეზე აჩვენა ტკაცუნა ფირი.

— ხედავ. გულის თავზე... თეთრი ლაქაა — გული... ჰო, ჰო, მეც უკვე ვერკვევი. აი ეს პატარა წერტილი ზედ გულზე გადის... შენ ალბათ ცუდად ხედავ. ახლოს მოდი!

რავინელი ვერ იტანდა ამ საზიზღარ სურათებს. სულ არ აინტერესებდა, როგორ გამოიყურებოდა ადამიანის შიგნეული. ყოველთვის ცუდად ხდებოდა რენტგენის მიერ პოეტიზირებული ჩონჩხის დანახვაზე. რაღაც ხომ მაინც უნდა დარჩეს, კაცის თვალმა რომ არ დაინახოს. არ შეიძლება ამის გამოქვეყნება. მას ყოველთვის ზიზღს გვრიდა ჟერმენის ცნობისმოყვარეობა:

— შეხორცება კარგად მიდის, — განაგრძობდა ჟერმენი.— რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ სიფრთხილეა საჭირო. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, საქმე უკვე მშვენივრადაა... დაიცა, ახლა

გაჩვენებ ნახველის ანალიზს... სად შეეინახე ლაბორატორიული ანალიზი? მარტა ყოველთვის ყველაფერს კარგავს იქნებ სოციალურ დაზღვევაში გაგზავნა? თუმცა მირეი მოგიყვება...

— ჰო, ჰო...

ჟერმენმა ფრთხილად, თითქმის სათუთად ჩადო სურათი კონვერტში. შემდეგ სხვა ამოიღო, თაეი გვერდზე გადასწია და თვალიერება დაუწყო.

— თითოეული სურათისათვის სამი ათასი ფრანკი... საბედნიეროდ, პენსიას მომიმატებენ. ეშმაკმა დალახვროს, რა საუცხოო სურათია! როგორც ექიმი ამბობს: „საინტერესო შემთხვევაა“.

კლიტის ჩეკრუტანაში გასაღებმა გაიჩხაკუნა. ეს მარტა დაბრუნდა ეკლესიიდან.

— დილა მშვიდობისა, ფერნან. რა კარგია, რომ შემოიარეთ. თქვენი ვიზიტებით განებივრებული არა ვართ.

ეს მარტა რაღაცნაირია, არც წყალია, არც ღვინო. მან პატარა ქუდი მოიხადა და ფაქიზად დაკეცა. ყოველთვის ვიღაცას გლოვობს და ძაძებს ატარებს. შაეი იმიტომაც უყვარს, რომ ბრბოსაგან გამოარჩევს მას. „საბრალო ქალი“, — ჩურჩულებენ ზურგს უკან.

— როგორაა საქმეები?—ფლეგმატურად შეეკითხა მარტა.

— არა უშავს. ცოდვაა წუწუნი.

— ჰო-ო... ბედი გწყალობთ... ჟერმენ, დალიე მიქსტურა.

მას უკვე ტანისამოსი გამოეცვალა, ხალათი ჩაეცვა და გაწაფული, ზუსტი მოძრაობებით მაგიდას ალაგებდა.

— მირეი როგორ არის?

— მე ის ახლახან ვნახე, — ჩაერია ჟერმენი, — შენ რომ ეკლესიაში წახვედი.

— ოჰო!.. ადრე დაუწყია ადგომა, — ჩაიქირქილა მარტამ.

რავინელს არაფერი ესმოდა.

— მომიტევეთ, მომიტევეთ... — წაიბურტყუნა მან — მირეი იყო აქ?... როდის?...

ჟერმენს ჭიქა ეჭირა და წვეთებს ითვლიდა. ათი... თერთმეტი.. თორმეტი... ანგარიში რომ არ შეშლოდა, შუბლს იკმუხნიდა... ცამეტი... თოთხმეტი... თხუთმეტი...

— როდის?.. — დაბნეულად იკითხა, — ერთი საათის წინ

შესაძლოა, ცოტა ადრე... თექვსმეტი... ჩვიდმეტი... თვრამეტი...

— მირეი?

— ცხრამეტი, ოცი...

ჟერმენმა საწვეთარი ჯერ ბამბის ნაფლეთში შეახვია, შემდეგ ქაღალდში და თავი ასწია.

— ჰო, მირეი. რა არის აქ გასაკვირი?.. რა მოგდის, ფერნან?.. რა ვთქვი ასეთი?

— ღმერთო ჩემო! — წაიჩურჩულა რავინელმა,—ღმერთო ჩემო!.. ის აქ იყო? შენ ნახე?

— ეშმაკმა დალახვროს! რასაკვირველია, ვნახე! ჯერ ისევ ოთახში ვიწექი, როცა მოვიდა. და როგორც ყოველთვის, მაკოცა.

— დარწმუნებული ხარ რომ გაკოცა?

— ყური მიგდე, ფერნან. შენი არ მესმის.

მარტა, რომელიც საწოლ ოთახში გასვლას აპირებდა, ბალურბლზე შეჩერდა და ფხიზლად შეხედა ორივე მამაკაცს. ეხერხულობის დასაფარავად რავინელმა პორტსიგარიდან სიგარეტი ამოიღო.

— არა, არა... — შეეეედრა ჟერმენი, — შენ ხომ კარგად ხარ... ბოლი... ექიმმა ამიკრძალა...

— ოჰ, რა ეშმაკმა შემაცდინა!.. მაპატიე.

რავინელი უნებლიეთ ატრიალებდა სიგარეტს.

— რასაკვირველია, — ძლივს ამოღერღა მან, — არც კი გავეფრთხილებივარ.

— მირეის რენტგენის შედეგები აინტერესებდა, — დაამატა ჟერმენმა.

— ჩვეულებრივი... გეჩვენა?

— რასაკვირველია.

— როდესაც გკოცნიდა, მისი კანი... ერთი სიტყვით, ის ისეთივე იყო, როგორც ყოველთვის?

— არაფერი მესმის... ღმერთო ჩემო, რა მოგდის ფერნან? მისმინე, მარტა, ფერნანს მგონი არ სჯერა, რომ მირეი აქ იყო!

მარტა რავინელთან მივიდა და ის უმალვე მიხვდა: ქალმა რაღაც იცოდა. ფერნანი ისე გაიჭიმა, როგორც ბრალდებული მოსამართლის წინ.

— როდის დაბრუნდით ნანტიდან, ფერნან?

— გუშინ... გუშინ დილით.

— და სახლში არავინ იყო?

რავინელმა ყურადღებით შეხედა მას. თვალები უბრწყინავდა, ტუჩები პატარა ვიწრო ზოლად შეკუმშვოდა.

— დიახ... მირეი არ იყო სახლში.

მარტამ თავი გააქნ-გამოაქნია.

— შენ გგონია?.. — გაგრძელებულად თქვა ჟერმენმა.

— სწორედ, — მოუჭრა მარტამ.

— რა ღმერთი გიწყრებათ, თქვით, თუ რაიმე იცით! — თავი ვეღარ შეიკავა რავინელმა, — თქვენ იყავით გუშინ დილით ჩვენთან?

— ო-ო! წყენით ჩაიბუზღუნა ჟერმენმა. — ჩემი ჯანმრთელობის პატრონი!..

— მგონი აჯობებს ყველაფერი ავუხსნათ, — შენიშნა მარტამ და უხმოდ გავიდა საწოლ ოთახში.

— რა უნდა ამიხსნა, რა?—დაიღრიალა რავინელმა.—რა იდიოტური შეთქმულებაა?

— წყნარად, წყნარად... — დაამშვიდა ჟერმენმა, — მარტა მართალია... უკეთესია ყველაფერი იცოდე... ჯერ კიდევ ქორწინების შემდეგ უნდა გამეფრთხილებინე. მაგრამ ვფიქრობდი, ქორწინება ყველაფერს მოაგვარებდა. ექიმი ამტკიცებდა რომ...

— ჟერმენ! ყველაფერი გულახდილად თქვი და ერთხელ და სამუდამოდ მოვრჩეთ.

— არ მინდა წყენა მოგაყენო, ბერიკაცო... ერთი სიტყვით, ასეა: დროდადრო მირეი გარბის...

მარტა საწოლი ოთახიდან უყურებდა რავინელს. ეს ჯანასკნელი გრძნობდა მის ინკვიზიტორულ მზერას. მოულოდნელობისაგან გახევებულმა რავინელმა გაიმეორა.

— გარბის?.. როგორ თუ გარბის?..

— ო! ხშირად არა, — უთხრა ჟერმენმა. — მას ეს თოთხმეტი წლიდან დაეწყო...

— მამაკაცებთან ერთად გარბოდა?

— უჰ, არა. სწორედ ვერ გაიგე, ბერიკაცო. გეუბნები გარბის-მეთქი, არ იცი რა არის ეს?.. მირეი მოულოდნელად

იკარგებოდა სახლიდან. ექიმი ამბობდა, რომ ეს ხასიათის ჩამოყალიბებაო. ერთი სიტყვით, ასეთი რამ გარდატეხის ასაკში ხდება. ჩვეულებრივად ის მატარებელში ჯდებოდა, ანდა ქანცის გაწყვეტამდე ფეხით დადიოდა... პოლიციას ვატყობინებდით.

— ძალზე უხერხული იყო მეზობლების წინაშე... — გამოეხმაურა მარტა, რომელიც ბალიშებს აბუებდა.

ჟერმენმა მხრები აიჩეჩა:

— ყველა ოჯახში ყველაფერი ისე არაა, როგორც უნდა იყოს. ყველაზე წესიერებშიც კი... საბრალო ჩემი გოგონა. როგორ იტანჯებოდა შემდეგ! მაგრამ ეს მასზე ძლიერი იყო. როდესაც წამოუვლიდა, აუცილებლად სადღაც უნდა გაქცეულიყო.

— მერე რა? — გამომწვევად შეეკითხა რავინელი.

— რა? შენ რა, ხუმრობ ფერნან! მერე ის, რომ მგონი ახლაც შეტევა მოუვიდა... სახლში არ იყო, აქაც რომ შემოირბინა დილით, თითქოს კარგად ვერ გამოიყურებოდა... ასეა თუ ისე რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდება, გარწმუნებ.

— გამორიცხულია!—იფეთქა რავინელმა, — იმიტომ რომ...

ჟერმენმა ამოიოხრა:

— აი სწორედ ამისა მეშინოდა. შენ ჩვენი არ გჯერა... მარტა, არ სჯერა მას ჩვენი.

მარტამ ხელი ასწია, თითქოს ფიცს სდებსო:

— ჰო-ო, არ ვისურვებდი თქვენს ადგილზე ყოფნას... არაფერია სასიამოვნო. პირადად მე, როდესაც გავიგე, რომ მირეი... ერთი სიტყვით... საბრალო, მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს... ოღონდ, ჩემი ნება რომ ყოფილიყო, აუცილებლად გაგაფრთხილებდით პირველსავე დღეს. და მაინც საწუწუნო არაფერი გაქვთ. ბავშვები თქვენ არა გყავთ. და მადლობა ღმერთს... თორემ კურდღლისტუჩა მახინჯი დაგებადებოდათ.

— მარტა!

— ვიცი, რასაც ვლაპარაკობ. მაშინ ექიმს ეკითხე.

ისევ ექიმი! რენტგენის სურათები მაგიდაზე. ქაღალდში გახვეული საწვეთარი. და მირეი, რომელიც თოთხმეტი წლის ასაკიდან სახლიდან გარბის! რავინელმა თავზე ხელები მოიჭირა.

— გეყოფათ! — წაიბურტყუნა მან. — ჭკუიდან შემშლით.

— როგორც კი შემოვედი, უმალვე ვიგრძენი, რომ საქმე ცუდად იყო, — განაგრძობდა მარტა. — მე ხომ ყერმენივით ჩერჩეტი არა ვარ. ის ვერასოდეს ვერაფერს ამჩნევს. მე სახლში არ ვიყავი, თორემ მაშინვე შევამჩნევდი, რომ მირეი კარგად ვერ იყო.

რავინელმა სიგარეტი დააქუცმაცა მაგიდაზე. ერთი სული ჰქონდა თავები ეხლეკინებინა ერთმანეთის თანამგრძნობელი ცოლქმრისათვის. გარბისო!... თითქოს მირეის შეეძლო სადმე გაქცევა! მირეის, რომელიც საკუთარი ხელით გაახვია ბრეზენტში. ეს აშკარა შეთქმულებაა. მათ პირი აქვთ შეკრული... მაგრამ არა! ყერმენი მეტისმეტად სულელია. თავის თავს თვითონ გასცემდა.

— რა ეცვა მირეის?

ყერმენი ჩაფიქრდა.

— დამაცათ!.. იგი სინათლის საწინააღმდეგოდ იდგა. მგონი თავის ბეწვით გაწყობილი ნაცრისფერი პალტო. დიახ, ნამდვილად... და ქუდი ეხურა. მაშინ კიდეც გავიფიქრე, ასეთი ამინდისათვის ძალზე თბილად აცვია-მეთქი. ასე ადვილად გაცივდება...

— იქნებ მატარებლით წასვლას აპირებდა? — ჩაერია მარტა.

— არა. არა მგონია. მაგრამ, რა იყო საოცარი... თითქოს არ გამოიყურებოდა დაბნეულად. წინათ, კრიზისების დროს, ნერვიულობდა, ღიზიანდებოდა, უბრალო რამეზე ტიროდა, დღეს დილით კი მგონი აბსოლუტურად მშვიდად იყო.

რავინელი უწინდებურად მუშტებს კუმშავდა. ყერმენმა დაუმატა:

— ის დიდებული გოგონაა, ფერნან.

მარტა ქვაბებს აბრახუნებდა რავინელის ზურგს უკან და გვერდზე ჩავლისას იმეორებდა:

— ნუ წუხდებით... გავიცლი.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, რავინელს წამდაუწუმ უხდებოდა სკამის გვერდზე გაწევა და ყოველი მოძრაობა ძალზე უჭირდა. უცნაურ ციფერბლატიან კედლის საათზე, რომელსაც ორი გაშიშვლებული ფერია იჭერდა, თერთმეტის ოცი წუთი

იყო. ლიუსიენი ალბათ უკვე გამოვიდა მანსიდან. ოთახები ცოტათი განათდა, მაგრამ დაღვრემილმა, მოღრუბლულმა დილამ, რომელმაც მაინც ვერ გაფანტა ჩრდილები კუთხეებში, თითქოს მტვრის თხელი ფენით დაფარა ავეჯი, კედლები და სახეები.

— ვიცი, რაზედაც ფიქრობ, — მოულოდნელად თქვა ჟერმენმა.

რავინელი შეკრთა.

— ფიქრობ, რომ შენ ის გღალატობს არა?

სულელი! არა, რასაკვირველია, კომედიას არ თამაშობს, ყველაფერს გულწრფელად ამბობს!

— ტყუილად გგონია ასე, კარგად ვიცნობ მირეის. შეიძლება ზოგჯერ ვერ გაუგო მას, მაგრამ ისე წესიერი ქალია.

— საბრალო ჟერმენი! — ამოიოხრა მარტამ, რომელიც კარტოფილს ფცქვნიდა.

და ეს აშკარად ნიშნავდა: „საბრალო ჟერმენ! რა იცი შენ ქალების ამბავი".

ჟერმენმა შეუღრინა:

— მირეი? თავი გაანებეთ! ის მხოლოდ სახლსა და საშინაო საქმეებზე ფიქრობს. საკმარისია, მხოლოდ შეხედო.

— ის ძალზე ხშირად რჩება მარტოდმარტო, — ხმადაბლა შენიშნა მარტამ. — ო, მე თქვენ არ გისაყვედურებთ ფერნან. გინდა არ გინდა, ხშირად გიხდება მოგზაურობა, ახალგაზრდა ქალისთვის კი ეს დიდად სასიხარულო არაა. თქვენ, რასაკვირველია, იტყვით, რომ დიდი ხნით არ მიდიხართ. სწორია. მაგრამ არყოფნა არყოფნაა.

— აი მე როდესაც ტყვედ ვიყავი... — დაიწყო ჟერმენმა.

ოჰ ეს საბედისწერო ფრაზა... ახლა დაიქოქება და დაიწყებს თავისი ისტორიების მეათედ მოყოლას. რავინელი აღარ უგდებდა ყურს და არ იმტვრევდა თავს მომხდარ ამბავზე. ღრმა ფიქრებს მიეცა. თითქოს გაორდა. ბრუნდებოდა ანგიანში, დაბორიალებდა ცარიელ ოთახებში. იმ წუთას რომ იქ ვინმე ყოფილიყო, ნამდვილად დაინახავდა რავინელის ბუნდოვან სილუეტს. განა ტელეპატიის ყველა საიდუმლოება ამოხსნილია? ჟერმენი ამტკიცებდა, რომ ნახა მირეი. მაგრამ ყველა მათ — ისინი კი მთელი ლეგიონია — ვინც ნახა მოჩვენებები,

თავდაპირველად სჯეროდათ, რომ მათ წინ იყვნენ ხორცშესხმული ცოცხალი არსებანი. მკვდარი მირეი კი სწორედ მაშინ გამოეცხადა თავის ძმას, როდესაც ის ჯერ კიდევ ძილღვიძილში იყო და არ ძალუძდა თავისი გრძნობების შემოწმება. კლასიკური შემთხვევა. რავინელს არაერთხელ წაუკითხავს ასეთ შემთხვევებზე „მეტაფიზიკურ ჟურნალში", რომელსაც ცოლის თხოვამდე იწერდა. თუმცა მისი ეს მოულოდნელი გაქცევები ამტკიცებს, რომ მირეის მედიუმის მონაცემები ჰქონდა. ალბათ იოლად ნებდებოდა შთაგონებას. ახლაც კი! შესაძლოა, საკმარისი იყო მხოლოდ ყურადღებით, სიყვარულით გეფიქრა მასზე, რომ უმალვე ხორცი შეესხა.

— მან მაინც რა გითხრა? — შეეკითხა რავინელი.

ჟერმენი ისევ ყვებოდა საკონცენტრაციო ბანაკში მეედებთან თავისი მტრობის ამბავს. მან წყენით შეწყვიტა თხრობა.

— რა თქვა მან?... იცი რა, არ ჩამიწერია... უფრო მეტს მე ვლაპარაკობდი. მას ხომ ჩემი რენტგენის სურათი აინტერესებდა.

— დიდხანს იყო აქ?

— შეეძლო, მეც დამლოდებოდა, — წაიბურტყუნა მარტამ.

საქმეც მაგაშია. მარტა რომ სახლში ყოფილიყო, მირეი არაფრის დიდებით არ მოვიდოდა. მოჩვენებებს თავისი ლოგიკა აქვს.

— შემთხვევით ფანჯრიდან ხომ არ დაგინახავს საით წავიდა?

— უცნაურია! რატომ უნდა მედია მისი კვალისათვის?

— საწყენია! ჟერმენი რომ დაინტერესებულიყო საით წავიდა მირეი, აუცილებლად დარწმუნდებოდა, რომ მის დას ფეხი არ გაუდგამს სახლიდან... კარგი დამამტკიცებელი საბუთი იქნებოდა!

— ნუ იმტვრევ თავს, ბერიკაცო, — უთხრა ჟერმენმა. — ყური დაუგდე ჩემს რჩევას... დაბრუნდი, „მხიარულ კუთხეში". იქნებ იქ უკვე გელოდება მირეი... და თუ მას რაიმე უჭირს, ნუგეშსა სცემ, სწორია?

მან მრავალმნიშვნელოვნად ჩაიხითხითა, მაგრამ მაშინვე ხველება აუვარდა და მარტამ მკაცრად გადახედა.

— მირეი ბავშვობაში მთვარეული ხომ არ იყო? — შეეკითხა რავინელი.

ჟერმენი მოიღუშა.

— ის არა...მე კი ხანდახან მემართებოდა. ცხადია, მთვარის დროს არ დავრბოდი სახურავზე — აქამდე არ მიდიოდა საქმე. მაგრამ სამაგიეროდ ძილში ვლაპარაკობდი და ხელებს ვიქნევდი. ზოგჯერ ვდგებოდი და დერეფანში ან მეორე ოთახში გავდიოდი. შემდეგ კი ვერაფრით ვერ ვერკვეოდი, სად ვიყავი. ისევ ლოგინში მაწვენდნენ და ხელით მიუერდნენ. ვიწექი თვალებგახელილი და დაძინებისა მეშინოდა.

— ეს საუბარი თქვენ მგონი სიამოვნებას განიჭებთ, ფერნან, — გესლიანად შენიშნა მარტამ.

— მაგრამ ახლა? — განაგრძობდა გამოკითხვას რავინელი. — ახლა აღარ გემართება ასეთი რამ?

— იქნებ ფიქრობ... სჯობს ჩემთან ერთად დალიო, ბერიკა

— მირეის გაუმარჯოს.

— მის დაბრუნებას გაუმარჯოს, — კბილებში გამოსცრა მარტამ.

რავინელმა ნაყენი გადახუხა და თვალებზე ხელები მოისვა. არა. ეს სიზმარი არაა. ლიქიორმა სასიამოვნოდ ჩაუწვა ყელი. თერთმეტი საათი გახდა, ეშმაკმა დალახვროს, მაშინ მან ხომ თავისი თვალით ნახა ყველაფერი! მაგრამ ზედადგარები? ისინი ხომ რამდენიმე კილოგრამს იწონიან! ასეთი ჰალუცინაციები არ არსებობს!

— სალამი გადაეცით მას.

რა ხდება?... აა, მარტა გარეთ აგდებს მას. რავინელი უნებლიეთ დგება.

— ჩემს მაგივრად აკოცე, — სიტყვა დაადევნა ჟერარენში.

— კარგი... კარგი...

რავინელს უნდოდა პირში მიეხალა მისთვის: „ის მოკვდა, მოკვდა... ზუსტად ვიცი — ის ხომ თვითონ მე მოვკალი". მკერამ თავი შეიკავა. არ ღირს, რომ მარტას ასეთი დიდი სიბარული მიანიჭოს.

— ნახვამდის, მარტა. არაუშავს, არაუშავს... გზას გავიგნებ.

მარტა მოაჯირს დაეყრდნო და ყურს უგდებდა მისი ნაბიჯების ხმას, რომელიც თანდათან შორიდან მოისმოდა.

— თუ რაიმე ახალი ამბავი იქნა, ჩვენც შეგვატყობინეთ, ფერნან!

რავინელი შედის უახლოეს ბისტროში და სვამს ორ სირრა კონიაკს. დრო მირბის. მით უარესი. ტაქსს თუ დაიჭერს, მოასწრებს. ახლა ყველაზე მთავარია—აქვე, ადგილზე, გაერკვეს ყველაფერში. აი მე, რავინელი, ვდგევარ ბარის წინ. საღად ვაზროვნებ. გულგრილად ვმსჯელობ. არაფრის არ მეშინია. გუშინ საღამოს კი მეშინოდა. რალაცნაირად გონება დამიბნელდა. მაგრამ გამიარა. კეთილი! განვიხილოთ ფაქტები, რაც შეიძლება მშვიდად... მირეი მოკვდა. მე ამაში ისევე ვარ დარწმუნებული, როგორც იმაში, რომ მე რავინელი ვარ იმიტომ რომ ყველაფერი კარგად მახსოვს, იმიტომ რომ თვითონ მეჭირა გვამი, ახლა კი, ამ წუთში, კონიაკს ვსვამ დ

ეს ყველაფერი ცხადში ხდება... მირეი ცოცხალია. ამაშიც დარწმუნებული ვარ იმიტომ, რომ მან საკუთარი ხელით დაწერა წერილი, გამოგზავნა პნევმატური ფოსტით და ფოსტალიონმა მისამართზე მოიტანა... დიახ, მირეი ცოცხალია იმიტომ, რომ ის ნახა ჟერმენმა. მის სიტყვებში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. გავაგრძელოთ. რაკი მას არ შეუძლია ერთდროულად ცოცხალიც იყოს და მკვდარიც, მაშასადამე, არც ერთია და არც მეორე... მაშასადამე, ის მოჩვენებაა. ასე გვასწავლის ლოგიკა. მე სრულებითაც არ ვცდილობ თავი დავიმშვიდო. თანაც რა არის აქ დასამშვიდებელი? მხოლოდ ჩვეულებრივი ლოგიკაა და შეტი არაფერი. მირეი ცხადდება თავის ძმასთან. შესაძლებელია, მალე მეც გამომეცხადოს. წინასწარ მზად ვარ ამისათვის. ლიუსიენი კი არაფრის გულისათვის არ დაიჯერებს ამას. არაფრის გულისათვის არ დაიჯერებს. და ყოველივე ეს არის მისი უნივერსიტეტში მიღებული განათლება. მუდამ მასთან მყოფელი სიბრძნე. მაინც რას ვეტყვით ჩვენ ერთმანეთს?

მან მესამე სირჩა კონიაკი შესვა. ეშმაკმა დალახვროს, ხომ უნდა გათბეს! ლიუსიენი რომ არ იყოს...

იგი ფულს იხდის და ტაქსების გაჩერებასთან მიდის. ახლა მთავარია ლიუსიენს მიუსწროს.

— მონპარნასზე, ჩქარა!

იგი საჯდომზე გადაწვა, ჩაფიქრდა. ეკითხება თავის თავს: იქნებ ახლანდელი ფიქრები მხოლოდ ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფია? და თავს ირწმუნებს, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. ასეა თუ ისე, ჩამოსახრჩობია. დაიღალა. გუშინ მირეის ნახვაც კი მოუნდა. ახლა ეშინია ამისა. ხვდება, რომ მირეი არ მოასვენებს მას. მირეი განა დაივიწყებს მას? რატომ ახსოვთ მკვდრებს ყველაფერი?... ისევ ძველი ფიქრები!... საბედნიეროდ, მანქანა ჩერდება. რავინელი ხურდას არ უცდის. კარს კეტავს. ხალხს არღვევს და პერონზე გადის ელექტრომატარებელი სვლას უნელებს და პლატფორმის კიდესთან ჩერდება. ვაგონებიდან გადმოსული ხალხის ნაკადი ტროტუარებზე იშლება. რავინელი კონტროლიორთან მიდის.

— ეს მატარებელი ნანტიდან ჩამოვიდა?

— დიახ.

უცნაური მოუთმენლობა იპყრობს. თითის წვერებზე დგე-

ბა, კისერს იგრძელებს, ბოლოს ხედავს ლიუსიენს. მას შ ეი, სადა კოსტიუმი აცვია, თავზე ბერეტი ახურავს. გარეგნულ ად მშვიდად გამოიყურება.

— ლიუსიენ!

სიფრთხილის გამო მხოლოდ ხელს ართმევენ ერთმანე

— საშინლად გამოიყურები, ფერნან.

ის ნაღვლიანად იღიმება.

— იმიტომ, რომ მეშინია, — გამოუტყდა ის.

8

ისინი მეტროს მოაჯირს ეკვროდნენ, ზედახორაში რომ არ მოხვედრილიყვნენ.

— ვერ მოვასწარი შენთვის ნომრის აღება,—მოუბოდიშა რავინელმა. — მაგრამ შეგვიძლია...

— ნომერი! რას ამბობ?! აუცილებლად უნდა წავიდე ექ საათზე. ამაღამ მორიგე ვარ.

— აი თურმე რაში ყოფილა საქმე! შენ კი არ...

— რა მე?... არ მიგატოვო? ამის თქმა გინდა? გგონია საშიშროება გემუქრება... აქ ახლომახლო არსად არის მყუდ- რო კაფე, სადაც შეიძლება მშვიდად ვისაუბროთ? იმიტომ, რომ მე უფრო სასაუბროდ ჩამოვედი. სანახავადაც, ვწუხ ავად ხომ არ გახდა-მეთქი.

ლიუსიენმა ხელთათმანი გაიძრო და, არ მიუქცევია რა ყურადღება გამვლელებისათვის, რავინელს მაჯა გაუსინჯა, ლოყაზე უჩქმიტა.

— ღმერთმანი, გახდი. სახე გაგიყვითლდა, თვალები ავ- ღვრა.

ასეთია ლიუსიენი. მას არასდროს არ აინტერესებდა სხვისი აზრი, არასდროს არ აღელვებდა რას იფიქრებდნენ მას ე. გაზეთების გამყიდველი ბიუვნის გაკვირვან ყვირილში მან შეშ- დად დაითვალა მისი პულსი, დახედა ენას, გაუსინჯა ჯირკვლე- ბი. და რავინელმა მაშინვე უშიშრად იგრძნო თავი. ლიუსიენ თუ შეიძლება ასე ითქვას, არ ახასიათებდა ბუნდოვანება, სილბო და ორჭოფობა, ის თავდაჯერებულად, ცოტა უბეშავ, თითქმის გამომწვევად იქცეოდა. მას ჰქონდა მკვეთრი, მტკი-

ცე ხმა. რავინელს ზოგჯერ უნდოდა, რომ ის ლიუსიენი ყოფილიყო... ზოგჯერ კი ეზიზღებოდა... იმიტომ, რომ ხანდისხან ის ქირურგიულ ინსტრუმენტს აგონებდა — ცივს, გლუვს, მონიკელებულს.

— რენის ქუჩით წავიდეთ. იქ აუცილებლად წავაწყდებით რომელიმე ბისტროს.

მათ მოედანი გადასჭრეს. ლიუსიენმა მაგრად გამოსდო ხელი, თითქოს მას მიჰყავსო.

— ვერაფერი ვერ გავიგე შენი ორი დარეკვიდან. ჯერ ერთი, ცუდად ისმოდა. მეორეც, სეტყვასავით დამაყარე სიტყვები. ვილაპარაკოთ დალაგებულად. როდესაც გუშინ დილით სახლში დაბრუნდი, მირეის გვამი აღარ იყო. ასეა?

— დიახ.

რავინელი უურადღებით აკვირდებოდა მას, თავს ეკითხებოდა, როგორ რეაგირებას მოახდენდა, ლიუსიენი აკი მუდამ ამტკიცებდა: „ნუ ვინერვიულებთ... ცოტა კეთილგონიერება“... ისინი დაძაბულად მიაბიჯებდნენ ტროტუარზე და უურადღებას არ აქცევდნენ გზას, რომელიც სენ-ჟერმენის გზაჯვარედინისაკენ მიემართებოდა. რავინელი ისვენებდა საშინელი ნერვული დაძაბულობის შემდეგ. ცოტა ხნით მაინც ზიდოს ლიუსიენმა ეს მძიმე ტვირთი.

— რა არის აქ თავსატეხი, — შენიშნა მან. — გვამი ალბათ დინებამ წაიღო.

რავინელს გაეღიმა.

— გამორიცხულია! ჯერ ერთი დინება თითქმის არაა, ეს შენ ჩემზე კარგად იცი. და რომც ყოფილიყო, გვამი ტოტში გაიჭედებოდა, წყალსაშვებთან გგონია, არ გადამიჩხრეკია ყველაფერი, სანამ შენ დაგირეკავდი? რასაკვირველია, გადავჩხრიკე...

ლიუსიენი მოიღუშა, რავინელს კი მიუხედავად მღელვარებისა, დიდად გაეხარდა, როდესაც ნახა, თუ როგორ ჩაიჭრა ის აბითურიენტივით, რომელსაც მოულოდნელად მისცეს პროგრამით გაუთვალისწინებელი კითხვა.

— იქნებ გვამი იმიტომ მოიპარეს, რომ შანტაჟი მოგიწყონ? — დაბნეულად შეეკითხა ლიუსიენი

— გამორიცხულია! მე უკვე ვიფიქრე ამაზე. ფოსტალიო-

ნის ქალიშვილსაც კი გამოვკითხე, რომელიც ყოველ დილით თხას აძოვებს სამრეცხაოს პირდაპირ მდებარე მდელოზე.

— მერე?... ეშვი ხომ არაფერზე აუღია?

— სიფრთხილის ზომები მივიღე. თანაც გოგონას ცოტა აკლია კიდეც... მოკლედ, ეს ვარაუდი გამორიცხულია. ვის რად უნდა გვამი? იმად, რომ მე შანტაჟი მომიწყონ, როგორც შენ თქვი, ანდა ზიანი მომაყენონ? მაგრამ ვის რა ხელი აქვს ჩემთან და მერე, წარმოდგენილი გაქვს, რა არის გვამის მოპარვა? სდექ. აი პატარა კაფე, სწორედ ჩვენთვისაა.

პაწაწა ბარი, ღუმელის ირგვლივ დადგმული სამი მაგიდა. სალაროსთან მჯდარი მეპატრონე სპორტულ გაზეთს კითხულობდა.

— არა. საუზმე ჩვენ არა გვაქვს... მაგრამ თუ ბუტერბროდებს ინებებთ... ძალიან კარგი! და ორი კათხა ლუდი!

პატრონი დამხმარე სათავსში შევიდა, ის, როგორც ჩანს, ვიწრო იყო. რავინელმა მაგიდა გამოსწია, ლიუსიენი რომ დამჯდარიყო. კაფეს წინ ღრჭიალით ჩერდებოდნენ ავტობუსები, სწრაფად უშვებდნენ კარებიდან ორ-სამ მგზავრს და გზას განაგრძობდნენ. ლიუსიენმა ქუდი მოიხადა და მაგიდას დაეყრდნო იდაყვებით.

— ეს რაღა ისტორიაა პნევმატურ ფოსტასთან დაკავშირებით?

ლიუსიენმა უკვე გაიშვირა ხელი, მაგრამ რავინელმა თავი გადააქნია.

— წერილი სახლში დამრჩა. შინ აღარ შემივლია. მაგრამ ზეპირად მახსოვს. ყური მიგდე: „ერთი-ორი დღით წავალ. ნუ ღელავ, სერიოზული არაფერია... ჰმ! ...სურსათი სარდაფშია, სურსათ-სანოვაგის განჯინაში... ჯერ შეჭამ მურაბას გახსნილი ქილიდან...“

— ერთი წუთით!

— დარწმუნებული იყავი, არ მეშლება: „შეჭამ მურაბას გახსნილი ქილიდან, ხოლო მერე გახსენი ახალი. როდესაც გაზქურას არ ხმარობ, ონკანი დაკეტე. თორემ მუდამ გავიწყდება, შეხვედრამდე. გკოცნი...“

ლიუსიენი რავინელს მიაშტერდა. მერე მცირეოდენი დუმილის შემდეგ, შეეკითხა:

— და შენ, რასაკვირველია, იცანი მისი ხელი?

— რა თქმა უნდა.

— ყალბი ხელწერის გაკეთება მშვენივრად შეიძლება.

— ვიცი. მაგრამ საქმე მარტო ხელწერაში როდია, მე ვცნობ მის სტილს. დარწმუნებული ვარ, რომ წერილი მირეის დაწერილია. — შტემპელი? საფოსტო შტემპელი ნამდვილია?

რავინელმა მხრები აიჩეჩა.

— ბარემ მკითხე ფოსტალიონი მართლა თუ არის ნამდვილი ფოსტალიონიო.

— მაშინ მხოლოდ ერთ ახსნას ვხედავ. მირეიმ წერილი მოგწერა ნანტში წასვლამდე.

— ნუ გავიწყდება თარიღი შტემპელზე. პნევმატური ფოსტა პარიზიდან იმავე დღესაა გამოგზავნილი. ვინ წაიღებდა ფოსტაში?

მეპატრონე თეფშზე დახვავებული ბუტერბროდებით დაბრუნდა მან მაგიდაზე დადგა ორი კათხა ლუდი და ისევ გაზეთში ჩარგო თავი. რავინელმა ხმას დაუწია.

— და შემდეგ, მირეის რომ რაიმესი შინებოდა, აუცილებლად ჩვენ გაგვცემდა, მხოლოდ და მხოლოდ გახსნილ ქილაზე როდი გაგვაფრთხილებდა.

— უბრალოდ არ წავიდოდა ნანტში, — შენიშნა ლიუსიენმა. — არა, ალბათ, ეს წერილი მანამდე დაწერა...

ლიუსიენმა ბუტერბროდის ჭამა დაიწყო. რავინელმა ნახევარი კათხა ლუდი მოსვა. მხოლოდ ახლა შეიგრძნო უკიდურესი სიცხადით შექმნილი სიტუაციის მთელი აბსურდულობა. და გრძნობდა, ლიუსიენსაც არაფერი ესმოდა. მან ბუტერბროდი დადო და თეფში გასწია.

— რაღაც არ მშია. ეს ისე... მოულოდნელია, ყველაფერი რაც შენ მოყევი! თუ წერილი არ შეიძლებოდა ადრე დაწერილიყო, მაშინ შემდეგ როგორღა? თანაც წერილში არავითარი მუქარა არ გამოსჭვივის, თითქოს გამომგზავნს მეხსიერება დაეკარგაო.

— აი,—წასჩურჩულა რავინელმა. — უახლოვდები საქმის არსს.

— რა?

— ყველაფერი სწორია... განაგრძე.

— საქმეც სწორედ მაგაშია... არ მესმის...

ისინი დიდხანს და დაჟინებით უყურებდნენ ერთმანეთს თვალებში. ბოლოს ლიუსიენი მიტრიალდა და გაუბედავად წარმოთქვა:

— იქნებ ორეული?

დიახ, ლიუსიენმა უბრალოდ ფარხმალი დაყარა. ორეული! ხედავთ მათ თურმე ორეული დაულრჩვიათ წყალში!

— არა, არა, — მაშინვე მოეგო გონს. — სისულელეა! გინდაც ვივარაუდოთ, რომ ვიღაც ქალი საოცრად ჰგავს მირეის... განა შენ შეცდებოდი?... და მეც... ჰა-ჰა... და ეს ქალი თავისი ფეხით მოვიდა ჩვენთან!

რავინელი არ აწყვეტინებდა. დაე ცოტა დაუფიქრდეს. გვერდზე ხალხით გაჭედილი ავტობუსები მიჰქროდნენ. ზოგჯერ კაფეში ვინმე შემოვიდოდა და უკვეთდა ღვინოს. ჩუმად გადახედავდა წყვილს, რომელიც არც ჭამდა, არც სვამდა. ჭადრაკს ხომ არ თამაშობენ?

— მე ჯერ კიდევ ყველაფერი არ მომიყოლია შენთვის. — დაარღვია სიჩუმე რავინელმა, — დღეს დილით მირეი თავის ძმასთან იყო.

ლიუსიენის თვალებში გაოცებამ გაიელვა. შემდეგ შიშმა, საბრალო ლიუსიენი! ძალზე ცუდადაა.

— მირეი მასთან ავიდა. აკოცა ძმას. ისაუბრეს.

— რასაკვირველია, — ჩაფიქრებით გააგრძელა ლიუსიენმა. — შესაძლოა ეს ცოცხალია სწორედ ორეული? მაგრამ ყერმენსაც ხომ ვერ მოატყუებ... შენ თქვი, რომ ყერმენი მას ელაპარაკა და აკოცა. განა სხვა ქალს შეიძლებოდა ჰქონოდა ისეთივე ხმა, ისეთივე ინტონაცია, ისეთივე სიარული, ჟესტები?... არა! სისულელეა! ორეულები — რომანისტების ნოგონილია...

— არის კიდევ ერთი ახსნა, — თქვა რავინელმა. — კატალეფსია! მირეის ჰქონდა სიკვდილის ყველა ნიშანი... მაგრამ გონს მოვიდა საბრეცხაოში.

და რადგანაც ნგონი ლიუსიენმა ვერ გაიგო, მან განაგრძო:

— კატალეფსია ხდება ხოლმე, როდესაც წამიკითხავს

— კატალეფსია წყალში ორი დღე-ღამის შემდეგ!

ის გრძნობდა, რომ ლიუსიენი საცაა აენთებოდა და ჟესტით გააფრთხილა, ხმისთვის არ აეწია.

— ყური მიგდე, — გაჯავრებით განაცხადა მან. — გაიგე, ეს რომ კატალეფსიის შემთხვევა ყოფილიყო, მაშინვე უარს ვიტყოდი საექიმო პრაქტიკაზე! იმიტომ, რომ მაშინ კაპიკია მთელი მედიცინის ფასი, იმიტომ, რომ...

მგონი საუბარი მიზანს აღწევდა. ლიუსიენს ტუჩები უკანკალებდა.

— როგორც გინდა თქვი, ჩვენ ვიცით სიკვდილის დადასტურება! გინდა, დამამტკიცებელი საბუთები მოგიყვანო? და გითხრა რა საფუძველი მქონდა? ნუთუ ფიქრობ, რომ ჩვენ ასე განურჩევლად ვაძლევთ დაკრძალვის ნებართვას?

— ლიუსიენ, გთხოვ დაწყნარდე...

ისინი გაჩუმდნენ. ორივეს თვალები უბრწყინავდა. ლიუსიენი ამაყობდა თავისი ცოდნით, თავისი მდგომარეობით. რავინელმა იცოდა, რომ მას იგი სძულდა როგორც უვიცი. ლიუსიენს სურდა, რომ ის ყოველთვის აღფრთოვანებული ყოფილიყო მისით. და უცებ მან თავს ნება მისცა ასეთი რამ... ლიუსიენი უყურებდა მას და ელოდა სიტყვას ან გამოხედვას მაინც.

— აქ სადავო არაფერია,—ისევ ალაპარაკდა უაპელაციოდ, თითქოს თავის საავადმყოფოში ყოფილიყოს. — მირეი მოკვდა. დანარჩენი როგორც გინდა, ისე ახსენი.

— მირეი მოკვდა და, მიუხედავად ამისა, ის ცოცხალია.

— მე სერიოზულად ვლაპარაკობ.

— მეც. მგონია, რომ მირეი...

შეიძლება გამოვუტყდე ლიუსიენს?... ის არასდროს არ უმხელდა მას თავის საიდუმლო აზრებს, მაგრამ კარგად იცოდა, რომ ლიუსიენი, როგორც წიგნში, ისე კითხულობდა მათ.

— მირეი — მოჩვენებაა, — წაიჩურჩულა რავინელმა.

— რაო, რაო?

— ხომ გითხარი — მოჩვენებაა-მეთქი. მას როდესაც უნდა და სადაც უნდა, ხქ გამოჩნდება... ის მატერიალურ სახეს იღებს.

ლიუსიენმა ხელი სტაცა მას. რავინელი გაწითლდა.

— გაითვალისწინე, ყველას როდი ვეტყოდი ამგვარ რამეს. შენ განდობ საიდუმლო აზრს, ვარაუდს... პირადად მე მგონია, რომ ეს სავსებით დასაშვებია.

— არა, შენ სერიოზულად უნდა მოგკიდო ხელი, — წაიბურტყუნა ლიუსიენმა. — უკვე ვფიქრობ, რომ ყველაფერი წესრიგში არა გაქვს... ერთხელ თვითონ მითხარი კიდეც, რომ მამაშენი...

უცებ ლიუსიენს სახე გაუქვავდა, რავინელს მაგრად ჩააჭდო თითები ხელზე.

— ფერნან!.. შემომხედე თვალებში... მითხარი, ხომ არ მასულელებ?

ლიუსიენმა ნერვიულად გაიცინა, ხელები გულზე დაიკრიფა და მისკენ გადაიხარა, ქუჩიდან ისე ჩანდა, თითქოს ტუჩებით მიიწევდა საყვარლისაკენ.

— მე შენ სულელი ხომ არ გგონივარ? დიდხანს გამიწყალებ კიდევ გულს? მირეი მოკვდა. ვიცი. შენ კი მარწმუნებ, თითქოს გვამი მოიტაცეს, თითქოს ის გაცოცხლდა და შინაურულად დასეირნობს პარიზის ქუჩებში... მე კი... დიახ, შემიძლია ამაში გამოგიტყდე, მიყვარხარ... და ვიტანჯები, ვერაფერი გამიგია.

— წყნარად, ლიუსიენ, გთხოვ.

— ახლა კი მესმის... კეთილი, განაგრძე ზღაპრების მოყოლა. რასაკვირველია! მე ხომ იქ არ ვყოფილვარ. მაგრამ ხომ იცი, ყველაფერს საზღვარი აქვს. ჰოდა, აბა მითხარი პატიოსნად: რისი თქმა გინდა?

არასოდეს არ ენაწა რავინელს ის ასეთ მდგომარეობაში. სიბრაზისაგან ლამის ენა დაება და მთლად გაფითრდა.

— ლიუსიენ! გეფიცები! არ ვცრუობ.

— კარგი, გეყოფა! მე შენიძლია დავიჯერო წრის კვადრატულობა, მაგრამ ის, რომ მკვდარი ცოცხალია, რომ შეუძლებელი შესაძლებელია, — არ შემიძლია.

ბარის მეპატრონე გაზეთს ჩასჩერებოდა. რამდენი წყვილი უნახავს თავის სიცოცხლეში! რამდენი უცნაური საუბარი მოუსმენია! მაგრამ რავინელი თავს უხერხულად გრძნობდა ბისი მდუმარების გამო. მან კუპიური აიქნია:

— გთხოვთ!..

კინაღამ ბოდიში მოუხადა, ბუტერბროდები რომ არ გასინჯა.

ლიუსიენმა ჩანთა აიფარა და სახეზე პუდრი წაისვა. პირ-

ველი ადგა და გარეთ გავიდა ისე, რომ რავინელისაკენ არც მიუხედავს.

— ყური მიგდე, ლიუსიენ... გეფიცები, სიმართლე გითხარი...

ლიუსიენი მიდიოდა ვიტრინებისაკენ შებრუნებული, ის კი ვერ ბედავდა ხმის აწევას.

— მისმინე, ლიუსიენ!

რა სულელური, მოულოდნელი სცენაა! დრო კი გადიოდა. გადიოდა! ცოტაც კიდევ და ლიუსიენი დაბრუნდება სადგურში, და მარტო დატოვებს მას თავის შიშთან... სასოწარკვეთილმა ხელი ჩაავლო მას.

— ლიუსიენ... შენ კარგად იცი, რომ მე არავითარი ანგარება არ მამოქმედებს...

— ჰო? მაგრამ დაზღვევა?

— რისი თქმა გინდა ამით?

— იმისა, რომ ყველაფერი ძალზე უბრალოდაა. არაა გვამი, მაშასადამე, არც კომპენსაციაა. და ერთ მშვენიერ დღეს შემატყობინებ, რომ დაზღვევის საქმე არ გამოვიდა და შენ არაფერი მიგიღია.

ვიღაც გამვლელი მიაჩერდა მათ. იქნებ უკანასკნელი ფრაზა გაიგონა? რავინელმა შიშით მიიხედა. წამოიწყო ჩხუბი ქუჩაში... უფრო სულელურს ვერაფერს მოიგონებ!

— ლიუსიენ! გევედრები! რომ იცოდე, რა გადავიტანე... წავიდეთ, ჩამოვჯდეთ.

მათ გაიარეს სენ-ჟერმენის გზაჯვარედინი და ახლა ეკლესიის ახლოს მდებარე სკვერში მიდიოდნენ. მერხები სველი იყო. მბჟუტავი სინათლე ატანდა შიშველ ტოტებში.

არ არის გვამი, მაშასადამე, არც კომპენსაციაა... რავინელს ამაზე არც უფიქრია. ის მერხის კიდეზე ჩამოჯდა. ყველაფერი დამთავრებულია. ლიუსიენი გვერდზე იდგა და ჩამოცვენილ ფოთლებს ფეხსაცმლის ცხვირით ფანტავდა. პოლიციელების სასტვენის ხმები, მანქანების რბოლა, ორღანის ოდნავ გასაგონი დვრინი, ეკლესიის შემოჭედილი კარებიდან რომ აღწევდა... ცხოვრება! სხვისი ცხოვრება! ეჰ, ნეტა სხვა ადამიანად იქცეს და რავინელი არ იყოს!

— მტოვებ, ლიუსიენ?

— ბოდიში, მგონი, შენ...

რავინელმა თავისი გაბარდინის პალტოს კალთა გადასწია.

— დაჯექი... ახლა ჩხუბს ხომ არ დავიწყებთ?

ლიუსიენი დაჯდა. სკვერიდან მიმავალი ქალები გაშტერებით უყურებდნენ მათ. არა, ეს წყვილი არ ჰგავს ჩვეულებრივ შეყვარებულებს.

— შენ ხომ კარგად იცი, რომ ჩემთვის ეს არასდროს არ ყოფილა ფულის საკითხი, დაღლილი ხმით განაგრძობდა რავინელი, — და მერე, აბა წარმოიდგინე... დავუშვათ, მინდა შენი გაცურება. განა შეიძლება სერიოზული იმედი მქონოდა იმისა, რომ შენ ვერასდროს ვერ გაიგებდი სიმართლეს? საკმარისია ჩახვიდე ანგიანში, შეაგროვო ცნობები, და უმალვე გაიგებ ყველაფერს...

ლიუსიენმა აღშფოთებით აიჩეჩა მხრები.

— თავი დავანებოთ დაზღვევას. ერთიც ენახოთ, და შეგვეწინდა საქმის ბოლომდე მიყვანისა? უცებ შეშინდი და გვაძის დამალვა, დამარხვა ამჯობინე?

— მაგრამ ეს ხომ უფრო საშიშია, მაშინ ხომ რაიმე უბედურ შემთხვევაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მაშინვე ჩემზე მოიტანდნენ ეჭვს... მაშ რაღაზე მოვიგონებდი პნევმატური ფოსტისა და ჟერმენთან სტუმრობის ამბავს?

ბინდდებოდა. ნათდებოდა ვიტრინები. ინთებოდა საგზაო ნიშნები, მაგრამ გზაჯვარედინზე ჯერ კიდევ დღის სინათლე იყო. რავინელს ყოველთვის ეშინოდა იმ წუთებში, როდესაც მისი ბავშვური თამაშობები მთავრდებოდა ვიწრო გრძელ ოთახში და ჩამობნელებულ ფანჯარასთან ჩვეულებრივ იჯდა დედა და ქსოვდა. დედა ნელ-ნელა შავ სილუეტად იქცეოდა. მოულოდნელად ის მიხვდა, რომ გაქცევა უკვე გვიან იყო. მშვიდობით, ანტიბა!

— როგორ არ შეგიძლია გაიგო, — წაიბუზღუნა რავინელმა, — თუ სადაზღვევო თანხას არ გადაგვიხდიან, მე არასოდეს არ მეყოფა ძალა...

— შენ ყოველთვის მარტო საკუთარ თავზე ფიქრობ, მეგობარო, — ჩაიცინა ლიუსიენმა. — მაგრამ ცოტა რამ მაინც რომ გაგეკეთებინა! თუმცა არა! შენ ამჯობინებ რაღაც იდიოტურ ბოდვებს ამოიფარო. მე შემიძლია დავუშვა, რომ გვაძი

დაიკარგა. მაგრამ რატომ არ ეძებ მას? ქუჩებში ხომ არ ისეირნებს გვამი...

— მირეი თურმე ხშირად გარბოდა სახლიდან...

— რაო, რაო? განგებ აბუჩად მიგდებ?

— ჰოო... მართლაც რომ უაზრო შენიშვნაა...—და მიუხედავად ამისა, ის გრძნობდა, რომ გაქცევათა ეს ისტორია როგორღაც დაკავშირებულია გვამის გაქრობასთან. მან გაანდო ჟერმენის ნაამბობი და ლიუსიენმა ისევ აიჩეჩა მხრები.

— კეთილი. მირეი სახლიდან გარბოდა სიცოცხლეში, მაგრამ შენ ყოველთვის გავიწყდება, რომ ის მოკვდა. მოდი თავი დავანებოთ წერილს და მის ვიზიტს ძმასთან...

— ოჰ, ლიუსიენის ეს ოინები: „მოდი თავი დავანებოთ!" ადვილი სათქმელია.

— მთავარია — გვამი. ის ხომ სადღაც დევს!

— ჟერმენი გიჟი არაა.

— არ ვიცი, არ ვიცი... და არც მინდა ვიცოდე. მე კონკრეტული ფაქტებით ვმსჯელობ. მირეი მოკვდა. გვამი გაქრა. დანარჩენს მნიშვნელობა არა აქვს. მაშასადამე, უნდა მოვძებნოთ და ვიპოვოთ გვამი და რაკი შენ მას არ ეძებ, მაშასადამე, ჩვენი გეგმები უკვე აღარ გაინტერესებს. ასეთ შემთხვევაში...

ლიუსიენს ეტყობოდა, რომ თავისი გეგმა ჰქონდა და მარტო შეასრულებდა მას და ასევე მარტო წავიდოდა. გვერდზე ჩაიარა ანაფორიანმა მღვდელმა და შეთქმულივით პატარა კარებში გაუჩინარდა.

— რომ მცოდნოდა, — გაგრძელებულად თქვა ლიუსიენმა. — მაშინ სხვანაირად მოვიქცეოდი.

— მაშ კარგი, მე კიდევ მოვძებნი.

ლიუსიენმა ფეხი დააბაკუნა.

— ფერნან! ამის გაჭიანურება არ შეიძლება. შენ, მგონი, არც გესმის, რომ გვამის დაკარგვას შეიძლება დამღუპველი შედეგები მოჰყვეს. ადრე თუ გვიან მოგიწევს პოლიციის გაფრთხილება.

— პოლიციისა? — დაბნეულად გაიმეორა მან.

— აბა, როგორ! არავინ იცის შენი ცოლი სადაა...

— მაგრამ, წერილი?

— წერილი!.. ის შეიძლება მხოლოდ გადავადებისათვის

გამოგადგეს... ისევე, როგორც ზღაპარი მის გაქცევათა შესახებ. მაგრამ საბოლოო ანგარიშში ამას თავიდან ვერ ავიცილებ. ყველაფერი — მხოლოდ დროის საკითხია. ამას უნდა შეეგუო.

— პოლიცია?

— დიახ, პოლიცია... უიმისოდ არ იქნება. ასე რომ, დამიჯერე, ფერნან, ნუ იცდი, ეძებე. ეძებე კარგად. ეჰ! მე რომ უფრო ახლოს ვცხოვრობდე, თვალის დახამხამებაში ვიპოვიდი!

ლიუსიენი წამოდგა, პალტო გაისწორა და მკვეთრი მოძრაობით ჩანთა იღლიაში ამოიდო.

— ჩემი წასვლის დროა, თორემ მთელი გზა ფეხზე დგომა მომიხდება.

რავინელი ძლივს წამოდგა. წავედით! ლიუსიენის იმედი აღარ უნდა ჰქონდეს. ჯერ კიდევ მაშინ უნდოდა მისი მიტოვება, გზაში რომ მანქანა გაუფუჭდა. ისე კი ეს სავსებით ბუნებრივია. ისინი ყოველთვის მხოლოდ პარტნიორები, თანამზრახველები იყვნენ და მეტი არაფერი.

— ჩამაყენებ საქმის კურსში?

— რასაკვირველია, — ამოიოხრა რავინელმა.

ისინი ლაპარაკობდნენ მირეიზე, მხოლოდ მირეიზე, და როდესაც თემა ამოიწურა, სალაპარაკო აღარაფერი დარჩათ. ჩუმად აუყვნენ რენის ქუჩაზე. დიახ, გაწყდა მათი კავშირი, უკვე აღარ არიან ერთად. საკმარისია შეხედო ლიუსიენს, რომ უმალ მიხვდე: ყოველთვის ასე მშრალად ამოდის წყლიდან. თუკი პოლიცია მათ მიმართ ინტერესს გამოიჩენს, პასუხი მარტო მან უნდა აგოს. რას იზამ, პირველი არაა, შეჩვეულია!

— მაინც ცოტა რომ იმკურნალო? — უთხრა ლიუსიენმა.

— იცი, რა...

— მე არ ვხუმრობ.

რაც მართალია, მართალია. ლიუსიენს ხუმრობა არ უყვარს. განა უნახავს ოდესმე ლიუსიენი მოღიმარი, ლმობიერი, მიმნდობი? ყოველთვის სადღაც მიიჩქარის, ცდილობს რაც შეიძლება მეტი წაგლიჯოს ცხოვრებას. რას ელის მომავლისაგან? რაღაც ცრურწმენული შიშის გამო რავინელს არასდროს არ მიუცია მისთვის ეს შეკითხვა. და თითქმის დარწმუ-

ნებული იყო, რომ ამ მომავალში მას არც ისეთი საპატიო ადგილი აქვს მიჩენილი.

— საშინლად ამაღელვე, — კვლავ დაიწყო ლიუსიენმა.

რავინელი მიხვდა, რაზეც გადაუკრა სიტყვა და დაბალი ხმით უპასუხა:

— მაგრამ ეს ხომ ასე იოლი განმარტებაა.

ლიუსიენმა ხელკავი გამოსდო და ოდნავ მიეკრო:

— გგონია, რომ წერილი ნახე, არა? დიახ, დიახ, ძვირფასო, მე უკვე ვხვდები, რა გემართება. ტყუილად გავცხარდი. მოგეხსენება, არასდროს არ უნდა დაივიწყო საქმის სამედიცინო მხარე. უბრალოდ არ არსებობენ პათოლოგიური მატყუარები. არიან ავადმყოფები. ვიფიქრე, უბრალოდ დამცინისმეთქი. უნდა მივმხვდარიყავი, რომ ღამის მგზავრობამ... და წარსულმა შეარყია შენი ჯანმრთელობა.

— მაგრამ ჟერმენი ხომ...

— თავი დაანებე ჟერმენს. მისი მონაყოლი — სრული სისულელეა და შენ პირველი აღიარებდი ამას, საღი მსჯელობა რომ შეგეძლოს. მომიწევს შენი ბრიშესთან გაგზავნა ფსიქოანალიზის ჩასატარებლად.

— რაიმე რომ წამომცდეს? ყველაფერი რომ ვთქვა?

ლიუსიენმა მკვეთრად ასწია თავი.

— თუ ბრიშესი გეშინია, ვფიქრობ, ჩემი მაინც არ შეგეშინდება. თვითონ მე ჩაგიტარებ გამოკვლევებს. პირობას გაძლევ: მოჩვენებები აღარ გექნება. მანამდე კი რეცეპტს გამოგიწერ.

ლიუსიენი ფარნის ქვეშ გაჩერდა, ჩანთიდან ბლოკნოტი ამოიღო და ქაღალდზე რაღაცის ჩხაპნა დაიწყო. რავინელმა ბუნდოვნად იგრძნო, რა ყალბი და ნაცოდვილარია ეს სცენა. ლიუსიენი ცდილობს მის გამხნევებას. თვითონ კი ნამდვილად იცის, რომ ვეღარ ნახავს მას და რომ ის საბოლოოდ დაღუპულია, როგორც სალდათი, რომელსაც საარვისო მიწაზე ტოვებენ პოსტზე და არწმუნებენ ცვლა მალე მოვაო.

— აი! დამამშვიდებელი გამოგიწერე. ეცადე დაიძინო, საყვარელო, უკვე ხუთი დღეა ნერვები გაქვს დაძაბული. იცოდე, შეიძლება ეს ცუდად დამთავრდეს.

ისინი სადგურზე მივიდნენ: „დიუპონი“ გაჩახჩახებული

იყო. შეიძლება ეს ნიშანია. გაზეთის გამყიდველები, ტაქსები, ბრბო... ყოველი წამი ლიუსიენთან განშორებას აახლოებდა. მთელი დასტა ჟურნალები იყიდა. მას კითხვის თავიც აქვს!

— შენთან ერთად რომ წამოვიდე?

— ხომ არ გაგიჟდი, ფერნან? შენი როლი ხომ უნდა შეასრულო, — და აქ მან წარმოთქვა საოცარი ფრაზა:

— მირეი ხომ შენი ცოლი იყო.

ლიუსიენი თითქოს არავითარ დანაშაულს არ გრძნობდა. რავინელმა მოისურვა, რომ მისი ცოლი გაშქრალიყო. ლიუსიენი დაეხმარა ჭკუით, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით: მოგება სანახევროდ გაეყოთ. ესაა და ეს. მაგრამ რავინელმა... დაე თვითონ დააღწიოს თავი. მან იფიქრა (არანაკლებ უცნაური აზრია), რომ ამ ქვეყნად ისინი სულ მარტონი არიან. ისა და მირეი. რავინელმა ბაქანზე გასასვლელი ბილეთი იყიდა და ლიუსიენს გაჰყვა უკან.

— ანგიანში დაბრუნდები? — შეეკითხა ლიუსიენი. ეს ყველაზე ჭკვიანურია. ხვალიდან კი ძებნა დაიწყე.

— ჰო, რასაკვირველია, — ნაღვლიანი ირონიით მიუგო მან.

ცარიელ ვაგონებს ჩაუარეს, ხიდზე გადავიდნენ და გასცდნენ ფარნების გრძელ ხეივანს, რომელიც შორს ლურჯად მოციმციმე ნათურებიან დაბალ ნაცრისფერ ცას უერთდებოდა.

— სამსახურში შეელა არ დაგავიწყდეს. შვებულება ითხოვე. უარს არ გეტყვიან... და კიდევ. გაზეთები იკითხე. შეიძლება რაიმე გაიგო.

უსარგებლო ნუგეში. ცარიელი სიტყვები. ოღონდაც სიცარიელის ამოსავსებად გასდო სუსტი პატარა ხიდები, რომლებიც რამდენიმე წუთის შემდეგ დაიშრიალებენ და უფსკრულში ჩაიქცევიან. რავინელმა გადაწყვიტა კომედია ბოლომდე ეთამაშა. მან ახალ, ლაქის სუნით გაჟღენთილი ვაგონის კუპეში შესაფერისი კუთხე მოძებნა. ლიუსიენი პლატფორმაზე იდგა, სანამ გამცილებელმა არ მიიპატიჟა ვაგონში. მაშინ ის ისე მხურვალედ გადაეხვია რავინელს, რომ ეს უკანასკნელი გაკვირვებულიც კი დარჩა.

— გამხნევდი, ძვირფასო. დამირეკე!

მატარებელი ნელა დაიძრა. ლიუსიენის სახე ბინდში თეთრ ლაქად იქცა. ვაგონების ფანჯრებში სხვა სახეები, სხვა ადამიანები გამოჩნდნენ და ყველა, აბსოლუტურად ყველა, რავინელს უყურებდა. მან საყელო შეიხსნა. სუნთქვა უჭირდა. მრავალფეროვანი სინათლეებით დაცხრილული მატარებელი შორეთში გაუჩინარდა. რავინელი მკვეთრად შეტრიალდა და იქაურობას გასცილდა.

9

დაძინებამდე რავინელი დიდხანს იმტვრევდა თავს ლიუსიენის სიტყვებზე: „ქუჩებში ხომ არ ისეირნებს გვამი". მეორე დილას, გაღვიძებისთანავე, გაიხსენა ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც აქამდე სულ ავიწყდებოდა. ეშმაკმა დალახვროს, როგორ დაავიწყდა ეს! მოულოდნელობისაგან შუბლი შეეშმუხნა და საწოლში გაირინდა. თავბრუ დაესხა. სად გაქრა მირეის პირადობის მოწმობა? ის მშვიდად იდო მის ჩანთაში, ჩანთა კი სახლშია, ანგიანში. მაშასადამე, გვამის ამოცნობა შეუძლებელია. თუ ქურდებმა გვამი იპოვეს... ეშმაკმა დალახვროს! მაგრამ სად აგზავნიან გამოუცნობ გვამებს? მორგში.

რავინელმა სასწრაფოდ ჩაიცვა, დარეკა მაჟანტის ბულვარზე და რამდენიმედღიანი შვებულება სთხოვა. უარი არ უთქვამთ. შემდეგ გადაქექა ცნობარი, დაიწყო მორგის მისამართის ძებნა, მაგრამ დროზე მოაგონდა, რომ მისი ოფიციალური სახელწოდებაა — სასამართლო მედიცინის ინსტიტუტი... მაზასის მოედანი, სხვა სიტყვებით — ლა რაპის სანაპირო — აუსტერლიცის ხიდიდან ორ ნაბიჯზე.

ამჯერად სასტუმრო „ბრეტანში" გაათია და ამიტომ ქუჩაში გამოსვლისთანავე მონპარნასის სადგურის მოედანზე აღმოჩნდა. მაგრამ ორიენტირება ძნელი იყო. მოედანზე ჩამოწოლილ სქელ მომწვანო ბურუსს ის წყალქვეშა პლატოსთვის დაემსგავსებინა. „დიუპონი" განათებულ ილუმინატორებიან ჩაძირულ სამგზავრო გემს ჰგავდა. ის ბრწყინავდა შორს, როგორც წყლის სიღრმეში და რავინელი დიდხანს მიდიოდა მისკენ, ძალიან დიდხანს. ყავა პირდაპირ დახლზე დალია. იქვე

იდგა რკინიგზელი და მოთმინებით უსმენდა ოფიციანტს, ყველა მატარებელი იგვიანებს და მანსიდან მომავალი 602-ე ვერსალთან ახლოს რელსებს ასცდაო.

— მეტეოსამსახური იტყობინება, რომ ეს საზიზღრობა კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდება. ზუსტად ისეა როგორც ლონდონში, ფარნით უნდა იარო ქუჩაში...

რავინელს მოუსვენრობა დაეტყო: რატომაა ნისლი? რატომ მაინცდამაინც დღესაა ნისლი? ასეთ ნისლში ვერ გაარკვევ, სად ცოცხალი ადამიანები არიან და სად კიდევ... სისულელეა! მაგრამ ნისლი აღწევს მკერდში, ოპიუმის კვამლივით ნელ-ნელა ედება ტვინს და როგორ გინდა შეუშალო ხელი? ყველაფერი ხან რეალურია, ხან კი არარეალური. თაკბრუ ეხვევა.

მოთუთიებულ დახლზე ქაღალდის კუპიურები დაყარა და მობუზული ქუჩაში გამოვიდა. ფარნების მკრთალი სინათლე იქვე იფანტებოდა, ქრებოდა. მქრქალი სიცარიელე, ქუჩის გადასასვლელი რომ ჩაეძირა, თითქოს ისრუტავდა. ძრავების ხმაურს, ფარების უხილავ თეთრ ლაქებს, ნაბიჯების ფაჩუნს— დაუსრულებელ, განუწყვეტელ ფაჩუნს უხილავი ნაბიჯებისა, სადღაც უცხო მხარეში რომ მიემართებოდნენ „დიუპონის“ წინ ტაქსი გაჩერდა. რავინელი მასთან მივარდა. ენა არ მოუბრუნდა, ეთქვა: „მორგში“, — და რაღაც გაურკვევლად წაიბურტყუნა. მძღოლმა გაშრაზებით მოისმინა არეულდარეული ნათქვამი და ჰკითხა:

— გადაწყვიტეთ, მაინც სად გნებავთ წასვლა.

— ლა რაპის სანაპირო.

ტაქსი ადგილიდან მოწყდა. რავინელი დასაჯდომზე გადაწვა. მაშინვე გადაიფიქრა: რა უნდა მორგში? რა უნდა უთხრას იქ? შეიძლება მახეშიც გაებას! ნამდვილად ასეც იქნება! მახე უკვე დაგებულია, ხოლო გვამი კი — მხოლოდ სატყუარაა. მან ერთბაშად გაიხსენა მავთულის უცნაური ნაკეთობანი, თავის კლიენტებს რომ სთავაზობდა. — აი აქ წამოაგებთ ხორცის ნაჭერს ან ქათმის შიგნეულს... შემდეგ სატყუარას გადააგდებთ დინებაში... წამი—და თევზი ანკესზე წამოეგება. დიახ! მახე. რა თქმა უნდა, დაგებულია.

მძღოლმა მკვეთრად დაამუხრუჭა. საზიზღრად დაიღრჭია-

ლა საბურავებმა. რავინელმა კინაღამ შუბლი მიარტყა მინას, მძღოლს ფანჯარაში თავი გაეყო და ნისლსა და უხილავ ფეხით მოსიარულეებს წყევლიდა. ბიძგი — და ისევ გზა განაგრძეს... დროდადრო შოფერი ბუზღუნით წმენდდა ხელისგულით საქარე მინას. რავინელი უკვე ვეღარ ერკვეოდა რა ადგილას მიდიოდნენ: რა ბულვარი იყო, რომელი კვარტალი? ერთიც ვნახოთ და ტაქსიც მახის ნაწილია? ლიუსიენი ხომ მართალია: გვამი ჰაერში ხომ ვერ გაქრება. შესაძლოა მირეის აქვს გამოჩენისა და გაქრობის, გაქრობისა და გამოჩენის უნარი. მაგრამ ეს განსაკუთრებული მუხლია, რომელიც მხოლოდ მასა და მირეის ეხება. მაგრამ გვამი? რატომ მოიპარეს და გადამალეს? რისთვის? რისი უნდა გეშინოდეს უფრო მეტად: მირეის, მირეის გვამისა, თუ ერთისაც და მეორისაც? ამ ფიქრებისაგან შეიძლება ჭკუიდან შეიშალო, მაგრამ როგორ მოიშოროს?

მარჯვნივ მკრთალი სინათლეები გამოჩნდა, — რასაკვირველია, ეს აუსტერლიცის სადგურია. მოხვევისთანავე ტაქსმა ფარების სინათლეების შთანმთქავ მკვრივ ნაცრისფერ ბამბაში ჩაყვინთა. სენა იქვე მიედინება, მაგრამ მანქანის ფანჯრიდან არაფერი ჩანდა, როდესაც ტაქსი გაჩერდა, სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც ძრავის ოდნავ გასაგონი ბუტბუტი არღვევდა. სიჩუმე სარდაფისა, სიჩუმე მიწისქვეშეთისა, მუქარის მსგავსი სიჩუმე, მანქანა ნელ-ნელა ნისლში განზავდა და მაშინ რავინელს მოესმა წყლის დგაფუნი, სახურავებიდან ნაწვეთი წვეთების ხმა. ნოტიო მიწის მსუბუქი ფშვინვა, ნაკადულის რაკრაკი, გაურკვეველი ხმაური. უცებ სამრეცხაო მოაგონდა და რევოლვერზე იტაცა ხელი. ეს იყო ერთადერთი მყარი საგანი, რომლის შეხებაც შეეძლო ხელით ამ დანაწევრებულ, ბუნდოვან სივრცეში. მოჯირზე ხელის ცეცებით გაუყვა პარაპეტს. ნისლი ხელს უშლიდა სიარულში, ცივი ფანტელებივით ელამუნებოდა კუნთებზე. დაჭაობებულ ნაპირზე მყოფ მეთევზესავით მაღლა სწევდა ფეხებს. ერთბაშად მის წინ, თითქოს მიწიდან ამოვიდაო, ისე წამოიმართა შენობა. კიბეებზე ავიდა, დიდი დარბაზის სიღრმეში შენიშნა რეზინის ბორბლებიანი ურიკა და კარი შეაღო.

საქაღალდეებით სავსე საწერ მაგიდაზე იდგა მწვანე ლამპა, რომელიც იატაკზე დიდ ნათელ წრეს ტოვებდა, ქურაზე შე-

მოდგმულ ქვაბში წყალი თუხთუხებდა. ორთქლი, თამბაქოს კვამლი და ნისლი ერთმანეთში ირეოდა. მთელი ოთახი ნესტით და კარბოლმჟავით იყო აშმორებული. საწერ მაგიდას უჯდა მოსამსახურე, ვერცხლისფერგერბიანი ქუდი კეფაზე მოეგდო. მეორეს ისეთი სახე მიეღო, თითქოს ბატარეასთან თბებოდა. მას ეცვა გაცვეთილი პალტო და გულის გამაწვრილებლად მოჭრიალე ყელიანი ფეხსაცმელები. ის მალულად უთვალთვალებდა რავინელს, რომელიც გაუბედავად მივიდა მაგიდასთან.

— რაშია საქმე? — წაიბუტბუტა მოსამსახურემ და სკამზე შექანდა. ფეხსაცმელების ჭრიალი რავინელის ნერვებზე მოქმედებდა.

— მინდა ცნობები შევკრიბო ცოლზე, — გააჭიანურა საუბარი რავინელმა,—მოგზაურობიდან დავბრუნდი და სახლში არ დამხვდა. ვღელავ...

მოსამსახურემ რავინელს მზერა ესროლა და მოეჩვენა, რომ ძლივს იკავებდა სიცილს.

— პოლიციას მიმართეთ? სად ცხოვრობთ?

— ანგიანში... არა. ჯერ არავისთვის არ მიმიმართავს...

— ტყუილად.

— არ ვიცოდი.

— სხვა დროს გეცოდინებათ.

დაბნეული რავინელი მეორე თანამშრომელს მიუბრუნდა. ის მილზე ითბობდა ხელს და უაზროდ მისჩერებოდა ერთ წერტილს. სქელი კაცი იყო, თვალები შეშუპებოდა, მოყვითალო ნიკაპს ქვეშ მოუჩანდა მსუქანი ღაბები, რომელიც თითქმის უფარავდა შებნეულ საყელოს.

— როდის დაბრუნდით მოგზაურობიდან?

— ორი დღის წინ.

— თქვენი ცოლი ხშირად მიდის სახლიდან?

— დიახ... ესე იგი არა... თურმე ადრე ახალგაზრდობაში გარბოდა სახლიდან... მაგრამ აი უკვე...

— მაინც რისი გეშინია? თვითმკვლელობის?

— არ ვიცი.

— თქვენი სახელი?

ეს უფრო დაკითხვას ჰგავდა. რავინელს ბოღმა მოაწვა,

ენდოდა ჩაეჩუმებინა ეს ტიპი, განუწყვეტლივ ტუჩებს რომ ილოკავდა და დაჟინებით მისჩერებოდა მას. მაგრამ თავი შეიკავა: რადაც არ უნდა დაუჯდეს, სიმართლე უნდა შეიტყოს.

— რავინელი... ფერნან რავინელი.

— როგორია თქვენი ცოლი? ასაკი?

— ოცდაცხრა წლის.

— მაღალია? დაბალია?

— საშუალო სიმაღლისაა, დაახლოებით ერთი მეტრი და სამოცი სანტიმეტრია.

— თმების ფერი?

— ქერა.

მოსამსახურე სკამზე ირწეოდა და ხელებით მაგიდის კიდეს ეყრდნობოდა. ფრჩხილები დაკენტილი ჰქონდა და რავინელი ფანჯრისაკენ შებრუნდა.

— რა აცვია?

— ლურჯი კოსტიუმი... ასე ვფიქრობ.

ალბათ, უფრო დარწმუნებით უნდა ეთქვა. ჩინოვნიკმა სწრაფი მზერა ესროლა ბატარეებისაკენ, თითქოს მოწმედ იხმობს ახალი შტიბლეტების პატრონსო.

— არ იცით, რა ეცვა თქვენს ცოლს?

— დიახ, არ ვიცი... ჩვეულებრივად იცვამს ლურჯ კოსტიუმს, მაგრამ ზოგჯერ ბეწვით გაწყობილ პალტოსაც იცვამს.

— შეგეძლოთ უფრო ზუსტად გაგეგოთ!

მოსამსახურემ ქუდი მოიხადა, კეფა მოიფხანა და ისევ დაიხურა.

— ბერსის ხიდთან დამხრჩვალის მეტი ჩემთან არაფინაა...

— მაგრამ მაინც იპოვეს...

—ამის შესახებ ყველა გუშინწინდელი გაზეთი წერდა. თქვენ რა, გაზეთებს არ კითხულობთ?

რავინელს ეჩვენებოდა, რომ ბატარეებთან მდგომი მეორე მოსამსახურე თვალს არ აშორებდა.

— ერთი წუთით მომითმინეთ... უთხრა ჩინოვნიკმა.

წამოდგა და გაუჩინარდა კარის სიოში, რომელზედაც ორი საკიდარი იყო მიჭედებული. რავინელი ფეტვის მარცვალივით დაიბნა და განძრევას ვერ ბედავდა. ბატარეასთან

მდგომი სქელ-სქელი კაცი წინანდებურად ყურადღებით ათვალიერებდა. ამაში რავინელი დარწმუნებული იყო. დროდადრო ფეხსაცმელები ჭრიალებდნენ. გაპიანურებული ლოდინი აუტანელი ხდებოდა. რავინელს გვამების მთელი შტაბელები ელანდებოდა თაროებზე. საძაგელი ქუდიანი ტიპი, ალბათ, დასეირნობს ამ თაროების წინ როგორც ეკონომი, რომელიც ეძებს 1939 წლის მოსავლის „ო-ბრიონის" ბოთლს ან შუშხუნა შამპანურს. ბოლოს კარები გაიღო.

— ხომ არ გამოიცვლიდით?

დერეფანი გაიარეს და უზარმაზარი მინით გატიხრულ დარბაზში შევიდნენ. კედლები და ჭერი ემალის საღებავით იყო შეღებილი, იატაკი მოფენილი გახლდათ კაფელის ფილებით. სუსტი ხმაც კი დარბაზში ძლიერ ექოს გამოსცემდა. პლაფონიდან მცირე სინათლე ეცემოდა და დარბაზს მკრთალი ანარეკლებით ავსებდა. ყველაფერი მოაგონებდა თევზის ბაზარს დღის ბოლოს. რავინელს ერთი სული ჰქონდა თვალი მოეკრა წყალმცენარეთა ნაგლეჯებისათვის და ყინულის პატარა ნატეხებისათვის მიწაზე... მაგრამ ამ დროს დაინახა დარაჯი, რომელიც ურიკას მოაგორებდა — ახლოს მოდით. ნუ გეშინიათ.

რავინელი მინას დაეყრდნო. ურიკაზე დადებული გვამი ნელა მოჩოჩავდა მისკენ, და მოეჩვენა თითქოს აბაზანაში ხედავდა მირეის, შუბლზე რომ თმები მისწებებოდა და ტანზე სველი კაბა შემოტმასნოდა. უცნაური სლოკინი შეიკავა და ფართოდ ხელებგაშლილი მინას მიეკრო. ამონასუნთქი ჰაერით მინის ტიხარი დაიორთქლა. — რას იტყვი? — მხიარულად წამოიძახა მოსამსახურემ.

— არა, მირეი არაა! და ეს კიდევ უფრო საშინელია.

— ის არის?

— არა, ის არ არის...

მოსამსახურემ ხელი ჩაიქნია და ურიკა გაქრა. რავინელმა სახეზე ოფლი მოიწმინდა.

— პირველად ასეთი პატარა სურათი დიდ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს, — ჩაიხითხითა მოსამსახურემ. — მაგრამ ეს ხომ თქვენი ცოლი არაა!

მან რავინელი ოთახში წაიყვანა და ისევ მაგიდას მიუჯდა.

— ვწუხვარ, როგორც იტყვიან ხოლმე. თუ რაიმე ახალი იქნა, შეგატყობინებენ. თქვენი მისამართი?

—. „მხიარული პატარა კუთხე“ ანგიანში.

კალამი წრიპინებდა. მეორე ჩინოვნიკი ისევ გაუნძრევლად იდგა ბატარეასთან.

— თქვენს ადგილზე, პოლიციის უფროსს გავაფრთხილებდი.

— გმადლობთ, — ჩაიბურტყუნა რავინელმა.

— ო, არა ღირს.

და რავინელი ქუჩაში აღმოჩნდა. ფეხები ეკეცებოდა. ყურები უწიოდა. კვლავინდებურად სქელი ნისლი იდგა, მაგრამ ახლა მასში ატანდა მოწითალო სინათლე და ის რაღაც მუსლინისმაგვარ ქსოვილს ჰგავდა. რავინელმა გადაწყვიტა უახლოეს მეტრომდე მისულიყო. მოიფიქრა საით წასულიყო და ალალბედზე გადაკვეთა ქუჩა. ქუჩაში არცერთი მანქანა არ იყო. ხმები თითქოს სიჩუმეში დაბორიალებდნენ და დამახინჯებულად აღწევდნენ ყურამდე. ზოგი ხმა სადღაც შორიდან აღწევდა; ზოგი იქვე წყდებოდა და რავინელს ეჩვენებოდა, თითქოს საიდუმლო და საზეიმო დაკრძალვის მონაწილეა და უჩინმაჩინთა ბრბოში მიაბიჯებსო. აქა-იქ ღამის ნათურასავით მკრთალად ენთო ფარნები. მორგში მირეი არ აღმოჩნდა. რას იტყვის ლიუსიენი? ან სადაზღვევო კომპანია? ხომ არ აუწყოს? რავინელს სუნთქვა შეეკრა და გაჩერდა. და ამ დროს ფეხსაცმლის ჭრაჭუნი გაიგონა. მან ჩაახველა. ჭრაჭუნი შეწყდა. სად არის ეს კაცი? მარჯვნივ? მარცხნივ? რავინელმა გზა განაგრძო. ჭრაჭუნი განახლდა. ჰმ... აი, გამოქექილები! როგორ შეათრიეს მორგში! მაგრამ... მაინც ვინ იცოდა... რავინელი შეჩერდა, სწრაფად უკან მიიხედა და დაინახა, რომ სილუეტმა გაიელვა, გაიელვა და უმალვე ბამბის ქულაში გაუჩინარდა. ალბათ მეტროს შესასვლელი სადღაც აქვეა, რამდენიმე მეტრში. რავინელი გაიქცა. გზადაგზა ამჩნევდა სხვა სილუეტებს, ხედავდა უცნობ სახეებს, რომლებიც თითქოს ამ საზიზღარი ნისლისაგან იყვნენ გამოძერწილი, სახეები ერთბაშად იცვლებოდნენ, კარგავდნენ ფორმას, სანთელივით დნებოდნენ. ფეხსაცმელების ჭრაჭუნი უწინდებურად მის ყურამდე აღწევდა. შეიძლება ამ კაცს მისი მოკვლა უნდა? ნისლში გაელვებული დანა, მწვავე, წარმოუდგენელი ტკივილი... მაგრამ

რისთვის? რისთვის? რავინელს მტრები არა ჰყავს... გარდა მირეისა! მაგრამ განა შეეძლო მირეის მისი მტერი გამხდარიყო? არა, ასე არ არის...

მეტრო. უჩინმაჩინები უეცრად ისევ ადამიანები ხდებოდნენ, ქალები და კაცები, პალტოებზე, თმებზე, წარბებზე ათასობით წვეთი რომ უბრწყინავდათ, ისევ ჩვეულებრივ სახეს იღებდნენ. რავინელმა გადაწყვიტა მდევარს მეტროსთან დალოდებოდა. მან ზედა საფეხურზე დაინახა უცნობის ფეხსაცმელები და გამობერილჯიბეებიანი პალტო. რავინელი პლატფორმაზე გავიდა. ის კვალდაკვალ მიჰყვა. იქნებ სწორედ ამან მოიპარა გვამი და ახლა აპირებს პირობების კარნახს?

რავინელი პირველ ვაგონში ჩაჯდა და შენიშნა, რომ გაცვეთილი პალტო მომდევნო ვაგონში შეძვრა. რავინელის გვერდით პოლიციელი იჯდა და სპორტულ გაზეთს კითხულობდა. მოსწიოს ერთი სახელოზე და უთხრას: „მომდევენ, საშიშროება მემუქრება“... მაგრამ პოლიციელი ალბათ სახტად დარჩება... კარგი და მისი სიტყვები სერიოზულად რომ მიიღონ და ახსნა-განმარტება მოსთხოვონ? არა, აქ ვერაფერს გახდები, ვერაფერს.

გიგანტურრეკლამებიანი სადგურები ერთიმეორის მიყოლებით მიჰქროდნენ. მოსახვევებში რავინელი პოლიციელს ეკვროდა, ის კი მშვიდად ათვალიერებდა ჭოკით მხტომელის ფრენის ტრაექტორიას. იქნებ ჩამოვიშორო მდევარი? აქ საჭიროა ძალა, ეშმაკობა, მოქნილობა, სჯობს მოიცადოს. მაგრამ ღირს კი სიცოცხლე იმად, რომ ის ასე გააფთრებით დაიცვა?

რავინელი ჩრდილოეთის სადგურზე ჩავიდა. უკან არ მოიხედავს, მაგრამ იცოდა, რომ ის, მორგიდან, უკან მიჰყვებოდა. ხალხი შეთხელდა თუ არა, მაშინვე განახლდა გულის გამაფერილებელი ჭრაჭუნი. „ამ ჭრაჭუნმა შეიძლება ჭკუიდან შეგიშალოს“, — გაიფიქრა რავინელმა, სალაროსთან მივიდა ანგიანამდე აიღო ბილეთი. უცნობმაც მის შემდეგ ითხოვა ბილეთი ასევე ანგიანამდე, ერთ გზობაზე. სადგურის საათი თერთმეტის ხუთი წუთი იყო. რავინელმა უფრო თავისუფალი ვაგონის ძებნა დაიწყო. მაშინ უცნობს კარტის გახსნა მოუწევს.

რავინელი ჩამოჯდა და გვერდით სკამზე გაზეთი დაუდო,

თითქოს ვინმესთვის დაიკავა ადგილიო. გამოჩნდა უცნობი და შეეკითხა:

— შეიძლება დავჯდე?

— თქვენ გელოდით, — უთხრა რავინელმა.

კაცმა გაზეთი გასწია და მძიმედ დაეშვა სკამზე.

— მერლენ დეზირე, — წარუდგა ის. — პოლიციის გადამდგარი ინსპექტორი.

— გადამდგარი?! — თავი ვერ შეიკავა რავინელმა. თანდათან მდგომარეობა უარესდება! ვერაფერი გაეგო.

— დიახ, — თავი დაუქნია მერლენმა. — მომიტევეთ, უკან რომ მოგდევდით.

მას აქვს ცოცხალი, ღია ცისფერი თვალები, სულ რომ არ შეეფერება მის შეშუპებულ სახეს; მსხვილი ბარძაყები. ჟილეტზე საათის ძეწკვი ჰკიდია. ყველაფერი ეს კეთილმოსურნეობისა და გულკეთილობის იერს ანიჭებს. მერლენმა გვერდზე მიიხედ-მოიხედა და რავინელისაკენ გადაიხარა:

— სრულიად შემთხვევით მოვისმინე თქვენი ლაპარაკი მორგში და ვიფიქრე, იქნებ რაიმეში გამოვადგე-მეთქი. მაქვს ოცდახუთი წლის სტაჟი და ბევრი თავისუფალი დრო. დაბოლოს, მახსოვს მრავალი ასეთი შემთხვევა. ცოლი სადღაც ქრება, ქმარს ჰგონია სული განუტევა, ერთ მშვენიერ დღეს კი... მერწმუნეთ, პატივცემულო, ხშირად მოცდა სჯობს, დავიდარაბის ატეხას. ხომ გაგიგონიათ „მოთმინებითა შენითაო“.

მატარებელი დაიძრა და თანდათან უმატა სიჩქარეს. გარეთ ისევ ლეგა ნისლი იწვა.

მერლენმა მუხლზე შეახო ხელი რავინელს და საიდუმლოდ განაგრძო:

— ჩემთვის ძალზე მოსახერხებელია ძიება. მე ამას უხმაუროდ გავაკეთებ. ცხადია, კანონს არ დავარღვევ, მაგრამ ალბათ არც იმის საფუძველი არსებობს, რომ...

რავინელს გაახსენდა ჭრაჭუნა ფეხსაცმელები და ერთბაშად შვება იგრძნო. მერლენი არ ჰგავდა ავკაცს. ალბათ ტყუილად როდი იყო ატუზული სასამართლო მედიცინის ინსტიტუტის კარზე. ღმერთმა უწყის, პენსია რამდენი აქვს. სწორედ რომ დროზე გამომეცხადა ეს მერლენი. შესაძლოა, მან მიაკვლიოს...

— ვფიქრობ, ნამდვილად შეგიძლიათ დამეხმაროთ, — უთხრა რავინელმა. — მე კომივოიაჟორი ვარ და, როგორც წესი სახლში შაბათობით ვბრუნდები, და აი გუშინწინ ცოლი არ დამხვდა სახლში. ორი დღე ვუცადე და დღეს დილით...

— ცება მომეცით, პირველ ყოვლისა, მოგცეთ რამდენიმე შეკითხვა, — წაუჩურჩულა მერლენმა და აქეთ-იქით მიმოიხედა. — რამდენი წელია, რაც ცოლი ითხოვეთ?

— ხუთი. ჩემი ცოლი თავქარიანი არ გახლავთ და არა მგონია..

მერლენმა მსუქანი ხელი ასწია.

— ერთი წუთით. ბავშვები გყავთ?

— არა.

— თქვენი მშობლები?

— გარდაიცვალნენ. მაგრამ არ მესმის...

— ენდეთ ჩემს გამოცდილებას. მადლობა ღმერთს, საკმარისად დამიგროვდა.

— ცოლის მშობლები?

— ისინიც გარდაიცვალნენ. მირეის მხოლოდ ძმა ჰყავს. ცოლიანია და პარიზში ცხოვრობს.

— კარგი. გასაგებია... ახალგაზრდა, მარტოხელა ქალი... ჯანმრთელობას ხომ არ უჩიოდა?

— არა. ზუსტად სამი წლის წინ ტიფი გადაიტანა. საერთოდ კი ჯანმრთელია. ჩემზე ბევრად ჯანმრთელი.

— თქვენ მგონი ახსენეთ მისი მოულოდნელი გაუჩინარების ამბავი. ხშირად ხდებოდა ეს?

— რას ამბობთ! ამის შესახებ მე არც ვიცოდი. მირეი მუდამ სრულიად ზომიერი მეჩვენებოდა. ხანდახან ნერვიულობდა... ჰო, საერთოდ ბრაზდებოდა, როგორც ყველა ქალი...

— ასე... ახლა მთავარი. მითხარით, იარაღი ხომ არ წაუოია თან.

— არა. სხვათა შორის სახლში იყო იარაღი.

— ფული წაიღო?

— არა. ჩანთაც კი სახლში დატოვა. მასში რამდენიმე ათასფრანკიანი კუპიურია. სახლში ცოტაოდენი ფული გექონდა.

— ის... მინდა ვთქვა: მომჭირნე იყო?

— მგონი კი.

— იცით რა, მას ხომ შეეძლო თქვენგან მალულად დიდ-ძალი ფული გადაენახა. მახსენდება ერთი საქმე ორმოცდა-შვიდ წელს...

რავინელი ზრდილობიანად უსმენდა. სველ ფანჯარაში გასცქეროდა გზას, ნისლიდან თანდათან რომ იკვეთებოდა. სწორად მოიქცა? თუ შეცდომა დაუშვა? ძნელი სათქმელია. ლიუსიენის აზრით უთუოდ გონივრულად მოქმედებდა. მაგრამ მირეის აზრით? უნებლიეთ წამოხტა. რა იდიოტური აზრია! და მაინც! განა მირეი მოითმენდა ამ პოლიციელის შემოჭრას? განა დათანხმდებოდა რომ ვიღაც მერლენს მისი გვამის ძებნა დაეწყო? მერლენი გაუთავებლად ლაპარაკობდა, იხსენებდა ყველა გარდასულ ამბავს, ხოლო რავინელი... რავინელი ყოველნაირად ცდილობდა მოეშორებინა აკვიატებული აზრები. არ უნდა იჩქაროს. მოვლენებს არ უნდა გაუსწროს წინ. ვნახოთ. მდგომარეობა თვითონ გიკარნახებს, როგორ მოიქცე.

— რა თქვით?

— მე გეკითხებით, თქვენს მეუღლეს ნამდვილად არ წაუღია თან არავითარი დოკუმენტი?

— არა, არ წაუღია. პირადობის მოწმობა, არჩევნებში ხმის მიცემის უფლების მოწმობა — ყველაფერი მის ჩანთაში დარჩა.

ვაგონი ისრებზე შეინჯღრა. მატარებელმა სვლას უკლო.

— ჩავედით, — თქვა რავინელმა.

მერლენი წამოდგა და ჯიბეები მოიქექა, მრავალრიცხოვან ქაღალდებში ბილეთს ეძებდა.

— რასაკვირველია, პირველი, რაც თავში მოგივა, — ეს გაქცევაა. თქვენს ცოლს თავი რომ მოეკლა, გვამს აქამდე იპოვიდით. თავად განსაჯეთ! გავიდა ორი დღე...

დიახ, ამასობაში გვამი უნდა ეპოვა. მაგრამ როგორ აუხსნი მერლენს? ისევ ის კოშმარი... რავინელს უნდოდა საბუთები მოეთხოვა სქელი ქაცისათვის, მაგრამ მან ალბათ სიფრთხილის ზომები მიიღო. შეკითხვა არ დააბნევს. მაგრამ რა არის აქ საეჭვო? განა ტყუილია, რომ ის პოლიციის ინსპექტორია? არა, ვეღარაფერს იზამ. მერლენი ბაქანზე ჩახტა და რავინელს დაელოდა. ვეღარსად წახვალ.

— წავიდეთ, — ამოიოხრა რავინელმა. — სახლამდე რამდენიმე წუთის სავალია.

ისინი ნისლში მიჩანჩალებდნენ. ბურუსი ყოფდა მათ დანარჩენი სამყაროსაგან. მერლენის ფეხსაცმელები ადრინდელზე ძლიერ ჭრაჭუნებდა და რავინელს ნებისყოფა უნდა გამოეჩინა, თავზარი რომ არ დასცემოდა. მახეში გაება და ეს მახე — მერლენია.

— მართალია?

— რა?

— არა, არაფერი.. აი ჩვენს ქუჩაზე მოვედით. ჩემი სახლი ბოლოშია.

— კარგია, რომ ქუჩა იცანით ასეთ ნისლში.

— მიჩვევაა, ინსპექტორო. ჩემს სახლს თვალდახუჭულიც მივაგნებ.

ძათი ფეხის ხმები ყრუდ გაისმოდა ცემენტის ბილიკზე. რავინელმა გასაღები ამოიღო.

— ვინ იცის? იქნებ თქვენს საფოსტო ყუთში რაიმე დევს? — უთხრა მერლენმა.

რავინელი გვერდზე გადადგა. პოლიციელმა ყუთში ჩაყო ხელი.

— ცარიელია...

— კიდევ კარგი, — წაიბურტყუნა რავინელმა.

მან გააღო შესასვლელი კარი, შევარდა სამზარეულოში, დამალა მაგიდაზე დადებული წერილი. და ამოაძრო კარებში გარჭობილი დანა.

— თქვენთან სიმყუდროვეა, — შენიშნა მერლენმა. — ოდესღაც მეც ვოცნებობდი ასეთ სახლზე.

მან ხელები დაისრისა და ფეტრის ქუდი მოიხადა. რავინელმა დაინახა მელოტი თავი და შუბლზე ვიწრო ქუდისაგან დატოვებული ღია წითელი ზოლი.

— თუ შეიძლება, მაჩვენეთ თქვენი სახლი.

რავინელმა ის სასადილო ოთახში გაიყვანა და ჩვეულებრივ სამებრ სამზარეულოში სინათლე ჩააქრო.

— ჰოო! აი ჩანთაც! — წამოიძახა მერლენმა.

მან ჩანთა გახსნა და შიგ რაც იყო, მაგიდაზე გადმოყარა.

— რა, გასაღებები არ არის? — ჰკითხა მან და მსხვილი თითით გვერდზე სწევდა საპუდრეს, საფულეს, ცხვირსახოცს, პომადას და უკვე გახსნილ სიგარეტ „ხაი ლაიფის“ კოლოფს.

გასაღებები? რავინელს ისინი სულ გადაავიწყდა.

— არა! — უპასუხა მან და სიტყვა ბანზე აუგდო.—აი ზევით ასასვლელი კიბე.

ისინი მეორე სართულზე ავიდნენ. საწოლი, რომელზედაც რავინელმა გუშინწინდელი ღამე გაატარა, აულაგებელი იყო.

— ვხედავ! — უთხრა მერლენმა. — სად გადის ეს კარი?

— გარდერობში.

რავინელმა კარი შეაღო და გვერდზე გასწია ჩამოკიდებული ტანსაცმელი.

— ყველაფერი ადგილზეა, გარდა ბეწვიანი პალტოსი, მაგრამ ცოლი მის გასაწმენდად მიცემას აპირებდა. საესებით შესაძლებელია რომ...

— ლურჯი კოსტიუმი? თქვენ იქ თქვით...

— დიახ, დიახ... კოსტიუმიც არაა.

— ფეხსაცმელები?

— ფეხსაცმელებიც ყველა ადგილზეა... ყოველ შემთხვევაში, ახლები. ძველ რამეებს მირეი ყოველთვის ვინმეს აძლევს. ასე რომ, გაურკვეველია...

— ამ ოთახში რაღაა?

— ჩემი კაბინეტია. შემოდით, ინსპექტორო. ბოდიშს ვიხდი არეულობისათვის... აი, სავარძელში დაბრძანდით. ერთი ბოთლი კონიაკი მაქვს. ცოტა გავთბეთ.

საწერი მაგიდის ტუმბოდან გამოიღო ნახევრად დაცლილი ბოთლი და ერთი ჭიქა, მეორე არ აღმოჩნდა.

— დაბრძანდით. ახლავე მოვალ, მეორე ჭიქას მოვიტან.

ახლა მერლენის ყოფნა ცოტათი ამხნევებდა მას, ისე აღარ ეშინოდა საკუთარ სახლში დარჩენისა. ის დაბლა ჩავიდა, სასადილო ოთახიდან სამზარეულოში გავიდა და... გაოგნებული ფანჯარასთან გაშეშდა. იქ, გისოსს იქით, ნაცნობმა სილუეტმა გაიელვა...

— მერლენ!

ეს ალბათ საშინელი ყვირილი იყო, რადგანაც ინსპექტორი

კისრისტეხით დაეშვა კიბეზე და გაფითრებულმა მიირბინა რავინელთან.

— რა იყო? რა დაგემართათ?

— იქ!.. მირეია!

10

ქუჩაში აღარავინ იყო. რავინელმა უკვე იცოდა, მერლენი ტყუილად კარგავდა დროს. ამაო იყო სირბილი, ძებნა და ძახილი.

პოლიციელი ქოშინით დაბრუნდა სამზარეულოში. ის თურმე ქუჩის ბოლომდე მივიდა სირბილით.

— რავინელ, დარწმუნებული ხართ?

არა, რავინელი არ იყო დარწმუნებული. ის ფიქრობდა... ცდილობდა დაწვრილებით მეხსიერებაში აღედგინა პირველი შთაბეჭდილება, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო სიმშვიდე და სიწყნარე, სქელი კაცი კი გულს უწყალებდა კითხვებით, ბოლთას სცემდა და ხელებს იქნევდა. სახლი მეტისმეტად პატარა იყო ისეთი კაცისათვის, როგორიც მერლენი გახლდათ.

ინსპექტორი ისევ გავიდა სახლიდან და გისოსთან დადგა.

— ყური მიგდეთ, რავინელ (მან უნებლიეთ არ თქვა „მუსიე“) მხედავთ? — მთელი ხმით დაუყვირა მან.

სასაცილოა. დამალობანას მეთამაშება?

— მიპასუხეთ!

— არა. ვერაფერს ვერ ვხედავ.

— აი აქ?

— ვერც მანდ.

მერლენი სამზარეულოში დაბრუნდა.

— აბა, რავინელ, აღიარეთ. არაფერი არ დაგინახავთ. ნერვიულობთ. უბრალოდ ბოძი მიამსგავსეთ...

ბოძი? საერთოდ სავსებით დამაკმაყოფილებელი განმარტებაა. და მაინც... რავინელს გაახსენდა, რომ ლანდი მოძრაობდა, სკამზე დაეშვა.

ახლა მერლენმა სახე მიადო ფანჯარას...

— ასეა თუ ისე, მაინც ვერაფერს ვერ დაინახავდით... რატომ დაიყვირეთ „მირეი“?

ინსპექტორმა მიმოიხედა, თავი დახარა და შუბლს ქვემოდან შეხედა რავინელს.

— მიპასუხეთ! ხომ არ მასულელებთ?

— გეფიცებით, ინსპექტორო!

ჰმ... უკვე გუშინ ეფიცებოდა ლიუსიენს. და რატომ არავინ უჯერებს?

— თავად განსაჯეთ. ქუჩაში რომ ვინმე ყოფილიყო, აუცილებლად გავიგონებდი ნაბიჯების ხმას. მე ხომ გისოსთან ზუსტად ათი წამის შემდეგ ვიყავი.

— შესაძლოა ვერც გაგეგონათ... ღმერთმა უწყის, თქვენ თვითონ როგორ ხმაურობდით.

— როგორც ჩანს, ყველაფერში მე ვყოფილვარ დამნაშავე!

მერლენი ხრინწიანად სუნთქავდა, დაბერილი ლოყები უცახცახებდა. დასამშვიდებლად კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო.

— მე ხომ სპეციალურად მოსასმენად დავდექი ტროტუარზე... მერედა, რა გამოვიდა?

— რა და?..: ნისლი ხომ არ ახშობს ფეხის ხმას.

რა საჭიროა შეპასუხება, კამათი, ახსნა-განმარტება, რომ მირეი ახლა ღმერთსავით მდუმარე, ჰაერივით მოუხელთებელი და შეუმჩნეველია. იქნებ ის ახლა აქაა, ჩვენს გვერდით, სამზარეულოში... იქნებ უცდის როდის წაეთრევა ეს აბეზარი კაცი და მერეღა გამომეცხადება... ეშმაკმა დალახვროს! სულის ძებნა დაავალა სისხლის სამართლის პოლიციის ინსპექტორს.. სასაცილოა! როგორ შეიძლებოდა სერიოზული იმედი ჰქონოდა, რომ ეს მერლენი...

— რა არის აქ ასაწონ-დასაწონი? — ისევ ალაპარაკდა პოლიციელი. — საქმე ნათელია: თქვენ გქონდათ ჰალუცინაცია. თქვენს ადგილზე ექიმს მივმართავდი. ყველაფერს მოვუყვებოდი... ეჭვებს, მოჩვენებებს, შიშს...

მან სიგარეტი დაღეჭა, დიდხანს შეფიქრიანებულად ათვალიერებდა კედლებს, ჭერს, კარგად უნდოდა აღექვა სახლის ატმოსფერო.

— გასაგებია... ალბათ მოწყენილი იყო თქვენი მეუღლე მთელი დღის განმავლობაში...—შენიშნა მან. — და კიდევ ასეთი ქმარი, ჰმ...

ის ზემოდან დაჰყურებდა სკამზე მჯდარ რავინელს. მერე ისევ დაიხუარა ქუდი და ნელა შეიკრა პალტო.

— უბრალოდ თქვენგან წავიდა, მიგატოვათ და მეტი არაფერი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, მისი გაკიცხვა მგონი არცა ღირს.

აი რას იფიქრებს ხალხი. ხომ ვერ ეტყვი მათ: „მე მოვკალი ჩემი ცოლი. ის მოკვდა". ვეღარავის ვეღარ ენდობა. ყველაფერი დამთავრდა.

— რამდენი უნდა მოგცეთ, ინსპექტორო?

მერლენი შეკრთა.

— მაგრამ ნება მომეცით... არ მინდოდა... ბოლოსდაბოლოს თუ დარწმუნებული ხართ, რომ ვინმე დაინახეთ...

ოჰ, არა! ოღონდ ყველაფერი თავიდან არ დაიწყოს. რავინელმა საფულე ამოიღო.

— სამი ათასი? ოთხი?

მერლენმა სიგარეტი იატაკზე გასრისა. ერთბაშად ლოყები ჩამოუცვივდა, დაბერდა და საწყალ, გაჭირვებულ კაცს დაემსგავსა.

— როგორც გნებავთ, — წაიბურდღუნა მან, თვალი აარიდა და მაგიდაზე დაყრილი ქაღალდები მუშტით დაჭმუჭნა.

— მზად ვარ დაგეხმაროთ, ბატონო რავინელ... ერთი სიტყვით, თუ რაიმე ახალი ფაქტები გექნებათ, მიმსახურეთ. აი ჩემი სავიზიტო ბარათი.

რავინელმა ჭიშკრამდე მიაცილა. ინსპექტორი მაშინვე ნისლმა შთანთქა, მაგრამ კიდევ დიდხანს ისმოდა მისი ფეხსაცმელების ჭრაჭუნი. რას იზამ, ის მართალია: ნისლი არ ახშობს ფეხის ხმას:

რავინელი შინ შებრუნდა და კარი დაკეტა. ისევ სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა.

შემოსასვლელის კედელზე მიყრდნობილმა კინაღამ დაიკვნესა. შემდეგ ნათლად გაარჩია გაელვებული აჩრდილი — ამჯერად ეჭვი გაიფანტა. რამდენიც უნდათ, იმდენი უმტკიცონ, ავად ხარო. მან კარგად იცის, რაც დაინახა. ყერმენიც ამტკიცებდა, მირეი ვნახეო. ლიუსიენს? მხოლოდ მას არ დაუნახავს. ის ეხებოდა, სინჯავდა ყინულივით ცივ გვამს. მან დაადასტურა სიკვდილი. მაშასადამე?..

რავინელმა ხელზე იჩქმიტა და დახედა. შეცდომა შეუძლებელია. ფაქტი ფაქტად რჩება. სამზარეულოში გავიდა. გაჩერებული საათი ნახა და მწარე კმაყოფილება იგრძნო. ავად რომ იყოს, ასეთ უბრალო რამეს ვერ შეამჩნევდა. გაეცინა და ფანჯარასთან გაჩერდა. ერთიც ვნახოთ და, კიდევ განმეორდეს? აა!.. საფოსტო ყუთი. ყუთში რაღაც მოჩანდა თეთრად.

რავინელი კვლავ გავიდა სახლიდან და მონადირესავით, მძინარე მხეცს რომ ეპარება, ნელა წავიდა ყუთისაკენ... და იმ ჩერჩეტმა მერლენმა ვერაფერი შეამჩნია!

რავინელმა ყუთი გახსნა. ეს არ იყო წერილი, ეს გახლდათ შუაზე დაკეცილი უბრალო ქაღალდი.

„ძვირფასო,

ძალიან ვწუხვარ, ჯერჯერობით ვერაფერს აგიხსნი. მაგრამ დღეს საღამოს ან ღამით აუცილებლად დავბრუნდები სახლში. გკოცნი ათასჯერ“.

მირეის ნაწერია! წერილი დაჩხაპნილია ფანქრით, ეჭვი არაა. როდის დაწერა ეს წერილი? სად? კედელზე? მუხლზე? მაგრამ ახლა მირეის აქვს მუხლი? თითქოს შეეძლოს ხელით კედელზე მიყრდნობა! მაგრამ ქაღალდი... ნამდვილი ქაღალდი! როგორც ჩანს, ქაღალდი ნაჩქარევადაა ამოხეული ბლოკნოტიდან. რაღაც ბეჭდის ნაპირი დარჩენილიყო ლურჯი ასოებით: „...სენ ბენუას ქუჩა“... რას ნიშნავს ეს? რა შუაშია აქ სენ-ბენუას ქუჩა?

რავინელი წერილს სამზარეულო მაგიდაზე დებს და ხელისგულით ასწორებს: „სენ-ბენუას ქუჩა“. შუბლი უხურს, მაგრამ არაფერია! უნდა გაუძლოს! მშვიდად! არ იღელვოს. მთავარია — არ მისცეს ფიქრებს თავისუფლება. ფიქრებისაგან პირდაპირ თავი უსკდება. ჯერ დალევს. ბუფეტში არის ერთი ბოთლი ღვინო. გამოაქვს ბოთლი და შტოპორს ეძებს. სად ჯანდაბაშია? მით უარესი! დრო არაა, ბოთლს ყელს ატეხს ბაკანის კიდეზე და სისხლივით მწებარე ღვინო აქეთ-იქით ეშხეფება. ხელს სტაცებს ჭიქას, ღვინით ავსებს და ნახევარს სვამს. ეჩვენება, რომ ცეცხლი ეკიდება და სივდება. „სენ-ბენუას ქუჩა“ სასტუმროს მისამართია? ალბათ სასტუმროს მისამართი, სხვა რა უნდა იყოს? მაშასადამე, საჭიროა ამ სასტუმროს პოვნა. მაგრამ შემდეგ რა? შემდეგ ვნახოთ. მირეი

ნომერს ვერ აიღებდა — ეს ნათელია. მაგრამ უეჭველია, მას სურს, რომ მან შეკრიბოს ცნობები, მოძებნოს ეს სასტუმრო. იქნებ ეს მომენტი შეარჩია გადამწყვეტი ნიშნის მისაცემად, მის დასაყოლიებლად? და თავისკენ ყურადღების მისაპყრობად?

ის კიდევ ისხამს ღვინოს და აქცევს მას. მიმიფურთხებია. ახლა გარკვევით გრძნობს, რომ ახლოსაა რაღაც რელიგიურ მიძღვნასთან. „ძალიან ვწუხვარ, რომ ჯერჯერობით ვერაფერს აგიხსნით". სწორია, არსებობენ საიდუმლოებები, რომელთა გახსნა მხოლოდ უდიდესი სიფრთხილით შეიძლება. მირეი კი ახლახან ჩასწვდა მათ! ის სახლში დაბრუნდება დღეს საღამოს ან ღამით. კეთილი და პატიოსანი! მან მაინც მოახერხა მოსვლა და წერილის დატოვება, ეს კი რაღაცას ნიშნავს, აუცილებლად ნიშნავს. და აი რას ნიშნავს: ორივემ ყოველი ღონე უნდა იხმაროს შესაერთებლად. დიახ! თორემ გაუბედავად მოქმედებენ, თითქოს გაღმა-გამოღმა არიანო. საბრალო მირეი! რა კარგად იცერს მისი წერილების ტონს! მირეი სულ არ ბრაზდება. ბედნიერია იმ იდუმალ სამყაროში და მას იქ ელოდება. უნდა, ჩქარა გაუზიაროს თავისი სიხარული. მას კი ეშინოდა! რას ყბედობს იქ ლიუსიენი? მატერიალისტი ქალი! საიდუმლოება! თუმცა ახლა ყველა ადამიანი მატერიალისტია. საკვირველია, მერლენმა რომ წერილი ვერ ნახა. მაგრამ სწორედ ისეთები, როგორიც ისაა, ვერ ხედავენ ზოგიერთ საგანს. მოქმედებაა საჭირო!

მესამე საათია. რავინელი გარაჟში მიდის და რკინის ჟალუზებს სწევს. ჭამას მერეც მოასწრებს. საჭმელი — საძაგელი რამაა. ძრავას რთავს და მანქანა გარაჟიდან გამოჰყავს. ნისლის ფერი შეიცვალა, ღია ლურჯი გახდა. ფარები ორი გამლღვალი, ცეცხლოვანი ჭავლივით ბურღავს მიწაზე ჩამოწოლილ ფერფლს. რავინელმა ჩვეულებისამებრ დაკეტა გარაჟი და მანქანაში შეხტა.

საოცარი მოგზაურობაა! აღარც მიწაა, აღარც გზა, აღარც სახლები, მხოლოდ მორბენალი სინათლეები და მოციმციმე თანავარსკვლავედებია. ცივ ნაცრისფერ უსასრულობაში რომ ტრიალებენ. მხოლოდ მანქანის საბურავების ჩვეული შრიალი ამცნობს რავინელს, რომ მიქრის გზის ნაპირზე, ქუჩაზე, რელ-

სებსა და ბულვარებზე, სადაც ისე მისრიალებენ, როგორც ცვილზე. რავინელი იხრება უსხეულო ნაცრისფერ ფასადებისაკენ, აკვირდება, რომ გამოიცნოს ფიორდის გახსნილი შესართავი და პროსპექტის ყელი. რავინელი სიმძიმეს, ტკივილს, გაშეშებას გრძნობს. ალალბედზე აჩერებს მანქანას სენ-ჟერმენის გზაჯვარედინთან.

სენ-ბენუას ქუჩა! საბედნიეროდ, მოკლეა. რავინელი ტროტუარზე მიაბიჯებს და იქვე აწყდება პატარა სასტუმროს, რომლის ტაბლოზე მხოლოდ ოციოდე გასაღები ჰკიდია.

— მითხარით, გეთაყვა, აქ ქალბატონი რავინელი ხომ არ გაჩერებულა?

მას თვალებით ზომავენ. გაუპარსავია, აჩაჩულ-დაჩაჩულად აცვია. როგორც ჩანს, მისი შესახედაობა შეშფოთებას იწვევს. კარტოთეკას მაინც ათვალიერებენ.

— არა. რაღაც არა ჩანს. ალბათ შეცდით.

— მადლობთ.

მეორე სასტუმრო. გარეგნულად ძალზე სადაა. მისაღებში არავინაა. ის გადის პატარა ოთახში, სადაც სალაროცაა მოთავსებული. რამდენიმე მოწნული სავარძელი, ყვავილების ქოთნები, გაცვეთილი ცნობარები დაბალ მაგიდაზე.

— არის აქ ვინმე? — ხრინწიანი ხმით კითხულობს რავინელი.

და მაშინვე ფიქრობს: რატომ მოვიდა ამ სასტუმროში, სადაც ძეხორციელი არაა? ყველას შეუძლია სალაროში შეძვრეს ან ნომრებში ასასვლელ კიბეზე შეუმჩნევლად ავიდეს.

— არის აქ ვინმე?

გაისმა მოღრეცილი ფეხსაცმელების ტყაპუნი. შორეული ოთახიდან, სამზარეულოს იქით რომ იყო, სინათლეზე გამოფრატუნდა თვალცრემლიანი მოხუცი, ფეხებში ებლანდებოდა კუდაპრეხილი შავი კატა.

— მითხარით, გეთაყვა, ქალბატონი რავინელი ხომ არ გაჩერებულა აქ?

მოხუცმა ყურზე მიიდო ხელი და წინ დაიხარა.

— ქალბატონი რავინელი!

— დიახ, დიახ... მესმის, მესმის.

კოჭლობით მიდის სეკრეტერისაკენ. კატა სალაროზე ხტება

და თვალებმოჭუტული უცქერის რავინელს. მოხუცი შლის წიგნს, ცხვირზე ლითონის რკალებიან სათვალეს ირგებს.

— რავინელი... აი. დიახ, ის აქაა.

კატის თვალები ვიწრო პატარა ჭუჭრუტანად გადაიქცა. შემდეგ მოიკრუნჩხა, კუდი ჩამოუშვა და თეთრი თათების ქვეშ შემოიკეცა. რავინელმა ლაბადა და კოსტიუმი შეიხსნა და თითით საყელო გაიწია.

— გეუბნებით: ქალბატონი რავინელი.

— დიახ, დიახ. მადლობა ღმერთს, ყრუ არა ვარ. ქალბატონი რავინელი: სწორედ ის.

— აქ არის?

მოხუცმა სათვალეები მოიხსნა, მისი აცრემლებული თვალები უჯრებიან ყუთზე მიებჯინა, სადაც ჩვეულებრივად გასაღებებსა და მდგმურთა წერილებს ინახავენ.

— გასულია. გასაღები ადგილზეა.

უჯრა ხომ არ შეეშალა?

— დიდი ხანია გავიდა?

მოხუცმა მხრები აიჩეჩა.

— თქვენ გგონიათ, დრო მაქვს ვუდარაჯო მდგმურებს როდის მოდიან და მიდიან? ეს მათი საქმეა.

— თქვენ გინახავთ ის... ქალბატონი რავინელი?

მოხუცი უნებლიეთ უსვამს ხელს კატას და, როგორც ჩანს, იხსენებს. თვალების გარშემო ნაოჭები უჩნდება.

— მოიცადეთ! ქერათმიანი ქალი... ახალგაზრდა... ბეწვიანი პალტოთი? სწორია?

— გესაუბრათ?

— არა, ჩემთან არ უსაუბრია. ის ჩემმა მეუღლემ ჩაწერა.

— მაგრამ... თქვენ გესმოდათ, როგორ ლაპარაკობდა?

მოხუცი ცხვირს იხოცავს, თვალებს იწმენდს.

— თქვენ პოლიციიდან ხართ?

— არა, არა. — ბურტყუნებს რავინელი. — ის ჩემი მეგობარი ქალია... რამდენი დღეა დავეძებ მას. ბარგი აქვს?

— არა, — უპასუხა მკვახედ.

რავინელი ბედავს და უკანასკნელ კითხვას აძლევს:

— ვერ მეტყვით, როდის დაბრუნდება?

მოხუცი ხურავს სარეგისტრაციო წიგნს და სათვალეებს მწვანე ფუტლარში დებს.

— ისა... საიდან მეცოდინება. გგონია არა, ის კი სახლშია. გგონია სახლშია, ის კი წასულია... ვერაფერს გეტყვით.

და წელში მოხრილი, კოჭლობით მიდის, კატაც უკან მისდევს და ზურგს კედელზე უხახუნებს.

— მოიცადეთ, — უყვირის რავინელი და საფულედან სავიზიტო ბარათს იღებს.

— დავტოვებ ყოველ შემთხვევისათვის.

— როგორც გენებოთ.

მოხუცი მას გარდიგარდმო დებს უჯრაში. ნომერი ცხრამეტი. რავინელი მიდის და იქვე მეზობელ კაფეში შედის. პირი გაუშრა ის კუთხეში ჯდება.

— კონიაკი!

ნუთუ ის არის? ნუთუ მოხუცი დარწმუნებულია მის არსებობაში? და არავითარი ბარგი, პატარა ჩემოდანიც კი არა აქვს. „გგონია წასულია, ის კი აქაა. გგონია სახლშია, ის კი წასულია". მართლაც. რომ იცოდეს საბრალო მოხუცმა, როგორი მდგმური შეიხიზნა ჭერქვეშ!... იქნებ მის ცოლს მოელაპარაკოს, ერთადერთ ადამიანს, რომელიც ესაუბრა ბეწვით გაწყობილ პალტოიან ქალს. მაგრამ დიასახლისი ადგილზე არ დახვდა. და კვლავ მთელი წყება, თითქოსდა უდავო ფაქტებისა შემოწმებისას კარგავს თავის ძალას და წონას.

რავინელმა მაგიდაზე ფული დააგდო და ქუჩაში გავარდა. სახეს ულოკავს ნოტიო ნისლი, რომელსაც ჭვარტლის, მდინარისა და კიდევ რაღაც მომწაროს სუნი ასდის. რავინელი აკეთებს ერთ... ორ... სამ... ნაბიჯს წინ. სასტუმროს ვესტიბიულში არავინ არის. ხელს ჰკრავს კარებს და ის რბილად იხურება. გასაღები ისევ სპილენძის ნომრის ქვეშ ჰკიდია. სავიზიტო ბარათიც ადგილზეა, სუნთქვა შეკრული თითის წვერებზე მიიპარა დაფასთან და უხმაუროდ ხსნის გასაღებს სპილენძის ფირფიტიდან. მეცხრამეტე ნომერი მესამე ან მეოთხე სართულზე უნდა იყოს. საფეხურები გაცვეთილია, მაგრამ არ ჭრიალებენ. რაღაც უცნაური, მიძინებული სასტუმროა! აი მეორე სართულის პატარა მოედანი. შავი უფსკრული. რავინელი იღებს სანთებელას, ანთებს მას და გაშვერილ ხელში

უჭირავს. ყავისფერი ნოხი ნახევრად ბნელი დერეფნის სიღრმეში მიემართება. ალბათ ორივე მხარეს ოთხი-ხუთი ნომერია რავინელი ნელა ადის ზევით. დრო და დრო მოაჯირზე იხრება და დაბლა, საძაგლად მკრთალ სინათლეზე, ხედავს რაღაც გაურკვეველს, კონტურებით მოტოციკლს რომ ჰგავს. მირეიმ იცოდა, რასაც აკეთებდა, თავშესაფარს რომ ეძებდა. მაგრამ განა თავშესაფარს ეძებდა? რად უნდოდა ის?

მესამე სართულის მოედანი. სანთებელა ანათებს ოთახების ნომრებს. თხუთმეტი... ჩვიდმეტი... ცხრამეტი... ის აქრობს სანთებელას, ყურს უგდებს. სადღაც წყალი მოუშვეს, შევიდეს თუ არა? ვაი რომ საწოლზე სველი გვამი ნახოს? არა! ეშმაკსაც წაუღია ასეთი ფიქრი!.. რავინელი ცდილობს გული გადააყოლოს, ყურადღება უბრალო ჩამეზე გაამახვილოს. ერეოლამ აიტანა. ალბათ ოთახიდან ისმის, როგორ ზოზინობს აქ.

ისევ სანთებელას ანთებს და კლიტის ჭუჭრუტანას პოულობს. კარს იქით — ხმა-კრინტი არ ისმის. რა იდიოტური, გაურკვეველი შიშია? რა არის საშიში. ახლა მირეი მისი მეგობარია. სახელური გადაატრიალა და ოთახში შევიდა.

ნომერი ბნელი და ცარიელია. ძალ-ღონეს იკრებს და ფანჯარასთან მიდის, ფარდებს სწევს და ანთებს ჭაღს. მკვეთრი ყვითელი სინათლე მკრთალად ანათებს რკინის საწოლს, ლაქებიან სუფრაგადაფარებულ მაგიდას, შეღებილ კარადას და ძველ სავარძელს. და მაინც რაღაც აგრძნობინებს მირეის იქ ყოფნას — მისი სუნამოები. შეცდომა შეუძლებელია, რავინელი ყნოსავს. ცხადია, ეს მისი სუნამოებია. სუნი ხან ოდნავ იგრძნობა, ხან კი პირდაპირ ცხვირში სცემს. კოტის იაფფასიანი სუნამოები. ამ სურნელს ბევრი იპკურებს. დამთხვევაა? მაგრამ სავარცხელი ტუალეტის პატარა მაგიდაზე?

რავინელი იღებს სავარცხელს და ხელისგულზე ათამაშებს. რა, ესეც დამთხვევაა? თვითონ იყიდა ის ნანტში, მაღაზიაში ფოსის ქუჩაზე. უკანასკნელი კბილი მოტეხილია. ზუსტად ასეთს მთელ პარიზში ვერ იპოვი. სახელურზე დახვეულ ოქროსფერ თმებსაც! ამ ბიოქსინის კოლოფის პატარა სახურავსაც, „ხაი-ლაიფის“ ნამწვავებისათვის საფერფლედ რომ გამოუყენებია. მირეი ყოველთვის „ხაი-ლაიფს“ ეწევა. მას სახელწოდება მოსწონს და არა სიგარეტები. ოჰ, ღმერთო

ჩემო! რავინელი საწოლზე ჯდება. ის ლამის ატირდეს, ბალიშში თავი ჩარგოს და აქვითინდეს როგორც ბავშვობისას, როდესაც ვერ უპასუხებდა მამის მზაკვრულ კითხვებზე. დღეს კი ვერ პოულობს პასუხს. დაჰყურებს ოქროსფერ თმებსა და სავარცხელს და ოდნავ გასაგონი ხმით ჩურჩულებს: „მირეი... მირეი...“ ოჰ, ეს თმები... და ისევ წარმოიდგენს თმებს, მაგრამ უკვე სხვას... იმას, წყლისაგან გაშავებული შუბლზე რომ მისწებებოდა. და აი დარჩა მხოლოდ სავარცხელი და პომადით დასვრილი სიგარეტი. უნდა გაშიფროს ეს ნიშანი, გაიგოს, რა სურს მირეის.

ის დგება, აღებს კარადას, სწევს ყუთებს. ცარიელია, სავარცხელს ჯიბეში იდებს. ქორწინების შემდეგ პირველ ხანებში ზოგჯერ მირეის თმებს ვარცხნიდა ხოლმე. როგორ უყვარდა ეს თმები, შიშველ მხრებს რომ უფარავდა! ზოგჯერ თავს ჩაყოფდა თმებში და დამუშავებული მიწისა და მოთიბული ბალახის სუნს ყნოსავდა. დიახ, დიახ, ეს ნიშანია. მირეიმ არ ისურვა სავარცხლის დატოვება სახლში, სადაც ის ყოველგვარ აზრს მოკლებული ნივთი იქნებოდა და მოიტანა აქ, ამ საარვისო ოთახში სიყვარულის დღეების გასახსენებლად. დღესავით ნათელია. რავინელს ისღა დარჩენია განაგრძოს მწუხარე გზით სიარული მასთან შესაერთებლად. ტყუილად როდი დაუნიშნა მირეიმ პაემანი წერილში: „აუცილებლად დავბრუნდები სახლში საღამოს ან ღამით“.

ამიერიდან საეჭვო აღარაფერია. ის ნახავს მირეის. მირეი გამოეცხადება მას. ხელახლა შეერთება დღესაა დანიშნული. რავინელი ხან ცოებცხელებიანივით ცახცახებდა, ხან ერთბაშად მშვიდდებოდა. ტუჩებთან სიგარეტი მიაქვს, არც სურს იცოდეს, ადრე ვისი ტუჩები ეხებოდა ამ სიგარეტს. კბილები მოუჭირა და ძლივს შეიკავა მოწოლილი გულისრევა. მირეი ხშირად უკიდებდა მისთვის სიგარეტს. სანთებელათი უკიდებს და კვამლის პირველ ბოლქვს ულაპავს. ის ყველაფრისთვის მზადაა. უკანასკნელად ავლებს თვალს ოთახს, სადაც ახლახან მიიღო გადაწყვეტილება, რომლის ფორმულირებას ვერ ბედავს.

ის მიდის, გასაღებს ატრიალებს და დერეფნის სიღრმეში ხედავს ორ ფოსფორივით მნათ წერტილს, რამდენიმე წუთის

წინ ის ალბათ გულწასული დაეცემოდა: ნერვები უმტყუნებდა. მაგრამ ახლა გაბედულად მიდის ამ ორი წერტილის შესახვედრად და ბოლოს ხედავს ბაქანზე მჯდარ შავ კატას. კატა წინ გარბის, უკან იხედება და რამდენიმე წამით ორი მკრთალი მთვარე ჰაერში ჩამოეკიდა. რავინელი არც ცდილობდა ფეხაკრეფით ევლო. პირველ სართულზე რომ ჩავიდა, კატამ მხოლოდ ერთხელ დაიკნავლა „მიაუ“. სამზარეულოს ზღურბლზე მოხუცი გამოჩნდა.

— არაა იქ? — ბურტყუნებს ის, თითქოს არაფერი მომხდარაო.

— არა, — უპასუხებს რავინელი და გასაღებს ადგილზე კიდებს.

— მე ხომ გაგაფრთხილეთ, — განაგრძობს მოხუცი. — გგონია აქ არ არის და თურმე აქაა. ის თქვენი ცოლია?

— დიახ, — თავს უქნევს რავინელი, — ჩემი ცოლია.

მოხუცი, თითქოს ყველაფერი განჭვრიტაო, თავს აქნევს და უმატებს.

— ქალებთან მოთმინებაა საჭირო.

და კატასთან ერთად უჩინარდება.

რავინელს აღარაფერი უკვირს. მას სავსებით ესმის, რომ სწორედ ახლა შეაღწია იმ სამყაროში, რომელიც არ ემორჩილება ფიზიკურ კანონებს. რავინელი სასტუმროდან გამოდის. გული ისე უცემს, თითქოს რამდენიმე ფინჯანი მაგარი ყავა დაელიოს. ნისლი უფრო შედედდა. ნესტიანი სიცივე ძვლებამდე ატანს. ნისლი არაა მისი მტერი... კარგი იქნებოდა მასში განზავება, მასთან შერწყმა. კიდევ ერთი ნიშანი. ნისლი ჯერ კიდევ იმ საღამოს დაიწყო ნანტში... და მისი დამცველი ბარიერია. საჭიროა გარემომცველი გარემოს არსში ჩაწვდომა!

რავინელი ეძებს თავის მანქანას. სასწრაფოდ ანგიანში უნდა ჩავიდეს. წინა ფარების სუსტი სინათლე ეფინება გზატკეცილს. ექვსი დაიწყო.

მშვიდობიანად დაბრუნდა. რავინელი გრძნობს განთავისუფლებას არა სიმძიმისაგან, არამედ მოწყენილობისაგან, ნისლივით რომ შემოხვევია მის წარსულს. სულელური სამუშაო, უაზრო ცხოვრება — კლიენტიდან კლიენტამდე, აპერიტივიდან აპერიტივამდე. ის იხსენებს ლიუსიენს, იხსენებს ცივად. ის

შორსაა, ეს ლიუსიენი. მაგრამ ის დაეხმარა ჭეშმარიტების დადგენაში. თუმცა ლიუსიენის გარეშეც დაადგენდა მას.

დაუღალავად დარბიან და ბზუიან მინაზე „მეეზოვეები". რავინელმა იცის რომ, გზა არ დაებნევა. ორიენტირების შეუცდომელი უნარი არ მოატყუებს. უშიშრად აღწევს სქელ ნისლში. თუმცა მანქანები გზაზე თითქმის არაა. ბევრს ეშინია ასეთ ამინდში სიარულისა. მათ უნდათ სრული განათება, კარგი ტრასები საგზაო ნიშნებით და მარეგულირებლები გზაჯვარედინებზე. თვით რავინელიც პირველად ბედავს ყრუ, უკაცრიელი გზებით სიარულს. ცდილობს არ იფიქროს იმაზე, თუ რა ელის იქ, ანგიანში, მაგრამ მისი სული აღსავსეა სინაზისა და სიბრალულის გრძნობით, სიჩქარეს უმატებს. ძრავაში კაკუნი ისმის. მექანიკოსს უნდა აჩვენოს. ეჰ, კეთილი... ყველაფერი თავდაყირა დადგა. წვრილი ცხოვრებისეული საზრუნავი უკან დარჩა.

შემხვედრი მანქანა აბრმავებს, ფრთით ოდნავ ეხება, შიშის ზარს სცემს და უჩინარდება. რავინელმა სიჩქარეს უკლო. დიდი სისულელე იქნებოდა დღეს ავარიაში მოხვედრა. სახლში ნათელი გონებით უნდა მივიდეს. ძალღონე და გამბედაობა უნდა მოიკრიბოს. რავინელი ფრთხილად უხვევს. უკანასკნელი მოსახვევი. წინ ღამის ლამპიონების მკრთალი ციმციმივით გამოჩნდა ანგიანის ჩირაღდნები. სიჩქარეს რთავს. აი მისი ქუჩაც. მას აციებს. მანქანა ინერციით მიგორავს. ჭიშკართან ამუხრუჭებს. მიუხედავად ნისლისა, ფარდებიდან სინათლე მოჩანს.

II

ფარდებიდან სინათლე მოჩანს. რავინელი ყოყმანობს. საშინლად დაღლილი რომ არ ყოფილიყო, არც შევიდოდა. შეიძლება ყვირილითაც გაქცეულიყო. ჯიბეში სავარცხელს ხელს ჰკიდებს და ქუჩას თვალს ავლებს. მას ვერავინ ხედავს, რომც დაენახა ვინმეს, იტყოდა: „მუსიე რავინელიც დაბრუნებულა სახლში" — მეტს არაფერს. მანქანიდან გადმოდის და გისოსის წინ ქვავდება. ყველაფერი ისეა, როგორც ყოველთვის. ახლა მირეის სასადილო ოთახში მიუსწრებს კერვით გართულს. მირეი თავს ასწევს:

მშვიდობიანად დაბრუნდი, ძვირფასო?

ის ფეხსაცმელებს იხდის, კვალი რომ არ დააჩნიოს და გასახდელად მიდის. საშინაო ფეხსაცმელები კიბესთან არის, შემდეგ...

რავინელი გასაღებს დებს კლიტის ჭუჭრუტანაში ის ბრუნდება სახლში. არაფერი არ მომხდარა. არასდროს არავინ არ მოუკლავს. მას უყვარს მირეი. ყოველთვის უყვარდა მირეი. ყველაფერი ეს იმისათვის მოიგონა, რომ გაელამაზებინა ერთფეროვანი არსებობა. და ტყუილუბრალოდ ჰის ისედაც უყვარს მირეი. აღარასოდეს ნახავს ლიუსიენს. სახლში შედის.

შესასვლელში სინათლე ანთია. სამზარეულოშიც ანთია ნათურა, ბაკანის თავზე. კარები მიხურა და ჩვეულებისამებრ წარმოთქვა: „ეს მე ვარ... ფერნანი!" ჰაერს ყნოსავს. რაგუს სუნია. სამზარეულოში შედის, ქურაზე ორი პატარა ქვაბი დგას. ალი დაყენებულია მარჯვე და ეკონომიური დასაბლისის ხელით. ოდნავაა ამობერილი მოლურჯო პატარა ქუდებივით სანთურების გარშემო. კაფელის იატაკი მორეცხილია. მაღვიძარა დაქოქილია. ისრები რვის ათ წუთს უჩვენებს. ირგვლივ სისუფთავე სუფევს, ყველაფერი პრიალებს. სამზარეულო რაგუს სუნითაა გაჟღენთილი. რავინელი უნებლიეთ სწევს ქვაბის სახურავს. ცხვრის ხორცი ლობიოთი — მისი საყვარელი კერძი. მაგრამ რატომ მაინცდამაინც ცხვრის ხორცი? ყველაფერი ეს მეტისმეტად მყუდროა, მეტისმეტად. ძალზე .. კარგი. რა დალოცვილი სიჩუმეა, რა... საეჭვო სიმშვიდე... უკეთესი იქნებოდა ცოტა დრამატიზმი ყოფილიყო. რავინელი ბუფეტს დაეყრდნო. თავბრუ ესხმის. ლიუსიენს წამალი უნდა სთხოვოს. ისევ ლიუსიენი? მაგრამ მაშინ... ის პირდაღებული ყლაპავს ჰაერს, როგორც მყვინთავი, რომელიც ღმერთმა უწყის რა სიღრმეებიდან ამოდის მაღლა.

სასადილო ოთახის კარი ნახევრად ღიაა. ხედავს სკამს, მაგიდის კუთხესა და ლურჯი შპალერის ზოლს. შპალერი მოხატულია პატარა კარეტებითა და პაწაწინა კოშკებით მირეიმ შეარჩია ნახატი, რომელიც პეროს ზღაპრებს ჰგავდა ნოტიო ამინდში მირეი ჩვეულებრივ ბუხართან ზის ხოლმე. რავინელი კარებთან ჩერდება და დამნაშავე ბიჭივით თავს ქინდრავს.

მაგრამ არა, თავის მართლებისათვის სიტყვებს არ ეძებს. უცდის, როდის დაემორჩილება საკუთარი სხეული, ის კი თითქოს ჯიბრზე სულ უფრო ხევდება, ეწინააღმდეგება, ებრძვის. ეხლა მასში ცოცხლობს ორი რავინელი, რა არის აქ გასაკვირი? მირეიშიც ხომ ორი მირეი ცხოვრობს! ორი სული, რომლებიც ცდილობენ შეხვედრას, ორი გაყოფილი სხეული. სასადილო ოთახში რაღაც ატკაცუნებს, ნაპერწკლებს ისვრის. ბუხარში ცეცხლი ანთია. საბრალო მირეი! ალბათ, ძალიან სცივა! თვალწინ გაუელვა საბაზანოს სურათმა. არა, არა! წარმოუდგენელია!

რავინელი მთელი სხეულით ცახცახებს და კარს ნელა აღებს. ახლა მთელ მაგიდას ხედავს. ის გაშლილია. რავინელი სცნობს თავის ხელსახოცს ბზის რგოლში. ჭაღის სინათლე მსხლის ფორმის გრაფინს ეფინება. თითოეული საგანი გულთბილად და ამავე დროს... მუქარით იყურება.

— მირეი! — ჩურჩულებს რავინელი.

ეს რავინელი სთხოვს შესვლის ნებართვას. როგორი გარეგნობა აირჩია მირეიმ? ის, რომელიც ადრე ჰქონდა... თუ შემდგომ რომ შეიძინა... შუბლზე მიწებებული თმებით, გაბრტყელებული ნესტოებით. ან იქნებ სხვა — აჩრდილის მოთეთრო, ბუნდოვანი გარეგნობა? აბა! არ გათამამდეს... არ დაიბნეს... როგორც მისი ნაცნობი ავტომექანიკოსი ამბობს: „არ აუშვა მუხრუჭები“.

ბოლომდე აღებს კარს. ანთებული ბუხრის წინ მდგარი, სპილენძის ფარით გამოყოფილი სავარძელი ცარიელია. მაგიდა ორი კაცისთვისაა გაწყობილი. რატომ ორისთვის?.. რატომ არა? ლაბადას იხდის, ისვრის სავარძელზე... ოჰო! მირეის თეფშზე წერილია. ამჯერად სახლში შენახული საწერი ქაღალდით უსარგებლია.

„ჩემო საბრალო,

ჩვენ ნამდვილად არ გვწყალობს ბედი, ივახშმე უჩემოდ. მე დავბრუნდები“.

მე დავბრუნდები! რა უცნაურია! ეს ტრიუკი არაა, ამით ყველაფერია ნათქვამი. დაჟინებით აკვირდება ნაწერს, თითქოს საეჭვო იყოს რამე, მაგრამ რატომ არ მოაწერა ხელი მირეიმ თავის ორ უკანასკნელ წერილს? იქნებ იქ, სადაც ის ახლა

იმყოფება, უკვე აღარ აქვს სახელი? იქნებ უსახო აჩრდილია? იქნებ მისგან აღარაფერი დარჩა? ასე რომ იყოს! რომ შეეძლოს წარსულის ტვირთისა და ბედნავსობის ერთბაშად ჩამოცილება, და ყველაფრის, ყველაფრის... თვით სახელისაც კი! რომ აღარ იყოს ის რავინელი. მოიშოროს საშუალო მასწავლებელ-მანიაკის სასაცილო სახელი, რომელიც შიშის ზარს სცემდა ბავშვობაში. ოჰ, მირეი! რა დიდი იმედია!

მძიმედ ეშვება სავარძელში და უკვე მტკიცე ხელით იხსნის ფეხსაცმელების ზონარს, შემდეგ ურევს ნახშირს. ბუხართან ინკუბატორივით თბილა. მირეი რომ მოვა, ყველაფერს აუხსნის... უამბობს ბრესტზე, იმიტომ რომ ყველაფერი ბრესტში დაიწყო... ისინი ვერასდროს ვერ ბედავდნენ ერთმანეთისათვის ბავშვობისდროინდელი ამბების გამხელას. რა იცის მირეის შესახებ? ის მის ცხოვრებაში ოცდაოთხი წლისა უცხოსავით შეიჭრა. რას აკეთებდა მირეი ათი წლის წინათ, ჯერ კიდევ ბაფთიანი გოგონა? თუ უყვარდა მარტო თამაში? თუ ეუფლებოდა შიში საღამოობით? თუ ესიზმრებოდა კაცი-ჭამია საშინელი მაკრატლის ტკაცუნით რომ დასდევდა? როგორ სწავლობდა და რას სწავლობდა? მეგობრები თუ ჰყავდა? რა საიდუმლო ჰქონდათ? რატომ აღეძვრებოდა ხოლმე უცბად წასვლის, ძალზე შორს წასვლის ასეთი მწვავე სურვილი? იქნებ ანტიბშიც? ისინი ერთად ცხოვრობდნენ და არ იცოდნენ, რომ დაავადებული იყვნენ ერთი და იმავე სენით, რომელსაც სახელწოდება არ ჰქონდა. ცხოვრობდნენ აქ. ამ მდუმარე სახლში, მაგრამ სურდათ სხვაგან ცხოვრება. ვნიშვნელობა არა აქვს სად, ოღონდ იქ იყოს მზე, ყვავილები და სამოთხე. მას ყოველთვის სწამდა სამოთხისა. ისევ წარმოუდგა თვალწინ და მადლენი, რომელიც საღვთო სკოლს ასწავლიდა ლიცეუმში. როდესაც ის ცოდვებზე ლაპარაკობდა, მას ბოროტი და მძვინვარე სახე ჰქონდა. ის ღრმა მოხუცი იყო და თავის წაწვეტებულ ჩაჩში ზოგჯერ როკაპს ჰგავდა. მაგრამ როდესაც სამოთხეზე ლაპარაკობდა, არ შეიძლებოდა არ დაგეჯერა მისთვის. ისე აღწერდა სამოთხეს, კაცი იფიქრებდა, იქ ნამყოფიაო. უზარმაზარი, ჩირაღდნებით განათებული ტყე... ყველგან მხეცები, კეთილი, ნაზთვალებიანი მხეცები... არნახული ყვავილები, თეთრი და ლურჯი. მერე თავის დამჭკ-

ნარ, გაუხეშებულ ხელებზე რომ დაიხედავდა, დაუმატებდა: „იქ უკვე ვეღარ იმუშავებ ვერასდროს, ვერასდროს“. და ეუფლებოდა ენით გამოუთქმელი სევდისა და ბედნიერების გრძნობა. რავინელი უკვე მიხვდა, რომ სამოთხეში მოხვედრა ძნელია.

ის დგება, ფეხსაცმელები სამზარეულოში გააქვს და მიჩენილ ადგილზე დებს — ბუფეტის გვერდით. ნანტში, როიალის მოედანზე ნაყიდი საშინაო ფეხსაცმელები კიბესთან აწყვია და პატრონს ელოდება. სულელური მოგონებებია, მაგრამ მეხსიერება უკიდურესად აქვს დაძაბული. თავში ერთთავად წარსულის სურათები უტრიალებს. მან გაზი გამორთო. საჭმელი არ უნდა. მირეისაც არ მოუნდება ჭამა. ძალზე ნელა ადის კიბეზე. კიბე განათებულია. საწოლ ოთახშიც და კაბინეტშიც სინათლეა. ეს სახლს საზეიმო იერს აძლევს. როდესაც ისინი აქ გადმოვიდნენ, პირველ საღამოს ყველგან აანთო სინათლე, რათა ზეიმი უფრო ამაღელვებელი და უნაკლო ყოფილიყო, მირეი მაშინ ტაშს უკრავდა და ხელით ეხებოდა ავეჯს, კედლებს, თითქოს ამოწმებდა სიზმარი ხომ არ არისო.

უმიზნოდ დაბორიალებს ოთახებში და მწვავე თავის ტკივილს გრძნობს. ლოგინი კოხტადაა დაგებული. კარადის ქვეშ აღარ ეგდო ცარიელი ბოთლი. საწერი მაგიდაც ალაგებულია. ის მიუჯდა მაგიდას, რომელზედაც დასტა-დასტა ელაგა მამაკაცის ნაირფერი პერანგები. „ბლანშ და ლიუედემ“ მას ანგარიში მოსთხოვა... რა ანგარიში?.. დაავიწყდა. ყველაფერი ეს ისე შორსაა, ისე ფუჭია! ქუჩიდან მოისმის მსუბუქი ხმაური. კაბინეტიდან საწოლ ოთახში გადის და ქუჩაზე გამავალ ფანჯარასთან ჩერდება. ისმის მამაკაცის მძიმე ნაბიჯების ხმა, შემდეგ კარების ჯახუნი. ეს რკინიგზელი დაბრუნდა სახლში.

რავინელი კაბინეტში ბრუნდება, კარებს არ ხურავს. არ სურს, რომ მოულოდნელად წაასწრონ. ალბათ მირეის ყოფნას იგრძნობს მსუბუქი, ოდნავ შესამჩნევი ქროლვით. მაგრამ, რატომ იქექება საწერი მაგიდის უჯრებში? იქნებ იმიტომ, რომ მეხსიერებაში აღიდგინოს თავისი ცხოვრება და შედეგები შეაჯამოს? თუ აუტანელი ლოდინისაგან გულის განსაქარვებლად იქექება ქაღალდებში, აზრები რომ მოიკრიბოს? მაღვიძარა ყრუდ ითვლის წამებს ქვევით. ახლა რვა

საათზე ცოტა მეტია. უჯრები გატენილია ქაღალდებით. პროსპექტები, ანგარიშების შავად ნაწერები, სპინინგების, სატყუარების, ანკესების რეკლამები... მეთევზეთა ფოტოსურათები მდინარის არხის, გუბურას ნაპირებთან... ამონაჭრები გაზეთებიდან: „მეთევზეთა კონკურსი ნორტ-სურ-ერდრში... გოლელმა მეთევზემ თორმეტგირვანქიანი ქარიყლაპია დაიჭირა. ის არიანის ანკესით თევზაობს...“ რა უბრალო ამბები უძღოდა წინ ამ უძილო ღამეს! ყოველგვარ აზრს მოკლებული სიცოცხლე!

მარცხენა უჯრაში ინახება ბუზების გასაკეთებელი მასალა. რავინელი წუთიერ სინანულს განიცდის. ის მაინც თავისებური მხატვარი იყო. ქმნიდა ხელოვნურ ბუზებს, როგორც სხვები ქმნიან ახალ ყვავილებს. ფირმის კატალოგში ერთი გვერდი რავინელის ფერად ბუზებს ეთმობა. უჯრა გატენილია ფრთებით: ბუმბულით, თმებით, ბუზების აცახცახებული სხეულებით. საერთოდ კი ბუსუსებიანი მწერების ასეთი თავშეყრა საძაგელი სანახაობაა. გინდაც იცოდე, რომ ისინი მავთულის, ფრთებისა და ლითონისაგანაა გაკეთებული. მათი ნახვისას უნებლიეთ გახსენდება დაუმარხავი გვამების გროვები.

რავინელმა უჯრა გამოსწია. ახლა უკვე ვეღარ მოასწრებს ბუზებზე ჩაფიქრებული წიგნის დაწერას. და ხალხი ვერ მიიღებს ისეთ რამეს, რომელსაც შეეძლო... საკმარისია! ძირს სისუსტე! ის ყურს უგდებს. ისეთი ღრმა, სამარისებური სიჩუმე დგას, რომ ჰგონია თითქოს სამრეცხაოდან ნაკადულის რაკრაკი ესმის. რასაკვირველია, სმენა ატყუებს. სმენის არასასიამოვნო მოტყუებაა, რომელიც ყოველგვარი საშუალებით უნდა მოიშოროს. ის სხვა უჯრას სწევს, ქექავს მანქანაზე ნაბეჭდ ქაღალდებს, საკოპიოებს, მეორე ეგზემპლარებს, სადაც ქვეშ პოულობს რეცეპტების დასტას. რა დიდი ხნის წინათ იყო ეს! ჯერ კიდევ ქორწილამდე. ეგონა, რომ კიბო ჰქონდა და სულ დაკარგა მადა, ლუკმის გადაყლაპვაც არ შეეძლო. ღამღამობით აკანკალებული იწვა და პირში სისხლის გემოს გრძნობდა. მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა, რომ უბრალოდ თვით სიტყვა აშინებდა და თავს იწამებდა წარმოდგენებით, თუ როგორ უღრღნიდა სენი გულ-მუცელს. კიბო მას ობობასავით წარმოედგინა, რადგანაც ბავშვობისას გული მისდიოდა ობობების დანახვაზე, რომლებიც ბრესტში უამრავი

იყო... იქნებ ამიტომაც დაინტერესდა შემდგომში ბუზებით. ვინ იცის?..

კიბეზე რაღაცამ გაიჭრიალა. რავინელს სუნთქვა შეეკრა. გარკვეული ჭრიალი... და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ მაღვიძარა ტიკტიკებს ქვევით. მართალია, ყველა ნათურა ანთია, მაგრამ სიმყუდროვე მაინც არაა. ის გრძნობს: თუკი მირეი იქ, ოთახის ზღურბლზე გამოჩნდება, მაშინ კვლავ რაღაც დაიჭრიალებს, მასში რაღაც გასკდება და რავინელი მოწყვეტით დაეცემა. სისულელეა! იმაშიც იყო დარწმუნებული, რომ კიბო სჭირდა, მაგრამ დღემდე ხომ ცოცხალია. სიკვდილი არც ისე ადვილია. აი დამამტკიცებელი საბუთი: საჭირო გახდა ორი სადგარი შეშისათვის... მაგრამ, კმარა! კმარა!

ის წელში იმართება, სწევს სავარძელს. მას ხმაურის ატეხა და წყეული ჯადოს გაქრობა სურს. კედლებს აწყდება. შედის საწოლ ოთახში, აღებს კარადას. კაბები პატარა სამხრეებზეა ჩამოკიდებული და ნაფთალინის სუნი უდის. აი კიდევ ერთი იდიოტური საქციელი. ნეტავ რისი ნახვის იმედი ჰქონდა აქ?... კარს აჯახუნებს და კიბეზე ეშვება. საოცარი, მშვიდი სიწყნარეა! ჩვეულებრივად ისმის შორიდან მატარებლების გრუხუნი. მაგრამ ნისლი ყველაფერს ახშობს. მხოლოდ აუტანელი მაღვიძარა დარჩა! ცხრას უკლია თხუთმეტი წუთი. არასდროს არ დაბრუნებულა მირეი ასე გვიან! ესე იგი... თავი უსკდება სულელური აზრებისაგან. მირეის ალბათ უსიამოვნო ამბავი შეემთხვა... უბედური შემთხვევა!... თავში ყველაფერი აერია „მანამდე“ და „შემდეგ“... ის სასადილო ოთახში მილასლასებს. შეშა დაიწვა. სარდაფში ჩასვლაა საჭირო. მაგრამ ეშინია. იქნებ მახეა დაგებული სარდაფში? რა მახე? არავითარი მახე... ღვინოს ისხამს და პატარ-პატარა ყლუპებით სვამს. ძალიან იგვიანებს მირეი! ისევ ზევით ადის. ოჰ, რა ძნელია ლოდინი!.. მაგრამ, მართლა რომ არ მოვიდეს? იცადოს დილამდე და საღამომდე, ისევ დილამდე ისევ საღამომდე?... ძალა აღარა აქვს. თუ მირეი არ მოვა, თვითონ წავა მასთან. რავინელი ჯიბიდან იღებს ცოცხალი სხეულივით თბილ რევოლვერს, ის მოელვარე სათამაშოს ჰგავს. ცერით სწევს დამცველის სასხლეტს. უკვე აღარ იცის როგორ მოქმედებს

წვეტი, როგორ ხდება გასროლა. ისიც ვეღარ წარმოუდგენია, როგორ უნდა მიიდოს ეს მოლურჯო ლულა გულზე ან საფეთქელზე.* არა! ეს ასე არ კეთდება!

რევოლვერს ისევ ჯიბეში იდებს, ისევ ჯდება საწერ მაგიდასთან. იქნებ, მისწეროს ლიუსიენს? მაგრამ ის არ დაუჯერებს. იფიქრებს ცრუობსო. საინტერესოა საერთოდ რას ფიქრობს მასზე? საკმარისია! არ ღირს მოტყუება. ლიუსიენი დოყლაპიად თვლის. ასეთ რამეს ერთი ნახვით, უნდა მიხვდე. ცხადია, ლიუსიენს არ ეზიზღება. ის... თუმცა... არა, ეს ზიზღი არაა. უბრალოდ ის მას თვლის... ერთხელ რაღაც საოცარი სიტყვა იხმარა... უნებისყოფო... თუ დოყლაპია. არსებითად ასეთიც არის. მისვან ბევრს მოითხოვდნენ, მის მაგივრად მეტისმეტად ბევრს ფიქრობდნენ. ძალიან ხშირად იყენებდნენ მას, მისი თანხმობის გარეშე. უნებისყოფო ...მირეიც კი! და მიუხედავად ამისა, ლიუსიენს. მაინც იზიდავდა?... მაინც რა?... მშვენივრად ხედავდა, რომ ლიუსიენი გამუდმებით სწავლობდა მას, ცდილობდა დაედგინა მისი ხასიათი და ზოგჯერ აღსავსე იყო წრფელი სინაზით. მისი თვალები თითქოს ამბობდნენ: გამხნევდი! ანდა ბუნდოვნად მსჯელობდა მათს მომავალზე. და მაინც ეს არ იყო ლიტონი სიტყვები. თუმცა მირეისაც ალერსიანად ექცეოდა. შეიძლება ის დაძმურად ექცევა ყველა ავადმყოფს, რომელიც სიკვდილის ზღურბლთან დგას. მშვიდობით, ლიუსიენ!

რავინელი დაბნეულად სინჯავდა მიმობნეულ ქაღალდებს, იღებს ფოტოსურათებს. „კოდაკით“ გადაღებულ მირეის ფოტოსურათს, ავად გახდომამდე რამდენიმე დღით ადრე რომ აჩუქა. აქვეა აგრეთვე დაახლოებით იმ დროს გადაღებული ლიუსიენის ფოტოსურათი. ის ამწკრივებს პრიალა სავიზიტო ბარათებს და ადარებს. რა მშვენიერია მირეი! ბიჭივით თხელი, გამხდარია, სანდომიანი, დიდი მშვიდი თვალები აქვს, შორს რომ იყურებიან. თითქოს რავინელი უნებლიეთ უხილავი ბედნიერების სურათს ჩამოეფარა. თითქოს შემთხვევით დაუმალა მირეის რაღაც საიდუმლო, რომელსაც ის დიდი ხანია ელოდა. ფოტოსურათზე ლიუსიენი ისეთივეა, როგორიც ცხოვრებაში. მკაცრი, თითქმის კვადრატული მხრები, დიდი ნიკაპი და მაინც თავისებური, ციცი და საშიში სილამაზე აქვს... ის...

არა, აქ არცერთი მისი ფოტოსურათი არ არის. მირეის აზრადაც არ მოსვლია აეღო აპარატი და გადაეღო მისთვის სურათი. არც ლიუსიენს. ის იქექება ფურცლებისა და კონჭერტების გროვაში. პოულობს ბოლოს თავის გაყვითლებულ ფოტოსურათს მანქანის მართვის უფლების მოწმობაში. რამდენი წლისაა აქ? ოცდაერთის, ოცდაორის? იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო გამელოტებული. გამხდარი და დაძაბული სახე აქვს. არამკაფიო გამოსახულება. აი ასე! და დარჩა მისგან, ფერნან რავინელისაგან, მხოლოდ ეს ნახევრად წაშლილი სახე. სურათებს ათვალიერებს და ოცნებებს ეძლევა. ისინი უყვებიან ერთ ნაღვლიან ისტორიას, რომელსაც ვერასოდეს ვერავინ ვერ გაიგებს. ალბათ უკვე გვიანაა. ათია? თერთმეტის ნახევარი? თხელ კედლებში ქუჩიდან სინესტე აღწევს. გაიყინა, აზრები ერევა. მკვეთრი სინათლე და მთრგუნავი სიჩუმე თოშავს. იქნებ პირდაპირ აქ დაიძინოს? იქნებ, მირეი მძინარესთან მოვიდეს? თვალებს აჭყეტს და კვნესით დგება. ოთახი ეუცხოება, ალბათ წამით მაინც ჩათვლიმა. დაძინება არ შეიძლება. არავითარ შემთხვევაში. ის სამზარეულოსკენ მიჩანჩალებს. მაღვიძარაზე ათს ათი წუთი უკლია. საშინელ დაღლილობას გრძნობს. აგერ უკვე რამდენი ღამეა არ უძინია. ხელები ლოთივით უკანკალებს, საშინლად სწყურია, ყელი გაუშრა. მაგრამ ეზარება ყავიანი პაკეტის მოძებნა და ყავის საფქვავის მოტანა. დიდი ხანი უნდა. უბრალოდ მხრებზე ისხამს პალტოს და საყელოს იწევს. საინტერესოა ვის ჰგავს ახლა ის — წვერმოშვებული, საშინაო ფეხსაცმელებში? ანთებული გაზის ცისფერი ენები, გაუშლელი სუფრა. ერთი წუთის წინ ყველაფერი ეს საშინლად ეჩვენებოდა. ახლა კი ასე ჰგონია, თითქოს სხვის სახლში დადის სიზმარში. როლები შეიცვალა — თვითონაა — აჩრდილი. მირეი კი ცოცხალი და ჯანმრთელია. საკმარისია შემოვიდეს და რავინელი არარსობაში შთაინთქმება. ის მაგიდის გარშემო დადის. ეჩვენება, თითქოს თავზე ძალიან ვიწრო ქუდი ჩამოაფხატეს. ბოლოს დაუძლურებული სინათლეს რთავს პირველ სართულზე, ადის ზევით, ჭაღს აქრობს საწოლ ოთახში და კაბინეტში იკეტება. დაბლა აღარ ჩავა. უკვე ვეღარ გაბედავს კიბეზე, სამზარეულოში წყვდიადთან შეხვედრას... სჯობს აქ დაუცადოს...

დრო გარბის. სავარძელში გაუნძრეველად მჯდომი რავინელი შეშდება. თავში უთავბოლო მოგონებები უტრიალებს. მაგრამ არ სძინავს. ყურს უგდებს სიჩუმეს, საოცარ სიჩუმეს, დროდადრო ნიჟარასავით ხმაური რომ ავსებს. ის მარტოდმარტოა, როგორც გემის დაღუპვის დროს კუნძულზე გარიყული კაცი. დიახ, ის საზღვაო კატასტროფაში მოყვა. დაიხრჩობა, ჩაიძირება, თევზებისა და ქვეწარმავლების საზარელ სამყაროში. მომაბეზრებელი, მრავალჯერ განცდილი სიზმარი. ხშირად ესიზმრებოდა, ვითომ უჩინმაჩინია და კედლებში გადის, რომ ის ყველას ხედავს, მას კი — ვერაფინ ხედავს. ასე სიზმარში თრგუნავდა შიშს გამოცდების წინ. ესიზმრებოდა, რომ ნერხზე ზის და ყველას ჰგონია, ის არ არის. ის კი ყველას ადევნებს თვალს. და მან სცადა ასეთ ილუზიამდე ცხადში ბისულიყო. მისგან ხომ არ ისწავლა მირეიმ ერთდროულად სხვადასხვა ადგილზე ყოფნა?...

რაღაცამ ნელა გაიშრიალა. როგორც იქნა მთვლემარე მდგომარეობიდან გამოდის. კისერს იგრძელებს და გონს მოდის. ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს ტყავი გააძრესო. რა ხმაურია აქ? მოეჩვენა, რომ ფოთლები შრიალებენ ბაღში. თუ ეს ხმა პლატფორმიდან მოდის?

სასტვენის შორეული ხმა. მატარებლებმა კვლავ დაიწყეს მიმოსვლა. ალბათ ნისლი იფანტება.

ამჯერად გარკვევით ესმის კარის ჯახუნი. ვიღაც კედლებზე ხელებს აფათურებს, ტკაცუნობს გამომრთველი.

ის მომაკვდავივით ფრთხილად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნთქავს. ჰაერი ხრიალით ამოდის ხორხიდან და ტანჯავს მას.

აი იღება სამზარეულოს კარი. ისმის მოკლე ნაბიჯების ხმა: ვიღაც მოცუნცულებს, ეტყობა ვიწრო ქვედაკაბა აცვია. ის არის. ფილებზე გაისმის ქუსლების ხმა. შემდეგ სამზარეულოში ტკაცუნობს გამომრთველი და რავინელს ნერვიულად უთამაშებს ლოყები, თითქოს სამზარეულოს სინათლე აბრმავებს. სიჩუმეა. ალბათ მირეი ქუდს იხდის. ყველაფერი ისეა, როგორც ყოველთვის... მირეი სასადილო ოთახში მიდის.

რავინელი კვნესის, სული ეხუთება, წამოდგომას ცდილობს... მირეი!.. არა. ახლა შემოვა. არაა საჭირო... ღრიალებს ცეცხლის საჩხრეკი. შეშას ტკაცა-ტკუცი გააქვს, წკრიალებენ

თეფშები. ჭიქაში სითხე ისხმება. ნივთები ალაპარაკდნენ, ამოძრავდნენ. ფეხიდან ვარდება ჯერ ერთი, შემდეგ მეორე ფეხსაცმელი. აი უკვე საშინაო ფეხსაცმელები ატყაპუნდა სამზარეულოდან კიბისაკენ. ბაკუნი და ისინი პირველ საფეხურზე არიან, კიდევ ბაკუნი და მეორეზე. რავინელი სავარძელში მოკრუნჩხული ტირის. ვერ დგება, ვერ მიდის კარებამდე, ვერ აბრუნებს გასაღებს. მან იცის, რომ ცოცხალია, რომ დამნაშავეა, რომ მალე მოკვდება.

ბაკუნი — მესამე სართულზე, თხლაშანი — შემდეგზე. ბაკუნი-თხლაშანი, ბაკუნი-თხლაშანი. ნაბიჯები ახლოვდება. უკვე ბაქანზეა. გაიქცეს, უნდა გაიქცეს, გადალახოს საზღვარი, გაგლიჯოს თხელი ტიხარი, არარსობისაგან რომ აშორებს. ჯიბეებს ისინჯავს.

ისმის, როგორ მისრიალებს ფეხსაცმელები პარკეტზე, — დერეფნის მეორე ბოლოში, საწოლ ოთახში, — ინთება ჭაღი. კაბინეტის კარების ქვეშ სინათლის ზოლი აღწევს. მირეი აქაა, კარებთან, და მიუხედავად ამისა, იქ არავინ არ შეიძლება იყოს. ერთმანეთს ყურს უგდებენ, მათ თხელი ტიხარი ჰყოფთ. ცოცხალი და მკვდარი. მაგრამ რომელია მათ შორის ცოცხალი, და რომელი მკვდარი?

აი ნელა ტრიალებს კარის სახელური და რავინელმა შვებით ამოისუნთქა. მთელი სიცოცხლე ელოდა ამ წუთს. დროა, კვლავ აჩრდილად იქცე. ადამიანად ყოფნა ძალზე ძნელია. მეტი მას აღარაფერი უნდა. მირეის უკვე აღარ აინტერესებს. ის რევოლვერის ლულას პირში იდებს და ტუჩებს უჭერს, რათა სიყვარულის წამალივით დალიოს სიკვდილი. მიეცეს თავდავიწყებას. ის მთელი ძალით ხელს აჭერს სასხლეტს.

ეპილოგი

— ანტიბამდე დიდი მანძილია? — კითხულობს მგზავრი ქალი.

— ხუთი წუთის სავალია, — უპასუხებს კონტროლიორი.

ჩქარი მატარებელი — ძიგძიგა განათებული ვაგონების გრძელი რიგი — მიწაყრილზე გაჭიმულიყო, ხოლო წვიმის

ნაკადებით დასერილ ფანჯრებში მოციმციმე სინათლეები მოჩანდა.

ველარ გაარკვევდი, სად იყო ზღვა — მარჯვნივ თუ მარცხნივ და საით მიემართებოდა მატარებელი — იტალიაში თუ მარსელში. კოკისპირული წვიმა ასხამდა ფანჯრებს.

— სეტყვაა, — წაიდუდუნა ვიღაცამ, — მეცოდებიან ტურისტები, რომლებიც წელს ჩამოდიან სანაპიროზე.

ვაი თუ ამ შენიშვნაში რაღაც განსაკუთრებული აზრი იმალება? მგზავრმა ქალმა თვალი გაახილა და პირდაპირ კაცი დაინახა. ის მას უყურებდა. ქალმა კიდევ უფრო ღრმად ჩაიყო ხელები პალტოს ჯიბეებში, მაგრამ როგორ დააცხროს მათი კანკალი? ალბათ შორიდანაც ჩანს, რომ მას აციებს, რომ ის ძალიან, ძალიან ავად არის... ასეც იცოდა, აუცილებლად ავად გახდებოდა და არ ეყოფოდა ძალა ბოლომდე გასაძლებად. როდის ამოვიდა ეს კაცი? უკვე დიდი ხანია... ლიონის ან დიჟონის შემდეგ... იქნებ პარიზიდანვე მოდის... ახლა ვერ გაიხსენებ... აზრებს თავს ვერ უყრის. მაგრამ ერთი რამ ნათელია: საკმარისია წამით დაფიქრდე, და უმალვე მიხვდები, რომ თუ ქალი ახველებს, აჟრჟოლებს — გაციებულია. და თუ გაციებულია, მაშასადამე, გაილუმპა... ამის შემდეგ უკვე ყველაფერი გასაგებია, გასაგები. ისიც, რომ მან მთელი ღამე ბრეზენტში გახვეულმა გაატარა... ეჰ, უდროო დროს გახდა ავად. საწყენია, არ ღირდა. ვინ იცის, იქნებ საშიში ავადმყოფობაცაა. აქედანვე ჩანს, რომ უბრალო სურდო არაა.

ხველა აუვარდა, ზურგი ტეხდა. თავისი ძველი მეგობარი ქალი გაახსენდა. ის ცეკვებზე გაცივდა და ტუბერკულოზით დაავადდა. ყველა ამბობდა: „საბრალო ქალი! რა დიდი უბედურებაა, ქმრისთვის არაფერი სასიამოვნოა სარეცელზე მიჯაჭვული ცოლის ყოლა...“

მატარებელი პირაპირებზე ახმაურდა. კაცი ადგა, თვალი ჩაუკრა... მართლა ჩაუკრა თვალი? თუ უბრალოდ მტვერი ჩაუვარდა თვალში?

— ანტიბი! — წაიბურტყუნა მან.

ვაგონი მოწითალო ცემენტით დაფარული პლატფორმის გასწვრივ გასრიალდა. ვაგონში დარჩეს და დაუცადოს?.., არაფერი სასიამოვნოა სარეცელზე მიჯაჭვული ცოლის ყოლა“.

ფრაზა ერთთავად უტივტივებდა გონებაში და ბოლოს უკვე აეკვიატა. ვინ იმეორებს მას წყნარი, ოდნავ გასაგონი, შიშნარევი ჩურჩულით? მგზავრმა ქალმა ხელი დასტაცა ჩემოდანს, შებარბაცდა და ბადეს ჩაებღაუჭა. უკეთესი იქნებოდა ვაგონიდან გადმოსულიყო, ძალ-ღონე მოეკრიბა და დაეძლია თავბრუსხვევა. ეჰ! ძილი! ძილი!..

ცივი წვიმა ასხამს. წითელი ცემენტის დაუსრულებელი ტროტუარი... რამდენი უნდა იარ ოს კიდევ, რომ ბოლოს და ბოლოს მიაღწიოს იმ უძრავ სილუეტამდე, მის სილუეტამდე? ის კი ხელებსაც არ იშვერს მისკენ... კაცი გაქრა. მთელს ქვეყანაზე უკვე აღარავინაა, გარდა ორი ქალისა, გამხმარი სისხლისფერი გზისა და წვიმისაგან დასველებული რელსებისა. კიდევ ათი ნაბიჯი...

— მირეი!.. ავადა ხარ!... სტირი?...

ლიუსიენი ძლიერია. მას შეიძლება ენდო. იცის, საით უნდა წავიდეს და რა გააკეთოს. დიახ, მირეი ტირის... დაღლილობა, შიში. ქარის გამო ცუდად ესმის. რას ეუბნება ლიუსიენი.

— გესმის?... — ეკითხება მირეი, — ის უკან მოგვყვება? მირეი თითქოს კარგავს რეალობის გრძნობას, მაგრამ მშვენივრად ხვდება, რომ ნერვული ხელი უსინჯავს მაჯას, უშვირავს ის და არ აძლევს წაქცევის საშუალებას.

— დამეხმარეთ... კარები...

ეს ლიუსიენმა წარმოთქვა. შემდეგ გაიღო შავი ხვრელი. მაგრამ მირეის მაინც ესმის, რომ ისინი ტაქსით მიდიან, მერე ლიფტით ადიან. ქარს მიაქვს ლიუსიენის სიტყვები. ეჰ, ლიუსიენს არ ესმის, რომ ყველაფერი დამთავრებულია. უნდა აუხსნას მას, უნდა...

— დამშვიდდი მირეი!

მირეი ირინდება. მხოლოდ გრძნობს, რა უნდა ილაპარაკოს, რა უნდა აუხსნას, ეს ხომ ასე მნიშვნელოვანია... ის, ვაგონში...

— დაწექი ძვირფასო. არავინ არ გითვალთვალებდა, დამიჯერე, შენთან ვის რა ხელი აქვს.

ქარი ცოტათი ჩადგა. მაგრამ რა ქარზე შეიძლება ლაპარაკი წყნარ, ღამის ლამპით განათებულ ოთახში. ლიუსიენი

შპრიცს ამზადებს. არა! ოღონდ შპრიცი არა! ოღონდ ნემსი არა! მირეიმ უკვე იმდენი წამალი მიიღო!

ლიუსიენი ზეწარს ხდის. ნემსი კანში შედის, ჩქმეტს. ზეწარი ისევ ადგილზეა. მირეის აგონდება აბაზანა, სადაც მან პირველად ჩაიყურყუმელავა და ფერნანს ეგონა, დაიძინაო. და შემდეგ, მეორედ, როდესაც ფერნანს ის დამხრჩვალი ეგონა, დიდი ხნის დამხრჩვალი. უცებ ყველაფერი დაწვრილებით მოაგონდა. მაშინ ის სიმივით დაძაბული იყო. ეშინოდა, ეშინოდა რომ ფერნანი მასში სიცოცხლის ნიშანწყალს შეამჩნევდა. მაგრამ ლიუსიენმა ბრეზენტი მოამზადა... ფერნანმა დაინახა მხოლოდ ტანი, რომელსაც წყალი ჩამოსდიოდა და რომელიც სასწრაფოდ უნდა შეეხვიათ. ყველაზე საშინელი ცოტა მოგვიანებით დაიწყო... სიცივე, კრუნჩხვები და — ნაკადული სამრეცხაოსთან. გული ეღონდება, წყალი ნესტოებში შესდის... ხოლო როგორც კი ფერნანი გაეცალა, საჭირო იყო ლიუსიენის მითითებების შესრულება, მაშინვე, დაუყოვნებლივ...

მირეი იფიცება, რომ ყველაფერს დაუჯერებს ლიუსიენს ის უკვე განიცდის უშიშროების სანეტარო გრძნობას. ეჩვენება, რომ შუბლი ნაკლებად უხურს. დიახ, ყველაფერი უნდა დაეჯერებინა ლიუსიენისათვის!.. ლიუსიენმა ხომ ყოველთვის იცის, რა გააკეთოს! განა მან არ გაითვალისწინა ასე ზუსტად ფერნანის ყველა რეაქცია? ის ვერ გაჩერდა სააბაზანო ოთახში. ვერ შეძლო მკვდარი ცოლის ყურება... თავი იმტვრია, მაგრამ ვერ გაიგო სიმართლე... ლიუსიენი ყველაფერს ადევნებდა თვალს, ბედის იმედი არ ჰქონდა და ყოველ წუთს მზად იყო ჩასარევად. თუნდაც ფერნანს გაეგო მათი ჩანაფიქრი... რას რისკავდნენ ისინი? მკელელი ხომ ფერნანი იყო. ლიუსიენი ახლაც თვალს ადევნებს ყველაფერს. ის საწოლზე იხრება. მირეი თვალებს ხუჭავს. კარგადაა. მაპატიე, ლიუსიენ, რომ არ გაგიგონე... მაპატიე, ლიუსიენ, რომ შენს უნებართვოდ ძმა მოვინახულე, და კინაღამ ყველაფერი საფრთხეში ჩავაგდე... მაპატიე, ზოგჯერ ეჭვი მეპარებოდა შენში... ძლიერი ხარ, ლიუსიენ. ეჰ, რომ ვიცოდე სიყვარულით მოქმედებ თუ ინგარებით...

— გაჩუმდი! — ჩასჩურჩულებს ლიუსიენი.

მაშასადამე, ლიუსიენს ყველაფერი ესმის და ყველაფერს ხვდება... ყველაზე საიდუმლო ფიქრებსაც კი. იქნებ ის ხმამაღლა ლაპარაკობდა ძილში?

მირეი თვალებს ახელს და ხედავს — რა უცნაურიც არ უნდა იყოს! — ლიუსიენის შემცბარ სახეს. თავი უნდა შეიკავოს. მას ხომ მთავარი დაავიწყდა... მისი მისია ჯერ არ დამთავრებულა. მან ხელი მოსჭიდა ზეწარს და წამოიწია.

— ლიუსიენ... მე იქ ყველაფერი წესრიგში მოვიყვანე: სასადილო ოთახში, სამზარეულოში... ვერავინ შეიტანს ეჭვს, რომ.

— სადაა წერილები, რომლებითაც ატყობინებენ, რომ დაბრუნდები?

— ჯიბეებიდან ამოვაცალე.

ლიუსიენი ვერასდროს ვერ გაიგებს, რა ძვირად დაუჯდა ეს მირეის. ყველგან სისხლი! საბრალო ფერნანი! ლიუსიენი ხელის გულს ადებს მირეის შუბლზე.

— დაიძინე... მეტი აღარ იფიქრო მასზე... ის განწირული იყო, იქეთკენ მიდიოდა... ის არ იყო ამ ქვეყნის მცხოვრები.

რა თავდაჯერებულია! მირეი ლოგინში ბორგავს. მას კიდევ რაღაც აწუხებს... რაღაც არეული ფიქრები... ის იძინებს, მაგრამ გონს მოსვლისას ასწრებს გაფიქრებას: „რავინელს ხომ არაფრის ეჭვი არ ჰქონდა! მას აღარც კი ახსოვდა პირველი სადაზღვევო პოლისი, რომლითაც მთელი ფული ჩემზე იყო გამოწერილი!... მას ხომ მხოლოდ იმიტომ მოაწერა ხელი, რომ ჩემთვის სხვა პოლისზე ხელის მოწერის აზრი ჩაეგონებინა...“ თვალებს ისევ ხუჭავს. სუნთქვა უკვე თანაბარია. ვერასდროს ვერ გაიგებს, რა ახლოს იყო სინდისის ქენჯნასთან.

ახლა მზე ანათებს. მრავალი საათის უგონოდ ყოფნის შემდეგ სიცოცხლე თავიდან იწყება. მირეი თავს მარჯვნივ აბრუნებს, შემდეგ მარცხნივ. ის ძალზე დაიღალა, მაგრამ ეღიმება, ბაღში შავი ფთილით დაფარულ ღეროიან დიდ პალმას რომ ხედავს. ფარდებზე ჩრდილები დარბიან. პალმის ფოთლები ნელა შრიალებენ და ენით უთქმელი ფუფუნების სურვილს აღძრავენ. მირეის სამუდამოდ დაავიწყდა გუშინდელი შიში. ის მდიდარია. ისინი მდიდრები არიან. ორი მილიონი! სადაზღვევო კომპანია ვერაფერზე შეედავება. თვით-

მკვლელობისათვის გათვალისწინებული ორწლიანი ვადა გასულია. ყველაფერი კანონიერადაა. საჭიროა მხოლოდ გამოჯანსაღება.

მირეის თავში ისევ ის ფრაზა უტრიალებს: „არაფერი სასიამოვნოა სარეცელზე მიჯაჭვული ცოლის ყოლა". ლოყები ოდნავ შეეფაკლა. ყველა მოწყენილია. მაგრამ ავადმყოფობა დიდი ხნით ვერ მიაჯაჭვავს სარეცელს. ლიუსიენმა კარგი საშუალებები იცის. ამიტომაცაა ექიმი. მას ისევ ახსენდება ფოსის სანაპირო და ფერნანი გრაფინით ხელში... „არაფერი სასიამოვნოა სარეცელზე მიჯაჭვული ცოლის ყოლა". პატარა ტუმბოზე გრაფინი დგას. მირეი ათვალიერებს მას. გრაფინი ნაირფეროვან სახეებს აფრქვევს, როგორც ის ბროლის ბურთები, რომლებზედაც მკითხავები ბედის ხაზებს არჩევენ. მირეიმ არ იცის ბროლზე მომავლის წაკითხვა, ის კანკალებს და როდესაც კარი იღება, დანაშაულზე წასწრებულივით მაშინვე გვერდზე იხედება.

— გამარჯობა მირეი... კარგად გეძინა?

ლიუსიენი შავებშია. იღიმება და მკვეთრი, მამაკაცური ნაბიჯებით საწოლთან მიდის. მირეის ხელს ჰკიდებს.

— რითა ვარ ავად? — ჩურჩულით ეკითხება მირეი.

ლიუსიენი სახეში აშტერდება, თითქოს ფიქრობს, იცოცხლებს თუ ვერაო და არ უპასუხებს.

— სერიოზულია?

მაჯაზე დადებული თითები გრძნობენ, როგორ სცემს არტერია.

— დიდხანს გასტანს, — ოხვრით ამბობს ლიუსიენი.

— მითხარი, რა მჭირს?

— წყნარად.

ლიუსიენი გრაფინს იღებს და ახალი წყლის მოსატანად მიაქვს. მირეი იდაყვებზე იწევს, კისერს იგრძელებს და თვალს არ აშორებს ნახევრად ღია კარს, საიდანაც მოჩანს წინკარის თეთრი შპალერი. ის ყურს უგდებს ლიუსიენის ყოველ მოძრაობას. აი ბაკანში წყალი აბუყბუყდა, მხიარულად არაკრაკდა ბროლის გრაფინში და მერე ყელს რომ მოადგა, უეცრად აშიშინდა. მირეი არაბუნებრივად იცინის, ხველა უვარდება და ყვირის:

— სულ ერთია! უნდა მოგნდობოდი, ...შენ ხომ უკანასკნელ წამამდე გქონდა არჩევანი.

ლიუსიენი კეტავს ონკანს, აუჩქარებლად წმენდს გრაფინს კედელზე დაკიდებული ჩვრით და ოდნავ გასაგონი ხმით კბილებში სცრის:

— შენ გგონია, მე არ ვყოყმანობდი?

შინაარსი

პაველ ვეჟინოვი

მღამიობები ღამღამობით გამოდიან 3

ჯონ დიკსონ კარი

იმპერატორის საბურნეთე 199

ბუალო, ნარსეჟაკი

ქალი, რომელიც სიცოცხლეს გამოასალმეს . . . 401

П. Вежинов, Б. Нарсежак, Д. Д. Карр
ЗАРУБЕЖНЫЙ ДЕТЕКТИВ
(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1977

რედაქტორი დ. იუკურიძე, მხატვარი რ. მახარაძე, მხატვრული რედაქტორი კ. ფაჩულია, ტექნიკური რედაქტორი ვ. ჭიჭინაძე, გამომშვები ა. საკაძე, კორექტორები მ. რამიშვილი, თ. მაჩაბელი

გადაეცა წარმოებას 27/V-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VIII-1977 წ. საბეჭდი ქაღალდი № 2, 84×108 1/32. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 28,56. სააღრ.-საგამომც. თაბახი 25,74. ტირაჟი 30 000.
შეკვ. № 1394.
ფასი 2 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. № 7.

Тбилисская книжная фабрика Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7